# ისტორია

# საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე).

თხზულება

დ. ზ. ბაქრაძისა.

ტფილისი.
სტამბა ე. გ. მესხისა.
1889.

Дозволено цензурою, 16 Ноября 1888 года г. Тифлисъ.

Типографія Е. Г. Месхи на Фрейлин. ул. подъ Т. Д. З. Б. въ Тифлисѣ.

# წინასიტყვაობა.

საჭიროდ მიგვაჩნია აქ ჩვენ მკითხველს გაუწყოთ, თუ როგორ გვესმის ჩვენ ისტორია და რა პროგრამას ვადგევართ საქართველოს ისტორიის გამოკვლევაში.

ისტორია, ისეთი, როგორსაც აწინდელი მეცნიერება მოითხოვს, უნდა იყოს ნამდვილი და სრული, ეპოქ-ეპოქად, სურათი იმ ერისა, რომელსაც ის შეეხება. ისტორია მოვალეა განსაზღვროს, როგორ და სად დაარსებულა ერი; რა ადგილებში უმგზავრნია იმას, როდესაც იგი იქიდამ დაძრულა; რა კულტურა შეუტანია იმ ქვეყანაში, სადაც იგი სამუდამოდ დამყარებულა; რა გვარი გავლენა აღმოუჩენია ამ ქვეყნის მდებარეობას და თვისებას იმის ტიპზე, ხასიათზე, მიმართულებაზე; რა დამოკიდებულობა ჰქონიათ იმასთან უცხო ტომნათესავთა და რა კვალი დაუტოებიათ იმის ცხოვრებაში; რა გვარ მოუწყვია იმას თავისი ყოფა-ცხოვრება, სოციალური და პოლიტიკური; რა სამსახური მიუგია საზოგადოდ კაცობრიობისათვის კულტურის წარმატებაში. რამდენადაც რომელიმე ერი წინ არის თავის კულტურით, იმდენად უფრო მოქმედებს კაცობრიობის ისტორიაში. ამასთანავე, რამდენადაც ძველია რომელიმე ტომი, რამდენადაც მომეტებული გავლენა გამოუცდია იმას გარეგან, იმდენად მეტია უძველეს საუკუნეთა კვალი იმის ენაში, იმის ყოფა-ცხოვრებაში და საზოგადოდ იმის კულტურაში. ამ გვარნი ცნობანი, საფუძვლიანად შემუშავებულნი, შეადგენენ შეურყეველს საძირკველს ახალის მეთოდის ისტორიისას. რა საკვირველია, იმათი შემოკრება არ არის ადვილი საქმე და მოითხოვს ხან-გრძლივსა და მცოდნე პირთ შეერთებულს შრომასა.

# II

დასაწყისი ქართველის ერისა თავის შტოებით იკარგება ისტორიულ წინა-საუკუნეთა წყვდიადში. აქამომდე ვერ შეუგნიათ, რომელ მოდგმასთანა აქვს იმის ენას ნათესავური კავშირი, თუმცა ამ გვარი კავშირი თითქმის ყველა დანაშთენის აწინდელის ენებისა შეგნებული კიდეცა აქვს მეცნიერებასა. ყოველს ტომ-ნათესავთა შორის, რომელნიც კი ისტორიას შერჩენია თავის მეხსიერებაში, ჰხადიან თვით ქართველ ნათესავსა იმის მოსაზღვრე სომხებითურთ. თითქმის ყველა ხსენებული ნათესავები მკვლადვე აღმოხოცილან და ამ ორ ნათესავს კი აქამომდე მოუღწევია.

იმ გვარი მასალა ჩვენის ისტორიისა, როგორსაც ზემოდ ვუჩვენებთ, ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს და რაცა გვაქს, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტი, აქა-იქ გაფანტული, ხელ-უხლებელი კრიტიკის მხრით; ამის გამო ჩვენი შრომა არა თუ სრული არ არის, არამედ რამდენადაც ყოველს ხანებს ეხება, იმდენად უფრო ზღაპრულის თვისებისაა; მაგრამ თვით ეს ზღაპრული თვისება აღმოგვიჩენს იმ გვარ ფაქტებსაცა, რომელთაც დროჲთი-დრო აქა-იქ ნათელი შეაქვთ საქართველოს ისტორიის მსვლელობაში. აქ დავძენთ, რომ რა მასალაც კი მოგვეპოვება ქართულსა და უცხო ენებზე ისტორიის შესახებ, ყველა ეს მასალა შეძლების-და-გვარად აწონილი და გარკვეული ჩვენ შემოგვაქვს ამ წიგნში, თავ-თავის ადგილს. საზოგადოდ აქ ჩვენი პროგრამმა არის შემდეგი:

1. ახლა უეჭველ საფუძველზეა დამყარებული ის ფაქტი, რომ კაცობრიობის მოდგმათა პირველ დასაწყისი ადგილ-მამული ყოფილა ზემო-აზია, საიდამაც იმათი თესლი გაბნეულა სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ადგილს, და იქიდამვე თან გამოუტანია მას ზეპირ-თქმულებანი, გეოგრაფიულნი სახელ-წოდებანი, კულტურა და სხ. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ იქიდამვე გამოსულან ქართველის ტომ-ნათესავის წინაპარნი და გაფანტულან ჯერ მცირე-აზიის მხარეებში, სადაც იმათის ბინადრობის კვალს აქამომდე უჩვენებენ, და შემდეგ დამყარებულან შავი-ზღვის პირად და სამხრეთად კავკაზისა.

2. აქ, ამ ჩვენს ისტორიაში, თავ-და-პირველად ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას კავკაზის მდგომარეობაზე გეოლოგიურს

ეპოქებში იმ დროდამ, როდესაც იმას ჯერ ოკეანი თურმე ჰფარავდა; ვუჩვენებთ, რა მოვლენისა და მოქმედების გამო გაჩენილან აწინდელ-ნი მთის ზურგნი და ღელე-მინდორნი; აღვნიშნავთ, რომელი ნათესა-ვი რა დროს დაძრულა ზემო-აზიიდამ და სად ბინადრებულა; ვიხსე-ნიებთ, ვინ ყოფილან ის გარეშე ტომნი, რომელთაც უძველეს დროებში ჰქონიათ მისვლელობა კავკაზის მხარეებში და რომელთაც გადმოუ-ციათ თავისი ცნობები კავკაზზედაც და იმის მცხოვრებლებზედაც.

3. ქართველი ტომი შავი-ზღვის პირად და კავკაზის მხარე-ებში დიდის ხნის მომდინარეობაში გაცალცალკევებული ყოფილა; ამის გამო დაჰშორებიან ერთი მეორეს იმისი მონათესავე ენები: ქართული, სვანური და მეგრული ჭანურითურთ. შინაგანი წყობი-ლება იმისი, საზოგადოებრივი, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური იმ გვარი თურმე იყო, რა გვარსაც ისტორია უძველეს დროებში თვით სხვა მრავალ ტომებსაც მიაწერს: თვითოეული ტომი თვითვე განაგებდა სათემო საქმეებსა, საეროსა და სასულიეროსა, მის მიერ-ვე ამორჩეულ პირთ შუამდგომელობით.

4. შემდეგ სამეფოები დამყარებულა. იმ დროდამ, როდესაც ჩვენი მატიანე პირველად უჩვენებს სამეფოს დაარსებას ქართლ-ში, უცხოელთ მწერლობა ხან და ხან ეთანხმება იმის გარდამოცე-მასა და თვით უმთავრესი ფაქტები ამ მატიანისა არ ეწინააღმდეგება მსოფლიო ისტორიის ცნობებსა. გფიქრობთ, იმ დროსვე, თუ უფრო ადრე არა, ჩვენში დაარსებულა მწერლობა, თუმცა ამ აზრის შესამოწმებელი ცხადი ფაქტი ჯერ არ აღმოჩენილა. არ ვეჭვნეუ-ლობთ კი, რომ უნდა აღმოჩნდეს. თვით ჩვენის მწერლობის ნიშ-ნებს იმ გვარი ხასიათი აქვთ, რომ სჩანს, იმას მეტადვე დიდი ხა-ნი უვარჯიშნია.

5. უცხო ტომნი ანუ იმათნი სამეფო გვარნი, რომელთაც ჩვენ მხარეზე გავლენა ჰქონიათ, არიან: ფინიკიელნი, ქალდეო-ასსი-რიელნი, შავი-ზღვის პირად მობინადრე ბერძენნი, არშაკიდნი, რომაელნი, სასანიანნი, სპარსნი, არაბნი, ბიზანტიელნი. საქართ-ველოს ისტორია უფერო იქნებოდა, რომ ამ ისტორიის გამოკვ-ლევაში არ შევხებიყავით იმათა; ამის გამო სადაც კი საჭიროდ

გხედავთ, თვითოეულის მათგანის ისტორიულ სურათსაც წარმო-ვუდგენთ ჩვენს მკითხველსა.

6. ორი ძველის-ძველადგანვე მოსაზღვრე ტომი, ქართველობა და სომხობა, არიან ერთი მეორესთან მჭიდროდ დამოკიდებულნი და საგრძნობელი უნდა იყოს ნაკლულევანება ერთის ისტორიისაცა და მეორისაცა, თუ რომ ქართველი ავტორი და სომხური ავტორი თავის ისტორიულ გამოკვლევაში ერთი მეორის ისტორიულ მსვლელობას და ურთიერთ კავშირს ცხოველად არ აღნიშნავს. ამ საფუძველს ჩვენ არას დროს არ ვივიწყებთ და თავ-თავის ადგილს ვიკვლევთ, სომხურის წყაროების შემწეობით, სომხურ ისტორიასაცა.

7. ჩვენს დედა-მიწაზე ძველადგანვე აქამომდე დარჩენილა მრავალი შენობაები, მეტადრე ტაძრები და მონასტრები, რომელთაც გაკვირვე-ბაში მოჰყვევართ თავის სიმკვიდრით და ხელოვნებით. რა დროს ეკუთვნიან იგინი, ვისნი ნაშრომნი და რა ხასიათისანი არიან, ყოველთვის ვუჩვენებთ, თუ კი ამ საგანზე გვაქვს ცნობები. ამასვე ვიტყვით ძველ მწერლობაზე. მწერლობა სწარმართო დროისა ჯერ არ შეგვხვედრია, თუმცა კი, დარწმუნებულნი ვართ, უნდა არსებობდეს; რაც შეგვხვედრია, იგი შეეხება ქრისტიანობისა და იმის აღორძინების ხანასა. ჩვენა გვაქვს ფულები ქართულის წარწერით V—VII საუკუნოებისა, ტაძრები VI—VII საუკუნოებისავე. მანუსკრიპტები ამ ხანისა უეჭვე-ლის ქორონიკონით ჯერ არა ჩანს; მაგრამ კი სხვა გვარის საბუთებით ზოგიერთს იმათგანს, უძველესს, ჩვენ ხელში გავლილს, ჩვენ მივა-წერთ V—VIII საუკუნოებსა. IX—X საუკუნოების მწერლობაზე, რო-მელიც საკმაოდ არის, კარგს ისტორიულ მასალას გვაძლევენ, რო-გორც მკითხველი ჰნახავს, ეტრადიანი მანუსკრიპტები ახლად და-არსებულის საეგზარხოსო არხეოლოგიურის მუზეუმისა და ქარ-თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.

8. ჩვენი წიგნი შეიცავს „ისტორიას საქართველოსას“ უძველე-სის დროიდამ მეთერთმეტე საუკუნის დამდეგამდე ანუ ბაგრატ მე-სამემდე, როდესაც გაცალცალკევებულმა ქართველმა ტომმა იწყო თავისი შემოერთება და დაამყარა კიდეც ერთ-მფლობელობა. საზოგადოდ ჩვენის ისტორიის შესახებნი წყარონი, უცხოელნი თუ ქართულნი—

ეს უკანასკნელნი გამოცემულნი და გამოუცემელნი—და თვით ჩვენ მიერ
შესწავლულნი, ყველა ნაჩვენები გვაქვს თავ-თავის ადგილს, წიგნის
ტექსტში ანუ იმის შენიშვნებში, სადაც იმათ ღირსება-ნაკლულევანე-
ბათაც ვუჩვენებთ, როგორც ერთიც და მეორეც ჩვენ გვესმის; ამას-
თანავე, რომ ჩვენ მკითხველს გავუადვილოთ ხსენებულის წყაროების
პოვნა, წიგნის ბოლოს ჩავურთეთ ანბანზე დაწყობილი იმათი საძიებე-
ლი, რომელიც უჩვენებს, რომელ წიგნის გვერდზე უნდა მკითხველმა
ეძიოს იგინი და თვით იმათზე ჩვენგან წარმოთქმული აზრი.

9. თუ მკითხველს ახსოვს, წარსულ წლის ნოემბრის „ივე-
რიაში" დაბეჭდილი იყო პროგრამმა XVI—XVII კარისა, რომლი-
თაც ეს ჩვენი წიგნი ბოლოვდებოდა. ამ კარში უნდა შემოტანილიყო
სურათი საქართველოს შინაგანის წყობილებისა (ნახე „ივერია"
1888, № 235). ამ პროგრამმის შესრულება ჩვენ ვერ შევძელით,
რადგანაც ზოგიერთმა იმის საგნებმა ცნობების შემოკრება მოით-
ხოვა ისე წიგნებიდამ არა, როგორათაც ადგილობრივ ჩვენის მხა-
რის სხვა და სხვა კუთხეებიდამ. ამის გამო ის მეორე ნაწილის-
თვის გადავდეთ. რა ცნობები უნდა შემოიკრიბოს თვით ადგილობ-
რივ, ამას მკითხველი შეიგნებს პროგრამმიდამ, რომელიც აქ განგებ
მთლად შემოგვაქვს და ამ შემთხვევაში შემწეობას ვთხოვთ ჩვენ ნასწავლ
ყმაწვილ-კაცთა, მეტადრე იმათ, რომელნიც გაფანტულნი არიან საქარ-
თველოში. აქ ვუჩვენებთ ნიმუშებსაც. წარსულ წლებში „ივერიაში"
იბეჭდებოდა ფშავ-ხევსურთ-სვანთ ცხოვრებიდამ მასალა, ისეთი, რო-
გორიც ჩვენთვის საჭიროა; მაგრამ მარტო სამის კუთხიდამ იგი სა-
კმაო არ არის და ვინც იმ გვარვე, ჩვენის პროგრამმის მიხედვით, სხვა
და სხვა მხარის მასალას შემოჰკრებს, სასარგებლო იქნება თავ-და-
პირველად ის თვით „ივერიაში" დაიბეჭდოს. თუ ვისთვისმე საჭირო
იქნება თვითოეულის ჩვენს პროგრამმაში შეტანილის საგნის განმარტე-
ბა, ვთხოვთ ამ შემთხვევაში იმან ჩვენვე მოგვმართოს ან წერილით,
ანუ „ივერიის" შუამავლობით; ჩვენ ჩვენის მხრით კი „ივერიის"
შუამავლობას უფრო სასარგებლოდ ვრაცხთ. რა საკვირველია, მა-
სალის-და-გვარად შეიძლება შემდეგს ჩვენს ისტორიაში თვით პროგ-
რამმა შეიცვალოს. ამ პროგრამმით დაიწყება მეორე ნაწილი ისტორიისა.

ჰა თჳთ ხსენებული პროგრამმა:

**საქართველოს სურათი: გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალური დროთა მსვლელობაში ვიდრე X საუკუნის ბოლომდე.**

I. ამ კარის წყაროები, ძველს მწერლობაში და დედამიწაში ნაპოვნი და ჩვენის ტომ-ნათესავის ცხოვრებაში სხვა და სხვა ადგილს შერჩენილი.—ისტორიულ-გეოგრაფიულნი სახელ-წოდებანი საქართველოსანი, გადაშენებულნი და აქამომდე შერჩენილნი.—რა საზღვრებში მოთავსებულა ქართველი ტომი თავის შტოებით და რა გვარ მოუწყვია იმას თავისი ბინადრობა და ადმინისტრატიული წესი.

II. უმაღლესი გამგეობა. მამასახლისი, შემდეგ მეფე.—მეფის დაგვირგვინება.—მეფის ქორწინება.—ხელმწიფობა.—მემკვიდრე.—უფლის-წულნი.—ტაძრეულნი.— სეფე-წულნი მეფისანი.—სეფე-ქალნი დედოფლისანი.—სამეფო საგანძური.—წესი დარბაზობისა.—გლოვა მეფის სიკვდილზე.—იმის გვამის შემურვა და დაკრძალვა ანუ დასაფლავება.

III. უმაღლესი ხელის-უფლება.—ხელის-უფალთა სახელწოდებანი, ქართულნი და უცხოელთაგან შეთვისებულნი.—კათალიკოზი.—სამღვდელო — იერარხიული რიგი.—მამადედათა მონასტრები: ფიჩვოსანნი; მემზგეფსენი; მეტრაპეზენი; ენკრატისნი (დედათა მონაზონნი).—მონასტრების ისტორიული მნიშვნელობა.

IV. მაღალი და დაბალი წოდება. დიდებულნი.—აზნაურნი.—გლეხნი.—იმათი ურთიერთი დამოკიდებულება.— ბატონ-ყმობა.—ხასიათი ბატონ-ყმობისა.—მონაობა.

V. სამსჯავრო ანუ საბჭო: საერო და სასულიერო.—განსაზღვრა საბჭო საგნებისა.—სისხლი.—რა გვარ სასჯელებს ვხედავთ ხმარებაში.—სახელმწიფო ხარჯი ანუ ხარაჯა.—ბეგარა.—ფული: საფასე, დრამა, დრაჰკანი.

VI. მხედრობა. სხვა და სხვა საომარი იარაღი.—პალანკურტი თუ ფალაკაგანი ანუ „ქვის მტყორცელი“ მანქანი (მაშინა).—მთხრებლი.—დროშა.—რაზმი და ლაშქარი.—წინამძღვარი ანუ სპასპეტი.—მხედარი და ქვეითი ანუ მკვირცხლი.—წინა-მავალნი.— უკანა-მავალნი.— წესი ბრძოლისა.—ბუმბერაზობა,

VII. კულტურა.—სასწავლებლები საქართველოში და საქართველოს გარედ.—იმათი ხასიათი.—ასტრონომიულნი ცნობანი: რა გვარნი.—მათემათიკურნი ცნობანი: ზომა სივრცისა; თვლა დროთა; ინდოეთიდამ არაბების დროს შემოტანილი ციფრები.—მკურნალობა: ექიმი და დოსტაქარი ანუ ჭრილობის მკურნალი.—ქსენონნი ანუ სამკურნალონი.—ენა; ენაში ჩამარხული უძველეს დროთა ისტორიული კვალი; ენის წარმატება.—მწიგნობრობა: ხრონიკები; სიგლები და გუჯრები.—თარგმანნი: სად და სად, რა და რა გვარნი.—პოეზია.—ხუროთ-მოძღვრობა.—ცოხ-

სიმაგრეები.—ტაძრები.—სკულპტურა ანუ საქანდაკო ხელოვნება.—კერვა-ქსოვა.—სტავრანი და ოქსინონნი.—საეკლესიო მხატვრობა.—ამ მხატვრობაში სად და სად ვპოულობთ ძველს ქართულს სურათებს ქართულის ტან-სამოსით.—საეკლესიო მგალობლობა.—მეურნეობა.—მიწის მფლობელობა ძველი სად რა გვარია აქამომდე დარჩენილი.—არხები; შარა-გზები; ხიდები; ხელოსნობა.—ალებმიცემობა.

VIII. ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი.—ქართული ტიპი.—ბუნება ანუ ხასიათი ქართველისა განსხვავებული თემ-თემებად.—ყოფა-ცხოვრება.—ტან-საცმელი.—საცხოვრებელი შენობაები.—ავეჯეულობა.—ოჯახი: აღზრდა მამრთა და მდედრთა.—სახლოსნობა.—გართობა.—სიმღერა და სამუსიკო იარაღები.—ზნე-ჩვეულებანი და ამაორწმუნებანი; მითები, ლეგენდები და საზოგადოდ სხვა და სხვა თქმულებაები ძველის ხასიათისა და აგრეთვე კვალი საწარმართო-სარწმუნოებისა თემ-თემებადვე.

რა საკვირველია, ამ პროგრამმაში ის მასალა შემოიტანება, რომელიც უძველეს ხანებს შეეხება.

დასასრულ აქ საჭიროდ ვხედავთ ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს, რომ ამ წიგნის გამოცემა გაგვაბედვინა ჩვენ გიორგი რომანის ძმ ერისთავმა. წიგნი დაიბეჭდა იმის შემწეობით და საფასით.

# ისტორია

# საქართველოჲსა

---

## კარი პირველი

### საზოგადო ცნობა ისტორიის წინა-დროებაზე

I. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა-დროებისა: გეოლოგიური, ლინგვისტიკური და არხეოლოგიური.
II. კაცობრიობის ნათესავნი და იმათნი განყოფილებანი.—იმათნი წინაპარნი სად აღმოჩენილან და სად სახლებულან, საითა და საით გამგზავრებულან და სად და სად დამყარებულან.
III. განათლების წარმატება ეგვიპტეში და ქალდეო-ასსირიაში.—ამ წარმატების ხასიათი აწინდელის აზრით.—მცირე აზია და იმისნი უძველესნი ტომნი.
IV. არხეოლოგიური ქარტები ანუ რუკები.—ამ ქარტებზე ქართველ ტომ-ნათესავის წინაპარნი, სხვა და სხვა გვარ სახელ-წოდებულნი და მცირე აზიიდამ კავკაზამდე გაფანტულნი.

ჩვენ დროში უძველეს ქვეყნიერებაზე და ტომებზე, იმათ დასაწყისზე, მომდინარეობაზე და ცვლილებაებზე მსწავლულნი სრულებით ახალ აზრს დაადგნენ. ამ აზრის საფუძვლად იმათ აქვთ სამი ახალი შტო მეცნიერებისა: გეოლოგია, ენათ შესწავლა ანუ ლინგვისტიკა და არხეოლოგია.

გეოლოგიურის ცნობით, დედა-მიწის გულში ტრიალებს დიდი სიმხურვალე და ერთის მხრით ამ სიმხურვალის მოძრაობა, რომელსაც გამოაქვს გარეთ სხვა და სხვა ნივთიერობა, მეორის მხრით მოქმედება ჭაერისა და წყლისა ითვლებიან მიზეზად, რომ

გამოუწერელთა დროთა მსვლელობაში დაარსებულან მთა-კუნძულები და ველ-მინდვრები. დედა-მიწის კანს შეადგენენ ერთმანეთში განსხვავებულნი სხვა და სხვა გეოლოგიურის ეპოქის ფორმაციანი, ანუ ერთი მეორესთან ცეცხლისა და ჰაერ-წყლის ნაწარმოებით შერეულნი და შედუღებულნი. ფორმაციები არიან ერთი მეორეზე აგებულნი. თვითოეულს ფორმაციას დაუმარხავს თავის გულში კვალი ანუ ნაშთი ორგანიზმისა, მცენარისა თუ სულ-დგმულისა, რომელსაც კი იმ ფორმაციის განმავლობაში უცხოვრია. მრავალია იმათგანი გაქვავებული. უძველესის ფორმაციის ორგანიზმები დროთა მსვლელობაში ისე იცვლებიან, რომ შემდეგის ფორმაციის ორგანიზმებს ან სრულებით არ ემსგავსებიან, ან მცირედ ემსგავსებიან. უკანასკნელს ფორმაციაში, რომელსაც მესამე ფორმაციად უწოდებენ და სამ ეპოქად ჰყოფენ, უძველეს ორგანიზმებს სულ ველარ ვიცნობთ და რამდენადაც ორგანიზმები ისტორიულს დროს უახლოვდებიან, იმდენად ახლანდელს ორგანიზმებს თავის აგებულობით უფრო და უფრო ემსგავსებიან. რა ცვლილება გამოუვლია ქვეყნიერების კანსა? გამოკვლეულია, რომ გეოლოგიის მესამე საშუალო ეპოქაში ვრცელი საჰარის უდაბური (აფრიკაში) ზღვის ძირი ყოფილა; ჩრდილო-დასავლეთის აფრიკა, აზორის კუნძულები და პორტუგალია ჩრდილო-ამერიკას თურმე უერთდებოდნენ. საჰარიდამ სიცხე ჯერ თურმე არა სცემდა ევროპასა და ევროპა ყინვით იყო გარე-მოცული. გარდა ამისა ზღვა ჰფარავდა ჩრდილო ნაწილს ფინლანდიისას, ოსტზეის პროვინციებსა და ჩრდილო-გერმანიას. მხოლოდ შუა მხარე სკანდინავიისა ამოიმართებოდა ზღვის გულიდამ. გეოლოგიურს საუკუნოებს გაუვლია. ხმელეთი ცოტ-ცოტად აბურთებულა, ამაღლებულა. საფრანგეთი და ინგლისი შეერთებულნი ყოფილან. შემდეგ ამისა დედამიწას აქა-იქ კიდევ დაუწევია. ინგლისი და საფრანგეთი ერთი მეორეს გაჰყრიან. თვით შავი ზღვა და კასპიის ზღვა ჩრდილო ოკეანთან შეერთებულნი ყოფილან. აქ დავძენთ, რომ გეოლოგიური ცვლილება აქამომდეც არ შესუსტებულა; მაგალითებრ, მთელი აღმოსავლეთი ნაპირი შვეციისა უფრო და უფრო იბურთება, საუკუნოს განმავლობაში ერთს ფუტზე მაღლდება. ინგლისისა და შოტლანდი-

ის საზღვრად პიკტის კლდეის აშენების შემდეგ (მეორე საუკ. ქრ. შემდეგ) დედა-მიწის პირი აწეულა 20 ფუტზე. 1822 წელს ზღვის პირი შუა ჩილისა ამერიკაში ამაღლებულა თითქმის ოთხ ფუტზე და ბევრს ნაპირა ადგილას ხმელეთს ზღვის ლოკოკინებით თავი ამოუყვია. გეოგრაფიულ ცვლილებას თვით კლიმატის ცვლილებაც მოჰყვება. რადგან ძველის-ძველად ხმელეთის პირზე სიცხე მეტად გავრცელებული ყოფილა და შემდეგ იმას ყინვა მოჰფენია, ამისთვის კლიმატი სხვა და სხვა გეოლოგიურ ეპოქაში დიდ განსხვავებას წარმოადგენს: სადაც უწინ სითბო მდგარა, ახლა იქ ბევრ ადგილს ცივა; ამისგამო ნაშთები მცენარეებისა და სულ-დგმულებისა, რომელნიც ჩვენს დროს ცხელ ქვეყნებში იმყოფებიან, ძველის-ძველად აღმოიპოვებიან იმ გვარ ცივ ქვეყნებში, სადაც ახლა იმათ ცხოვრება აღარ შეუძლიანთ.

ზემოდ ითქვა, რომ თითქმის ყველა ორგანიზმი, რომელიც კი ერთისა თუ მეორის ფორმაციის განმავლობაში არსებულა, დაცულია თვით ფორმაციებში. ხად იწყობა თვითოეული ორგანიზმი, რა წარმატებაში ანუ ცვლილებაში შედის, ეს იმ ფორმაციის მატიანეშივეა ჩაწერილი. მაშ სჩანს, ადამიანის კვალზედაც უნდა იყოს იქ ცნობა. ამ საგანზე ის ვიცით, რომ სულ ძველის-ძველად უცხოვრია ადამიანის მსგავსს ოთხ-ხელს ანუ მაიმუნის მოდგმას, მაგრამ თვით ადამიანის კვალი იმ დროებში ვერ აღმოუჩენიათ. იმის ნაშთი უპოვიათ მხოლოდ მესამე ფორმაციის შუა-ეპოქაში; ზოგი იმათგანი ეკუთნის დაბალ მოდგმას, ზოგიც მაღალ მოდგმას. გეოლოგია, ანუ უკედ ამ მეცნიერების შტო პალეონტოლოგია სან-და-სან იმასაც გვიჩვენებს, იმათგანი ვინ საიდამ მოსულა. 1859 წ. შვეიცარიაში ამოთხარეს ძვლები, სხვა და სხვა ჭურჭელი და იარაღი, აგრეთვე შენობაები სის ბოძებზე. გამოიკვლიეს და სცნეს, რომ ამ შენობაების მცხოვრებნი მოსულან აზიიდამ, საიდამაც თან მოუტანიათ იარაღი ნეფრიტისა, რომელიც ევროპაში არსად იპოვება.

რა დროს ეკუთნიან სახელდობრ ხსენებულთ ადამიანთ ნაშთნი? ეგვიპტეში, ნილოსის მდინარის მინდვრებში, მიწის თხრის დროს 60—72 ფუტზე იპოვეს ეგვიპტის თიხის ჭურჭლის ნატეხები.

იქ, როგორც მეცნიერება გვარწმუნებს, დედა-მიწა ერთ საუკუნეში 5½ ფუტზე მაღლა ადის და მაშა სადამე ამის გამოანგარიშებით ეგვიპტის ხელოვნება ნილოსის გარეშემო 24,000 წლის წინათვე დამყარებული ყოფილა. ამერიკაში, მისისიპის დელტაში, ამოიღეს მიწიდამ ღრმად ჩაფლული ადამიანის ძვლები. გამოიანგარიშეს და სცნეს, რომ ვიდრე ეს დელტა შესდგებოდა, საჭირო ყოფილა 258,000 წელი; სჩანს, ადამიანის ძვლები 57,000 წლისა მაინც უნდა იყოს. სედერტელტეს არხ ქვეშ, რომელიც მელარიის ტბას ბალტიის ზღვას უერთებს, იპოვეს მეთევზის ქოხი, ქოხში ჭურა, ნახშირი და შეკრული ფიჩხი. ვიცით, რამოდენა დრო ყოფილა საჭირო შვეციის აღმოსავლეთ-ნაპირების ცვლილებისათვის. ეს ცვლილება მოითხოვს სტოკჰოლმის გარეშემო 10 დიუიმს ერთის საუკუნის განმავლობაში და ვიდრე ის მხარე იმ სიმაღლეზე აიწევდა, რა სიმაღლეზედაც ახლა იმყოფება, დედა-მიწას ერთხელ კიდევაც დაუწევია. ეს უკანასკნელი შემთხვევა ყოფილა მიზეზი, რომ მეთევზის ქოხი ზღვის ქვიშას და ლოკოკინებს ქვეშ მოჰყოლია. ორივე ეს მოძრაობა—დაწევა და შემდეგ აწევა შვეციისა—მოითხოვს 70—80,000 წელს. ამ ხანს გაუვლია იმ დროდამ, როდესაც მეთევზეებს ქოხი აუშენებიათ ბალტიის ზღვის პირად. ამ გვარი ფაქტები ბევრია; მაგრამ რაც ვუჩვენეთ აქა, ისიც საკმარისად მიგვაჩნია და იმ დროდამ, ვიდრე ადამიანის ნათესავი ცხოვრობს ქვეყანაზე, ასი ათას წელზე ნაკლებს დროს არ უჩვენებენ [1].

ლინგვისტიკას საგნად აქვს გამოკვლევა ენისა, იმის ფესვებისა და გრამმატიკულის ფორმებისა, და გარდა ამისა შედარება ერთის ენისა მეორესთან, მესამესთან და სხ. ლინგვისტიკურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, იმათში რომელს რომელთანა აქვს ნათესავური კავშირი. საზოგადოდ ახლა ყველა ენები დანაწილებულნი არიან მოდგმა-მოდგმად, ნათესავებად ანუ გვარებად, გრუპპებად და დიალექტებად. ენის თვისებისა ანუ აგებულობისამებრ ყველა მსოფლიო ენები, ძველნი

1. Ляйеля, *Основныя начала геологіи*; его же, *Древность человѣка*; Шлейдена, *Древность человѣка.*

და ახალნი, ამოწყვეტილნი და ცოცხალნი, დაიყოფებიან სამ მოდგმა ენებად: ერთ მოდგმას ეკუთნიან ის ენები, რომელთა შორის ენის ფესვი ანუ ძირი შეადგენს სიტყვასა და უცვლელად შთება ურთი-ერთ დაკავშირებაში—არსებითს სახელში, ზედ-შესრულში, ნაცვალ-სახელში, ზმნაში, კანკლედობაში და სხვ. მეორე—პირველზე უმაღლესის აგებულების ენის რთულ სიტყვებში, რომელნიც შემდგარნი არიან ორისა თუ მეტის ფესვისაგან, ერთი ანუ ორი ამ ფესვთაგანი უცვლელად ეგება. მესამეში, ანუ უმაღლესის აგებულების ენებში, ფესვები ისე იცვლებიან, რომ ხშირად სრულებით ჰკარგვენ თავის ხასიათს და მნიშვნელობასა. პირველ მოდგმას ეკუთნიან: ჩინური, ტიბეტური და სხ., მეორე მოდგმას: იაპონური, ავსტრალიური, ნეგრული აფრიკაში, ამერიკის ენები, ტურანული, ესე იგი ფინნური, თურქული, მონგოლური, თუნგუზური, სამოედური; მესამე მოდგმისანი არიან: ა) სემიტური ანუ არამეო-ასსირიული (ქალდეური, სირიული და ასსირიული) ხანანეურით (ებრაული და ფინიკიური) და არაბულით; ბ) სამიტური ანუ ეგვიპტური, ლიბიური და ეთიოპიური; გ) ინდო-ევროპიული, ესე იგი ირანული (ზენდური, სპარსული, სომხური, ოსური, ქურთული, ავჯანური), კელტური, ელლინური, იტალიური, გერმანიული (გოთური, სკანდინავური, ქვემო-გერმანიული, ზემო-გერმანიული), სლავიანური და ლეტტური. ამ ენების მოდგმათა აგებულებაში არსებობს ისეთი განსხვავება, რომ ზოგნი მეცნიერნი ამტკიცებენ, ვითომც თვითოეული მოდგმა იყოს აღმოცენილი ცალკ-ცალკე, სხვა და სხვა ადგილს, სხვა და სხვა დროს. ახლა ლინგვისტიკურმა შესწავლამ იქამდე მიაღწია, რომ არა თუ აღადგინა ის დედა-ენა, რომლიდამაც აღმოცენდნენ ინდო-ევროპიულის ნათესავის ენები [1], არამედ ნათლად აღმოგვიჩინა უმაღლესის მოდგმის უძველეს წინა-პართა პირველი ადგილ-სადგომი, ზნე-ჩვეულებანი, ყოფა-

1. Bibliothèque des sciences contemporaines—*La Linguistique* par Abel Hovelacque. Paris, 1876, 198—208.

ცხოვრება, სარწმუნოებრივი მიდრეკილება, ურთი-ერთი იმათი დამოკიდებულება და სხვ. [1].

არხეოლოგიის წყაროებს შეადგენენ დედა-მიწაში ჩამარხული გადაშენებულთ ტომთა კვალი, ძველს ნანგრევებში და სასაფლაოებში დაცული იმისი სხვა და სხვა ნაშთი და ნაწარმოები. აქამომდე შემოგროვილის მასალების შემწეობით იმან უკვე გაარკვია ის ცხოვრება, რომელიც კაცობრიობას გაუვლია ბევრით ადრე ისტორიის დრომდე. ამ ცხოვრებას იგი საზღვრავს სამ ეპოქად: პირველის ეპოქის მომდინარეობაში ადამიანი დაბალ სარისხზე დგას, ხმარობს მხოლოდ ქვის სამკაულს და ქვის იარაღსა; მეორე ეპოქა წარმატებაში შედის. ქვის მაგიერ იხმარება ბრინჯაო. მესამე ეპოქა ის ეპოქაა, რომლის მსვლელობა ისტორიულ ჟამთ შეეხება; ამ დროს იხმარება რკინის იარაღი და სხვა და სხვა ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო რკინეულობა. ოქრო და ვერცხლი ძველადვე იხმარებოდა. თითქმის ყველა ადამიანის მოდგმას და ნათესავს, რომელსაც კი ძველადვე უცხოვრია და წარმატება აღმოუჩენია, გაუვლია აქვს სამივე ეპოქა, თუმცა სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა მხარეში, და ახლაც ზოგიერთნი ველურნი ამერიკისა და ავსტრალიის მცხოვრებნი ყოფა-ცხოვრებით და სახმარო იარაღებით პირველს ეპოქაში იმყოფებიან.

როგორც ენებისა და არხეოლოგიის შემოწმებით, აგრეთვე სხვა და სხვა ტომთა მეხსიერებაში დანერგულის გარდამოცემით ახალი სწავლა-მეცნიერება უჩვენებს ძველ მოდგმათა პირველ-დასაწყისს ადგილ-მამულს, რომელსაც შეადგენს ზემო აზია, ანუ ვრცელი ვაკე-მაღლობი, საიდამაც მიმდინარეობენ ოთხნი მდინარენი. ეს ვაკე-მაღლობი არის ბოლორი ანუ ბელურტაღი; ეს ოთხნი მდინარენი არიან: ინდოსი, ჰელმენდი, ოქსუსი და იაქსარტი [2]. ბოლორის

1. François Lenormant, *Histoire ancienne de l'Orient*. Paris, 1887, V, 353—365.—2. რა იყო მიზეზი, რომ იქ უნდა აღმოჩენილიყო თავ-და-პირველად ადამიანი და იქიდამ გაბნეულიყო იმისი თესლი სხვა და სხვა მხარისაკენ, ამაზე ნახე Уварова, *Археологія Россіи—Каменный періодъ*, Москва. 1881, стр. 81—87. ამ საგანზევე იხილე Услара, *Древнѣйшія сказанія о Кавказѣ*. Тифлисъ, 1381, стр. 186—187.

ვაკე-მაღლობი ანუ ბაქტრიანი ეჭირათ ინდო-ევროპიელების წინაპართა, არიელებს და მათ მეზობლად უცხოვრნიათ ხამიტებს, სემიტებს და ტურანელებს. არიელების დედა-მამულში, ვიდრე იგინი ერთმანეთს დაშორდებოდნენ ენით, იმათ ჰსცოდნიათ მიწის შემუშავება, ხვნა-თესვა, გზის კეთება, კერვა-ქსოვა, სახლთ-შენება. იგინი ხმარობდნენ სასარგებლო ლითონებს ანუ მეტალლებს და რკინის ცულებს, აგრეთვე შინაურ პირუტყვებს—ძროხას, ცხვარს, ძაღლს, ცხენს; მისდევდნენ ნათესაობას და ქორწინებას; ჰმორჩილებდნენ თავიანთ უფროსებს და იხსენებდნენ უზენაეს არსებას.

ზემო აზიიდამ გაბნეულა იმათი თესლი სხვა და სხვა მხარეს. იმათ თავიანთ მსვლელობაში თან გამოუტანიათ ძველი მამა-პაპური თქმულება, რომელიც დატოვებულის ქვეყნის თვისებას ანუ მოვლენას რასმე მოასწავებდა—მითები, ლეგენდები, თქმულება წარღვნაზე, რომელიც შემდეგ მარტო ებრაელებში არა ყოფილა გავრცელებული. იქედამვე გამოტანილი თვით კულტურა ანუ ყოფა-ცხოვრების წარმატებისათვის გამოგონილი სხვა და სხვა იარაღი ქვისა თუ მეტალლებისა, და ამითი აიხსნება ის მსგავსება, რომელსაც გაბნეულის ტომ-ნათესავთა კულტურა და ზემო აზიის კულტურა უჩვენებენ. თავის მოგზაურობაში იგინი ახალ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს და ადგილ-მამულებს, სადაც კი ბინადრობას სდებდნენ, დროით თუ სამუდამოდ, იმ სახელებს აძლევდნენ, რომელნიც იმათ ძველს ადგილებს მოაგონებდნენ. ამ გვარად ხშირად მომხდარა, რომ ერთი და იგივე სახელ-წოდება თურმე მოგზაურობდა ერთის მხარიდამ მეორეში და მესამეში.

ზემო აზიიდამ სულ ძველად გავიდნენ ხამიტნი და დაბინავდნენ ზოგნი სპარსეთის ყურეს გარეშემო, ზოგნი ქალდეაში, ზოგნიც ნილოსის მდინარეზე. ხამიტებმა თითქმის ერთ დროს დააფუძნეს (4000 წლის წინ ქრისტეს შობამდე) სამეფოები ქალდეაში და ეგვიპტეში. თითქმის იმავე დროს დაიძრნენ ტურანელნი: ერთმა იმათმა ნაწილმა გაიარა კასპიის ზღვის ჩრდილო მხარე და მიჰმართა ევროპასა; დანაშთენი ნაწილი დაადგა სამხრეთის გზას და დასახლდა ინდოეთის საზღვრად—ატროპატენში (ადერბეიჯანი), არმენიაში და მცირე

აზიაში. ამ დროს სემიტებს და არიელებს ჯერ ისევ ჰპოულობთ პირველს სამშობლოში 3000 წლით ქრისტეს წინად. სემიტნი მიჰყვნენ თავიანთის მონათესავე ხამიტების კვალსა და დაუკავშირდნენ იმათ; ბოლოს დაიმონავეს ანუ ამოსწყვიტეს იგინი ქალდეაში, ასსირიაში, პალესტინაში და არაბისტანში. არიელთა მონათესავეთა შორის პირველნი შეიძრნენ კელტნი: იმათი გზა იყო კასპიის სამხრეთით შავი ზღვის ჩრდილო მხარისაკენ და დუნაით ევროპისაკენ; ირანელნი გაემგზავრნენ ზოგნი ინდოეთისაკენ, ზოგნი მიდიისაკენ და სპარსეთისაკენ და 2500 წლით ქრისტეს წინად იმათ დაამხვეს პირველი ქალდეის იმპერია. ბოლოს გაკვლეულს კვალს მიჰყვნენ ჯერ გერმანიელნი, მასუკან სლავიანნი. იმათ კაი-ხანი იბინადრეს სკვითების მხარეში, ვიდრე ევროპისაკენ გაიწევდნენ. ეს უკანასკნელი მოძრაობა უნდა მომხდარიყო პირველ საუკუნეში ქრისტეს შობის წინ, „რადგანაც ალექსანდრე მაკედონელის დროს (356—323) იმათ ეპყრათ დიდი სივრცე შავის ზღვიდამ მოკიდებით რეინამდე და ბალტიის ზღვამდე“.

თავ-და-პირველად ცხოვრების წარმატების გზას დაადგა ორი ქვეყანა: ეგვიპტე და ქალდეა. ამ ქვეყნებში დამყარდა სახელმწიფო წესი და საზოგადო წყობილება; აღყვავდა სხვა და სხვა გვარი ხელოვნება და სწავლა-მეცნიერება, რომელიც იქიდამვე გავრცელდა ასსირიაში, მცირე აზიაში და სხვ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სულ ძველად იხმარებოდა ორ-გვარი სამწერლო ნიშნები, იეროგლიფური ანუ იდეოგრაფიული და ლურსმებრივი. პირველი შეადგენდა მხატვრობას, ესე იგი წარმოადგენდა იმ აზრებს ანუ საგნებს, რომელთ წარმოდგენა ჰსურდათ. მეორე— თავის ფორმით მიემსგავსებოდა ისარს ანუ ლურსმანს, ამისთვისაც ეწოდა მას ლურსმებრივი წერა. იეროგლიფურს ნიშნებს ხმარობდნენ ეგვიპტელნი, ლურსმებრივს ქალდეო-ასსირიელნი, მიდიელნი და სპარსნი. ამტკიცებენ, ვითომც ამ უკანასკნელის მომგონი იყვნენ ტურანელნი, რომელთაც ის შემოუტანიათ ზემო აზიიდამ ქალდეაში. სამწერლო ნიშნების წარმატებას მიაწერენ ფინიკიელებს, რომელნიც შემდეგ გადმოსახლების პირვე-

ლის სამშობლოდამ თავიანთის მონათესავე ებრაელებითურთ ჯერ ბინადრობდნენ სპარსეთის ყურეს კიდეებში და შემდეგ დამკვიდრდნენ თვითონ ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, ებრაელნი კი მესოპოტამიაში. ფინიკიელებმა გაავრცელეს ეს ნიშნები ყველგან, სადაც კი იგინი, როგორც ზღვით მავალნი, ალებ-მიცემობდნენ. ეს ნიშნები შეადგენენ ალფაბეტს ანუ, ჩვენებურად, ანბანს, რომლის შემწეობითაც გამოისახება ყოველივე ასო, უხმო თუ ხმოვანი [1].

აქ ჩვენის აზრით უადგილო არ იქნება განვსაზღვროთ ის სასიათი, რომლითაც განვითარდნენ ეგვიპტე და ქალდეო-ასირია. „მველის ცივილიზაციის წარმომადგენელ ტომებში, ამბობს ფრანსუა ლენორმანი, ამ ნახევარის საუკუნის წინად ღირს-სახსოვარ ტომებად უაღმატებულესად ჰხადიდნენ მხოლოდ ბერძნებს და რომაელებს. არ ფიქრობდნენ, რომ გარეშე საბერძნეთისა და იტალიისა ყოფილიყო სხვა ვინმე ღირსი ისტორიის ყურადღებისა, თუმცა იცოდნენ, რომ იმ სივრცეზე, რომელიც მდებარეობს ნილოსსა და ინდუსს შორის, დაარსებული იყო როგორც ფართო ბინა ცივილიზაციისა, აგრეთვე სახელმწიფოები ისეთის სატახტო ქალაქებით, რომელნიც სივრცით გადაემატებოდნენ ახლანდელ დედა-ქალაქებს ევროპისას და ისეთის სამეფო პალატებით ანუ სასახლეებით, რომელნიც სიმდიდრით და შემკულობით ჩვენის კოროლების სასახლეებს არ დაუვარდებოდნენ. იცოდნენ მოგზაურების შემწეობით, რომ იქ უდაბური ადგილები და მდინარეების ნაპირები სავსეა დიდროვანის ნანგრევებით, ესე იგი ტაძრებით, პირამიდებით, სხვა და სხვა გვარის ძეგლებითა და იმათის უცნაურის წარწერებით,—ეს ყველა იცოდნენ, მაგრამ იმათ თვალში მაინც იგი ჯერ წყვდიადით იყო გარე-მოცული.

„ახლა საქმე სხვა მდგომარეობაშია. ბოლოს დროს ევროპის მფლობელობა და გავლენა თითქმის მთელს დედა-მიწაზე გავრცელდა. ეს შემთხვევა იყო მიზეზი როგორც სწავლის წარმატებისა საზოგადოდ, აგრეთვე ძველისა და უძველესის საუკუნოების გამოკვლევი-

1. ამ საგანზე იხილე ვრცელი თხზულება ფრანსუა ლენორმანისა *Alphabetum*—Dictionnaire des antiquités Grecques et Romains par Daremberg et Saglio, p. 188—218.

სა. უპირველესის დროების შესწავლა იწყეს ეგვიპტით. თავდა-პირველად შამპოლიონმა (ნაპოლეონ დიდის დროს) აგლიჯა ის ფარდა, რომელიც ჰფარავდა იეროგლიფულს მწერლობას ეგვიპტისას. მეცნიერებას გაეღო კარი ისტორიულის საუნჯისა. გარეშემო ნილოსის ვაკე-ღელეებისა მთელს სივრცეზე გამოძიებულ იქმნა ძველი ძეგლები და ამ ძეგლებმა ცხადად დაგვანახვეს მოქმედებანი ფარაონებისა, რომელნიც წყვდიადის დრომდამ ჰმართავდნენ თავის ქვეყანასა. ამ წყვდიადიდამ გამოიყრიბნენ თითქმის 4000 წლის განმავლობის მფლობელნი ეგვიპტისანი. ახლა ჩვენ ვიცით იმათის დროის ხელოვნება: სახუროთმოძღვრო, საქანდაკო და სამხატვრო; ვიცით, რომ, გარდა პირუტყვთ თაყვანისცემისა, იქ ჰსუფევდა სამეცნიერო აღსარება, რომელიც ქვეყნის შემოქმედად ჰხადიდა ერთ ღვთაებასა. ახლა ნათარგმნია და ითარგმნება იმათი უძველესი მწერლობა, რომელიც თავის აღნაქსით მიემსგავსება ებრაულს საღმრთო მწერლობას. ერთის სიტყვით, ახლა ჩვენ შეგვიძლიან მოვუთხრათ იმისი მატიანე იმისსავე ნამდვილსა და თანა-მედროვე წყაროებზე დამყარებული, მოვუთხრათ ისე, როგორც აწინდელის დროის ყოფა-ცხოვრება.

„ქალდეო-ასსირიის ისტორიის აღდგენა უფრო გასაოცარი იყო. ნინევიამ და ბაბილონმა არ დაასტოვეს დედა-მიწის პირად, როგორც ეგვიპტემა, დიდ-დიდის ზომის ნაშთები. იქ მოგზაური პოულობს მხოლოდ გორა-გორა გროვას ნანგრევებისას. ჰგონებდნენ, რომ საუკუნოდ დანთქმულია ყოველივე კვალი მესოპოტამიის ცივილიზაციისა; მაგრამ, ჩვენდა სანუგეშოდ, სამმა მეცნიერმა, ბოტმა, ლეიარდმა და ლოფთუსმა სრული ნათელი მოჰფინეს მშვენიერს სკულპტურას ქალდეისას და ასსირიისას. იმათ პალატთ ქანდაკებმა სორცი შეისხეს: იგინი წარმოგვიდგენენ ასსირო-ქალდეის მეფეებს და იმათგან დატყვევებულ ტომთა. აქ ვხედავთ იმ პირთა, რომელთაც საზარელს თვისებას ცხოველად გამოჰხატვენ ებრაელთ წინასწარ-მეტყველნი. აქ ვხედავთ იმ ბჭეთა, რომელთა ქვეშაც, ერთის წინასწარმეტყველის თქმით, ტომთა გროვანი მიმდინარეობდნენ. აი თვით ყოფა-ცხოვრება ასსირიელებისა, მრავალ სურათებად წარმოდგენილი: იმათი სასულიერო ცერემონიები, იმათი შინაური ჩვეულებანი, იმათი

სახლის მორთულობა და ძვირფასი ჭურჭლეულობა; აი იმათი ლაშქრობაცა, ციხე-სიმაგრეების იერიში და ზღუდე-კედლების დამარღვეველი მანქანები (მაშინები).

„მრავალი შენობები ქალდეო-ასსირიისა, რომლებიც კი ამოთხრილია მიწის გულიდამ, შემკულია მრავალ-გვარის ლურსმებრივის წარწერაებით. არ ეგონათ, რომ ეს მწერლობა, უცნაურის თვისებისა, ოდესმე გამოკვლეულიყო; მაგრამ იმასაც სძლია ახლანდელმა მეცნიერებამ. ლურსმებრივის მწერლობის გამოძიებას შეუდგნენ ინგლისელი რავლინსონი, ნემეცი ჰინკი და ფრანციელი ოპპერტი და ახლა ჩვენ მათის შემწეობით ვკითხულობთ ქალდეო-ასსირიის ხრონიკებს, რომელნიც წარწერილნი არიან მარმარილოებზე და შედუღებულის კირის ფილებზე და რომელნიც შეიცვენ მათმიერვე ნაამბობს ვრცელს მოთხრობაებს იმათ გალაშქრებაზე და ქვეყნების დაპყრობაზე, აგრეთვე იმათ ულმობელ ხასიათზე. ზოგიერთი ეს მწერლობა შეეხება იმ შემთხვევათაც, რომელთაც მოიხსენებს ბიბლია, და იმათი შეთანასწორება ნამდვილ გვიმტკიცებს უეჭველს ჭეშმარიტებას საღმრთო ისტორიისას. ასსირო-ქალდეის დროის შესწავლამ მოჰფინა სხივი თვით ცივილიზაციის დასაწყისს და იმის მიმდინარეობას. შეუძლებელი იყო, რომ ამ გვარი ბრწყინვალე კულტურა სამუდამოდ შემწყვდეულიყო იმათ საზღვრებში. მართლა და ცხადია, რომ იმათი სწავლა-ხელოვნება მიჰყოლია იმათის სამხედრო მსვლელობის კვალსა და გავრცელებულა აღმოსავლეთად და ჩრდილოეთად, მიდიაში და სპარსეთში, სადაც შეუთვისებიათ ირანელებს აქემენიდების დროს. ამას წინად საბერძნეთის ხელოვნების წყაროდ მიაჩნდათ ეგვიპტე; მაგრამ არა; ახლა ამ წყაროდ უნდა ვსადიდეთ ნინევიას. ბაბილონო-ასსირიის გავლენა მოჰფენია სირიას, მცირე აზიას და ხმელთა-შუა-ზღვის კუნძულებს. ბერძნების ქალაქებიდამ, რომელნიც შავი ზღვის პირად ჰყვაოდნენ, იგი შესულა თვით ელლინის ტომის სამფლობელოში, და ამ გვარად საბერძნეთის სკულპტორებს მაგალითად და ნიმუშად ჰქონიათ ბაბილონო-ასსირიელთ ნაწარმოები. მცირე აზიიდამ ეს ხელოვნება ლიდიის მცხოვრებთ შეუტანიათ იტალიაში, სა-

დაც იმას დაუდვია საფუძველი ეტრურიის ცივილიზაციისა [1].“

ზემოდ მოვიხსენეთ მცირე აზია. ეს მხარე ძველად ისე ყოფილა დაკავშირებული კავკაზთან და თვით საქართველოსთან, რომ აქ საჭიროა იმას თვალი გადავავლოთ. მცირე აზია, ანუ ასლა საზოგადოდ ა ნ ა ტ ო ლ ი ა, შეადგენს ნახევარ კუნძულს და სამის მხრით შემოზღუდულია ხმელთა-შუა ზღვით, ეგეის ზღვით ანუ არხიპელაგით, პროპონტიდით ანუ მარმარილოს ზღვით და პონტის ანუ შავის ზღვითა. დანაშთენის მხრით იმას უძევს ხმელეთი: ნაწილი სომხითისა, ეფრატის სათავეებში, და მესხეთის მთა, რომლის შუამავლობით უერთდება თვით ჩვენ კავკაზს და მთელს სივრცეზე მოფენილია, როგორც ყველა ადგილები მცირე აზიისა, ვულკანებით, რომელნიც ჰმოწმობენ, რომ იგი ცეცხლის ძალით არის ამოხეთქილი დედა-მიწის გულიდამ. მცირე აზია ბუნების თვისებით, ჰავითა და ნაყოფიერებით დიდად მიემსგავსება კავკაზის მხარეებს. შესანიშნავნი იმის მდინარეთაგანნი არიან: უმთავრესი სიდიდით და ისტორიულის მნიშვნელობით ჰალისი ანუ ასლანდელი ყიზილ-ირმაქი, თერმოდონი, ირისი და სანგარიოსი. მცირე აზიაში ძველადვე დამყარებულა ორ-გვარი შთამომავლობა. ერთს შეადგენდა სემიტური გვარი, მეორეს არიული გვარი.

სემიტების სახელ-წოდება ა რ ა მ ი, ა რ ა მ ი ე ლ ი წარმომდგარა ებრაულის ა რ ა მ-იდამ, რომელიც ჰნიშნავს მთასა, მთიანს ადგილსა. მცირე აზიის არამიელებში ღირს-სახსოვარნი ყოფილან: კაპპადოკიელნი, რომელნიც მკვიდრობდნენ ზღვის პირად, მთა ადგილებში და საშუალ ეფრატისა და ტიგრისა. ქრისტეს შობის წინ მერვე საუკუნეში კაპპადოკიელებში დაამყარა თავისი უფლება და ენა იმათმავე მონათესავე ტომმა სირიელებმა. ეს ენა ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ განდევნა იქიდამ ბერძნულმა ენამ. შემდეგ ამ მხარეს უწოდდნენ: სპარსნი-კაპპადოკიად, რომაელნი—ზღვის-პირ მხარის პონტის კაპპადოკიად. მეორე სახელოვანს არამეულ ტომს მცირე აზიისას შეადგენდნენ კილიკიელნი, რომელთაც კაპპადოკიის მხრივ

1. Lenormant, *Hist. anc. de l'Orient.* 1881, *I*, p. *I—VI.*

ტავრივე ჰსაზღვრავდა და ასსირიელთ ბძანებლობას ქვეშ ორივე ეს ტომი ერთ თემად იყო შეერთებული. ასლა კილიკიაში უმთავრესობს სომხური ენა, რომელიც აქ ქრისტეს შობის შემდეგ მეათე საუკ. გავრცელდა. მესამე შესანიშნავ ტომად ირიცხებოდნენ კარიელნი, რომელნიც ბინადრობდნენ სამხრეთად მცირე აზიაში.

არიელ ტომთა რიცხვში მიზიელებს ანუ ლიზიელებს ეჭყრათ ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე. სტრაბონი ორსავე ამ ტომს ჰსადის ფრიგიელებად. ფრიგიელები განვითარებულან განათლების წარმატებით. სანგარიოსის სათავეებში უჩვენებენ ძველს სასაფლავოებს და სხვა და სხვა გვარ ძეგლებს ფრიგიულის წარწერაებით. თვით იმათი ალფაბეტი, რომელიც ასლა თითქმის გარკვეულია, ელლინურს ალფაბეტს ემგსავსება [1]. ფრიგიელების მონათესავეებათ ირიცხებიან სომეხნი. ამის საბუთად მოჰყავთ, სხვათა შორის, ჰეროდოტი, რომლის თქმითაც სომეხნი ფრიგიის კოლონიას შეადგენდნენ [2]. სომხურს ენაზე ახალმა გამოკვლევამ დასდო შემდეგი დასკვნა: იმისი საძირკველი და გრამმატიკა ცხადად გვიჩვენებენ იმის ნათესავურს კავშირსა ზენდურს ენასთან, თუმცა მრავალ-გვარი კვალია იმის ლექსიკონში როგორც სემიტურის ენისა, აგრეთვე ტურანულისაც. მიზეზი ცხადია: დროთა განმავლობაში სომხებზე უმოქმედნია ისტორიულს გავლენას სემიტებისას და ტურანელებისას და ამისთვის შეუძლებელი იყო, რომ ამ გავლენას არ დაეტოვებინა თავისი კვალი იმათ ენაში [3]. თვით სახელ-წოდება სომხებისა არმენი, არმენია წარმომდგარია არამიდამ; ფიქრობენ, რომ ვიდრე სომხები დაემყარებოდნენ ახლანდელს არმენიაში, ეს სახელი რქმევია იმ ტომს, რომელიც იმათ წინად იქ სახლებულა და ამ უკანასკნელის სახელწოდება მიუთვისებიათ იმათაც [4].

1. Maspero, *Histoire ancienne des peuples de l'Orient*. Paris, 1876, p. 239—240, 604.—2. P. Giguet, *Histoire d'Herodote*. Paris, 1870, VII, 406.—3. Momsen, *Histoire romaine*, trad. franc., 1866. V, p. 236.—Vivien de Saint-Mart., *Nouveau Diction. de Géogr. Univers.*, p. 215.—4. Victor Langlois, *Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie*. Paris, 1867, I, 22, n. 1.

მცირე აზიის ყველა ტომებში უმთავრეს ტომად უნდა ითვლებოდნენ პელაზგნი. მართალია, ეს სახელი ძველადვე ამოიკვეთა, მაგრამ იმათი მიფოლოგიური გარდამოცემა იმათ შთამომავალ ტომში ელლინებში დარჩა. ამტკიცებენ, ვითომც პელაზგებს ზემო აზიიდამ ურალზე გამოუვლოთ და ვითომც პირველი ბინადრობა იმათ ჩვენის კავკაზის ჩრდილო-მხარეში დაედვათ. პელაზგების მიფი ანუ ზღაპარ-თქმულობა იმათ წინაპარად უჩვენებს იაფეტს, რომელიც კავკაზში თურმე ცხოვრობდა; იაფეტისა და აზიის შვილი პრომეთე კავკაზის ქედზე თურმე იყო მიმსჭვალული: აქვე ცხოვრობდა პრომეთეს შვილი და ელლენის მამა დევკალიონი. ვიდრე პელაზგები ევროპაში მიიკრიბებოდნენ, იმათი მოგზაურობა უფრო პონტის ზღვის ჩრდილოეთად ყოფილა; ნაწილი იმათი კი დაბინავებულა მცირე აზიის სხვა და სხვა ადგილებში დასავლეთის მხრით. პელაზგების მიფი წარმოგვიდგენს ყოფა-ცხოვრებას და მოღვაწეობას ძველის გმირებისას, ბელლეროთონისას, თეზეისას, ჰერკულესისას და არგონავტებისას. ამ მიფში მოხსენებულნი ღირს-სახსოვარნი არიან არგონავტები და ამაზონები. ყველას აქვს ამოკითხული ძველის ისტორიიდამ მიფი არგონავტების ზღვით გამგზავრებაზე, ოქროს მატყლის საძებნელად, აეტის სამფლობელოში, სადაც უმთავრესი მდინარე ოკეანს თურმე უერთდებოდა და სადაც დედა-ქალაქი აეტისა ეად თურმე იწოდებოდა. ამ მხარეს ძველნი მწერალნი ჰხადიან კოლხიდად, მდინარე-ოკეანს ფაზისად ანუ რიონად, ზღვას—პონტად, ეას-არხეოპოლად ანუ ნაქალაქევად სამეგრელოში. თვით ოქროს მატყლი მათის აზრით კოლხიდის სიმდიდრეს მოასწავებდა. მიფი გვიჩვენებს ამაზონებს მეომარ დედა-კაცებად, რომელნიც თერმოდონის მთა-ღელეებში მკვიდრობდნენ და რომელთაც ჰქონდათ სამი ქალაქი: თემის-ყური, ლაკასტია და ხადესი. ფიქრობენ, ვითომც ამაზონები ინდო-ევროპიულს სკვითებს შეადგენდნენ, ვითომც იგინი კავკაზით გამგზავრებულიყვნენ და მცირე აზიაში დაბინავებულიყვნენ, ვითომც ცხენოსნობაში და შვილდ-ისრის ხმარებაში დიაღ დახელოვნებულნი ყოფილიყვნენ; ლაშქრობაში თავიანთ ქმრებს არა ჰშორდებოდნენ

და ვითომც აქედამ წარმოსდგა ზემოდ მოყვანილი თქმულება ამაზო-ნებზე [1].

იმ სივრცეზე, რომელზედაც, მითის თქმულებით, გაბნეულნი იყვნენ ამაზონები და თვით მათ მეზობლად მკვიდრობდნენ: ტიბა-რენნი, მაკრონნი, მოსხნი და კოლხნი, რომელთაც ახლა საზოგა-დოდ ქართველ ტომად ჰსადიან. აქ უნდა ვთქვათ, რომ ძველის ცნობების შემწეობით ახლა კიდეც ადგენენ ისტორიულს ატლასებს უძველეს ნათესავთა გეოგრაფიულს მდებარეობაზე. ამ ატლასებში ხსე-ნებულნი ტომნიც არ არიან დავიწყებულნი. ამ გვარი ატლასები ჩვენ ორი გვაქვს ხელად: ერთი ეკუთნის არხეოლოგიის პროფესსორს პარიჟში, განსვენებულს ფრანსუა ლენორმანს, მეორე—მასპეროს, პროფესსორსავე ეგვიპტის ენისას და ნიჭიერებით განვითარებულს ავტორს აღმოსავლეთის ისტორიისას. პირველი შეადგენს დამატებას ლენორმანის შრომისას *Manuel d'Histoire anciene de l'Orient*, რომელიც შეიცავს XXIV ქარტას. მეორე ატლასი ჩართულია მასპეროსავე ისტორიაში *Histoire ancienne des peuples de l'Orient*. ორივე ატლასი ერთ-გვარ წყაროებზეა აშენებული და ერთი მეორეს ეთანხმება. იმათში უფრო სრულია ლენორმანის ატ-ლასი. ჩვენის საგნის გასარკვევად საჭიროდ ვრაცხთ აქ ზოგიერთი ცნობები გამოვკრიბოთ ამ ატლასიდამ.

პირველი ქარტა წარმოგვიდგენს იმ დროის ევროპას, აზიას და აფრიკას, როდესაც ქვეყნის პირს ჯერ აწინდელი გეოლოგიური მდგომარეობა არა ჰქონია მიღებული. „ეს ქარტა, დაფუძნებული გეოლოგიურს ცნობებზე, ამბობს ლენორმანი, გამოგვისახავს ევრო-პას, აზიას და აფრიკას მაშინ, როდესაც პირველად აღმოჩნდა ადამიანის კვალი დედა-მიწის გულში. საჰარის ზღვა, ვაკე-მინდვრები გერმანიისა ჯერ ისევ ოკეანით არის გარე-მოცული. დიდი ბასსეინი (მთა-ღელეები) არალო-კასპიისა და შავი ზღვა შეერთებულნი არიან;

1. Viv.de S.-Mart., *Histoire des découvertes géographiques*. Paris, 1845, II, 157—250.

შესართავები უმთავრესის მდინარეებისა არ შედგენილან; ევროპა და ამერიკა ერთი-მეორეზე არიან გადაბმულნი...

მეორე ქარტა შეეხება იმ დროს, როდესაც ძველისავე თქმულებით, ევროპა, წინა-აზია და ჩრდილო-აფრიკა მოიფინენ ადამიანებით; როდესაც არიელნი ჯერ ისევ ოქსუსის მთა-ღელეებში მკვიდრობდნენ; როდესაც სემიტებს და ტურანელებს ეპყრათ სხვა და სხვა მხარე, შემდეგ არიის ნათესავისაგან დაჭერილი; როდესაც სემიტები ჯერ არ იყვნენ სამხრეთ-არაბეთში და როდესაც ეგვიპტის უძველესი ძეგლები გვიჩვენებენ მოშავო მოდგმას, კატარაკტებამდე გავრცელებულს. შავი ზღვა და კასპიის ზღვა იმ მდგომარეობაში იყვნენ, რა მდგომარეობაშიაც ახლა არიან; ჩრდილო და სამხრეთი მხარეები კავკაზისა ჯერ დასახლებულნი არ იყვნენ. ამ დროს უჩვენებენ 2500 წლის წინათ ქრისტეს შობამდე.

მესამე ქარტა შეიცავს ეთნოგრაფიას დაბადებისას (X თავი: ნოეს შთამომავლობა). აქ მოსოხს უპყრია მთელი ის სივრცე, რომელიც მიჰყვება შავი ზღვის პირს, ჭალისის მდინარით ვიდრე თობელის საზღვრამდე. თობელს უჭირავს აღმოსავლეთი პირი იმავე ზღვისა და ის ადგილები, რომელნიც მტკვარსა და რახსს ანუ არაქსს შუა მდებარებენ. მოსოხის მოსაზღვრეა აგრეთვე თორღამა და ამის სამფლობელოს შეადგენენ ტიგრის სათავე და არაქსის მარჯვენა მხარე.

მეშვიდე ქარტა, ანუ ეგვიპტის გეოგრაფია, თუთმეს III-ს დროს (1600 წ.) გაგვაცნობს ნომენკლატურას (სახელებს) თემებისას, რომელიც ამოიკითხვის იეროგლიფურს მწერლობაში—მეშანე, „დაბადების" მოსოხი და რემენე ანუ არმენი. „ორსავე ამ ნათესავს აქაც იგივე გეოგრაფიული მდებარება აქვს, როგორც წინა ქარტაში. აქ რემენე შეადგენს მოშავო ფერის ნათესავს (ეთიოპელნი, კუშიტნი და ნეგრნი) და, როგორცა სჩანს, რემენების მხარე ჯერ ისევ სემიტების გვარს უჭირავს და არა არიელ ტომსა ანუ ფრიგიელების მონათესავე სომხებს.

მეთერთმეტე ქარტა მოჰხაზავს გეოგრაფიას ასსირიის ძეგლებისას. „ამ ქარტის ნომენკლატურაც ის არის, როგორც გამოსთქვამ-

დნეს ასსირიელნი. აქ ნაჩვენებია სამ-რიგი საზღვრები ასსირიისა: ა) ბინლისუსის და სამმურამთის დროს (905—828), ნინევიის პირ-ველ დარღვევამდე; ბ) თიგლათფალასარ II-ს დროს (680—321), როდესაც დაფუძნდა უფრო მჭიდროდ, ვიდრე წინად, მეორე მო-ნარხია ნინევიისა; გ) ასარ-ჰსადდონის დროს (681—617), როდესაც სარგონიდების მონარხია ავიდა უმაღლეს წრეზე. ამ ქარტაზეა: შავი-ზღვის სამხრეთით თაბალი, თაბალს შემდეგ მასნაკი, რომელ-საც უჭირავს ჭოროხის მთა-ღელეები; შემდეგ მუსკაი, სადაც ახლა ქართლ-კასეთია; გიმირრა (კიმრნი), კავკაზის კალთებში საქართვე-ლოს მხრით; ილლიბი ალაზანს გაღმა მთებში [1]. ურარტი იწყობა იქ, სადაც ეფრატი და ტიგრი ერთი მეორეს უერთდებიან [2]. ახლა ზოგიერთნი ევროპის არხეოლოგნი, იმათ შორის ლენორმანი, ამტკი-ცებენ, ვითომც ალაროდიანნი იყვნენ ქართველნი, რადგანაც ალარო-დიანების ენა ლურსმებრივს წარწერაებში გარეშე განისა წარმოგვიდგენ-სო ქართულის ენის ფორმებსა [3].

მეცამეტე ქარტა გვიჩვენებს იმ სივრცეს, რომელიც უჭირია ორ მონარხიას ქალდეო-მიდიისას ნაბუქოდოროსსორის (ნაბუქოდონო-სორის დროს (604—561). აქ მიდიელთა და არიანელთ (არიანა) თემების ნომენკლატურა გამოწერილია ბექისტუნის წარწერიდამ; ქალდეველის თემებისა კი ასსირიისა და ბაბილონის მწერლობიდამ. აქ ტიბარენი, ეს უკანასკნელი ტომი დასავლეთის მხრივ, კარგა წინ არის წაწეული ჭალისის მარჯვენა პირიდამ. იმისნი მოსაზღვრენი ტავრის მხრისაკენ არიან სალიბნი. ტიბარენებს წინ არიან ზღვის პირად მოსინეკნი, მაკრონნი, მოშიანნი და კოლხნი. იბერნი და

1. *Illibi*, *Illipi*, ოპერტის გამოკვლევით, არის ალბანია (Maspero, *Hist. anc. des peuples de l'Orient*, 457, п. 1).—2. *Ourarti*, *Ararti* არის არარატი ბიბლიისა და ალაროდიანი ჰეროდოტისა; ნახე ამისი *Hist.*, VII, 407; Maspero, Hist., 399, п. 2).—3. ამაზე ნახე ვრცლად Lenorm., *Lettres assyriologiques*, *1-re série*, I, 124—129 და *Hist. anc. de l'Orient*, 1885, IV, 241—252; 1887, V, 454—455. აქ მოყვანილს ლენორმანის საბუთებს უარ-ჰყოფს პროფეს. პატკანოვი. ნახე იმისი *Клинообразныя надписи*—Пятый археолог. съѣздъ въ Тифлисѣ. 1887, стр. 115—122.

ალბანელნი ცხოვრობენ იქვე, სადაც ამას წინად მოვიხსენეთ. არმენია შეიცავს ევფრატისა და ტიგრის სათავეებს.

მეჩვიდმეტე ქარტა წარმოადგენს სპარსეთის იმპერიას დარიოზის მეფობაში, ოც სასატრაპოდ დაყოფილს (521—490). ეს ქარტა აშენებულია ჰეროდოტის თქმულებაზე, მაშა-სადამე იმის ნომენკლატურა ეკუთვნის კლასიკურ გეოგრაფიას. აქ იმ სივრცეზე, რომელიც მდებარებს ჭალისის მარჯვენა ნაპირას და ტიბარენების საზღვრებს შორის, ახლა უჭირავს პონტის კაპპადოკიას. აქ ტიბარენნი, მოსინეკნი, მაკრონნი, მოშიანნი, კოლხნი, იბერნი, ალბანნი ისევ ისე არიან ნაჩვენებნი, როგორც ამას წინად. ხალიბებს უჭირავთ ჭალისის სათავე, ბასიანებს ევფრატის მდინარის სათავე და იმათ შემდეგ ამ მდინარეს მისდევენ ალაროდიანნი.

თუ ჩვენ აქ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გასაოცარს ჟამთა სივრცეს, რომლის მომდინარეობაშიაც მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს და სხვ. ხსენებულს ადგილებში უჩვენებენ და თუ ამასთანავე იმათ ქართველ ნათესავად აღვიარებთ, მაშინ ზემოდ ხსენებული ცნობები ძვირფას ცნობებად უნდა მიგვაჩნდეს. შემოგვაქვს ამ საგანზე მოაზრება ორის მეცნიერისა.

„ტუბალი, ბარონ ეკშტეინის სიტყვით, უდრის ტელშინებს უძველესის საბერძნეთისას. ეს სახელ-წოდება დაბადების მეათე თავში მიეთვისება კავკაზიელის ნათესავის ტიბარენებს, რომელნიც ხალიბების მოსაზღვრედ ცხოვრობდნენ, იყვნენ მემკვიდრენი პონტის ევქსინის გარეშემო მთებისა, სჭედავდნენ რკინასა, იმუშავებდნენ თვით არგონავტების დროს განთქმულს რვალსა. წინასწარ-მეტყველი ეზეკიელი უჩვენებს ტუბალს იმ მოვაჭრე ტომთა შორის, რომელნიც ტირს ექვემდებარებოდნენ და რომელთაც ამ ქალაქში შეჰქონდათ თავის მთების რვალი. თვით ის ძვირფასი ქვები, რომელთაც პლინი უწოდს ტიბარენის ქვებად, ჰმოწმობს დიდებას ტუბალისას. მეშაკნი არმენიასა და კავკასს შუა მდებარე მთებისანი: ხალიბნი, ტიბარენნი, მოსინეკნი წარმოგვიდგენენ შტოებს ძველის ხისას—მესეხისას და ტუბალისას, რომელნიც რამდენჯერმე არიან ნაჩვენებნი ძველს მცნებაში და განთქმულნი არგონავტების

ზღაპარ-თქმულების დრომდამ. იგინი არიან ის ტომნი, რომელთაც ქსენოფონტი შეეჯახა თავისის ასსირიულის გამხედრების დროს.

„თვით ეს ტომნი არიან უახლოესნი მოსაზღვრენი ეა-კოლხთანი, რომელთ ქვეყანა ცნობილია ოქროს რუნის მხარედ. იმის მასლობლად აღმართულია სტრაბონისაგან მოხსენებული სომხითის თემი სისპირიტისი, ოქროსა და რვალის მადნებით მდიდარი ადგილი, თემი ისბერი ანუ იბერი, როგორც სახელ-წოდებულია იგი სომხითის ისტორიაში. ჰეროდოტი იმას უჩვენებს ორჯელ ორს ღირსსაცნობელს ადგილს და ორჯელვე იქ ის ასახელებს სასპირებს მიდიისა და კოლხიდის დიდ სააღებ-მიცემო გზაზე. მიდიისაკენ მიემართებოდა სხვა გზაცა, სააღებ-მიცემო გზა ინდოეთისა. აქ ერითრეს ზღვისა და პონტის ზღვის შუა შუამავალნი მოვაჭრენი იყვნენ სასპირნი. სასპირების ანუ საპირების სახელივე ეწოდა საფირის ქვასა, რომელსაც იხსენიებს თეოფრასტი და რომელიც ჩვენი საფირი არ არის, არამედ ოქსუსის მდინარის სათავეების ლაპის-ლაზური, განთქმული ინდოეთში, ხპარსეთში და დანაშთენს აზიაში. თუ რომ ეს სახელი მიეცა იმ მხარეს, სადაც ის არ იპოება, მაშ ჩანს სასპირები ყოფილან გამოჩენილნი სააღებ-მიცემო აგენტნი ანუ შემაკავშირებელნი პონტისა, ოქსუსისა და ინდუსისა“ [1].

ლენორმანის თქმულებით, „ორნი ძენი იაფეტისანი, ეთნოგრაფიულს სურათში და თითქმის ყოველს ბიბლიურს თქმულებაში მჭიდროდ შეკავშირებულნი და საკმაოდ მრავალნი, არიან: ტუბალი და მეშეხი. იგინი შეადგენენ ორს ერს მცირე აზიისას, რომელნიც არიან განთქმულნი თავიანთის ლითონებით, ცხოვრობდნენ ერთი მეორის მეზობლად და მეგობრულად. უეჭველია, რომ ამ ტომებით, რომელთაც იხსენიებენ ყველა მწერალნი შემდეგ იოსებისა, უნდა იგულისხმებოდნენ კლასიკურის გეოგრაფიის ტიბარენნი და მოშიანნი (მოსხნი). მხოლოდ იმ დროს, როდესაც იმათ უჩვენებენ ბერძენნი და რომაელნი, იგინი შეჭულეტილნი იყვნენ პონტ-ევქსინის მთის ვიწრო ხეობებში და ცხადია, რომ დაბადებაში იმათი ადგილ-სად-

1. Lenormant, *Hist.*, I, 190—191.

გომი დიდი ტერრიტორიას და უფრო სამხრეთად გავრცელებული ამ საგანს ბიბლიურის ეთნოგრაფიისას ასსირიულმა ლურსმებრივმა მწერლობამ მოჰფინა ნათელი. ეს მწერლობა გვიჩვენებს, რომ ტაბალი და მუშკი ორს შემძლე ერს შეადგენდნენ, თითქმის ყოველთვის შეკავშირებულნი იყვნენ და ცხოვრობდნენ კაპპადოკიაში, მოსაზღვრედ ხილასისა ანუ კილიკიისა და კუმმუხისა ანუ კომმაგენისა, თითქმის ზემო ეფრატამდე. რომ იგინი ძველადვე ყოფილან გავრცელებულნი კაპპადოკიაში, ამას გვიამბობს იოსები, რომელიც ამტკიცებს, რომ იქ ქალაქს მაზაკს იმათგან დაერქვაო ეს სახელი, და თვით ციცერონის დროსვე არსებობდა თემები ტიბარენებისა კილიკიის საზღვრად და აგრეთვე ჩრდილო-მხარედ პონტის ქვეყნებში“ ¹.

---

1. Lenorm., *Hist.*, 1, 299—300. ამ საგანსვე თანახმად ექშტეინისა და ლენორმანისა განმარტვენ: 1) დიუბუა-დე-მონპერე (*Voyage autour du Caucase*, II, 17, 71; III, 171; IV, 136—141, 336—339); ვივიენ — სენ-მარტენი (*Recherches sur les populations primitives du Caucase*, p. 57—58) და უკანასკნელს დროს უსლარი (*Древнѣйшія сказанія о Кавказѣ*, стр. 29—30, 523—527, 533—536). აქ უნდა დავურთოთ ჰაიდ-კლარკის გამოძიება მცირე-აზიისა, რომელშიაც იგი უჩვენებს იქ სახელ-წოდებებს მთებისას, მდინარეებისას, თემებისას და სხ., რომელნიც აქამომდე ქართულის თვისებისანი არიანო (*Грузинскія имена въ Малой Азіи*—Сборникъ свѣдѣній о Кавказѣ, т. I, стр. 326—328); ჩუბინოვის გამოკვლევა ცალკე ბროშურაში კაპპადოკიაზე.

## კარი მეორე

## კავკაზია და იმისი უძველესი ისტორია

I. კავკაზზე გეოლოგიური ცნობა.—იმისი მოკლე სურათი.
II. სულ ძველად გამოჩენილ ტომთა რიცხვში კავკაზიელებთან ჰქონიათ მსვლელობა ფინიკიელებს, ეგვიპტელებს და ქალდეო-ასსირიელებს.
III. მცირე აზიის ელლინნი ანუ ბერძენნი.—მილეტის კოლონიები შავის ზღვის პირად.—იმათი აღებ-მიცემობა კავკაზიელ ტომებთან.—იმათი ცნობები საზოგადოდ კავკაზიაზე.
IV. გარედამ შემოტანილნი ჩვენში სახელ-წოდებანი მთებისა, მდინარეებისა და სხ.—შორეულ ენათა და გადაშენებულ ენათა კვალი კავკაზიურ ენებში.—რა კავშირი აქვს ქართულ ენას სომხურ ენასთან.

აწინდელი კავკაზის არე-მარე, გეოლოგიურის ცნობით, არის სამის თუ ოთხის ეპოქის ნაწარმოები. სულ ძველის-ძველად ამ მხარეს ვრცელი ოკეანე თურმე ჰფარავდა. მომხდარა გეოლოგიური ცვლილება: ამოხეთქილა ვიწრო და გძელი მთის ზურგი, რომელიც ათას ფუტამდე აზურთებულა. შემდეგ ამისა დამყარებულა ხანგრძლივი მყუდროება; მაგრამ ჩრდილოეთით სამხრეთად კავკაზს წყლის ზვირთნი თურმე სცემდნენ. ბუნება მეორედ შერყეულა და კავკაზის ზურგის სამხრეთად წყლის გულიდამ თავი ამოუყვია ახალციხო-გურიის ქედსა. ბუნება ისევ დაწყნარებულა; მაგრამ ოკეანე ისევ თურმე ავრცელებდა თავის მფლობელობას როგორც კავკაზის ჩრდილო მხარეზე, აგრეთვე იმის სამხრეთად. აქ ყოფილა ვრცელი სრუტე, რომელსაც სჭრია ამიერისა და იმიერ-საქართველოს ღელე-მინდვრები. ბუნება ისევ შერყეულა და იმ სივრცეზე, რომელიც ჩვენ დროს ჰყოფს შავსა და კასპიის ზღვებსა, ცეცხლის მოძრაობას ქვესკნელით დაუწყვია მოქმედება. აჭარის ქედის სამხრეთად გაჩენილა აწინდელი

ბასსეინი (ღელე-მინდვრები) ახალციხისა, გარე-მოცული ცისის-ჯვა-
რისა და ჩილდირის კრატერებით. ამართულან დიდ-მშვენიერნი ვაკე-
მინდვრები შირაკელისა, ჯავახეთისა, ლორისა და მაღალი მთები
ყარაბაღისა, აჰმაგანისა, ალაგეზისა და არარატისა; მაგრამ ბასსეი-
ნები რიონისა, მტკვრისა და არაქსისა ჯერ ისევ წყალში წოლილან.
კავკაზი და კავკასს აქეთი მხარე ორ გაცალცალკევებულ კუნძულებად
ამოიყურებოდნენ. უკანასკნელს ეპოქაში მისცემია კავკაზს ის სიმაღ-
ლე და ის ხასიათი, რომელსაც ახლა ის ჩვენ წარმოგვიდგენს.
ოკეანს უკან დაუწევია. იმერეთი, ქართლ-კახეთი და ყველა ვაკე-
მინდვრები გარეშე ზღვებისა, შავისა და კასპიისა, როგორც თვით
ყირიმის ნახევარ-კუნძული, ხმელეთად გადაქცეულან. გასხნილა ვულ-
კანები კავკაზის შუა-გულში და აგრეთვე იმის სამხრეთად. იქ, სა-
დაც იმათი კრატერები ყოფილა, ამართულან ელბრუსი, ფაზის-მთა,
მყინვარი და სხვანი. ახლა ყველა ვულკანები დასშულია, მაგრამ ცეც-
ხლის მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა, როგორც ამას გვიმტკიცე-
ბენ ერთის მხრით დენა მიწის გულიდამ ცხელის წყლისა და ცეც-
ხლისა ბაქოს გუბერნიაში, მეორის მხრით თვით მიწის ძრვა, რო-
მელიც დროითი დრო არყევს ჩვენს დედა-მიწას, რომელმაც სხვათა
შორის 1840 წელს არარატის კრატერი გასხნა, მდიდარი სოფელი
ახური სრულებით ჩანთქა და 1859 წ. შამახია დაანგრია. ისიც
უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელს ცვლილებას დაუდვია დასაწყისი
გაცალცალკევებისა ურთიერთ-შორის ზღვათა: შავისა, კასპიისა და
აზოვისა. რომ იგინი შეერთებულნი ყოფილან, ამისი ნიშნები ახლაც
ჩანს. ასტრახანისა და კავკაზის ვრცელი ვაკეები წარმოადგენენ შემ-
შრალს ზღვის ძირსა. აქ იპოებიან იმ მოდგმის ლოკოკინები, რო-
მელნიც აწინდელის კასპიის ლოკოკინებში არ განსხვავდებიან. გარეშე-
მო ადგილები კასპიის მხარისა თვით აქამომდეც ცვლილებაშია: ბალხანის
ყურეს და მთელს აღმოსავლეთ ნაპირს ასტრაბადამდე ისე აუწევია,
რომ ამუ-დარია ანუ ოქსუსი, რომელიც ბალხანის ყურეს უერთდე-
ბოდა, თურსმენის ველის აბურთებით აღმოსავლეთისაკენ მიმართულა
და არალის ზღვაში შედის. ბაქოს მახლობლად ქვითკირის შენო-
ბები, რომელნიც ოდესმე ზღვის ნაპირად მდგარან, ახლა ისე ღრმად

არიან ჩაწოლილნი შიგ ზღვაში, რომ მხოლოდ მოწმენდილს დარში იხილვებიან [1].

კავკაზია მიემართება შავი-ზღვის პირით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კასპიის ზღვის პირად. იმისი სიგძე 1420 ვერსი. კავკაზია წარმოადგენს ორ-გვარს სისტემას: ერთია ზემო კავკაზია ანუ უმთავრესი მთის ზურგი; მეორეა ქვემო ანუ მცირე კავკაზია, რომელიც პირველთან შეკავშირებულია მესხეთის მთით და სურამის მთით. ზემო კავკაზის ზურგში უმაღლეს ქედებად ირიცხებიან: ელბრუსი (18,526 ფუტი ზღვის პირის მაღლად), კაშთან-თაუ (17,091 ფუტი), დის-თაუ (16,925 ფ.), მყინვარი ანუ ყაზბეგი (16,546 ფ.) და ადაი-ხოხი (15,244 ფ.). მცირე კავკაზს უერთდება ზემოდ ხსენებული ტავრის მთა, რომელიც თვით უკავშირდება გიმალაის მთას ინდოეთისას. ზემო კავკაზის გაყოლებაზე თითქმის მეხუთედი ნაწილი (297 ვერსი) ყოველთვის დაგვირგვინებულია თოვლითა. აქ სამუდამო თოვლის წრე სამხრეთის (საქართველოს) მხრივ არის 9,600 ფ.; შუა-გულს ადგილს 10,500 ფ.; აღმოსავლეთად კი 12,200 ფ. ჩრდილო-მხარეს, სამხრეთის წრეს შედარებით, სამუდამო თოვლი 1,000—1,500 ფუტით მაღლა ადის [2]. საზოგადოდ კავკაზი უხვად არის მინიჭებული მდინარე-წყლებით. იმათ შორის შავ-ზღვას ერთვიან: კავკაზის ჩრდილოეთად—ბასსეინი ყუბანისა, სამხრეთად—ხოპი, ენგური, კოდორი და რიონი. კასპიის ზღვას ერთვიან: ჩრდილოეთად თერგი, სუნჯა, ყოი-სუ, სამური და ყუმა, სამხრეთად—მტკვარი და არაქსი. აქ უმთავრეს ტბად ირიცხება სევანგი ანუ გოგჩა ერევნის გუბერნიაში (80 ვერსამდე სიგძით), შემდეგ ხოზაპინი, თოფარვანი და ტბის-ყური ახალციხის მაზრაში. ევროპის მეცნიერნი, რომელთაც კავკაზი მიმოუვლიათ, განცვიფრებულნი არიან იმის ალბეჭდილებით. მორიც ვაგნერის თქმით, „არც ალპი შვეიცა-

1. *Bullet. de la Société géologique de France.* 1837, t. VIII.— Щуровскаго, *Геологическіе очерки Кавказа*—Русскій Вѣстникъ 1862 г., февраль, 459—468 и апрѣль, 707—709.—2. Стебницкаго, *Замѣтки о распространеніи ледниковъ на Кавказѣ*—Извѣстія Кавк. Отд. Геогр. Общ., 1877 г., т. V, № 1.

რიისა, არც ტაური, არც ატლასი, არც ბალკანი და არც აპპენინი ანუ რომელიმე ევროპის მთა არ წარმოგვიდგენს იმ გვარ კლდე-ზღუდეებს, მრავალ-გვარად დაგლეჯილს თოვლის სივრცეს და ისე კადნიერად აღმართულს დიდებულს მთის წვერებს, როგორსაც წარმოგვიდგენს საშუალო კავკასიის ზურგი". „ერთისავე შეხედვით თქვენა ჰგრძნობთ, ამბობს ზესსი, ამ მთის უპირესობას ევროპის მთებზე. ეს გაყოლება კავკასიისა, მაღალი და ვრცელი, რომელიც დასცქერის ვრცელსავე ყუმისის ვაკე-მინდორსა, მართლა და გასაოცარი რამ არის". ბოტანიკი კოხი სწერს: „რაც რომ ჩემის სიყმაწვილობითვე შეადგენდა ჩემს გულის-წადილსა და საგანს ჩემის შესწავლისასა, ყოველივე ეს ახლა ჩემ თვალ-წინ მდებარებს, უსაზღვროდ გამშვენიერებული" [1]. კავკასიის მხარეზე ბუნებას უხვად მოუფენია მრავალ-გვარი სიმდიდრე: ცხელისა და ცივის ქვეყნების კლიმატი; ყოველ-გვარი მცენარე. აქა-იქ ხუთი-ექვსის საათის სავალზე ბარიდამ მოყოლებით მთის ქედამდე ჰპოულობთ ბუნების ყველა ნაწარმოებსა, შენობაში საჭირო ხე-ტყესა და ხე-ხილსა. კავკასია განსხვავდება ცხოვრებისათვის სხვა და სხვა სახმარის ქვებითა, რომელნიც არიან: ალებასტრი, მარმარილოები, გიშერი, მარილი; მინერალები: შაბი, გვარჯილა, ფისი, ნავთი; მეტალლები: ოქრო, ვერცხლი, რვალი, კალა და სხვ. „საქართველო-სომხითის მეტალლებში, აბისის თქმით, რკინასა და რვალსა აქვთ დიდი მნიშვნელობა, და უნდა ვთქვათ, ძველი ოქმულება ივერიის მადნებზე დაფუძნებულია თვით იმაზე, რომ დიად გავრცელებული ყოფილა აქაური რკინა და რვალი. სამხრეთად კავკასიისა რკინა იპოება უფრო ქართლში, იმერეთში და სამეგრელოში. მრავალი გროვა რკინის წიდისა, აქა-იქ გაბნეული სამეგრელო-იმერეთის ტყეებში, ჰმოწმობს, რომ უძველეს დროდამვე ადგილობრივნი მცხოვრებნი შეჩვეულნი ყოფილან იმათ შემუშავებასა. კარგი რკინის ლითონი არის აგრეთვე ახალციხე-იმერეთის და თრიალეთის მთებში და თვით სუფსის ღელეში,

1. Schnitzler, *L'Empire des Tsars au point actuel de la science.* Paris, 1862, 209, 214.

სადაც ძველის ქარხნების კვალი ჯერ არ აღმოჩენილა. განსაკუთრებით ისეთ მდიდარს რკინის მადნებს წარმოგვიდგენენ დალვარის მთები სომხეთში, რომ სიმართლე მოითხოვს იმათ ვუწოდოთ საქართველოს მადნების მთებად (Erzgebirge)“ [1].

შესწავლია, ამ გვარს მხარეს ამ გვარის მდებიარებისას უნდა აღეძრა ყურადღება იმ ტომთა, რომელნიც კი ისტორიულ ასპარეზზე ილვწიდნენ. ასეც იყო. სულ ძველად ფინიკიელნი, ქალდეო-ასსირიელნი, ეგვიპტელნი და შემდეგ მიდო-სპარსნი და ბერძენნი ანუ ელლინნი ყოველთვის ევლტოდნენ კავკასსა. ფინიკიელნი, რომელნიც იმ ხანებში ყველაზე მეტად განვითარდნენ აღებ-მიცემობაში და თავისი გავლენა ვრცლად მოჰფინეს დედა-მიწაზე, მე-XVII-XIV საუკ. ქრისტეს წინ, „გაბედვით ცურავდნენ უბრალო ნავებით შფოთიანსა და შეუწყნარებელს შავ-ზღვაში, რომელიც ჩვენის დროს მენავეთათვისაც კი დიდად საშიშია. იგინი აღებ-მიცემობდნენ ადგილობრივთ მცხოვრებთა შორის და შედიოდნენ კოლხიდაში, საიდამაც ბრუნდებოდნენ დატვირთულნი მადნეულობით: ოქროთი, რომელსაც კოლხიდელნი პოულობდნენ თავიანთ მდინარე წყლებში და რომელიც ქარვანებს შემოჰქონდათ იქ ურალის მთიდამ და არიმასპის ქვეყნიდამ; კალით, რომელიც საჭირო იყო ბრინჯაოს შესამუშავებლად და რომელსაც იბერნი და ალბანელნი სთხრიდნენ კავკასის მთებში; ტყვიით და ვერცხლით, რომელიც აღმოიპოვებოდა იმავე მხარის სხვა ადგილებში; ხელ-ნაქნარის ლითონებით, რომელთაც სჭედავდნენ ხალიბნი თავიანთ მთებში და რომელნიც სახელ-განთქმულნი იყვნენ მთელს ქვეყნის პირზე. ეს ლითონებია: უკეთესის ღირსების რვალი, წმინდად დათლილი რკინა და ნამეტნავად ისეთი ფოლადი, როგორსაც არც ერთი უცხო-ტომთაგანი ვერ იმუშავებდა“ [2].

ფინიკიელებს თავიანთი სავაჭროები შეჰქონდათ ეგვიპტეში და ქალდეო-ასსირიაში, თუმცა ამ უკანასკნელთ თავის-თავადაც ჰქონ-

1. *Prodromus einer Geologie der Kaukasischen Länder*—Изв. Кавк. Отд. Геогр. Общ., IV,—№ 5. 257—258. საქართველოს ძველ მადნებზე ნახე Lenorm., 1881. I, 199—200.—2. Lenormant, *Manuel d'Hist. anc. de l'Orient.*, 1869, II, 147; III. 26—35.

დათ კავშირი კავკაზთან. უნდა კი შევნიშნოთ, რომ რადგანაც იმათში ეგვიპტე მოშორებით იმყოფებოდა, ამისთვის ეს კავშირი უფრო სუსტი იყო, ვიდრე ბაბილონო-ასსირიისა. ერთი ღირსსახსოვარი ფაქტი ეგვიპტელების შესახებ არის გადმოცემული ჰეროდოტისაგან, რომელიც სცხოვრობდა 484—406 წ. ქრ. წინად, რომლის ცნობითაც „კავკაზის მთა შეადგენს უვრცელესს და უმაღლესს ყველა მთათა შორის და ჰყოფს ერთი მეორისაგან პონტს ევქსინისას და კასპიის ზღვასა და რომელიც რამდენსამე სურათს წარმოგვიდგენს კავკაზიელ ტომებზე, იმათ სახელ-წოდებაებზე, გეოგრაფიულ მდებარებაზე და ზნე-ჩვეულებაზე. ჰეროდოტის თქმულებით, ეგვიპტის განთქმული მეფე სეზოსტრისი, რომელიც ახლა ცნობილია რამზეს მეორედ და ჰყვაოდა XIV საუკუნეში, აზიისა და ევროპის დაპყრობის შემდეგ მისდგომია ფაზის მდინარეს და აქ დასახლებია თავისი კოლონია. „მე გამოვკითხე ამ საგანზე, ამბობს ჰეროდოტი, კოლხიდელებსაც და ეგვიპტელებსაც და ორნივე ერთის აზრისანი არიანო. ეგვიპტელნი იტყვიანო, რომ კოლხიდელნი შეადგენენ სეზოსტრისის მხედრობის ნაწილს. ამ აზრს ჰმოწმობსო იმათივე მოშავო ფერი, ხუჭუჭი თმა და წინა-დაცვეთა, რომელიც ჩვეულებად აქვთ ორსავე ტომსა და რომელიც კოლხიდელებთაგან მიუთვისებიათო თვით იმათ მეზობლებს მაკრონებს. გარდა ამისა ეგვიპტელნი და კოლხიდელნი ერთ-გვარ მისდევენო სელის შემუშავებასა და თვით ყოფა-ცხოვრება და ენა ორისავე ტომისა ერთი და იგივეაო“. ეს გარდამოცემა ჰეროდოტისა, ანუ, ჩვენის ფიქრით, მიფი მიუღიათ ნამდვილ შემთხვევად შემდეგის საუკუნოების მწერლებსა და ამ გვარად გავრცელებულა ჩვენ დრომდე. 200 წლით ქრისტეს წინად აპოლონ როდოსელი სწერს: „ადამიანის პირველ სამშობლოდამ, ეგვიპტედამ გავიდა მრავალ-რიცხვის მსედრობით წარჩინებული მეომარი (სეზოსტრისი), რომელმაც ყველა ადგილებში მრავალი ქალაქი დააფუძნა. იმათ შორის ზოგი გაუქმებულია და ზოგი კი ახლაც ჰყვავის. ამ უკანასნელთაგანია ეა კოლხიდაში. კოლხიდელნი შთამომავლობენ იმ მსედართაგან, რომელნიც აქ დაუმყარებია ეგვიპტის გმირსა. იგინი ხმარობენ თავიანთ წინა-პართაგან მიღებულს ფიცრებსა,

რომლებზედაც ნაჩვენებია ხმელეთისა და ზღვის საზღვრები, შარა-გზები და ბილიკები". დიოდორე (I საუკ. ქრისტ. წინ) ამბობს: „სეზოსტრისმა გაიარა მდინარე განგი და მიაღწია აღმოსავლეთ ოკეანემდე. მასუკან, როდესაც ჩრდილოეთით უკუ იქცა, იმან დაიმონავა სკვითია ტანაისის მდინარემდე, რომელიც ჰსაზღვრავს აზიასა და ევროპასა. იტყვიან, ვითომც იმ ეგვიპტელთაგან, რომელნიც სეზოსტრისს დაუსახლებია მეოტიდის ტბის გარეშემო, წარმომდგარან კოლხიდის ტომნი. ამის შესამოწმებლად მოჰყავთ წინა-დაცვეთა მამობრივის სქესის ყმაწვილთა, რომელიც ჩვეულებად არის როგორც ეგვიპტეში, აგრეთვე იმის კოლონიებში და ურიებში"[1].

რაიცა შეეხება ქალდეო-ასსირიელებს, იმათი შარა-გზები ბაბილონიდამ მიემართებოდნენ—ერთი მიდიის ქალაქისაკენ, ეკბატანისაკენ, და შემდეგ კასპიის პირის შესავლით ჰირკანიისაკენ; მეორე შუამდინარით ანუ მესოპოტამიით ეფრატზე და კილიკიით კაპპადოკიაში. ეფრატი იყო ბუნებითი გზა, რომლითაც ქალდეო-ასსირიით მოვაჭრენი ალებ-მიცემობდნენ არმენიაში და კავკაზში. ხსენებულ გზებზე აქა-იქ გამართული თურმე იყო ქარვასლები საქონლის დასაწყობად. ჰეროდოტის თქმით, ეფრატზე სავაჭროები გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ნავ-ტიკებით, რომელნიც ახლაც თურმე იხმარებიან ტიგრის მდინარეზე[2]. ამ გზით ქალდეო-ასსირიაში შედიოდა არმენიიდამ ღვინოები, ჩვენის მხრიდამ სხვა და სხვა მადნეულობა და აგრეთვე ყმაწვილნი ქალ-ვაჟნი, რომელნიც ფასობდნენ თავის სიტურფისაგამო. „თვით ჩემს დროსაცაო, ამბობს ჰეროდოტი, კოლხიდელთ და იმათ მოსაზღვრე მცხოვრებთ ხარკათ ედოთო, რომ ყოველს ხუთ წელიწადს ას-ასი ვაჟი და ქალწული ქალი ეძლიათო სპარსეთისათვის"[3]. ახლად გარკვეული ლურსმებრივი მწერლობა ჰმოწმობს, რომ იშვიათი არ ყოფილა ქალდეო-ასსირიელების გალაშქრება ურარტში ანუ აწინდელს არმენიაში, ილიბში (ალბანია)

1. *Histoire d'Hérodote*, II, 122—123; Moreau de Jonnés, *Ethnogénie caucasienne*. Paris, 1827, p. 126, 130, 157.—2. Фонъ-Мольтке въ *Прилож.* къ III т. Изв. Кавк. Отд. Геогр., Общ., 27.—3. *Hist. d'Hérod.*, III 195.

და ტუბალ-მოსხეთში. ამ საგანზე და თვით მოსხო-ტუბალის გვარ-ტომობაზე მოგვყავს ერთი ახალი აზრი ჟიულ სურისა,— აზრი, რომელიც იმას დაუფუძნებია მცირე-აზიის უკანასკნელს არსეოლოგიურს შესწავლაზე 1861 წელს, საფრანგეთის მართებლობის მინდობილობით, გამოჩენილის არხეოლოგის ჟორჟ პერროს მიერ. «ვინ იყვნენ,' ჰკითხავს თავის-თავს სური, ტუბალი და მოსოხი ანუ ტიბარენნი და მოსხნი, რომელთაც ტირის ქალაქში შეჰქონდათ რვალის ჭურჭლეულობა და რომელნიც ყოველთვის შეერთებით არიან ხსენებულნი ბიბლიაში და თვით ჰეროდოტის მიერ? მოსხნი იყვნენ პირველნი მცხოვრებნი კაპპადოკიისა, რომლითაც ასსირიის გავლენა მოფენილა მცირე-აზიაში. უეჭველია, რომ ძველი მაზაკი, მდებარე დათოვლილის მთის არგეს ძირად, ჰალისზე, შეადგენდა ვრცელს სამფლობელოს ტურანელებისას. ბევრით შემდეგ, სტრაბონის დროს, როდესაც კაპპადოკიაში ბინადრობდნენ სემიტნი, მოსხეთი შეიცავდა კოლხიდას, იბერიას და ნაწილს არმენიისას. რაიცა შეეხება ტუბალს ბიბლიისას, ტაბალს ლურსმებრივის მწერლობისას ანუ ტიბარენებს ჰეროდოტისას, ეს ტურანელი ტომი გავრცელებულა შავი-ზღვის პირამდე, ტრაპეზონისა და სინოპს შუა. უეჭველია ნათესავური კავშირი მოსხო-ტიბარენთა მიდიის ტურანელებთან[1]. უეჭველია აგრეთვე იმათი ერთ-გვარი ტომობა ძველ ქალდეველებთან, რომელთაც დაუმსვიათ მესოპოტამიაში ქუშიტნი და ეფრატო-ტიგრის ქვემო ნაპირზე დაუფუძნებიათ ქალდეა[2]. იმათგან მიუღიათ, დაჰმატებს სური, სემიტებს და სემიტებთაგან არიელებს პირველ-დაწყება სწავლა-ხელოვნებისა; იმათვე შეუტანიათ ლურსმებრივი მწერლობა როგორც მესოპოტამიაში, აგრეთვე არმენიაში და თვით სუზიანში. სულ ძველის-ძველად მოსხნი, ტიბარენნი და

1. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა არხეოლოგია ჩვენ ტომს ტურანელებად ჰხადის, მაგრამ ლინგვისტიკას ამ საგანზე ეჭვი აქვს.—2. ამ საგანს სხვა მწერლებიც შეეხებიან; იმათ შორის ზოგნი ამტკიცებენ, ვითომც მესოპოტამიის ქალდეველნი გამოსულიყვნენ გორდიენიდამ, აწინდელის ქურთისტანიდამ (Renan, *Hist. des lang. semit.*, 60, 66, 68); ზოგნი იმათ პირველ საცხოვრებელს უჩვენებენ პონტის ქალდეაში (Langlois, *Collection des histor. armén.*, I, 3, 44).

ქალდეველნი პირველნი განვითარებულან მადნებისა და მეტალების შემუშავებაში"[1]. მე-XII საუკუნეში ქრისტეს წინად მეფემ თიგლათ-ფალასარ I-მა ორჯელ თურმე სძლია მოსხებს და იმათ ხუთ მეფეს, რომელთაც სჭერიათ უმეტესი ნაწილი კაპპადოკიისა და პონტისა. როგორც სჩანს, მოსხეთის აღმოსავლეთად ტიბარენებს ჰქონიათ დიდი სამფლობელო, რადგანაც სალმანასარ მე-II-ის წარწერით, „ჩემის მეფობის ოც და მეორე წელს მე ოც და ერთხელ გავედი ეფრატს გაღმა, შევედი ტაბალის ქვეყანაში და ოც და ოთხს მეფეს ამ ქვეყნისას ხარკი დავდეო"[2].

ამბობენ, ვითომც მიდიის მეფეს კიაქსარს (635—595 წ.) ეფრატის სათავეებიდამ განედევნოს პონტო-კავკასიის მხარეში ის ნაწილი ქართველის ტომისა, რომელიც იქ თურმე ცხოვრობდა, და იმის ადგილში დაესახლებინოს ფრიგიელი ტომი ჰაიკანელნი და ირანელი ტომი კატპატუკნი. იმის დროსვე სკვითნი, ქართლის-ცხოვრების ხაზარნი, კავკასიისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთად მცხოვრებნი, კავკასიით დაჰსხმიან მიდიას, სადაც იმათ უმფლობელნიათ 28 წელიწადი. სპარსეთის მეფეს კიროსს (559—529 წ.) დაუმონავებია ალბანელნი და იბერნი, კოლხიდელნი და მაკრონნი, ხალიბნი და ტიბარენნი, რომელნიც იმის შემდეგაც სპარსეთის მფლობელობაში დაშთენილან. სპარსეთისავე მეფეს დარიოზს (522—506) თავისს ვრცელს იმპერიაში ახალი სახელმწიფო წესი დაუმყარებია და სასატრაპოები ანუ, ჩვენებურად, საერისთავოები დაუარსებია; იმათ შორის, ჰეროდოტის თქმით, მეთვრამეტე სასატრაპოს შეადგენდნენ მატიანნი, ალაროდიანნი და საპირნი, რომელთაც ხარკად სდებიათ 200 ტალანტი; მეცხრამეტე სასატრაპოდ ირიცხებოდნენ პონტი და იმისნი მცხოვრებნი მოშიანნი, ტიბარენნი, მაკრონნი და მოსინეკნი; იმათი ხარკი ყოფილა 300 ტალანტი[3].

სპარსეთის პოლიტიკური ძალა და გავლენა ჯერ ისევ მოქმე-

1. *Asie Mineure d'après les nouvelles découvertes archéologiques—Revue de Deux Mondes*, 15 oct. 1873, 909—910.—2. Maspero, *Hist.*, 398—399, 478.—3. Услара, *Древнѣйшія сказанія о Кавказѣ*, 298, 533—536; *Hist. d'Hérod.*, III, 194.

დება, როდესაც მცირე-აზიაში და ევროპაში აღყვავდა ელლინელი ტომი, რომელმაც მცირე ხანში იგი შეარყია და დაიმხო. მთელი შავი-ზღვის პირი და უმეტესი ნაწილი ხმელთა-შუა ქვეყნის ზღვის კიდისა ელლინების კოლონიებით მოიფინა. იმათ შორის ყველაზე მეტად განვითარდნენ ფოკეა და მილეტი. მილეტი მდებარებდა კარიის დასავლეთად, ლათმიკის ნავთ-საყუდელის მახლობლად. მილეტში დამყარდა ბინა ელლინების წარმატებისა. მილეტელთაგანნი იყვნენ: ფილოსოფოსნი-თალესი, ანაქსიმანდრი და ანაქსიმენი; ისტორიკოსნი—ჰეკატე და კადმი; ორატორები—ესხინი, ასპაზი და არისტიდი. მილეტს ჰქონდა ასამდე სამხედრო გემი. მილეტმა გაიჩინა მრავალი ცხვრის ფარა და თავისი მშვენიერი ხალები და ქსოვილები მთელს მაშინდელ ხმელეთზე გაავრცელა. მილეტი ალებ-მიცემობდა ერთის მხრით აზიის შუა-გულამდე, მეორის მხრით გიბრალტარის ბოღაზამდე. უმთავრესი ასპარეზი იმის ვაჭრობისა იყო შავი-ზღვის პირი, სადაც იმან დაამყარა საკუთარი კოლონიები. ეს კოლონიები გაშენებული იყო უმთავრესის მდინარეების შესართავებში, ზღვის მოხერხებულს ყურეებზე და ხეობების შესავალში. იმათ შორის ოლბია მდებარებდა დნეპრისა და ბუღის შესართავში და სცვლიდა სკვითების მდიდარ სამკალზე საბერძნეთის ღვინოსა და ნაყოფსა; ტანაისი იყო გაშენებული დონის შესართავში, იქ, სადაც ციმბირის ქარავნები იკრიბებოდნენ. ტანაისის ვაჭრობა იყო ციმბირის ბეწვეულობა, ინდოეთის ფარჩეულობა და სურნელ-სურნელობა. ფანაგორია იყო დაფუძნებული ყუბანის შესართავში და იმისი ნავთ-სადგური დასცქეროდა პონტსა და ბოსფორს კიმმერიისას. აქ იკრიბებოდნენ. აზიელნი ბოსფორელნი, მეოტნი და ჩრდილო-კავკასიის ტომნი. შემდეგ ტანაისმა და ფანაგორიამ თავის მეტროპოლიად ანუ დედა-ქალაქად აღიარეს პანტიკაპეა. ტორიკოზი და ბატა მდებარებდნენ გელენჯიკისა და სუჯუკ-კალის ყურეზე; დიოსკურია, შემდეგ ცხომი ანუ სუხუმი, იყო აფხაზეთის შუა-გულში. დიოსკურიას შეჰქონდა კავკაზის მთიულებში პანტიკაპეის მარილი და ნაცვლად კავკაზიდამ გამოჰქონდა ტყავი და სხვა იმისი ნაწარმოები. ფაზი ანუ შემდეგ ფოთი შეადგენდა სავაჭრო ქალაქს კოლხიდისას, რომელსაც გაჰქონდა

სელი, განაფი, წმინდა სანთელი, ფისი, ტილო, ხე-ტყე და თაფლი[1].

აქ საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ნამდვილი გეოგრაფიული ცნობები ჩვენ მხარეზე ელლინებში იმ დროდამ ვცრელდება, როდესაც მილეტელებს დაუფუძნებიათ კოლონიები შავი-ზღვის პირად. პირველად კავკაზს ისხენიებს კავკაზოსად ესხილე თავის „მიმსჭვალულს პრომეტეში" 474 წ. ქრისტეს შობის წინ. ამ სახელ-წოდებას არ უჩვენებენ არც ბიბლია, არც ჰომერი, არც ზენდა-ვესტა. იმ დროსვე შემოდის ხმარებაში თვით აზია, რომელსაც აქვს კავშირი კავკაზთან და რომელიც ერქვა თავ-და-პირველად ყუბანისა და აზოვის ზღვის მხარეს. როგორც კავკაზი, აგრეთვე სხვა მრავალი სახელ-წოდება ჩვენში შემოტანილია საშუალო-აზიიდამ. სულ ძველად კავკაზად თურმე იწოდებოდა იქ ის თოვლით დაბურული მთა-ადგილი, რომელიც მდებარეობს სამხრეთად გიმალაისა ბაქტრიანსა და არიანს შორის. ამტკიცებენ, რომ იქ, სადაც მდინარეს ოქსუსსა აქვს სათავე, ცხოვრობდა გავრცელებული ტომი ჴაზაზნი და იმათ მთებს სანსკრიტნი უწოდნენ აზა-გირს (გირი სანსკრიტულად მთა, ქართულად გორა). ეს სიტყვა მიდო-სპარსულ ენაზე გადაქცეულა კოხ-კაზად, რადგანაც ამ ენაზე კოხი მთასვე ჰნიშნავს. ამ ლექსის შემოტანას მიაწერენ აზებს ანუ ოსებს[2]. თვით ელბრუსი ანუ ელბორჯი, რომელიც ფეჰლევურს ენაზე ჰნიშნავს მაღალ მთას, იპოვება კასპიის ზღვის სამხრეთადაც და ზაჰროსის ქედზედაც ჰამადანში[3]. ამტკიცებენ, ვითომც ელბრუსი ანუ ალბორჯი სპარსულს ენაზე ჰნიშნავდეს მაღალ მთას, სიმაღლეს და ვითომც აქამომდე სპარსნი ელბრუსად უწოდნენ მაღალ მთას ჯიბრაელის მაზრისას სპარსეთში[4].

(თავ-და-პირველად ქართველები და სომხები ახლანდელს არარატს უწოდებენ მასისად. ძველი მნიშვნელობა ამ სიტყვისა არის: ფრიად მაღალი. სანსკრიტულს ენაზე ითქმის *mah* ანუ *mahat*;

1. Dubois, *Voyage.*, I, 56—58.—2. Viv.de S.-Mart., *Recherches.*, 178—186; Услара. *Древн. сказ. о Кавк.*, 494.—3. ჩემი საქართ., 66.—4. Услара, 112, 585.

აქედამ წარმოსდგა ქართული მაღალი, ლათინ. magnus, ზენდური mas, ბერძნული μέγας, μάσσων. ასე უწოდდნენ ჯერ ტავრის ქედის ნაწილსა, რომელიც ჰყოფს სომხითს და მესოპოტამიას. შემდეგ დროებში მასისი მიჰსთვისებია აწინდელს არარატს[1]. ქართველები უმთავრესს საქართველოს მდინარეს ვუწოდთ მტკვრად, სპარსნი და ბერძენნი კურად; მაგრამ მტკვარიც და კურაც ერთისა და იმავე ფესვიდამ არიან აღმოცენილნი. სულ ძველად კურად უწოდდენ მრავალ მდინარეებს სპარსეთში და აგრეთვე მესოპოტამიაში. ამ სიტყვის ფესვი არის ინდო-კელტური, სემიტურის ენებისაგანაც შეთვისებული. ინდო-კელტური khor, ებრაული khour, სომხური khorin, ლეკური hor, khor, ouor ჰნიშნენ თხრას, სიღრმეს[2]. იქვე უნდა ჰქონდეს ფესვი იორსა. ებრაული iaór ანუ ior, კოპტური iaro ჰნიშნენ მდინარეს. ფინნური სახელ-წოდება მდინარისა არის khoub ანუ kob, გავრცელებული კავკაზის სამხრეთად და ჩრდილო-სამხრეთად, როგორც Houpanis და Houpa-kouris, რომელსაც ჰეროდოტი ასახელებს პონტ-ევქსინის ჩრდილოეთად; Houpanis-ი დარჩენილია აქამომდე ყუბანის სახელ-წოდებაში; ძველი კოლხიდის Khobos არის ხოპი[3].

არაგვის ფესვი არის ზენდური და სანსკრიტული arg, რომელიც ჰნიშნავს სისწრაფეს, მომდინარეობას. არგი არის მოტანილი ირანო-კელტებისაგან და იმათგან გავრცელებული ევროპაში. გალახიაში არის Arghisch; იტალიაში იყო Orgus, გადაქცეული ახლა Orco-სად; საფრანგეთშია d'Argens, d'Argent, d'Argue, Arc და სხ. ისპანიის იბერიაში იპოება Aragon. იმავე წყაროდამ არის აღმოცენილი არაქსი. არაქსს სომხები უწოდებენ ერასხს, ქართველები რახს, არაბნი, თურქნი და სპარსნი—არას ანუ რას. ძველად არაქსი გავრცელებული თურმე იყო მთელს აღმოსავლეთზე. ბაქტრიანიდამ მოყოლებით ხპარსეთის ყურემდე, სპარსეთის ყურედამ კავკაზამდე[4]. ახლანდელი მურა-ჩაი, რომელიც ევრატის უდიდესს შტოს შეად-

1. *Recherches.*, p. 3, 81.—2. *Recherches*, p. 132—134.—3. ib. p. 103, 104.—4. *Recherches*, 104—107.

გენს, იწოდებოდა არაცანად, არამანიად, და არის მიქცეული არაქსივე [1],—სულ თავ-და-პირველად არაქსად ის მდინარე თურმე ისახელებოდა, რომელსაც ერქვა ჯილონი (აწინდელი ამუ-დარია) საშუალო-აზიაში. სახელ-განთქმული კოლხიდის ისტორიაში ფაზი მოგვაგონებს ერთს ოთხს მდინარეთაგანს, რომელნიც მოსეს თქმულებით, ჰრწყავდნენ სამოთხესა, ესე იგი ფიზონსა. ფაზი არის ინდო-კელტური სიტყვა, თუმცა ფინნურს ენებშიაც კი მიღებული: სანსკრიტული visan ჰნიშნავს წყალსა, სინოტიეს, ბერძნული πεῖσαι—რწყვას, სიგრილეს, πεῖσ—ადგილს, რომელიც წყლის ნაკადულით ირწყვის. იგივე მნიშვნელობა აქვს ჩრდილო-ფინნურს vesi ანუ vessi, ვენგრულს fis, ჩერქეზულს pzéh, psé ანუ psi. მდინარეს ჰიფასის უჩვენებენ ინდოეთის პენტოპამიაში; პტოლომე ფაზისს ასახელებს ცეილონის კუნძულზე; პოზანი მოიხსენებს ოფისსვე არკადიაში. ოფისსვე ვპოულობთ ჩვენ ჭანეთში ანუ ლაზისტანში. თვით ჭოროხი და აგრეთვე არაქსი თავიანთ სათავეებში იწოდებოდნენ ფაზად [2]. ჩერქეზეთში არის ერთი მდინარე, რომელსაც ჰქვიან ვარ-დონი; ოსეთშია არე-დონი; ყარაბულახის მხარეშია ფარტანი. სულ ძველად ვარ-დონი ჩუბანს თურმე ერქვა. ამ ორის ლექსის შეკავშირებაში დიდ მნიშვნელობას პოულობენ: «თავ-და-პირველად შემოტანილია აქ var, თუმცა არ ვიცით, რომელ ტომს შემოუტანია იგი. გადის დიდი დრო. კავკაზს მოესევა აღმოსავლეთით სხვა უცხო ტომი, რომელიც პოულობს აქ var-სა. მაგრამ ამ უცხო ტომს თავისი საკუთარი სახელი აქვს, თავისი სახელ-წოდება მდინარისა; ეს სახელ-წოდება არის don, რომელსაც დაერთვის var-ი. ამ დროდამ იწყობა Var-don-ი ანუ Ar-don-ი. გადის კიდევ დიდი დრო. ვარდანს მოაწყდება ურალის მთით სხვა უცხო ტომი, რომელიც ვარდანს შესცვლის ყუბანად და ყუბანი დაშთება აქამომდე. „ვარ-დონი—თუმცა შეცვლით—გავრცელებულია თვით ევროპაში. Var არის კელტური სიტყვა: ირანულად, სპარსულად და ახალ-ქურთულად bârân ჰნიშნავს წვიმას; ეს მნიშვნელობაც აქვს

1. *Rech.*, 131—132.—2. *Rech.*, 104—107.

ფეჴლევურს baran-ს, ოსურს waran-ს ანუ ouaran-ს. თვით don ანუ doun ჰნიშნენ წყალსა, მდინარესა. სანსკრიტულად არის dhouni. ბერძნულად δινη, ოსურად don, doun, ლიტვურად, ლივონურად oudens, ირლანდიურად dinim[1].

რაც ზემოდ ითქვა კავკაზის გეოგრაფიულ ნომენკლატურაზე, იგივე უნდა ითქვას იმის ტომ-ნათესავებზე. ჯერ ეს მოვიხსენოთ, რომ ელლინთ კოლონიების დროს აქ მკვიდრობდნენ: ტანაისიდამ (დონიდამ) ვიდრე ფაზამდე: 1) ტანაისის პირად სავრომატნი; 2) მეოტიდისა ანუ აზოვის ზღვის ნაპირზე მაეტნი; 3) ტამანის ნახევარკუნძულზე და პონტის პირ ანაპამდე სინტნი; 4) ანაპის სამხრეთად გელენჯიკამდე კერკეტნი, ახლანდელნი ჩერქეზნი; იმათში იყო გაშენებული ელლინების ქალაქი ტორიკოსი, რომელმაც თავისი სახელი გადასცა თვით ზღვის ყურეს, ანუ გელენჯიკს; 5) გელენჯიკის სამხრეთ-აღმოსავლეთად ახეელნი, ანუ ელლინნი, რომელნიც ვითომც ტროადიდამ მიმოვალან და ზღვის ლელვას შეუტაცნია ხსენებულ ადგილას; 6) ახეელების მომიჯნავენი და დიოსკურიის მოსაზღვრენი ჰენიოხნი, „ლიკონიის კოლონია, რომელიც ვითომც კასტორის და პოლლუქს მოჰყოლია“; 7) დიოსკურიის დამცქერნი მთის ქედიდამ სოანნი ანუ სვანნი; 8) ჰენიოხთ მოსაზღვრენი კოლხნი; ამათ სჭერიათ მთელი პონტის პირი ტრაპიზონამდე, რომელიც შეადგენდა საზღვარს კოლხებისას და ტიბარენებისას; 9) ტრაპიზონს იქით ტიბარენნი კაპპადოკიის საზღვრამდე; 10) ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზემოდ ტიბარენნივე, მაკრონნი ანუ სონნი (ცანნი, ჭანნი); ქალდეველნი ანუ ძველნი ხალიბნი ფარნაკიის უახლოესად და 11) კავკაზის აღმოსავლეთ-სამხრეთად, გარდა იბერიელთა, ლეგნი, ალბანნი, კასპიელნი, კადუსიანნი და გელნი[2].

კავკაზის ენების ლექსიკონიც ჰმოწმობს, რომ იმათზე დიდი გავლენა ჰქონია შორეულ ენებსა. ლეკური, ქისტური, ჩერქეზული ენები სავსეა ტურანულის მოდგმის სიტყვებით. ლეკურში და ქის-

1. *Rech.*, 113—128.—2. Amédée Tardieu, *Géographie de Strabon. Paris*, 1867—1873, XI, p. 390, 396, 402, 411 420; XII, 497—500.

ტურში მომეტებული სიტყვები არის სამოედური; ჩერქეზულში ნაკლებ. გარდა ამისა იმათში იპოვება თურქული, ყირგიზული, ვოგულური, ვოტიაკური, ოსტიაკური, ჩუვაშური, ფინნური; ამასთანავე ლეკურში აქამომდე ხმარებაშია, სხვათა შორის, ჰუნნური სახელები ადილლა (ატილლა იყო ჰუნნების წინა-მძღოლი მეხუთე საუკუნეში), ესკა (ესკამა ატილლას ქალი). ოსური ენა ძველი ალანების ანუ ირანების ენა თურმე, ინდო-ევროპიულის მოდგმისა; ოსური ლექსიკონი წარმოგვიდგენს სპარსულს, ფეჰლევურს, გერმანულს სლავიანურს და სანსკრიტულს. ქართული ენა შეიცავს სიტყვებს: სანსკრიტულს, სპარსულს, ზენდურს, ბერძნულს, ლათინურს, სომხურს; შეიცავს აგრეთვე: მანჯურულს, სამოედურს, ვოგულურს, თურქულს, მონგოლურს, ფინნურს, ჩინურს [1].

რამდენადაც აქამომდე გამოკვლეულია საზოგადოდ კავკასიური ენები, ამ გამოკვლევით ჩვენ შეგვიძლიან ახლა შემდეგი დასკვნა დავდოთ. კავკასიური ენები იყოფებიან რამდენსამე მოდგმად: ერთ მოდგმას შეადგენენ ქართულის ნათესავის ენები; იმათგან ერთია ქართლ-კახეთისა და იმერეთის ენა; მეორეა მეგრული თავის განყოფილებით—ლაზურით ანუ ჭანურით; მესამეა სვანური. მეორე მოდგმას ეკუთვნიან აღმოსავლეთის მთის ენები, ანუ ჩეჩნური, დაღისტნური ანუ ლეკური: ავარიისა, ყაზი-ყუმუხისა, დარგისა, კურინისა, ტაბასარანისა, ანდიისა, კუბაჩინისა, რუგულისა, ცახურისა და უდინისა. მესამე მოდგმისანი არიან დასავლეთის მთის ენები: აბხაზური და ჩერქეზული იმათის დიალექტებით. თვითოეულს ამ მოდგმა-მოდგმათა ენებში ერთი მეორესთან ნათესავური დამოკიდებულობა ახლა ეჭვ გარეთ არის; მაგრამ არც ერთის სამის მოდგმის ენათაგანის შორეული გვაროვნობა ჯერ-ჯერობით არ არის გამოძებნილი. ის ენები კი კავკასიისა, რომელთაც ხსენებული გვაროვნობა ცნობილია, არიან: ირანის მოდგმის ენები: ტატური (ტაჯიკური), ბაქოს გუბერნიაში; ამათი მონათესავე ენაა ახალი სპარსული; ტალიშური, რომელშიაც ჰპოულობენ ზენდურის ენის ხასიათსა; ქურთული ძველის

1. Klaproth, *Voyage, au Mont Caucase*. Paris, 1823,II, 289—544.

მიდიის ენაა; ამტკიცებენ, ვითომც ამ ენას ჰქონდეს კავშირი ოსურ-თან; ოსური ანუ ახალ-სპარსული ენა, თუმცა იგი ამ ენაზე უფრო ძველ ფორმებს შეიცავს; სომხური, რომელიც, როგორც აქამომდე ამტკიცებდნენ, შეადგენდა ერთ გვარს ენას ძველის სპარსულისა და ძველის ბაქტრიულის ენებითურთ და რომელიც, როგორც ახლა ფიქრობენ, წარმოადგენს ნაშთს განსაკუთრებითის ამოწყვეტილის გვარისას; შორეულნი იმისნი მონათესავენი კი არიან ირანულისა და სლავიანო-ლიტვურის ენების გვარნი; თურქულ ენებს შეადგენენ: მულალური, ადერბეიჯანული თათრული, კუმიკური, ნოღაური, ყარაჩაული და კალმიკური.

დაღისტანის ენებზე ლინგვისტიკა ისტორიულ ფაქტებსაც იძლევა. ამ ფაქტებით შეუცდენლად შეგვიძლიან ვუჩვენოთ, რომ იმათნი წინაპარნი შემოსულან ამ მხარეში ჩრდილოეთით, რომ ის ქვეყანა, სადაც იმათ მანამდე უცხოვრიათ, ყოფილა დაცემული და ცივი ქვეყანა. ამასთანავე ხსენებული ფაქტები გვაძლევენ ზოგიერთს ცნობებსაც დაღისტნელების წინაპართა ისტორიულის წინა-დროების კულტურაზე" [1].

შესახებ ქართულის ნათესავის ენებისა ამას წინად ის აზრი იყო გავრცელებული, ვითომც სათავეში ამ ნათესავისა იყოს ინდო-გერმანული, დაკავშირებული სომხურის ენის შუა-მდგომელობით სანსკრიტულთან, ძველს სპარსულთან და ზენდურთან. „წინააღმდეგ ამ აზრისა, ამბობს გატტერიასი, რომელსაც შეუსწავლია ქართული ენა, ახლა შეგვიძლიან დავსკვნათ, რომ მომეტებული ნაწილი ქართულთა სახელ-არსებითთა და ყველა იმის ფესვთა ეკუთვნიან განსაკუთრებითს გვარსა, რომელსაც ჩვენ ვუწოდთ ქართულ გვარად. თუ მომეტებული ნაწილი ამ სიტყვებისა იპოვება სომხურს ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინი სომხურს ენას შეუთვისებია ქარ-

1. Патканова. *О мѣстѣ, занимаемомъ армянскимъ языкомъ въ кругу индо-европейскихъ.*—Изв. Кавк. Отд. Геогр. Общ., VI, № 1, стр. 27—50; Загурскаго, *Замѣтка объ изслѣдованіи кавказ. языковъ*—Протоколы Предварительнаго Комитета V арх. съѣзда, стр. 105—124;

თულის ენიდამ, რომელიც ოდესმე დიად გავრცელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხითში, ვიდრე არიელების შემოსვლამდე. შესაძლებელია, რომ თვით ენა ალბანელებისა იყო შეკავშირებული ქართულის ენის ნათესაობასთან და თუ ეს ჰიპოტეზი შესაწყნარებელია, შესაწყნარებელი უნდა იყოს ის აზრიცა, რომ თავ-და-პირველად ქართველების მეზობლად უცხოვრნიათ ალბანელებს, რომელნიც ბოლოს დროს დაუშორებიათ იმათგან სომხებს-არიელებს)“ [1]. იგივე გატტერიასი ამბობს თავის ისტორიულს თხზულებაში სომხითზე: „სომხურის ენის ლექსიკონი, ღარიბი სემიტურის სიტყვებითა, შეიცავს მრავალს სიტყვებს, შეთვისებულს ქართულიდამ და სხვა კავკაზიურის ენებიდამ, რომელთაც უმოქმედნიათ იმის სინტაქსის წარმატებაზე. ამისგამო შეუძლებელია ნამდვილად სომხურის ენის შესწავლა, თუ რომ წინათვე შესწავლული არა გაქვთ ქართული და სხვა კავკაზიური ენები“. „ქართულის შესწავლით მე ვცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხურის ენის გამოკვლევისათვის და ვიდრე სომხურის ენის გრამმატიკას გამოვცემდი, შევუდეგ თვით ედ. დიულორიეს რჩევითა ქართულის შესწავლასა იმ განზრახვით, რომ გამომეკვლია, რა ეკუთვნის სომხურში ქართულს ენასა. უამისოდ სომხური გრამმატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეტოდსა [2].

---

1. Gatteyrias, *'Etudes linguistiques sur les langues de la famille géorgienne*—Revue de linguistique, 15 juillet, 1881, p 275—311.—2. იმისივე *L'Arménie et les Arméniens*. Paris, 1882, p. 75, 141,

# კარი მესამე

## საქართველო და იმისნი უძველესნი ადგილობრივნი ცნობანი

I. კავკასიის დედა-მიწის გულში ჩამარხული არხეოლოგიური წყაროები.

II. „ქართლის ცხოვრება".—რა დროებს ეკუთვნის იმისი შედგენა და რა გვარ ისტორიულ საუნჯეს წარმოგვიდგენს იმისი შინაარსი.—განხილვა „ქ-ცხბის" ფაქტებისა ჩვენის ისტორიის მსვლელობაში.

III. სულ ახლად აღმოჩენილი მე-IX საუკუნის მანუსკრიპტში შეტანილი ძველი ქართული მატიანე.

ჩვენნი წინაპარნი, როგორც ახლა ვიცით, ძველის-ძველად მოკრებილან პონტო-კავკასიის მხარეში, სამხრეთ-აღმოსავლეთით, და სხვა-და-სხვა თქმულება ქალდეო-ასსირიული, ებრაული და ელლინური იმათ უკანა ნაწილს უჩვენებს ეფრატის სათავეებში და ჭალისის ლელე-მინდვრებში. ეს თქმულება, მართალია, იმათ მისთვისებს სხვა-და-სხვა სახელ-წოდებას, მაგრამ ძველნივე მწერალნი, სახელდობრ ჰეროდოტი და სტრაბონი ჰმოწმობენ, რომ იგინი შეადგენდნენ ერთ მონათესავე გრუპპას, რომელიც შეიცავდა სამს უმთავრესს შტოს, დაგლეჯილს რამდენსამე მცირე ნაწილებად. ეს შტონი არიან: მუსკაი, მოსხნი (შემდეგ მესხნი), ტაბალნი, ტუბალნი, ტიბარენნი, ბოლოს იბერნი. იმათი ისტორიის წინა-დროთა არხეოლოგია რომ ჩვენ გამოკვლეული გვქონდეს, შეიძლებოდა იმათ ყოფა-ცხოვრებას, დამოკიდებულებას ერთისა მეორესთან და უცხო ტომ-ნათესავებთან შევხებიყავით; მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ნაკლულადა ვართ. მხოლოდ რამდენიმე, წელიწადია მას აქეთ, რაც შემთხვევით მივაწყდით

უძველესს წყაროს ჩვენის ისტორიისას. 1870 წელს, როდესაც მცხეთაში გაჰყვანდათ შოსსე-გზა, აღმოჩნდა სამთავროს გვერდით ძველად-ძველი სასაფლაოები, რომლებზედაც მაშინვე მიაქციეს ყურადღება. იმ სასაფლაოებში ნაპოვნი ნივთეულობა, რომელზედაც შემდეგ გვექნება საუბარი, მომეტებულ ეკუთვნის იმ დროებს, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში შემოვიდოდა ქრისტეს აღსარება და ცხადად ჰმოწმობს ზემო-ხსენებულს გავლენას ჩვენზე ქალდეო-ასსირიელებისას, ფინიკიელებისას, ელლინებისას და რომაელებისას. უეჭველია, რომ ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავი-ზღვის პირად უნდა აღმოჩნდეს მრავალი ძველი ნივთეულობა, რომელიც ნათელს მოჰფენს ჩვენს წარსულს საუკუნოებსა.

ვიდრე იმ დროს მოვესწრობოდეთ ჩვენ უნდა ვიკმაროთ იმ წყაროებით, რომლებიც ჯერ-ჯერობით ხელათა გვაქვს. ამ წყაროებში პირველი ადგილი უკავია ბროსსეს შრომასა. ამ შრომას შეადგენენ როგორც „ქართლის-ცხოვრება“, აგრეთვე სხვა და სხვა-გვარნი იმისნი დამატებანი, ბროსსესაგან შემოგროვილნი, განსილულნი და გამოცემულნი.

რადგან, როგორცა ვთქვით, ჩვენს ისტორიაში უმთავრესს წყაროდ ჩვენ გვექნება „ქართლის-ცხოვრება“, აქ საჭიროდ ვხედავთ განვმარტოთ, თუ რა ღირსების წყაროდ მიგვაჩნია ეს წყარო.

ჩვენ დროში მსწავლულნი საზოგადოდ დარწმუნებულნი არიან, ვითომც „ქართლის-ცხოვრება“ გასტანგ მეექვსისაგან იყოს სომხურის ხრონიკებიდამ და სხვა-და-სხვა ცნობებიდამ შედგენილი. ამ აზრს ამყარებენ „ქართლის-ცხოვრების“ სათაურზე, რომელიც გვამცნევს, ვითომც გასტანგ მეფეს „მოეხვნეს გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეემოწმებინოს „ქართლის-ცხოვრება“ და რომელი გარყვნილ-იყო განემართოს და სხვაცა წერილნი მოეხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოეხვნენ და ესრედ აღეწერინოს“. ამ სათაურზედვე დაუფუძნებია ამ ცოტა ხანში ერთ მეცნიერსა დედა-აზრი თავის სტატიისა, რომლითაც იგი უარ-ჰყოფს „ქ-ცხზის“ სიძველესა და ამასთანავე ამტკიცებს, ვითომც ის იყოს შედგენილი სომხისაგან

სომხურს ენაზე მეთორმეტე საუკუნეში და ვითომც ვახტანგზე წინა დროის ქ-ცხბა არ მოიპოებოდეს[1].

როგორც ხსენებული სათაური, აგრეთვე ეს უკანასკნელი აზრი ყოვლადვე უსაფუძლოა. ვახტანგ მეფეზე ჩვენა გვაქვს ცნობები, რომელნიც დაწვრილებით გვისატკვენ ყოველ შემთხვევას იმის ცხოვრებისას; მაგრამ „ქართლის-ცხოვრების“ შედგენას თუ შესწორებას ვახტანგის მიერ არც ერთი მათგანი არ იხსენიებს.

მაშ საიდამ წარმოსდგა ხსენებული სათაური? საქართველოს წარსულ ჟამთა მატიანე იყოფა ორ განყოფად: პირველი ანუ „ქართლის-ცხოვრება“ თავდება მეთოთხმეტე საუკუნეში, გიორგი ბრწინვალის დროს; მეორე შეიცავს შემდეგ საუკუნეთა გამოკვლევასა. მეორე განყოფის მატიანე შეუწყვეტლის არეულობის გამო საქართველოში არა ყოფილა შემუშავებული და რიგზე აღწერილი და აი რას ამბობს ამ საგანზე ვახუშტი თავის ისტორიის წინა-სიტყვაობაში: „თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და ეკლესიებთა წიგნებთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელნი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე; ყოველთა მეფეთა და მთავართა და სხვათა ვიუწყებთ ხსოვნა-მოთხრობათა და მცირეთა ცხოვრებათა მათთა წარწერითაცა, არამედ გარჩევა საჭირო არს და უხმს შრომა დიდი. გარნა ამის გარჩევისათვის წარმოვთქვათ ბრწყინვალე გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე. ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მეფისა ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ და თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი...“ შემდეგ ამისა ვახუშტი უჩვენებს ქრონოლოგიურს შეცდომებს ამ აღწერილობისას და წინა-სიტყვაობას აბოლოებს ამ სიტყვებით: „ხოლო ჩვენი შრომა ამისთვის იყო, ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესოდენნი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორეთ და

1. Профессора Патканова, *О древней грузинской хроникѣ* — Журналъ Министерства народнаго просвѣщенія, декабрь 1883 г. — ამ სტატიის შესახებ ნახე ჩემი სტატია „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“. ტფილისი, 1884 წ.

განვმარტეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ სთქვას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაიმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრედ, ვითარცა აღვწერეთ, ვინაიდგან ნათესაობისა ქრონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შემცდომილ არს"[1]. ამ ვახუშტის სიტყვებიდამ ჩვენ ის აზრი გამოგვაქვს, რომ იმისგან დაწერილი ახალი ისტორიული ცხოვრება ჩვენის ქვეყნისა უნდა იყოს თვით ის აღწერა, რომელიც ვახტანგის ბრძანებით შეუდგენიათ და ვახუშტის ეს აღწერა მხოლოდ შეუსწორებია და შეუვსია კიდეცა[2].

წინა-სიტყვაობა ვახუშტისა, რომელსაც ჩვენ ვუჩვენებთ, ჩართული ბროსსესაგან გამოცემულს „ქართლის-ცხოვრებაში" და ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ახალის ქართულის მატიანის დამწყების სახელი, ესე იგი ვახტანგისა მიუთვისებიათ თვით „ქართლის-ცხოვრებისათვის", ასე რომ ორს „ქართლის-ცხოვრების" ძველს ვარიანტში, რომელნიც ვახტანგის წინად არიან გადაწერილნი და ეკუთვნოდნენ თეიმურაზ ბატონი-შვილს, დასაწყისში სხვა ხელით არის დაწერილი ხსენებული სათაურის ფურცელი და ეს არის საფუძველი შეცდომის გავრცელებისა. ამის გამო შეცდომაში, თვით თეიმურაზ ბატონი-შვილი. რაც კი იმას თავის ისტორიაში „ქართლის-ცხოვრებიდამ" გამოაქვს, ყველას იგი მეფე ვახტანგს მიაწერს. ამ შეცდომაშივე იმყოფებოდნენ ევროპიელთაგანნი ქართულის ისტორიის გამომძიებელნი: კლაპროტი, სენ-მარტენი და

1. იხილე ქართ. ტექსტი, ნაწ. II, გვ. 1—10.—*H. de la G.*, II, 1 livr., 1—10.—2. ამ საგანზე საჭიროდ ვხადით ვუჩვენოთ ერთი შესანიშნავი შენიშვნა, რომელიც ჩვენ ამოვიკითხეთ ერთს ვახუშტის ისტორიის ვარიანტში და რამდენად არის ჭეშმარიტი ეს შენიშვნა მომავალის გამოკვლევისათვის მიგვინდვია. იგია ჩართული დავით რექტორის ხელით გადაწერილს „ქართლის ისტორიაში". „ხოლო ეს ქართლის ისტორია (ესე იგი კერძო ცხოვრება ქართლის სამეფოსი), ამბობს დავითი, პირველ მეფეს ვახტანგს თვით ეკეთებინა ქართლს მყოფობასა და მერმე რუსეთს ძველთა გუჯრებთა და ცხოვრებათა და მოხუცებულ-მახსოვარ მეცნიერთა საქართველოს კაცთაგან, ბატონიშვილის ვახუშტის თანა-ხლებითა და არღა დასცალებოდა თანამდებობისაგან სიკვდილისა. მერმე მეფე რომ ასტრახანს გარდაცვალებულიყო, ვახუშტის შეესრულებინა და არს აქ მეფის ერეკლესამდის" (ჩემი სტატია "პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები", გვ. 9, შენიშვნა).

ბროსსე; მაგრამ როდესაც ბროსსემ ძველადვე სომხურად ნათარგმნი და მეთორმეტე საუკუნემდე მიყვანილი „ქართლის-ცხოვრება“ (*Chronique arménienne*) შეუთანასწორა ძველ დედნებს ანუ ვარიანტებს „ქართლის-ცხოვრებისას“, პირ-და-პირ გამოსთქვა; „ამის შემდეგ მე აღარ შემიძლიან „ქართლის-ცხოვრება“ მეფე ვახტანგს მივაწერო; მაინც კი ბროსსემ სრულიად ვერ უარ-ჰყო ღრმად დანერგილი შეცდომილება და იგი მაინც რაღაც შრომას ვახტანგისას ჰხედავს „ქართლის-ცხოვრებაში“, თუმცა არ იცის, რა შრომაა ის შრომა[1].

საქართველოს ისტორიული მატიანე ძველის დროდამვე ცნობილი „ქართლის-ცხოვრებად“. ასე უწოდს მას ზემოდ ხსენებული „სომხური ხრონიკა“, ანუ უკეთ „ქართული ხრონიკა“, რომელიც თავდება დავით აღმაშენებლის სიკვდილით 1125 წ. არ იციან, როდის არის იგი თარგმნილი სომხურ ენაზე; მაგრამ ჩვენის ფიქრით, ეს თარგმანი ეკუთვნის დავითის თანა-მედროვეს. „თვით ჩვენის თვალით გვისილავსო—ასე აბოლოებს მთარგმნელი თავის შრომას—სოლომონ ბრძენის სიტყვების აღსრულება დავით მეფეზე“. დავითის შემდეგ რომ თარგმნილიყო ეს ხრონიკა, უეჭველია, მთარგმნელი მომავალს ცხოვრებასაც განაგრძობდა. „ქართლის-ცხოვრებადვე“ სახელ-სდებს ქართულ მატიანეს მეცამეტე საუკუნეში სტეფანოზ ორბელიანი. მცხეთის ერთი გუჯარი 1546 წლისა, რომელიც ახლა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაშია, მცხეთის წიგნთა საცავში იხსენიებს, სხვათა შორის, „ქართლის-ცხოვრებას“[2]. ჩვენ დრომდე მოუღწევია ვახტანგ მეფეზე ადრინდელს სამს ვარიანტს „ქართლის-ცხოვრებისას“: ერთია ხუცურად ნაწერი და ეკუთვნის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიასა; მეორე მხედრული რუმიანცო-

1. *H. de la G.*, II, 2 livr.—*Introd.* p. XXVIII.—2. ჩვენის ფიქრით ეს ვარიანტი უნდა ჰქონდეს მხედველობაში სამეგრელოს მთავრის წიგნთა-საცავის ეგზემპლიარს „ქ-ცხბისას“, რომელიც ახლა ეკუთვნის ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ და ჯერ-ჯერობით შესწავლული არ არის. ამ ეგზემპლიარის ბოლოს ჩართულია შემდეგი: „სამი დედანი ვნახე, ასე აკლდა-მცხეთისა, მეფისა და ერისთვისა, და ჰპოებთ თუ ვინმე და მასურვებთ, ღირს არს მიზდი მშრომელისა, დიდად მმადლობელ გექმნები“.

ვის მუზეუმშია; მესამე მხედრულივე, გადაწერილი 1636—1646 წ. როსტომ მეფის ცოლის მარიამისათვის. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ სხვა ძველი ვარიანტებიც უნდა აღმოჩნდეს საქართველოს კერ-ძო სახლებში და მონასტრებში [1].

ჩვენ უმიზეზოდ არ ვუწოდთ „ქართლის-ცხოვრების“ დედნებს ვარიანტებად. რამდენი დედანიც კი არის ახლა სხვა-და-სხვა დროისა, ყველა განსხვავდება ერთი მეორისაგან თავის შინაარსით და რაც ძველია დედანი, ისე განსხვავებაც მეტია. „ქართლის-ცხოვრების“ დაბეჭდვის დროს ბროსსე ხელმძღვანელობდა ოთხისა თუ ხუთის ძველისა და ახალის დედნით და თვითოეულის მათგანის ღირს-სახსოვარი გან-სხვავება ჩართულია იმისგან დაბეჭდილს „ქართლის-ცხოვრებაში“; მაგრამ, საუბედოდ, ისეა ჩართული, რომ თუ ზედ-მიწევნით არა გაქვთ ცოდნა ამ საგანზე, თქვენ არ შეგიძლიანთ შეიგნოთ რა ეკუთვ-ნის ძველს დროსა და რა-ახალსა. ამისგამო თქვენ იბნევით, და აუცილებლად შეცდომაში შესდიხართ. აქ საჭიროა ხანგრძლივი შრომა, რომ ეს შეცდომა აიცილოთ თავიდამ; საჭიროა შედარება ერთის ვარიანტისა მეორესთან და მესამესთან.

გამოჩენილნი ევროპის მსწავლულნი, რომელნიც კი „ქ-ცხბის“ გან-ხილვაში შესულან, თითქმის ერთ-გვარ მსჯელობენ იმის დასაწყი-სის დროის ცნობებზე. იმათ შორის: გივიენ სენ-მარტენი ამბობს: «როდესაც ჩვენ გამოვიკვლიეთ სომხითის ძველი წყაროები, ჩვენ მწუხარებას მიგვცა იმ ფიქრმა, რომ არც ერთს დოკუმენტს სომხურის ისტორიის პირველ-დროებაზე ჩვენამდე არ მოუღწე-ვია თავის საკუთარის სახით, ვიდრე ადგილობრივს თქმულებას შესცვლიდა ქრისტიანობის დროს შემოტანილი ბიბლიური თქმულე-ბა. ახლა ჩვენ ვჰსედავთ, რომ ამ ნაკლულევანებასა ჰშველის ისტო-რიული დოკუმენტი ქართველის ტომისა, რომელიც ცხოვრობდა კავკასის ღრმა-ღელეებში და რომელზედაც უცხო-ტომთ უფრო

1. აქ უადგილო არ იქნება ამ საგანზე მოვაგონოთ მკითხველს ვახუშ-ტის სიტყვები: „დედანი იგი მატიანისა („ქართლის-ცხოვრებისა“) შეურყევე-ლად ჰგიეს არა ერთი, არამედ მრავალი“. ნახე ჩემგან გამოცემულის ვახუშტის ისტორიაში „წინა-სიტყვაობა პირველი“, გვ. VI).

სუსტი გავლენა ჰქონიათ. თუმცა ქართულ გარდამოცემაშიაც შეინიშნება ქრისტიანობის გავლენა, მაგრამ ეს გავლენა იმ გვარი არ არის, რომ იმას შესძლებიყო ადგილობრივის ძველის თქმულების შესუსტება. ის დიდს სინათლესა ჰფენს არა თუ პირველ ჟამთა ისტორიას საქართველოსას, არამედ მთელს შთამომავლობასაც კავკასიელებისას შეერთებით. ის ეთანხმება მე-X თავს დაბადებისას. ამ თანხმობას ვხედავთ როგორც სახელ-წოდებაებში, აგრეთვე ფაქტების წარმოდგენაში. რა საკვირველია, არ შეიძლება რწმუნება მისცეთ სრულებით ამ ფაქტებსა, თვით ქართველების გენეალოგიასა; მაგრამ როდესაც თქვენ უპირდაპირებთ და ადარებთ „ქართლის-ცხოვრების“ საფუძველს ერთის მხრივ დაბადების გარდამოცემასა, მეორის მხრივ სხვა უცხოტომთ თქმულებასა, მაშინ თქვენ რწმუნდებით, რომ საქართველოს ძველი თქმულება თუ უალმატებულესის ავტორიტეტის ღირსი არ არის, ნაკლები მაინც არ არის იმ ფაქტებზე, რომელნიც კრიტიკას აღმოუჩენია ჰეროდოტისა და ტიტ-ლივის ძველს თქმულებაში [1].

2. ქ-ბ-ის გარდამოცემით (გვ. 23, შენ.), ბერძენნი (შავი-ზღვის პირის კოლონიებისანი) და ქართველნი ურთიერთ შორის მეგობრულად თურმე იყვნენ შეკავშირებულნი და პირველნი უკანასკნელთ ბრძოლაში შემწეობას თურმე აძლევდნენ. ამ გარდამოცემის გამო ჟიულ სენ-მარტენი სწერს შემდეგს: „ბერძნების მეისტორიეთა არ დაუტოვებიათ არა-ვითარი ცნობა, რომ იმათ კოლონიებს შავი-ზღვის პირად ჰქონიყოთ ბრძოლა კავკასიელებთან; მხოლოდ ქართლის-ცხოვრებისაგანა გვაქვს გარდამოცემული ეს ცნობა, რომელიც უეჭველი ჭეშმარიტებაა“ [2].

3. ამ-გვარვე ფიქრობს დიუბუა დე-მონპერე ქართლის-ცხოვრების გარდამოცემის გამო ხაზარებზე ანუ ევროპიელთ მწერალთა —სკვითებზე, რომელნიც ეკუთვნოდნენ ძველადვე ვრცლად გავრცელებულს საშუალო-აზიაში ტურანის მოდგმას (თუნგუზნი, მონგოლნი, თურქნი) და რომელთაც შემდეგ დაიჭირეს მთელი სივრცე დაღისტანის

1. *Recherches*.., 53, 54 72.—2. S-Martin, *Mém. sur. l'Arm.*, II, 190. п. е.

საზღვრიდამ მოყოლებით კავკაზის ჩრდილოდ ვიდრე შავ-ზღვამდე და ტავრო-ხერსონამდე ანუ ახლანდელ ყირიმამდე და ქ-ცხბით გადმოსასხლეს კავკაზში მიდიის ქვეყნიდამ დატყვევებულნი წინაპარნი ოვსთანი. ეს გარდამოცემა ქ-ცხბისა ხაზარებზე, დიუბუას მოაზრებით, სრულებით ეთანხმება ჰეროდოტის თქმულებას სკვითებზე, რომელიც მესუთე საუკუნის დამდეგს შეეხება და თვით გადმოსახლება მიდიურის კოლონიისა ამტკიცებსო ამ ისტორიულ ფაქტსა[1].

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ევროპიელთ სკვითნი პირველად იხსენებიან ხაზარებად ბიზანტიის მწერალთაგან ქრისტეს შემდეგ მეშვიდე საუკუნის დამდეგს; მაშინ როდესაც ამ სახელს უწოდს იმათ ქ-ცხბა ბევრით ადრე ქრისტეს წინად—თუ რომ იგი შემდეგში არ არის იმაში შეტანილი—და თვით მოსე ხორენელი ხაზირებად მეორე საუკუნეში ქრ. შემდეგ. რომ ამ სახელ-წოდებას ისტორიული საფუძველი აქვს ძველის-ძველადვე, ამას გვიმტკიცებს შემდეგი ფაქტები: ზენდ-ავესტა კასპიის ზღვას უწოდს ვოურუ-ხაჩად; თვით სპარსელები ხოზერად და იმის ნაპირ მცხოვრებთა ხაზარებად, საიდამაც უნდა იყვნენ წარმომდგარნი სახელ-წოდებანი ქ-ცხოვრების ხაზარეთის (კასპიის) ზღვა და ხაზარნი[2].

4. ვიკტორ ლანგლუას აზრით, დიდი ქართული ხრონიკა, რომელსაც „ქართლის-ცხოვრება“ ეწოდება, წარმოგვიდგენს ქრისტეს მოსვლამდე და თვით იმის აღსარების შემოტანამდე ქართლში ქართულის ტომის დასაწყისზე ზღაპრულს თქმულებასა. დასაჯერებელია, რომ აქ ძველი ეროვნული გარდამოცემა გაუქმებიათ ქრისტეს სჯულის მიღების დროს, როგორც ეს მოხდა თვით სომხეთში წმინდა გრიგოლის ქადაგების დროსა. სჩანს კიდეცა, რომ „ქართლის-

1. Dubois, *Voyage..*, II, 25—28. ახლა ამტკიცებენ, ვითომც ოსების წინაპარნი მოსულიყვნენ კავკაზის მხარეში ჩრდილო გზით კასპიისა. ამაზე ნახე Всеволода Миллера, *Осетинскіе этюды*. Москва, 1887 г. часть третья. стр. 100—101.—2. Gobineau, *Histoire des Perses*. Paris, 1869, I, 11. 102, 178, 201; II, 147. ამ საგანზედვე ნახე Патканова, *Исторія агвань Каганкатваци* (х. в.)—Спб., 1861, стр. 321—322.

ცხოვრების“ პირველ ხანათა შემადგენელნი ყოფილან ბერები, რომელთაც ჰქონიათ მხოლოდ ცნობა საღმრთო-წერილისა და რომელთათვისაც იგი ყოფილა იმათ წყაროდ. ეს მარტო ქართველ მეისტორიებზე არ ითქმის: ჩვენ ვიცით, რომ თვით სომხითის მეისტორიენიც ამ-გვარ სისტემას ადგანან და ამისთვის აქაც შედეგი ერთი და იგივეა. ცხადია, რომ ძველი „ქართლის-ცხოვრება“ შეიცავს ორს ხანასა: პირველია აღბეჭდილი ზღაპრულის ხასიათით და ქრისტიანულს ნიადაგზე აშენებული და ეს ხანა დროითი დრო აღმოგვიჩენს კვალს ძველის გარდამოცემისას; მეორე ხანა იწყობა იმ დროდამ, როდესაც ქრისტეს ჯვარმა საქართველოში აღმართა თავისი დროშა. ამ დროდამ იღვიძებს ეროვნული აზრი; იწყობა ბრძოლა ცეცხლის-მსახურებისა და სპარსეთის გავლენის წინააღმდეგ; მე- VI საუკუნიდამ კი ქართული ისტორია სრულებით ჰკარგავს ძველს მიფიურს ხასიათსა და იჭერს საჩინო ადგილს აზიის ისტორიის ასპარეზზე. მემატიანენი მეფეების ხელმძღვანელობის ქვეშ თავის ხრონიკებში აღნიშვნენ ისტორიულს მსვლელობას საქართველოსას და ქართული ფულიც იჭედება ქართულის წარწერაებითა“[1].

„ქართლის-ცხოვრების“ თვით ჩვენმა საკუთარმა გამოკვლევამ ჩვენ აღმოგვიჩინა შემდეგი ფაქტები.

თუ მარტო პალეოგრაფიის მხრით განიხილავთ „ქართლის-ცხოვრების“ ვარიანტებს, უეჭველად დარწმუნდებით, რომ ძველი „ქართლის-ცხოვრება“ წერებულა იმ დროს, როდესაც მხედრული ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ ხუცური ანბანი იყო გავრცელებული. როგორც ვიცით, სუცურში ზოგიერთი ასოები, მაგ. შ და ბ; ტ და მ, ი და დ ერთმანერთში ძნელად გაირჩევა; ამისგამო მწერლებს ძველადვე ეს ასოები მხედრულის ხელით გადაწერილს „ქართლის-ცხოვრებაში“ აურევიათ და ამ მიზეზით, მაგალ., ნაცვლად შიოშისა, არშაკისა, არდაშირისა, მობიდანისა, შაბურისა, აბალასი,

1. Langlois, *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie*. Paris, 1860, p. 9—10.

შანქორისა, დარიალანისა, ჯავანშერისა, მურღულისა ჭკითხულობთ ბიობ, არბაკ, არდაბირ, მოშიდან, ბაბურ, აშალ, ბანქორი, ჯავანშერი, დარღალანი, მურღული და სხ. ეს შეცდომა ხშირია და ამისი კვალი დარჩენილია თვით მეთორმეტე საუკუნის „სომხურს ხრონიკაშიაც“, რომელიც ზევით მოვიხსენეთ და მეცამეტე საუკ. მხითარ აირივანქელის „ხრონოლოგიურს ისტორიაშიაც“.

თვით ლექსთა-წყობა და გრამმატიკული ფორმები ძველის „ქართლის-ცხოვრებისა“ აღმოაჩენენ საგრძნობელს განსხვავებას, თუმცა იმათ მომავალის საუკუნოების კალმის კვალიც კი დასტყობია. გარდა ამისა, „ქართლის-ცხოვრებაში“ ვპოულობთ იმისთანა ლექსებსა, რომელნიც შემდეგ საზოგადოდ არიან მიღებულნი, მაგრამ ძველად კი ან არ იხმარებიან, ან განსხვავებულის აზრით იხმარებიან, მაგ. ბიძა, პაპა სულ არ ამოიკითხვის და ამათ მაგიერ იხმარება: მამის ძმა, დედის ძმა, მამის მამა; თარგმანი იხმარება მთარგმნელის ნაცვლად: „კანანელთა თარგმანთა“, «მოუწოდა თარგმანსა». ხშირია სეფე და ამ ლექსიდამ წარმომდგარი რთული სიტყვა: სეფე-შვილი, სეფე-ქალი, სეფე-წული, სეფის-პირი, სეფე-მწიგნობარი, სეფენი ქვეყანისანი, სეფე-დროშა, სეფე კენახი. ხარაკა სულ ძველად, შემდეგ „ხარკი“, მასუკან „ხარაჯა“, სულ ბოლოს „ხარჯი“. სანახები ნაცვლად სიტყვისა-საზღვარი, გარეშემო ადგილები: „სანახები ქართლისა“; «არენი და სანახებნი ქართლისანი». მსგეფსი—შვიდეულის მაგიერ ან სწორის-სწორისა: „დაიბანაკეს მსგეფსი ერთი“; „დაჰყუეს მუნ მსგეფსი ერთი“. მრავალია «ქართლის-ცხოვრების» ძველს ნაწილში ამ-გვარი ლექსები, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ თვით სახარების უძველეს ვარიანტებში და სხვა მანუსკრიპტებში.—სხვა-და-სხვა ფაქტებით ბროსსე ამტკიცებს, რომ ქართული ხუთასიანი ანუ სირიული ქორონიკონი შემოღებულია 780 წ. ქრისტეს შემდეგ. ამ საგანზე რა საბუთს გვაძლევს „ქართლის-ცხოვრება“? სულ ძველად იგი სმარობს ხრონოლოგიას ხან დასაბამიდამ სოფლისა, ხან ქრისტეს შობიდამ თუ ამაღლებიდამ, ხან რომლისამე საჩინო შემთხვევიდამ, მაგ. „სვეტიცხოვლის აღმართებიდამ“; «მირვანიდგან ვიდრე...“ და სხვ. ხუ-

თასიან ქორონიკონს პირველად ხმარობს „ქართლის-ცხოვრება" აშოტ კუროპალატის სიკვდილის ჩვენებაში. აშოტი მეფობდა 786—826 წლამდე. შემდეგ ამისა „ქართლის-ცხოვრება" ყოველთვის ხუთასიან ქორონიკონსა ხმარობს.—ძველი «ქართლის-ცხოვრება» შეიცავს ერთს შესამცნევ ფაქტსა, რომელიც გვაძლევს შეურყეველს საბუთს თავის სინამდვილისას. „ქართლის-ცხოვრება" აშოტის შვილის გვარამის დროდამ († 883) ტაო-კლარჯეთის მფლობელთ უწოდს მამფლეებად, როგორც კახეთის მფლობელთ—ქორიკოზებად. ლექსი მამფალი უდრის შემდეგის საუკუნოების მთავარსა და იხმარება მხოლოდ მეათე საუკუნის გასვლამდე, როდესაც მამფლები ერთ-მპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში გაჰქრნენ. ამავე ლექსსა ხმარობს, როდესაც ტაო-კლარჯეთის მპყრობელთ შეეხება მეათე საუკუნეში ბიზანტიის მწერალი კონსტანტინე პორფიროგენი და ხმარობენ აგრეთვე იმავე დროსათვის მეთერთმეტე საუკუნის მემატიანე სტეფანოზ აზოჰიკი და სხვა-და-სხვა ქართული მანუსკრიპტები და გუჯრები. საკვირველია, რომ ლექსი მამფალი ტაო-კლარჯეთის საზღვრებს თითქმის არ გასცილებია და ამასთანავე მეთერთმეტე საუკუნიდამ არც მატიანებში, არც სხვა ძველ მწერლობაში აღარ ამოიკითხვის.

რომ ჩვენს ძველ მწერლობას ზოგიერთი ნამდვილი საკუთარი ცნობები ჰქონია მირიანის უწინდელს საქართველოზე; რომ მირიანის დროდამვე არა თუ იწერებოდა ქართული ისტორია, არამედ ვრცელდებოდა კიდეც უცხო-ქვეყნების მწერლობაში, ამ აზრს აცხოველებს, ჩვენის ფიქრით, შემდეგი ისტორიული ფაქტები.

ფარნავაზის მეფობაში (302—237 წ. ქრისტეს წინ) „ქართლის-ცხოვრება" იხსენიებს ასურისტანის ანუ სირიის მეფედ ანტიოქოზს. ანტიოქოზი იმ დროს ორი იყო და უკანასკნელი მათგანი მეფობდა 261—244 წ. ეს ანტიოქოზი უნდა ჰყვანდეს მხედველობაში „ქართლის-ცხოვრებას". მირვან I-ის დროს(162—112) სირიის მეფეა ანტიოქოზვე და სომხითის არშაკი. მართლაც, ხუთთა ანტიოქოზთა შორის უკანასკნელი მეფობდა 112—94 წ. და სომხითში არშაკი 127—113 წ. ქ-ცბით მეფეს ფარნაჯომს (112—93) შე-

მოაქვს ქართლში სჯული დიდული ანუ ცეცხლის მსახურება და ქართლის ერისთავნი სომხითის მეფეს გამოსთხოვენ შემწეობას და შვილს მეფედ. მართლადაც, იმ დროს სპარსეთში გაძლიერებული იყო ცეცხლის-მსახურება და სომხითის მეფე არტაშეზ I იყო მკაცრი კერპთ-მსახური.—არტავს (81—66) არტაგოსად იხსენიებენ პომპეის დროს რომაელთ მეისტორიენი დიონ კასსიუსი და აპპიანი (2 წ. ქრისტ. წინ.—55 ქრ. შემდეგ). რომაელთ ცნობითვე იბერიის მეფე მიტრიდატის შვილი ფარსმანი ხომხითის მეფედ ადგენს თავის უმცროს ძმას მიტრიდატსა. ეს ცნობა არ არის მოხსენებული ქართლის-ცხოვრებაში, მაგრამ 55—72 წ. მეფობენ ბარტომი და ქართამი და 72—87 ფარსმან I. ქართლის-ცხოვრებით პირველის მეფობაში ვესპასიანმა წარმოსტყვენა იერუსალიმი; მეორის მეფობაში სომხითში მეფობდა იარვანდი, რომელმაც მიუღო საზღვარი ქართლისა. სომხურის წყაროს ჩვენებით ეს არის ეროვანდი (58—78), რომელსაც კითომც მართლა დაეპყრა ნაწილი ქართლისა.—ერთი ქვა ბერძნულის 75 წლის წარწერითა, ნაპოვნი ამას წინად მცხეთის მახლობლად, მოიხსენებს „ვესპასიანისაგან აშენებას ციხისას კეისროსა და რომაელების მეგობრის იბერიის მეფის ფარსმანის შვილის მიტრიდატისათვის და იამაზდისა ანუ ამაზდის (არმაზის) მცხოვრებთათვის“ [1]. ქართლის-ცხოვრებით 113—122 წ. ჩვენში მეფობს ფარსმან II. დიონ კასსიუსის თქმითვე, ადრიანე იმპერატორის დროს (117—138) მეფე იბერიისა ფარსმანი ალბანიაში [2] იწყობს დიდს ომიანობას, რომელიც ვრცელდება მიდიაში, სომხითში და კაპპადო-

1. Помяловскаго, *Сборникъ греч. надписей на Кавказѣ*. Спб., 1881, стр. 66—69.

2. რომაელების ალბანია, სომხების ალვანი არის ქართლის-ცხოვრების მოვაკანი ანუ შირვანი. თეიმურაზ ბატონი-შვილის ცნობით, „ალვანია ანუ კახეთი ივერიისა არის ერთი სამეფოთაგანი, რომლისაცა სამთავრონი არიან შაქისი (ესე არს შექი), აწ შაქად ხმობილი შარავანდი დიდი სამთავრო, რომელსაც შირვანად სახელ-სდებენ ვიდრე ზღვადმდე კასპიისა და დარუბანდიცა...“ „ისტორია ივერიისა.“ სპბ., 1848, გვ. 24).

გიაში. ამ ფარსმანისათვის რომში ბელლონის ტაძარში აღუმართავთ სახსოვარი ძეგლი.

ქრისტეს სჯულის შემოტანას ქართლში წმ. ნინოსაგან მირიანის დროს (265—342) მოგვითხრობენ IV საუკ. ბერძენთ მწერალთაგანნი რუფინე და სოზომენი და V საუკ. სომეხთაგანი მოსე ხორენელი, მოგვითხრობენ იმ გვარად, რომ არ შეგვიძლიანთ არ ვიფიქროთ, იმათ ხელში უნდა ჰქონიყოთ ჩვენი ცნობა: ისე ზედ-მიწევნით ეთანხმებიან ამ უკანასკნელსა. ამასთანავე ხორენელი თავის „ისტორიაში" მოიხსენებს ქართველთ სეფე-წულებს და თავის „გეოგრაფიაში" მომეტებულ ნაწილს ჩვენის მხარის გეოგრაფიულ სახელ-წოდებებისას ნამდვილ ქართულის ფორმებით ხმარობს, მაგ. აფხაზი, დვალი, თუში, თიანეთი, ცხავატი, გუდამაყარი, დიდოცი (დიდო), კლარჯი, არტაანი, შავშეთი, ჯავახი, სამცხე, აჭარა, თრელი (თრიალეთი), და სხ.[1]. ცხადია, რომ იმის ავტორს ხსენებული ცნობები ამოუკითხავს ჩვენ წყაროში.—ვარაზ-ბაქარის (379—393) შვილი მურვანოზ, მონაზონობაში წმ. პეტრე დიდხანს მოღვაწეობდა პალესტინაში, სადაც ეპისკოპოზად აღესრულა. იმისი ცხოვრება, იმის მოწაფისაგანვე აღწერილი, ჩვენამდეა მოღწეული. ამ აღწერის ცნობას იმეორებს თავის მსოფლიო ისტორიაში XII საუკუნის სირიელთ პატრიარქი მიხეილ დიდი[2]. საიდამ, თუ არ ქართულის წყაროდამ?—ჩვენ დრომდე მოღწეული VII საუკუნის წარწერა ჯვარის-მონასტრისა, მცხეთის მახლობლად მთაზე წარმოგვიდგენს იმ დროს საქართველოს მდგომარეობას და სრულებით ეთანხმება ქართლის-ცხოვრების თქმულებასა. როგორც ვიცით, VI—VII საუკ. საქართველო საბერძნეთის გავლენას ექვემდებარებოდა. ჯვარის-მონასტრის ქანდაკი გვიჩვენებს სურათებს მთავრის სტეფანოზ I-ის (600—619) ძმის დიმიტრისას, ადარნასე I-სას (619—639) და ადარნასეს შვილის სტეფანოზ II-სას (639—663).

1. S-Martin, *Mém. sur l' Arménie...*, II, 357—361.—Патканова, *Армянская географія*. Спб., 1877, стр. 37—43.

2. Langlois, *Chronique de Michel le Grand, patriarche des Syriens*. 1868, p. 153—154.

იმათში სტეფანოზ I თუ II იხსენიება პატრიკად, ადარნასე და დემეტრე იპატოსებად[1]. ამასთანავე მეშვიდე საუკუნის არაბთ სარდალი ჭაბიბი სტეფანოზ II-ს პატრიკადვე უწოდს.— ამ გვარი ფაქტები მეშვიდე საუკუნიდამ მრავლდება, ამისთვის არ არის საჭირო, რომ ყველაზე შევდგეთ. მხოლოდ სამი ფაქტი კიდევ. ქართლის-ცხოვრება ბაგრატ I დროს (826—876) მოგვითხრობს არაბთ მხედართ-მთავრის ბუღასაგან ტფილისის აოხრებას და ტფილისის ემირის მოკვლას. ამ შემთხვევას ამოწმებს ერთი წარწერა 853 წლის ატენის სიონის მხატვრობისა ისეთის დაწვრილებით, რომ უჩვენებს წელს, თვეს, რიცხვს და თვით დღეს კვირისას. ეს წარწერა არის თანა-მედროვისაგან დატოვებული. ზემოდ მოვიხსენეთ კონსტანტინე პორფიროგენის წყარო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე. კონსტანტინე წარმოადგენს იმათ გენეალოგიას მეცხრე საუკ. გასვლიდამ ვიდრე მეთერთმეტე საუკუნის დამდეგამდე. ეს გენეალოგია თითქმის იგივეა, რაც არის ქართლის-ცხოვრებისაგან გადმოცემული შთამომავლობის ხე.— ამ ცოტა ხანში აღმოჩნდა ერთი ძველი ტყავზე ნაწერი გუჯარი ბაგრატ IV-სა. ამ გუჯარს საგნად აქვს მამულის საზღვრებზე დავა ოპიზართა და მიჯნაძორელთა ჯოროხის ხეობაში. გუჯარში მოხსენებულია სადავო ადგილზე ძველი გუჯრები გვარამ მამფლისა, ერისთავთ ერისთავის გურგენისა, ბაგრატ IV-ს პაპის ბაგრატ III-სა და ამის მამის გურგენისა. არა-ვითარი წინააღმდეგობა არ არის ამ გუჯარსა და ქართლის-ცხოვრების ცნობათა შორის. ამ ცნობით გვარამ მამფალი † 883 წ.; ერისთავთ ერისთავი გურგენ † 968 წ. მეფეთ მეფე გურგენ † 1008 წ.; შვილი იმისი ბაგრატ III მეფობდა 980—1014; შვილი ამისი გიორგი I 1014—1027; შვილი გიორგისა ბაგრატ IV 1027—1072 და შვილი ამ ბაგრატისა გიორგი 1072—1089.

1. Brosset, *V. arch.*, I, 48—49.—და *Mél. As.*, IV, 168.— Bartholomaei, *Lettres numism.*, 78—82 და planche III.; Langlois, *Essai de classification* des *suites monétaires* de la *Géorgie*. Paris, 1860, p. 23, 30.

სადაც †-ია ნახმარი, ჰნიშნავს სიკვდილსა.

შემდეგ ზემო-ხსენებულის ფაქტებისა ნუ თუ შესაძლებელია, რომ ქ-ცხოვრება ძველადვე არ წერილიყო და შედგენილი იყოს მე-XVIII საუკუნეში?

რა მნიშვნელობას მისთვისებენ როგორც ძველად, აგრეთვე შემდეგში, სომხითის მწერალნი ქართულ წყაროებს, აი ამისი საბუთი. ჩვენ ვუჩვენეთ ზემოდ „სომხური ხრონიკა“ ანუ უკეთ „ქართული ხრონიკა“, ქართულიდამ სომხურად ნათარგმნი XII საუკუნეში. გარდა ამისა, ერთმა პარიჟის „აზიურის საზოგადოების“ წევრთაგანმა, რომელიც ქართულის ისტორიის შესწავლას შეუდგა, განსვენებულმა შულცმა, თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში კავკაზიაში 1830 წ. მოიპოვა სომხურ ენაზე ხრონიკა, რომელიც იმის სიკვდილის შემდეგ (შულცი მოკლეს ქურთებმა) იმის ქაღალდებში იპოვეს. ეს ხრონიკა შეიცავდა წელთ-აღწერას 1201 წლიდამ 1755 წლამდე. აღმოჩნდა, რომ ის არის ერთი ვარიანტთაგანი, ქართულიდამ სომხურ ენაზე ნათარგმნი ჩვენი მატიანე, თვით ვახუშტის ისტორიაში ჩართული. ყველას ჰსმენია სახელი გამოჩენილის ტაოს ბაგრატიონის დავით დიდის კურაპალატისა, რომლის სიკვდილს მოიხსენებენ 1001 წელსა. დავითის მოღვაწეობას და მეტადრე იმისგან წარგზავნას ქართველთ ლაშქროსას ბიზანტიის შემწედ გარდა სკლეროსზე, რომელმაც მთელი ბიზანტია ააღელვა, მოგვითხრობენ ბიზანტიელნი, სომხითის მწერალნი აზოჭიკი და ლასდივერი, ზარზმის წარწერა და სხვა ქართული წყაროები. დაწვრილებით ამბავს ამ გალაშქრებაზე გვიამბობს ერთი მანუსკრიპტი ტყავზე ნაწერი X-XI საუკუნ., რომელიც ეკუთვნის ივერიის მონასტერს ათონისას, აღმოჩნდა, რომ ამ წყაროდამ გამოუკრებია ცნობა დავითზე როგორც ქართლის-ცხოვრებას, აგრეთვე, ჩვენის ფიქრით, თვით ასოჭიკს: ისე ეთანხმება ორივე ეს წყარო ათონის მანუსკრიპტსა, რომ ჩვენს აზრზე ეჭვი არ შეიძლება.— რასაც რომ ვარდან დიდი ანუ სტეფანოზ ორბელიანი (XIII საუკ.) საქართველოზე ჩვენ მოგვითხრობენ, ყველა ამ მოთხრობას ეტყობა ქართული მწერლობის გავლენა: ცხადია, რომ ის არის გამოკრებილი ჩვენის წყაროებიდამ. თვითონ ვარდან დიდიც და სტეფანოზიც

უჩვენებენ ამ წყაროს. ვარდანი ამბობს: „ივერიის მეფეთა ისტორიაში იმათზე ეს რა არისო ნათქვამი, როგორც ამას მღვდელი მხიტარი მოგვითხრობსო". ეს მხიტარი, ანელად ცნობილი, როგორც ამტკიცებენ, ცხოვრობდა XII საუკ., მაგრამ იმისი ისტორია აქამომდე დაკარგულია. ამ მხიტარს თვით სტეფანოზიც მოიხსენებს და ამასთანავე სტეფანოზს ხელში ჰქონია, როგორც სჩანს, ნამდვილი ქართლის-ცხოვრება, რომელსაც ის ამ სახელსვე უწოდს[1]. XIII საუკუნის გასულს ცხოვრობდა სხვა მხიტარი აირივანქელი, რომელსაც შეუდგენია „ხრონოლოგიური ისტორია"[2]. თავის ისტორიაში, სხვათა ცნობათა შორის, მხიტარს შეუტანია სია საქართველოს კათალიკოზებისა და მეფეებისა და, როგორც თვითვე ამბობს იგი, იმას აქ დედნად ჰქონია ქართული წყარო. ამასთანავე მხიტარის ცნობები ეთანხმება ქართლის-ცხოვრების ერთს ვარიანტთაგანს, რომელნიც ახლა ჩვენა გვაქვს. კათალიკოზთა სიაში მხიტარი არ იხსენიებს ენონს სტეფანოზ II-ს დროს, სვიმონს გიორგი I-ს დროს, მელქისედეკს, ოქროპირს და გიორგი ტაოელს ბაგრატ IV-ს დროს, გაბრიელ საფარელს იმავე ბაგრატისა და გიორგი II-ს დროს. ეს კათალიკოზნი არ არიან მოხსენებულნი არც მარიამ დედოფლისა და არც რუმიანცოვის მუზეუმის ვარიანტებში; ნაჩვენებნი არიან მხოლოდ აკადემიის ვარიანტში. მხიტარს შემოაქვს აგრეთვე თავის ისტორიაში სომხურის ასოებით ქართული სახელები ზოდთა თუ ეტლთა და შვიდთა ცთომილთა ვარსკვლავთა.

რომ მომეტებული ნაწილი ქართლის-ცხოვრებისა მირიანის მეფის დრომდე თითქმის თავ-თავის დროს იწერებოდა, ამას ადგილ-ადგილ ქ-ცხოვრებავე გვიჩვენებს. ზოგიერთთა ეჭვი შეჰქონდათ და შეაქვთ კიდეც ქართლის-ცხოვრებაზე იმ გარემოების გამოცა, რომ ქართლის-ცხოვრება არ იხსენიებსო, რომელი მოთხრობა როდის და ვისგან არისო შედგენილი. ეს მართალია; მაგრამ უმთავრესი ამისი

1. Эмина, *Всеобщая исторія Вардана Великаго*. Москва, 1861, стр. 115—116.—Brosset, *H. de la Siounie*, 1 livr., p. 212.

2. ცალკე ამ მხიტარის შრომა ნახე *Mém. de l' Acad.*, tome XIII, N 5, p. 1—110.

მიზეზი, რომლის განხილვაში არავინ შესულა, იმითი აიხსნება, რომ ქართლის-ცხოვრება შეადგენდა სხვა-და-სხვა ვრცელთა კერძო ხრონიკებთაგან შემოკლებით გამონაწერს საზოგადო საკითხავ წიგნსა. ამ აზრის საბუთს იმისი შინაარსივე გვაძლევს, როდესაც გვაუწყებს, მაგ., „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სომეხთასა...“ „...წიგნსა წამებისა რიფსიმესა (აგანთაგელის ისტორია).“ „...ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა...“ „...ბერძენთასა...“ „ვითარცა წერილ არს სრულსა ცხოვრებასა მისსა...“ „დაიწერა ცხოვრება და სასწაულნი მათნი (ათორმეტთა სირიელთა მამათა) და დაიხსნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა და აწ ვიწყოთ შემოკლებით ცხოვრება მათი.“ „...რომელი თითოეულად ჰპოვო ცხოვრებასა მათსა (აფსაზთა მეფეთასა)...“ „ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა...“ „ვითარცა მოგვითხრობს წიგნი მეფეთა და ესე მცირედ სიტყვანი, ვითარცა თესლის-მკრებელმან მიმო-განთესილნი წმინდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბე..“ „...ვითარცა მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით.“ თუმცა, როგორც ეს გამონაწერი გვამცნევს, სირიულ მამათა და სხვა წმინდათა გარემოებანი მხოლოდ გაკვრით არიან ნაჩვენებნი ქართლის-ცხოვრებაში და ამასთანავე იმათნი შემადგენელნი არ არიან დასახელებულნი, მაგრამ მომეტებულს ნაწილს ამ წმინდათა კერძო-კერძო ცხოვრებისას ჩვენამდე მოუღწევია, რადგან იგინი იკითხებოდნენ ეკლესიებში, როგორც ამას მოითხოვდა საეკლესიო კანონი; ამის გამო თვითოეულის მათგანის ავტორებიც ვიცით ვინ არიან. ამას ვერ ვიტყვით საზოგადოდ საერო კერძო ხრონიკებზე, რადგანაც იმათ ან არ მოუღწევიათ ჩვენამდე, ან ჯერ არ არიან იგინი აღმოჩენილნი. მხოლოდ ორი-სამი შემთხვევა ვიცით, როდესაც ქართლის-ცხოვრება მოიხსენებს ავტორებსა. აი ეს შემთხვევანი, რომელნიც სიტყვა-სიტყვით შემოგვაქვს: „წიგნი ესე ქართლის-ცხოვრება ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად; ხოლო ვახტანგ მეფიდგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან და ამიერიდგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა...“

ჯესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლა იოანე დეკანოზი სწერს...“ „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწიენეს ამას ქვეყანასა ანუ რომლით ჟამიდგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამან.“ რა ეკუთვნის ქართლის-ცხოვრებაში ანუ მროველს, ანუ ჯუანშერს, ანუ იოანე დეკანოზს არ ვიცით. არ ვიცოდით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგანაც იმაზე მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი ძველს აკადემიის ვარიანტში; მაგრამ როდესაც მარიამ დედოფლის ვარიანტი გავჩხრიკეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ხრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი ქართლის-ცხოვრების ტექსტში, იწყობა მეექვსე საუკუნიდამ და თავდება მეთერთმეტე საუკუნეში ბაგრატ IV დროს; დაბეჭდილს ქ-ცხოვრებაში და სხვა დედნებში კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული. სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით, ის უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიონთ ისტორია ქართლის-ცხოვრებაში ეკუთვნის სუმბატსა. ამასთანავე მხოლოდ იმ ბაგრატიონთა შორის ვპოულობთ რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც ქართლის-ცხოვრება უჩვენებს 988 წელს და თუმცა სუმბატის ხრონიკა იმის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაგრძო. ამ გვარივე უნდა იყოს აქა-იქ ქართლის-ცხოვრებაში დაბნეული თვით მროველისა, ჯუანშერისა და იოანე დეკანოზის ხრონიკები. ვნახოთ, იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარიანტში.

ზემო-ხსენებულთ ცნობათა გარდა ჩვენამდე მოუღწევია სხვა ცნობებსაც ძველ ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სად იპოებიან, კერძო სახლებში, თუ მონასტრების წიგნთა-საცავებში. მაგალითებრ, სად არის ბაგრატ მეფისაგან მეათე საუკუნეში შედგენილი „აფხაზეთის ისტორია“, საიდამაც იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოზს XVII საუკუნეში ადგილობრივ გამოუკრებია თავისი ცნობები და რომელიც აქა-იქ ქართლის-ცხოვრების ცნობებში განსხვავდება? სად არის ანუ ის ისტორია, რომელიც, როგორც ვახუშტი

გვარწმუნებს, ვახტანგ VI-ს ბრძანებით იყო შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დრომდე თვით ვახტანგ მეფემდე? ანუ ის მასალა, რომელიც ვახუშტისვე ჰქონია თავის გეოგრაფიისა და ახალის ისტორიის წყაროებად, მაგალ., იმერული ძველი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური, ხუთ წიგნად დაყოფილი [1], იმერული ხმილის-პირი ეტრადზე, ტლაშაძის მიერ აღწერილი ქორონიკონები ჯ: 11.. (იხილე ქართლის-ცხოვრება, II, 237)? სად არიან ის სხვა-და-სხვა გვარნი წყარონი, რომელთაც ბატონი-შვილი თეიმურაზ მოიხსენებს თავის ისტორიაში და რომელნიც თვით მას ჰქონია ხელში, მაგალ. არსენი კათალიკოზის მოთხრობა, საიდამაც ანტონი მეორის მინდობილებით თეიმურაზს გამოეწერა პეტერბურგში 1822 წ. სეზოსტრისსზე ცნობა, რომელიც არსენის აღმოეკითხა დიდს ქართულს მატიანეში? ანუ თვით ანტონის გამოწერილი ძველის ქ-ცხბდამ ისტორიული მოთხრობა და მრავალთა წერილთაგან გამოკრებული მოთხრობანი? ანუ ის „წერილი, ძველი ფრიად, ძველთა წინაპართა ჩვენთაგან შედგენილი, რომელიც, როგორც იგივე თეიმურაზ გვარწმუნებს, გიორგი მთაწმინდელს „ენახა ანტიოქიის სვიმეონ წმინდის მონასტერში და საიდამაც გიორგის გამოეკრიბა თავისი მატიანე?[2]“

ახლა აღარ უნდა ვეჭვნეულობდეთ, რომ საკმაოდ მოიპოებიან ჩვენში იმ-გვარნი ჩვენის ისტორიის წყარონი, რომლებზედაც ჯერ-ჯერობით არა-ვითარი ცნობა არა გვაქვს და რომელთაგან ზოგიერთებს ხან-და-ხან შემთხვევით ჰპოულობთ. ერთიც ამათგანი ჩვენ შეგვხვდა ამ ცოტა-ხანში, შემდეგ იმისა, როდესაც ჩვენ ჩვენის ისტორიის ბეჭდვას შევუდექით. იგია შეტანილი მეცხრე საუკუნის ტყავზე ნაწერს დიდს საეკლესიო მანუსკრიპტში, რომელიც ჩვენის „წერა-კით-

1. ამ მესხურ დავითნზე, რომლიდამაც ათიოდე ფურცელი განსვენებულის პ. იოსელიანის ბიბლიოთეკაში ვიპოვე და რომელიც შეიცავს დიდად ღირს-სახსოვარს ცნობებს, იხილე ჩემი წერილი: *Источники исторіи Вахушта*—Извѣстія Кавказскаго Общества исторіи и археологіи, второй выпускъ.

2. თეიმურაზის „ისტორია“, გვ. 34, 83, 177—178.

ხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთა-საცავისათვის შემოუწირავს ალექსიძეს-მესხიშვილს და წიგნთა-საცავის კატალოგში აღნიშნულია 1141 ნომრით. იმისი სათაურია: „მოქცევა ქართლისა“, რომელიც შეიცავს 433—497 გვერდსა და ჩართულია მანუსკრიპტში ბაგრატ მეფის დროს (826—876 წ.) იოანე ბერაის ხელით. ამ „მოქცევას ქართლისას“, განსხვავებულს იმ ცნობათაგან, რომელნიც ჩვენა გვაქვს, წინა-უძღვის ქართული მოკლე მატიანე (გვ. 433—446), რომელიც იწყობა ალექსანდრე მაკედონელის დროდამ და სწყდება აშოტ კუროპალატის (786—826 წ.) მემკვიდრის გვარამ ერისთავთ ერისთავის დროს, ესე იგი იმ დროს, რომელსაც ეკუთვნის თვით მანუსკრიპტი. ეს მატიანე, გამოკრებული, როგორც ეტყობა, სხვა დიდის მატიანიდამ, ბევრში ეწინააღმდეგება ქ-ცს̃ას; მაგალითებრ, მატიანეში პირველ ქართლის მეფედ სახელ-წოდებულია არანი, რომლის შვილი აზო თურმე მიემხრო ალექსანდრე მაკედონელსა და ალექსანდრესაგან თვით არანის სიცოცხლეშივე დადგენილ იქმნა მეფედ მცხეთაში. შემდეგ აზოსა მეფობს ფარნავაზი. მირიანი შვილია არა სპარსეთის მეფისა, არამედ ქართლის მეფის ლევისა. თვით ბაკურ (ქ-ცხის ბაქარ) შვილია რევისა და არა მირიანისა. გვარამ ქ-ცხით პირველი ბაგრატიონი არ იხსენიება უფლის შთამომავლად. ხსენებული წყარო ჩვენ მიგვაჩნია შესამჩნევ წყაროდ. არც მატიანეში, არც „ქართლის მოქცევაში“ ჩვენ არა ვხედავთ არა-ვითარ კვალს არც უცხოელთ მწერლობის გავლენისას, არც შემდეგ საუკუნეთა ცვლილებისას. ერთიც და მეორეც აღბეჭდილნი არიან იმ ხასიათით, რა ხასიათიც უნდა ჰქონიყო იმათ იმ დროს, როდესაც იგინი პირველად არიან შედგენილნი. მატიანე ბევრშიაც ჰშველის ქ-ცხსასა. ქ-ცხით ზოგნი მეფენი და მთავარნი მეტის-მეტად დიდ-ხანს მეფობენ და მთავრობენ, მაგალ. 40—60 წელი, მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, მეტადრე სასანიანებისა და არაბების ბძანებლობაში ისეთია, რომ ხანგრძლივ მეფობა ანუ მთავრობა შეუძლებელი საქმე იყო. მატიანე იმ-ხანად აღრიცხავს რამდენსამე მეფეს თუ მთავარს და ამ წყაროს შემწეობით ახლა შეგვიძლიან ჩვენ თითქმის შევიგნოთ, მაგალითებრ, ვინ იყვნენ, სხვათა შორის, წმ. ესტატე

მცხეთელის ცხოვრებაში (VII საუკ.) ნაჩვენები ქართლის პატიახში არშუშა, ანუ მეცხრე საუკუნის მანუსკრიპტში ჩართულის წმ. აბოს ცხოვრების პირნი: ქართლის ერის-მთავარი ნერსე ძე ადარნასე კუროპალატისა, სტეფანოზ დის-წული ნერსესი და ძე გურგენისა. გარდა ამისა მატიანე ყოველთვის უჩვენებს, რომელ დროს ვინ იყო პირველი მთავარ-ეპისკოპოზი კათალიკოზობის დაწესებამდე. ამ გვარადვე ასახელებს იგი ყველა კათალიკოზებს, იმათ შორის იმათაც, რომელთაც ქ-ცხბაში ჩვენ ვერა ვპოულობთ. პოლიტიკური მდგომარეობაც და უცხოელთ მფლობელობაც აგრეთვე გარკვევით არის ნაჩვენები. საუბედოდ, ადარნასე ერისთავის შვილის სტეფანოზის დრომდამ ვიდრე აშოტ კუროპალატის მემკვიდრის გვარამის (ქ-ცხში არ არის ცნობილი) მთავრობამდე მხოლოდ სიაა თოთხმეტთა „დიდთა ერისთავთა.“ სტეფანოზ ერისთავის და ევნონ კათალიკოზის შემდეგ ოც და ხუთნი კათალიკოზნი სიითვე არიან წარმოდგენილნი. იმათგანნი პირველნი რვანი იყვნენო „ცოლოსანნი“. ქ-ცხბში ევნონის შემდეგ ვიდრე ბაგრატ III-მდე (XI საუკ.) არც ერთი კათალიკოზი არ არის სახელწოდებული.

ჩვენ ზოგს ცნობებს ამ მატიანისას ჩვენს ისტორიაში თავ-თავის ადგილს შევუფარდებთ ქ-ცხბისა და სხვა წყაროების ცნობებისა. აქ დავძენთ, რომ თუ ამ მატიანის დიდი დედანი სადმე აღმოჩნდება, მაშინ, ჩვენის აზრით, ჩვენ შევიძენთ ერთს ახალს და იქნება უკეთესსაც ისტორიულ მასალას ძველის ჩვენის დროისას. ეს იმედი, ვგონებთ, ფუჭად არ ჩაგვივლის, თუ რომ რაც ძველი მანუსკრიპტები კერძო სახლებში სადმე და მონასტრებში არიან დაცულნი, შემოიკრიბებიან ჩვენს წიგნთა-საცავებში ტფილისში. უნდა კი გვახსოვდეს, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენის ისტორიის წყაროებისა შეტანილია სხვა-და-სხვა გვარს მანუსკრიპტებში, როგორც „მოქცევა ქართლისა“ ზემოდ ხსენებულს საეკლესიო მანუსკრიპტში. ამისათვის ყველა საქართველოს შვილი, რომელსაც ამ გვარი-რამ მანუსკრიპტი თუ სიგელ-გუჯარი მოეპოვება, ძველადგან მამა-პაპათაგან გადმოცემული, მოვალეა იგინი ჩვენს წიგნთა-საცავებს გადმოსცეს.

## კარი მეოთხე

## იგივე საგანი—შემდეგი.

I. ქართლის-ცხოვრების წარმოდგენით ქართველთ, სომეხთ, კავკაზიელთ შთამომავლობა და ქართველების უძველესთა დროთა ყოფა-ცხოვრება.— მამა-სახლისნი და იმათ დროს სურათი.

II. ქ-ცხბა განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევს სპარსეთის გავლენას საქართველოზე.—ამ გავლენის კვალი ჩვენ კულტურაში.

III. რა მასალას გვაძლევენ ჩვენ წინაპართა კულტურისას სამთავროს არხეოლოგიურნი ნაშთნი.—რა დროს მიაწერენ ამ ნაშთებსა.—აქ ნაჩვენები კულტურა შეადარე სტრაბონის თქმულებას იბერიაზე და რიტტერის აზრსა კოლხიდაზე.

ქართლის-ცხოვრების თქმულებით სომეხნი, ქართველნი, რანელნი და მოვაკანელნი, ჰერეთნი და ლეკნი, მეგრელნი და კავკაზიელნი არიან ერთის შტოდამ წარმომდგარნი და წინა-პარი იმათი ყოფილა თარგამოსი[1], შვილი თარშისა, რომელიც შეადგენდა მეოთხე თაობას იაფეტისას და მეხუთეს ნოესას. თარგომოსის კაყო-შვილებში განსაკუთრებით სახელ-განთქმულან: ჰაოსი ანუ ჰაიკი, სომხების წინა-პარი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკაზი და ეგროსი. პირველი ადგილ-სადგომი თარგამოსისა ბაბილონი თურმე იყო. შემდეგ გოდოლის აშენებისა ბაბილონში, ნებროთის დროს, და შემდეგ ენების შერევისა, თარგამოსი თავის შთამომავლობით დასახლებულა არარატსა და მასის შუა და აქედამ გავრცელებულა იმ ადგილებში, რომელთაც საზღვრებად ჰქონიათ: აღმოსავლეთით ზღვა გურგანისა, შემდეგ გილანისა, დასავლეთით—

1. ეს და შემდეგი სურათი ჩვენ გამოგვაქვს ბროსსესაგან დაბეჭდილის ქ-ცხბიდამ. საუბედუროდ სხვა და სხვა ვარიანტები ქ-ცხბისა აქამომდე არ არიან შესწავლულნი და კრიტიკულად გარკვეულნი. ამ-გვარს შესწავლას და შესწორებას მოითხოვს ის განსხვავება, რომელსაც იმათში ერთისა და იმავე ისტორიულის შემთხვევის გამო ჩვენა ვპოულობთ არა იშვიათად.

პონტის ზღვა ანუ შავი-ზღვა, სამხრეთით—მთა ორეთისა ქურთების ქვეყანაში, რომელიც მიდიას უმზერს, ჩრდილოეთით მთა კავკასიისა. უფროსი თარგამოსის შვილებში ყოფილა ჰაოსი[1] და როდესაც იგინი მამას გაუყრია, ჰაოსისათვის საუფროსოში[2] თავისი ადგილ-სადგომი მიუცია, უკეთესი ყველა მხარეებში არარატსა და მასისს შუა. თარგამოსელთ მთავარი ყოფილა ჰაოსი. ყველა რვა ძმას ბძანებლობდა გმირი ნებროთი, რომელიც, მოსეს სიტყვით, ყოფილა ხამის შთამომავალი, ქალდეველთ მატიანის გამოკვლევით ბელი ანუ ბელუსი, ასსირიის სამეფოს დამფუძნებელი, ქართლის-ცხოვრების თქმულებით წინა-პარი სპარსთა და პირველი მეფე ყოვლის ქვეყნისა. თავ-და-პირველად თარგამოსელნი მსახურებდნენ და ჰმონებდნენ ნებროთსა. შემდეგ, როდესაც იგინი გამრავლებულან და გამრიელებულან, ჰაოსის ბძანებით იმათ ნებროთისათვის ბრძოლა აუტეხიათ და უძლევიათ[3].

როგორც ქართლის-ცხოვრება უჩვენებს, ჰაიკანელნი დამყარებულან სამხრეთად, ქართლოსიანნი-ჩრდილოეთად; იმათი ადგილ-სადგომის საზღვრები შეიცავდა მთელს სივრცეს კავკასიით არარატამდე, შავის ზღვით კასპიის ზღვამდე. ჩრდილო მხარე კავკასიისა

1. რუმიანცოვის მუზეუმის ქ-ცხბით პირველ ძმას ერქვა ქართლოს, მეორეს ჰაოს.-ჰაოსი, ჰაიკი ფეჰლევურს ენაზე ჰნიშნავს „დიდსა“, სპარსულზე „გმირსა“ (*Recherches..,79*)

2. ბროსსეს მიერ გამოცემულის ქ-ცხბით, „შვილთავე გმირთა (ესე იგი შვილთა თარგამოსისთა) ზედან იყო გამგებელ და უფალ ჰაოს და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსისა.“ რუმიანც. მუზეუმის ქ-ცხბით, „ქართლოს იყო ყოველთა ზედა უხუცეს და უმთავრეს და ესრეთსა პატივსა სცემდნენ ყოველნი ძმანი მისნი, ვითარც მფლობელსა თვისსა.“

3. რუმიანც. მუზეუმის ქ-ცხბით, „...განუყო თარგამოს ქვეყანა და ნათესავი თვისი რვათა მათ გმირთა; ხოლო ქართლოსს მისცა უფლება ექვსთა ძმათა ზედა და ჰაოს მეფობდა თავისსა ნაწილსა და ემონავებოდა და აძლევდა ხარჯსა მეფესა ასურისტანისასა... და ჰაოს ევედრა ქართლოსს და სხვათა ძმათა თვისთა, რათა შეეწივნენ მას განთავისუფლებად თვისის ნაწილისა ასურისტანის მოხარკეობისაგან... ეწამნეს შვიდნი იგი გმირნი და დაუმტკიცეს განძრახვა იგი... ხოლო ნებროთ ახლა ერთსა გორასა ზედა ზრახვად ჰაოსისა და ეტყოდა დამორჩილებასავე მისსა... ხოლო ჰაოს რა მიეახლოვა ნებროთს ლალატით სტყორცნა ისარი და მოკლა ნებროთ.“ შეადარე ეს ნათქვამი დაბეჭდილის ქ ცხ-ბის გვ. 17—18.

კაი-სანი უდაბური ყოფილა. გაურის დროს თარგამოსს ეს მხარე დაუმკვიდრებია კავკასიისთვის და ლეკოსისთვის; ამათი შვილები შემდეგ დასახლებულან უმაღლეს ადგილებში, რომელთაც დაჭრქმევია ძურძუკეთი და ხოზანიქეთი. ჯერ ოსები და ჩერქეზები არა ჩანან. კავკაზის მხრით საქართველოს გზად ყოფილა ზღვის-კარი ანუ დარუბანდი და არაგვისა ანუ დარიალის-კარი. საქართველო თავის ნაწილებით ამ დროს შეიცავდა: კახეთს, ჰერეთს, ჯავახეთს, ქართლს, რომელიც არაგვიდამ და არმაზიდამ მოყოლებით ვიდრე ტაშის-კარამდე იწოდებოდა ზენა-სოფლად. უმთავრეს მდინარეებზე და მაგარ ადგილებში აშენებულა ქალაქები და სიმაგრეები: არმაზი, მცხეთა, უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, ჰერეთი, ხორანთა, ორბის-ციხე, ბოსტან-ქალაქი, წუნდა, ქაჯთა-ქალაქი.—ქართლსა და ეგრისს შუა საზღვრად ყოფილა „მცირე-მთა, შემდეგ ლიხი“. ეგრისი ენგურ-მდინარეს ქვემოდ სჭერიათ ბერძნებსა. გამგე ქართლისა თურმე იჯდა მცხეთის ქალაქში და იწოდებოდა მამა-სახლისად. მამა-სახლისი განაგებდა ყოველსავე საქმესა, უპირველესობდა ბრძოლაში და ამშვიდებდა ქართლოსიანთა ურთი-ერთს განხეთქილებაში. აქ დავურთავთ ბატონიშვილის თეიმურაზის მიერ განმარტებულს მამა-სახლისისა და ოჯახობის გამგეობასა, რომელიც არ ვიცით საიდამ არის გამოწერილი, მაგრამ კი ეთანხმება თავის საგანსა, რადგანაც მსგავსივე გამგეობა დარჩენილია ძველადგან აქამომდე მთიულ ქართველებში. თეიმურაზის ცნობით: 1) თვითოეულს თემს საქართველოსას ჰყვანდა თავ-თავისნი მამა-სახლისნი ანუ უფროსნი. თემნი თვითვე განაგებდნენ „ყოველთა საჭიროებათა“ თავ-თავის სამმართველო წრეში. რადგანაც მცხეთა ითვლებოდა დედა-ქალაქად, ამისთვის უპირველესი მამა-სახლისთა შორის იყო მცხეთის მამა-სახლისი, რომელთანაც დროითი-დრო შემოიკრიბებოდნენ დანაშთენნი, თანა-მსლებელნი ერისმიერ ამორჩეულთა პირთანი, სათემოსა ანუ საქვეყნო საქმეების გასაბჭობად. ამ შემთხვევაში ყველა მოსახლეთაგანს შეეძლო მიეღო მონაწილეობა. 2) მამა-სახლისები მოკლებულნი იყვნენ უფლებასა დაესაჯათ, გარეშე საზოგადოების კრებისა, დამნაშავე, ანუ მოეკრიბათ ხარჯი დასაკმაყოფილებლად სამხედროსა თუ სხვა-რაისამე საჭიროებისა. 3) საბრძოლველად მტერ-

თან გაკიდოდა მამა-სახლისი მცხეთისა თავის სამამასახლისო რჩეულთა მეომართა მსლებლი, შეერთებით სხვა მამა-სახლისთა და იმათ მებრძოლთა, მეტადრევე იმ თემის სამამა-სასლისოისა, რომლის საზღვარს მტრის ძალა ემუქროდა. 4) ბჭობა ეკუთვნოდა ამორჩეულთა პირთა, რომელთაც შეადგენდნენ: მოხუცნი, გონიერნი, გამოცდილნი, უქრთამონი და პირუთნელნი კაცნი. იმათში თვით მამა-სახლისი ჰნიშნავდა ორ-სამს ბჭესა, მოჩივარნი თავ-თავის მხრით ოროლსა და იგინი ყველანი ერთად ასამართლებდნენ დავასა. თუ საქვეყნო, ანუ სათემო, ანუ სასოფლო საჩივარი ასტყდებოდა, საჩივარი განიჩინებოდა თანა-დასწრებით მამა-სასლისთა, იმათ შორის თვით (საჭიროების მოთხოვნილებისამებრ) მცხეთის მამა-სახლისისა. 5) მამაკაცი იყო ქმარი ერთის ცოლისა, მბძანებელი და გამგე ოჯახისა. თუ ქმარი მოკვდებოდა ცოლზე უწინარეს, ქვრივს კვლად ედო ოჯახისა და შვილების გამგეობა, მაგრამ არ შეეძლო გაბნევა ქმრის ნაქონებისა, რადგანაც ის შვილებს ეკუთვნოდა. საცხოვრებელს უყოფდნენ შვილებს თანასწორ. მამა ქალი-შვილს ათხოვებდა თავის მიხედულობით და მზითევს აძლევდა-ზოგი თანასწორ ვაჟი-შვილისა, ზოგიც ნახევარსა. თუ ქვრივად დარჩენილი მშობელი დედა ირთავდა ახლად ქმარსა, იმას გაჰქონდა დაწესებული ქვრივთათვის წილი ქმრის საცხოვრებელისა. გლოვა მიცვალებულზე იმ დროს იყო ამ-გვარი:
„ქართველნი შემდგომად სიკვდილისა მოყვასთა თვისთასა, თვინიერ გოდებისა და ტირილისა, ჰგვემდესცა მათრახითა შიშველთა ხორცთა თვისთა; ქალნი დასხდებოდეს ცხელთა ნაცართა ზედა ნაგვერცხალითა აღრეულსა; შეამკობდეს კაცთა მომკვდართა სამამაცოთა სამკაულითა და საჭურველითა და ქალთა საქალოსა სამკაულითა; შთაუწყობდეს პირთა შინა დრაჰკანთა ოქროსა და ვერცხლისასა და ესრეთ მისცემდეს პატიოსანსა დაფლვასა მიწასა შინა; მერმე შემდგომად მგლოვარენი მკვდართანი მოსწვნიდეს წნელთა მიერ ზართა, ვითარცა მცირეთა რათმე სადგურთა, მოაკვრიდნენ ზარსა მას ძაძითა და ესრეთ შთასხდებოდიან მათ შინა მრავალ-ჟამ მგლოვარენი; რომენიმე წელიწადსა სრულსა, სხვანი ორსა და სამსა წელსა მას შინა იყოფოდიან და უკეთუ წარვიდოდეს სამყოფით მათით სხვასა რო-

მელსამე სოფელსა ანუ სადგურსა, ზარი მოკრული ძაძითა ურემთა ზედა შემზადიან, შთასხდიან მათ შინა და ესრედ ადგილითი ადგილად მიმოვლიდიან..."[1]

ქ-ცხბით, ქართველები ცხოვრობდნენ კლდეებში, მიწურ სახლებში და ქვით ნაშენ სიმაგრეებში. კაი-ხანი იმათ ქვითკირის ხმარება თურმე არა სცოდნიათ: ეს ხელოვნება უსწავლიათ სპარსელის ერისთავის არდამისაგან. ზნეობით ქართველები დაბლა მდგარან: ალექსანდრე მაკედონელი მე-III საუკ. ქრისტეს წინ ქართლში შეხვედრია საზიზღარ ჩვეულებასა: ქართველები ნათესაობას თურმე არ მისდევდნენ, იყვნენ გარყვნილნი, საჭმლად ხმარობდნენ ყოველსავე სულ-დგმულსა, თვით ადამიანის მძოვრსა; თაყვანსა სცემდნენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ნივთიერთა და პირუტყვთა. თავ-და-პირველად ქართველების ენა ყოფილა სომხური; შემდეგ, როდესაც მრავალი უცხო-ტომი შემოსულა საქართველოში, იმათ დაუტოვებიათ სომხური და ამ უცხო-ტომთ ენებიდამ წარმომდგარა ქართული ენა[2].

1. თეიმურაზის „ისტორია" გვ. 49—50, 53. აქ თეიმურაზ დაურთავს, რომ საქართველოს მოქცევის შემდეგ კრების განჩინებით აღკრძალულ იქმნა უზომო გლოვა, მაგრამ ეს ჩვეულება დიდ-ხანს შერჩა და „აქამომდე თუმცალა არა სრულად, მაგრამ ზოგნი მათ ჩვეულებათა დაშთომილ არსვე."

აქ მეტად ღირს-შესამცნევ ცნობად მიგვაჩნია შემდეგი ცნობა თეიმურაზისა. „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა იპოვნეს მკვდარნი ეს სახედ დაფლულნი სხვათა და სხვათა ადგილთა შინა იგერიისათა, რომლითაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლოსიანთანი უწყებულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა, ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვეს რაოდენიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპთ-მსახურებისა ჟამსა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი განუხრწნელად იცვებოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა ტფილისს და მოსვლასა შინა აღა-მაჰმადხან ყაჯარისსა წარწყმედილ იქმნეს (გვ. 52, შენიშვნა).

2. ბროსსეს ქ-ცხბით, „აქამომდის ქართლოსიანთა ენა იყო სომხური, რომელსა ზრახვიდეს; ხოლო ოდეს შემოკრბეს ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული." რუმიანცოვის მუზეუმის ქ-ცხბით, „აქამომდე ქართლოსიანთა ენა იყო მხოლოდ ქართული, რომელსა ზრახვიდეს; ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა გარყვნეს ენა თვისი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მორთული." რუმიანცოვის ქ-ცხბის თანახმანი არიან ზოგიერთი სხვა დედნებიც ქ-ცხბისა.

როგორც ეს შენიშვნა, აგრეთვე წინად მოყვანილნი რუმიანცოვის მუზეუმის ქ-ცხბის ცნობანი გადმოცემულნი გვაქვს ოქრომჭედლის-შვილისა და ხახანა-შვილისაგან. იხილე „ივერია" 1887 წლისა, N 200 და 1888 წლისა, N 135.

ქართლის-ცხოვრება მოგვითხრობს ზოგიერთ უცხო-ტომთ დასახლებას საქართველოში, მაგალ. ებრაელებისას ნაბუქოდონოსორის ტყვეობის შემდეგ, თურქებისას სპარსეთის მეფის კიროზის დროს და სხ., რომელთაგან მრავალი სიტყვები შეუთვისებია ქართულ ენასა. ჭაოსიანთ, ქართლოსიანთ და კავკაზიელთ გაი-ხანი ურთიერთი კავშირი არ შეუწყვეტიათ: იგინი ერთი მეორეს თურმე შეეწეობდნენ და ერთად ებრძოდნენ მტერსა. იმათნი საზოგადო მტერნი ყოფილან ხაზარნი, რომელნიც კავკაზის ჩრდილო-მხარეს ბინადრობდნენ, და ნებროთიანნი ანუ სპარსნი. განსაკუთრებით იმათთვის საშიში ყოფილან ნებროთიანნი. ქართლის-ცხოვრება უჩვენებს ერთ წყაროს, რომელსაც უწოდს „წიგნად ნებროთზე". ზოგიერთი ადგილი ნებროთის წიგნიდამ თვით ქართლის-ცხოვრებაშიცაა შემოტანილი, ესე იგი: გოდოლის აშენება ბაბილონში, ენების შერევა, ნოეს ნათესაობის გაბნევა ქვეყნის პირზე [1]. ზოგნი მეცნიერნი გვარწმუნებენ, ვითომც ქართლოსიანთ და ჰაოსიანთ შთამომავლობა თარგამოსისაგან აშენებული იყოს ბიბლიის თქმულებაზე; ვითომც ეს თქმულება ჯერ სომხითში იყოს შემოტანილი, შემდეგ ქრისტეს ქადაგების მიღებისა იქ, მას უკან მითვისებული ქართველებისაგან [2]. ამას უარ-ჰყოფს ჟივიანე. „ჩვენ, ამბობს ჟივიანე, არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ამ აზრსა. ეს თქმულება ნაჩვენებია ცხადად მარ-იბას-კატინეს სირიულს მატიანეში, რომელიც არის შედგენილი მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ. თვით მარ-იბას გამოუწერია ის უძველესის ქალდეურის წიგნებიდამ. ის ფორმა, რომლითაც იქ შემოსილია სახელები სომხებისა და ქართველების წინაპართა, ფორმა, რომელშიაც თვით დაბადებისაგან გარდამოცემული სახელები ადვილად იგულისხმება, ჰმოწმობს ჩვენს აზრსა, რომ ხსენებული თქმულება,

1. *H. de la G.*, I, 111, 163—165, 179.

2. S—Martin, *Mém. sur Arm.* I, 257; *H. de la G.—Introd.*, p. XIX.—განსაკუთრებით ამ საგანზე იხილე ლანგლუას მშვენიერი და ვრცელი კრიტიკული შრომა *Etude sur les sources de l' histoire de l' Arménie de Moïse de Khoren*—Mélanges Asiatiques, t.IV, livr.3, p.293—368, რომელშიაც ლანგლუა ამტკიცებს, რომ საზოგადო წყაროდ ყველა აზიის ქრისტიანეთა შთამომავლობაზე იყო ბიბლიური თქმულება (p. 310—311).

სიტყვიერი თუ წერილით ნაამბი, დიაღ გავრცელებული ყოფილა გარეშე დაბადებისა. ნუ დავივიწყებთ, განაგრძობს ჟივიანე, რომ თვით მოსე დაბადების ისტორიულს ნაწილში მოიხსენებს ძველს გარდამოცემას, როგორც საზოგადო თქმულებას სემის ნათესაობაში და მაშასადამე ეს გარდამოცემა შეტანილია დაბადებაში ეფრატის მხარეებიდამ და არა დაბადებიდამ გამოტანილი“ [1]. თვით მოსე ხორენელის სიტყვით, ძველი ქალდეური ხრონიკა თარგმნილა ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით ბერძნულს ენაზე და იქიდამ სომხებს და ქართველებს გამოუკრებიათ ცნობა თავიანთ შთამომავლობაზე [2]. შესაძლებელია, რომ ეს ქალდეური ხრონიკა იყო თვით ის წიგნი ნებროთზე, რომელზედაც ზემოდ ვუჩვენეთ. ცხადია მხოლოდ ბერძნული გავლენა ქართლის-ცხოვრებაზე. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაპყრათ ჩვენის მატიანის მამათ-მთავართ სახელების ბერძნულ დაბოლოებას, მაგალ., თარგამოს, ქართლოს, მცხეთოს, გარდაბოს, მირმანოს ანუ მურვანოს. თვით ხოსრო მეფეს ხან-და-ხან მიეთვისება ბერძნული ფორმა კოსაროს. გარდა ამისა ქურთისტანის და მიდიის ქედი სახელ-წოდებულია ორეთად, რომელიც ბერძნულ ენაზე ჰნიშნავს მთასა. ალექსანდრე მაკედონელის გალაშქრების ისტორიაში მოხსენებულია ბერძნული სიტყვა პროტატოს, რომლითაც იგი ბერძენთ მოლაშქრეთ უწოდს. მეფე რეკი შეუღლდება ბერძნის ლოგოთეთის ასულს ხეფელიას. გამოკვლეულია, რომ სომხითში ბერძნული ენა და ბერძნული ანბანი ხმარებაში ყოფილა მე-V საუკუნემდე [3] და რომ ბერძნებს დიდი გავლენა ჰქონიათ სომხურ მწერლობაზე. სენ-მარტენი ამბობს, რომ ასსირიის მეფეების სახელები, რომელნიც მოსე ხორენელს თავის სომხითის ისტორიაში შეუტანია, ბერძნულის წყაროდამ არისო გამოწერილი და თუნდა რომ ეს მოსეს მოწმობაც არა გვქონდესო, თვით ბერძნული დაბოლოება მეფეების მომეტებულ ნაწილთა ამას ცხადად გვიმტკიცებსო [4].

1. *Recherches*.... 32 n. 2.—2. *Исторія Арменіи*, 41, 42.—3. *H. de la G.-Introd.*, XXXIII; *Mém. sur l' Arm.*, II, 128 n. 6.—4. ibid., I, 4.

იმ ძველ დროდამ, რომელზედაც ქ-ცხბას შერჩენია თავის მეხსიერებაში ცნობა, საქართველოდ იგულისხმება ის კავკასზის-აქეთი სივრცე, რომელიც უწინ შეიცავდა: ნაწილს ალბანიისას იბერიას, კოლხიდას, მესხეთს და სტრაბონის ტაოქსუას ანუ ტაოს-კარს. ეს სივრცე იყო მთელი ბასსეინი მტკვრისა ღელე-მინდვრებით, ჩრდილოთ არაგვისა, სამხრეთით ხრამისა ანუ ქციისა, დებედისა და ასსტაფისა, აღმოსავლეთით ალაზნისა, დასავლეთით ჭოროხისა, ჩრდილო-დასავლეთით ბასსეინები: რიონისა იმის შტოებით, ინგურისა და კოდორისა ვიდრე გაგრამდე[1]. ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული თვით ქართული ნათესავის ენები, რომელთაც ძველადვე შეადგენდნენ: ახლანდელი ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური. სვანები მკვიდრობდნენ იქვე, სადაც ახლა ცხოვრობენ. მეგრულ ენას სჭერია მთელი შავი-ზღვის პირი ყუბანიდამ მოყოლებით ვიდრე ტრაპიზონის თემამდე და თვით ტრაპიზონიც[2], ესე იგი ის სივრცე— მთლად თუ არა ჯერ არ ვიცით,—სადაც ჩვენ დროს ცხოვრობენ ანუ ცხოვრობდნენ ჩერქეზნი და აფხაზნი, გურულნი და ლაზნი ანუ ჭანნი, რომელნიც თვით მეგრელებადვე ირიცხებიან ქართლის-ცხოვრებაში. მეგრული ენა ძველადვე დაჭშორებია ქართულსა: ქართლის-ცხოვრება ერთ ადგილს იტყვის, რომ ჭყონ-დიდი მეგრულ ენაზე ჰნიშნავსო დიდ-მუხას[3]. შავი-ზღვის მხრივ საქართველოს საზღვარი შევიწროებული ყოფილა ბერძნების კოლონიებისაგან[4]. სომხითის მხრივ ჩვენ ტომს საზღვრად ჰქონია ის ქედი, რომელიც ჰსაზღვრავს მტკვარსა და არაქსსა. ამ საზღვრისგამო ქართველებს და სომხებს შორის ატეხილა განხეთქილება და ბრძოლა[5], რომელზედაც ჩვენ გვექნება საუბარი თავის ადგილს. როგორც ზემოდ ვუჩვენეთ, უცხო-ტომთ მწერლების აზრითვე იბერიის ტომნი ერთს შთამომავლობას ეკუთვნოდნენ და ერთ ენას ხმარობდნენ, თუმცა იგინი ერთმანეთში დაყოფილნი იყვნენ. მიზეზი ამ დაყოფისა ყოფილა ერთის მხრით გეოგრაფიული იმათი მდებიარება; მეორის მხრით გავლენა შემძლე მოსაზღვრე-ტომთა, ბერძენთა და მეტადრე სპარსთა.

1. *H. de la G—Introd.*, p. III.—2. *H. de la G.*, I, 18, 56.— 3. ibid., 239.—4. *H. de la G.* I, 27, 40.—5. ibid., 66, 135, 140; *Addit..*, 73—74; *Rech..*, 100.

დასავლეთი მხარე საქართველოსი ყოფილა საბერძნეთის გავლენას ქვეშ, აღმოსავლეთი—სპარსების გავლენას ქვეშ. ეს ორ-გვარი გავლენა იწყობა ძველადვე და დროს განმავლობაში უფრო და უფრო მეარდება.

ბერძნული გავლენა საქართველოზე ჩვენ ვუჩვენეთ. რაიცა შეეხება სპარსეთის გავლენასა, ამ უკანასკნელის ცნობების წყაროდ ქ-ცხ.ას, როგორც თვით ის იტყვის, სპარსეთის ისტორია ჰქონია. ეს ის წყარო უნდა იყოს, საიდამაც მე-XI საუკ. ქრისტეს შემდეგ სპარსეთის პოეტს ფირდუსის შეუდგენია ევროპიელთ მეცნიერთაგან კარგად ცნობილი ისტორია სპარსეთის მეფეებისა ანუ შაჰ-ნამე [1]. შაჰ-ნამე და ქართლის-ცხოვრება თითქმის თანასმად გვიამბობენ ძველს სპარსულ გარდამოცემას. ეს გარდამოცემა უნდა იყოს, ჩვენის ფიქრით, მალკოლმის მიერ გარკვეული სპარსეთის ისტორიაში წიგნი დაბისტანი. დაბისტანს თავის მხრით ხელთ-მძღვანელად ჰქონია ძველი ფეჰლევური მანუსკრიპტი და ზეპირ-სიტყვიერნი გარდამოცემანი, რომელნიც დაბისტანის ავტორისათვის მოჰქმედ—ფანისთვის უამბნიათ ზოროასტრზე წინა-სარწმუნოების აღმსარებელთა. დაბისტანი სპარსეთის ისტორიას უკავშირებს ინდოეთის ისტორიასა [2]. აქ სპარსეთის გამოსატულობაში შესანიშნავია როგორც ზნეობა და ყოფა-ცხოვრება სპარსეთისა, აგრეთვე იმისი სარწმუნოებრივი წეს-დებულება ზოროასტრის წინად, რომელიც ერთი და იგივე თურმე იყო სპარსეთში და ინდოეთში: როგორც იქ, აგრეთვე აქ ხორცის ხმარება საჭმელად აკრძალული ყოფილა [3]. ზოროასტრი ცხოვრობდა რამდენისამე საუკუნოთ ადრე ქრისტეს წინ. იმისგან შემოღებული აღსარება იყო ცეცხლის თაყვანის-ცემა. საფუძველი ამ აღსარებისა ზოროასტრმა თავ-და-პირველად დასდო იმ მხარეში, რომელსაც შემდეგ დაერქვა ადერბიდაგანი (ფეჰლევურს ენაზე *Azerbijan* ჰნიშნავს საცეცხლო სახლსა). აქ იყო განთქმული ცეცხლის თაყვანის-საცემო ტაძა-

1. გვარწმუნებენ, ვითომც შაჰ-ნამე იყოს ქართული როსტომიანი (ქ-ცხ., 1854, ნაწ. მეორე, გვ. XIV.) თუ ეს ჭეშმარიტია, სამწუხაროდ უნდა მიგვაჩნდეს, რომ იმის გამოცემისათვის აქამომდე ხელი არავის მიუყვია.—2. Malcolm, *Histoire de la Perse.* 1821, I, 267—269. იხილე აგრეთვე Langlès, *Voyage de Chardin en Perse*, IV, 256; X, 152 et suiv.—3. ibid., I, 273, 282—283.

რი, რომელიც სახელ-იწოდებოდა ადერ-გოშასპად. აქედამ იმან ის მთელს სპარსეთში გაავრცელა[1]. აქედამვე ცდილობდნენ შემდეგ იმის გავრცელებას თვით სომხითში და საქართველოში.—დაბისტანი ახლანდელის კაცობრიობის წინა-პარად ჴსადის მაჰ-აბადს, ეგვიპტელების ბელსა, ინდოელების ბალისსა, რომელიც თავის სახლობით პირველის ციკლის აღსასრულს გადარჩენია და იმის მრავალ-რიცხვს შთამომავლობას ადგილ-სადგომად მღვიმეები და კლდეები ჰქონია[2]. ბევრით ადრე ქრისტეს შობამდე სპარსეთის მეფეს ჯემშიდს, ფეშდადიანის დინასტიისას, პირველად დაუყვია სპარსეთის მცხოვრებნი ოთხ წოდებად. პირველს შეადგენდნენ კეთილ-მორწმუნენი და სარწმუნოების მცველნი, რომელთაც კარგად სდებიათ სჯულის მცნება ერისადმი; მეორეს—მწერალნი: ესენი შეადგენდნენ სახელმწიფო ოქმებსა და სახელმწიფო ანგარიშსა; მესამეს—მხედარნი; მეოთხეს-ვაჭარნი და მუშა-ხალხი[3]. ეს წესი ჯემშიდს გამოუტანია ინდოეთიდამ[4]. ქართლის-ცხოვრებაში მოხსენებული აფრიდონ გმირი, რომელსაც „გველთ უფალი ბევრასფ ჯაჭვით შეუკრავს და მთაზე დაუბამს“, სპარსეთის გარდამოცემით ყოფილა ჯემშიდის შვილი ფერიდუნ, ხოლო გველთ უფალი ყოფილა ზოჰაქი, სახელ-წოდებული აგრეთვე აჟე-ჰაქად, ესე იგი დრაკონად[5], ჩვენებურად ვთქვათ გველეშაპად. იმ მთას, სადაც ის შემწყვდეული თურმე იყო, სახელ-სდებენ ალბურზად თეჰერანის მახლობლად[6]. ჩვენი იარედი არის იარეჯი, ძე ფერიდუნისა[7]. ქეკაპოს ლეკეთში მგრძნობელისაგან დაბრმავებული არის ქაი-კაოსი ანუ ქაისკარი, რომელიც ცხოვრობდა მე-VII საუკ. ქრისტეს მოსვლამდე. ქაისკარი გაელაშქრა მაზენდარანის დასამონავებლად, მაგრამ სეფიდ-დევმა მაზენდარანის მეფის მოწვევით ის დააბრმავა და ციხეში დაატუსაღა[8]. სპარსეთის ისტორიის პირველ-დაწყებაში დევებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ინდოეთის ბრამინები იმათ აღიარებენ ღმერთებად, სპარსები უკეთურ სულებად. ისინი ცხოვრობდნენ

1. *H. de la P.*, I, 83—85.; S-Martin, *Mém. sur l' Arm.*, II, 192, n. a.—2. *H. de la Perse*, I, 12—14.—3. ibid., 24—25.—4. ibid., 270.—5. *Mém. sur l' Arm.*, II, 190 n. a. и *b*.—6. *H. de la Perse*, I, 35.—7. *Mém. sur l' Arm.*, II., 190 n. c.—8. ibid., 191 n. a.; *H. de la P.*, I, 48—50.

კლდეებში და მთებში[1], სახელდობრ კავის მთაში, რომელიც დედამიწის შუა-ადგილს შეადგენდა და საიდამაც ქვეყანას მოაოხრებდნენ[2].

სპარსეთის გავლენას ქართველების ხასიათზე და კულტურაზედაც უმოქმედნია. მომეტებული ნაწილი სახელებისა, რომელთაც დაბისტანში და შაჰ-ნამეში აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, ესე იგი, როსტომ, მანუჩარ, ქაიხოსრო, ზურაბ, ბარამ და სხ., თვით საქართველოს ძველადვე მიუთვისებია. უწარჩინებულთ პირთ შვილების აღზრდა უცხო ოჯახებში ჩვეულებად ყოფილა სპარსეთში[3]. ეს ჩვეულება მიუღიათ სომხითშიაც და საქართველოშიაც[4]. ქართულნი წოდებანი, როგორც იმათ სტრაბონი აგვიწერს, ჯემშიდის კასტებს მოგვაგონებენ. სპასპეტი, რომელიც ფარნავაზ მეფის ისტორიაში იხსენიება, იყო სპარსული სიპაჰ-ბედი, გამოთარგმანებით ჩვენს ენაზე მხედართ-წინამძღომელი[5]. ერთ-გვარი სისხლის სამართალი, რომელსაც ძველად სპარსეთში ვპოულობთ და რომელიც თვით უძველესს ინდოეთის პოემაში რამაიანაშია მოხსენებული და მითვისებული ელლინთაგანაც და გერმანიელთაგანაც[6], ყოფილა ცეცხლით თავის გამართლება. ეს სამართალი ჩვენც მიგვითვისებია. ეს არის „მდუღარით ანუ შანთით თავის გამართლება“[7]. ძველი საქართველოს სარწმუნოებაც სპარსულის ბეჭდით ყოფილა აღბეჭდილი: ქართველებისა და სომხების არმაზი არის სპარსების ორმუზდი, „წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლისა“. ჩვენ გვყოლია სპარსულნი მოგვნი, „მზის მსახურნი“. ჩვენის ერის წარმოდგენაში აქამომდე გავრცელებულია დევი, რომელიც ამ სახელითვე იხსენიება. აქ მრავალ ზღაპარს საგნად აქვს ელვარე-თვალებიანი, მრავალ-თავებიანი გველეშაპი, დაბისტანის ზოჰაქი ანუ დრაკონი, მთაზე დაბმული. ეს ზღაპარი მოგვაგონებს სომხების ლეგენდას არტავაზზე, ქართველების თქმულებას ამირანზე. სპარსულს ზღაპრულ გარდამოცემაში არიმანი ანუ ამირანი იყო მაცდური სული, წინააღმდეგი ორმუზდისა და მეფე დევებისა. ეს ლეგენდა ჩვენში იგივეა ასლა, რაც სომხითში ყოფილა

1. М. Хоренс., *Ист. Арменіи*, 256, 322.—2. *H. de la* P., I, 115.—3. ibid., 55.—4. *Ист. Арм.*, 294; *H. de la G.*, I, 48, 84, 295.—5. *Mém. sur l' Arm.*, I, 298 n. *l*.—6. Lenormant, *Hist...*, II, 286—287; *H. de la P.*, I, 56.—7. ვახტანგ მეფის „სჯული“, § 37.

მე-V საუკ. მოსე ხორენელი ამბობს არტავაზზე: „მოხუცნი დედაკაცნი იტყვიან, ვითომც არტავაზი, რკინის ჯაჭვით შეკრული, შემწყვდეული იყოს კლდის ქვაბში; ვითომც ორი ძაღლი შეუსუსტებლად ჭღრღნიდნენ ჯაჭვსა და არტავაზი ცდილობდეს ქვაბიდამ გამოვიდეს და ქვეყანას ბოლო მოუღოს; ვითომც მჭედლების კვერის დარტყმით ჯაჭვი ისევ მაგრდებოდეს. ამისთვისაც თვით ჩვენ დროს, დასძენს ხორენელი, მრავალნი მჭედელნი ამ ლეგენდის მიხედვით სცემენ კვერსა სამჭედლოში, რომ არტავაზის ჯაჭვი შემაგრდეს [1]. ეს ლეგენდა ოსებსაცა აქვთ. ოსების წარმოდგენით ერთი მძიმედ შეჯაჭვული ჰყრობილი შემწყვდეულია იალბუზის კლდეში და იმის გულმუცელსა სჭამს ავი ძერა [2]. როგორც სომხური ლეგენდა არტავაზზე და ქართველებისა ამირანზე, აგრეთვე ოსების ზღაპარი წარმოგვიდგენენ ძველს ელლინურს მიფსა პრომეთეოსზე, რომელიც ელლინების გამოსატყულობით ყოფილა ძე იაფეტისა და მამა დევკალიონისა და რომელიც იუპიტერს კავკასიის ქედზე მიულურსმავს და აქ იმისთვის მიუჩენია ძერა იმის გულ-ღვიძლის ამოსაჭმელად. ეს ლეგენდა, უსლარის ფიქრით, ელლინებს გაუგონიათ თვით კავკასში და აქედამ შეუტანიათ თავიანთ მიფოლოგიაში [3].

გარდა ზემოდ ხსენებულის წყაროებისა ჩვენ წინა-პართა უძველესს ყოფა-ცხოვრებაზე გვაქვს კიდევ ახლად აღმოჩენილი ჩვენის მხარის სასაფლაოებში არხეოლოგიური მასალა, რომელიც ამას წინად გაკვრით ვუჩვენეთ და რომელიც ცნობას გვაძლევს იმავე დროთა კულტურაზე. მართალია, ჯერ-ჯერობით საკმაოდ არ არის შემოკრებილი ამ გვარი მასალა, მაგრამ რაც არის, ისიც იმ თვისებისაა, რომ იმას მეცნიერებამ უკვე მიაქცია ყურადღება. ეს არხეოლოგიური საუნჯე შეგროვილია სხვა და სხვა კუთხეში: კამუნტში, კობანში (ვლადიკავკ.

1. *Ист. Арм.*, 130.—2. Дубровина, *Исторія войны и владычества русскихъ на Кавказѣ*. Спб., 1871, I, 326—329. სვანები ამირანს იცნობენ მონადირედ, რომელიც ეგვიპტედამ თურმე ყოფილა გამოსული (Радде, *Путешествіе въ мингрельскихъ альпахъ*—Зап. Кавк. Отд. Геогр. Общ., кн. VII, стр. 133.—ამ საგანზე ნახე კიდევაც *Труды V-го археологическаго съѣзда въ Тифлисѣ*, XXX.—3. *Древнѣйшія сказанія о Кавказѣ*, 481—484.

მაზრა), ყაზიბეგში, დილიჟანში, წალკაში, სართიჭალაში, მცხეთის სამთავროში და სხ. განსაკუთრებით ღირს-შესანიშნავი ნივთეულობა დაუცვიათ კობანს, დილიჟანს და მეტადრე სამთავროს. აქ ჩვენ ამ უკანასკნელზე შევდგებით.

სამთავროს არხეოლოგიური სასაფლავო ეკუთვნის სამს სხვა და სხვა ხანასა: უძველესი საფლავებია რიყის ქვით მოწყობილი; შემდეგია აკლდამები დიდროვანის კლდის ქვებისა და უკანასკნელია დიდის ზომის აგურებისა ანუ კრამიტებისა. ამ საფლავების შინაარსს შეადგენენ: ოჯახში სახმარი თიხის ჭურჭელი სხვა და სხვა ზომისა და მოყვანილობისა; ზოგი იმათგანი მორთულია სხვა და სხვა ფიგურებით; ქვისა ანუ ლითონის კვერები; სამ-ფეხოვანი რკინის საჭრაქე; სანათები თიხისა თუ რკინისა; ბრინჯაოს მაყაშები; სადგისები, პატარა ზარები და ყლარუნკები; სარკეები ბრინჯაოსივე; ცულები ბრინჯაოსი და რკინისა; ტან-საცმელის სამკაული: ნემსები, ქინძის-თავები და საყურეები ბრინჯაოსივე; სამაჯურები ბრინჯაოსი, მცირე და მოზდილი სახმარად მკლავზე და ფეხზე; ხელის-ბეჭდები ბრინჯაოსი; მანიაკები ფერად-ფერადის მინისა, ბროლისა, სარდიონისა, მარჯანისა, თლილის ქარვისა; სამხედრო იარაღი: ისრის წვერები ობსიდიანისა, ტალისა, ძვლისა, ბრინჯაოსი და რკინისა; ხანჯლები და ხმლები ბრინჯაოსი; სხვა და სხვა საგნები, არ ვიცით კი რას ჰნიშვნენ: ბრინჯაოს კვერის მსგავსი ნივთი, თავი კვერთხისა და სხვ. [1]

✓ გრაფის უვაროვის მოწმობით, „პირველის ხანას საფლავებში მურდასილი (шлифовка) სარდიონის მძივებისა უჩვენებს იმ დროის კულტურის წარმატებასა. თიხის ჭურჭლებზე ვხედავთ, რომ საჭურჭლო ხელოვნება აღყვავებული ყოფილა: იმათი ფორმები ლამაზია; იმათი მხატვრობა ნამდვილი გეომეტრიული მოხაზულობაა; თვით ზომა ზოგიერთის ჭურჭლისა უეჭველად ჰმოწმობს, რომ ყოფილა ცოდნა თიხის გამოწვისა და ყალიბის ხმარებისა.

„მეორე ხანას საფლავებში ანუ აკლდამებში, რომელნიც რი-

1. Бакрадзе, *О до-исторической археологіи вообще и кавказской въ особенности.* Тифлисъ, 1877, стр. 29—31.

უის ქვის სათვლავებს ზედ მოჰყოლიან და საგვარეულო სამარხებს შეადგენდნენ, ჭურჭლეულობა უფრო წმინდა თიხისაა და უკეთესად გაკეთებული. იმათზე ქანდაკი სახეებისა აღარ შეინიშნება; იმის მაგიერ ხმარებაშია სიმმეტრიული ბორჯღლები; მრავალია პაწაწკინა საცრემლოები(слезницы)ბორჯღლებიანივე. ნივთეულობა ძვირფასის ქვებისა უფრო უკეთ უჩვენებს კულტურის წარმატებასა: არა თუ სარდიონის მძივები მრგვლად კუთხე-კუთხე არიან დათლილნი, თვით ხელის ბეჭედიც მთელის სარდიონის ნაჭრისა და იმის ზედში ჩაჭრილია წამოწოლილი ირემი. ქანდაკის ხელოვნებას გვიჩვენებენ აგრეთვე: გრანატი, ამანდინი, ბროლი და ონიქსი. განსაკუთრებით საყურადღებოა ბროლზე ამოჭრილი პირუტყვი (ვეფხვი?), რომელიც თავის ნუკრს აწოვებს; პირუტყვზე ამოღებულია რაღაც ასოები; გრანატები, წმინდა-წმინდა ნაჭრებად დახერხილები და ოქროში ჩასმულები, ცხადად ჰმოწმობენ რამდენად წაუწევია იმ ხანას მცხოვრებთ ცოდნას ძვირფასის ქვების შემუშავებისას. უნდა შევნიშნოთ ისიცა, რომ მრავალ-გვარი მარგალიტი და პირის-ფერი მარჯანი უჩვენებენ, —ეს შესაძლებელია—აღებ-მიცემობას ინდოეთთან, საიდამაც უნდა შემოჰქონიყოთ აგრეთვე cyprea moneta, cardium rubinosum და სხვა სადაფები. ამ სათვლავების განსხვავებული ნიშნებია მძივები გიშრისა, რომელიც იმერეთიდამ თუ შემოდიოდა. ნემსების მასალად იხმარება როგორც ბრინჯაო, აგრეთვე რკინა.

„მესამე ხანას (აგურებისა ანუ კრამიტებისა) სათვლავებში კულტურა უფრო წარმატებაშია. თიხისა და მინის ჭურჭლებს ისევ ის ფორმა და შემკულობა აქვს, როგორც აკლდამებისას, მაგრამ კი ბევრით წმინდად იმუშავება. ქანდაკებიანი ქვები, მეტადრე სარდიონისა მრავალია. ერთი ბეჭედი ლაზურის ქვისა (lapis lasuri) უჩვენებს უეჭველად იმ მხარეს, საიდამაც შემოტანილია როგორც სარდიონი, აგრეთვე ლაზურის ქვები, ესე იგი ბუხარასა და ხვარასეთს. წარწერები ამ ქვებზე ბერძნულია, მაგრამ მხატვრობის სტილი კი მოგვაგონებს უფრო სტილს რომაულის ნაწარმოებისას ძველ-საქრისტიანო ეპოქაში, როდესაც ბერძნული ენა რომში გავრცელებული იყო. გულის ქინძის-თავები (фибулы) უფრო პაწაწკინებია და შესანიშნავი... იმ

დროს რკინა ისე ფასობდა, როგორც ბრინჯაო. სათვლავებში ვპოულობთ რკინის ქინძის-თავებს ძვირფასის ქვების თავებით და ბრინჯაოს მორთულობით; ვპოულობთ აგრეთვე რკინის ხელ-ბეჭდებს გამოქანდაკებულის ქვებით ბუდეებში. ძვირფას ქვებთა შორის, გარდა სარდიონისა და ლაზურის ქვებისა, იხმარება ზმეევიკი (ЗМѢЕВИКЪ), ონიქსი და მალახიტი. საყურადღებოა უფრო მალახიტი; აქამომდე ვიცოდით მხოლოდ ურალის მთის მალახიტი; ახლა ბაიერნი გვარწმუნებს, რომ ეს ქვა არაგვის ფშავლეთშიაც არისო. შესამკობლად იხმარება, გარდა გიშრისა, მარჯანი, რომელიც, მგონია, გამოტანილია იმ ოკეანიდამ, საიდამაც გამოჰქონდათ სადაფები tridacna და cythera. ამ სათვლავების ლითონის შემუშავებაში შეინიშნება შეზავება, რომელშიაც მომეტებულად ხმარებულია ვერცხლი.

„თუმცა ითქვა, რომ რკინა და ბრინჯაო ერთ-გვარ იხმარებოდნენ, მაგრამ სათევზაო ნემს-კავები და ისრის წვერები მხოლოდ ბრინჯაოსი ყოფილა. უნდა მოვიხსენოთ საყურადღებო ორი საგანიცა—ქვის ფიცარი, ვგონებთ საწერი, და გაქვავებული ტურის ფორმაციისა—penta crinus, რომლებიც იხმარებოდნენ როგორც მძივები მანიაკებისათვის. დასასრულ ამ სათვლავებში პირველად შეინიშნება ქარვა; სჩანს, ქარვა შემოჰქონდა ალებ-მიცემობას საბერძნეთით ანუ რომით.

„სამას სათვლავებში, რომლებიც კი ბაიერნს გაუთხრია, ფულიც აღმოჩნდა; ერთი მანათიც თვით გრაფინა უვაროვისამ იპოვა. ბაიერნის აზრით, ფულს უდებდნენ მიცვალებულს თავ-ქვეშ; მაგრამ, როგორც კერჩისა და ტამანის თხრა ჰმოწმობს, ფულს აყოლებდნენ თვით პირში, კბილებ შუა[1]. ვერცხლის მანათი, გრაფინა უვაროვისაგან ნაპოვნი, ეკუთვნის რომის იმპერატორს ავგუსტუს და წარმოგვიდგენს ამ წარწერას: Caesar Augustus—Divi F. pater patriae. რადგანაც ავგუსტობის ხარისხი მიეთვისა ოქტავის 27 წელს და pater patriae-ს ღირსება მეორე წელს ქრისტეს წინად, აქედამ უნდა იგულისხმებოდეს, რომ ნაპოვნი მანათი ეკუთვნის პირველს და მეორე საუკუნოებს ქრისტეს შემდეგ და იქნება მომავალს საუკუნოებსაც მეხუთე საუკუნემდე, რო-

1. ამ საგანზე იხილე ზემოდ თეიმურაზის შესანიშნავი ცნობა (გვ 63, შენ.1).

დესაც მცხეთამ დაჰკარგა ღირსება დედა-ქალაქისა საქართველოში; პირველის ორის ხანას საფლავები კი უნდა ეკუთვნოდეს ისეთს ძველ დროებას, რომლის ჩვენება დაჭეშმარიტებით ახლა ჯერ შეუძლებელია, რადგანაც იმ დროს ფულები წარწერებით არ აღმოჩენილა.“ [1]. აქ დავძენთ, რომ ბაიერნის ფიქრით, საზოგადოდ სამთავროს საფლავები შეიცვენ დროთა სივრცეს მეექვსის საუკუნიდამ ქრისტეს წინად მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს შემდეგ; მაგრამ გერმანიელის მეცნიერის ვირხოვის აზრით კი მცხეთის უძველესი საფლავები უჩვენებენ თავის ნივთეულობის კულტურით ნათესავურ კავშირს კობანის კულტურისას, რომელიც იმას გადააქვს 2000 წლამდე ქრისტეს წინად [2].

ზემოდ-ხსენებულს ფაქტებს ჩვენ წინა-პართა კულტურისას ეთანხმებიან თვით ძველნი ისტორიულნი ცნობანი. ბერძნის გეოგრაფი სტრაბონი, რომელიც ცხოვრობდა 54 წლიდამ ქრისტეს წინად და 24 წლამდე ქრისტეს შემდეგ და რომელსაც მიმოუვლია ჩვენი მხარე, ამბობს იბერიაზე ანუ აწინდელ ქართლზე: „იბერია არის მდიდარი და მჭიდროდ მოფენილი მოსახლეთაგან, მრავალ ქალაქებთა და სოფლებთაგან. იგია შემკული ხელოვნურად აღმართულის კრამიტოვანის შენობაებით, ბაზრებით და საზოგადო სახმარის სასახლეებით [3]. თვით გერმანიელი მეცნიერი რიტტერი შემდეგს აზრს აფუძნებს ძველს კლასსიკურს მწერლებზე შესახებ საქართველოს დასავლეთის ნაწილისა ანუ კოლხიდისა: „ბერძნები უწოდნენ, ამბობს რიტტერი, კოლხიდელებს ბარბაროზებად, მაგრამ არა. როგორც სჩანს, კოლხიდელები შეადგენდნენ ძველს განათლებულს ერსა, ძველს მოვაჭრე კოლონიასა პონტის ევქსინისა ანუ შავის ზღვის პირად. აპოლლონ როდოსელისა და იმის სხოლიასტის თქმით, კოლხიდელებს ძველადგანვე ესწავლათ თავიანთ წინა-პართაგან ხელოვნობა სახმელეთო და საზღვაო გზების წარმოდგენისა რუკებზე თავიანთ მოვაჭრე მოგზაურთათვის.

1. Уварова, *Взглядъ на мцхетскiй могильникъ*—Труды Моск. Археол. Общ., т. X·, стр. 18—24.—2. *Каталогъ собранiя древностей гр. Уварова.* Москва, 1887, стр. 37.—3. *Géographie de Strabon*, II, p. 403.

ამ რუკებს იგინი თავ-და-პირველად ქვებისას თურმე ხმარობდნენ, შემდეგ კი ხის ფიცრებისას. უეჭველია, რომ ეს ფიცრები ბოლოს გარდაიქცნენ ლანდ-ქარტებად და დიალ შესაძლებელია, რომ იგინი ჰქონდა თვალ-წინ ჰეროდოტსა (484—406 ქრ. წინად), როდესაც ის აღრიცხავს საალებ-მიცემო გზებს ბორისთენისას და პონტისას [1]. თვით სტრაბონი გვიამბობსო, რომ კოლხიდელების ქსოვილნი ძველადგანვე დიდად განთქმულნი იყვნენო და მრავალი იმათგანი გაჰქონდათო შორეულ ქვეყნებში [2].

---

1. *История землевѣдѣнія*. *Спб.* 1864, стр. 51—55.—2. *Géographie..*, II, 400.

## კარი მეხუთე

## სამეფოს დაარსება საქართველოში

I. ალექსანდრე მაკედონელი (336—323წ.) და იაზონ მთავარი.—შესაძლებელია თუ არა, რომ ალექსანდრეს თავის შემოსვლით დაეჭიროს საქართველო.—ისტორიული ფაქტები ალექსანდრეზე.
II. მეფე ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი (302—237).—საქართველოს განთავისუფლება ბერძენთაგან და სამეფოს დამყარება ჩვენში.—საქართველოს სახელ—წოდებანი; საერისთავოები და სადროშოები; აზნაური და ხვასტაგი: ამ სიტყვების ფილოლოგიური მნიშვნელობა.—ქართული მწიგნობრობა.—მხედრული უნდა მიგვაჩნდეს უძველესად, თუ ხუცური.
III. პოლიტიკური დამოკიდებულობა საქართველოსი ბერძნებთან და სირიის მეფეებთან.

იმ დროს, როდესაც სპარსეთის გავლენა და საბერძნეთის გავლენა საქართველოში ერთი მეორეს ებრძოდნენ, აქ ფარნავაზმა მოსპო უცხო-ტომთ ბძანებლობა, რომელიც იყო შედეგი იმის დამონავებისა ალექსანდრე მაკედონელის მიერ. „ალექსანდრე, ამბობს ქ-ცხბა, გამოვიდა დასავლით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლო კავკასი, მოვიდა ქართლად, დაიპყრა ქართველნი, დაუტევა მათზედა პატრიკად აზონ მაკედონელი და მიუჩინა მას 10,000 კაცი რომაელნი. აზონმა მოარღვია მცხეთის ზღუდენი, დასტოვა ოთხი ციხე, რომელნიც მოსდგმიდნენ ქართლის პირსა: თავი ციხე არმაზი; მეორე არმაზის ცხვირის ბოლოს; მესამე მცხეთის თავსა; მეოთხე დასავლით მცხეთისა მტკვარზე. აზონმა დაიჭირა ყველა საზღვრები ქართლისა ბერდუჯის მდინარით სპერის ზღვამდე; დაიჭირა აგრეთვე ეგრისი და მოხარკე ჰყვნა ოსნი, ლეკნი, და ხაზარნი“ [1]. არათუ ჩვენი მემატიანე საზოგადოდ ალექსანდრეს ყოფნას ჩვენ ქვეყანაში

1. ქ-ცხ., I, 27—28.

უეჭველ ფაქტად ისხენიებს, ზოგიერთნი ძველნი უცხო-ტომთ ცნობანიც არ არიან ამის წინააღმდეგნი; მაგალითებრ, მაკაბელთა პირველ წიგნში ვკითხულობთ, ვითომც ალექსანდრემ შემდეგ სპარსეთის დაპყრობისა „მოვლნო კიდრე კიდემდე ქვეყანისა“ [1]. ამ სიტყვებსვე იმეორებს ქ-ცხოვრება: „დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქვეყანისანი“ [2]. რომაელთ მწერალი ქრისტეს შემდეგი კვინტი კურცი (45—54 წ.) მოგვითხრობს, რომ ალექსანდრემ ჩვიდმეტის დღის განმავლობაში მხედრობით გადიარა კავკაზის მთა. იული სოლინი (IV საუკ. დამდეგს) გვიამბობს, ვითომც ალექსანდრეს დაემონავებინოს აზია, სომხითი, იბერია, ალბანია... და ტავრის მთით გადაევლოს კავკაზი [3]. თუ ამ გვარი სიცრუე ყოფილა გავრცელებული საქართველოს გარეშე, არ უნდა იყოს გასაკვირველი ისიცა, რომ თვით ჩვენ მატიანეში შემოუტანიათ იგი, როგორც ისტორიული ფაქტი [4].

ალექსანდრეზე ჩვენა გვაქვს შემდეგი ისტორიული ფაქტები. ალექსანდრემ კასპიის ზღვის სამხრეთად დაიმონავა მეომარნი ტომნი და იქ გააჭრევინა გზები, რომლითაც ჰსურდა შეეკავშირებინა ერთი მეორესთან საშუალო აზიის აღმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი [5]. მცირე აზიაში იმან გაიარა ტავრის მთა, დაიჭირა, სხვათა შორის, კილიკია და კილიკიის ქალაქი ტარსი [6], დაიპყრა აგრეთვე ბერძნების კოლონია მილეტი [7]. ალექსანდრემ გაგზავნა თავისი მხედართ-უფროსი მემნონი ოქროს მადნის დასაჭერად ისპირატში, რომელსაც ჰხადიან ჩვენის ჭოროხის ხეობის ისპირად, და სადაც აქამომდე სხვა და სხვა მადნები იპოვება [8]. კავკაზის საზღვრად ალექსანდრეს განსაკუთრებით ყურადღება ჰქონდა მიქცეული კასპიის ზღვაზე. იმ დროს ფიქრობდნენ, ვითომც კასპიის ზღვა შეადგენდა ჩრდილო-ოკეანის ნაწილსა და ალექსანდრეს ჰსურდა იმისი ნაპირები ცნობაში მოეყვანინებინა და იმის მოსაზღვრე ტო-

1. თავი I, მუხლი 1—3.—2. ქ-ცხ. I, 26.—3. Гана, *Извѣстія древнихъ греческихъ писателей о Кавказѣ*. Тифлисъ, 1884, стр. 145, 179.—4. ამ საგანზე იხილე აგრეთვე *Hist. de la Géor.*, I, p 35, n. 6. —5. Шлоссера, *Всемірная исторія*. 1861, II, 344,— 345.—6. Vivien de S-Martin, *Hist. des découvertes géogr.*, II, 343.—7. ibid., II, 340.—8. S-Martin, *Mém..*, I, 49.

მებში სააღებ-მიცემო გზები გაესხნევინებინა. ალექსანდრემ გააჩინა ამ ზღვაზე ფლოტი, რომელსაც საგნად ჰქონდა გამოეკვლია, დაკავში-რებულია თუ არა კასპიის ზღვა ოკეანთან შავის ზღვის შეამავლო-ბით ანუ სხვა ზღვების შემწეობით ინდოეთთანა. ამ გვარად მოუ-ვანილ იქნა ცნობაში ჯერ კასპიის ზღვის სამხრეთი ნაპირები, მასუ-კან დასავლეთი ნაპირები ალბანიამდე ანუ დარუბანდამდე [1].

შესაძლებელად მიგვაჩნია საქართველოს დაპყრობა არა თვით ალექ-სანდრესაგან, არამედ იმის ჯარისაგან, რომელიც, ჩვენის ფიქრით, შავის ზღვის ნაპირის ბერძენთაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ალექ-სანდრეს ცხოვრებაში, რომელიც სომხურ ენაზეა შედგენილი ბერძ-ნულ-ლათინურის წყაროებიდამ, ალექსანდრე სწერს თავის დედას ოლიმპიადას: „... ჩვენ მივადექით კლდე-ქვაზებს, სადაც მე გამოვაჭ-რევინე სახსოვრად როგორც ჩემი სახელი და სახელები ჩემგან დამო-ნავებულთა: ბესსისა, არიკარდანისა და მაზაკის მეფეებისა, აგრეთვე სახელები მეფეთა: მარსელებისა, სომხებისა, იბერიელებისა და სპარ-სელებისა, რომელთაც დიდი დარიოზი ბძანებლობდა [2]. სომხითის დაპყრობა ალექსანდრესაგან სომხის მატიანესაც უეჭველ ფაქტად მიაჩ-ნია. იმის მოწმობით, სომხითის მეფე ვაჩე მოიკლა, როდესაც ალექ-სანდრეს თურმე ებრძოდა და ალექსანდრემ იქ თავის მოადგილედ და-ნიშნა სპარსი მითრანეზი [3]. ჩვენ ვიცით, რომ ალექსანდრე ყველა იმისგან დაპყრობილ ქვეყნებში თავის მოადგილეებს ჰნიშნავდა [4]. მაშა-სადამე, თუ სომხურის მატიანის თქმულება ჭეშმარიტია, რაც ალექ-სანდრესაგან სომხითს დაემართა, იგივე უნდა დაჰმართვიყო თვით სა-ქართველოსაცა. ჩვენ ეჭვ ქვეშა გვყავს აზონი. აზონი მოგვაგო-ნებს იმ იაზონს, რომელიც ზღაპრულს დროებაში არგონავტების ხომალდით კოლხიდაში შემოსულა და ეს ჩვენი აზონი უნდა იყოს ნამდვილი მიფი ბერძნულის მწერლობის ზედ-მოქმედების დროს ქარ-თულ მწერლობაზე მითვისებული ჩვენ მემატიანეთაგან. უნდა ვიფიქ-როთ, რომ ამ აზრითვე ზოგიერთს ჩვენს ძველს ხრონიკებში აზო-

. 1. Montesqieu, *Esprit des lois*, 1860, p. 283—297. —2. *Hist. de la G.*, I, 35 n. 6. —3. S-Martin, *Mém.*, I, 285—286. —4. Шлоссера, *Всем. ист.*, II, 348; Victor Duruy, *Abrégé d' histoire universelle*. Paris, 1878, p. 93.

ნი სრულებით არ იხსენიება. ერთი ახლად აღმოჩენილის მეცხრე საუკუნის მანუსკრიპტის „მატიანე" აზონის მაგიერ უჩვენებს ფარნავაზის წინა-მოადგილედ ქართლის მეფის არანის ძეს აზოს, რომელიც, როგორც ზემოდაცა ვთქვით¹, ალექსანდრე მაკედონელმა არანის სიცოცხლეშივე დაადგინა ქართლის მეფედ. რა საკვირველია, თვით ეს თქმულება, ვიდრე სხვა იმისი შემამოწმებელი საბუთი არ აღმოჩნდება, ჯერ-ჯერობით შესაწყნარებელი არ არის.

ფარნავაზი, პირველი საქართველოს მეფე (302—237 წ. ქრ. წინად) იყო მამით ქართველი, დედით სპარსი ისპაჭანიდამ, და ძმისწული სამარისა, რომელიც ვითომც ალექსანდრე მაკედონელის მოსვლის დროს მამასახლისობდა მცხეთაში და თავის ძმითურთ მოკლულ იქმნა ალექსანდრესაგან. აზონის წინააღმდეგ ფარნავაზს მიემხრნენო: ეგრისის მფლობელი ქუჯი, თვით აზონის მხედარნი, „რომელთა ბოროტი წაეკიდებოდა აზონისაგან და სომეხთ ერისთავნი ბრძანებითა ანტიოქოზისათა, რომელმაც იმას შვილად უწოდა და წარმოსცა გვირგვინი". აზონი იძლია და ფარნავაზმა წარმოსტყუენა საზღვარი საბერძნეთისა კლარჯეთითურთ. ფარნავაზი მეფობდა მთელს ქართლზე და ეგრისზე და მხოლოდ ეგრის წყალს ქვემოთი მხარე დარჩა ბერძნებსა, რადგანაც „ამ ადგილის მკვიდრთა არა ინებესო განდგომა ბერძენთა". „ფარნავაზმა ააშენა და გაავსო ქართლი; შექმნა მწიგნობრობა; გაამრავლა მხედარნი ქართლოსიანნი, რომელთაც განუწესა სპასალარნი და ათასის-თავნი; დაარიგა აქა-იქ აზონის მხედარნი, რომელთაც უწოდა აზნაურ; შემოზღუდა ქალაქი მცხეთა და სხვა ქალაქები ქართლისა; ამართა ქართლის თავზე კერპი დიდი, რომელსაც თავისი სახელი უწოდა, რადგანაც თვით იმას პირველად სპარსულად არმაზი თურმე ერქვა; დაყო მთელი სამეფო, სპარსეთის მიბაძვით, საერისთავოებად: 1, ეგრისისა ეგრისის წყალსა და რიონის შუა სვანეთით; 2, მარგვისისა ლიხის მთით ზღვამდე რიონის ზემოდ; 3, კახეთისა არაგვიდგან ჭერეთამდე; 4, ხუნანისა ბერდუჯიდგან ტფილისამდე და გაჩიანამდე,-ეს არის გარდაბანი; 5, სამშვილდისა სკვირეთით ტაშირისა და აბოცის მთამდე;

1. იხილე გვ. 57.

6, წუნდისა ფანავარით თავამდე მტკვრისა, რომელის ჯავახეთი, კოლა და არტანი; 7, ოძრახისა ტაშის კარიდგან არსიანის მთამდე სამცხით და აჭარით; 8, კლარჯეთისა არსიანით ზღვამდე; 9, სასპასპეტო ტფილისით და არაგვით და ტასის-კარით ფანავარამდე, რომელი იყო შიდა-ქართლი და რომელსაც განაგებდა სპასპეტი. სპასპეტი ყოველთვის წინაშე მეფისა მთავრობდა და განაგებდა ყოველთა სპათა და ერისთავთა და ამათგან მოიღებდა სარკთა ქვეყანისათა. ფარნავაზ მსახურებდა მეფესა ასურისტანისასა."

ფარნაბაზს, ფარნუაზს, ფარნავაზს, ფარნაოზს იშვიათად არ იხსენიებენ უცხო-ტომთ მატიანენი: ბერძნული, სომხური და სპარსული[1], მაგრამ ქართველების ფარნავაზზე გარეშე ჩვენის მატიანისა უცხო-ტომთაგანი არავინ არას ამბობს, გარდა ფაუსტ ბიზანტიელისა (IV საუკ). ეს ფაუსტი გვიამბობს, ვითომც სომხითის სპარაპეტი ანუ სპასპეტი მუშეგი შემოსულიყოს ჩვენ ქვეყანაში (ბაკურ III დროს 557—570 წ.) და ჯვარზე ეცვას საქართველოს შუა-გულშივე შთამომავალნი ფარნავაზიანნი[2]. ფარნავაზის ცხოვრებაში განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაპყრათ შემდეგ საგნებსა.

შევეხნეთ ჯერ სახელ-წოდებებს საქართველოსას. ზოგნი მათგანნი იმ დრომდამ აქამომდე შეუცვლელად დარჩნენ, ზოგნიც შეიცვალნენ ანუ გადაშენდნენ. იმათში სულ ძველის-ძველად გავრცელებული ჩვენ მწერლობაშიაც და უცხო-ქვეყნებისაშიაც მოსხი, მესხეთი. ეს სახელ-წოდება წინათაც მოვიხსენეთ. იმერეთის სახელი ჯერ არ არსებობს. ლისთ-იმერი, ლისთ-ამერი ანუ იმერ-ამერნი პირველად შემოდის XII საუკ. ამის მაგიერ იხმარება ეგრისი; აქედამ შემდეგ წარმოსდგა მეგრი, მეგრელი, სამეგრელო. ჭანეთი, ჭანნი ამ სახელითვე არიან ცნობილნი. ტრაპიზონი, მატიანის თქმით, იყო დასახლებული მეგრელთაგან[3], ესე იგი აწინდელთა ჭანთაგან, რომელნიც მეგრელებადვე იწოდებიან. სვანეთი სვანეთადვე ისახელება. სვანეთი შეადგენდა ფარნავაზის დროს და შემდეგ სამფლობელოს ეგრისის მთავრისას. ქართლი ძველად იყოფოდა შიდა-ქართლად, შიდა-

1. *H. de G.*, II, 37 n. 1.—2. Langlois, *Collection..*, I, 285.
3. ქ-ცხ. I, 42.

ქალაქად, ზენა-სოფლად, შემდეგ ზემო-ქვეყნად, ქვემო-ქვეყნად. პირველი ჰნიშნავდა მთელს ქართლსა, რომელიც ბოლოს ზემო-ქართლად და ქვემო-ქართლად დაიყო; მეორე ჰნიშნავდა იმერეთს სამეგრელოთურთ. კახეთის სახელიც თითქმის ისე ძველია, როგორც ქართლი. ქართლს სულ ძველად ჩვენ მწერლობაში შემკრებლობითი მნიშვნელობა აქვს და იხმარება საქართველოს ნაცვლად; მაგრამ გასაკვირველია, რომ ქართლი, საქართველო უცხო-ტომთ მწერლობამ სრულებით არ იცის, მაშინ როდესაც სხვა სახელ-წოდებანი: ეგრისი, ჭანეთი, კახეთი და სხ. საქართველოს გარეთაც ცნობილნი არიან.

ფარნავაზის დროს მოხსენებულნი „ოთხნი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა, უდრიან, როგორც გვარწმუნებენ[1], ოთხს საქართველოს შესავალ ხეობებს. ჩვენ ვნახავთ თავის ადგილს, რომ ამ ოთხს შესავალს თვით სტრაბონი აგვიწერს გარკვევით.

ახლა დასკვნილია, რომ ერი მიაწერს სხვა და სხვა დროს აღმოჩენილს მოვლენასა, სხვა და სხვა პირთ მოღვაწეობასა ერთს დროს და ერთს რომელსამე ზღაპრულს თუ ისტორიულ პირსა, ამ გვარად ფარნავაზისაგან საქართველოს დაყოფა საერისთავოებად თუმცა სრულებით ეთანხმება ჩვენის ტომ-ნათესავის გეოგრაფიულს და ეთნოგრაფიულს დანაწილებასა, მაგრამ ამ ბუნებითს თვისებაზე იყო ფარნავაზის წინათაც და შემდეგშიაც დამყარებული საქართველოს პოლიტიკური დაყოფა. ესევე უნდა ითქვას სამხედრო სადროშოებზე, რომლებზედაც ვახუშტი ამბობს: „წინა-მბრძოლნი იყვნენ თორელნი, ცისის-ჯვარელნი და ახალ-ცისელნი და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითისა რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; ხოლო მემარცხენე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ჰერკახნი და მეფისა ალმის-მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა"[2]. ამ საბუთითვე ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით სარწმუნოების წესი და კერპი არმაზი ფარნავაზზე ადრევე უნდა იყვნენ დამყარებულნი ჩვენ ქვეყანაში.

1. *H. de la G.*, I, 34 п. 5.—2. ვახუშტის „გეოგრაფიული აღწერა საქართვ.", 34.

ჩვენი მატიანე გვიამბობს, ვითომც აზნაურს ჰქონდეს კავშირი აზონის სახელთანა: „და უწოდა მათ (მხედართა აზონისათა) აზნაურ“; მაგრამ, როგორცა ჩანს, ქართული აზნაური და სომხური აზნი ერთი და იგივეა და ერთ-გვარ ჰნიშნავს კეთილ-შობილსა. ქართული აზატი, სომხური აზატ არის ზენდური *âzâta* (კეთილ-შობილად ნაშობი)[1]. თვით ჩვენ მწერლობაში ამ ფორმითვე იხმარება ეს ლექსი, მაგალ., „აზნთა და მონათამდის“ [2]; „იყო გვარ-ტომობით არა აზნო“ [3]. აქედამვე მომდინარეობს აზატი „თავისუფალი“ ძველის სომხურის მწერლობისა [4].

ფარნავაზი შეუთვლის ქუჯსა: „არის ჩემთანა სვასტაგი დიდ-ძალი“, და „სვასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი“. ბროსსეს აზრით, რომელიც მიუთვისებიათ ნუმიზმატებს: ლანგლუას[5] და ბართოლომეისს, სვასტიკი ჰნიშნავს ოთხ-ფეხს საცხოვარსა და ძველ ფულსაცა. ამ უკანასკნელ მნიშვნელობას ნუმიზმატნი მისთვისებენ ფარნავაზის სვასტაგსა და ამასთანავე ამტკიცებენ, ვითომც სვასტაგად იგულისხმებოდეს ერთი ძველი პატარა ვერცხლის ფული, რომელიც ხშირად მოიპოვება ჩვენში და რომელზედაც ერთის მხრივ დედა-კაცის თავია გამოსახული, მეორის მხრივ ხარის თავი[6] და რომელიც ვითომც ფარნავაზის დროს იყო ხმარებაში. მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრივ არა ვხედავთ, რომ სვასტაგს ეს მნიშვნელობა ოდესმე ჰკუთვნებოდა. მთელს ქართულ მწერლობაში სვასტაგი წარმოადგენს საცხოვარსა, ოთხ-ფეხსა, განძსა (ამ სიტყვასვე ხმარობს ვახუშტი თავის ისტორიაში სვასტაგის ნაცვლად) და არა-ოდეს ფულსა, მაგალ., „დაჰკარგა დედა-წული, ბარგი და სვასტაგი“ [7]; „ოქროსა და ვერცხლისა,

1. Harlez, *Manuel de la langue de l'Avesta. Paris*, 1882, p. 312. —2. ქ-ცა., 268.—3. ქ-ცხ., 305.—4. Langlois, *Collect...*, II, 137.—5. *Rapp. sur l' ouvrage:* Нумизмат. факты Груз. царст., 1847, p. 15—16; Langlois, *Essai de classif.*. 1860, p. 70—71; Bartholomaei, *Lettres numism.*, 1859, p. 70—71.—6. ამ აზრის საფუძვლად აქვთ ის გარემოება, რომ სულ ძველად ალებ-მიცემობაში ფულის მაგიერ იხმარებოდა საქონელი; ამისთვისაც შემდეგ ფულის შემოღებისა ამ უკანასკნელს დაერქვა pecunia (*Dict. des ant. grecques et rom.*, 454—455). იხილე აგრეთვე ლათინურ ენაზე ბიბლიაში Liber genesis, XXIII, 13.—7. ქ-ცხ. 344, 379.

ჯოგისა და ხვასტაგისა არა იყო რაჲსავე“[1]; „დაღათუ მოაკლდა ვერცხლი ჩუენი და საქონელი და ხვასტაგი“[2]. სლავიანურ ბიბლიაში ამ ხვასტაგის თარგმანია СКОТЪ. „და ქონება ხვასტაგი ნავისა ჩუენისაი წარღებად“[3]. „სადა იგი ყოველი ხვასტაგი უსჯებით გამოიზრდების“[4]. როსტომ მეფის 1645 წ. გუჯარში ხვასტაგი ჰნიშნავს წვრილფეხსა და რქიან საქონელს[5].

ზემოდ მოვიხსენეთ ქ-ცხბის თქმულება ქართულ მწიგნობრობაზე. აქ ჯერ იმას შევნიშნავთ, რომ სახელ-წოდება „ხუცური,“ „მხედრული“ ჩვენმა ძველმა მწერლობამ სრულებით არ იცის და როდის არიან იგინი შემოღებულნი ანუ პირველად ხმარებულნი, ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი. ამ საგანზე გავრცელებულია ჩვენში ორი აზრი: ერთი ჰსადის მხედრულს ხუცურზე უძველესად და იმის დაფუძნებას მიაწერს ფარნავაზისა; ხუცურის შემოღებას კი მისთვისებს სომხის მეცნიერს მესროპს მე-V საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. მეორე აზრი ამ აზრის წინააღმდეგია. ჩვენ თვით ვადგევართ მეორე აზრსა, რომელსაც გამოვარკვევთ შემდეგზე.

თუ ჩვენ ჩვენის ანბანის ანუ ალფაბეტის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა; ასოს ს როგორც ქართულში, აგრეთვე უძველესს ბერძნულში ერთი და იგივე სახელ-წოდება აქვს: σαν-სან. მართალია, ზოგი ჩვენი ასოებიც, მეტადრე ასომთავრულისა ხუცურში როგორც თვით ფორმებით, აგრეთვე გამოთქმით უახლოვდებიან დევა-ნაგარისა და სხვა ალფაბეტებს ინდოეთისას; მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ალფაბეტი სხვა და სხვა დროს არის სხვა და სხვა ალფაბეტებიდამ შევსებული და, ჩემის მოსაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტუ-

1. ქ-ცხ, 412.—2. დაბადება, თავი XLVII, მუხლი 18.—3. სვანური მანუსკრიპტი XI საუკ., გვ. 213, 282.—4. მამ-ცხ. შიო-მღვიმისა, გვ. 114.—5. ხვასტაგზე ნახე აგრეთვე *H. de la G.—Introd.*, p. LXXXVII—VIII, სადაც განმარტებულია სპარსული *khostch*, სომხური *khostac* და აქედამ წარმომდგარი *khostadar*.

რის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი-ზღვის ნაპირზე. თვით ლექსნი: მელანი, კალამი იმ დროდამ უნდა გვქონდეს ბერძნებისაგან მითვისებულნი. ეს ლექსები ძველს ბერძნულშიაც ისე ისმარება, როგორც ქართულში: μέλανιον, καλαμάριον.

რომელია უძველესი, ხუცური თუ მხედრული? ამ საგანზე შეგვიძლიან დავდოთ აზრი იმათს პალეოგრაფიულს შედარებაზე. თუმცა პალეოგრაფია ახალი შტოა მეცნიერებისა, მაგრამ იმან უკვე აღმოაჩინა კანონი, რომლის ხელმძღვანელობით ის იკვლევს, ნათესავურს ალფაბეტებში რომელი უფრო ძველი უნდა იყოს. დავადგეთ ამ კანონსა და ვნახოთ, რასა ვპოებთ. უძველესნი ჩვენის მწერლობის ნაშთნი, რომელნიც აქამომდე ხელში გვაქვს, არიან: შენობებზე, ფულებზე და ეტრადეზე: ფულებზე ხასანიანთ დროს; მონასტრებზე ურბნისისა, რკონისა გორის მაზრაში და ჯვარის-მონასტრისა მცხეთის მახლობლად (უკანასკნელია მე-VI-VII საუკუნისა) და გარდა ამისა ტყავზე ნაწერ წიგნებში, რომელთაც მე-V-VII საუკუნოებს მიაწერენ.

ალფაბეტური ნიშნები აღრიცხულს ნაშთებზე არიან მხოლოდ ასომთავრულნი ხუცურნი. იმ დროს სრულებით არა ჩანს კვალი არც ნუსხა-ხუცურისა, არც მხედრულისა. ეს ასო-მთავრულნი წარმოგვიდგენენ თავის მოხაზულობით ძველად-ძველს ხასიათსა. იმათ შორის არც იპოება ზოგიერთი ასოები, რომელნიც მხოლოდ შემდეგ საუკუნოებში შემოდიან ხმარებაში. Ⴓ სრულებით არ არის და იმის ნაცვლად იხმარება ႭჃ-ოჳ, როგორც თვით ბერძნულში მაგიერ ογ. ამასთანავე ႭჃ-თი გამოითქმის, გარდა უ-სა, ჳე-ცა, ჳა-ცა, ჳ-ცა და ჳი-ცა. ე-ს ნაცვლად იხმარება ხშირად Ⴡ-ჱ და Ⴢ-ჲ-ცა, მაგალ. **ცნობისათოჳს, ოჳწყება, მოგოჳთხრა, მოძღოჳარი, განსაზღოჳრებოჳლი, შოჳდეოჳლი, ოჳფალი ჩოჳენი, მოგჳანიჭა, ქრისტჱ, ძჱ, დღჱ, პეტრჱ, მჱ, საქმჱ, სახჳ, ესრჳ, ქოჳშჳ და სხ.**

ნუსხა-ხუცური პირველად შეგხვდება ერთს ძველს ოთხ-თავის ვარიანტში, რომელსაც თვით იმისი ქრონიკონი მიაწერს მე-VII

საუკუნესა, თუმცა ეს ქრონიკონი ჩვენ ცოტა საეჭვოდ მიგვაჩნია. შემდეგ იგი ცოტ-ცოტად ჰქრება. ამ ნუსხა-ხუცურში ზემოდ ნაჩვენები შეერთებული უცნაურის თვისებისა ასოები უფრო იშვიათია და თვით ႭႣ-ს ნაცვლად იხმარება ⴓ მაშინ, როდესაც ႭႣ ასო-მთავრულში მე-XII-XIII საუკუნემდე რჩება, თუმცა Ⴓ უკვე შემოღებულია. ⴓ სულ პირველად იწერება ⴍⴣ, რომელიც უდრის ႭႣ-სა. ეს ორი ⴍⴣ დროს განმავლობაში უერთდებიან ერთი მეორესა და ამ გვარად ადგენენ ერთს ასოსა, რომელიც ჯერ ისევ ოთხ-კბილიანია (ⴍⴣ), მას-უკან სამ-კბილიანია (ⴓ). ამ ⴓ-დამ წარმოსდგა მხედრული უ. ჩვენის აზრით, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის შემოღებას ერთი მეორის შემდეგ მოკლე დრო ჰყოფს. ასეა თუ არა, მხედრული სხვა არა არის რა, როგორც იგივე ნუსხა-ხუცური, მაგრამ უფრო განმარტივებული და გაადვილებული სახმარად. უძველესს მხედრულს, რომელიც ჯერ ისევ ნუსხა-ხუცურს მიემსგავსება, ჩვენა ვპოულობთ, სხვათა შორის, პირველად სომხითის ანის ქალაქის ქართულს ეკლესიაზე (X საუკ.), რომელსაც შეცდომით ჰხადიან „ბერძნულ“ ეკლესიად; მეორედ სოუქ-სუს ეკლესიაზე აფხაზეთში (XI საუკ.) და მესამედ ამ რამდენისამე წლის წინად ნაპოვნს დიდს ტყავზე ნაწერს ბაგრატ IV-ს გუჯარში[1].

დირს-სასსოვარია ფარნავაზის დროს, როგორც შემდეგ, საქართველოს კავშირი ბერძნებთან და სირიის მეფეებთან. ჩვენ კიდეც ვიცით ბერძნების წყაროებიდამ, რომ ძველადვე ბერძნებს კპურათ მთელი შავი-ზღვის პირები, რომ საქართველოს მხრივ იმათ თავიანთი კოლონიები ჰქონდათ დაარსებული. ამ შემთხვევაში ბერძნულ ცნობას ქართული წყაროც ეთანხმება[2].

1. ქართულ პალეოგრაფიაზე ნახე ჩემი *Грузинская палеографія*— Труды V-го археологическ. съѣзда въ Тифлисѣ. Москва 1887, стр. 207—214. იქვე პალეოგრაფიული ნიმუშები სხვა და სხვა საუკუნოების ჩვენის მწერლობისა გეგმით ანუ ტაბლიცით, რომელიც ცხადად უჩვენებს, რომ ხუცური ასო-მთავრულია ნამდვილი წინაპარი როგორც ნუსხა-ხუცურისა, აგრეთვე თვით მხედრულისა, ასე რომ თვით მე-XI—XII საუკუნეშიაც კი მხედრულს მწერლობაში ასოები: დ, კ, ლ, ა, პ, რ, ტ, ფ, ქ, ლ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, და ჰ ხუცურს ასოებს მიემსგავსებიან (*Таблицы* XIX-XXVIII).—2. ნახე ქ-ცხ., 106, 107, 112, 132, 168.

ბერძნებისა და ჩვენის მატიანის თქმულებას რომ არ მოეღწია ჩვენამდე იმათ მფლობელობაზე შავი-ზღვის პირად, თვით ადგილობრივნი იმათნი ნაშთნი გვიამბობდნენ ამის სინამდვილეს. ეს ნაშთნი არიან გაფანტულნი აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში და თვით ზემო — იმერეთში. კლარჯეთი და მთელი მხარე ეგრისის (ენგურის) წყალს ქვემოდ ვიდრე მდინარემდე მცირე-საზარეთისა (ყუბანისა) შეადგენდნენ ზღვის პირ ადგილებს, ბერძნების სამფლობელოს. კლარჯეთს ჰსაზღვრავდა, „აღმოსავლით მთა, რომელიც მიემართება კლარჯეთისა და ტაოს შუა ზღვამდე; სამხრით მთა, რომელსა სდიან მდინარენი და ერთვიან ჭოროხსა; დასავლით მთა აზრუმ—ბასიანს შორის ზღვამდე; ჩრდილოდ შავი ზღვა. არიან ამათ შინა თორთომი, ხასული, ისპირი, ბორჩხა, ბაიბურთი და ჭანეთი"[1]. ახლა კლარჯეთის ხსენება აღარ არის. ეს სახელი შერჩენია მხოლოდ ერთს ციხე-სიმაგრიან სოფელს არტანუჯის მაზრაში. არც ქართლოსის დროს, არც შემდეგ ვიდრე ფარნავაზამდე ზღვის პირი კლარჯეთი არ არის ნაჩვენები საქართველოს სამფლობელოში[2]. დროითი დრომდე ბერძნები თავის მფლობელობას ზღვის პირიდამ ავრცელებენ ერთის მხრით არსიანის მთამდე, მეორის მხრით ციხე—გოჯამდე ანუ ქუჯის—ციხემდე, რომელიც არის აწინდელი ნაქალაქევი, და ლადოსა ანუ ფერსათის მთამდე. თუმცა ხან და ხან ქართველები ბერძნებს ებრძვიან თავიანთ საზღვრების გამო, მაგრამ, როგორცა სჩანს, საზოგადოდ იგინი ერთმანეთთან მშვიდობიანათ იყვნენ. ძველადვე სპარსების წინააღმდეგ ბერძნები შემწეობას აძლევენ ქართველებსა; ფარნავაზის დროს ეგრისის მცხოვრებნი უარ-ჰყოფენ კავშირის მოკვეთასა ბერძნებთან; გარაზ-ბაქარის მეფობაში კლარჯნი, შეწუხებულნი თავის მეფისგან, განუდგებიან იმასა და მიერთვიან ბერძნებსა.

ქართლის-ცხოვრების თქმით, ვიდრე ფარნავაზი აზონს შეებმოდა, იმან „წარავლინა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოზ ასურისტანისა და წარსცა ძღვენი დიდ-ძალი და აღუთქვა მას მსახურება და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა; ანტიოქოზმა შეიწყ-

1. ვახუშტ., „გეოგრაფ. აღწ. საქართ.", გვ. 72.—2. *Hist. de la Géor.*, I, p. 39 n. 1.

ნარა ძლევნი მისი, წარმოსცა გჳირგჳინი და უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდნენ ფარნავაზსა". „მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით". „სამოც და ხუთის წელს მეფობდა ფარნავაზ ნებიერად და მსახურებდა ანტიოქოზს..." ამ გვარივე და-მოკიდებულობა თურმე ჰქონდათ ანტიოქთან შემდეგაც ფარნავაზის მოადგილე მეფეებს, საურმაგს და მირვანს. თუ ფარნავაზმა გაანთავისუფლა საქართველო აზონისაგან ასურისტანის მეფის შეწე-ობით; თუ ანტიოქმავე დაადგა იმას გჳირგჳინი და თუ როგორც ფარნავაზი, აგრეთვე იმისნი ორნი მოადგილენი მსახურებდნენ ასურისტანის მეფეს, მაშ, საქართველო იყო სირიის ბძანებლობას ქვეშ.

სირიას ანუ ასურისტანს ძველად შეადგენდა სამი ნაწილი: ნამდვილი სირია ჩრდილოეთით, ფინიკია შუა-გულად, და პალეს-ტინა სამხრეთად. დასახლებული სემიტის გვარ-ტომთაგან სი-რია იყო თავ-და-პირველად დაგლეჯილი პოლიტიკურ რამდენსამე ნაწილებად. სირია დაიმონავეს ჯერ ასსირიის მეფეებმა, მასუკან სპარ-სებმა, ბოლოს ალექსანდრე მაკედონელმა და ალექსანდრეს შემდეგ იგი ეპყრათ გაყოლებით იმის მოადგილეებს ლაომედონს, ანტიგონს, პტოლომეს და სელევკ ნიკატორს, რომელმაც 301 წ. ქრისტეს შო-ბის წინად იგი სრულებით მიითვისა, დაიჭირა მთელი მცირე აზია, პონტი და სომხითი, გაავრცელა თავისი სამფლობელო ჩრდილოე-თით იაქსარტის მდინარემდე, აღმოსავლეთით ინდოეთამდე. უპირ-ველესი ქალაქები იმის დროს და იმის მოადგილე—სელევკიდების მეფობაში იყო—დედა ქალაქად ანტიოქია და სელევკია ტიგრის მდი-ნარეზე. სელევკს შეჰქონდა ყოველს თავის სამფლობელოში ბერძნუ-ლი განათლება და ზნეობა[1]. სელევკმა გაიჩინა კასპიის ზღვაზე თა-ვისი ფლოტი და ეს ფლოტი მიანდო პეტროკლესა, რომელსაც უნ-და გამოეკვლია კასპიის ზღვის კიდეები. ახლად აღმოჩენილს ამ ზღვის ნაწილს დაერქვა სელევკის ზღვა. სელევკს ჰქონდა აზრი, რომ კასპიის ზღვა და შავი ზღვა შეეერთებინა არხით. ამ მზადებაში ის მოკლეს 250 წელს პართიელებმა, რომელნიც კასპიის ზღვის სამხ-რეთ—აღმოსავლეთად ცხოვრობდნენ და 193—190 წელს რომაე-

1. Шлоссера, *Всемірн. ист.*, III, 1—9.

ლებმა დასცეს იგი. 64 წელს ქრისტეს წინად სირია რომის პრო-
ვინცია შეიქნა. პირველ საუკუნეში აქ გავრცელდა ქრისტეს სარწ-
მუნოება და ანტიოქია პატრიარხის სატახტო ქალაქად დაარსდა.

ფარნავაზის მეფობის განმავლობაში სირიაში მეფობდნენ სე-
ლევკო ნიკატორი და ანტიოქი პირველი. ეს ის დრო იყო, როდე-
საც სირია უალმატებულად ჰყვაოდა და შემძლეობდა. აქ უნდა და-
ვურთოთ, რომ თუმცა პოლიტიკური როლი სირიას დიდ-ხანს არა
ჰქონია, მაგრამ იმის სწავლა—ხელოვნებას კაი-ხანი უმოქმედნია სომ-
ხეთზედაც და საქართველოზედაც. ამას ჰმოწმობს შემდეგ ის დროს
საბუთები. ჩვენ ვიცით, მაგალითებრ, რომ ვიდრე წმინდა მესრობი
სომხურ ანბანს გაავრცელებდა, სომხეთში მიღებული იყო სირიული
ანბანი; რომ გრიგოლ განმანათლებელის მოადგილენი მე-IV საუკუნის
დამდეგიდამ მე-V საუკუნის გასვლამდე იყვნენ სირიელნი, დამფუძნე-
ბელნი სომხითის მონასტრებისა და საეპისკოპოზო ტაძრებისა; რომ
თავ-და-პირველად თვით ბიბლია სომხითში სირიულ ენაზე იხმარებო-
და და წირვა-ლოცვა ამ ენაზედვე იყო, თუმცა ერს სირიული არ
ესმოდა [1]; რომ თვით ჩვენში, ვიდრე საკათალიკოზო დაწესდებოდა,
V საუკ. გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს, ჩვენი ეკლესია
შეადგენდა ანტიოქიის ანუ სირიის სამწყსოსა. და ამ სამწყსოს გა-
ნაგებდა მღვდელთ-მთავარი, რომელიც ანტიოქიის პატრიარხისაგან
ამოირჩეოდა და გამოიგზავნებოდა [2]; რომ ათ-ცამეტნი მამანი, რო-
მელნიც ფარსმან მეფის დროს, VI საუკუნეში, შემოვიდნენ საქართ-
ველოში, დაემყარნენ სხვა და სხვა ადგილებში, დააწესეს მონასტრები და
უდაბნოები და გაავრცელეს ქრისტეს აღსარება, იყვნენ სირიაში
აღზრდილნი [3].

---

1. S-Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 10—12, 305—306; Lebéau, *Histoire du Bas-Emp.*, V, 318—320.—2. *Hist. de la Géor.*, I, 192 n. 2; II, 2 livr., 432.—3. Ibid., I, 202—216; *Addit. et 'Eclaircis.*, *à l' histoire de la G.*, 1851, *Spb.*, 1851, p. 125—132.

## კარი მეექვსე

# არშაკუნიანთ სამეფო სახლი და რომაელნი საქართველოში

I. ქართლის მეფენი: საურმაგ (237—162); მირვან I (162—112; ფარნაჯომ (112—93) და იმის დროს ცეცხლის-მსახურება საქართველოში.
II. არშაკუნიანთ სამეფო სახლი საზოგადოდ და იმისი დამყარება სომხეთში.—სომხეთის მეფენი: ვაღარშაგ (149—127); არშაგ I (127—114 და არდაშეზ I (114—89).
III. არშაკუნიანნი საქართველოში.—მეფე არშაკი (93—81).—მეფე არტაგი (81—66).—პონტოს მეფე მიტრიდატ დიდი და ბრძოლა იმისი მცირე აზიაში და ქართველებისა საქართველოში რომის მხედართ-მთავართან პომპეისთან.—სახელ-წოდება „იბერია" პირველად ხსენებული იმათ მწერლობაში 65 წელს ქრისტეს წინად და საზოგადოდ რა ცნობები შეგვძინეს იმ დროს რომაელთ მწერლებმა კავკაზიაზე.

ფარნავაზის შემდეგ მეფობენ: შვილი იმისი საურმაგ (237 162); მირვან ნებროთიანი (162-112) და შვილი მირვანისა ფარნაჯომ (112-93); არშაკ (93-81). იმათში „საურმაგი დურძუკეთის მოჭარბე მცხოვრებთ ასახლებს დიდოეთში და ჩვანეთში; სდგამს მცხეთაში ორ კერპსა აინანსა და დანანასა. საურმაგისაგან შვილობილის მირვანის დროს აიშლებიან დურძუკნი, რომელნიც მოსტყუვნენ კახეთსა და ბაზალეთსა და რომელნიც მანამდე მეგობრულად თურმე იყვნენ დაკავშირებულნი ქართველებთან, რადგანაც ფარნავაზის ცოლი დურძუკელი ქალი თურმე იყო. დურძუკნი იყვნენ წინაპარნი აწინდელთ ქისტთა, ინგუშთა და ღლიღვეელებთა და მკვიდრობდნენ იქვე, სადაც ახლა ეს უკანასკნელნი ცხოვრობენ; იყვნენ მებრძოლნი და შემწეობდნენ ქართველებს ოსთა და ხაზართ წინააღმდეგ. მირვან სძლევს იმათ და მალადვე სპარსთაგან აშენებულს დარუბანდს აბამს ქვითკირის კარსა. მირვანი ესიძება სომხეთის მეფის შვილს არშაკ-

სა, რომელსაც აძლევს თავის ქალსა. ფარნაჯომ აშენებს ზადენ-ციხეს, კასპეთში ქალაქს ნელქარისს ანუ ნეკრესს, შეიქს კერპს ზადენსა და შემოიყვანს სპარსეთით ცეცხლის-მსახურთა მოგვთა, რომელთაც ასახლებს მცხეთაში. განრისხებულნი ქართლის ერისთავნი განდევნიან ფარნაჯომსა და იმის მაგიერ სომხითის მეფეს გამოსთხოვენ იმის შვილს არშაკსა". მართლადაც იმ დროს ცეცხლის-მსახურთ აღსარება გაძლიერებული იყო სპარსეთში და შესაძლებელია, რომ ქართველებმა კერპთ-მსახურების დასაცველად მიჰმართეს სომხითის მეფეს არტაშეზ I-სა, რომელიც მეფობდა 114-98 წ. და რომელიც, სომხურის ისტორიის მოწმობით, მკაცრი აღმსარებელი იყო კერპთ თაყვანის-ცემისა [1].

ამ გვარად დაარსდა საქართველოში არშაკუნიანთ სამეფო სახლი. არშაკუნნი ანუ არზასიდნი აღმოჩნდნენ პირველად პართიაში და იქიდამ გავრცელდნენ, სხვათა შორის, სომხითში და საქართველოში. ეს დრო ისეთი დროა ისტორიაში, რომ არ შეიძლება არ შევაყუენოთ იმაზე მკითხველი. გასაოცარ სასიღველს წარმოგვიდგენს ის ეპოქა, რომელსაც ჩვენ შევეხებით. ალექსანდრე მაკედონელის ტახტზე ასვლიდამ 336 წ. ვიდრე 65 წლამდე ქრ. შობის შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა აზიისა რამდენჯერმე შეიცვალა. ალექსანდრეს სიცოცხლეში დამყარდა დიდი მაკედონიის იმპერია, რომელმაც ჩანთქო მცირე აზია, სპარსეთი და ინდოეთი. მოკვდა ალექსანდრე და ეს იმპერია ჩაიშალა. აღყვავდა სელევკიდთა სამფლობელო სირიაში, რომელიც დააფუძნა ერთმა ალექსანდრეს მხედართ-მთავართაგანმა სელევკმა ნიკატორმა. სირიამ დაჰფარა თითქმის მთელი მაკედონიის იმპერია. დაეცა სირია და აღდგა პართია არშაკუნიანთ ხელში. შემდეგ გაძლიერდა მიტრიდატ დიდის დროს სამფლობელო პონტისა, რომელიც დასცეს რომაელებმა. პართიელნი, ცნობილნი სკვითებად, ბინადრობდნენ ხორასნის ჩრდილო-დასავლეთად. არშაკუნიანთ დაიპყრეს მთელი სივრცე ეფრატის მდინარიდამ ინდის მდინარემდე და პირველი მეფის მიტრიდატის დროდამ (150 წ. ქრ. შობ. წინ) ცხოვრობდნენ ზამთარ ქტეზიფონში,

1. ქ-ცხ., 34; *H. de la G.-Introd.*, XXIX.

ჩაფსულ სხვა და სხვა ადგილს, განსაკუთრებით ეგბატანაში [1]. მიტრიდატ პირველმა თვის სომხითში დასვა მეფედ თავისი უმცროსი ძმა ვაღარშაკ I, რომელმაც დაარსა სომხითში არშაკუნიანთ დინასტია. ამ ვაღარშაკმა, სომხურის ისტორიის მოწმობით, დაიპყრა პონტის ქალდეა და ლაზისტანი, მთიან-ტყიანი ტაიკი ანუ ქართველების ტაო და კავკასიელნი ტომნი და თავისნი მოადგილენი დაადგინნა აღოვანში ანუ ალბანიაში, გუგარკში ანუ ჩვენს სომხეთში. „გუგარელნი, მოსე ხორენელის მოწმობით, მომდინარეობენ იმ მიტრიდატისაგან, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს დაედგინა ნაბუქოდნოსორის მიერ დატყვევებულთ იბერიელთა გამგედ.“ ვაღარშაკის თანა-მოღვაწე იყო „ბრძენი და შემძლე“ შამბუ ბაგრატი ურიათაგანი და მოსეს სჯულის აღმსარებელი, ამასთანავე მემკვიდრეობით გვირგვინის დამადგენელი მეფის თავზე და ასპეტი ანუ სპათა-მთავარი. ვაღარშაკმა დააწესა სასახლის მცველად ოთხ-გვარნი სპანი, რომელნიც იყვნენ შემდგარნი შეიარაღებულთა პირთაგან და ჰფლობდნენ მემკვიდრეობით სოფლებსა და დაბებსა. „არ ვიციო, ამბობს მოსე, ამოიხოცაო თუ არა მთელი შთამომავლობა ანუ აშლილობისა გამო ამოწყვეტილ იქნაო და იმ სპათა ნაცვლად სხვანი შესდგნენო. ეს კი დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვაო, რომ პირველნი სპათა წოდებანი მომდინარეობდნენო სამეფო სახლიდამ, მსგავსად იბერიელთ ს ე ფ ე-წ უ ლ თ ა“ [2]. ვაღარშაკმა ააშენა არმავირის ქალაქში ტაძარი და იქ ამართა საკერპონი მზისა, მთვარისა და თავის წინაპართა; მიაგო დიდი პატივი იმ ტაძრის მსახურთა; შეჰრიცხა იგინი პირველ გვართა რიცხვში; დაადგინნა მსაჯულნი ქალაქებში და სოფლებში; დააწესა სამეფო დარბაზისათვის წესი შემოსვლისა და გასვლისა, სადღესასწაულო დღეებისა და ნადირობისა.„ [3].

1. Шлоссера, *Всемірная исторія*, II, 25—47; Chardin, *Voyage en Perse*, p. 369—370.

2. ლანგლუას მოსე ხორენელის თარგმანში სეფე-წულის მაგიერ ხმარებულია ძეფე-წული (*Collect.*, II, p. 81—85).—3. Моисея Хоренскаго, *Исторія Арменіи*. стр. 79—87. აქ ორიოდე სიტყვა ამ ავტორის შრომაზე. მოსე ხორენელი, მე-V საუკუნის სომხური განთქმული მწერალი,

ვაღარშაკის შემდეგ გამეფდა იმისა შვილი არშაკ I, რომელმაც დაამშვიდა აშლილნი ტომნი კავკასიისანი და შემდეგ იმისა დაჯდა მეფედ იმისი ძე არდაშეზ I. ამ არდაშეზის შვილნი იყვნენ: ტიგრან I, რომელიც არდაშეზის შემდეგ დაჯდა სომხითის ტახტზე და მეორე ქართველებისაგან მეფედ გამოთხოვილი ზემო-ხსენებული არშაკი. მოსე ხორენელი თუმცა გვიჩვენებს ნათესავურ კავშირს არდაშეზისას საქართველოს სამეფო სახლთან, მაგრამ სხვა პირთან და სხვა გვარსა. იმის სიტყვით, „არდაშეზმა მიათხოვა თავისი ქალი არდაშამა იბერიის დიდ-ბდეშხს მირდატსა ანუ მიტრიდატსა, რომელსაც მიანდო გამგეობა ჩრდილო-მთათა და პონტის ზღვისა"[1].

არშაკის შემდეგ მეფობდა საქართველოში იმისი შვილი არტაგი (81—66), რომლის დროს სპარსნი იზღვევენ ფარნავაზის სისხლსა და აოხრებენ ქართლსა. იმის დროსვე ეკუთვნიან ისტორიულნი ცნობანი რომაელთ მწერალთა: პლუტარხისა, აპპიანისა და ფლორისა. იმათგან მეფე არტაგი სახელ-წოდებულია არტოკად. იმ დროსვეა არიან შემოკრებილნი რომაელთაგან კავკასზე და იმის მხარეებზე უკეთესნი ცნობანი, რომელნიც კრცლად ჩაურთავს სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში"[1]. აპპიანი ამბობს: „მრავალნი ფიქრობენო, ვითომც აზიურნი იბერნი ანუ მომდინარეობდნენო ევროპიელთ იბერ-

რომელსაც შეუდგენია სომხეთის „ისტორია" და „გეოგრაფია", ითარგმნება რამდენსამე ევროპიულს ენაზე (Dulaurier, *Recueil des historiens des croisades—Documents arméniens*. Paris, 1869, p. 773). ამტკიცებენ ახლა, ვითომც „გეოგრაფია" არ იყოს მოსესაგან შედგენილი და შემდეგს საუკუნოებს ეკუთვნოდეს. სენ-მარტენის საბუთებით იგი ეკუთვნის მე-IX საუკუნეს (*Mémoires sur l' Arménie.*, II, 301—317), პროფესორის პატკანოვის საბუთებით-მე-VII საუკუნესა(ნახე იმისი *Армянская географія VII в. по Р. Х.* Спб., 1877, I—XVII). ჩვენ ხელ-ვმძღვანელობთ ჩვენს შრომაში ორს თარგმანს ხორენელის ისტორიისას: რუსულზე ემინისას *Исторія Арменіи Моисея Хоренскаго*. Москва, 1858 г. და ფრანციულზე ლანგლუასას იმის *Collection*-ში *des historiens anciens et modernes de l' Arménie*. Paris, 1867, II, 47—175. ორივე გამოცემა ძვირფასი შრომაა თავის სხოლიებითა, რადგანაც ორივე ეკუთვნის სომხეთის ისტორიის უკეთესს მცოდნეთა.

1. Гана, *Извѣстія древн. греч. и римск. писателей о Кавказѣ*, 123—128, 162—166, 171—172. ეს წიგნი გამოიცა ტფილისში და შეიცავს უმეტესს ნაწილს თქმულებას ბერძენთა და რომაელთა მწერლებისას კავ-

თაგან, ანუ იყვნენო გადმოსახლებულნი ევროპიდამ; ზოგნი კი ამტკიცებენო, რომ ორთა ამ ტომთა შორის, გარდა სახელ-წოდებისა, არა-ვითარი კავშირი არა იყოსრაო. ზნე-ჩვეულებით და ენით იგინი ერთმანეთს სრულებით არ ემსგავსებიანო" [1].

ღირს-სახსოვარი შემთხვევა არტაგის მეფობისა არის ბრძოლა პონტის მეფის მიტრიდატ დიდისა (120—63) რომაელებთან და რომაელთ მხედართ-მთავრის პომპეის შემოსვლა საქართველოში.

პონტს ჰსაზღვრავდა: ჩრდილოეთით პონტის ზღვა, აღმოსავლეთით საქართველოს პირი და სომხითი, დასავლეთით პაფლაგონია, სამხრეთით-კაპპადოკია. პონტში მდებარებდნენ, სხვათა შორის, ბერძნის ქალაქები: ამასია, ტრაპიზონი, კერასუნი, თემის-ყური და ნეოკესარია. პონტის მეფენი თავიანთ შთამომავლობას აწარმოებდნენ სპარსეთის მეფის კიროზისაგან. იგინი თავ-და-პირველად სპარსეთის ბძანებლობას ქვეშ იყვნენ და იმის სატრაპებად ითვლებოდნენ. მიტრიდატებმა დაიკავეს ბერძნული ქალაქები და თავის სამფლობელოში გაავრცელეს ბერძნული განათლება, დაიმონავეს ადგილობრივნი მთის ტომნი: ტიბარენნი, ხალიბნი, მოსუნეხნი და სხ. მეორე საუკუნის დამდეგ ქრისტეს შობის წინად მიტრიდატ მეოთხის შვილმა ფარნაკ პირველმა დაიპყრა აღყვავებული ბერძნის ქალაქი სინოპი, რომელიც დედა-ქალაქად დააწესა. სინოპის ფლოტი მიტრიდატებმა შეისაკუთრეს. სინოპი იმათ ხელში უფრო აღყვავდა და შეიმკო სახუროთ-მოძღვრო ნაწარმოებითა. პონტის სამეფო უაღრესად გაძლიერდა პირველის საუკუნის დამდეგ ქრისტეს წინ ფარნაკ პირველის შვილის-შვილის მიტრიდატ დიდის დროს [2]. მიტრიდატი ებრძოდა რომაელებს ოც და ათი წელი. სულლა, ლუკულლი და

---

კაწიის მხარეებზე ჰომეროზის დროდამ ვიდრე მე-V საუკუნემდე ქრისტეს შემდეგ და თუ მკითხველს ჰსურს იმისი ღირსება და ნაკლულევანება სცნოს, იმან უნდა მიჰმართოს ამ წიგნზე ისტორიულ-კრიტიკულს ჩემს წერილსა გაზეთს „*Кавказъ*"-ში *Древнѣйшіе классическіе писатели о Кавказѣ*. 1884, NN 272, 281, 282 და 283, რომელშიაც, სხვათა შორის, კლასსიკურ მწერლებზე და თვით ჰეროდოტზე და სტრაბონზე ბიოგრაფიულნი ცნობანიც არიან ჩართულნი.

1. Гана, *Извѣстія*.., 164; Шлоссера, *Всемірная ист.*, III, 12—13.—2. ამ მიტრიდატს მოსე ხორენელი ჰხადის იბერიის დიდ ბდეშხად

პომპეი ერთი მეორის შემდეგ ებრძოდნენ იმას რომის ძალითა და თუმცა მითრიდატი რამდენჯერმე დამარცხდა, მაგრამ იგი მუდამ შეურყეველად იყო. მლეული მითრიდატი არა ჰკარგავდა თავის ხასიათის ძალასა და ახოვანებასა. მითრიდატის მოკავშირენი იყვნენ: იმისი სიძე, სომხითის მეფე ტიგრანი, იბერიის მეფე არტაგი და ალბანიის ოროიზესი. ამ დროს მითრიდატს ეპყრა კოლხიდა აფხაზეთით, საიდამაც იმას გამოჰქონდა თავის ფლოტისათვის სახმარი ხე—ტყე და რომლის მმართველებად ჰყვანდა თავისნი ერთგულნი კაცნი. იმათ შორის იხსენიება სტრაბონის დედის ბიძა მოაფერნი. იმასვე ექვემდებარებოდა ბოსფორი. მითრიდატმა დასცა და დაამშვიდა სკვითები. სამმა ხანგრძლივმა შებრძოლებამ რომაელებთან არ მისცა მითრიდატს წარმატება. მითრიდატი კიდევ შეუდგა ბრძოლასა და კიდევ იძლია. აქ იმან დაჰკარგა 10,000 კაცი და თვით მცირე ჯარით განივლტო და მიჰმართა თავის სიძეს ტიგრანსა. ტიგრანმა მითრიდატი არ შეიწყნარა და ეფრატის კიდიდამ გაემგზავრა კოლხიდისაკენ, სადაც დაჰყო ზამთარი დიოსკურიაში. პომპეი შევიდა კოლხიდაში, მაგრამ მითრიდატს ვერა სდია გზის შიშის გამო და დარჩა ადგილობრივ. ამ დროს მეფეებმა: იბერიისამ არტაგმა და ალბანიისამ ოროზესმა შეკრიბეს 75,000 ჯარი მტკვრის პირად. ეს ცნობა მიიღო პომპეიმ, რომელსაც იგი არგონავტების ექსპედიციისა და ოქროს მატყლის ისტორიის გამოძიებაში იყო. პომპეიმ მწრაფლ მიჰმართა საომრად და გამართა ხიდი მტკვარზე[1]. მეფენი შეფარდნენ ტყესა, მაგრამ დამარცხდნენ. პონტი, ბითინია და ნაწილი კილიკიისა რომის პროვინციებად შერიცხნენ. ეს იყო 63 წელს. ამ გვარადვე შეიცვალა სვე გალატიისა 25 და კაპპადოკიისა 17 წელს[2].

პომპეის ცხოვრება და მოქმედება როგორიც მცირე აზიაში, აგრეთვე იმის გარეთ აღწერილია პლუტარხისაგან; რომელიც 48

ანუ მთავრად (Langlois, *Collection*.., II, 86 და n. 2). შევნიშნავთ აქა, რომ თვით მითრიდატის შვილი მახარე, აპპიანის მოწმობით, მამისაგანვე იყო კოლხიდისა და ბოსფორის მეფედ დადგენილი (Гана, *Извѣстія*., стр. 163).

1. პომპეისაგან აშენებულის ხიდის ნაშთად ჰხადიან იმ ხიდის ნაშთსა მცხეთის მტკვარზე, რომელიც აქამომდე იხილვება იქა —2. Шлоссера, *Всемірная исторія*., IV, 35, 36; Saint-Martin, *Histoire des découvertes géographique*., II, 362, 363.

წელს ქრისტეს შობის წინ იშვა. რადგანაც აქ ჩვენთვის ღირს-საცნობელია მხოლოდ ის ფაქტები, რომელნიც შეეხებიან პომპეის მოღვაწეობასა სომხითში და საქართველოში, ამისთვის ჩვენ მხოლოდ იმათ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებასა. ჩვენ მხარეზე პლუტარხს თავისი ცნობები გამოუკრებია თეოფანეს წერილებიდამ. ეს თეოფანე პომპეის თურმე დაჰყვებოდა[1].

ჩვენ მოვიხსენეთ მითრიდატის გამგზავრება სომხითისაკენ თავის სიძესთან ტიგრანთან. ტიგრანმა არა თუ არ შეიწყნარა იგი, ასი ტალანტიც[2] დაუნიშნა ჯილდოდ ვინც მითრიდატს ბოლოს მოუღებდა და იმის თავს იმას წარუდგენდა. ეს იყო მიზეზი, პლუტარხის სიტყვით, რომ ბედ-კრულმა მითრიდატმა ევფრატის მდინარით მიჰმართა კოლხიდასა. პომპეი შევიდა სომხითში. აქ ის მიიწვია ტიგრან-მეფის შვილმა ყმაწვილმა ტიგრანმა და თვითონაც მიეგება იმასა არაქსის მდინარეზე. „არაქსს, ამბობს პლუტარხი, იქვე აქვს თავისი სათავე, საიდამაც ევფრატი გამომდინარებს, თუმცა ის აღმოსავლეთის მხრივ მიემართება და კასპიის ზღვაში ჩადის. ტიგრან-მეფემ თავის დედა-ქალაქის კარი რომაელების ჯარს გაუღო და პომპეის მიჰმართა თავის დასაკვრელად. წარუდგა რა პომპეის ტიგრანმა მოიხადა გვირგვინი, დასდო პომპეის ფეხ-ქვეშ და შემდეგ დაემხო იგი დედა-მიწას და მიიწია პომპეის მუხლზე საამბოროდ. პომპეი ტიგრანს დაჰპირდა ისევ იმ ადგილებს, რაც იმას აქამომდე სჭერიყო; თვით იმის შვილს დაუნიშნა სოფენის სამფლობელო, მაგრამ ამასთანავე მოსთხოვა ხუთი ათასი ტალანტი (თითქმის ცხრა მილიონ-ნახევარი მანეთი თეთრი). დამშვიდებულმა ტიგრანმა მიიღო ეს ბძანება. ყმაწვილმა ტიგრანმა უკმაყოფილება გამოაცხადა და გაჰკიცხა პომპეი. პომპეიმ ის შეაბორკილე-

1. Lebeau, *Hist., du B—Emp.*, III, p. 381, n. 2. *Hist. des découv.*, II, 368.—2. ახალის განმარტებით თვითო ტალანტი ძველს დროს შეადგენდა: ვერცხლისა 4140 ფრანკსა., ოქროსი კი თექვსმეტჯერ გადაემატებოდა ვერცხლის ფასის ზომასა. სრული განმარტება ამ სიტყვისა ნახე დიდს Littré-ს *Dictionnaire de la langue française*. Paris, 1875, II, p. 2134.

ბინა და თავის სატრიუმფოდ დანიშნა [1]. თვით იბერიის მეფემ მიართო პომპეის მძიმე ოქროს საწოლი და საჯდომი ტროხითურთ თავის ერთგულობის ნიშნად“ [1].

„პომპეიმ დასტოვა, განაგრძობს პლუტარხი, აფრანიუსი სომხითის მცველად და თვითონ მიტრიდატის კვალს შეუდგა. იმისი გზა გადიოდა საშუალ იმ ტომთა, რომელნიც კავკაზის გარეშემო ცხოვრობდნენ. იმათ შორის უფრო შემძლენი არიან ალბანელნი და იბერნი. იბერნი ჰფლობენ მთელს სივრცეს მოსხის მთებამდე და პონტამდე; ალბანელნი მკვიდრობენ აღმოსავლეთად და კასპიის ზღვის მხრივ. ალბანელებმა ჯერ მისცეს გზა, რომელიც პომპეიმ იმათ გამოსთხოვა., შემდეგ კი, ზამთარმა რომ აქ იმისი ჯარი შეაყენა, ბარბაროზებმა ისარგებლეს იმ შემთხვევით, როდესაც რომაელები სატურნალო დღეობას უქმობდნენ. ალბანელნი იყვნენ 40 ათას კაცამდე. იგინი განვიდნენ კიროსს (მტკვარი), რომელსაც სათავე აქვს იბერიის მთებში და რომელიც, იერთებს თუ არა სომხითიდამ მომდინარე არაქსა, თორმეტის შესართავით ჩადის კასპიის ზღვაში. პომპეის შეეძლო მტრისათვის გასავალი შეეკრა; მაგრამ იმან მისცა გზა, მასუკან იგი უცებ დაეცა ალბანელებს და გაფანტა იგინი დიდის ზიანითა. ალბანიის მეფემ მოციქულების პირით პომპეის შენდობა მოსთხოვა; პომპეიმ მიიღო თხოვნა და შემდეგ მიჰმართა იბერიელებს, რომელნიც ამ უკანასკნელებს ახოვანებით აღემატებოდნენ. იბერთ დიდი სურვილი ჰქონდათ მიტრიდატისთვის სამსახური მიეგოთ და პომპეი განედევნათ. იბერნი არას დროს არა ყოფილან არც მიდიელებისა და არც სპარსელების ქვეშ-ვრდომნი; თვით მაკედონელთ იმპერიას არა ჰქონია იმათზე ბძანებლობა.... პომპეიმ სძლია იმათ დიდ ომში, დაუხოცა 9000 კაცი და 10,000-ზე მომეტებული დაატყვევა. შემდეგ პომპეი იბერიიდამ მსწრაფლ გავიდა კოლხიდაში, სადაც ფაზის შესართავის მახლობლად იმას შეუერთდა სირვილიუსი თავის ფლოტითა, რომლითაც ის პონტის ზღვას იცავდა.“

1. Plutarque, *Vie des hommes illustrés*, trad. par Alexis Pierron. Paris, 1858, III, 155—157.—2. Ibid., 161.

„დევნა მიტრიდატისა, რომელიც ბოსფორისა და მეოტიდის ტბის ტომებს შეეფარა, დიაღ დამაბრკოლებელი საქმე იყო. ამასთანავე პომპეის აცნობეს, რომ ალბანელნი ხელ-ახლად აიშალნენო. პომპეი უკუ-იქცა და კიდევ გავიდა კიროსსა, თუმცა მომეტებულის ბრკოლით და შიშით: აქ ბარბაროზებს ნაპირები დიდად თურმე გაემაგრებინათ; გაღმა მდინარისა დიდი გზა თურმე იყო გასავალი ხრიაკსა და უწყალო მხარეში. პომპეიმ ათი-ათასის ნაკ-ტიკით ჯარი გაიყვანა პირის-პირ მტკვრისა,-ჯარი,რომელიც საბრძოლველად იდგა აბასის წყლის კიდეზე. ალბანელებს ჰყვანდათ აქ 60 ათასი ქვეითი ჯარი, 12 ათასი ცხენოსანი. მაგრამ იგინი სუსტად იყვნენ შეიარაღებულნი; მომეტებული იმათგანი პირუტყვის ტყავით იყო მოსილი. იმათ ბძანებლობდა მეფის ძმა სახელად კოხისი, რომელიც ბრძოლის დროს თვით პომპეისაგან მოკლულ იქნა ისრითა. ამბობენ, ვითომც ამაზონები ჩამოსულიყვნენ იმ მთიდამ, რომელიც თერმოდონის მდინარის მახლობლად მდებარებს და ბარბაროზების წყობაში იბრძოდნენ. მართლა და როდესაც ბრძოლის შემდეგ რომაელებმა მკვდრები გაცარცვეს, იმათ გვამებზე ჰპოვეს ამაზონების ფარები და ფეხ-საცმელები; მაგრამ არ შეუნიშნავთ არც ერთის დედაკაცის გვამი. ამაზონები მკვიდრობენ კავკაზის მხარეში, რომელიც ჰირკანიას დასცქერის. იგინი არ არიან ალბანელების მოსაზღვრენი, რადგანაც იმათ ჰყოფენ გეტები და ლეგები, და ყოველ-წლივ ორის თვის განმავლობაში უერთდებიან ამ ორ ტომსა თერმოდონის ნაპირზე; ვადის გასვლის შემდეგ შედიან ისევ თავიანთ ქვეყანაში, სადაც სრულებით მარტო ცხოვრობენ და აქ არავითარი დამოკიდებულობა არ არის იმათსა და მამა-კაცებს შორის“.

ამ ბრძოლის შემდეგ პომპეიმ მიჰმართა ჰირკანიისაკენ და კასპიის ზღვისაკენ და დაჰყო გზაზე მხოლოდ სამი დღე; მაგრამ აქ მიაწყდა მრავალ—ძალს შხამიან გველებსა, რომელნიც ამ მხარეში იპოვებიან[1]. ამისგამო ის ისევ უკუ-იქცა და მცირე სომხითში შევიდა[2]... გასაოცარი იყო პომპეის ტრიუმფი იმის შესვლის დროს

1. ეს ადგილი უნდა იყოს მუღანი, რომელმაც აქამომდე მრავალი შხამიანი გველი იცის. Броневскаго, *Новѣйшія извѣстія о Кавказѣ*. 1823, II, 272—2 75.—2. Plutarque.., III, 157—159.

რომში. მთელი რომი შეიძრა და სადღესასწაულოდ შეიმოსა. პომპეის წინ მიჰქონდათ წერილები, რომლებშიაც იხსენიებოდა ძლეული ქვეყნები: პონტი, სომხეთი, კაპპადოკია, პაფლაგონია, ფინიკია, პალესტინა, ურიასტანი, არაბისტანი; იხსენიებოდა აგრეთვე, რომ ამ ქვეყნებში პომპეიმ აიღო 100 ციხე—სიმაგრე და 300 ქალაქამდე; მოუღო ზღვის მეკობრეებს 800 გემი და გააშენა 30 ქალაქი. ამასთანავე წერილები ამბობდნენ, რომ საზოგადო შემოსავალი, რომელიც პომპეის წინად შეადგენდა 50 მილიონს დრაჰმასა, იმის ძლევა-მოსილის მოქმედებით აღვიდა 80 მილიონამდე და 500 ათას დრაჰკანამდე; რომ გარდა ამისა იმან შეჰმატა რომის საზინასა ჭედილის ფულით თუ ოქროსა და ვერცხლის ნივთიერებით 20 ათასი ტალანტი. ტრიუმფის ტყვენი იყვნენ: მეკობართ უფროსთა გარდა, სომხეთის მეფის ტიგრანის შვილი თავის ცოლით და ქალით; ზოზიმე მოხუცის ტიგრანის ცოლი; ურიების მეფე არისტობული; მიტრიდატის და და ხუთი შვილი; სკვითების დედა—კაცნი და ამანათები ალბანელებისა, იბერიელებისა და კომმაგენის მეფისა.

ჩვენ მოვიხსენეთ, რომ სულ ძველად ჩვენის ქვეყნის სახელ—წოდება იბერია ამ ფორმით არ იხმარებოდა არც ეცხო-ტომთაგან, არც ჩვენ წინაპართაგან. იგი იხსენიება მხოლოდ იმ დროდამ, როდესაც რომაელები შემოვიდნენ ჩვენ მხარეში საბრძოლველად მიტრიდატთან. საკუთრივ ამ დროდამ იხმარება ის საზოგადოდ როგორც რომაელებისაგან, აგრეთვე ბერძნებისაგან. ბერძნული ივერია, რომაული იბერია. სულ პირველად ჩართულია ერთს ძველს რომაულს წარწერაში (65 წ. ქრ. შობის წინ) და ამ სახელ-წოდებას ბერძნები და რომაელნი მისთვისებენ აწინდელს ქართლსა. პომპეის დროდამვე შეიძინეს იმათ დაწვრილებით ცნობა იმ დიდ სააღებ-მიცემო გზაზე, რომელიც ინდოეთიდამ კასპიის ზღვით პონტის ზღვის მხარეს მისდევდა. აქ დავძენთ ამ საგნის შესამცნევ ფაქტებს, რომელნიც უსლარს შემოუკრებია რომაელთ მწერალთაგან თავის ძველს თქმულებაებში კავკაზზე.

„თავის ყოფნის დროს კავკაზს-აქეთ მხარეში პომპეის მოჰხსენდა ცნობა სახმელეთო აღებ-მიცემობის გზაზე ინდოეთიდამ შავ-ზღვამდე.

პლინის თქმით, იმან კასპიის ზღვის მახლობლად სცნო, რომ შვიდის დღის განმავლობაში შეიძლება მისვლა ინდოეთიდამ ბაქტრიაში იკარის მდინარეზე, რომელიც ოქსუსს უერთდება; იქიდამაც კასპიის ზღვით ზემოდ მტკვრითა; შემდეგ სავაჭროები არა უმეტეს ხუთისავე დღისა გადააქვთ ხმელეთით ფაზისამდე და შეაქვთ ევქსინის პონტში. სძლია თუ არა მიტრადატსა, პომპეიმ შეისაკუთრა ამ უკანასკნელის საგანძური, რომელმაც რომში დიაღ დიდი მნიშვნელობა მისცა პომპეის ტრიუმფსა. მოპოვებულ იქნა აურაცხელი სიმრავლე მარგალიტებისა და ძვირფასის ქვებისა, რომელთა შორის რამდენიმე მანამდე არც კი იცოდნენ რომაელებმა. პლინი ამბობს, რომ მხოლოდ ბრძოლის დასრულების შემდეგ მიტრიდატთან გავრცელდა რომში ლტოლვილება ძვირფასის ქვებისადმი. დასაჯერებელი არ არის, უსლარის ფიქრით, რომ მხოლოდ მიტრიდატის შეძლეობას და უფლების გავრცელებას შემოეკრიბა შავი-ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, საალებ-მიცემო გზების შორეულად, იმოდენა განძეულობა, რომელმაც აღძრა გაოცვიფრება მთელის კლასსიკურის ქვეყნისა, რომელსაც უკვე ჰქონდა შეგნებული სიმდიდრე მთელის დასავლეთის აზიისა. სიმრავლე ძვირფასის ქვებისა და მარგალიტისა კავკასიის მხარეებში შეიძლება აიხსნას ამ მხარის საუკუნოების დამოკიდებულობით ინდოეთთან და იმ ქვეყნებთან, სადაც მოიპოვებოდა მარგალიტი, ესე იგი ცეილონთან და სპარსეთის ყურესთან. ჩვენ არ შეგვიძლიან არ ვუჩვენოთ აქა რიტტერის აზრი უშუამდგომელო ალებ-მიცემობაზე, რომელიც ძველის-ძველად არსებობდა შორის კავკასიის ქვეყნებისა და სპარსეთის ყურეს ნაპირებისა. ეს უშუამდგომელო დამოკიდებულობა შეადგენდა, უნდა ვიფიქროთ, ალებ-მიცემობის საიდუმლოსა. ამ უშუამდგომელო გზაზე, ცხადია, ჰეროდოტსა ჰქონდა ცნობა, თუმცა იმაზე იგი გულ-ახსნით არას ამბობს და თითქმის შიშობს, არა წამომცდესრაო. ერთს ადგილს ჰეროდოტი სწერს: „კოლხიდას მიდია არა ჰშორავს, რადგანაც ამ ქვეყნებთა შორის მდებარებს მხოლოდ ერთი ქვეყანა სასპირებისა; როდესაც ამ უკანასკნელს გაივლით, თქვენ შესდიხართ მიდიაში“... შემდეგ კიდევ ამბობს: ,,ის ქვეყანა, რომელიც სპარსებს უჭირავთ, ვრცელდება

ერითრეს ზღვად წოდებულს სამხრეთის ზღვამდე. იმათ ზემოდ ჩრდილოდ სცხოვრობენ მიდიელნი, მიდიელთ ზემოდ საპირნი, ხოლო საპირებს იქით კოლხნი, რომელნიც ჰსაზღვრავენ ჩრდილო ზღვას (ევქსინის პონტსა), სადაც მომდინარეობს ფაზი. ამ ოთხთა ტომთა უპყრიათ მთელი სივრცე ზღვიდამ ზღვამდე." ამ ოთხთა ტომთა დასახლოებაში ერთისა მეორესთანა რიტტერი პოულობს საბუთს ძველის უშუამდგომელო სახმელეთო დამოკიდებულობისას ევქსინის პონტისას და სპარსეთის ყურესას. უფრო ნამდვილს საბუთს უშუამდგომელო დამოკიდებულობისას ვპოულობთ ალექსანდრე მაკედონელის ისტორიაში: თავის ყოფნის დროს სუზაში ალექსანდრემ მიიღო მოხსენება პონტიდამა და გაოცდა, რა გზით უნდა მოეტანათო იგი ასეთის სისწრაფითა.

„თავის მოგზაურობაში კასპიიდამ პონტამდე ინდოეთის სავაჭროები გადიოდა ხან ხმელეთით, ხან წყლითა. სტრაბონის თქმით, სავაჭროები მიჰქონდათ ფაზის სარაპანამდე (შორაპანი). მდინარის თვისების მიხედვით ეს თქმულება საეჭვოდ მიგვაჩნია უფრო იმიტომ, რომ თვით იგივე სტრაბონი გვარწმუნებს, რომ მხოლოდ შემდეგ გლაუკუსისა და ჰიპპუსის შეერთებისა ფაზთან, ფაზი არისო ნავით სასიარულო. რაც უნდა იყოს, ეჭვი არ არის, რომ ძველის-ძველად ფაზით სწარმოებდა საალებ-მიცემო ნავით მსვლელობა. სარაპანს ზემოდ სავაჭროები შეჰქონდათ ზემო-ნაწილის მდინარის მიხვეულ-მოხვეულ ხეობაებით, რომლებსაც გადიოდნენ 120 ხიდითა. სტრაბონი ფაზის ზემო-ნაწილად უწოდებს, რა საკვირველია, ყვირილასა. ახლა წამ-და-უწუმ გასდისართ ამ მდინარეს ფონით და არა ხიდებით... როდესაც სტრაბონი ქებას იბერიასა, ის ამბობს: „იბერია თავის სივრცის მომეტებულს ნაწილზე მოფენილია სოფლებითა და ქალაქებითა, რომელნიც ისე კარგად არიან ნაშენნი, რომ იქ ჰპოულობთ კრამიტოვან სართულებსა; საცხოვრებელ სახლებსა, რომელნიც აღმართულნი არიან იმ რიგზე, რა რიგსაც სახუროთ-მოძღვრო წესდება მოითხოვს; ბაზრებსა და საზოგადო შენობაებსა." უფრო შესანიშნავია შემდეგი თქმულება სტრაბონისა: „ოდესმე კოლხიდელების ქსოვილების ფარსანები იყვნენ დიდად განთქმულნი და

კოლხიდიდამ გადიოდა სხვა ქვეყნებში მრავალი ქსოვილები." ამ საგანზე სტრაბონზე 450 წლის წინად გვიამბობს თვით ჰეროდოტი: „მხოლოდ კოლხნი იმუშავებენ სელსა იმ წესით, როგორც ეგვიპტელნი. ბერძნები უწოდებენ სარდონულ სელად იმ სელსა, რომელიც კოლხიდიდამ გადის, და ეგვიპტურ სელად იმ სელსა, რომელიც ეგვიპტედამ გააქვთ."... უკეთეს საბუთს ამ მხარის აღყვავებულის მდგომარეობისას გამოუკვლეველს ეპოქაში ჩვენ გვაძლევენ სარწყავი არხები კავკასიის-აქეთის მხარისა, რომელთაგან აქამომდე მცირე ნაწილიღა დარჩენილა. მირაქისა და მუღანის უდაბურები, ახლა უწყლო-უნაყოფონი და მიტოვებულნი, ოდესმე ირწყოდნენ უხვად არხებითა, რომელინც შორიდამ იყვნენ გამოყვანილნი. ამ გვარნი ნამუშავარნი უჩვენებენ შეერთებულს შრომას მთელის ტომისას ანუ რამდენისამე ტომისასა და სჩანს, იგინი ანუ გრძნობდნენ შრომის საჭიროებას საზოგადო სარგებლობისათვის, ანუ უმაღლესის მთავრობის განკარგულებანი იყვნენ ამისნი მოთავენი. როგორც უნდა იყოს, ამ გვარნი ნამუშავარნი გვიმტკიცებენ, რომ ოდესმე წესიერება და კეთილ-დღეობა არსებულან იქ, სადაც ისტორიულ საუკუნეთა მომდინარეობაში მხოლოდ შფოთსა და ამბოხობას უმთავრნიათ, მცირე ჟამთა მყუდროების გარდა. გარეშე ფანტაზიურ თქმულებათა კოლხებზე, ჩვენ ვპოულობთ უეჭველს საბუთებს იმათის ცივილიზაციისას. კლასსიკურნი მწერალნი აქებენ იმათ სტუმართ-მოყვარეობას, შემწეობას, რომელსაც იგინი აღმოუჩენდნენ ზღვის ღელვით დაზიანებულებს და ამასთანავე შემწეობდნენ კიდეც იმათ ფულით სამგზავროდ. ჩვენამდე მოუღწევია ცნობას კოლხიდელ ფილოსოფოზზე მარსიასზე. გვიამბობენ, რომ კოლხიდის გზებზე ამართული იყო ქვის ტაბლიცები, რომელნიც მოგზაურებს თურმე უჩვენებდნენ გზის მიმართულებასა და სადგურების ადგილ-მდებარეობასა..." [1].

1. *Древнѣйшія сказанія о Кавказѣ*, стр. 421—427. ეს წიგნი, რომელიც კავკასიურის საგეოგრაფიო საზოგადოებისაგან არის გამოცემული ტფილისში 1881 წ. და რომელსაც არა იშვიათად ვუჩვენებდით აქამომდე ჩვენს შრომაში, ძვირფასი წყაროა კავკასიის მხარეებისათვის უძველეს დროებში. აქ შემოტანილია და მეცნიერულად განმარტული ყველა კლასსი-

## კარი მეშვიდე

### ქართველების კერპთ-მსახურება. — ანდრია მოციქული. — სტრაბონი

I. მეფენი: ბ ა რ ტ ო მ I (66-33), მ ი რ ვ ა ნ II (33-23), ა რ შ ა კ II (22-2), ა დ ე რ კ ი (2 ქრ. წინ—55 ქრ. შემდეგ).
II. კერპთ-მსახურება საქართველოში და იმის მოსაზღვრე ქვეყნებში.—სახარების ქადაგება საქართველოს საზღვრებში ანდრია მოციქულისაგან.
III. სტრაბონი (54 ქრ. წინ -24 ქრ. შემდ.) და იმის აღწერით კავკაზი, კოლხიდა, იბერია, და ალბანია.—სტრაბონის ცნობების განმარტება.

არტაგის შემდეგ საქართველოში მეფობენ: ბარტომ I (66-33); მირვან II ნებროთიანი (33-23) და არშაკ II უკანასკნელი ნებროთიანი (22-2). ეს მეფენი არ არიან ჩვენ მატიანეში არა-ვითარ შესანიშნავნი და არც უცხო-ტომთ მწერალთაგან ცნობილნი. რომის მწერალი დიონ კასსი (იშვა 155 წ. ქრ. შობ. შემდ.) უჩვენებს 46 წელს „იბერთ მეფეს ფარნაბაზს“. დიონი ამბობს, რომ რომაელთ იმპერატორის მარკ ანტონინის მხედართ-მთავარმა კანიდი კრასსმა გაილაშქრა აზიის იბერიელებზე და აიძულა იმათი მეფე ფარნაბაზი, რომ პართიელთა მეფის ფრაატისთან ბრძოლაში იმას მონაწილეობა მიეღო[1].

კური ფაქტები ამ მხარეზე. ვისაცა ჰსურს კავკაზიის უძველესი ისტორიული ხასიათი შეისწავლოს, იმან უეჭველად ამ წიგნს უნდა მიჰმართოს. გარდა ამ შრომისა უსლარს ის სამსახურიც მიუძღვის კავკაზიის წინაშე, რომ იმან დასდო საფუძველი კავკაზიელთ ენათა გამოკვლევისა. მის წინად კი ამ ენებზე და იმათ ურთიერთს კავშირზე ნამდვილი ცნობა არავის ჰქონდა. ის აზრი, ახლა შეურყევლად დამყარებული, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ წინად (ნახე გვ. 35), ეკუთვნის მხოლოდ განსვენებულს უსლარსა.

1. *H. de la G.—Introd.*, XXIX.

მეფე ადერკი ქართლოსიანი (2 წ. ქრ. წინ და 55 წ. ქრ. შობის შემდეგ). ამის დროს მოხდა: 1, შობა და ჯვარ-ცმა ქრისტესი; 2, სტრაბონის მიერ აღწერა ჩვენის მხარისა; 3, ანდრია მოციქულისაგან სახარების ქადაგება შავი-ზღვის პირად და 4, ქართლის დაყოფა ორ-ორთა მეფეთა შორის და იმის საზღვრების დაჭერა სომხითის მეფეთაგან, რომელსაც შეუდგა, ჩვენის მატიანის თქმულებით, ხან-გრძლივი ბრძოლა ქართველებისა სომხებთან. ამ ნაწილში ჩვენის მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ანდრია მოციქულის მოღვაწეობაზე და სტრაბონის თქმულებაზე.

აქ, ვიდრე ჩვენ შევეხებოდეთ ანდრიას მოციქულის ქადაგებას ჩვენ საზღვრებში, საჭიროა განვმარტოთ იმ დროს საქართველოს სარწმუნოებრივი მდგომარეობა. ჩვენი მატიანე უჩვენებს ორს სხვა და სხვა მხარეს, საიდამაც გავრცელებულა საქართველოში ძველი აღსარება. ეს არის საბერძნეთი და სპარსეთი. აზონს შემოაქვს გაცი და გაიმი; საურმაგს—აინინა და დანანა; ფარნაჯომს—ზადენი. ანდრია მოციქულის დროს მესხნი მსახურებენ ბერძნების ღმერთებს არტემის და აპოლონს. რევის მეუღლე ასული ლოგოთეთისა შემოიტანს აფროდიტს. ქართლის-ცხოვრება იტყვის ფარნავაზზე: „შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა, ესე იგი არმაზი." მაგრამ, როგორც ზემოდაც ვთქვით, ცხადია, რომ არმაზი ძველადვე დამყარებული საქართველოში. ჩვენი არმაზია სპარსების ორმუზდი, სომხების არამაზტი. იგი სპარსეთში იყო „მზისა ანუ ცეცხლის წარმომადგენელი;" იმისნი მსახურნი იყვნენ მოგვნი. საქართველოში და სომხითში ამას კერპთ-მსახურების გავლენას ქვეშ შეუცვლია თავისი ხასიათი და ბუნება: აქ ის შეცვლილა საწარმართო კერპად და რადგანაც სხვა კერპებზე ერის აზრში უძლიერესი ყოფილა, ამისთვის ის აქ, როგორც სომხითში, უმთავრეს ღმერთად გადაქცეულა. სომხითის არამაზტი იწოდებოდა ღმერთების მამად და მეფედ; იმისი ტაძარი იყო ანის ქალაქში; აქვე ჰქონდა ადგილ-სადგომი არამაზტის მღვდელ-მთავარსა [1]. მოსე ხორენელის სიტყვით, ქართველების „არმაზი, ჭექა-ქუხილის მპყრობელი, ამართული იყო ქალაქს გარედ, გაღმა მდინარისა [2]. რასაც ჩვენ აქ ვამბობთ საქარ-

1. Моисея Хоренскаго, *Исторія Арменіи*.., 274.—2. Тамъже, 153.

თველის სარწმუნოების თვისებაზე, თითქმის იმასვე ამბობს სენ-მარტენი სომხითის ძველ სარწმუნოებაზე. იმის სიტყვით, „ტირ-დატ მეფის წინა-მოადგილეების დროს სომხითი აღიარებდა იმავე აღსარებასა, რომელსაც მისდევდნენ პართიელნი, ესე იგი: შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხების აღსარება იყო ზოროასტრის სარწმუნოება, მაგრამ შეცვლილი და შერეული როგორც ბერძნების აღსარებასთან, აგრეთვე სხვა და სხვა გვარს ამაო-რწმუნებასთან, რომელიც სომხების წინაპართ სკვითეთიდამ შემოეტანათ. სომხების საკერპოებში იხილვებოდა მრავალ-რიცხვი კერპები, რომელთაც სწირავდნენ პირუტყვებსა. ამ გვარი მსხვერპლი აღკრძალული იყო ზოროასტრის სარწმუნოებაში. უშემძლებელესნი ღმერთნი, სომხების აზრით, იყვნენ: არამაზდი, სპარსების ორმუზდი და ბერძნების იუპიტერი; ღმერთა ჭანაიდი ანუ ვენუსი და მიჰრი ანუ მითრა. სომხებში თაყვან-სცემდნენ აგრეთვე სბანტარადს, გაჭაკანს, ფარშამს, ნანეს და სხვათა მრავალთა, რომელნიც ჩვენ მიერ ცნობილნი არ არიან“[1].

კერპთ-მსახურება იყო გავრცელებული როგორც საქართველოს თემებში, აგრეთვე იმის მოსაზღვრე ქვეყნებში. სტრაბონის წარმოდგენით, ალბანელნი თაყვან-სცემდნენ მზესა, იუპიტერსა და მთვარესა (ანაჰიდსა) და მომეტებულად ამ უკანასკნელსა, რომლის ტაძარი იყო იბერიის საზღვრად[2]. მცირე აზიაში მსახურებდნენ: თიანაში აპოლონს, იქვე, ფილოსტრატის აზრით, ნაშობს[3]; ბითი-

1. *Mém. sur l'Arm.*, I, 305—306; *Hist. de la Géor.*, I, 84 n. 5. —2. *Géographie de Strabon*, XI, 410—411.—3. *Руководство къ познанію Кавказа*. 1847, Спб., I, 93. ეს წიგნი, რომელსაც ამ ჩვენის წერილის წყაროთა შორის ვუჩვენებთ, ეკუთვნის მიხეილ სელეზნიოვსა და იყოფა სამ ნაწილად: პირველი შეიცავს ისტორიულ მასალასა ჩვენ მხარეზე. მეორე და მესამე გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ აღწერასა კავკაზიელ ტომთასა, და თუმცა იგი არ არის შედგენილი ისე, როგორც ამას მწერლობის ხელოვნობა მოითხოვს, მაგრამ პირველი ნაწილი იმისი იმ გვარ ცნობებსაც გვაძლევს, რომელსაც იშვიათად ვპოულობთ სხვა წყაროებში. ამ ნაწილის შინაარსია: მოგზაურობა იერუსალიმის პატრიარხის დოსითეოზისა მე-XVII საუკუნ. საქართველოში; აქვეა ნ[illegible]თული გამონაწერი ბაგრატ მეფის „აფხაზეთის ისტორიიდამ“ (X საუკ.), რომელიც ჩვენ ზემოდ გვ. 55 მოვიხსენიეთ; 2, პონტისა და დასავლეთ-კავკაზის ქრისტიანობა და 3, მიწერ-მოწერა ქართველთ მეფეთა

ნიაში—მარსსა[1], ტრაპიზონში—მერკურის და ჯოჯოხეთის ღმერთსა[2]. ჩვენის პონტის მხარეების ღმერთნი იყვნენ: ჰერაკლისის ანუ ალექსანდრელის ანაკლიისა იუპიტერი სტრატია[3]. ფაზისა—ვენერა, რომელიც იმყოფებოდა მდინარის შესართავის მარცხნივ. ვენერას ხელში ეპყრა კიმბალი და იმისი ტახტი იყო დაბჯენილი ლომების სტატუებზე. ვენერა იჯდა შიფიის მსგავსად. ფაზისის ქალაქშივე უჩვენებენ ახილლესის ტაძარსა, ახილლესისავე სახელით წოდებულსა, რომელიც კუნძულზე თურმე იყო აღმართული[4]. აფხაზთ თაყვანისცემის საგანს შეადგენდნენ ჭალები და ტყეები[5]. თვით ძველნი ჩერქეზნი თაყვან-სცემდნენ დიანა ქალწულსა[6]. ხერსონში აღმართული იყო ტაძარი „იგიფენიად გადაქცეულის საზარელის დიანასი“[7].

ამ გვარად იყო მოფენილი საქართველოში და იმის გარეშემო კერპთ-მსახურება. თუმცა, როგორც ჩვენი მატიანე უჩვენებს, ჩვენში კერპთ-მსახურებას ძველადვე ებრძოდა ცეცხლის აღსარება; თუმცა ზოგიერთს მეფეებსაც მიიმხრობდა იგი; თუმცა იმისნი მსახურნი ერშიაც ავრცელებდნენ იმის მსახურებასა; თუმცა ამ ბრძოლამ კაიხანიც გასწია და თვით ქრისტეს სჯულის მიღების შემდეგ საქართველოში V—VI საუკ. აღძრა დიდი ბრძოლა ლაზიკაში, ბიზანტიელებსა და სპარსებს შორის, მაგრამ მაინც შეუძლებელი საქმეიყო ცეცხლის თაყვანის-ცემისაგან დაჩაგვრა ძველად კერპთ-მსახურებისა, შემდეგ ქრისტეს სარწმუნოებისა,—შეუძლებელი იყო იმისთვის, რომ ჯერ კერპთ-მსახურება, მასუკან ქრისტიანობა საქართველოში და იმის მოსაზღვრე მხარეებში იყვნენ მჭიდროდ დამყარებულნი და მოფენილნი.

ისტორიული კანონია, რომ რასაც მთელის საზოგადოების წესისა და ზნეობის ცვლილება მოაქვს, იგი ვრცელდება, ფუძნდება

რუსეთის მეფეებთან მე-XV საუკუნიდამ ვიდრე მე-XVIIსაუკ. გასკლამდე. სულეზნევი ამ წიგნის მასალის წყაროებსაც უჩვენებს, იმათ შორის თვით ოფიციალურის არხივებისასა.

1. *Ру ов. къ позн. Кавк.*, I, 86.—2. Тамъ же, 51, 94.—3. Тамъ же, 102.—4. Тамъ же, 51.—5. Dubois, *Vayage...*, I,230.—6. Ibid., VI, 13.—7 Ibid., V, 303.

დროს განმავლობაში. ამ გვარადვე საქართველო მზადდებოდა ქრისტეს სახარების მისაღებად მრავალი ჟამი. იმისი საფუძველი აქ დაიდო მოციქულების დროიდამვე. თუ რომ შესაძლებელი საქმე იყო ახალის აღსარების მითვისება რომლისამე ტომისაგან პირველსავე საუკუნეში, იმ დროს ის, ჩვენის ფიქრით, უეჭველად უნდა შეჰხებიყო სომხეთსაც და ჩვენ მხარესაც, მთელს საქართველოს თუ არა, იმის საზღვრებს მაინცა. ამ ქვეყნების ნაწილები მოციქულების დროს ეპყრათ რომაელებს. შავი-ზღვის ნაპირები მოფენილი იყო ბერძნების კოლონიებითა. სომხეთში და საქართველოში მკვიდრობდნენ მრავალნი ურიანი[1], რომელთაც შეუწყვეტელი დამოკიდებულობა ჰქონდათ იერუსალიმთან. მაშასადამე, რაც იერუსალიმში და ურიასტანში მოხდა, იმისი ხმა, თვით მოქმედება აქაც უნდა შემოსულიყო. უპირველესი ყურადღება მოციქულებისა და იმათ მოწაფეებისა მიქცეული იყო მცირე აზიაზე. ჩვენ ვიცით, რომ სულის წმინდის მოფენის დროს იერუსალიმში იმყოფებოდნენ, სხვათა შორის, კაპპადოკიისა და პონტის მცხოვრებნი[2]; რომ მოციქული პეტრე

1. ამ საგანზე დიდად საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ხვოლსონის წიგნში *Сборникъ еврейскихъ надписей*. Спб.. 1884 г., რომელშიაც ავტორს გარკვეული აქვს რაც კი აქამომდე აღმოჩენილა ძველი ებრაული წარწერები ყირიმში და თვით კავკასიაში. ამ გვარის საბუთებით ხვოლსონი ამტკიცებს, სხვათა შორის, რომ სომხეთში, საქართველოში და სხვა კავკასიის მხარეებში ქრისტეს წინათვე სცხოვრობდნენ ებრაელნი (გვ. 436). შესანიშნავია აქ მოყვანილი მოწმობა წმ. იერონიმისა, რომელიც სცხოვრობდა 346—420 წ. და რომელიც გვამცნევს, რომ, თვით ებრაელების გარდამოცემით, იმათნი წინაპარნი გადასახლებულნი არიანო ასირიელებისაგან და ქალდეველებისაგან მიდიაში და სპარსეთში, ბოსფორში და სხვა ჩრდილო ქვეყნებში (გვ. 432). ამავე წიგნშია გარკვეული სამთავროს აკლდამაში ნაპოვნი 1870 წ. ძველი ებრაული სასაფლავოს ქვის წარწერა, რომელსაც ზოგნი მიაწერენ მე-V საუკუნეს ქრისტეს წინად (გვ. 129—131). ამ წიგნში ჩვენის მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ განსაკუთრებით პალეოგრაფიულს ტაბლიცებს არამეულის ალფაბეტებიდამ წარმომდგარს პალმირისას და სირიაკულისას, რომლის თოთხმეტი ასოები თავის მოხაზულობით გასაოცარს მსგავსებას უჩვენებს ჩვენს ხუცურს ასო-მთავრულთანა.—რომ ებრაელნი, აზიიდამ გამოსულნი, ჯერ კავკაზში ცხოვრებულან ქრისტეს წინათვე და იქიდამ გაბნეულან ყირიმში და ჩრდილო-მხარეებში, ამაზე ნახე აგრეთვე *Les inscriptions grecques juives au nord de la mer Noire*—Journal Asiatique, 1868, juin, p, 529—537; Ibid,, juillet—août, p. 92.—2. საქ. მოციქ. II, 9.

მიუწერს თავის ეპისტოლეს პონტში, გალატიაში, კაპპადოკიაში და ბითინიაში განბნეულთა უცხო-ტომთა, სულის წმინდისაგან წინათ-განწყესებულთა ქრისტეს იესოს სისხლის სასხურებლად[1]. ჩვენ ვიცით, რომ სასარება ჰქადაგეს პონტის სინოპში მოციქულებმა პეტრემ და პავლემ, რომელიც კილიკიის ქალაქში ტარსში იყო შობილი[2]; <u>კოლხიდაში</u>—მათემ[3]. თვით სომხითში, სომხურის ისტორიის მოწმობით, პირველად ირწმუნეს ქრისტე იესო თადეოზ [მასარებელის ქადაგებით ედესის მეფემ ავგარმა და ედესის სომხებმა; მას-უკან ნათელ-იღეს ბართლომე მოციქულის ხელით სიუნელებმა და ალოვანელებმა, თუმცა შემდეგ, როდესაც ავგარ მეფის შტო აღმოიფხვრა სომხითში, ქრისტიანობა შემცირდა და შესუსტდა ვიდრე ტირდატ მეფემდე. წილის-ხდომით ჩვენი პონტი ერგო ანდრია მოციქულსა. იმისი გზა იდო: ბითინიაზე, სალკიდონზე, ჰერაკლეაზე, სინოპზე და ტრაპიზონზე, სადაც იმან დასვა ეპისკოპოსად თავისი მოწაფე ფილოლოგი. ანდრიას ქადაგებას ჩვენ პონტის მხარეში სებასტოპოლში ანუ დიოსკურიაში იხსენიებენ მესამე საუკუნეში ორიგენი, მეოთხე საუკ. დამდეგს იპპოლიტი და დოროთე ტირის ეპისკოპოზი, მეოთხე საუკ. გასულს სოფრონი კიპრის ეპისკოპოზი. იბერიას ანდრია შეეხო მხოლოდ დასავლეთის მხრივ. მე-XI საუკ. ნიკიტა პაფლაგონელი ამ გვარ შესხმას უძღვნის ანდრიასა: „შენ, ჩემის სიქადულის ყოვლად ღირსო ანდრია, მიიღე რა შენ წილად ჩრდილოეთი, გულს-მოდგინედ მიმოვლე ივერნი, სავრომატნი, ტავრნი და სკვითნი, განვლე ყველა თემები და ქალაქები, რომელნიც ჩრდილოეთით და სამხრეთით ჰსაზღვრავენ ექსინის პონტსა[4]." ჩვენი მატიანე მოგვითხრობს, ვითომც ქრისტეს ამაღლების შემდეგ საქართველოს მოქცევა წილად ჰხვდა ღვთის მშობელსა და ღვთის მშობელმა ეს მოღვაწეობა მიანდო

1. პირ. ეპისტ. პეტრესი., 1—2.—2. *Руковод. къ позн. Кавказа*, I, 54, 58, 59 —3. Архимандрита Макарія, *Исторія христіанства въ Россіи до равноапостольнаго кн. Владиміра*. Спб. 1846, стр. 117—118; Пл. Іоселіани. *Ист. груз. церкви*. 1843 г., Спб., 1—7. — 4. *Руководство..*, 59—61. Архимандрита Макарія, *Исторія...*, 17, 116, 117.

პირველ-წოდებულს ანდრია მოციქულსა[1]. საქართველოს წილად-ხდომა ღვთის მშობლისადმი ჩვენ ტომში ძველადვე გავრცელებული. ამ აზრს ჰმოწმობენ: მრავალი იმის სახელზე აღმართული აქ ეკკლესია, გუჯრები, ქართული ისტორიული და საღმრთო წერილები[2]. ანდრიას მოგზაურობა მოხდა, როგორცა ვთქვით, ადერკი მეფის დროს. ის მოვიდა ჯერ „ტრაპიზონში, „რომელ არს სოფელი მეგრელთა.'' აქედამ შემოვიდა ქართლის ქვეყანაში, ,,რომელსაც დიდ აჭარა ეწოდების'' და იწყო ქადაგება; გარდავლო მთა ,,რკინის-ჯვარად სახელ-დებული; შთავლო ოძრხის ხევი; მოვიდა სამცხის საზღვარზე სოფელს ზადენ-გორას; შევიდა აწყურს, რომელსაც ,,პირველად ეწოდებოდა საზანგეთი და პირის-პირ სარქისი.'' აქ იმ დროს მთავრობდა დედა-კაცი ვინმე ქვრივი სამძივარი. თუმცა ანდრიამ ,,მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან,'' მაგრამ იმის ქადაგებას მაინც წარმატება შეუდგა. ანდრიამ დაამხო კერპნი, მოაქცია სამძივარი შვილით და სახლით და ნათელ-იღეს ყოველთა''. ანდრიამ ,,ასწავა წესი სჯულისა და სარწმუნოებისა, დაუდგინა ეპისკოპოზი, მღვდელნი და დიაკონნი, აღუმართნა ჯვარნი, აუშენა ეკლესიანი, დასტოვა აწყვერში ხატი ღვთის მშობლისა და შემდგომად ამისა არტაჰნ-კოლით და კლარჯეთით განვლო სომხითი და აღვიდა იერუსალიმს აღსრულებად პასექისა.''

ანდრია მეორედ კიდევაც თურმე შემოვიდა ჩვენში. მოჰყვნენ მას სხვანიცა მოციქულნი: მატათა და სვიმონ კანანელი. იმათ განვლეს ტაოს კერძი ქვეყანა ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე; ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს და დაუცადებლად ქადაგებდეს და ესრედ ქადაგებითა... შევიდეს ქვეყანასა აფსაზეთისასა და მივიდეს სევასტე ქალაქად, „რომელსა აწ ეწოდების ცხუმი“ და უქადაგეს სიტყვა ღვთისა და მრავალთა შეიწყნარეს და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრია სვიმონ კანანელი სხვათა თანა მოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქვეყანად აღვიდა; ხოლო კაცნი მის ქვეყანისანი ჯიქნი იყვნეს ფიცხელნი გულითა და საქმეთა შინა ბოროტთა განფრდილნი, ურ-

1. ქ-ცხ., გვ. 41.—2. *Hist. de la Géor.*, 1, p. 55 n. 3.

წმუნონი და უძღებნი, რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენებათ მოკვლა მისი... და იხილა რა მიუდრეკელობა მათი და პირუტყვებრივი გონება, დაუტევა და წარვიდა. ხოლო სვიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა. მუნ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი." „ანდრიამ განამტკიცნა მეგრელნი და აფხაზნი; მოაქცივნა ქვეყანა სვანეთისა, სადაცა მთავრობდა დღეთა მათ დედა-კაცი ვინმე მთავარი და მატათა სხვათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა". „შემდეგ ამისა ანდრია გავიდა „ქვეყანასა ოვსეთისასა და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდება ფოსტაფორი და ბოსფორი... და წარვიდა სკვითედ."

თქმულება ანდრიას ქადაგებაზე საქართველოს დასავლეთად ჩვენში გავრცელებული ყოფილა. მეთერთმეტე საუკუნ., როდესაც გიორგი მთა-წმინდელი ანტიოქიაში ჩვენის სარწმუნოების მართლმადიდებლობას უმტკიცებდა პატრიარხსა, იმან ამ საგანზე ის საბუთი წარუდგინა, რომ „საქართველოს ეკლესია დაფუძნებულიაო ანდრია პირველ-წოდებულისაგან და სვიმონ ნიკოფსიასვე არისო დამარხული". სვიმონ კანანელის საფლავს უჩვენებენ ნიკოფსიაში თვით უცხო-ტომნი მწერალნი ევსევი და ფაბრიცი[1]. მრავალ-გვარი შემთხვევა ამხნევებდა ჩვენში ახალ-დანერგილ ქრისტიანობასა. იმ ქრისტიანეთაგანნი, რომელთაზედაც პირველისავე დროდამ განსაცვიფრებელი დევნულობა ასტეხეს რომის იმპერატორებმა, მრავალნი იკრიბებოდნენ პონტის მხარეებში, როგორც უშორეულ ადგილებში. რომის ეპისკოპოზი კლიმენტი ექსორია იქნა 100 წ. ქრისტეს შემდეგ ხერსონესში და აქედამ მოქმედებდა ივერიელებზე და კოლხიდელებზე, რომელნიც „მრავალ ადგილს აღიარებდნენ სახარების სწავლასა". თვით იოანე ოქროპირი განდევნილ იქნა ბიწვინტას, მიკარდნილ მხარეს, ზღვის პირად"[2]. ამ შემთხვევათა გავლენა დიალ ნაყოფიერი იყო. მოციქულების დროდამვე ჩვენის ქვეყნის საზღვ-

1. Brosset, *Voyage archéol.*, VII *Rapp.*, 140.; *Руководство къ позн. Кавказа*, I. 63—65; *Hist. de la Géor.*, I, 60 n. 5. —2. Lebeau, *Hist. du Bas—Emp.*, VII, 90 et note; *Руководство къ позн. Кавказа*, I, 57, 69, 104.

რად ჰყვანდნენ ეპისკოპოზნი, მაგალითად ანდრიას მოწაფე ფილოლოგი, სინოპის ეპისკოპოზი; უძველესი ტრაპიზონის ეპისკოპოზი ფოტი; იქვე დიოკლიტიანეს მეფობაში მელეტი და სხვ.; კოლხიდის ძესი პონტის ეპისკოპოზნი პალმი და იმისი შვილი მწვალებელი მარკიონი. ზოგნი იმათგანნი იხსენებიან თვით იმათ რიცხვში, რომელთაც მსოფლიო კრებაში მიუღიათ მონაწილეობა, ესე იგი ნიკეაში და სხვა ქალაქებში; ბიჭვინტისა და ნიკოფსიის ეპისკოპოზნი იპატი, სტრატოფილი, ეპაციანი და სხვ.[1]. ეს ფაქტები საკმაოდ ჰმოწმობენ, რომ ჩვენ საზღვრად ქრისტიანობა ჰყვაოდა მეოთხე საუკუნის წინათვე და რომ ასე თუ არ ყოფილიყო, თვით დანაშთენ საქართველოში ადვილად ვერ დაამყარებდა ქრისტეს სახარებასა წმინდა ნინო.

სტრაბონი შობილა პონტის ქალაქში ამასიაში 50 წლ. ქრისტეს წინ და მიცვლილა რომის იმპერატორის ტიბერის მეფობაში. სტრაბონს დაუწერია ორ-გვარი თხზულება-ისტორიული, საუბედუროდ დაკარგული და გეოგრაფიული. ამ გეოგრაფიაში აქაიქ გაბნეული ადგილები და მეტადრე მე-XI და მე-XII წიგნები წარმოგვიდგენენ ძველთაგანს უკეთეს სურათს კავკასიისას, რომელიც განსაკუთრებით ღირსია დიდის ყურადღებისა და შესწავლისა[2]. სტრაბონის წყაროები კავკასიაზე იმის მიერ გაგონილი და ნასულეა

1. *Исторія груз. церкви*, I, 7—8; *Руководство къ познанію Кавказа*, I, 77. 78. 103: *Hist. de la Géor.*, I, 90 n. 1.

2. უველა ჩვენის მხარის შესახები ცნობები სტრაბონისა ნახე უკეთესს მისს ფრანციულს თარგმანში Amédée Tardieu, *Géograqhie de Strabon*. Paris. 1867—1873: პირველ ტომში *livre* I, pp. 33 34, 71, 77, 78, 82, 85, 90—92, 103; II, 115, 119. 125, 131,—135, 150—151, 203—210; III, 254; V, 357. 358; მეორე ტომში *livres* XI—XII pp. 383—524. თვით ამ წყაროს ღირსებაზე ჩვენის მხარისათვის მკითხველს შეუძლიან მიჰმართოს ზემოდ შემოტანილს წერილში გვ. 92, შენიშვნა 1. დანაშთენი წყაროები ამ წინამდებარის წერილისა და უფრო ვრცლად განხილული სტრაბონის თქმულება იხილე ჩემ „საქართველოში", რომელიც გამოცემულია 1871 წელს ტფილისში, გვ. 66—91. ამ წერილის წყაროთა შორის, რომელნიც განმარტვენ სტრაბონის ცნობებს კავკასიაზე, შესანიშნავნი არიან ორნი: Эйхвальда, *Страбоновы извѣстія о Кавказѣ*—Библіотека для четнія, XXX, стр. 112—127 და მეტადრე Dubois de Montpéreux, *Vayage autour du Caucase, chez les tcherkesses et les*

რადგანაც თვით მიმოუვლია ჩვენი მხარე, და რომაელების დროს შეგროვილი ფაქტები. სტრაბონი ამბობს: „ამ ქვეყნებზე ცნობანი გარდამოცემული გვაქვს მიტრიდატ ევპატორისაგან და იმის მოადგილეთაგან". ზოგიერთი ცნობაც ეკუთვნის პომპეის ისტორიკოსს პოსიდონიოსს. „შენიშნეთო, იტყვის სტრაბონი, რომ პოსიდონიოსი იყო მეგობარი პომპეისა, რომელმაც კოლხიდის ზღვის კიდით კასპიის ზღვის კიდემდე გაიარა და თავისი მხედრობა იბერიაში და ალბანიაში შეიყვანაო". სტრაბონი აფუძნებს აგრეთვე თავის აღწერას როგორც თეოფანეზე, რომელიც პომპეის თურმე დაჰყვებოდა და თვით ყოფილა ალბანიაში, აგრეთვე მეტროდორ სკეპსისსზე და ჰიფსიკრატზე, რომელთაც საფუძვლიანად იცოდნენ ეს მხარე.

სტრაბონი ამბობს: „კავკასი არის ვრცელი ზურგი, რომელსაც უწოდებენ ხან კავკასად, ხან მთის ქედად, და ადგილობრივნი მცხოვრებნი კი, ერატოსთენის მოწმობით, სახელ-სდებენ კასპიუსად. ეს უკანასკნელი სახელი იმას მისცემია იმ კასპიელთაგან, რომელნიც კასპიის სამხრეთად თურმე ბინადრობდნენ. კავკასის ზურგი განნაწილდება რამდენსამე შტოებად, რომელნიც ერთის მხრით ჰსაზღვრავენ იბერიასა და ალბანიასა, მეორის მხრით უკავშირდებიან მესხეთის მთასა, შემდეგ იმის გაყოლებას სკიდისესსა და პარიადრესსა, ჩვენის დროს ჭანეთის მთასა. „თვით ეს ორი ქედი უერთდება ტავრსა, რომელიც შეადგენს სამხრეთის ნაწილს არმენიისას.

*abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée.* Paris, 1839—1846, ექვს წიგნად გამოცემულში, მდიდრულისა და ძვირფასის ატლასითურთ. დიუბუას მიმოუვლია და შეუსწავლია კავკასია 1833—1834 წ. და თავის *Voyage*-ში შემოუტანია ამ მხარეზე, გარდა თვით იმისგან ადგილობრივ შეძენილის მასალისა, მრავალი ცნობები კლასსიკურის მწერლობისა: ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული; ამ შრომაში დიუბუას თვით მთელი საქართველოს ისტორიაც კი აქვს გარკვეული. განსაკუთრებით იმას დიდი ყურადღება მიუქცევია საქართველო-სომხეთის ძველ ტაძრებზე. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს წიგნი დამყარებულია თავის გამოკვლევაში სამეცნიერო საფუძველზე, აქამომდე ითვლება უკეთეს წყაროდ კავკასიის შესწავლისა და ამისთვისაც გადათარგმნილია უპირველესს ევროპიულ ენებზე, გარდა რუსულის ენისა. ეს სამწუხაროდ უნდა მიგვაჩნდეს იმისთვის, რომ ყველა მსურველს არ შეუძლიან ენის უცოდინარობის გამო ფრანციულის დედნით ისარგებლოს და ამასთანავე დიუბუას მოგზაურობა იშვიათადღა მოიპოება.

გარდა ამისა კავკაზს ჰსაზღვრავენ: პონტისა და კასპიის ზღვები. პონტის ზღვას ძველად ერქო *Pontos Axinos* „სტუმართ შეუწყნარებელი" ზღვა იმის შფოთიანის თვისების გამო, როგორც პირქუშობის გამო ზღვის პირის მცხოვრებთა, სკვითთა, რომელნიც, როგორც იტყვიან, უცხოეთელებს ჰხოცავდნენ, იმათ ლეშსა სჭამდნენ და იმათ თავის სარქველს სასმელო ჭურჭლის ნაცვლად ხმარობდნენ. პონტს დარქმევია *Pontos Euxenios* „სტუმართ შემწყნარებელი" მაშინ, როდესაც გარეშემო იმისა დაფუძნებულა ელლინელთ კოლონიები. კასპიის ზღვა, რომელიც სივრცით მცირედ განსხვავდება ევქსინის პონტზე, იწოდება აგრეთვე ჰირკანიის ზღვად ჰირკანიელებთა გამო, რომელნიც იმის სამხრეთად მკვიდრობდნენ."

„კავკაზი მდიდარია ყოველ გვარის ტყით, მეტადრე სახომალდო ხე-ტყითა. იმისი უმაღლესი ადგილები ზამთრობით დახშულია. თოვლისა და ყინულის გამო მთიულნი ასასვლელად ხმარობენ ერთგვარ განიერ ქალამნებს ხარის გამოუქნელის ტყავისას. ჩასასვლელად სხდებიან პირუტყვის ტყავზე, გვერდით უძევთ ბარგი და ამ გვარად ცურავენ მაღლობიდამ დაბლა." ეს ჩვეულება ახლაც არის, მხოლოდ ტყავის მაგიერ იხმარება დაგორგოლებული ნაბადი, რომლითაც შეყინულს თოვლში ეშვებიან მთის კალთებზე. ამ გვარად მიმგზავრია თვით მე ამ წიგნის ავტორსა. „ხმარობენ აგრეთვე სანდახან წვეტიან ფიცარსა, მგვალსა და მოგძოსა, რომელიც ფეხსაცმელზე თურმე იყო მიბმული." სტრაბონი მოიხსენებს კავკაზში მრავალ-რიცხვ ენებსა: მარტო ალბანიაში თურმე უჩვენებდნენ 26-მდე სხვადასხვა-ენას. მომეტებული ენები ყოფილა დასავლეთ მხარეში. დიოსკურიის ქალაქში დროითი დრო თურმე ჩამოიკრიბებოდა სხვა და სხვა ტომი, სხვა და სხვა ენების მოსაუბრე — 70-მდე, და არა 300-მდეო, როგორც ზოგნი ამტკიცებენო."

სტრაბონის აღწერა კავკაზიელთ ტომთა ჩვენ ზემოდ მესამე კარში ჩავურთეთ. აქ წარმოვადგენთ იმის აღწერას კოლხიდისას, იბერიისას და ალბანიისას.

„კოლხიდა იწყობა ტრაპიზონიდამ. იმისი ნიადაგია დაბლობი, ქვიშიანი და ნოტიო. კოლხიდას რწყავს დიდი მდინარე ფაზი

(რიონი), რომელსაც უერთდებიან მთებიდამ ჩამომდინარე ჰიპპუსი (ცხენის-წყალი) და გლავკუსი (ყვირილა). აქ მრავალია მრავალგვარი ჩინებული თვისების საკვები ხე-ხილი და აგრეთვე მომწარე თაფლი, რომელიც კიდეც ათრობს. კოლხიდაში უხვად იზდება შენობის ხე-ტყე, სელი, კანაფი, წმინდა სანთელი და ფისი. განთქმულია აქაური ტილო, რომელსაც კოლხიდელები თვითონვე აკეთებენ და რომელიც იმათ შორეულ ქვეყნებში გააქვთ. ეს აქვთ საბუთად ზოგიერთ მწერალთა, როდესაც იგინი ამტკიცებენ კოლხიდელების ერთ-ტომობასა ეგვიპტელებთან“.. „თვით მითები მოგვითხრობენ, თუ რა რიგად ყოფილა ეს მხარე განთქმული ძველ დროებში: მითები გვიამბობენ მოგზაურობას იაზონისას და იაზონზე უწინ ფრიქსის გამხედრებას კოლხიდაში და თუ ჩვენ წარმოვიდგენთ კოლხიდის მდიდარს მადნებს—ოქროსას, ვერცხლისას და რკინისას, მაშინ მივხვდებით, თუ რა მნიშვნელობა უნდა მივაწეროთ არგონავტების შესვლას კოლხიდაში“. „კოლხიდის მეფეებს დაუყვიათ ეს მხარე მრავალ მებატონეთა შორის და ამ გვარად თავისი ძალა შეუსუსტებიათ.“

„კოლხიდაში უმთავრეს ადგილებად ირიცხებიან დიოსკურია და ფაზისი. დიოსკურია არის ზღვის ყურე და მდებარეობს პონტის პირზე. დიოსკურიამდე ვრცელდება ზღვით მსვლელობა“. ჩვენ დროს გეოგრაფიული მდებარეობა იმისი დაჯეშმარიტებით არ იციან. ზოგნი იმას ეძებენ მდინარე კოდორის მახლობლად, იქ, სადაც ახლა არის ნავთ-სადგური ისკურია ანუ ცხუზამელა თუ მარმარა; ზოგნიც უჩვენებენ ახლანდელს სუხუმში. დიოსკურიას ძველად ერქმევია აგრეთვე სებასტოპოლი. დიოსკურია ითვლებოდა იმ რესპუბლიკის მეტროპოლიად ანუ დედა-ქალაქად, რომელიც ყოფილა მოფენილი კოდორის მდინარიდამ ინგურის მდინარემდე. გარდა დიოსკურიისა იქ იყო კიდევ კოლონიები: გვენოსი ანუ ტკვანოსი მარკულაზე, ილორი, ბედია, ჰერაკლეა ანუ ანაკლია. ამ კოლონიების სააღებმიცემო გზა კავკაზში მისდევდა მდინარე კოდორსა და ტებერდის ქედით ჩადიოდა მარუხისა და ზელენჭუკის ხეობაებში, აქედამაც ჰიპანის მდინარეზე ანუ ყუბანზე. ეს უძველესი გზა, რომლითაც

ელინებს შეჰქონდათ ჩრდილო მხარეებში ვაჭრობა და განათლება, ახლაც მოფენილია ძველის ნანგრევებითა. იმათში შესანიშნავია ერთი ვრცელი ქვით-კირის ზღუდე, რომელიც იწყობა ზღვის პირად, მახლობლად სუხუმისა, ახლანდელს ქელასურში, მიემართება კოდორის მხრივ, აფხაზეთის შუაგულში ჰზღუდავს ზემო ხეობაებს მარკულისას და გალიზგისას და გადადის ბედიის ზემოდ.

„დიოსკურია იყო სააღებ-მიცემო ცენტრი ყველა გარეშემო ტომთათვის. იმათ შორის ცნობილნი იყვნენ სოანნი ანუ სვანნი, რომელნიც ვრცელდებოდნენ დიოსკურიის მაღლობებამდე და მუქარით დასცქეროდნენ დიოსკურიას თავიანთ მთებიდამ. სტრაბონის დროს იმათ მეფე თურმე ჰყვანდათ და საგამგეო კრება, შემდგარი 300 მხედრისაგან. სვანნი იყვნენ ჩინებულნი მებრძოლნი. იმათ შეეძლოთ, როგორც გვარწმუნებენო, 200,000 მეომარის გამოყვანა. სვანნი ხმარობდნენ დაშხამულ ისრებსა. მარტო ამ საწამლავის სუნი თურმე ჰბნედავდა დაკოდილსა“. ეისვალდი ამბობს, ეს დასაჯერებელიაო და თავის აზრის შესამოწმებლად იმას მოჰყავს კამჩადალები, რომელნიც ისრის წვერის დასაშხამავად ხმარობენ მცენარეს *aconili napelli* ისე, რომ თუ დაჭრილი ადგილი იმ-წამსვე არ გამოიწოვა, სიკვდილი აუცილებელია. ამ გვარი საწამლავი მცენარე უმაღლეს კავკაზის მთებში მრავალი თურმეა. ,,ამტკიცებენ, განაგრძობს სტრაბონი, ვითომც სვანეთში იყოს ოქრო-ქვიშიანი წყლის ნაკადულები და ვითომც ბარბაროზნი სვანნი ოქრო-ქვიშას აგროვებდნენ დაჩხვლეტილის ფიწალისა და გძელ-ბალნიანის მატყლის შემწეობითა. ამ შემთხვევამ დაბადა მითი ოქროს მატყლზე‘‘.

ჩვენ მხარეში და იმის გარეშემო ძველად ფაზად უწოდებდნენ რამდენსამე მდინარეს, ესე იგი არაქს, ჭოროხს, თვით რიონს და ყუბანს; ამისგამო ზოგიერთნი მწერალნი, ძველნი და ახალნი, იმათ შორის სტრაბონიც, სცდებიან. სტრაბონი ფაზის (რიონის) სათავეს უჩვენებს არმენიაში და ამასთანავე ამ სახელით იხსენიებს ახლანდელს ყვირილასა. სტრაბონის სიტყვით, ფაზზე მდებარებდა ქალაქი ფაზისი, რომელსაც ერთის მხრით „მფარველობდა“ მდინარე, მეორის მხრით ტბა და მესამის მხრით ზღვა. ეს ქალაქი იყო

შუა-გული კოლხიდის აღებ-მიცემობისა. აქედამ გადიოდა ორი
გზა: ერთი, რომელიც ამისუსამდე და სინოპამდე ჭაობების გამო
ზღვის პირ-პირ 7—8 დღე უნდებოდა; მეორე მისდევდა მდინარით
ფაზით სარაპანამდე (ახლანდელი შორაპანი), რომელსაც შეადგენდა
მტკიცე სიმაგრე და იმას შეეძლო მოეთავსებინა ყველა ქალაქის
მცხოვრებნი. სარაპანში თავდებოდა წყლით მსვლელობა და იწყობოდა მშვენიერი საურმე გზა მტკვრის (*Cyrus*) პირამდე აქ სარაპანიდამ მოყოლებით ფაზი (ყვირილა) შეიარაღებული იყო მდინარის
სიმკვირცხლისა და ძალის გამო 120 ხიდითა; მთელი არე-მარე დაგლეჯილი იყო ნიაღვრებითა და ნაკადულებითა. ეს გზა არისო
კოლხიდიდამ იბერიაში შესავალი გზა, მთლად აღჭურვილი ციხე-სიმაგრეებითა და უფსკრულში ჩამომჩქეფარე მდინარეებით. სტრაბონის გარდა სხვანი შემდეგნი მწერალნიც შეეხებიან ხსენებულ
გზებსა. იგნი გვიამბობენ, რომ შემდეგ მიტრიდატის ძლევისა პომპეის მიერ, ამ უკანასკნელმა მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება
ფაზის აღებ-მიცემობასა: იმის ბძანებით შეკრიბეს ცნობები და აღმოჩნდა, რომ მოვაჭრენი შვიდი დღე უნდებოდნენ ინდოეთიდამ ბაქტრიანამდე, რომელიც ოქსუსს უერთდებოდა; ოქსუსიდამ შედიოდნენ კასპიის ზღვაში და კასპიის ზღვით მტკვრის შესართავში; აქედამ საქონელი მიჰქონდათ ნავებით მტკვარ-მტკვარ ხუთ დღეს (?!)
სურიუმამდე ანუ სურამამდე, საიდამაც აქლემებით და ცხენებით გადაჰქონდათ სარაპანამდე; სარაპანიდამაც ნავებით ჩაჰქონდათ ფაზისის
ქალაქში. პლინი უმცროსი (იშვა 61—62 წ. ქრის. შობ. შემდ.),
რომელიც ერთ დროს თვით იყო ბითინიისა და პონტის პროკონსულად ანუ მართველად, ჰმოწმობს, რომ რომის მოვაჭრენი აღებმიცემობით სარაპანში 100 სარგებელს იგებდნენო, მაგრამ ეს ვაჭრობა აღარიბებდაო მეტალლებით ევროპასა, რადგანაც ყოველ-წლივ
სარაპანში იგზავნებოდაო ასი მილიონი სესტერცი ($25^{1}/_{2}$ მილ.
ფრანკი. ფრანკი შეადგენს 5 შაურსა.) მაშინდელი აღებ-მიცემობის
საგანი ყოფილა განსაკუთრებით დამარილებული თევზი, ინდოეთისა და
ჩინეთის აბრეშუმის ფარჩეულობა და ადგილობრივი ფოლადი. პლინი
ამტკიცებს, რომ ეს ფოლადი იმდენად უკეთესი იყოო დასავლეთის

ქვეყნების ფოლადზე და თვით იმ ფოლადზე, რომელსაც ამზადებდნენო პონტის ქალდეველნი, ცნობილნი ხალიბებად, რომ არა-რა ფოლადის ნაწარმოები არ მიაჩნდათო საუკეთესოდ, თუ იმაში პირველი არ ერიაო. აქ უნდა დავურთოთ თქმულება ფაზის ქალაქებზე ბერძნულის ისტორიკოსის არრიანისა, რომელიც იშვა 105 წელს ქრ. შობ. შემ. არრიანი დიდად აქებს ამ ქალაქს როგორც სიმდიდრით და შემკულობით, აგრეთვე მშვენიერის სახლებით და მაღაზინებით, რომელნიც ორსავე მდინარის მხარეს იყვნენ გაბნეულნი. იმის თქმით, კოლხიდის სავაჭრო ქალაქები იყვნენ აგრეთვე ცირცეუმი, ეა, სადაც კოლხიდის მეფენი ისხდნენ, ტინდარიდა, ციგნი და ცითა ანუ ქითა, ქართული ქუთათისი.

სტრაბონის სიტყვით, „ზოგიერთნი მწერალნი გვარწმუნებენ, ვითომც კავკაზის იბერიას იმისთვის დაჰრქმევიყოს ეს სახელი, რომ როგორც ამ მხარეში, აგრეთვე დასავლეთის ევროპის იბერიაში (ისპანიაში) იპოება ოქროს მადნები. ამასაც იტყვიან, ვითომც პირველნი იყვნენ გამოსულნი მეორე ქვეყნიდამ“. „იბერიის საზღვრად აპოლლოდორი უჩვენებს არმენიის მხრით არაქსა.“ თვით სტრაბონი ასე ჰსაზღვრავს იბერიას და არმენიას: „კოლხიდისა და მესხეთის მთის ქედი ტიბარენების სამფლობელომდე; დასავლეთით ტიბარენების სამფლობელო; შემდეგ სკიდისესი და პარიადრესი.“ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სკიდისესი შეადგენდა მესხეთის მთის გაყოლებასა, სადაც ჰქონდათ სათავე ერთის მხრით ეფრატს, მეორის მხრით ჭოროხს, ხოლო პარიადრესი იყო ასლანდელი ჯანეთის ქედი. „ისტორია გვასწავებს, განაგრძობს სტრაბონი, რომ არმენია, თავდა-პირველად მცირე მხარე, გავრცელებულა მძლავრობითა. არმენიელებს გამოუგლეჯიათ მოსაზღვრე ტომთაგან: მიდიელთაგან კასპიანე, იბერთაგან ის ადგილები, რომელნიც პარიადრესის ძირად მდებარებენ ხორზენითურთ და აგრეთვე მტკვრის მხრით გოგარენი; ხალიბთაგან და მოსინეკთაგან კარენითიდი და დერგსენი, რომელნიც აწ მცირე არმენიის საზღვარს შეადგენენ“. „იბერია თითქმის მთლად შემოზღუდულია კავკაზის მთის შტოებითა. იმათ საშუალ მდებარებს ვრცელი ვაკე-მინდორი, რომელსაც რწყვენ მრავალნი მდი-

ნარენი; იმათ შორის უდიდესია კიროსი (მტკვარი). კიროსი იწყო-ბა არმენიაში და ჩამომდინარებს ხსენებულს ვაკე-მინდორში. აქ იმას ერთვიან არაგუსი, კავკასზიდამ ჩამომდინარე და სხვა მდინარეები; შემდეგ კიროსი შედის ალბანიაში ვიწრო ხეობით, რომელიც შე-ადგენს საზღვარს ალბანიისას და არმენიისას. ალბანიისა და არმე-ნიას შორის კიროსი არის გაშლილი, რწყავს პოხიერს საძოვ-რებსა და იერთებს მრავალ მდინარეებსა, ესე იგი ალაზონიუსს, სინ-დობანეს, რეტაკეს და ხინეს".

იბერიას აქვს, სტრაბონის თქმით, ოთხი შესავალი გზა. პირ-ველია კოლხიდის გზა, რომელიც ზემოდ ვუჩვენეთ. მეორეა კავკა-ზის შუა-გულის გზა, რომელიც აილა მიემართება ყაზბეგის ძირ-ში და კობზე. „აქ მგზავრნი, ჩრდილოეთით მომავალნი, დიდის გაჭირებით ადიან სამის დღის განმავლობაში მთის ვიწრო ქედ-ზე, რომელიც დასცქერის მდინარეს არაგუსსა და სადაც თითო-თითოდ ოთხი დღე მაინც უნდა იარონ. ამ გზას იცავს მაგარი ზღუ-დე". ეს გზა ის გზა არის, რომელსაც ქართლის ცხოვრება ასა-ხელებს დარიალად, დარიალანად და ხევის-კარად, ოსები დაირანად, რომაელნი Pylae Caucasicae, Porta Alanorum, არაბნი ბაბ-ალლანად, რომელიც, პლინის სიტყვით, „არის ვრცელი ბუნების ნაწარმოები; სადაც მთანი უეცრად გაიპობიან; სადაც კარნი რკინის შეჭედი-ლის სის ძელებით შეზღუდულნი არიან და იმათ ქვეშ მიილტვის მდ ინარე დარი-ოდორისი; სადაც მასლობლად კლდეზე ამართულია ციხე-სიმაგრე კუმანია, აშენებული აურაცხელთ მხედართა შესაკავებ-ლად". პლინის დარი-ოდორისი, სენ-მარტენის მოწმობით, არის თერგი, ხოლო კუმანია—დარიალის სიმაგრე. პლინის აღწერას და სტრაბონის მაგარ ზღუდეს ეთანხმება თვით ვახუშტისაგან მოხსე-ნებული მეფის მირვანისაგან აშენებული დარიალი, რომელსაც მირ-ვანმა „შეაბა კარი და უქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოდ ველარ ვიდოდნენო." მესამე გზას სტრაბონი უჩვენებს არევით. „ალბანიიდამ მთით ჯერ გადის კლდეში გამოჭრილი გზა; მასუკან მიემართება ტბით, რომელსაც შეადგენს ალაზონიუსი შემ-დეგ ჩამოდენისა კავკასზის მთით". „თუ, ეისვალდის აზრით, ალ-

ბანიას დაღესტანში დავასახელებთ და ალბანიას შევუერთებთ ყუბის მაზრას შემახიის ჩრდილო-ნაწილითურთ, მაშინ სტრაბონის გზა ალბანიიდამ იბერიაში უნდა მოვძებნოთ ყუბის სამხრეთად, იქ, სადაც გზა ყუბის მაზრიდამ გადადის შემახიის მაზრაში. იქნება იგი უფრო აღმოსავლეთად მდებარებდა, ყურთბულაყუს მახლობლად. აქ მთები დიდად მაღალნი არ არიან და ხეობა მოგზაურთათვის ადვილი სასიარულოა. ორისავე გზით დაიარებიან ახლაც შირვანიდამ დაღესტანში. იქ ტბა არ იპოება. შესაძლებელია, რომ სტრაბონი უჩვენებს სამურს და ხეობა იმას გადააქვს უფრო ჩრდილოეთად, დერბენდისაკენ".—მეოთხე გზას შეადგენს ორ-გვარი ვიწრო ხეობა კირუსისა და არაგუსისა, რომელიც იბერიიდამ მიემართება სომხითისაკენ. ორნივე მდინარენი, კირუსი და არაგუსი, სანამ შეერთდებოდნენ, მიმდინარებენ ორის გამაგრებულის ქალაქის ძირში, რომელნიც კლდეზე არიან ამართულნი და ერთი მეორეს 16 სტადიით შორავს. კირუსს დასცქერის ჰარმოზიკა, არაგუსს—სევსამორა". იქ, სადაც არაგვი მტკვარს უერთდება; სადაც სტრაბონი ასახელებს ჰარმოზიკას და სევსამორას, აქამომდე ძევს ძველი საქართველოს დედა-ქალაქი მცხეთა და იმის არე-მარეში გაბნეულია აქა-იქ მრავალი ნანგრევები, რომელნი ამართლებენ სტრაბონის თქმულებასა. სტრაბონის ჰარმოზიკა, პლინის ჰარმასტიზი და პტოლომეს არმაკტიკა არის ჩვენი არმაზის ციხე, არმაზი, რომელიც ქალაქად ისახელებოდა და, ვახუშტის სიტყვით, გავრცელებული იყო ახლანდელს ნაქულბაქევამდე. სევსამორა მოგვაგონებს წიწამურს ჩვენის დროისას.

სტრაბონის აზრით, „იბერიაში დამყარებულა სახელმწიფო წესი და ყოფა-ცხოვრება წარმატებაში შესულა. იბერია დაყოფილია ოთხ წოდებად. პირველს და უმთავრესს წოდებას ეკუთვნიან მეფენი. მეფე უნდა იყოს როგორც უხუცესი წლოვანებით, აგრეთვე უახლოესი ნათესაობით მიცვლილის მეფისა. იმის მომდევნს ხნიერობით ეკუთვნის სამსაჯულო-გამგეობა და მხედართ-მთავრობა. მეორე წოდებას შეადგენენ სამღვდელონი. ამათი მოვალეობაა, გარდა სასულიერო წესის აღსრულებისა, განბჭობა მცხოვრებთ დავა-

განსჯაიქილებისა. მესამე წოდება შეიცავს მხედართა და მუშაკთა. მეოთხეც დაბალ ერსა, სამეფო ყმებსა, რომელთაც კალად სძევთ ნივთიერი მზრუნველობა''. ,,აქ უნდა დავურთოთ, განაგრძობს სტრაბონი, რომ თვითოეულის სახლის საცხოვრებელი შეადგენს თანასწორ კუთვნილებას ყველა სახლის წევრებისას და ამასთანავე უხუცესნი იმათ შორის ბძანებლობენ და განაგებენ ოჯახსა''. ,,იბერია ალბანიაზე უაღრესად განვითარდება სიმდიდრით და უფრო მჭიდროდ არის მოფენილი მოსახლეთაგან. ამას გვიმტკიცებენ იმისი ქალაქები და სოფლები კრამიტოვანის სახლებითა, სელოვნური შენობები, ქულბაქები და საზოგადო სასახლეები. ის ნაწილი იბერიელთა, რომელიც სახლობს ბარათ, განსაკუთრებით მიწის შემუშავებას ელტვის და ამასთანავე უფრო მშვიდობის მოყვარეა. ბარის იბერთ ძველადვე მიუთვისებიათ ტან-საცმელი და ზნეობა არმენიული და მიდიური, თუმცა მომეტებული ნაწილი მათგანი მკვიდრობს მთებში, მსგავსად მათისავე მოსაზღვრე სკვითებისა და სარმატებისა, რომელნიც ერთის მხრით იმისნი მონათესავენიც არიან. მთიელნი იბერნი არიან უფრო მეომარნი და შესძლებენ პირველსავე სამხედრო ხმაზე ფეხზე დააყენონ შეერთებით თვის შორის და კაკელთ იბერიელებში რამდენიმე ათი-ათასი მხედარი''. ამ სურათს აპპიანი და დიონ კასსიუსი პომპეის დროს დაურთვენ, რომ იბერიელთ სამხედრო იარაღი იყო ხელ-შუბი და შურდული; როდესაც იბერიელნი იბრძოდნენო, მტერს ტყეში შეიტყუებდნენო და მაღალის ხეებიდამ აუტეხდნენო ბრძოლასა. აქ უნდა დავუმატოთ, რომ პომპეის დროდამ ჩვენი მხარე და თვით მთელი შავი-ზღვის პირი ეჭირათ რომაელებს და იმათგან დაწესებულს მთავრებს ექვემდებარებოდნენ ასე რომ, სტრაბონის თქმით, ,,არმენიაში, იბერიაში და ალბანიაში იმათ საერთგულოდ საკმარი იყო მხოლოდ ადგილობრივი ყოფნა რომის წარმომადგენლისა ანუ ლეგატისა".

სტრაბონის აზრით, „ალბანიას ჰსაზღვრავს აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთით—იბერია, ჩრდილოეთით—კავკაზის ზურგი კერაუნის ვაკე-მინდვრებამდე, სამხრეთით—ვაკე-მინდვრიანი და მთიანი არმენია. იქ, სადაც არმენია, იბერია და ალბანია ერთი მეორეს

შეჰხვდებიან, მდებარებს სრიაკი და უწყლო მხარე კამბიზენა; იბერიიდამ ალბანიაში გზა მისდევს ხეობით მთელს კამბიზენას და ალაზონზე დაეშვება''. ეს ადგილი, ეისვალდის ფიქრით, უნდა უდრიდეს ახლანდელს უჯარმას და ყარასუს, სადაც მხოლოდ იორი მიმდინარებს. შესანიშნავი ალბანიის ნაწილი, რომელსაც სტრაბონი ხშირად იხსენიებს, არის ,,კასპიის ხეობა ანუ კარი, რომელიც მიდიელებისა და სომხების ხელში იყო''. სტრაბონის აღწერიდამ სჩანს, რომ ალბანიას შეადგენდა, სენ—მარტენის აზრით, სომხების აღუანი ანუ ის მხარე, რომელიც კასპიის ზღვის დასავლეთად მდებარებს და რომელიც იწყობა იქ, სადაც მტკვარი ერთვის ზღვას, ვიდრე კასპიის ხეობამდე, რომელიც ახლა წოდებულია დერბენდის ხეობად; ერთის სიტყვით, შირვანი და დაღესტანი. როგორც ვიცით, ძველად დიდი ყურადღება ყოფილა მიქცეული კასპიის შესავალზე. იქ დერბენდიდამ იწყობა ვრცელი ზღუდე, რომლის კედელი ჯერ არის ჩაწოლილი წყალ ქვეშ კასპიის ზღვაში, შემდეგ მიემართება მთა-მთა ყაზი-ყუმუხის ქვეყანაში და კუმან-დაღის მაღლობში, სწყდება კავკაზის ჩრდილო-კალთებში და დასასრულ ჩნდება მუსახის ხეობის პირის-პირ, სოფლის კატეხის მთელს სივრცეზე.

ალბანიაში მიმდინარებს კირუსი (მტკვარი), რომელიც სხვა მდინარეების შეერთებით ვრცელდება და მიწის ნიადაგს დიდად აპოხიერებს. მტკვრის ლამი, რომელიც იმას თავის შესართავში შეაქვს, ცოტ-ცოტად ავსებს ახლო-მახლო მდებარე კუნძულების სივრცეს და ამ გვარად კუნძულებს ერთი მეორეს უერთებს. ამისთვის აქ მსვლელობა საშიშია, მეტადრე იმით, რომ ზღვის ძვირთნი ამ ადგილსა სცემენ. ამბობენ, ვითომც კირუსი თორმეტ შესართავად იყო დაყოფილი. აქ მდინარეების მოძრაობას 500 სტადიამდე შეაქვს ზღვაში ლამი, რომელიც ნაპირზე ქვიშის გორაკებს აღმართავს. მახლობლად მტკვრის შესართავისა ზღვაში ჩადის არაქსი, რომელიც დიდის სისწრაფით ჩამომდინარებს არმენიის მთებიდამ''. ეს სურათი, ეისვალდის განმარტებით, ახლაც ეთანხმება ადგილობრივს მდებარეობას. მართალია, რომ მხოლოდ მტკვარი თავის შტოებით მთელ მაჩრას რწყავს და აპოხიერებსო; მართალია, რომ ყველა

იმისი სართავები ისეა შემცირებული, რომ ძლივსღა შედიანო მტკვარში არა თუ ხომალდები, თვით დიდი ნავებიც,-ისეთი ნავები, როგორსაც ხმარობენ სპარსელები კასპიის ზღვაზე. ამისთვის სტრაბონი შემცდარი არ არისო, როდესაც ამბობსო, რომ აქ კარგი ნავთ-სადგური არ არისო. შესართავები აქამომდე უფრო და უფრო მცირდება; ლამი როგორც მდინარეს შეაქვსო, ისე ზღვის ზვირთებს გამოაქვსო. ეჭვი არ არისო, რომ სტრაბონის დროიდამ მთელი ნაპირი, მთელი ნაყოფიერი დელტა მტკვრისა დიდად შეცვლილაო. შესაძლებელიაო, რომ ზოგიერთი მტკვრის შესართავი სრულებით დაიხშო ლამით და მაშა სადამე გასაკვირველი არ უნდა იყოსო, რომ აქ სტრაბონი 12 შესართავს აღრიცხავსო, როდესაც ახლა ექვსსაც აღარ იხსენებენო.

,,ალბანიაში არის ისეთი ფალანგები, რომ იმათგან დაშხამული ზოგი სიცილით კვდება, ზოგიც ცრემლით და ვაებით". მართლა და მორიელი ახლაც მრავალია ვრცელს ალბანიის ვაკე-მინდორებში, თუმცა ისე საშიში და ისე შხამიანი არ არის, როგორც სტრაბონი ამტკიცებს, თუ რომ ნაკბენ ადგილს თავის დროს ზეითუნის ზეთი მიასწარით. „აქ ბუნება ისე უხვია, რომ ალბანელნი არც კი საჭიროებენ ზღვის აღებ-მიცემობაში. დედა-მიწას აქ გამოაქვს ყოველ-გვარი ნაყოფი, რომელიც აღმომცენარებს უხნავად, როგორც ამას ამტკიცებენ რომაელნი, რომელნიც სამხედრო სამსახურის გამო იქ ყოფილან. რომაელნი იტყვიან, რომ იქ ბევრ ადგილს ერთხელ ჩაფლული თესლი იძლევა ორ-სამ სამკალსა და პირველ სამკალში ერთი მარცვალი არა ნაკლებ 50 მარცვლისა. ალბანელნი სახნავად ხმარობენ ხის გუთანსა და არა რკინისასა. იქ საძოვარი ბალახი ნოყიერია. ვაზი ისხლება ხუთ წელიწადში ერთხელ." „ალბანელნი არიან მშვენიერნი და ტანოვანნი; არა ხმარობენ ფულსა და უცხო ქვეყნიდამ შემოტანილ სავაჭროში სცვლიან მხოლოდ თავიანთ ნაწარმოებსა; არ იციან არც ზომა, არც წონა". „ალბანელებს გამოჰყავთ მომეტებული მხედრობა, სანამ იბერიელებსა: 60,000-მდე ქვეითი ჯარი და 12,000-მდე ცხენოსანი. ამოდენა წყობით ისინი ებრძოდნენ პომპეისა".

„ალბანია დასახლებულია მრავალ პატარ-პატარა ტომთაგან, რომელთაც არა აქვთ ერთმანეთში დამოკიდებულობა. იმათ შორის არიან გელლები და ლეგები. გელლებად ჰხადიან გილანელებს, ლეგებად ლეკებს. ალბანიასვე ეკუთვნიან კასპნი ანუ კასპიელნი, რომელთაც თავისი სახელი გადასცეს ზღვასაცა. აქ, როგორც იბერიაში, ის წოდება, რომელსაც ეკუთვნიან მეფენი, შეადგენენ უმაღლეს წოდებასა. თვითოეულს ალბანიის ტომსა ჰყავს საკუთარი მეფე. ერთი იმათგანი ბძანებლობს დანაშთენთა. ალბანელნი საუბრობენ სხვა და სხვა ენას, რომლის რიცხვი 26-მდეა. ალბანელნი თაყვან-სცემენ მზესა, იუპიტერსა და მთვარესა. მთვარის ტაძარი დგას მახლობლად იბერიის საზღვრისა. ალბანიის მღვდელთ-მთავარი შემდეგ მეფისა ყველაზე მეტად არის პატივ-ცემული და განაგებს ვრცელს და მჭიდროდ დასახლებულს ტაძრის მაზრასა. ალბანელთა შორის ვინც მომეტებულად აღივსებაზენარის მადილით, ის იწყებს ტყეში ტანტალსა. ამ დროს მღვდელთ-მთავრის ბძანებით იმას სტაცებენ ხელსა და საღმრთო ჯაჭვით შეჰჯაჭვენ. წლის განმავლობაში იმას უხვად ჰკვებავენ; ბოლოს მთვარის დღესასწაულში იმას სცხებენ ზეთსა და მიიყვანენ ტაძრად, რომ მსხვერპლად შესწირონ. ერთი კაცი, აღჭურვილი საღმრთო ისრითა, რომელიც მხოლოდ ადამიანის მსხვერპლთა საკლავად იხმარება, ამ ისარს დასცემს იმას მკერდში. როდესაც მსხვერპლი დაეცემა, იგი იმის შინაგანიდამ ამოიღებს საქადაგო ნიშანსა და ერს დაანახვებს; მასუკან გვამს წაიღებენ დაწესებულ ადგილს, სადაც თვითოეული იმას გადაასტებს ცოდვის განსაწმენდელად“. დიუბუა-დე-მონპერე ამ ჩვეულობას პოულობს ტავრის ტომში და აგრეთვე ჩუდო-ფინნებში, რომელნიც ბალტიის ზღვის პირად სახლობენ და რომელთაც, იმის ფიქრით, ოდესმე ჰქონიათ კავშირი კავკაზ-ტავრიდაში შეხიზნულთ ფინნებთან.

## კარი მერვე

## ქართლის დაგლეჯა სომხებისაგან და დაცემული ჩვენი ზნეობა.

I. ორ-ორნი მეფენი ქართლისანი: ბ ა რ ტ ო მ II და ქ ა რ თ ა მ (55—72); ფ ა რ ს მ ა ნ და კ ა ო ს (72—87); ა ზ ო რ კ და ა რ მ ა ზ ე ლ (87—103); ა მ ზ ა ს პ და დ ე რ ო კ (103—113); ფ ა რ ს მ ა ნ II და მ ი-ტ რ ი დ ა ტ I (113—129); ა დ ა მ (129—132) და შემდეგ იმისა 146 წლამდე დედა იმისი; ფ ა რ ს მ ა ნ III (146—182); ა მ ზ ა ს პ III (182—186).

II. ქართლის შესუსტება და იმის საზღვრის დაჭერა სომეხთ მეფეთაგან.—ქართლის სომხეთი[1] ანუ სომხების გუგარკი.—ბრძოლა ქართველებისა სომხებთან საზღვრის გამო.—ამ საგანზე ქართველთ-სომეხთ თქმულების შედარება რომაელთ ცნობებთან.—მცხეთის მახლობლად ნაპოვნი 75 წლის ქვა ბერძნულის წარწერით.

III. მ ე ფ ე რ ე ვ ი (186—213).—ადამიანის მსხვერპლად შეწირვა კერპთათვის და კაცის მჭამლობა ჩვენში ჩვენის მატიანის თქმით.—რამდენად არის შესაწყნარებელი ეს თქმულება.

საქართველოს საზღვრების დაჭერა სომხებისაგან იყო შედეგი იმის დაყოფისა და შესუსტებისა. ჩვენის მატიანის თქმით, „ადერკის მეფობამდე ქართლს ერთი დაჯდის მეფედ, რაჲთომცა მრავალნი იყვნენ შვილნი მეფეთანი; ხოლო ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქუეყანა. შიდა—ქართლი მუხნარით-კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთით, ჰერეთითგან ვიდრე თავამდე ქართლისა და ეგრისისა, მისცა ბარტომს უხუცესსა ძესა თვისსა; ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანიდგან ვიდრე თავამდე მტკვრისა და კლარ-

1. ჩვენ ჩვენს „ისტორიაში“, როგორც მკითხველი შეჰნიშნავდა, ამ სიტყვას ორ-გვარის ფორმითა ვხმარობთ: ნამდვილს სომხების მხარეს ვუწოდეთ „სომ-ხითად“ და ქართლის სომხეთს „სომხეთად“. ფორმა „სომხითი“ თვით ჩვენს ძველს მწერლობაშიაც არის ხმარებული არა იშვიათად.

ჯეთი მისცა ქართამს ძესა თვისსა უმრწემესსა.“ შესანიშნავია, რომ ამ დროს თვით სომხითიც ორად იყოფა. სომხურის ისტორიის თქმით, ავგარ მეფის სიკვდილის შემდეგ, 32 წელს ქრისტეს დაბადებიდამ, იმისი სამეფო ორად განაწილდა: ავგარის შვილმა ანანემ ანუ ანანუნიმ დაიჭირა ედესსა და ავგარის დის-წულმა სანადრუკმა შეისაკუთრა სომხითის ნაწილი და ადიაბენი. აქ ესვია, რომ სანადრუკმა მაშინათვე მოინდომა სომხითის შეერთება თავის სამფლო-ში და ამ განზრახვით ანანეს ბრძოლა აუტეხა[1]. საქართველოში ერთი მეფეთაგანი იჯდა არმაზში, მეორე შიდა-ქალაქში, ანუ, უკეთ ვთქვათ, ჰქონდათ გაყოფილი ქალაქი მცხეთა: უფროსს ეჭირა „მუსნარით კერძი, უმცროსს არმაზით კერძი.“ ორნივე ერთ-გვარ მეფობდნენ თუ არა, ორივეს ერთ-გვარი ძალა ჰქონდათ თუ არა, ამ საგანს ჩვენი წელთ-აღმწერა ყრუდ უჩვენებს. სტრაბონი კი ამბობს: „იბერია დასახლებულია ოთხის განვითარებულის წოდებით. პირველს ეკუთვნიან მეფენი; ამათში უმთავრესობს ისა, რომელსაც მემკვიდრეობა და წლოვანება უპირატესობას აძლევს; მეორე მხოლოდ მსაჯულობს და სპათა წინა-მძღომლობს[2]. ამ საგანს ასე განმარტებს ბატონი-შვილი თეიმურაზი. იმის ცნობით, „... განჰყოფდა ქალაქსა მცხეთას საშუალ მდინარე მტკვარი, გამოღმით მცხეთა და გაღმით არმაზი. დაადგინა (ადერკიმ) პალატსა შინა მცხეთისასა ქართამ და პალატსა შინა არმაზისასა ბარტომ და ამცნა მათ, რათა მარადღე შეკრბებოდნენ ერთად და ერთბამად უსჯიდნენ ერთა და განაგებდნენ. სჯულ-უდვა მათ, რათა ერთი მათგანი განაგებდეს ყოველსა საქმესა სამხედროსასა და გარეგანთა საქმეთა; ხოლო მეორე შინაგანსა საქმესა ყოველსავე საქვეყნოსა. ბრძოლისა ჟამსა ერთი მათგანი წარუძღოდეს ლაშქარსა, ხოლო მეორე უმზადებდეს მას ყოველსა საჭიროებასა: საჭურველთა, საზრდოთა და ყოველთა სახმარებთა სამხედროსათა[3]. საკვირველია, რომ ორნივე მეფენი ერთ

1. S—Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 295, 411—412: Моис. Хоренскаго, *Исторія Арменіи.*, 109, 110.—2. *Géographie de Strabon,* XI, 405.—3. „ისტორია“, გვ. 147—148. „მ ა ტ ი ა ნ ი ს თქმით, „და მეფობა ორად გაიყო—ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ (მცხეთას და არმაზსა) (მ ა ნ უ ს კ რ ი პ ტ ი № 1141, გვ. 435).

დროს ასრულებენ თავიანთ მოვალეობასა და ასე გგონიათ, რომ იგინი ანუ ერთად ისოცებიან, ანუ როდესაც უხუცესი კვდება, მაშინ უმცროსიც თავის-თავად სტოვებს თავის უფლებასა.

იმ მხარეს, რომელიც სომხებმა ქართველებს ჩამოართვეს, ჰსაზღვრავს მთის ქედი, რომელიც შეკავშირებულია თრიალეთის მთასთასა და აქედამ მოკიდებით მისდევს ჯერ ჩრდილოეთით სამხრეთად, შემდეგ დასავლეთით აღმოსავლეთად კიდრე გოგჩის ტბამდე და რომელიც სახელ-ცნობილია ბამბაკად და ბეზობდალად. ეს ქედი შეადგენს მცირე კავკასიის ნაწილსა და ჰყოფს ერთი ერთმანეთში ორს მდინარეს, მტკვარს და არაქსს. აქ მრავალია რკინისა და სპილენძის მადნები, მეტადრე ლელვარის მთაში. აქ, ვახუშტის თქმით, „სარკინეთს ითხრება ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოვება მცირე ლაჟვარდიცა.“ აქ დებედის ხეობაში ძველის დროდამ მოქმედებენ სახელ-განთქმული მადნები: ალავერდისა და ახტალისა. თვით ირაკლი მეორის დროს ამ მადნებიდამ გამოჰქონდათ როგორც ვერცხლი, აგრეთვე ოქრო. აქ მრავალი მადნები აღმოიპოვება აგრეთვე იმ ადგილში, სადაც ბამბაკისა და ბორჩალოს მდინარეები ერთი მეორეს ერთვიან[1]. აქ შესანიშნავი მდინარეებია: ბერდუჯი ანუ დებედა (ახალს კარტებზე ბორჩალო) და ხრამი, მასუკან ალგეთი და ქცია. ვახუშტი სწერს თავის გეოგრაფიაში: „ეს მხარე არის შემ-

1. ვახუშტის „გეოგრაფიული აღწერა საქართ.,“ გვ. 146; *Геологическіе очерки Кавказа*—Рус. Вѣст., мартъ 1862 г., стр. 72—75, 92—94, 106. აქ საჭიროდ ვხადით ამ შრომას ჩვენის მკითხველის ყურადღება მივაქციოთ. ეს შრომა, რომელიც ზემოდ ჩვენის ისტორიის მეორე კარის გეოლოგიურის ნაწილის წყაროთა გვქონდა, ეკუთვნის გამოჩენილს მეცნიერს რუსეთისას, აწ გარდაცვლილს შჩუროვსკის და წარმოგვიდგენს უკეთეს მასალას კავკასიის მხარეთა გეოლოგიურის ცვლილებაებისას. სამწუხაროა, რომ იგი ცალკე წიგნად არ არის გამოცემული და მხოლოდ *Русскій Вѣстникъ*-ის ოთხს ნომერში მოიპოვება. აქ შემოკრებულია ისტორიული ცნობები წარსულის დროის მეცნიერთა კავკასიის გეოლოგიაზე, ესე იგი, პალლასისა, ენგელგარდისა, პარროტისა, რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ექსპედიციისა, ეიხვალდისა, დიუბუა-დე-მონპერესი, მურჩისონისა და უკანასკნელ აბიხისა. ეს ცნობები შჩუროვსკისაგან განხილულია კრიტიკულად და ერთის სიტყვით ამ ავტორის შრომა წარმოგვიდგენს სრულს სურათს კავკასიის გეოლოგიისას; ბოლოსაც იმას დართული აქვს გეოლოგიური რუკა ანუ ქარტა მთელის ჩვენის მხარისა.

კობილი ყოვლითა. ვენახნი და ხილნი მრავალნი, არამედ მთის კერძოდ არა არს; თესლნი ყოველნი ნაყოფიერებენ. მროწლენი, არყენი, კოლტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი. ღვინო მრავალი. მთათა ნადირი ურიცხვი, და მფრინველნი, რომელნი აღვსწერეთ, უთვალავნი. ჰაერი ქცია-ბერდუჯის მდინარეთა კიდესა ცხელი, უმშვენი, გაუძლისი; სხვათა ადგილთა კეთილი. ტყენი ბევრნი; წყარონი ცივნი და მშვენნი, უამრავნი. ქციის სამხრით ველი იყო უწყლო და გაიღო 94 მეფემან ვახტანგ მკელი რუ, და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად. ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა. აქ იყო ციხე-სიმაგრეები: გაჩიანი ანუ სანადირო-ქალაქი, ლორი, ბოლნისი[1]; მონასტრები: აგარაკი ანუ ახტალა[2]; ბოლნისის სიონი[3]; სომეხთაგან აშენებულნი X საუკუნეში ახპატი და სანაინი“[4]. ზემოდ მოხსენებული მტკვრისა და არაქსის მსაზღვრავი მთის ქედი ჰყოფდა ქართველ ტომსა და სომხის ტომსა. უძველეს დროდამ ეს მხარე შეადგენდა ორ საერისთავოს: ხუნანისას და სამშვილდისას[5]. იმას უწოდნენ: სომხები გუგარკად ანუ საქართველოდ, ქართველები—სომხეთად; ბერძნების მწერალნი: სტრაბონი, პტოლომე და სტეფანე ბიზანტიელი-გოგარენად[6]. სომხითის არშაკუნიანთ დროს გუგარკის საზღვრები შეიცავდა დიდს სივრცესა; ამ საზღვრებში მდებარებდნენ:—კლარჯეთი, არტაჰანი, ჯავახეთი და თრიალეთი[7], თუმცა მოსე ხორენე-

1. ვახუშტის „გეოგრაფ. აღწერა საქართვ.,“ 145.—2. იქვე, 145.—3. იქვე, 145.—4. იქვე, 139.—5. იქვე, 1,80.—6. S—Martin, *Mémoires historiques et géographiques sur l' Arménie*, 1, 81.—7. Ibid., I, 82—83; Lebeau, *Histoire du Bas-Empire*, XV, 490—491. ორივე ეს თხზულება, რომელსაც მკითხველი ხშირად შეჰხვდება ჩვენს წიგნში, იმ გვარია, რომელიც საქართველო-სომხითის ისტორიის გამომეძიებელს საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს შესწავლული. ლებო სცხოვრებდა მე-XVIII საუკუნეში, სენ-მარტენი მე-XIX საუკ. და მოკვდა 16 ივლისს 1832 წელსა. სენ-მარტენი იყო გამოჩენილი ორიენტალისტი და პარიჟის აზიურის საზოგადოების დამფუძნებელთაგანი 1828 წ. სენ-მარტენმა პირველმა მიაქცია ამ საზოგადოების ყურადღება საქართველოს მწერლობაზე. ამანვე დააყენა ბროსსე ჩვენის ისტორიის შესწავლის გზაზე. იმის *Mémoires*, რომელიც გამოიცა ორ ტომად 1818 და 1819 წ., შეიცავს საქართველოზე და სომხითზე ძვირფასს ის-

ლის მოწმობით გუგარქი შეადგენდა საქართველოს ნაწილს[1]. გუგარქის დედა-ქალაქად ირიცხებოდა ცორტავი ანუ სანადირო ქალაქი[2]. აქ ისხდნენ გუგარქის პიტიახშნი ანუ ბდეშხნი, ჩვენებურად ერისთავნი. პიტიახშნი იყვნენ უახლოესნი მეფის მჴრასველნი და უმთავრესნი ქვეყნის გამგენი. ძველად უჩვენებენ ოთხს პიტიახშს: ახცნისას, ანგეგათ-თუნისას და კორდუკისას. გუგარქის პიტიახშს ეჭირა უპირველესი ადგილი ყველა სომხების პიტიახშებთა რიცხვში: სამეფო ნადიმში იგი უპირველესობდა მარჯვნივ მეფისა, ჯარში უფროსობდა ჩრდილო-მხრივ და ბძანებლობდა 22 თავადსა[3].

ჩვენის მატიანის მოწმობით, „ადერკისიდგან მეფენი, ფარსმან და კაოს (72—87 წ. ქრისტეს შემდეგ) იყვნეს სომეხთ მეფის მორჩილებაში; უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა... მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი მეფე იარვანდ და ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა და მიუღო საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე...‘ და ვერ იმებნეს ქართლისა მეფეთა საზღვარი და მოკვდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს... იმათ შემდეგ აზორკ და არმაზელ შე-

ტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებს: ბერძნულს, ლათინურს, ბიზანტიურს, არაბულს და სომხურს, რომელიც იმან საფუძვლიანად იცოდა, და თვით მრავალს ქართულსაცა. საუბედოდ ეს *Mémoires* იშვიათიდაა საშოვნელად. თვით ლებოს ისტორიის გამოცემა ეკუთვნის მე-XIII ტომამდე მთლად (ლებოს ისტორია შეადგენს ოც და ერთს წიგნსა) სენ-მარტენსა და მე-XIII ტომიდამ კი ბროსსესა. ლებოს ისტორია ვრცლად განიხილავს ბიზანტიის ისტორიასა კონსტანტინეპოლის დაარსებიდამ (ანუ უკეთ 274 წლიდამ) ვიდრე 1736 წლამდე, შეეხება მთელს მსოფლიო ისტორიასაცა და ამასთანავე უჩვენებს ყველა იმის წყაროებსა. გარეშე ამ ცნობათა, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სენ-მარტენის ფაქტები სომხითზე და საქრთველოზე, რომლებიც იმას ჩაურთავს ამ ისტორიის ტექსტში და შენიშვნებში. სენ-მარტენის ბიოგრაფიული და ლიტერატურული ცნობები და აგრეთვე იმისი ღვაწლი ჩვენის მწერლობის სასარგებლოდ ნახე ჩემს წერილში: *Статьи по исторіи и древностямъ Грузіи*—Приложеніе къ IV т. Записокъ Императ. Академіи наукъ, стр. 1—7.

1. *Addit...*, 125; *Mém.*, II, 355, 366.—2. ვახ. „გეოგრ.," 142, *n.* 1; *Addit.*, 109, *n* 3.—S-Martin, *Mém. sur l'Arm.*, I, 79; Langlois, *Collection des historiens.*, I, 49, *n.* 5; II, 84, 135, 167. Stéphanos Orbél., *Hist. de la Siounie.* Spb., 1864-1866, II, p. 6, n. 3.

თქვენს და განიზრახეს მიება საზღვართა ქართლისათა არტაშან მეფისაგან."

ხსენებული არტაშანი არის სომხურის ისტორიის არდაშეზ III (78—120), რომლის დროსაც ცხოვრობდა განთქმული სომხების მხედართ-მთავარი შამბე ბაგრატის შთამომავალი სუმბატ ბივრიტიანი, მეფობელი სუმბატეკანისა, „სპერის მასლობლად". თვით არდაშეზია სომხითის მეფეთა შორის შესანიშნავი პირი: ის აფუძნებს სატასტო ქალაქს არდაშადს, სადაც აასხლებს ურიებს; აშინაკებს მრავალს უცხო-ტომთაგანს სომხითის ქალაქებში და სოფლებში, იმათ შორის ურიის შთამომავალს ამატუნების გვარსა; ჰსაზღვრავს და ჰმიჯნავს დაბებსა და მინდვრებსა; ამარცხებს, სუმბატის შეწეობით, მტკვრის პირად ალანებს, იმათ თანა-შეწე მთიულებით და იბერიელებით; ამარცხებს აგრეთვე რამდენჯერმე ქართველებს ოსებითურთ და ლეკებითურთ და სუმბატი აშენებს დემოთის ადგილს ღადოს მთის კალთაში ოძრხეს ანუ სამცხეს. მხოლოდ, როდესაც „სპარსთა და ბერძენთა იწყეს ბრძოლა და სომეხთა სპანი ყოველნი სუმბატითურთ იქნეს ბრძოლად სპარსთა, აღსდგეს მათ შორის მოციქულნი და დაიზავნეს და ქართველთა აღუთქვეს ფიცი ერთგულობისა და შეწეობისა და ესეცა აღუთქვეს, ვითარმედ „ქალაქსა ჩვენსა დრამა არტაშან მეფესა სატიით დავსცეთო." შემდეგ ამისა „სომეხთა უკუ-მოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი."

ამ თქმულებას ჩვენის მატიანისას ეთანხმება თვით სომხითის მემატიანე, რომლის აზრით, გაჭარმაგის დროდამ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი, ესე იგი ჩვენი სომხეთი, მტკვრის ზემოთი მხარე და ჭოროხის ბასეინი სომხითის მეფეების ხელში იყო. მაშა სადამე, თუ ეს თქმულება ისტორიული ჭეშმარიტებაა, არმაზელები განაგებდნენ ამ მხარეს სომხითის მეფეების ბძანებლობას ქვეშ. მაგრამ თუ ჩვენ იმ დროს ქართულ-სომხურ ცნობებს შევუთანასწორებთ რომის მწერალის ტაციტისას (50—117), აღმოჩნდება, რომ იგინი ერთმანეთს სრულებით არ ეთანხმებიან. ტაციტის მოწმობით, იმ დროს სომხითი დიდად შესუსტებული სამ-

ფილოპატორ იყო. ეს ერთ დროს ეწოდა იბერიის ანუ ქართლის მეფის ფარსმანის ძმას მიტრიდატსა; იქვე მეფოდა ფარსმანის შვილი რადამისტი, მამისაგან იქ მეფედ დადგენილი. გარდა ამისა დიონ კასსიუსის თქმით, ადრიანე იმპერატორის მეფობაში (117—138) იბერიის მეფე ფარსმანი ალანიაში, მიდიაში, სომხითში და კაპპადოკიაში დიდის წარმატებით ებრძვის პართიელებს. პართიის მეფე შესჩივლებს ფარსმანზე რომის იმპერატორსა და რომში იმას გასაკვირველ პატივს მიაგებენ და თვით ბელლონის ტაძარში სახსოვარ ძეგლს დაუდგმენ. ამას ელი სპარტიანი დაჰმატებს: „იმპერატორი ადრიანე არავის მეფეთაგან არ უძღვნიდაო იმდენს საჩუქრებსა, რამდენსაც თურმე უძღვნიდა იბერიელთ მეფესა. ადრიანეს დიდი მეგობრობა ჰქონდაო როგორც ფარსმანთან, აგრეთვე ალბანიის მეფესთანა [1].

აქ უნდა ვუჩვენოთ ღირს-სახსოვარი მცხეთის მახლობლად შემთხვევით 1867 წ. ნაპოვნი და ახლა ტფილისის მუზეუმში დაცული ქვა ბერძნულის წარწერით, რომელიც გვიმტკიცებს სინამდვილეს ჩვენის მატიანის ფარსმანისას. ამ წარწერაში, რომელიც 75 წ. ეკუთვნის, იხსენიებიან როგორც მეფე იბერთა ფარსმანის შვილი მიტრიდატი, მეგობარი რომის ერისა და იმპერატორთა: ვესპასიანისა, ტიტისა და დომიციანისა, რომელთაც იმისთვის აუშენებიათ ციხე-სიმაგრე, აგრეთვე „მცხოვრებნი იამაზდისა ანუ ამაზდისა (არმაზისა)" [2]. ეს ქვა ყოფილა ჩასმული თვით ციხეში, რომლის კვალი, ჩვენის ფიქრით, აქამომდე უნდა იყოს დარჩენილი.

მეფე რ ე ვ ი, არშაკუნიანი (186—213) მამით, ირთავს ცოლად საბერძნეთის ლოგოთეტის ქალს სეფელიას, რომელსაც შემოაქვს ჩვენში კერპი აფროდიტი და, ქართლის ცხოვრების მოწმობით, რევი სპობს ქართლში ყრმათა კვლასა.

თუ აქ ჩვენ ჩვენს მატიანეს დავემოწმებით, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქართველობა იმ დროს ზნეობით ძალიან დაბლა მდგარა. „ქარ-

1. Гана, *Извѣстія..*, 115—123,173—174; S-Martin, *Mém.*, I, 296—301.

2. Помяловскаго, *Сборникъ греческихъ и римскихъ надписей Кавказа*, стр. 66—69.

თჳელებს კმყრათ, ამბობს ქართლის ცხოვრება, სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა: ქართველები შესწირავდნენ კერპებს ყრმათა; სჭამდნენ კაცთა, რომელთა შესწირავდნენ კერპთა.“ შესაწყნარებელია თუ არა ეს თქმულება? ბროსსე ამბობს: „მე მჯერა ქართლის ცხოვრების სიტყვა ცოლ-ქმრობაში ნათესაობის შერევაზე ურიების ჩვეულების მაგალითით და მკვდრის დაუმარხაობაზე ცეცხლის თაყვანის-მცემელთ მიბაძვით. მაგრამ მეძნელება დავიჯერო, ვითომც იბერიელთ ოდესმე ჩვეულებად ჰქონიყოთ კაცის-მჭამლობა. კაცის-მჭამლობას, ჩვეულებად შეთვისებულს, ძნელად ჰპოულობენ თვით აზიის ტომებში. ამერიკისა და ოკეანიის მცხოვრებნი, რომელთაც, მართალია, ჰქონიათ და აქვთ ეს ჩვეულება, არიან ველურნი მეომარნი; იმათ არ იციან არც ბინადრული ცხოვრება, არც იმის საფუძველი მიწის შემუშავება. ისინი იკვებებიან წყლის ცხოველით და ტყის ნაყოფით. ამისთვის შესაძლებელია, რომ იმათი პირუტყვის მსგავსი ბუნება და შიმშილი აღძრავენ იმათ გულის-წადილსა, როდესაც იგინი ჰხედავენ მტერსა, მიწაზე გართხმულსა. მაგრამ ადამიანის ჭამა ნაყოფიერის მიწის მუშაკთ იბერთაგან, რომელნიც, ბერძნებისა და რომაელების თქმით, მჭიდროდ დაფუძნებულ ტომს შეადგენდნენ, შესაწყნარებელი საქმე არ არის და მე უარ-ვჰყოფ ამას [1].

1. *Histoire de la Géorgie*, I, *p*. 31 n. 4.; *Introduction*..; *p*. XXI. ამ უკანასკნელის წიგნით თავდება ბროსსესაგან გამოცემული ფრანციულ ენაზე ქართლის-ცხოვრება. ამისი სრული სათაურია: *Histoire de la Géorgie depuis l' antiquité jusqu'au* XIX.—*Introduction et tables des matières*. *Spb*, 1858. ეს წიგნი და *Additions et Éclaircissement à l' histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en* 1469 *de J. C.* Spb., 1851, შეადგენენ შესამცნევს ნაღვაწს განსვენებულის ბროსსესას. *Additions*-ში შეკრებულია სხვა და სხვა წყაროები შესახებ საქართველოს ისტორიისა: სომხური, არაბული, ბიზანტიური და სხვ. აქვეა მთლად ფრანციული თარგმანი იმ ქართლის ცხოვრებისა (p. 1—61), რომელიც არის გადაღებული სომხურად დავით აღმაშენებლის დროს და რომელზედაც ზემოდ გვქონდა საუბარი (გვ. 42). რაიცა შეეხება *Introduction*-ს, იგი შეიცავს: 1, განმარტებას ქართულის ისტორიის წყაროებისას; 2, თვით კრიტიკულს სურათსა ამ ისტორიის მიმდინარეობაში; 3, შინაგანს პოლიტიკურს და სოციალურს წყობილებას საერო და სამღვდელო წოდებათა და სხვა გვარ ცნობებს საზოგადოდ ჩვენს ტომ-ნათესავზე. ეს ცნობები დაფუძნებულია როგორც ჩვენ ისტორიულ წყაროებზე, გუჯარ-სიგელებზე და წარწერაებზე, აგრეთვე უცხოელთ

მართლა და ჩვენ დროს ხმელეთის პირზე იშვიათი საქმეა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და კაცის-მჭამლობა. ამ ჩვეულების მიმყოლნი ტომნი იპოებიან მხოლოდ ავსტრალიის კუნძულებზე, ამერიკისა და აფრიკის ველურ მცხოვრებლებში, თუმცა ზოგნი იმათგანნი არიან ადგილობრივ დამყარებულნი და ბინადრობენ უსკად მინიჭებულ მხარეებში. ამ საზიზღარის ჩვეულების მიზეზი არის პირუტყვული ბუნება. ავსტრალო-ამერიკელნი ტომნი ისე დაბლა დგანან გონებით და ზნეობით, რომ იმათთვის კაცის კვლა, მტრის ყელის გამოჭრა ისეთი საქმეა, როგორც ნადირის დაკვლა. იგინი არც თავიანთ სიცოცხლეს სდებენ ფასსა არც სხვისას. ამ მდგომარეობაში იყვნენ ისტორიის წინა-დროებაში თვით აზიელნი და ევროპიელნი, რომელნიც ახლა გონებისა და ზნეობის წარმატებაში არიან შესულნი. იმათში მაშინ ისეთის სიმხეცეს ვხედავთ, როგორც ახლა ავსტრალო-ამერიკელებში. ასეც უნდა ყოფილიყო. ამას გვიმტკიცებენ საზოგადოდ ბუნების კანონი, ენები, მითოლოგიური და ისტორიული ცნობა. რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და თვით კაცის-მჭამლობა შესაძლებელი იყო სულ ძველად როგორც აზიაში, აგრეთვე ევროპაში, ამას რამდენიმე ცნობა ამაზე. ჰეროდოტის თქმით, სკვითები მსხვერპლად სწირავდნენ ღმერთის მარსს იმ უცხო-ტომთა, რომელნიც იმათ ხელში ჩავარდებოდათ[1]. უცხო-ტომთავე უმსხვერპლავდნენ ღმერთას ქალწულს ტავრო-სკვითნი[2]. ეს ჩვეულება ჰქონდათ აგრეთვე უწინდელს ჩერქეზებსა[3]. სტრაბონის სიტყვით, ალბანელნი იბერიის საზღვრად ადამიანს დაუკლავდნენ მთვარეს იმის სადღესასწაულო დღეს[4]. ბერძენნი, როგორც ტავრო-სკვითნი, უკლავდნენ დიანა ღმერთას ჩვილს ყრმებს ორისავე სქე-

მწერალთა ფაქტებზე და იმათს ურთიერთს შეთანასწორებაზე. ბოლოს ამ წიგნს დართული აქვს ვრცელი ალფაბეტური მაჩვენებელი ძველისა და ახალის ქართლის ცხოვრების ისტორიულ პირთა და ცნობათა... დიდად საჭიროა, რომ ორივე შრომა: *Additions*-იც და *Introductions*-იც ქართულად ითარგმნოს. ჩვენ ჩვენის მხრით თავ-თავის ადგილს ჩვენის მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ამ წყაროების შესამცნევს ცნობებსა.

1. *Histoire d'Hérodote*, IV, 238. —2. Ibid. 252.—3. Dubois, *Voyage*, IV, 13—18.—4. *Géograpie de Strabon*, XI, 410.

სისას [1]. აღამემნონმა განიზრახა თავის ქალის იფიგენიის მსხვერპლად შეწირვა დიანა-ღმერთასათვის, აგები ამ ღმერთამ მოწყალე თვალით გადმოგვხედოსო და ქარი აღძრასო, რომ ჩვენი ფლოტი საბერძნეთიდამ დაიძრასო [2]. თუ მოვიგონებთ დაბადებაში მოხსენებულს შემთხვევას, როდესაც აბრაამმა ისურვა თავისი შვილის ისაკის შეწირვა [3], მაშინ რა საკვირველია დავრწმუნდებით, რომ იმის დროს ურიასტანის მოსაზღვრე ქვეყნებშიაც იყო ეს ჩვეულება. თუმცა ეს ცნობები არ გვიჩვენებენ კაცის-მჭამლობას, მაგრამ როდესაც ადამიანი ისეთ მხეცურ მდგომარეობაშია, რომ მსხვერპლად შეწირვას თავისის მოყვასისას არ იზიზღებს, მაშინ ის არც კაცის ხორცის ჭამას უარ—ჰყოფს. ამ ფაქტს ზოგიერთნი მწერალნიც გვიმოწმებენ. იგინი ძველის მწერლების ჩვენებით კაცის-მჭამლობას მიაწერენ სკვითებს, კიფიოპელებს, აზიელებს და თვით ელლინების წინაპართა [4].

მაშასადამე, ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქართლის ცხოვრების თქმულება ქართველთაგან ადამიანის მსხვერპლზე და იმათ მიერ ხორცის ჭამაზე არ ეწინააღმდეგება არც ბუნების კანონსა, არც მსოფლიო ისტორიასა, თუმცა დასაჯერებელი არ არის, რომ ჩვენნი წინაპარნი ამ ჩვეულებაზე მდგარიყვნენ ქრისტეს უახლოეს საუკუნოებში. იმ დროს იმათ ისე ჰქონდათ დამყარებული სამოქალაქო წესი, ისეთ ხარისხზე იდგნენ იგინი გონებითაც და ზნეობითაც, რომ ყოვლად შეუძლებელი საქმეა, როგორც ეს საფუძვლიანად შეუნიშნავს ბროსსესა, რომ ამ მხეცურ თვისებას მაშინ ადგილი ჰქონიყო. ჩვენ ზემოდ ვუჩვენეთ რამოდენიმე შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს, რომ მრავალი იმ ფაქტებთაგანი, რომელიც ჩვენ მატიანეს ისტორიულ დროებში შემოაქვს, უნდა მივჰთვისოთ ისტორიის წინა-დროებას. კაცის მსხვერპლზე და მჭამლობაზედაც ეს უნდა ით-

1. Dubois, *Voyage*, VI, 11; *Dictionn. des antiq. grecques et romains*. Paris, 1877, t. I, p. 28.—2. Dubois, *Voyage..*, VI, p. 16. —3. დ ა ბ ა დ., XXII, 1—10.—4. *Ethnogénie caucasienne*, p. 29, 36.—ახლანდელ ველურ ტომთაგან ადამიანის ხორცის ჭამაზე იხილე Alph. Maury, *La terre et l'homme*. Paris, 1861, p. 488 და *Nouveau Dictionn. de géogr. univers.*, I, p. 32, 162, 314, 347, 370, 406. 435, 547.

ქვას. აქ საჭიროდ ვსადით შემოვიტანოთ პატონიშვილის თეიმურაზის აზრი, რომელიც ჩვენის მხრით ჩვენ სათუმელიანად მიგვაჩნია. ამის თქმით, „უმეტესნი ბრძენთა და გამომძიების მოყვარეთაგანნი ივერიელთა მოძღვარნი და მსწავლულნი ამტკიცებენ, რომელ პირველიდგანვე არა-სადა იყო ჩვეულება დაკვლად და შეწირვად კერპთა მიმართ ივერიელთა შორის, ვინადგან შვილთ მოყვარეობა ძველთა ივერიელთა და ლმობიერება აღემატებოდა გინდა და ყოველთა სხვათა ნათესავთა: მხოლოდ აქვნდათ უძველესთაცა ივერიელთა მსხვერპლნი, რომელიცა მოვიხსენიეთ ((გვ. 56—57). ხოლო შეწირვა შვილთა მათთა ეს-სახედ აღესრულებოდა: მიიყვანდეს ძესა ანუ ასულსა მცირესა წლოვანსა ტაძრისა მიმართ კერპთასა და შესწირვიდნენ მას; არათუ დასჭკლავიდნენ, არამედ მისცემდნენ მღვდელთა კერპთასა და იგინი აღზრდიდნენ მათ მღვდელად კერპთა ანუ მსახურად ბომონთა მათთა; ხოლო ესე ითქმოდა მიზეზითა ამით უმეტეს ჟამსა მოქცევისა მათისასა სარწმუნოებასა ქრისტესსა, რომელ დაუკლვიდნენო ყრმათა ძეთა და ასულთა კერპთაო კერპთ-მსახურებასა შინა მათსა, რათა მდაბიოთა ერთა, ისმინონ რა ესე, უმეტეს მოიძულონ კერპთ-მსახურება. კვალად ამასცა იტყოდეს, ვითარმედ სჭამდესო ძველნი ივერნი უძველესთა შინა ჟამთა ხორცთა კაცთასა და მკვდართა ყოველსავე შესჭამდესო; და არაოდეს არცა ესე არს ჭეშმარიტ, არამედ ტყუილ არს და მოზღაპრეობა და ამისთვის თქმულ არს ესე, რათა ყოველთა მსმენელთა მიმართ გამოსჩნდეს მსახურება კერპთა ყოვლითურთ მოსაძაგებელად და ყოვლითურთ უსახურად[1].

---

1. ისტორია. გვ. 193, შენიშვნა. ეს საგანივე ნახე ამავე ისტორიაში, გვ. 52—57.

## კარი მეცხრე

## სასანიანთ სამეფო სახლი და წმ. ნინოს ქადაგება ჩვენში

I. მეფენი: ვაჩე (213—231); ბაკურ I (231—246); მირდატ II (246—262) და ასფაგურ (262—265).—ამ დროს სომხეთის ისტორიის სურათი: ხოსრო დიდი (198—232; და ტირდატ დიდი (232—259).

II. სამეფო სახლი სასანიანთი და თვისება იმის ისტორიისა.

III. მეფე მირიანი (265—342) სასანიანი ანუ ხოსროიანი.—გარკვევა იმის ისტორიისა.

IV. ქართლ-კახეთის განათლება ქრისტეს აღსარებით წმ. ნინოსაგან.

მეფენი: ვაჩე 213—231); ბაკურ I (231—246); მირდატ II (246—262) და ასფაგურ (262—265), უკანასკნელი არშაკუნიანი. იმათში, პატონი-შვილის თეიმურაზის ცნობით, ბაკური, მაშენებელი ბაკურ-ციხისა კახეთში, განსწავლული მრავლითა ენითა და სათვალოსოფოსოთი თვით ელლინურს ენაზე, ადგენს ქართულს ენაზე რამდენსამე წიგნსა, რომელთაგან დარჩა ერთი სახელ-წოდებული ბაკურად, რომელიც ვითომც შემდეგ ეთარგმნოს ელლინურს ენაზე ეკთიმეს მთა-წმინდელსა და რომელიც, როგორც იტყვიან, იყო „საკვირველებათათვის და სულოკნებათა ეგვიპტურთა და ასურისტანულთასა[1]. ქ-ცბით, ასფაგურ აშენებს ციხე-ქალაქს უჯარმა·

1. თეიმურაზის „ისტორია", გვ. 199—200. მართალია, წმ. ექვთიმის ნაღვაწთა შორის უჩვენებენ „აბუკურასა და ბალავარსა და სხვათა რამოდენთამე წერილთა," რომელნიც ვითომც იმას ეთარგმნოს ქართულიდამ ბერძნულად (ნახე „შიო-მღვიმის ქართველთ მამათა ცხოვრება," გვ. 177 და Цагарели, *Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности*, выпускъ первый. Спб., 1886, стр. 54). მათგანი „ბალავარი" კიდეც აღმოჩნდა როგორც ქართულს ენაზე, აგრეთვე სხვა და სხვა ენებზე და ახლა იგი მეცნიერების განხილვაშია (შენიშვნა როზენისა წერილზე *Notice sur le livr*

სას; შემწეობს ოვსთ-ლეკთ-საზართ მოწვევით სომხითის მეფეს კოსროსს სპარსეთის მეფის ანუშირვან სასანიანის წინააღმდეგ. იგინი სძლევენ სასანიანსა, შედიან სპარსეთში და სტყვევნავენ სპარსელებსა. ასფაგური კვდება უეცრად და სტოებს ერთად-ერთს ქალს აზუმურას, რომელსაც ირთავს იმისი მოადგილე მირიანი. ასფაგურის დროს სპასპეტს მეჟანს, რომელიც თვით მირიანის მეფობას მოესწრო, იგივე თეიმურაზი მიაწერს შედგენას ძველის ქართულის მატიანისას, საიდამაც თეიმურაზს გამოუწერია იმისი აზრი ქართულს ენაზე [2].

აქ ხსენებულნი პირნი ქასრე ანუშირვანი სასანიანი და კოსროს არიან: პირველი მოსე ხორენელის არდაშირი, ძის-წული სასანიანისა, რომელმაც სპარსეთში დაამყარა თავისი დინასტია; მეორე—აგათანგისა და მოსე ხორენელის სომხთ მეფე ხოსრო დიდი. ხოსროს მოღვაწეობას და სიკვდილს, ასფაგურის დროს, არდაშირის მიჩენით, ანაგისაგან და აგრეთვე ამ უკანასკნელის ამოწყვეტას სახლობით, როდესაც გადარჩნენ მხოლოდ ორნი იმისნი შვილნი, რომელთაგანი ერთია კესარია კაპადოკიაში ქრისტიანედ აღზდილი მომავალის დროს გრიგოლ დიდი, სომხითის განმანათ-

*de Barlaam et Joasaph par H. Zotenberg.* Paris, 1886—Записки Восточн. отд. Имп. Русск. Археол. общ., томъ II, выпускъ 1, стр. 166—174; Н. Марра, *Мудрость Балавара, груз. версія „душеполезной исторіи о Варлаамѣ и Іосафѣ“*—იქვე Записки Восточн. отд., томъ III, стр. 223—260 და ამ „ბალავარის“ რუსული თარგმანი ბ. ცაგარელისა, როგორც გაზეთი „ივერია“ გვარწმუნებს (1889, № 42), კიდეც თურმე იბეჭდება პეტერბურგში. „აბუკურაზე“ არა ვიცით-რა: არც იმისი ქართული დედანი, არც ბერძნული თარგმანი არ შეგვხვედრია. აქ დავძენთ ერთ ცნობასა, რომელიც ჩვენ ამოვიკითხეთ ევთიმეს მიერ ათონის მთიდამ საქართველოში გიორგი ბერთან მოწერილს ეპისტოლეში. აქ, სხვათა წერილთა შორის, რომელთაც ევთიმე აპოკრიფულს ხასიათს მიაწერს, იხსენიება რაღაც „აბუკარა.“ „წიგნი ესე, ამბობს ევთიმე, თუმცა უცხოთა რათმე საქმეთა მეტყველ არს, გარნა წყალობა ცხადია და ეკლესია საბერძნეთისა არა შეიწყნარებს.“ ეს ეპისტოლე ქართულია ძველს ტყავზე ნაწერს წიგნში (გვ. 294), რომელიც ახლა ჩვენ ხელში გვაქვს და რომელსაც თავის ადგილს შევეხებით ჩვენს ისტორიაში. ხსენებული აბუკარა, ევთიმეს ნაღვაწთა სიაში შეტანილი და თეიმურაზის მიერ ნაჩვენები აბუკურა უნდა იყოს თუ არა, ამის განხილვაში ჯერ-ჯერობით ახლა შესვლა არ შეგვიძლიან. სასურველია, თუ ჩვენში ვისმე მოეპოვება ეს წიგნი, გადმოგვცეს განსახილველად.—2. იქვე გვ. 33.

ლებელი, თითქმის ერთ-გვარ მოგვითხრობენ ქ-ცხბა, აგათანგე და მოსე ხორენელი, თუმცა ასფაგურისა და ხოსროს ხრონოლოგია არ ეთანხმებიან ერთი მეორესა, რადგანაც ვახუშტის გამოანგარიშებით, ასფაგურ მეფობდა 262—265 წ., ხოსრო კი ჩამჩიანის გამოკვლევით 214—258 წ. და სენ-მარტენის აზრით 198—232 წ.[1]. მაგრამ აქ, როგორც ზოგიერთს წინად ჩვენებულს შემთხვევაში, სომხითის მეფეების დიდ შემძლეობაზე მკითხველი ცხადად ჰხედავს სომხითის მეისტორიეთ გავლენასა ქ.-ცხოვრებაზე. ჩვენ მოვიხსენეთ ზემოდ, რა-გვარ ისახელეს თავი სომხითის მეფეებმა ვაჰარშაგმა და არშაკ პირველმა (გვ. 41, შენ. 2); თვით ამ არშაკის შვილმა არდაშეზმა, სომხურის მოწმობით, ისეთი ძალა აღმოიჩინა, რომ დაუმორჩილა თავის ბძანებლობას მთელი მცირე აზია და გამარჯვებული შევიდა ეგეის ზღვით თვით საბერძნეთში. იმ გვარადვე სახელ-განითქვა ხოსროს შვილი ტირდატ დიდი (232—259). ტირდატი ამარცხებს, თუმცა რომაელების ჯარის შემწეობით. სპარსელებს სომხითში და განდევნის იქიდამ; იმარჯვებს „ჩრდილოტომებზე", რომელთაც „კავკასხს იქით გადაჰფვანტავს;" შედის რამდენჯერმე თვით შუა-გულს სპარსეთში და ბრუნდება დიდ-ძალის ნატყვენავით. მაგრამ ისტორიის მომდინარეობა გვამცნევს, რომ არშაკუნიანთ დროდამვე სომხითი ემონავებოდა უცხო-ტომთა, ესე იგი ჯერ სირიელებს, შემდეგ პარფიელებს და ბოლოს რომაელებს. ამ საგანზე უკეთესი მცოდნე სომხურის ისტორიისა სენ-მარტენი ამბობს: „უცხო-ტომთ მეისტორიენი სრულებით არ უჩვენებენ ზემოხსენებულთ შემთხვევათა და არც არის საფიქრებელი, რომ იმათ ამ საგანზე არა ეთქვათ რა, თუ ეს ჭეშმარიტება ყოფილიყო. შესაძლებელია, რომ ეს სიცრუით სავსე ძლევა-მოსილი მოღვაწეობა გამოუგონიათ რომელთამე სომხითის მეისტორიეთა თავიანთ მამამულეთა მაშინდელის ცრუ-სიყვარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლად.." იმავე სენ-მარტენის სიტყვით: „იმ დროს შემთხვევანი, როდესაც პარფიელნი და რომაელნი ერთმანეთს ეცილებოდნენ მთელს აზიასა,

1. ქ-ცხ., I, 57—59; Langlois, *Collect.*, I, 17; II, 18; *H. de la Géor.*, I, 78 n. 3., 79 n. 1.

საკმაოდ ცნობილნი არიან ბერძნებისა და რომაელების მემატიანეთა-გან. ტაციტის მოთხრობით ვიცით მოღვაწეობა რომის მხედართ-მთავრის კორბილონისა, შემძლეობა იბერიის მეფის ფარასმანისა; სომხითის ტახტის დაჭერა იმის ძმის მიტრიდატისაგან და მიტ-რიდატის ბედ-კრული სიკვდილი და აგრეთვე ნიჭიერება, მკაცრი ხასიათი, გამოჩენილი მხედრობა და ბოლო თვით ფარასმანის შვი-ლის რადამისტისა. არც-ერთს ამ შემთხვევათაგანს არც-ერთი სომ-ხითის მწერალთაგანი არ იხსენიებს[1]."

ასფაგურის წინა-მოადგილეთა დროს სპარსეთში დიდი ცვლილება მოხდა. არშაკუნნი დაეცნენ და იმათი ადგილი სასა-ნიანთ დაიჭირეს. ამ სამეფო სახლის დამფუძნებელი იყო არ-ტარქსერქსი ანუ არდაშირი, სპარსეთის მოგვთ უფროსის ბაბე-გის შვილი და სასანის შვილის-შვილი, რომელმაც სამს შეტა-კებაში 233 და 236 წელს სრულებით დაამხო პარფიიდამ შემო-სულნი არშაკუნნი. შესანიშნავია სასანიანთ სკე. ზოგნი სასანიანნი არიან ცნობილნი სწავლა-ხელოვნებით. არდაშირი იყო განვითარე-ბული მეცნიერი და მწერალი: იმან დასტოვა სხვა თხზულებათა გარდა კარნამე ანუ „განმარტება თავის ცხოვრებისა და მოქმედები-სა" და აგრეთვე წიგნი ზნეობაზე. მეოთხე სასანიანი ბარამ პირ-ველი იყო მეჯინიბობის მოყვარე და პირუტყვთ ექიმობაში დახე-ლოვნებული. ხოსრო ნუშირვანის დროს მეექვსე საუკუნეში გავრ-ცელდა სპარსეთში ინდოეთიდამ შემოტანილი, სანსკრიტულ ენაზე შედგენილი, ზღაპართ-კრება ქოლეილაჯ-ვე-დიმნაჯ, ანუ ჩვენებურად ქილილა და მანა, გადაღებული მრავალ აზიურსა და ევროპიულს ენებზე და თვით ქართულად ნათარგმნი ჯერ თამარ დედოფლის დროს და შემდეგ ვახტანგ მეექვსისაგან და საბა ორბელიანისაგან. სასანიანნი განითქვნენ საარსიტექტურო ნაწარმოებითა: იმათი დედა-ქალაქი მადაინი, კტეზიფონის მახლობლად და კტეზიფონის არე-მარე, ბუნებით შემკულ მხარეში, ეფრატის კიდეებზე, მოფენილი იყო ძეგლებით, რომელთაც შეადგენდნენ ტურფად ბერძნულის ხე-ლოვნებით შემკობილი შენობაები, კრცელი და დიდ-მშვენიერი მტი-

1. *Mém. sur l'Arm.*, I, 290—291, 294, 303—305, 412.

ლები, სადაც დროითი დრო სასანიანნი ნადირობით ჰსიამოვნებდნენ. ამ გვარმა ლტოლვილებამ სწავლა-ხელოვნებისადმი ვერ მოარბილა იმათი მხეცური ბუნება. თითქმის მთელის სამეფო სახლის ხასიათი განსხვავდებოდა სისხლის ღვრით, როგორც შინათ, აგრეთვე გარეთ. ხშირად ხდებოდა, რომ შვილი ჯდებოდა ტახტზე მამის სიკვდილით შესისხლული. ეს იყო მიზეზი, რომ ოც და თხუთმეტს სასანიანთ წევრთა რიცხვში სანგრძლივ მეფობდნენ მხოლოდ შვიდნი, ესე იგი შაბური პირველი, შაბური მეორე, იეზდეგერდი პირველი, ჰორმუზდი, ფეროზი, ჰორმუზდი მესამე, ხოსრო მეორე და უკანასკნელი სასანიანთ წარმომადგენელი იეზდეგერდი მესამე. სასანიანნი გულ-მხურვალედ ემონავებოდნენ ზოროასტრის აღსრუბას ანუ ცეცხლის მსახურებას, როგორც ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, სასანიანთ მანათები, რომლებზედაც წარმოდგენილია ამ აღსარების სიმბოლო (*pyrée*) და იმის თაყვანის-მცემელთ სურათი. დიდი გავლენა ჰქონდათ იმათზე მოგვებს, რომელთაც ეკავათ გამოჩენილი ადგილი თვით სასახლეში. სასანიანთ გაავრცელეს ცეცხლის აღსარება სპარსეთში და იქიდამ შეიტანეს იგი მეორე აზიაში, სომხითში და საქართველოში. სასანიანნი სანგრძლივ ებრძოდნენ ჯერ რომაელებს, მასუკან, როდესაც რომი დაეცა, ბიზანტიელებს, როგორც სომხითში და საქართველოში, აგრეთვე აზიაში[1]. რა ძალა აღმოიჩინეს სასანიანთა, ამას ამტკიცებენ პირველად ისა, რომ შაპურმა I დაატყვევა 253 წ. იმპერატორი ვალერიანი. ამ შემთხვევაში რომის მხედართ-მთავრებმა, როგორც იული კაპიტოლინი გვარწმუნებს, შემწეობა მოსთხოვეს იბერიელებს, ალბანელებს და ტავრო-სკვითებს. ამათ არ შეიწყნარეს მოთხოვნილება შაბურისა და რომის მხედართ-მთავართ აღუთქვეს ჯარით შემწეობა ვალერიანის გამოსახსნელად[2]; მაგრამ ვალერიანი მაინც ტყვეობაში მოკვდა; მეორედ ისა, რომ თვით სომხითის სამეფო, როგორც თავის ადგილს ვუჩვენებთ, სასანიანთ ხელითვე დაემხო და დაიგლიჯა.

1. *Voyage de Chardin—Notice chronologique*, X, 172; Lebeau, *H. du B—E.*, I, 294 n. 2; *H. de la G.*, II, 2 livr., 112.—2. Гаша, *Извѣстія..*, 175.

მეფე მ ი რ ი ა ნ (265—342). ქ.-ცხის თქმით, მირიან აფუძნებს საქართველოში დინასტიას ხოსროიანთას ანუ სასანიანთას. ქართველთ ერისთავთ გამოთხოვით, ქასრე პირველი თვითონვე ჰსვამს მეფედ მცხეთაში თავის შვილს მიჰრანს (მირიანს) და სხვათა შორის იმას უსაკუთრებს სომხითსა. მირიანი აბეშურას სიკვდილის შემდეგ ირთავს პონტოელის ულიოთორის ქალს ნანას; მეფობს ქართლში, სომხითში, რანში, ჰერეთში, მოვაკანში და ეგრისში. მირიანი შემდეგ ქასრეს სიკვდილისა ითვისებს თავის ძმის ბარტომისაგან სპარსეთის ტახტსა და სანგრძლივ ებრძვის საზღვართა ჰერეთში, მოვაკანში და მეტადრე დარუბანდში. კონსტანტინე დიდის ბრძოლაში გუთებთან ანუ გოთებთან მონაწილეობას მიიღებს სომეხთა ტირდატი, რომელიც იმ ბრძოლაში თავს ისახელებს და შემდეგ ბერძნების შემწეობით დაიჭერს თავის სამეფოს სომხითს და განდევნის იქიდამ „სპათა და ერისთავთა მირიანისათა;“ მირიანი სპარსეთიდამ მოიწვევს მხედრობით თავის ნათესავს ფეროზს, რომელსაც ჰრთავს თავის ასულს და ამყარებს ერისთავად ორსავე მტკვრის კიდოდ, ხუნანით ბარდავამდე, და ებრძვის ტირდატსა. გარდა ამისა მირიანი მიჰკერძავს სპარსეთის მეფეს, რომელსაც ეს უკანასკნელი ებრძვის კონსტანტინეს. ამ დროს კონსტანტინეს მომხრე არის ტირდატი. კონსტანტინე მტერსა სძლევს „ჯვარის წარძღოლით“ და შემდეგ მირიანს დაესხმება, დაამოყვრებს იმას სომხითის მეფეს და უწესებს სომხითს და ქართლს საზღვრად არაქსისა და მტკვრის წყალთა-შესართავს მთასა და მირიანს მძევლად გამოსთხოვს შვილს ბაქარს. მირიან რჩეს უმკვიდრებს საუფლის-წულოდ კასპის და კუხეთს და ამყარებს უჯარმას.

მირიანის დროს შემოდის მცხეთაში კაპადოკიით წმინდა ნინო და ნათელ-სცემს ქართლის მცხოვრებთა ეპისკოპოზის იოანესა და ესტატე ანტიოქელის პატრიარხის შემწეობით; იწყობა და სრულდება მცხეთის „სამეფო სამოთხეში“ საეპისკოპოზო ეკლესია „შვიდ სვეტზე აღმართული;“ ფუძნდება ერუშეთში და მანგლისში ეკლესიები საბერძნეთიდამ მოთხოვილთ ხუროთ-მოძღვართაგან. ნინო და ეპისკოპოზი იოანე სახარების გასავრცელებ-

ლად გაცლენ წორბანს, მაგრამ მთიულნი ქართველნი, ფხოველნი და გუდა-მაყრელნი უარ-ჰყოფენ ნათლის-ღებასა. ნინო გაემგზავრება რანისაკენ ფერონის მოსაქცევად. კუხეთის დაბაში ბუდეში (აწ ბოდბე) იმასთან შემოიკრიბება კახეთით ერი მრავალი და მიიღებს იმის ქადაგებასა. იქ მიიცვლება და იქვე დასაფლავდება. თვით მირიანი იმარხება „ზემოსა ეკლესიასა, საშუალისა სვეტსა, სამხრით კერძო" და „მეორესა წელსა კვდება ნანაცა დედოფალი და იმარხება მასვე სვეტსა დასავლით."

ჩვენის მხრივ ვიტყვით, რომ უცხო-ტომთ მწერალნი მირიანს არ იხსენიებენ, გარდა მოსე ხორენელისა და თვით მოსეს თქმით, „მირანი, გამგე იბერიისა," იყო ერთი ტირდატის მხედართ-მთავართაგანი[1]. გასაკვირველია, რომ თვით ახლად აღმოჩენილი მატიანე „ქართლისა მოქცევაში," რომელიც ზემოდ ვუჩვენეთ (გვ. 57) მირიანს ჰხადის შვილად არა სპარსეთის მეფისა, არამედ ქართლის მეფის ლევისა. თუ ამმიან მარცელინის „მეფე იბერიისა მერიბანესი," რომელსაც კი სტანციამ გამოსთხოვა შემწეობა ომში სპარსეთთან 361 წელს[2], მირიან მეფეა, ჩვენ ვიცით, რომ იმ დროს მეფობდა ბაქარი (342—364) და არა მირიანი. რაიცა შეეხება ქ-ცხბისაგან წოდებულს ქასრეს სახელით მირიანის შთამომავლობას ხოსროიანებად, გვარწმუნებენ, ვითომც სასანიანთ დამფუძნებელსავე მიეთვისოს სახელი *Khoosroo* თავის დინასტიისათვის და თვით სახელი ქ ა ს რ ე იშვიათი არა ყოფილა იმათ სახლში[3].

შესაძლებელია, რომ მირიანს ჰყვანდა სპარსეთში ძმა ბარტომი, თუმცა არდაშირის მემკვიდრედ იქ დაჯდა 240 წ. იმისი შვილი შაბური I, რომელსაც მოწინააღმდეგე არავინ გამოჰჩენია[4]. მოსე ხორენელი მოიხსენებს გაკვრით ტირდატის მონაწილეობას პრობუსის ბრძოლაში გუთებთან, რომელშიაც მას უსახელებია თავი. ეს მომხდარა 281 წელს[5]. გუთებს ანუ გოთებს ჰხადიან შთამომავ-

1. Langlois, *Collect.*, II, 125.—2. Lebeau, *H. du B—E.*, II 353.—3. Malcolm, *Histoire de la Perse.*, I, 132 n. 2,338 (ნახე კიდევაც *Voyage de Chardin... Notice chronol.*, X, 172—186. —4. Malcolm, *H. de la Perse*, I, 133, 139.—5. Langlois, *Collect.*, II, 120.

ლობით და ენით გერმანელ ტომად. მხედარნი იგინი დამკვიდრებულ-ნი ყოფილან სკანდინავიაში და შემდეგ სამას საუკუნისა ქრისტეს წინ იმათ დაეპყრიათ სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაპირები ბალ-ტიის ზღვისა, საიდამაც გაბნეულან გერმანიისაკენ და შავი-ზღვისა-კენ და აქედამ ხშირად თურმე სცემდნენ დუნაის მხარეებსა. ვალერი-ანისა და გალიანის დროს გოთებს გაუვლიათ ჰელლესპონტი და აოხრებიათ მცირე აზია. იქიდამვე შეუტანიათ ქრისტეს სჯული ტევრედ გაქვასნილთა. ერთს მათგანს ულფილას შეუდგენია იმათთვის ალფაბეტი და უთარგმნია ძველი მცნება[1]. ჩვენი მატიანე მირიანის დროსაც და იმის წინათაც ხშირად იხსენიებს ერთ ჩრდილო-ტომს, ხაზარებს. ვინ იყვნენ ხაზარნი, რა დროიდამ არიან ცნო-ბილნი, სად ბინადრობდნენ, რა-რიგად და რა დროს მოაწყდნენ პირველად კავკასიის მთებსა, ამაზე ჩვენ გვქონდა საუბარი ზემოდ. ქართველებისა და სომხების გარდა, ხაზარებს მოიწვევდნენ რომა-ელნი და სპარსნი ერთმანეთის ბრძოლის დროს და თვით იგინი, როდესაც უსაქმოდ შთებოდნენ, ხან აქა სცემდნენ, ხან იქა. ხაზარ-ნი საშიშნი იყვნენ უფრო სპარსეთისათვის, რადგანაც იმათი მო-სერხებული გზა მიემართებოდა დერბენდის მხარესა და უფ-რო „ფართო“ და ადვილ-გასავალი იყო, ვიდრე ჩვენი ხევის-კარი ანუ დარიალანი. ქართველებას „დარუბანდის კარს“ უცხო-ტომნი უწოდნენ: რომაელნი *Pylae Albanicae*,—*Pilae Caspiae*, სომხები ჩ ო გ ა ნ უ ჩ ო რ, ბერძნები—ძ ო რ[2]. დერბენდის შესავალში ამარ-თული იყო კრცელი ციხე-სიმაგრე, რომელიც იწოდებოდა ფირა-ფარასად ანუ „ივერიის ზღუდედ.“ ეს ის ზღუდე უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ ვუწოდთ კავკასიის კედლად და, როგორც ამას ჰმო-წმობს თვით იმისი კვალი, აქამომდე დაცული, მიემართება 360 ვერსზე და დერბენდიდამ მოყოლებით ერთის მხრით გადადის კავ-კაზს იქით, მეორის მხრით შედის საქართველოს საზღვარში[3]. უეჭველად ეს კრეცლი ზღუდე აშენებულია სხვა და სხვა დროს, სხვა

1. Lebeau, *H du B—E.*, III, 324—329; V, 97—100.—2. Brosset, *Vayage dans* la *Géorgie et·dans l' Arm.*. 1846, Rapp. 1-*re*, 97. —3 Кн. Баратова, *Исторія Грузіи*. Спб., 1865, I,36—37.

და სხვა მფლობელთაგან. საქართველოს მეფეებს, ბროსსეს შენიშვნით, ხშირად ჰქონდათ ბრძოლა დერბენდის მხარეში და ამისთვის იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ გასავალი ჩოლისა ანუ მორისა იმათ დახშული და დაცული ჰქონიყოთ[1]." დერბენდის ციხესიმაგრეზე დიდი ყურადღება იყო მიქცეული რომაელთაგან და უფრო სპარსთაგან. როდესაც ის იყო სპარსეთის ხელში, იგინ იმას დიდ-ძალის გარნიზონებით იცავდნენ, რომ მათ საზღვარნი შეეკავებინათ[2].

ჩვენის ფიქრით, ტირდატის ომი მირიანთან შესაძლებელი საქმეა, თუ რომ იმას მირიანის თანა-მედროვედ აღვიარებთ და თუ მხედველობაში ვიქონიებთ მაშინდელს ქვეყნის მდგომარეობასა. რომი და სპარსეთი ერთი მეორეს ებრძვიან. რომი ექომაგება ტირდატსა, რომელიც რომაელების შემწეობით ცდილობს სომხითის დაპყრასა; სპარსეთი ექომაგება მირიანს სასანიანსა. ორივე მხარე ცდილობს საკუთარის გავლენის გავრცელებასა აზიაში.

თქმულება სპარსთა მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუეა. კონსტანტინესაგან „ჯვარის წართმევა," დამარცხება სპარსთა და შემდეგ ნათელ-ღება სხვა და სხვა დროს შემთხვევაა. მართალია, „ჯვარის ძალით" სძლია კონსტანტინემ თავის მტერსა 312 წ., მაგრამ ის მტერი იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფე. კონსტანტინემ ნათელ-იღო ბევრით შემდეგ ჩვენის მატიანის ნაჩვენებ დროზე, ესე იგი თავის სიკვდილის წელს 337 წ[3]. გარდა ამისა არც კონსტანტინე დიდს, არც იმის პირველ შვილს კონსტანტინე მეორეს არა ჰქონიათ ბრძოლა სპარსეთთან. თუმცა კონსტანტინე მეორე მოემზადა საბრძოლად, მაგრამ ვიდრე ის ბრძოლას დაიწყებდა, მოკვდა 339 წ. ბრძოლა დაიწყო

1. *H. de la G.*, I, 154, n. 2.—2. Lebeau, *H. du B—E.*, VI, 291, 317; VI, 269—270, 395, 597—599.

3. აი ქრონოლოგიური შემთხვევანი კონსტანტინეს დროსანი. კონსტანტინემ კეისრობა მიიღო მამის სიკვდილის შემდეგ 306 წ.; რომი აიღო 312 წ.; ქრისტეს ჯვარი აღმოაჩინა ელენემ 326 წ. და იმავე წელს გარდაიცვალა ელენე; კონსტანტინეპოლის აშენება იწყო კონსტანტინემ 328—329 წ.; დაასრულა და აკურთხა 330 წ.; ნათელ-იღო და მოკვდა იგი „კეთრისაგან" 66

მხოლოდ კონსტანტინეს მეორე შვილმა კონსტანციმ 361 წ[1]. შესაძლებელია, რომ ამ ომში მიემხრო ჩვენი მეფე სპარსეთს და შემდეგ, როდესაც საქმის გარემოება შეიცვალა და იმან მიჰმართა კონსტანციოს, კონსტანციმ დაიმოყვრა იგი ტირდატსა.

რაიცა შეეხება საქართველოს განათლებას ნინოსაგან, ამ შემთხვევას გვიამბობენ როგორც ჩვენნი, აგრეთვე უცხოელნი მემატიანენი. ეს უცხოელნი არიან: ბიზანტიის საეკლესიო მეისტორიენი: IV საუკ. რუფინი და V საუკ. სოკრატი, სოზომენი, თეოდორიტი და სხვანი. იმათგანი პირველი სწერს, რომ ეს გარემოება მიამბო იერუსალიმში „იბერიის მეფემ ბაკურიუსმა." მირიანს იგინი არ იხსენიებენ. სომხითის მეისტორიე მოსე ხორენელი ისე მოგვითხრობს ქრისტეს სჯულის დამყარებას ჩვენში[2], როგორც ქართული მატიანე. ჩვენნი მემატიანენი არიან: სალომე, უჯარმელი დედოფალი, მირიან მეფის ძის რევის მეუღლე, ასული ტირდატ სომეხთ მეფისა; აბიათარ მღვდელი ურიათაგანი და იმისი ქალი სიდონია, პირველნი ნინოს მოწაფენი. თვით იმ დროს არის ეს მატიანე შედგენილი, თუ შემდეგ, ამაზე ვერას ვიტყვით; ვიტყვით მხოლოდ, რომ, როგორც საეკლესიო წეს-დება მოითხოვდა, ამგვარნი მატიანენი და ცხოვრებანი წმინდათა და მოწამეთა თავ-თავის დროსვე იწერებოდნენ და ეკლესიებში სადღესასწაულო დღეებში იკითხებოდნენ; ამისთვის აბიათარისა და სიდონიას მოთხრობანი თვით ჩვენ „მამათ ცხოვრების" კრებულში არიან შეტანილნი, განმარტებულნი და გავრცელებულნი.

ჩვენ დარწმუნებით არ ვიცით, ვინ იყო ქართლის განმანათლებელი ნინო. იმის სახელსაც კი არ იხსენიებენ ბიზანტიის მემატიანენი, რომელნიც იმას უწოდებენ მხოლოდ იბერიელთა ტყვედ, როგორც თვით იგი ქ·ცხბაში ტყვედვე უწოდს თავის თავსა. მხოლოდ მოსე ხორენელი სახელ-სდებს მას ნუნეს, რომელიც, ჩვენის

წლის 337 წ. Lebeau, *H. du B—E.*, I,32, 274, 296, 314, 379—385; *H. de la G.*, I, 120, n. 4.

1. Lebeau, *H. du B—E.*, I, 89, 383, 402, 415, 452—456; II, 353.—2. *H. de la G*, I, 132, n. 3.

ფიქრით, იმას უნდა გამოეწვიოს, როგორც სხვა თქმულება ნინოზე, ქართლის წყაროდამ და რომელიც, ამტკიცებენ, ჰნიშნავს მონოზონს *nonna religieuse*[1]. ჩვენის აზრით, ქ.-ცხბის ცნობა ნინოს სამშობლო ადგილზე კაპპადოკიაზე შესაწყნარებელი ცნობაა. კაპპადოკია მდებარეობდა სომხითის საზღვრად, მცირე აზიაში, სადაც ქრისტეს აღსარება იმის დროს დამყარებული იყო და საიდამაც, როგორც წინათ მოვიხსენეთ, ტყვედ გაყვანილთა შეიტანეს ახალი სარწმუნოება თვით გუთებში ანუ გოთებში. ნინომ იცოდა, როგორც იგივე ქ-ცხბა გვამცნევს, სომხური, რომელიც იმას ესწავლა ნიაფორესაგან, ბერძნული, რომაული და ებრაული. იმის დაახლოვებულნი მეგობარნი იყვნენ: „დედოფალი ვინმე [illegible] რიფსიმე და დედა-მძუძე მისი გაიანე." ქ.-ცხბის თქმითვე, ნინო კაი-ხანი ცხოვრობდა სომხითში. სომხითიდამვე შემოვიდა იგი ჯავახეთით და ურბნისით მცხეთაში. სომხითის გავლენა ქართლის გაქრისტიანებაზე ცხადია, თუმცა ჩვენი მატიანე ამას არ იხსენიებს. ამას ჰმოწმობს ზოგიერთი ფაქტები. სომხითში მეფემ ტირდატმა გრიგოლ განმანათლებლის ხელით ნათელ-იღო, სენ-მარტენის ფიქრით, 276 წელს[2]); ქართველებმა, ჩამჩიანის თქმით — 317 წელს; ბარონიუსის აზრით 311 ანუ 327 წ. ბროსე ნინოს შემოსვლას მცხეთაში უჩვენებს 325 წ., მირიანის ნათელ-ღებას 328 წ., ნინოს სიკვდილს 339 წ[3]. ამ გვარად გავრცელებას ერთისა და იმავე აღსარებისას თითქმის ერთსა და იმავე დროს, რა საკვირველია, უნდა ჰქონდეს ერთი-მეორესთან მჭიდრო კავშირი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს აზრში შემდეგს გარდამოცემას მოსე ხორენელისას. მოსე ჯერ მოკლედ მოიხსენებს ნინოს მოსვლას მცხეთაში, იმის ცხოვრებას და მოღვაწეობას, აგრეთვე მირიანის განზრახვას, რომ მან შიშით შერყეულმა სიბნელის გამო ნადირობის დროს, თაყვანი-სცეს ნინოს ღმერთსა, მასუკან ამ სიტყვებით განაგრძობს: „მაშინ ნეტარმა ნუნემ მოითხოვა სანდო კაცნი და წარგზავნა იგინი წმინდა გრიგოლთან საკითხავად, თუ რა

1. Langlois, *Collect.*, II, 125 n. 4.—2. Lebeau, *H. du B—E.*, I, 76.—3. *H. de la G.*, I, 128 n. 4.

ვარ იმოქმედოს იმან, რადგანაც იბერიელებმა ნებაყოფლობით მიიღესო ქადაგება სახარებისა, ნუნემ მიიღო ბძანება, რომ გრიგოლის მიბაძვითვე დაამხოს კერპნი და აღმართოს ნიშანი პატიოსნისა ჯვარისა, ვიდრე უფალი იბერიელებს განსაკუთრებლად მწყემსს მოუვლენდეს. ნუნემ მყისვე შემუსრა ბუკა-ქუხილის მპყრობელი არამაზდი, რომელიც ქალაქს გარეთ დიდის მდინარის გაღმა იდგა. ჩვეულებისამებრ მცხოვრებნი თაყვანს სცემდნენ არამაზდს ყოველ-დღე განთიადისას თავიანთის სახლის სართულებიდამ, და ვისაც იმისთვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, იგი გავიდოდა მდინარეს და იკლავდა მსხვერპლსა. სატრაპნი (დიდ-კაცნი) ქალაქისანი ადგნენ და იტყოდნენ: „ვისლა უნდა თაყვანი ვცეთო ნაცვლად კერპისა?" სცნეს, რომ „ქრისტეს ჯვარის ნიშანსაო." გათალეს იგი და აღმართეს ქალაქის აღმოსავლეთად უცხო ქედზე, რომელსაც ქალაქით ჰყოფდა აგრეთვე მცირე მდინარე. გათენდა დღე და ყოველთა მცხოვრებთა თაყვანი-სცეს მას"[1]. გარდა ამისა ფავსტ ბიზანტიელის თქმით, გრიგოლ განმანათლებელის შვილი ვარდანესი იყო ეპისკოპოზად იბე-

1. Langlois, *Collect.*, II, 325—326. არც ქართულს წყაროებში, არც სომხურში რიფსიმე არ იხსენიება სომხეთის დედოფლად. ზემოდ „სომეხთა" შეცთომაა... „მით ჟამიდგან, ამბობს „ქართლის მოქცევა," წარვიდა ელენე იერუსალიმად ძიებად პატიოსნისა ჯუარისა და მეათოთხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომლისამე მიზეზისათვის დედა-მძუძითურთ (გაიანე) და იყო მისთანა ტყვე ერთი დედაკაცი მშვენიერი სახელით ნინო, რომლისა საქმე მისი გამოიძია ელენე დედოფალმან და იყო იგი რომი მთავარი და თვით მოვლო გზა თვისი და ექმნეს კურნებანი და მოწევნილ იყო საბერძნეთად და ჰმოძღვრიდა მთავარსა მას რიფსიმეს; და ვითარცა წარმოივლტოდა რიფსიმე ზღვად, გაიანე და ნინო და სხვ·ნი ვინმე მათთანა გამოვიდეს არეთა სომხითისათა, საყოფელსა ტრდატ მეფისასა და იგინი იმარტვილნეს მუნ". არც „მატიანეში", არც თვით „ქართლის მოქცევაში," რომელიც ვრცლად გვიამბობს ნინოს ცხოვრებასა, არ იხსენიება არც დიოკლიტიანეს მიერ ძებნა რიფსიმესი, არც ტირდატის მეცადინეობა, რომ თვით მოიპოოს რიფსიმე საკუთრებად. აქ დავძენთ, რომ თვით ეშვად ქცევა ტირდატისა არ არის მოხსენებული „მატიანეში" და „ქართლის მოქცევაში." „ხოლო ნინო, განაგრძობს მატიანე, წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოსათა და მდინარესა მტკვარსა მოჰყვა და მოვიდა მცხეთად ქალაქსა დიდსა მეფეთა საჯდომელსა და იყო სამ წელ და ილოცვიდა ფარულად..." („მანუსკრიპტი" № 1141, გვ. 436—437).

რიისა და ალოვანისა[1] და თვით წმ. ნერსესის „მოთხრობით“ ეს უკანასკნელი ამყარებდა იქვე „მოციქულის ნინოს სამკვიდრებელში“ საეპისკოპოზო კათედრებსა[2]. ზოგიერთნი ჩვენნი და უცხოელთ მემატიანენი იტყვიან, რომ ქრისტეს სჯულის დასამყარებლად მირიანის დროს საქართველოში მოვიდაო ანტიოქიის პატრიარხი ესტატე, რომელიც იქ ანტიოქიის პატრიარხად იყვა 325—331 წლამდე. ამ დროს იმას ტახტი ჩამოართვეს მწვალებლებმა და კონსტანტინე დიდმა იგი განდევნა. ამტკიცებენ, ვითომც კონსტანტინემ წარუგზავნა მირიანს, იმის თხოვნით, ესტატე ანტიოქელი მღვდლებითურთ; ვითომც მირიანმა და ყოველთა ქართველთა ნათელ-იღეს ხელითა ესტატე ანტიოქიის პატრიარხისათა. სენ-მარტენის ფიქრით, ესტატეს მოსვლა საქართველოში უნდა მომხდარიყო 331 წლის შემდეგ; ბროსსეს სიტყვით კი 325 წ. ბროსსესაგან ნაჩვენები დრო ის დროა, როდესაც, იმის თქმითვე, ნინო შემოსულა მცხეთაში და ამისთვის თუ სენ-მარტენის აზრი ამ საგანზე შესაწყნარებელი არ არის, არც ბროსსეს აზრი უნდა იყოს შესაწყნარებელი. თუ ჩვენ იმაზე დავამყარებით, რომ ნინო მოვიდა მცხეთას 325 წელს და მირიანმა ნათელ-იღო 328 წელს, მაშინ ესტატეს მოსვლაც 328 წელს უნდა მომხდარიყო. 3 ესტატეს მოსვლაზე ჩვენ უფრო იმისთვის შევდეგით, რომ ამ შემთხვევას დიდი კავშირი აქვს შემდეგ საქართველოს მდგომარეობასთან: ვიდრე საქართველოში საკუთარი საპატრიარხო ანუ საკათალიკოზო დაწესდებოდა, მეხუთე საუკუნის გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს, ქართული ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის სამწყსოსა. ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთ-მთავარი, რომელიც ყოველთვის ანტიოქიის პატრიარხისაგან იგზავნებოდა[4].

1. Langlois, *Collection.*, I, 219. ფავსტ ბიზანტიელი სცხოვრობდა მე-IV საუკუნეში. იმისი ისტორია შეიცავს აღწერას სომხეთისას ტირდატის შვილის ხოსრო II-ს დროიდამ ხოსრო III-მდე ანუ 344 წლიდამ 388 წლამდე და წარმოგვიდგენს შესამჩნევს სურათებს სომხეთის შინაგანის წყობილებისას. სრული ფავსტის ისტორია, ფრანციულად თარგმნილი პროფესორის ემინისაგან, ნახე ლანგლუას *Collection*-ში, I, 203—310.—2. Ibid., II, 27. —3. ამ ესტატეს არც ქ-ცხ.. არც „ქართლის მოქცევა“ არ იხსენიებს. ესტატეზე შესანიშნავი ცნობა ნახე „შ-მლკმ-მამ.ცხ.,“ 409—410. ზემოდაც, გვ. 88 და *H. de la G.*, I, 118, 128 n. 4.—4. Lebeau, *H. du B—E.*, I, 253, 293 n. 1

„ქართლის მატიანე" ქართლის მოქცევას და ნინოს მიცვალებას იმ დროსვე უჩვენებს, რომელსაც უჩვენებს ქ-ცხბა[1]. მოსე ხორენელის სიტყვით, ნუნემ ქადაგა სახარება „კლარჯეთით ვიდრე ალანთა და კასპიელთა შესავალამდე და თვით მასსაგეთელებამდე, როგორც ამას აგათანგე მოიხსენიებსო," თუმცა ამაზე და თვით ნინოზე აგათანგის შრომაში ჩვენ არასა ვპოულობთ[2].

---

1. მირიანისა და ქართლის ნათელ-ღების წელი დაჭეშმარიტებით არ ვიცით. ქ-ცხბით, ნინო მიიცვალა „ქართლად მოსვლიდგან მისით ეჯ-14-სა წელსა, ქრისტეს ამაღლებიდგან (?) 338 წ." (ქ-ცხ., გვ 99). ვახუშტით ქართ. მოქცევა მოხდა 317 წ. „მირიანის მოქცევა, ამბობს იგი, იქმნა ესე ქრისტიანობის და გიორგი მთა-წმინდელიც ამას ემოწმება, ოდეს ჰხრანაუს ანტიოქიის პატრიარხსა ქართლის მოქცევისათვის და იტყვის, რამეთუ კონსტანტინემ მიუგზავნა იოანე ეპისკოპოზი მირიანს. ოდეს ჯერეთ არ მოქცეულ იყო სამხრეთი. ამით გაჩენილ არს, რომე ჯერეთ კონსტანტინეპოლი არ იყო აღშენებული, არამედ კონსტანტინე ჯერეთ რომსავე იყო" („ვახუშტის ისტორია", გვერდი 67). სართლადაც კონსტანტინე რომში იყო 312 წლის და 324 წლის უჩვენებენ იმის მოქცევის წლად, თუმცა მან ნათელ-იღო შემდეგ, სიკვდილის წინად 337 წ. (*H. de la G.*, I, 115 n. 1). იგივე 317 წელს ჰსადის მირიანის მოქცევის წლად თვით ჩაჩრიანი (ზემოდ გვ. 144). ამასთანავე უფრო ვახუშტის წელს ეთანხმება ერთ ადგილს „ქართლის მოქცევა" (ნახე ქვემოდ საკათალიკოზოს დაწესების გამო ჩვენი შენიშვნა), და ამ შემთხვევაში თვით ჩვენ ჯერ ჯერობით საფუძვლიანადვე მიგვაჩნია ეს 317 წელი.

2. Langlois, *Collection..*, II, 126. „აგათანგის ისტორიის" ფრანციული თარგმანი ლანგლუასი ნახე იმის *Collection*-ში. I, p. 105—194. აგათაგანი სცხოვრობდა მე-IV საუკუნეში, იყო თანა-მედროვე და მწიგნობარი ტირდატ მეფისა და იმანვე დაგვიტევა ვრცელი მოთხრობა ქრისტეს სარწმუნოების დამყარებისა სომხეთში გრიგოლ განმანათლებელის მიერ. ეს თხზულება გადათარგმნილია ძველადვე თვით ქართულ ენაზე (ნახე იმავე *Collection*-ში, p. 194 *note additionelle* და А. Цагарели. *Свѣдѣнія о памятн. груз. письменности*—„ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთა-წმიდას," გვ. ) ), თუმცა თვით ჩვენ იგი არც ივერიის მონასტერში, არც საქართველოში ჯერეთ არ შეგვხვედრია. ცხადი-ა, რომ „აგათანგის ისტორია" კარგად ყოფილა ცნობილი ჩვენში: აქედამ არის შეტანილი ქ-ცხბის წმ. ნინოს ცოლვახეობის ალწერაში დიოკლიტიანესაგან და ტირდატისაგან დევნა წმ. რიფსიმისა და უშვად ქცევა ტირდატისა.

## კარი მეათე

# სპარსეთის სასანიანთ ძალა და იმათგან სომხითის დანაწილება

I. მეფენი: ბაქარ I (342—364) და მირდატ III (364—379); ბაკურიუსი რუფინისა და ფაქტები მარციანისა იმის დროს საქართველოზე.

II. ვარაზ-ბაქარ ანუ ბაქარ II (379—393).—იმისი შვილი მურვანოზი ანუ წმ. პეტრე პალესტინის მღვდელთ-მთავარი.—პეტრეს „ცხოვრება“ თვით იმის მოწაფისაგან შედგენილი.

III. სპარსეთის სასანიანთ ძალა და სომხითის დანაწილება სპარსეთსა და ბიზანტიას შორის.

IV. თარდატ (393—405); ფარსმან IV (405—408); მირდატ IV (408—410); არჩილ I (410—434) და მირდატ V (434—446).

V. სომხითის შინაგანი მდგომარეობა და დამოკიდებულობა სომხობისა ქართველობასთან.

მირიანი სტოებს სამ შვილსა: ბაქარს, რევს, რომელიც ირთავს სომხითის მეფის ტირდატის ქალს სალომეს, მკვიდრობს უჯარმოს და იქიდამ განაგებს კახეთს და კუხეთს, და ასულს, რომელიც შეუღლდება სპარსეთის მეფის შთამომავალს, რანისა და მოვაკანის ერისთავს ფეროზსა. ბაქარ I (342—364)[1] სპარსთ შემწეობით ებრძვის რევის მომხრე სომხებს; მოიყვანს ქრისტეს სარწმუნოებაზე „უმრავლესთა კავკაზიანთა“ და თვით ფეროზს თავის ერითურთ და ამ ფეროზს რანზე და მოვაკანზე უცვლის ხამშვილდის საერისთავოს; ამრავლებს სამღვდელო წოდებას ქართლში და რანში; აშენებს ეკლესიას წილკნისას და იოანე ეპისკოპოზის სიკვდილის შემდეგ ეპისკოპოზად აყენებს იაკობს. ბაქარის

1. „ქართლის მოქცევის“ მატიანეში ბაქარ ანუ ბაკურ არის ძე რევისა და არა მირიანისა („მანუსკრ.“ № 1141, გვ. 440).

შვილი მ ი რ დ ა ტ III (364—379) თავის მხრით ადგენს მღვდლებსა სამოძღვრებელად კლარჯეთისა; აშენებს ეკლესიებს თუხარისის ციხეში კლარჯეთში, ერუშეთში და წუნდაში და მიცვლილის იაკობის ნაცვლად ეპისკოპოზად ადგენს ნერსეს კათალიკოზის დიაკონს სომეხს იობსა.

ჩვენის მატიანის გარდამოცემა მირიანის შვილზე ბაქარზე, რომელიც ვითომც კონსტანტინესაგან მძევლად იყო გაყვანილი და შემდეგ სახარების მიღებისა მირიანისაგან წარმოგზავნილი უკანვე, საეჭვო ცნობად უნდა მიგვაჩნდეს. მართალია, ბიზანტიელების თქმულება იხსენიებს ,,იბერიის მეფის ძეს ბაკურიუსს'', მაგრამ, როგორც ჩანს, ის სხვა პირია. ბაკურიუსს უამბნია იერუსალიმში რუფინისათვის ქრისტეს სჯულის დამყარება ჩვენში და რუფინის თქმით ბაკურიუსი ყოფილა დიაღ ყმაწვილი, როდესაც ქართლს მიუღია ახალი მცნება. განდევნილი საქართველოდამ შინაგანის არეულობის გამო, ის გასულა ბიზანტიაში და იქ იმისთვის იმპერატორს თეოდორეს მიუნდვია სასახლის მსახურთ-უფლება და პალესტინის გამგეობა. ბაკურიუსი მოკლულ-ქმნილა 394 წ., როდესაც ბერძნების ჯარით თურმე ებრძოდა ტირანს ევგენიოზს. იმის ახოვანებას და მეცნიერებას დიდის ქებით იხსენიებს იმ დროის ბიზანტიის ისტორია [1].

აქ შემოგვაქვს შემდეგი ცნობა. ამმიან მარცელინის თქმით, როდესაც კონსტანცი 361 წ. მზადებაში იყო სპარსეთიან საბრძოლველად, თავ-და-პირველად იმან საჭიროდ დაინახა დაესაჩუქრებინა სომხითისა არზაკი (არშაკი) და იბერიისა მერიბანესი, რომელთაგანაც იგი დიდ განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყო, თუ ისინი სპარსეთს მიემხრობოდნენ. მარცელინი ცხოვრობდა იმ დროს, რომელსაც ეხება და ამისთვის იმის მოწმობას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მერიბანესი უდრის მირდატსა, ჩვენ ვიცით, რომ 361 წ. მეფობდა ბაქარ და არა მირდატ. მეორის მხრით 361 წ. სომხითში არ იჯდა არზაკი, თუმცა, ჩამჩიანის

1. Lebeau, *Hist. du B—E.*, III, 337 n. 2; V, 45,46,53.

აზრით, 363 წ. იქ იწყო მეფობა არშაკ II-მ. მაგრამ თუ სენ-მარტენის ფიქრით ის მეფობდა 341—370 წ., მაშინ მარცელინის თქმულება სომხეთის შესახებ უფრო ახლოა სიმართლეზე.

მეორე გარემოება, რომელსაც მარცელინი მოიხსენებს, არის შემდეგი. 368 წ. სპარსეთის მეფე საპორი (ანუ შაპური) განდევნის იბერიიდამ რომაელებისაგან მფლობელად დადგენილს სავრომაკესს და იმის მაგიერ ამკვიდრებს ასპაკურესს და რომ თავისი სიძულილი ეგრძნობინებინა იმპერატორისათვის, იმას გვირგვინსაც მიანიჭებს. ვალენსი იმავე წელს (სენ-მარტენის გამოანგარიშებით 372 წ.) ჰგზავნის კომტს არინთეს და ტერენციოს 12-ს ლეგიონით, რომ სავრომაკესი მეორედ დაედგინათ იბერიის ტახტზე. როდესაც სავრომაკესი მოუახლოვდა მტკვარსა, ასპაკურესმა წინა-დადება მისცა იმას, რომ იმათ, როგორც ბიძა-შვილებს, სამეფო ორად განეწილებინათ და ამასთანავე არ ნებულობდა რომაელებს მიჰკერძებოდა, რადგანაც „ჩემი შვილი ულტრა მძევლად არისო სპარსეთში." იმპერატორმა თანხმობა გამოაცხადა განწილებაზე, მაგრამ მოითხოვა, რომ ამ ორთა მეფეთა შორის საზღვრად ყოფილიყო მტკვარი, ასე რომ იმათში სავრომაკესს შერჩომოდა სომხეთისა და ლაზიკის მოსაზღვრე მხარე, ასპაკურესს კი ალბანია. მაგრამ ჩვენი მატიანე არას ამბობს არც სავრომაკესის სამეფოზე, არც ამის დაყოფაზე. თუ რომ ასპაკურესად იგულისხმება ჩვენი ვარაზ-ბაქარი, რომელიც მირდატ III-ს შემდეგ მეფობდა, მაინც არა ვიცით რა არც იმის ბიძა-შვილზე ასპაკურესზე, არც ამ უკანასკნელის შვილზე ულტრაზე, რომელიც სენ-მარტენს საეჭვოთ ჰყავს [1].

ორის წლის განმავლობაში საპორს არ შეუწყვეტია მიწერ-მოწერა იმაზე, რომ სავრომაკესს და რომაელების გარნიზონებს მიეტოვებინათ იბერია და რომ მხოლოდ იმისგან დადგენილს ასპაკურესს ემეფნა. ვალენსი დასთანხმდა თავის ჯარის გაყვანაზე, მაგრამ სავრომაკესის მოშორებაზე და დახმარებაზე სიტყვა არ გადასთქვა, თუმცა განგებ ამ საგნის გამო იყო სპარსეთიდამ ვალენსთან

1. Lebeau, *H. du B—E.*, II, 353; III, 358; 433 და შენიშ.

მოციქულად მიგზავნილი შაბურის ვეზირთ-უფროსი სურენა. შაბურმა დაიწყო ომი 374 წ. და საკრომაზესის მომხრე რომის ჯარი სრულებით დაამარცხა სურენის სპათა ბძანებლობით. გოთებთან ვალენსის ბრძოლამ აღარ მისცა შემთხვევა, რომ იმას თავისი უბედურება მოესპო[1]. შემდეგ აქ ხსენებულ პირებზე აღარა ცნობა არა გვაქვს რა[2].

მირდატის მემკვიდრისა და ამის შვილის ვარაზ-ბაქარის ანუ ბაქარ II-ს (379—393) დროს სპარსეთის ერისთავი აოხრებს სომხითსა და ქართლსა; აშენებს ტფილისის ციხესა და მოხარკედ შეიქს ბაქარსა; ჩამოართმევს იმას რანსა და მოვაკანსა და ატყვევებს ფეროზსა თავის შთამომავლობით. თვით კლარჯნი უკუ-უდგებიან ბაქარსა და უერთდებიან ბერძნებსა, რომელნიც იპყრენ მთელს კლარჯეთსა ზღვით არსიანის მთამდე

ვახუშტის თქმით, „მეფე ესე დიდის თეოდოსის დროს იყო და ძე ბაქარისა წმინდა პეტრე მცირის თეოდოსის დროს. პირველი კონსტანტინეპოლის კრება ყოვლისა სოფლისა იყო წელსა ქრისტეს აქეთ 380; ხოლო ვარაზ-ბაქარის მეფობის წელსა პირველსა"[3]. როგორც ჭეშმარიტად შეუნიშნავს ვახუშტის, თეოდოსი დიდი და ვარაზ-ბაქარ მეფობდნენ ერთ დროს: ჯერ 379 წლიდამ გრაციანითურთ თეოდოსი განდევნის მაკედონიიდამ ვიზი-გოთებს და ამარცხებს უზურპატორს ევგენიოზს და ბოლოს 394—395 წ. მეფობს მარტოდ.

ამასთანავე, თუ ვარაზ-ბაქარი ტახტზე დაჯდა 379 წ., მაშინ კონსტანტინეპოლის კრება მწვალებელის მაკედონის გამო, რომელიც უარ-ჰყოფდა სულის-წმინდის ღვთაებასა, ვარაზ-ბაქარის მეფობის მეორე წელს იყო და არა პირველსა: ეს კრება, როგორც მიღებულია, გაიხსნა მაისის თვეში 381 წ. და დაიხურა იმავე წ. ივლისის გასულს. ამ კრებამვე მისთვისა კონსტანტინეპოლის საპატრიარხოს მეორე ხარისხი შემდეგ რომის საპატრიარხოჲსა[4].

აქ უნდა ჩავურთოთ იმ დროს ღირს-სახსოვარნი ცნობანი:

1. Lebeau, *H. de B—E.*, IV, 28, 29.
2. *H. de la G.*, I, 134, n. 3.
3. დ. ბაქრაძისა, ვახუშტის საქართველოს ისტორია, 1885, I, 80, შენ. 1.—4. Lebeau, *H. du B—E.*, IV, 199 - 205.

ვარაზ-ბაკურის შვილზე მურვანოზზე და ხომხითის სამეფოს დანაწილებაზე.

მურვანოზის ანუ წმინდა პეტრეს ვინაობას და მოღვაწეობას მოგვითხრობენ როგორც ჩვენი წყაროები, აგრეთვე უცხოელნი მემატიანენი. ამ უკანასკნელთაგანნი არიან ევაგრი და ზაქარია მელიტენელი, რომლის ცნობანი მასზე ჩაურთავს გასულ საუკუნეში ლათინურ ენაზე ასსემანს აღმოსავლეთის ეკლესიის მამათ-ცხოვრებაში. გარდა ამისა ხელში გვაქვს სირიის პატრიარხის მიხეილის ცნობანი პეტრეზე. დაწვრილებით მურვანოზის მოღვაწეობა აუწერია სირიულ ენაზე თვით იმის მოწაფეს ზაქარია ქართველსა და ქართულად უთარგმნია მღვდელს მაკარის. „არა სხვისაგან თხრობილსა, გინა სხვისაგან სმენილსა მოქენე ვარ აღწერად, ამბობს ზაქარია, არამედ რომელსა თვით მხილველ ვიქმენ, რამეთუ სიყრმიდგან შევუდეგ მე წმინდასა მას, ვითარცა შვილი ერთ-გული, სადაცა იგი არს. ჟამთა ღვთის-მსახურისა თეოდოსი მცირისა, მეფისა ბერძენთასა, ძისა არკადისა და ძის-წულისა დიდისა თეოდოსი მეფისა იყო მეფე ქართველთა ზედა დიდი ვარაზ-ბაკურ, მეოთხე მეფე მირიანიდგან... ჟამთა მცირისა თეოდოსი მეფისა იქმნა მტერობა ბერძენთა შორის და სპარსთა და მეფემან თეოდოსი მოიშიშა, ნუ უკვე შეერთდნენ ქართველნი სპარსთა და იძლივნენ ბერძენნი, მოსთხოვა სიყვარული ქართველთა მეფესა და უმეტესისა სიმტკიცისათვის მძევალიცა სთხოვნა. ხოლო რათა არა განიწვალნენ ქართველნი ბერძენთაგან, ყოველი სათხოველი ბერძენთა მეფისა აღუსრულა მეფემან ქართველთამან და წარავლინა ძე თვისი მურვანოზ ათორმეტისა წლისა მძევლად ქალაქად კოსტანტინეპოლედ სხვათა თანა სეფე-წულთა."*) ზაქარიას თქმით, მიეცა თუ არა მურვანოზ „სასწავლოდ, მცირედთა ჟამთა დაისწავლა ყოველივე წერილი და გულის-ხმის-ყოფით აღმოიკითხვის და იწვრთინ დღე და ღამე." მოკლე ხანში ბიზანტიაში იმას შეუსწავლია „ენა ბერძნული და ყოველივე სწავლულობა საეკლესიო და საფილოსოფოსო;" მასუკან იერუსალიმში შეუთვისებია „ენა და სწავლულობა ასურებრივი." მურვანოზს დაუყვია მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს

გარეშე; იქ შემდგარა მონაზონად, სახელ-წოდებულა პეტრედ, მიმოუვლია იმას წმინდა ადგილები პალესტინისა, სადაც გაუშენებია რამდენიმე მონასტერი, სასნეულო და სასტუმრო, გარდაცვლილა სრულიად მოღვაწეობით სახელ-განთქმული 65 წლისა პალესტინის კარისიეპისკოპოზად, ზენონ იმპერატორის დროს (474—491) და დაფლულა „დიდითა დიდებითა მონასტერსა ქართველთასა იერუსალიმში, რომელიც მასვე წმინდასა პეტრეს აღუშენებს." აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა, როგორც ზაქარია ამბობს, თეოდოსი მცირე იყო შვილი არკადისა და ძის-წული თეოდოსი დიდისა, მაგრამ თვით ვარაზ-ბაქარის მეფობის მიმდინარეობაში (379—395) ბიზანტიაში მეფობდა, როგორც ზემოთაც ითქვა, თეოდოსი დიდი და არა მცირე (408—450)[1]. თვით მიხეილ სირიელის ცნობით (ცხოვრობდა XII საუკუნ.), პეტრე იყო ერთი წევრთაგანი ხალდეი-

1. *H. de la G.*, I, 138 п. 6 და 7; „ქართველთ წმ. მამათა ცხოვრებათა კრებული" შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 293—300. ეს წიგნი, რომელსაც ხშირად ხელ-ვმძღვანელობთ ამ ჩვენ შრომაში, გადაწერილია მშვენიერისა და უნაკლულო ნუსხა-ხუცურით ქორონიკონს უკა-ს—1733 წ. სიონის მთავარ-დიაკვანის იოანესაგან და ჯერ-ჯერობით არის ერთად-ერთი სრული ჩვენთა მამათა ცხოვრება, რომელიც კი ჩვენ შეგვხვედრია. თვით ამ წიგნის ძირი, პლ. იოსელიანის მოწმობით, მოიპოება პეტერბურგის რუმიანცოვის (თუ აკადემიის?) მუზეუმში (ნახე იმისი *Описаніе Шіо-мгвимской пустыни*. Тифлисъ, 1845, стр 42). ამ წყაროს ისტორიულ ღირსებაზე იხილე ზემოდ გვ. 143 და შემდეგაც მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას; აქ კი საჭიროდ ვჰადით იმისი შინაარსი ავნუსხოთ. ამ შინაარსს შეადგენენ ცხოვრებანი: 1, იოანე ზედაზნელისა (გვ. 1—24); 2, დავით გარესჯელისა (25—61); 3. შიო-მღვიმელისა (62—93); 4, აბიბოს ნეკრესელისა (93—96); 5. მონაზონისა კონსტანტინე ქართველისა (97—102); 6, მოწამისა გობრონისა (103—110; 7, ესტატე მცხეთელისა (110—120); 8, მოწამისა შუშანიკ დედოფლისა (120—130); 9, მოწამისა ქეთევან დედოფლისა (130—154); 10. მოწამეთა დავითისა და კოსტანტინესი (155—162); 11, მოწამისა ლუარსაბ მეფისა (163—169); 12, მოწამისა მეფისა არჩილისა (169—170); 13, ექვთიმე მთა-წმინდელისა (171—208); 14, გიორგი მთა-წმინდელისა (208—266); 15, ილარიონ ქართველისა (267—293); 16, პეტრე ქართველისა (293—300); 17, მოწამისა აბოსი (304—321); 18, ნინო ქართველთ განმანათლებელისა (321—386); 19, სვეტის-ცხოვლის და საუფლოს კვართისათვის (386—432); 20, მოწამისა რაჟდენისა (433—456); 21, მოწამისა არჩილისა — იგივე არჩილ (457—466); 22, მოწამისა მეფისა ლუარსაბისა (467—480); 23, მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისა (480—493); 24, ისე წილკნელისა (493—502).

დონის კრებისა, რომელიც გაიხსნა 451 წ. და ვითომც მოწინააღმდეგე ამ კრებისა, და როდესაც მარკიანე იმპერატორის ჯარი ურიცხვითურთ სდევნიდა და ჰხოცავდა ამ მოწინააღმდეგეთა, ვერვინ შეეხო მხოლოდ პეტრეს, რადგანაც იგი იყო განსაკუთრებით პატივცემული დიდის მოღვაწეობის გამო. „პეტრე იყო, განაგრძობს მიხეილი, როგორც მოგვითხრობენო, ძე საქართველოს მეფისა, მძევლად შემოყვანილი კონსტანტინეპოლში და როდესაც აქ იმან შეისწავლა საღმრთო წერილი, შემდგა მკაცრ მონაზონების ცხოვრებასა და სახელ-განითქვა დიდად. პეტრემ მიიღო თავის სურვილის წინააღმდეგ მღვდელ-მონაზონობა და შეიქნა არხიეპისკოპოზი პალესტინისა. იმისი საკათედრო ადგილი იყო გაზი და ისე იყო ისა განვითარებული, რომ არავის შეეძლო იმასთან ბაასი. ამ წმინდა კაცს ჰყვანდა მოწაფეედ განსწავლულთაგანივე მონაზონი იოანე, რომელმაც სწერა მისავალი[1]...“

ჩვენი მატიანე იმ დროს ცხოველად გამოხატავს ცეცხლის-მსახურთ აღსარების ძალასა. მაშინ პოლიტიკური მიმართულება ცეცხლის-მსახურთა და ქრისტეს მორწმუნეთა ხელში ეპყრა ორს უმთავრეს სახელმწიფოს: ბიზანტიას და სპარსეთსა. იმათში ბიზანტია იყო წარმომადგენელი ქრისტიანობისა, სპარსეთი კი სასანიანთ დროს ცეცხლის-მსახურებისა. წარმატება ერთისა თუ მეორისა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი ამ ორთა სახელმწიფოთაგანი მომეტებულს პოლიტიკურ მოსაზრებას და გამჭრიახობას აღმოიჩენდა. ამ ორ გვარის პოლიტიკის მიმართულების ასპარეზად მე-IV, V და VI საუკ. განმავლობაში იყო მცირე აზია, სომხითი და საქართველო.

საუბედუროდ, თუ ჩვენ ბიზანტიის პოლიტიკურ წყობილებას სპარსეთის წყობილებას შევუთანასწორებთ. მაშინ უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მივცეთ. თუმცა ბიზანტია სწავლა-ხელოვნებით ბევრით მაღლა იდგა სპარსეთზე, მაგრამ იმისი ეთნოგრაფიული ნიადაგი შეიცავდა სხვა და სხვა გაცალკევებულ ტომთა, რომელთა მო-

1. Langlois, *Chronique* de *Michel le Grand.*, 152—154

რის ერთად-ერთი კავშირი იყო ქრისტეს სჯული და არა ერთ-გვარი შთამომავლობა, —ეს უმთავრესი ძალა ყველა სამეფოსა, მეტადრე ძველად. ამის გამო იქ სამეფო დინასტიის ცვლილება არ იყო იშვიათი: ბიზანტიის ტახტს ისაკუთრებდა ხან ერთი, ხან მეორე შთამომავალი სხვა-და-სხვა გვარ-ტომისა. ამ გარემოებამ დაბადა ხშირი ბრძოლა ტახტის მეძიებელთა შორის და არეულობა იმპერიაში. ამას დაერთო სარწმუნოებრივი განხეთქილება—არიოზიანთა, მაკედონიელთა და სხვათა მრავალთა, რომელნიც თავის მხრივ აღელვებდნენ ერსა და არყევდნენ შინაგანს წყობილებასა. აქ უმთავრეს ყურადღების საგნებს მართებლობისა და საზოგადოების მხრივ წარმოგვიდგენენ სღვთის-მეტყველო და საეკლესიო ბაასი, სამღვდელო დასთა კრებანი, დევნულება მწვალებლებისა და არა პოლიტიკური მოაზრება და ღონის-ძიების გამოძიება წინააღმდეგ ბარბაროზთა, რომელნიც ყოველის მხრით ამდგარნი იყვნენ ბიზანტიაზე და საზოგადოდ ახალ-დანერგილ ქრისტეს სარწმუნოებაზე. სულ სხვა გვარს სურათს წარმოგვიდგენს ბიზანტიის მოწინააღმდეგე სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს შეადგენდა თითქმის ერთი და იგივე მტკიდროდ მოფენილი ტომი სპარსელებისა, ერთგული და მამყოლი სასანიანთ დინასტიისა. ეს სამეფო სახლი არ შერყეულა, ვიდრე იგი არ დაამხვეს მე-VII საუკ. მუსულმანებმა. სასანიანთ ისიც კი მოახერხეს, რომ საკუთარის გავლენის გასავრცელებლად თავისი სახლის წევრიც დასვეს მეფედ საქართველოში და ერთმა იმათგანმა შაბურმა III (385—390 წ.) თეოდოსი დიდი კიდეც დაიყოლია იმ-გვარ უგუნურ ღონის-ძიებაზე, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა როგორც ქრისტეს-მსახურთ სარგებლობას, აგრეთვე თვით ბიზანტიის ინტერესსა. ეს იყო ორთა სახელმწიფოთა შორის სომხითის სამეფოს დანაწილება, რომელიც მოხდა 390 წელს. სომხითის დაგლეჯა ჰსურდა თვით შაბურ II-ს (310—381) 374 წელს; მაგრამ იმპერატორმა ვალენსიმ ამაზე უარი გამოაცხადა. მართალია, თვით სომხითიც კი ვერ აიცილებს თავიდამ თავის უბედურების ბრალსა. „ეს ბედკრული ქვეყანა, ამბობს სენ-მარტენი, ყოველთვის სავსე იყო შინაურის შფოთითა და განხეთქილებითა.

თავადნი ანუ ერთი მეორეს ებრძოდნენ, ანუ დამოუკიდებლობის ძიებაში იარაღით ხელში საკუთარ მეფეებს ეწინააღმდეგებოდნენ სპარსეთის ძალით. აქ უნდა დავურთოთ ისიც, რომ თვით კერპთ-მსახურების მიმყოლთ ლტოლვილება და ამის გამო წარმომდგარი განხეთქილება სომხეთში ჯერ კიდევ არ იყო შესუსტებული. შაბურ III და თეოდოსი დიდის მორიგებაში უპირატესი სარგებლობა სპარსეთს ერგუნოდა: ოთხი მეხუთედი ნაწილი სომხეთისა, უკეთესი მდებარეობით და ნაყოფიერებით, სპარსეთს ჩაუვარდა ხელში. თეოდოსიმ და შაბურმა დააწესეს, რომ თვითოეულს იმათგანს თავ-თავის ნაწილში საკუთარი მეფე ჰყოლიყო. შემდეგ ამისა სომხეთი უფრო აირია და ცეცხლის-მსახურთა თავის სარწმუნოების გასავრცელებლად უფრო გზა გაეხსნათ"[1]. შემდეგ ამ დაყოფისა სომხეთის სამეფო დაემხო და თავის საკუთარ საზღვრებში აღარ ამდგარა არას დროს.

ვარაზ-ბაქარის შემდეგ მეფობენ რევის შვილი მოხუცი თარდატ (393—403), მოხარკე სპარსეთისა, ბაქარის შემდეგ მეფედ გამოთხოვილი თვით ქართლის წარჩინებულთაგან. იმის დროს კვდება ეპისკოპოზი იობ და მის მოადგილედ ჯდება ელია. თარდატი აშენებს ეკლესიებს: რუისთავისას და ნეკრესისას. ბროსსე და კნ. გაგარინი ჰხადიან ნეკრესის ეკლესიას მე-IV საუკუნის ნაშთად. აქვე უჩვენებენ იგინი კედლის მხატვრობაში უძველესს სურათებს თარდატისას და ვარაზ-ბაკურისას ორის შვილითურთ[2]. გარდა ამისა ეს მხატვრობა წარმოადგენს თურმე დიდად შესანიშნავს საიდუმლო სერობასა, როგორც იგი უძველეს საუკუნეთა საეკლესიო მხატვრობაში იხმარებოდა. ამ გვარ სურათს წარმოგვიდგენენ მხატვრობანი ახტალის და გრემის ეკლესიისანი[3].

შვილნი ვარაზ-ბაქარისანი: ფარსმან IV (405—408) და მირდატ IV (408—410). იმათგანი ფარსმან ბერძენთაგან გამოითხოვს შემწეობასა სპართა წინააღმდეგ. კვდება ეპისკოპოზი ელია და

1. S.—Mart., *Mém. sur l Arm.*, I, 305—31; Lebeau, *H. du B—E.*, II, 28—29, 429—432.—2. Mourier, *L'art relig. du Caucase.* 1887, 83.—3. *Труды Моск. Арх. Обш.*, томъ IV, выпускъ 1-ый, стр. 31, 32.

ჯდება სვიმონ. ფარსმან აშენებს ეკლესიას ბოლნისისას. თვით მირდატი ბერძენთაგან ქმნის კლარჯეთსა, მაგრამ დატყვევებული სპარსთაგან ასრულებს თავის ცხოვრებასა ბაღდადში. იმისი შვილი არჩილ I (410—434) ირთავს იმპერატორის იობანის გვარის ქალსა და ებრძვის სპარსთაგან დადგენილს ერისთავს რანისას და მოვაკანისას, რომელსაც სძლევს და ქართლიდამ განდევნის ცეცხლის-მსახურთა; აშენებს ბოლნისში სიონსა და მცხეთაში სტეფან-წმინდასა. იმის დროს კვდებიან ეპისკოპოზნი: იოანე, გრიგოლი და გასილი. ჯდება ეპისკოპოზად სპარსი მოსიდა, რომელიც ფარულად სწერს „წიგნებსა ყოვლისა საცდურებისასა." არჩილი რთავს თავის შვილს მირდატს V-ს (434—446) რანის ერისთავის ბარზაბადის ასულს საგდუხტს, რომლისთვისაც სჯულის-მეცნიერთაგან ითარგმნება სახარება. იმის დროსვე 435 წ. მოხდა ეფესის ქალაქში მესამე მსოფლიო კრება, რომელმაც აღიარა ნესტორიოზის წინააღმდეგ, რომ ქრისტე იესო არის ღმერთი და კაცი განუყოფელი და ქალწული მარიამ ჭეშმარიტი ღვთის-მშობელი [1].

იმ დროს, რომელსაც ჩვენ აქ შევეხებით და როდესაც სომხობა შინაგანისა და გარეგანის მდგომარეობის მოწყალებით გონებით და ზნეობით დაცემული იყო, აღმოჩნდნენ სომხეთში ზოგიერთნი პირნი, რომელთაც თავის მოღვაწეობით შარავანდედი მოჰფინეს შავის წყვდიადით გარე-მოცულ მხარეს. პირველნი იმათ შორის იყვნენ გრიგოლ განმანათლებლის შთამომავალი წმ. ნერსესის შვილი საჰაკი, მეცნიერებით განსწავლული კოსტანტინეპოლში და იმისი თანა-მოღვაწე, ნერსესთან შეზდილი წ. მესრობი. ამ ორთა პირთა განამტკიცეს შერყეული ქრისტეს სჯული და ჩაავლეს ღრმა საძირკველი სწავლა-განათლებისა თავის სამშობლოში. იმათ დრომდე სომხეთში იხმარებოდა სირიული და ბერძნული ალფაბეტი. საჰაკის აზრით მესრობმა შეადგინა, ანუ უკეთ, შეავსო საკუთარი სომხური ანბანი; გადათარგმნა ბერძნულიდამ სრული ბიბლია, რო-

1. Lebeau, *H. du B—E.*, VI, 61—63.

მელიც მანამდე სირიულსა და ბერძნულს ენებზე იკითხებოდა და რომელიც სომხური მრევლს სრულებით არ ესმოდა; დააფუძნა სას-წავლებლები, რომლებმაც აღზარდეს მეცნიერნი მწერალნი; გაგზავნა ყმაწვილ-კაცობა ედესსაში, ალექსანდრიაში, ანტიოქიაში, კონსტან-ტინეპოლში, ათინაში და რომში შესასწავლებლად ბერძნულის ენი-სა და ფილოსოფიისა. იმათ გუნდში განსაკუთრებით განვითარდ-ნენ „სომხური ისტორიის“ ავტორი მოსე-ხორენელი, „წმ. მეს-რობის ცხოვრების“ შემადგენელი კორიუნი, „ვარდან მამიკონის სპარსებთან ბრძოლის“ მემატიანე ეგიშე და სხ. [1].

შესახებ ქართველების დამოკიდებულობისა სომხებთან იმ დროს ძალიან ნაკლული წყაროები გვაქვს. ამ შემთხვევაში უნდა მხოლოდ გვახსოვდეს, რომ ორივე ეს მოსაზღვრე ტომი აღიარებდა ერთსა და იმავე სარწმუნოებასა, იცავდა ერთ-გვარს საეკლესიო წესდებასა, ერთის წყაროდამ მიღებულსა. ამ ერთობის დროს, რომელიც შემ-დეგ ხალკიდონის კრებისა დაირღვა, ქართველობა და სომხობა ერთმანეთში მოყვრობას მისდევდნენ, ერთის ქვეყნიდამ მეორეში და-იარებოდნენ წმინდა ადგილების სალოცავად და სადღესასწაულოდ. ამასთანავე სომხითის მემატიანენი გვარწმუნებენ, ვითომც ქართული ეკლესია სომხითის ეკლესიის მოძღვართ-მთავართ ექვემდებარებოდა; ვითომც საქართველოს კათალიკოზი სომხითის კათალიკოზისაგან ინიშნებოდა და იმისნი ეპისკოპოზნი იმისგანვე იკურთხებოდნენ; ვითომც ამ გვარად სომხითის განმანათლებლის შვილის-შვილი და ვარდანეზის შვილი გრიგორისი († 343 წ.) თავის ძმის იუსიკ კათალიკოზის ხელით იკურთხა ჯერ ეპისკოპოზად, შემდეგ კათა-ლიკოზად იბერიისა და ალოვანიისა, სადაც იმან მრავალი ეკლესია განაახლა და ააშენა; ვითომც წმ. ნერსესი (340—374 წ.) დრო-თი-დრო მოგზაურობდა საქართველოს სამწყსოში, სადაც აფუძნებ-და ეპარხიებსა და მონასტრებსა, ამყარებდა სასტუმროებსა ქალაქებ-ში და სოფლებში; ვითომც საჰაკ კათალიკოზს (390—444 წ.)

1. Langlois, *Collect.*, II, p. X—XVj, 161—173.; S—Mart., *Mém. sur l'Arm.*, I, 6—13, 318—319; Lebeau, *H. du B—E.*, V, 317—325.

ეკურთხოს ავტორი „წმ. მესრობის ცხოვრებისა“ კორიონი ეპისკოპოზად და გაეგზავნოს საქართველოში სარწმუნოების გასავრცელებლად; ვითომც, ამ კორიონის თქმით,) თვით წმ. მესრობი, შემდეგ სომხურის ალფაბეტის გავრცელებისა სომხეთში. „შევიდა (მოსე ხორენელის მოწმობით იბერიის მეფის ბაკურის დროს, რომელიც ვითომც გარაზ-ბაკური იყოს) ქართველების ქვეყანაში, რომელსაც, ზენარის მადლის შთაგონებით, მიანიჭა საკუთარი ალფაბეტი და სხვა და-სხვა მათ ქალაქებში დასტოვა მეცნიერნი პირნი ყრმათა შესასწავლებლად; გაემგზავრა ალუანელთ ქვეყანაში, რომელთაც გაუასლა ალფაბეტი და დასტოვა იმათშიაცა მასწავლებელნი.“ იმავე განზრახვით, მოსეს თქმით, საქართველოს მეფის არჩილის დროს იბერიელთ ბდეშხის აშუშასაგან მიწვეულ იქნა ტაშირში[1])

გასაკვირველია, რომ ერთად-ერთი ამ ზემოხსენებულთ ცნობათაგანი, რომელსაც ჩვენი მატიანე უჩვენებს, არის ხაამბი ნერსეს კათალიკოზის დიაკონზე, რომელიც მირდატის დროს (364—379) ჩვენში ეპისკოპოზად იყო დადგენილი. ჩვენ არ უარ-ვყოფთ, რომ ხან-და-ხან სომხები მღვდელთ-მთავრებად სხდებოდნენ საქართველოში. ამ გვარი შემთხვევა ერთობის დროს დიაღ შესაძლებელი უნდა ყოფილიყო: მაგრამ რა მიზეზია, რომ ქართულ ხრონიკებში ანტიოქელნი საქართველოს მღვდელთ-მთავარნი კი არიან მოხსენებულნი და სომხეთისანი კი არა, გარდა ერთისა? ამასთანავე სომხური წყაროები ნამდვილ ფაქტებსაც ეწინააღმდეგებიან. ძველი ქართული და ბერძნული მწერლობა ჰმოწმობს, რომ ქართული ეკლესია წმ. ნინოს დროიდამვე ანტიოქიის საპატრიარხოს ექვემდებარებოდა და ვახტანგ გურგასლანის მეფობამდე (446—499) კათალიკოზები იმას არა ჰყვანდა. ამ დროიდამაც ფარსმან მე-IV-ს მეფობამდე (542—557) იგინი იყვნენ ბერძენთაგანნი ანტიოქიით. ცხადია, რომ სომხური თქმულება ამ შემთხვევაში სცდება. ასეც ფიქრობს თვით ბროსსე; მაგრამ ამასთანავე ის ამტკიცებს, რომ აქ სომხურის ისტორიის ქართველების ნაცვლად საქართველოში დამკვიდრებული სომხობა უნდა იგულის-

1. Langlois, *Collect.*, I, 213, 214; II, 162, 167, 321 n. 3.

სმბოდესო და ივერიის ნაცვლად გუგარი ანუ ქართლის სომხეთიო,' სადაც გარდა ქართველებისა ბლომად სახლობდნენო სომხებიცა. არც ეს აზრია შესაწყნარებელი. ერთი ესა, რომ სომხური მწერლობა არასოდეს სომხებს ქართველებად არ იხსენიებს; მეორე ესა, რომ სომხური ისტორიის თქმულება მეორე კურიონზე, რომელიც ვითომც სომხითიდამვე იყო 576 წელს მცხეთაში კათალიკოზად დადგენილი და რომელმაც თავის სამწყსოთი ხალკიდონის კრებას მიჰკერძა, უეჭველია ნამდვილ ქართველობას მოიხსენებს და არა საქართველოს სომხობასა. ან რა დასაჯერებელია, რომ საქართველოს სომხებს ოდესმე საკუთარი კათალიკოზი ჰყოლოდა! ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თვით სომხითის კათალიკოზები გრიგოლ განმანათლებლის დროდამ ვიდრე სომხითის დაყოფამდე სპარსებთა და ბიზანტიელებთაგან, იკურთხებოდნენ კესარიაში. არა თუ კათალიკოზები, თვით იმის ეპისკოპოზები ხელ-დასხმას მიიღებდნენ ერთის ნაწილის მხარისათვის ნერსესის შემდეგ იქვე კესარიაში, და მეორისათვის, რომელიც ტიგრისა და ევფრატის შუა მდებარეობდა, ანტიოქიაში. შემდეგი ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა-გვარად ყოფილან ამ შემთხვევაში შევიწროებულნი სომხითის კათალიკოზნი. ნერსესი დიდი მოაკვლევინა მეფემ ბაბმა და იმისი მოადგილე ბაბმავე დასო. კესარიის მღვდელთ-მთავართ კრება განრისხდა და ამ კრებამ იმის ნება-ურთველად დადგენილ კათალიკოზს უფლება აჰყარა და აცნობა ბაბსა და სომხითის სამღვდელო დასსა, რომ სომხითის კათალიკოზს ეპისკოპოზის ხელ-დასხმის ნება არ ეძლევაო.

ამ გვარადვე ეჭვ ქვეშა გვაქვს სომხური თქმულება ქართულ ანბანზე. ეს თქმულება თავ-და-პირველად გადმოგვცა კორიონმა და იმის სიტყვებს იმეორებენ მოსე ხორენელიცა და შემდეგნი სომხითის მწერალნიცა. ან რომელი ქართული ანბანი უნდა იყოს მესრობისაგან შემოღებული—მხედრული თუ ხუცური? თუ ის არის მხედრული, ჩვენ ვიცით, რომ მხედრულის კვალი მე-X—XI საუკუნემდე ჯერეთ არა ჩანს არც ფულებზე, არც ძველ შენობაებზე, არც გუჯრებში და ტყავზე ნაწერ წიგნებში. თუ ის უნდა

იყოს ხუცური, როგორც ამას ზოგნი მეცნიერნი ამტკიცებენ, ჩვენ მაინც ეჭვნეულობიდამ ვერ გამოვსულვართ. გარაზ-ბაქარამდე უნდა ჰქონიყო თუ არა ქართველობას საკუთარი ანბანი? თუ არა, რა ანბანს ხმარობდა იგი მიწერ-მოწერაში, წირვა-ლოცვაში და სხვ? თუ ანბანი ჰქონდათ მოსაზღვრე ბერძნებს, სირიელებს და სომხებს, უეჭველია, ქართველებსაც უნდა ჰქონიყოთ. რომ მესრობის დრომდე ჩვენში ხუცური ასო-მთავრული ხმარებაში იყო, ეს ცხადია. ის მე-VI—VII საუკ. გვიჩვენებს ისეთ წარმატებას, რომელიც პალეოგრაფიულის კანონით მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში ეძლევა ყველა ალფაბეტს[1]. შესაძლებელი საქმე, რომ მესრობმა მხოლოდ შეავსო როგორც სომხური ბერძნულიდამ, ქართული ხუცურიც ზოგიერთის ასოებით, რომელნიც იმას აკლდა, მაგ. ხმოვანი ასოები, რომელნიც იმ დროს არ იხმარებოდნენ არათუ სომხურში, თვით სემიტურ ანბანებშიაცა[2].

1. ამ საგანზე სრული ჩემი საბუთები ნახე ზემოდ, გვ. 83—85.

2. Langlois, *Collect.*, I, 171—172, 222, 227—228, 238, 293—294; Saint-Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 10—11; Lebeau, *H. du B—E.*, I, 291; V, 27; *H. de la G.*, I, 141, n. 4, 193 n. 3; *Addit. à l' H. de la G.*, 107—125—*Introd.*, p. XL—XLI; *Les ruines d' Ani*, II, 160.

## კარი მეთერთმეტე

### ბრძოლა ქრისტეს სჯულისა და ცეცხლის მსახურებისა.— სპარსეთი და ბიზანტია საქართველოში

I. ვ ა ხ ტ ა ნ გ  გ უ რ გ ა ს ლ ა ნ ი (446—199).—ცნობები ვახტანგზე.—ჩვენი აზრი ვახტანგზე.—ხალკიდონის მსოფლიო კრება 451 წელს.—
II. საკათალიკოზოს დაარსება.—ვახტანგის ისტორიაში ნაჩვენები „ნებროთის წიგნი."—რა გვარი მწერლობა უნდა გვქონიყო ჩვენ იმ დროს: უძველესი ვარიანტები ოთხ-თავისა.—„ცხოვრებანი" წმ. რაჟდენისა და წმ. შუშანიკისა.
III. დ ა ჩ ი (499—514); ბ ა კ უ რ II (514—528); ფ ა რ ს მ ა ნ V (528—542) და ფარსმან VI (542—557) და იმათ დროს ცნობა ბიზანტიელებისა დასავლეთს საქართველოზე ანუ ბიზანტიელთ ლაზიკაზე.—პროკოპის ცნობით, აფხაზების მოქცევა და ბიჭვინტის ტაძრის აღშენება იმპერატორის იუსტინიანესაგან (527—565).
IV. ათ-ცამეტნი სირიელნი მამანი საქართველოში.—ბ ა კ უ რ III (557—570).

ქ-ცხბით, ვ ა ხ ტ ა ნ გ (446—499), სიყრმითვე გაბარჯებული აღსაზრდელად სპასპეტ საურმაგისას, მეფედ ჯდება 7 წლისა. სპარსეთის მეფე მოჰგზავნის ქართლში ცეცხლის მსახურთა მოძღვართ-მთავრის ბინქარიფურთ, რომელნიც მკვიდრდებიან მცხეთაში „ადგილსა მოგვთასა" და იქიდამ ავრცელებენ დაბალ ერში თავიანთ აღსარებასა. ოსნი, მთით გადმოსულნი, აოხრებენ ქართლსა, იპყრენ კასპსა, ატყვევებენ მეფის დას მირანდუხტსა, რომელსაც ზღიდა კასპის სპასპეტი, და უკუ-იქცევიან დარუბანდით. საბერძნეთის მეფე ანუ კეისარი მარკიანე ავრცელებს თავის მფლობელობას ეგრისში ცისკ-გოჯამდე. ვახტანგ არაგვის პირზე ებრძვის ოსებს და იმათ მომხრე ხაზარებს; თავის ხელით ჰხოცავს ხელ-და-ხელ გამოჩენილ

ბუმბერაზებს: ხაზართა თარხანს და ოვსთა ბაყათარს[1]; შედის თვით ოსეთში და იქაც სძლევს ორსავე ხსენებულ ტომსა, გამოიხსნის მირანდუხტს, მოსტყვენავს პაჭინაგებს და ჯიქებს[2] და კავკასიის მხრით გადადის აფხაზეთში და ჩამოაცლის ბერძენთ ეგრისსა ციხე-გოჯამდე.

შემდეგ ამისა ვახტანგ ბინაქარის შუამავლობით დაემოყვრება სპარსეთის მეფეს, რომლის ქალს ირთავს ცოლად და რომელსაც მიემხრება ბერძნებთან საბრძოლველად. შეერთებული იმათი ძალა მიადგება კარნუ-ქალაქს და პონტოსს; აქ ვახტანგ დაეზავება კეისარს ლეკანს, რომელიც მას აღუთქვავს თავის ქალს ელენეს ცოლად (პირველი ცოლი დაჩის შობაზე მომკვდარიყო), უკუ-მოცემას კლარჯეთისას და დაწესებას საქართველოში კათალიკოზობისას.

მეფე სპარსეთისა გამოილაშქრებს ქართლზე. ბერძენნი და ქართველნი შეერთებით ებრძვიან მას, თუმცა კეისარი საზარით ბრძოლაშიაც არას გართული. სპარსნი შეიპყრობენ ვახტანგის პირველის ცოლის მამა-მძუძეს რაჟდენს და აწამებენ ქრისტეს სჯულისათვის. ვახტანგ მოითხოვს მშვიდობიანობასა და ამ გვარად აბოლოებს ბრძოლასა. მეფე სპარსეთისა გამოითხოვს ცოლად მირანდუხტს და შემდეგ ვახტანგის დათანხმებისა მოსთხოვს მას მონაწილეობას თავის გალაშქრებაში ინდოეთზე, ჯორჯანეთზე, სინდეთზე და აბაშეთ-

1. თარხანი არის თურქული სიტყვა და იპოება ხმარებაში თვით VI საუკ.; ამ სიტყვას ვპოულობთ ბიზანტიაშიაც და ვენგრიაშიაც. სპარსეთში პირველად შემოტანილია იგი XI საუკ. სელჯუკთაგან. მნიშვნელობა იმისი არის: „მოღვაწეობით განვითარებული და ხარჯისა და დამოკიდებულობისაგან თავისუფალი (S—Martin, *Mém.*, II, 254—255; Hammer, *H. de l' Empire ottom.*, II, 29). ბაყათარზე იტყვიან, ვითომც ის ეკუთვნოდეს ჭარვილანის გვარსა და იმის თავ-გადასავალს იხსენიებდეს წარწერა ნარის ანუ ნუზალის ეკლესიისა კასარის ხეობაში ოსეთში (*H. de la G.*, I, 158, n. 3). ნუზალის ეკლესია ჩვენ გვინახავს: ის არის პატარა, მხატრობიანი და თუმცა, როგორცა ჩანს, ძველთაგანია, მაგრამ არა გითარს წარწერას იმ გვარს, რომელსაც უჩვენებენ, არ წარმოგვიდგენს სრულებით.

2. ვახუშტის შენიშვნით, „პაჭინაგი არის ჯიქეთის იქით ზღვის პირით ყირიმამდე, ხოლო ჯიქეთი აფხაზეთს იქით კავკასის პირი („გეოგ. ისტორია“, 91, შენ. 2). პაჭინაგებზე ნახე *H. de la G.*. I, 157, n. 5.

ზე: ვახტანგ დედით და ორისავე დით მირანდუხტით და ხვარანძით (სომხეთის პატიახშის ანუ ერისთავის ბაკურის ცოლით) გაემგზავრება იერუსალიმს მოსალოცავად[1], იქიდამ ბაღდადს, სადაც იმას მიერთვის ათასის მხედრით ლეონ პატრიკი და სადაც გადაიხდება ქორწილი. შემდეგ ქორწილისა ვახტანგ ისე ისახელებს თავსა აღნიშნულ ქვეყნებში, როგორც წინათ ყველგან და ბრუნდება ანტიოქიით ურა-ქალაქს, სადაც იმას შეუერთდებიან დედა და ხვარანძე[2]; იქიდამ შემოდის სომხითში, საიდამაც ისტუმრებს საბერძნეთისაკენ ლეონ პატრიკს თავის ჯარით და თან გააყოლებს დესპანს მოსაყვანად თავის საცოლისა, კათალიკოზისა და 12-თა ეპისკოპოზთა. კათალიკოზად ჯდება მცხეთას პეტრე და იქვე ზემო-ეკლესიის მთავარ-ეპისკოპოზად სამოელ. მყარდება საეპისკოპოზოები: კლარჯეთისა, ერუშეთისა, წუნდისა, მანგლისისა, ბოლნისისა, რუსთავისა, ნინო-წმინდისა, ჭერემისა, ჩელეთისა და აგარაკისა. შენდება ეკლესიები: სვეტის-ცხოველისა, ჭერემისა და ნიქოზისა ცეცხლის-მსახურთაგან წამებულის რაჟდენის საფლავზე. მაგრდება ციხე-ქალაქები და ჩაიგდება საფუძველი ტფილისისა. ვახტანგ მკვიდრდება უჯარმოს და განდევნის ქართლიდამ ცეცხლის-მსახურთა. ამის გამო სპარსნი ახლად აუტეხენ მას ქართლშივე ბრძოლას, რომელშიაც ის იკოდება და კვდება. სიკვდილის დროს თავის სამფლობელოს უნაწილებს შვილებსა და მეფობას უმკვიდრებს დაჩის და ტაშის-კარს ზეით ვიდრე ზღვამდე საერისთავოდ კეისრის ასულისაგან ნაშობთა.“

1. მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი ამბობს თავის მოგზაურობაში, ვითომც ვახტანგს იმ დროს იარაღით ხელში დაეპყრას იერუსალიმი, ეგვიპტის მეფის შეწევით და ამ უკანასკნელს იგი ვახტანგისათვის ეძლევნას. იმავე ტიმოთეს მოწმობით, იქვე ჯვარის მონასტერში აქამომდე ჩანს კედელზე ვახტანგის სურათი (*H. de la G.*, I, 183 n. 4).

2. შ ე ნ ი შ ვ ნ ა  ბ რ ო ს ს ე ს ი. ქართველებს უნდა ჰქონიყოთ ოდესმე საკუთარი მფლობელობა ურში (ანუ ედესსაში), რადგანაც აკტორი *Chronicum edessenum*-ისა მოგვითხრობს, რომ 499 წ. „იქ იბერიელთ აბანოს წყალი შეშრათ სამ დღეში“; ამასვე თურმე ამტკიცებს ხრონიკა ულზუე მესვეტისა, რომელიც ამბობს, რომ ეს შემთხვევა მოხდათ მიწის-ძვრისაგან (Asseman, *Bibliot. orient.*, I, 269, 406; *H. de la G.*, I, 184, n. 1).

ვახტანგზე ზოგიერთ ცნობებს გვაძლევენ: წმინდა ნინოს ცხოვრება [1] და წმ. რაჟდენის წამების აღწერა [2]; აგრეთვე სომხური წყაროები: V საუკ. ლაზარ პარპეცი [3]; XIII საუკ. მხიტარ აირივანქელი [4] და ვარდან დიდი [5]. მხიტარ აირივანქელი და ვარდან დიდი უწოდებენ ვახტანგს გურგასლანად (სპარსულ ენაზე გ უ რ გ ჰნიშნავს მგელსა და ა ს ლ ა ნ ლომსა) [6]. ქართული ფორმა ამ სახელ-წოდებისა არის გორგასალიც და გურგასლანიც, „ქართლის მოქცევის“ მატიანით გურგასარი [7]. ნუმიზმატი ბართაევი ამ ვახტანგს მიაწერს ძველს ვერცხლის ფულს ႢႰ'Ⴑ-ის მონოგრამით და სასანიანთ დროს ცეცხლის-სამსახურო ემბლემით. სხვა ნუმიზმატებისაგან ეს აზრი, აქამდისინ მიღებული, ახლა საეჭვოდ არის ცნობილი [8].

ვახტანგის დროს მეფობდნენ: სპარსეთში: ფეროზი (458—484); ფეროზის შვილები ფალაში (484—488) და კობადი (488—531); ბიზანტიაში: მარკიანე (451—457); ლეონ I (457—474); ლეონ II (474—476), ზენონი (476—491) და ანასტასი (491—518). ვახუშტის თქმით, ხალკიდონის კრება ყოვლისა სოფლისა იყო წელსა 451, ხოლო ვახტანგის წელსა მეხუთესა (ჩემი „ვახუშტ. ისტ.“ 88, შენ. 2). მართლადაც აღნიშნულ დროს მოხდა ხალკიდონის მეოთხე მსოფლიო კრება, რომელიც გახსნა იმპერატორმა მარკიანემ და რომელმაც შეაჩვენა ეკტიხის მწვალებლობა [9]. ამ კრების გამო დაშორდნენ ერთმანეთს, როგორც შემდეგ ვნახავთ, ქართული და სომხური ეკლესიები.— ჩვენის მატიანით, ვახტანგის ცოლი იყო ლეონის ქალი. ბიზანტიის ისტორია იხსენიებს ორ ქალს ლეონ I-სას: არიადნას და ლეონტიას. პირველი ჰყვანდა ცოლად ზენონსა, მეორე მარკიანეს ლეონ II-ს თანა-მმართველს იმპერიისას. ელენეს ვერა ვპოულობთ [10].

1. „მამ-ცხ.“ გვ. 181.—2. იქვე, გვ. 222—227.—3. Langlois, *Collect.*, II, 325—326, 332, 335, 336, 344.—4. *Mém, de l' Acad.*, VII sèrie, t. XI, p. 69.—5. *Всеобщая исторія*. Москва, 1861, стр. 116.—6. იქვე *Примѣчаніе*, 435. ამ საგანზე ნახე აგრეთვე *H. de la G.*, I, n. 2.—7 „მანუსკრიპტი“ № 1141, გვ. 442.—8. *Mél. Asiat.*, IV, 163, 164, 170.—9. Lebeau, *H. du B—E.*, VI, 318—325.—10. Sabatier, *Descr des monn. byzant.*, I, p. 2.; *H. du B—E.*, VI, 422; *H. de la G.*, I, 199. n. 1.

ჩვენი მატიანე იხსენიებს კეისრის ბრძოლას ხაზარებთან. ეს კეისარი უნდა იყოს ანასტასი: ამის დროს ბიზანტია ებრძოდა ბულგარებს, რომელნიც ზენონის მეფობაში 485 წ. გავრცელდნენ შავი-ზღვის პირად დუნაის მდინარემდე და 499 წ. აოხრეს ფრაკია[1]. აქ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ბულგარნი, ჰუნნი, მადიარნი ანუ უნგრნი და თვით ხაზარნი, საზოგადოდ გვარ-ტომობით თურქნი, ევროპიელთაგან სკვითებად წოდებულნი, ჩვენს წელთ-აღწერაში უძველესის დრომდამვე, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, ხაზარებად არიან სახელ-დებულნი (ნახე ზემოდ, გვ. 44—45).

სხვა და სხვა გამხედრებას სპარსეთის მეფის ფეროზისას კასპიის ზღვის აღმოსავლეთად გვიამბობენ საკმაო დაწვრილებით ბიზანტიელნი და აზიელნი მწერალნი[2]. ფეროზი ჯერ ებრძოდა ჰუნნებს 466 წელს[3], როდესაც იმან გაილაშქრა ჰუნნებზე ჰეფთალიტებზე, რომელნიც აღმოსავლეთად კასპიის ზღვისა ცხოვრობდნენ, რომელთა დედა-ქალაქი გორგო გამოჰხატავს ბერძნულის გამოთქმით არაბულ ჯორჯანსა. ფეროზი შეიტყუეს ხრობაში, საიდამაც მხოლოდ მკაცრის პირობის შეკრით გამოიხსნა მან თავი. სინდის მეფის აპოლოგისტი ბერძენი გვარწმუნებს, ვითომც სპარსეთის მეფე გამოეხსნას ტყვეობიდამ იმპერატორს ზენონსა. ფეროზმა იწყო მეორე ომი, რომელსაც მოიხსენებს აბულ-ფარაჯი და რომელშიაც იმას სხვა ბედის-წერაც ეწია,—ისეთი, როგორსაც გვიამბობს ქართული მემატიანე, იმ განსხვავებით კი, რომ ეს უკანასკნელი ამ შემთხვევას უჩვენებს სინდში, ბერძნული ავტორი მახლობლად გორგოსა; მაშა სადამე ჯორჯანში. მეფე აქ მოიკლა 30-ს შვილით. სპარსეთის მეისტორიენი თითქმის თანახმად ქ-ცხბისა[4] იტყვიან, ვითომც ეს მომხდარიყოს ბალხში, რომელიც იმ დროს ეკუთვნოდა ჰუნნებსა. რა საკვირველია, ვახუშტის წელთ-აღრიცხვა არ ეთანხმება ლებოსაგან ნაჩვენებს დროსა: ლებო უჩვენებს ფეროზის სიკვდილს 484 ანუ 485 წ.[5]; ქართული ავტორი სპარსთა მეფის ომის

1. *H. du B—E.*, VII, p. 141, 244.—2. Lebeau, *H. du E—B.*, VII, 251—259.—3. ib., IV, 252, 256 და შენიშვ.; VI, 267, 442, 459.—4. Lebeau, *H. du B—E.*, VII, 251 n. 1.—5. ib., 259, 305.

დასასრულს აღნიშნავს 473 წ.; მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ამბების ქრონოლოგია ორისავე მხრივ საეჭვოა. ამასთანავე ქ-ცხბის წარმოდგენით ფეროზს ჰყვა თან პატრიკი ანუ ანტიპატრიკი ბერძენთა ლეონი, და ბიზანტიელების თქმით იმას ახლდა დესპანი იმპერატორის ზენონისა სახელით ევსევი[1]."

ვახტანგის ცხოვრება, რომელსაც განსხვავება თითქმის არა აქვს არც ერთ ქ-ცხბის ვარიანტში, ისეა შედგენილი, რომ ზღაპრულ მოთხრობას მიემსგავსება; მაგალ. იმისი გმირული თვისება და პირადი ბრძოლა სხვა და სხვა ბუმბერაზებთან ანუ გოლიათებთან; იმისი ბევრთა-ბევრეული ლაშქრობა; ასი-ათასობით მტრის დატყვევება; ყველგან ძლევა-მოსილი გამარჯვება,-ყოველივე ეს, ვიმეორებთ, სრულიად არაკი თუ არ არის, უეჭველად გაზვიადებულია პანეგირისტისაგან. აქ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში შემდეგნი გარემოებანი: 1) ვახტანგის თანა-მედროვე სომხითის მემატიანის ფარბეცის თქმით, ვახტანგი, რომელმაც ვითომც თავის ნათესავს ვაზგენს თავი მოაკვეთინა და ისე დაჯდა ტახტზე, იყო მხდალი, მცბიერი და მოღალატე[2], თუმცა ფარბეცის ნაამბი, როგორც ზოგიერთი სხვა და სხვა თქმულება სომხურის ისტორიისა ქართველებზე, თავთავის ადგილს ჩვენ შრომაში შემოტანილი, ჩვენ ვერ შეგვიწყნარებია. 2) ქ-ცხბის მოთხრობავე გვიჩვენებს ვახტანგის წინათაც და თვით იმის დროსაც, რა ძალა და გავლენა ჰქონდათ სპარსებს საქართველოზე. ვახტანგის დროს სპარსეთის ჯარი თავისუფლად შემოდის ჩვენ ქვეყანაში; აქ სპარსნი აფუძნებენ თავიანთ აღსარებას ანუ ცეცხლის-მსახურებას და ამ სარწმუნოების მღვდელთ-მთავარსაც ამყარებენ; აქვე თავსა ჰკვეთენ რაჟდენს ცეცხლის-მსახურების უარყოფისა და ქრისტეს სჯულის მიღებისათვის; აქვე მოიკვლის იმათგან თვით ვახტანგი. რომ ქართლი იმ დროს სპარსეთს ჰყვანდა ქვე-ვრდომად, ამასვე გვიმტკიცებენ ერთის მხრით ჩვენი მაშინდელი მანეთები, რომლებზედაც სასანიანთ ცეცხლის-სამსახურო ემბლემა

1. Lebeau, *H. du B—E.*, VII, 252; *H. de la G.*, I, 189, n. 2.

2. Langlois, *Collect.*, II, 325—337, 344—345; Lebeau, *H. du B—E.*, VII, 270.

არის წარმოდგენილი[1]; მეორის მხრით ბიზანტიელების თქმულება გუბაზზე, რომელიც მეფე თურმე იყო ლაზიკისა ანუ შავი-ზღვის პირის საქართველოჲსა და რომელიც ისე იყო შევიწროებული სპარსთაგან, იმათ მომხრე ივერიელებითურთ, რომ იძულებულ იქნა 466 წელს შემწეობა გამოეთხოვა მას ბიზანტიის იმპერატორისაგან[2]. ჩვენ ვნახავთ შემდეგ, რომ ფარსმან მეექვსის დროს სპარსნი თვით ლაზიკაში ბიზანტიელებს აუტეხენ დიდ ბრძოლას, რომელიც გასწევს 549 წლიდამ 551 წლამდე. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ არც ერთ შემთხვევაში, როდესაც სპარსნი ან ბიზანტიელნი ერთი-მეორეს ანუ ვისმე ებრძვიან ვახტანგის თანა-ზიარით, არა-ვითარ ცნობას არა ვპოულობთ ვახტანგზე, გარეშე ქართლის ცხოვრებისა, მაშინდელს მსოფლიო ისტორიულ წყაროებში.

არ უარ-ვყოფთ, რომ ვახტანგი იყო მეომარი განკვითარებული: ეს აზრია წარმოთქმული თვით რაჟდენის ცხოვრებაში; ეს აზრი კვლა გავრცელებული შემდეგ მთელს ქართველობაში და თვით ვახტანგის დროს სომხითის საზოგადოებაში[3]. მაგრამ გმირულ მამაცობას იმისას არ შეეძლო იმ დროს, როდესაც ვახტანგის ხელში იყო მხოლოდ ერთი საქართველოს ნაწილი, არა-ვითარი წინააღმდეგობა მიეყო სპარსეთისათვის. არ უარ-ვყოფთ იმასაც, რომ მიწვეული სპარსეთის მეფისაგან მონაწილეობის მისაღებად სპარსეთის მოსაზღვრე ჰუნნებთ ანუ ხაზართ წინააღმდეგ, ვახტანგი ქართულის წყობით ახოვანებას აღმოიჩენს და სახელ-განთქმული დაბრუნდება. ეს აზრი იმაზედაც მყარდება, რომ იმისი ცხოვრების უმთავრესნი შემთხვევანი, როგორც ვნახეთ, არ არიან ისტორიის წინააღმდეგნი და გარდა ამისა ჩვენის წელთ-აღწერის ავტორებს საზოგადოდ არა აქვთ განგებ სიცრუით საუბარი საქართველოს ისტორიულ პირებზე და საზოგადოდ ისტორიულ სიმართლეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგინი სცდებიან.

საკათალიკოზოს დაწესებაზე საქართველოში ვახტანგის დროს

1. Langlois, *Essai de classif*... 20—31.—2. *H. de la G.*, I, 172, n.; Lebeau, *H. du B.-E.*, VII, 448.—3. Langlois, *Collect.*, II, 396.

ბროსსე ფიქრობს, ვითომც ეს შემთხვევა მომხდარიყოს 475—478 წელსა ანტიოქიის პატრიარხის პეტრე კნაფეს ანუ ფულონის დროს და „მანუსკრიპტი" № 1141 პეტრეს დადგენას ქართლის კათალიკოზად უჩვენებს „წელსა რ ო-სა—170 ქართლის მოქცევიდგან" ესე იგი 487 წ., თუ ქართლის მოქცევა მოხდა 317 წ., და თუ 328 წელს—498-სა. ბალზამონის თქმულებით, რომელიც ჩართულია წმ. მოციქულთა კანონების გამოკვლევაში ლათინურ ენაზე და 1680 წელს პარიჟში გამოცემული, „იტყვიანო, რომ უწმინდესის ანტიოქიის პატრიარხის პეტრეს დროს მოსდათ კრების განჩინება, რომელმაც დასკვნაო, რომ იბერიის ეკლესიას თავისუფლება და თვით-მმართველობა მიენიჭოსო ანტიოქიის პატრიარხის მოძღვრების ხელ-ქვეშედ[1]."

ვახტანგის ცხოვრება უჩვენებს „ნებროთის წიგნსა," რომელიც თვით მირიანის ცხოვრებაშია ნახსენები „(ქ-ცხბა", I, 84, 123). გვარწმუნებენ, ვითომც ეს წიგნი მოიპოებოდეს აქამომდე საქართველოში. აღმოჩნდება თუ არა არ ვიცით; მაგრამ კი შევნიშნავთ, რომ, ჩვენის მოაზრებით, ნებროთის წიგნად უნდა იწოდებოდეს ანუ „ადამის ცხოვრება", ანუ „ენოქის წიგნი", რომელნიც შეიცავდნენ რაბბინების გარდამოცემას ადამისა და იმის შემდეგის დროზე, რომელნიც იყვნენ გავრცელებულნი ძველადვე სირიაშიაც, სომხითშიაც და ბიზანტიაშიაც და რომელნიც შემოაქვთ მიხეილ სირიელს და მხითარ აირივანქელს თავიანთ ხრონიკებში[2]. „ადამის ცხოვრებას" თვით გიორგი მთა-წმინდელიც იხსენიებს, მაგრამ აპოკრიფულ შრომათა ჰსადის. სრული ცნობები ამ საგანზე ნახე ლანგლუასაგან სართულს მიხეილ სირიელის ისტორიის შენიშვნებში[3].

1. *H. de la G.*, I, 192 n. 1, 2. აქვე განიხილე ცნობები პეტრე კნაფეზე, რომელიც პატრიარხად იჯდა პირველად 471 წელს, მეორედ 475—478 წ., მესამედაც 485—488 წელსა. სჩანს 498 წელს პეტრე აღარ პატრიარხობდა და მაშასადამე როო-ც ქართლის მოქცევას უახლოვებს იმ დროს, რომელიც ზემოდ (გვ. 147, შენ.) ვუჩვენეთ.

2. Langlois, *Chronique de Michel le Grand*, 22—23.; *Mél. Asiat.*, V, 330–331; *Les Ruines d Ani*, II, 22.—3. „ადამის ცხოვრება" ამ მოკლე დროს ქართულ ენაზედაც აღმოჩნდა დავით-გარესჯის წიგნთა საცავში და მოითხოვს განხილვასა.

თუ შესაწყნარებელია ის საბუთები, რომლებზედაც ჩვენ ვაფუძნებთ ჩვენს წერილსა „პროფესორი მარკვარტი და ქართული ისტორიის წყაროები“ და რომელნიც არიან ჩართულნი ზემოდ (გვ. 39 და შემდ.), რომ ქ-ცხნა ძველადვე შედგენილი, მაშ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მირიანის დროს თუ არა, ვახტანგის დროს მაინც ნამდვილად გვქონდა უცხო ენიდამ ნათარგმნი წიგნები; რომ ჩვენის მატიანის გარდამოცემა, „მეუღლეს მირდატ მეფისას (408—410) საგდუხტს უთარგმნესო სახარება“ (ქ-ცხ., I, 110; ფარსმან VI-მ (542—557) „მისცაო ევაგრეს სახარება, ფრიად მშვენიერად შემკობილი სანატრელის მეფის ვახტანგის მიერ“ („მამ-ცხ. შიომღვ.“, 40), არ არის უარ-საყოფელი გარდამოცემა. ამ აზრის დასამტკიცებლად შემდეგ ფაქტებსაც ვუჩვენებთ. ჩვენა გვაქვს ხელად ორი ძველად-ძველი ვარიანტები სახარებისა ანუ ოთხ-თავისა, „ქსნისა“ და „ურბნისისა“, რომელნიც თავის შინაარსით სრულებით განსხვავებულნი არიან გიორგი მთა-წმინდელის მიერ მე-XI საუკუნეში შესწორებულის ვარიანტისაგან. გარდა ამისა გვაქვს მე-VIII-IX საუკუნოების ტყავზე ნაწერი წიგნები, რომელთაც თავ-თავის ადგილს გავარჩევთ და რომელნიც შეიცავენ მრავალს წმ. მსოფლიო მამათა სწავლა-მოძღვრებაებსა და სხვა და სხვა ტრაქტატებსა და იმათი კითხვა, როგორც ეს წინათაც გვითქვამს, გვიჩვენებს პირველად იმასა, რომ თუ იმ დროს მწიგნობრობის ენა ისე ყოფილა განვითარებული, როგორც იგინი გვიჩვენებენ, მაშ ცხადია, ამ ენას მანამდე რამდენიმე საუკუნო უვარჯიშნია; მეორედაც იმასა, რომ მაშინ არა თუ ახალი მცნება, თვით ბიბლიაც თარგმნილი გვქონია. ივერიის მონასტერში ათონის მთაზე დაცულია აქამომდე თვით ჩემგან შარშან იქ ნახული ორ დიდ ფოლიანტად ტყავზე ქართული ბიბლიის პირი, გადაღებული მე-X საუკუნეში და თორნიკე ერისთავისაგან შექმნილი. კითხვა: რამოდენა დროს უნდა გაევლო, ვიდრე იგი ითარგმნებოდა? ამ საგანზე აქ იმისთვის მივაქცევთ ჩვენის მკითხველის ყურადღებასა, რომ არიან პირნი, რომელნიც ფიქრობენ, ვითომც ახალი მცნება იყოს პირველად თარგმნილი მე-XI საუკუნეში გიორგი მთა-წმინდელისაგანა.

თვით ზემოდ ხსენებულს ოთხ-თავებზე ,,ქსნისაზე'' და ,,ურბნისისაზე'' შეგვიძლიან აქ ჩვენს მკითხველს გადავცეთ შემდეგი საინტერესო ცნობები[1].

ამ ორივე ოთხ-თავთაგანი პირველი დიდ-ხანს ნაგდები ერთს ახალგორის ეკლესიის ეზოში და ამის გამო ბევრ ადგილს სინოტიოსაგან შეჭმალი, ამასთანავე მომეტებულ მოკლებული მათეს სახარებისა, რომელიც გატანილია პეტერბურგში. აქ დარჩენილს ნაწილს არ უჩანს არა-ვითარი მინაწერი. ,,ურბნისის'' ოთხ-თავი, ნაშრომი იოანე ტატანელისა, ეკუთვნოდა თურმე ერთს ტაო-კლარჯეთის ეკლესიათაგანს და, როგორც იმისი მინაწერები უჩვენებენ (იმათ შორის ერთია მე-X საუკუნის ბედიელის მღვდელთ-მთავრის ანტონი ჟვანიძისა), ბევრი უმგზავრნია—სამეგრელოში, იმერეთში, ასტრახანში და იქიდამაც ურბნისში.—ქსნის ოთხ-თავი მეტად სქელ ტყავზეა ნაწერი მთლად ძველად-ძველის ასოების ფორმებით, სრულებით არ უჩვენებს კვალს ნუსხა-ხუცურისას და არც ქორონიკონს და იქნება ეს ქორონიკონი აღმოჩნდეს გატანილს ფურცლებში. ურბნისის ოთხ-თავი უფრო შემდეგის დროისაა: ეტრადი უფრო წმინდაა; ასოების ფორმები უკეთესია; ადგილ-ადგილ იხმარება ნუსხა-ხუცურიცა და კანონებიცა ზანდუკითურთ. შესანიშნავია იმისი ქორონიკონი თავსაც და ბოლოსაც: ,,დასაბამიდგან ხრი—6110'', ქართულის გამოანგარიშებით 506 წ., ბერძნულის გამოანგარიშებით 602 წელი. რა საკვირველია, აქ უნდა იგულისხმებოდეს ბერძნული წელთა-თვლა, რადგანაც იმ დროს ქართული ქორონიკონი ჯერეთ არა ჩანს. უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ ორსავე ადგილს ციფრები შესხლებულია, მაგრამ შესხლებულის ასოების ქვეშ ეტყობა, თუმცა ძნელად, ძველი ციფრები. ეს გარემოება ცოტა არ არის რომ ეჭვსა ჰბადავს.

ორივე ვარიანტის შინაარსი ჩვენ შევუთანასწორეთ ერთი-ერთმანეთსაც და მე-XI საუკუნის გიორგი მთა-წმინდელის ვარიანტ-

1. სრული ცნობები ამ საგანზე ნახე ჩემს წერილში: *Древніе варіанты грузинскаго четверо-евангелія*—Труды V-го Археол. Съѣзда въ Тифисѣ, стр. 215—220.

საცა. აღმოჩნდა, რომ უძველესია ქსნის ოთხ-თავი, შემდეგია ურბნისისა და სულ უკანასკნელია გიორგი მთა-წმინდელისა. განსხვავება სამივეში მეტის-მეტია.

ჯერ აქ იმას ვიტყვით, რომ ჩვენ არა გვაქვს ფაქტი იმაზე, თუ რომელი ენიდამ არის თავ-და-პირველად სახარება ქართულად ნათარგმნი; ვფიქრობთ სომხურიდამ, რადგანაც უძველეს ვარიანტებში შეინიშნება გავლენა სომხურის ენისა და გარდა ამისა ვნახავთ, რომ ჩვენები არა იშვიათად შემდეგშიაც თვით მამათა სწავლა-მოძღვრებაებს სთარგმნიდნენ სომხურიდამ, როგორც სომხურზე ქართულიდამ. რა საკვირველია, ჯეროვანმა შედარებამ ძველის ჩვენის ოთხ-თავის ვარიანტებისამ სომხურ სახარებასთან უნდა მოგვცეს უეჭველი ცნობა ამ საგანზე./ აქ ჩვენ მხოლოდ შემოვიტანთ ზოგიერთს ლექსებს ძველის ჩვენის ვარიანტებისას, რომელნიც ჩვენის ფიქრით სომხურ კვალს უჩვენებენ; მაგალ., ,,პარაკად. ესე წარიქციეს პარაკად, რათა აღიღოს ჯვარი მისი'' (მათე, XXVII, 32); ,,პეროინ. და სულმან უკეთურმან შეიპყრა იგი და მეყსეულად ღაღატყვის და დაჰკვეთის იგი და პეროინ და ძნიად განეშორის'' (ლუკა, IX, 39). „რაჲ-ძი, ვინ-ძი.“ რაჲ-ძი უნდის სახელდებად მისა'' (ლუკა, I, 58). ვინ-ძი იყოს უდიდეს“ (ლუკა, IX, 46). ამასთანავე ქსნის ვარიანტში შეჰხვდებით იმ-გვარ ფრაზებსა, რომელნიც შემდეგ ძალიან იშვიათად იხმარებიან: „მუნთქვესვე'' ნაცვლად ,,მეყვსეულად'' (მათე, V, 27; მარკოზ, I, 10; VII, 34; X, 52; XV, 1). ,,შოვრის; შოვრსა; განეშოვრა; იყოფვოდა; უფლებედ ნაცვლად უფლებენ; მიეგებვოდა; სცხომდეთ; ამბვორის-ყოფა; მარჯულ და მარცხლ; ადგილ-ადგილ'' (მარკოზ. X, 38; ლუკა, VI, 7; VII, 34; XII, 46; XIX, 11; XXI, 11; XXII, 24; XXIV. 35; იოანე, IV, 2; V, 34; XI, 11, 25; XII, 19, 22). ზოგიერთს საკუთარ სახელებსაც ქსნის ოთხ-თავში სომხური ფორმა აქვს, მაგალ., ,,იოსეფ'' (იოანე VI, 43); ,,იოჰანე ანუ იოვანე'' (მარკოზ, I, 29); ,,ნოვე'' (ლუკა, III, 35). კაპერნაუმ ქსნისაშიაც და ურბნისისაშიაც ყოველთვის იწერება ,,კაფარნაუმ''; ეს ფორმა არ იცის არც გიორგის ვარიანტმა, არც ლათინურმა, არც ბერძნულმა და არც სლავიანურმა.

ზოგიერთი ტერმინები ქსნისაშიაც და ურბნისისაშიაც იწერება იმათის განმარტებით; მაგალ., ტალანტი, რომელ არს ქანქარი (მათე, XXV, 14); დრაჰმა, რომელ არს სატირი (ლუკა, XV, 8), პასქაჲ, რომელ არს ვნებაჲ (მათე, XXVI 19; იოანე, XIII, 1). ეს უკანასკნელი შერჩენილა გიორგის ვარიანტში მხოლოდ მარკოზის XIV, 1. ჩანს, ეს განმარტება პასექისა იპოვებოდა თვით უძველესს ბერძნულ ტექსტებში და რადგანაც გრიგოლ ღვთის-მეტყველმა ამხილა იმისი წინა-აღმდეგობა ჭეშმარიტებისა[1], ამისგამო, უნდა ვიფიქროთ, იგი გამოირიცხა შესწორებულს ვარიანტებში, იმათ შორის თვით გიორგის ვარიანტში.

ქსნის ოთხ-თავში იპოვება მრავალი განსხვავებული ან გამორიცხული ლექსები, რომელთაც ასწორებს ურბნისის ოთხ-თავი და შემდეგშიაც ამ გვარ ადგილებს ერთისასაც და მეორისასაც ასწორებს გიორგი მთა-წმინდელის ვარიანტი. იმათ შორის ჩვენ აქ მივაპყრობთ ყურადღებას შემდეგებზე.

1. ქსნის სახარებაში თვითოეულს სახარებას აქვს უცნაური სათაური, შემდეგ რამდენადმე შეცვლილი ურბნისის სახარებაში და უკანასკნელს ვარიანტებში კი აღარ იმეორება. ეს სათაურია: „სახარება მარკოზის თავისა: თავი..“; „სახარება იოვანეს თავისა: თავი..“ ურბნისისაში: „სახარება მარკოზის თავი... სახარება იოვანეს თავი.“ ამ სათაურის აზრი უჩვენებს, რომ თვითოეული სახარება მთლად მიღებული იყო როგორც ერთი თავი, რომელიც შიგნით თავებადვე იყოფებოდა. აქედამ წარმოსდგა, რა საკვირველია, სახელ-წოდება ქართული ,,ოთხ-თავი.''

2. მათეს სახარებაში (XXVII, 2) ,,პონტი, პონტიელი პილატე'' არ იპოვება არც ქსნისაში, არც ურბნისისაში. გვიფიქრობთ, რომ ,,პონტიელი'' შეცდომით არის მიღებული. როგორც ვიცით, სახელი პილატესი იყო პონს-პილატ და ახლანდელს სხვა და სხვა ენების სახარებებთაგანში მხოლოდ ფრანციულშია ნახმარი ,,პონსი'' ,,პონტოელის'' მაგიერ.

1. ნახე იმისნი „სწავლა-მოძღვრებანი“ მე-XI საუკუნისა მცხეთის წიგნთა საცავში, ფურცელი 21. ახლა ეს მანუსკრიპტი ჩვენს საეკლესიო მუზეუმშია.

3. ყველა ძნების სახარებაებში 25 მუხლი მარკოზის X თავისა იკითხვის აგრე: „удобѣе бо есть вельбуду сквозѣ иглинѣ ушы проити, неже богату въ царствіе Бэжіе внити; facilius est camelum per foramen acus transire, quam divitem in regnum Dei introire; გიორგისაშია: „„უადვილეს არს აქლემი ხვრელსა ნემსისასა განსვლად, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა''. ქსნის სახარებაში ეს მუხლი სრულებით არ იპოება; ურბნისისაში იგი იკითხვის ასე: „„უადვილეს არს მანქანისა (ჭახრაკისა) საბელი ხვრელსა ნემსისასა განსვლად...

4. მათეს სახარების XXI თავის 28—31 მუხლებში იგავი იესო ქრისტესი ორთა ძეთათვის გადმოცემულია ორსავე ოთხ-თავში წინ და უკან წინაალმდეგ იმისა, როგორც მიღებულია: „ვინ ორთა ამათგანმა ყო ნებაჲ მამისა თჳსისაჲ? ჰრქუეს: უკანასკნელმან.“

5. ქსნის ოთხ-თავში უკანასკნელი XIV თავი მათეს სახარებისა თავდება 8 მუხლით, და არა 20-თ, ასე რომ არ იპოება შემდეგი მუხლები. ურბნისისაში ეს ნაკლულევანება შესწორებულია. იოანეს VIII თავში არც ქსნისაში, არც ურბნისისაში არ არის პირველი ათი მუხლი.

ცხადია, რომ საჭიროება მოითხოვდა შესწორებას უწინდელის ქართულის სახარების ვარიანტებისას და ეს მოვალეობა იკისრა გიორგი მთა-წმინდელმა. იმისი სახარება ისეა შესწორებული, რომ არაფრით არ განსხვავდება ბერძნულში, ლათინურში და სლავიანურში.

აქ დავძენთ, რომ ახლა ორივე ოთხ-თავი „ქსნისაცა“ და „ურბნისისაცა“ მსურველს შეუძლიან განიხილოს ახლად ტფილისის სიონის ეზოში დაარსებულს საეკლესიო—არხეოლოგიურს მუზეუმში.

ვახტანგის დროს შეეხება რაჟდენ მოწამის ისტორიული სურათი და წმ. შუშანიკზე ცნობა, ქართველთ მამათა-ცხოვრებაებში ჩართულნი. შემოგვაქვს აქ ერთიცა და მეორეცა.

„რაჟდენ, რომელი, მამათ-ცხოვრების თქმით, ქართველთა შორის გამობრწყინვებულთა მოწამეთა დასაბამ იქმნა და პირველად ამან დასთხია სისხლი ჟამთა დიდისა ვახტანგისათა, იყო, ვითარ-

ცა ძველნი მატიანენი გვაუწყებენ, ნათესავით სპარსი დიდთა დიდებულთა მთავართაგანი და სჯულით ცეცხლის-მოსავ და მსახურ მზისა და მთვარისა, რომელსაც არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად...“ „მას ჟამსა დიდმან მეფემან ვახტანგ ინება მზახლობა სპარსთა მეფისა და მას სთხოვა ცოლად ასული იგი, რომლისად მამა-მძუძე ქმნილ იყო სანატრელი იგი და ოდეს ქმნეს ქორწილი და მოიწივნეს ქართლად, თანა ჰყვა ნეტარიცა ესე...“ „იხილა რა წესი ქრისტიანობისა და სარწმუნოება მტკიცე, იწყლა გული მისი სიყვარულითა ქრისტესითა...“ „ხოლო ოდეს მიშვებითა ღვთისათა აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხვითა მჴედრობითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლა და დაუცხრომელი მტერობა ქრისტიანეთა ზედა და უფროსად ბერძენთა მიმართ, ხოლო ჩვენ ქართველთა მიმართ ამისთვის, რამეთუ ეძვინებოდა ჩვენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობა და ესე იყო ნება მათი, რათა ჩვენცა მათთანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა...“ „იწამა ქართლსა შინა სოფელსა წრომსა...“ „შემდგომად იქმნა მშვიდობა დიდი შორის სპარსთა და ქართველთა და ქმნეს ზავი ურთიერთას და გამოვიდა მეფე ვახტანგ და იხილნეს ურთიერთა, ხოლო მეფე სპარსთა შეიქცა მუნვე და წარვიდა სამეფოდ თვისად და მიერიდგან იქმნა მეუდროება დიდი; მაშინ მეფემან ვახტანგ იწყო ძიებად ნაწილთა მათ წმინდისათა, რამეთუ ფარულად იყო დაკრძალული.. „და მიიწივნეს ნიქოზს და მუნ დაკრძალნეს დიდითა დიდებითა[1].“

შუშანიკი, წმინდათა შორის შერაცხული ქართულისა და სომხურის ეკლესიისაგან, იყო ასული სომხითის მხედართ-მთავრის ვარდან მამიკონიანისა და მეუღლე ქართლის სომხეთის პატიახშის ვასქენისა, არშუშას შვილისა. ორივე წყარო ქართული და სომხური ეთანხმება ერთი მეორეს, რომ ვასქენმა უარ-ჰყო ქრისტეს სჯული, მიიღო სპარსეთში ცეცხლის აღსარება და რადგანაც შუშანიკი ვერ დაითანხმა მამა-პაპურის სარწმუნოების უარ-ყოფაზე, სტანჯა იგი და მოაკვლევინა საპყრობილეში. მაგრამ რა დროს ეკუთვნის ეს გარემოება? ამაზე წინააღმდეგნი არიან სომხური წყარო და

1. „მამ-ცხ. შ-მლგ“, 222—227.

თვით ქართული მარტვილიკა შუშანიკისა ერთის მხრით და ქ-ცხბა და საქართველოს კათალიკოზი ანტონი I მეორის მხრით. პირველნი იმ შემთხვევას უწვენებენ ვახტანგ გურგასლანის მეფობაში (446—499), ესე იგი შუშანიკის სიკვდილს 458 წ., მეორენი ბაკურ III-ს დროს (557—570 წ.). განსხვავება ამ ორ-გვართა ცნობათა შორის, როგორც ვხედავთ, ერთ საუკუნეს შეადგენს. ამასთანავე ქართული მარტვილიკა შუშანიკისა გვარწმუნებს, რომ შემდეგ იმის წამებისა მეფემან ვახტანგ გურგასლანმა შეკრიბნა ლაშქარნი თვისნი ფარულად და განიმხედრა ვასქენსა ზედა... დაეცა მას ვახტანგ, შეიპყრა იგი და ჩამოჰკიდა ძელსა ზედა.. ჭვალად იტყვის ძველი მატიანე მეფემან ვახტანგ წარმოასვენა წმინდა შეურყეველი გვამი სანატრელისა და დიდითა პატივითა დაკრძალა იგი ეკლესიასა შინა ცურტავისასა.. ქართლის ცხოვრება ამ სიტყვებსვე იმეორებს, მაგრამ ვახტანგის მაგიერ იხსენიებს ბაკურ მეფეს[1]. ქ-ცხბას ეთანხმება თვით „ქართლის მოქცევის“ მატიანე[2]. მაგრამ ერთი ესა, რომ იმ დროს, რომელსაც პირველნი წყარონი იხსენიებენ, დიდის დევნულობის გამო ქრისტიანობაზე სპარსელების მხრივ, მართლა და რამდენნიმე სომხითის მთავარნი იძულებულნი იყვნენ ცეცხლის აღსარება მიეღოთ; იმათ რიცხვში უნდა იყოს თვით ვასქენი; მეორეც ესა, რომ ყველა ისტორიულნი პირნი შუშანიკის დროს ნამდვილად პირველ წყაროთაგან ნაჩვენებს დროს სცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ.

ზემოდ ხსენებული ცურტავი ითვლებოდა ვასქენის ადგილ-სადგომად და საზოგადოდ ძველად ქართლის სომხეთის დედა-ქალაქად. ვახუშტის ფიქრით ცურტავი არის ახლანდელი ასტალა[3]; სომხურის წყაროს ჩვენებით კი გაჩიანი, „მშვენიერი, ვრცელი და მჭიდროდ მოსახლე და აწ (IX საუკ.) შემცირებული და დაცემული, მდებარე გაჩიანის მდინარეზე, საქართველოსა და სომხითის საზღვრად, პირის-პირ კავკასიისა, მოსაზღვრევე გასაოცრად გაშენებულისა და მშვენიერისა ტფილისისა“[4].

1. „ქ-ცხ., 160 n. 3.—2 „მანუსკრ.“ № 1141, გვ. 444.—3 „გეორ. ალწ.“ 104.—4. *Addit. à l' hist. de la G*, 109.

აქ უნდა მოვიხსენოთ ერთი ჩვენთვის ღირს-სახსოვარი სომხურის წყაროს ფაქტი, რომელიც წმ. ნინოს ჯვარს შეეხება. „რამოდენისამე დროს წინათ თავის სიკვდილისა, ჰხედავდა რა საქართველოს ეკლესიების წაბილწებასა, შუშანიკმა გამოატანინა მცხეთიდამ სასწაულთ-მოქმედი ჯვარი წმ. ნინოსი, რომელიც ჯერ ჭაჩარუ-განქის მონასტერში დაასვენეს, მასუკან წაასვენეს სპერში, სადაც ქვეყნის არეულობის გამო დიდ-ხანს იყო მიმალული; შემდეგ მან დაჰყო კაპოეტის ციხეში, მასუკან განანდის მონასტერში, რომელსაც იმის გამო დაერქვა ხაჩი-ვანქი (ჯვარის მონასტერი). როდესაც სომხის პატრიარხი ნერსეს III განივლტო ტაიკში 649—661 წ., ნინოს ჯვარი წაასვენეს შირაქის თემის დპრავანქიდამ ახთამარში... ბოლოს იგი გადატანილ იქნა ყარსში, იქიდამაც 1198 წ. ანში, მაგრამ ანის აოხრების დროს 1239 წ. მონღოლთ მხედართ-მთავრის ჩარმაჰანისაგან იგი დაკარგულ იქნა[1]."

ვახტანგმა დატოვა შვილები: დაჩი (499—514), ლეონ და მირდატ და ქალი N. დაჩი ასრულებს ტფილისს, სადაც მამის ანდერძით მას გადააქვს სამეფო ტახტი; კახეთის მთიულთ მოიწვევს ქრისტეს სარწმუნოებისა მისაღებად, მაგრამ ნოსპატელნი უარ-ჰყოფენ და განდგებიან. დაჩის მეფობაში კვდება კათალიკოზი პეტრე და იმის ადგილს იჭერს სამოელი. ლეონ და მირდატ, ნაშობნი კეისრის ქალისაგან, ჰფლობენ ფარვანით ტასის-კარამდე და სპერის ჩლვამდე, იწოდებიან ერის-თავთ მთავრებად და ემორჩილებიან დაჩისა; კვდება ლეონ და რჩება მირდატ, რომელიც აშენებს ეკლესიას წყაროს-თავისას ჯავახეთში. ქალი N ირთავს გვარამ ბაგრატიონს, წინა-პარს გვარამ კუროპალატისას, რომლისგანაც შემდეგ იქნება თქმული.

შემდეგნი მეფენი: ბაკურ II (514—528) და ფარსმან V (528—542). ამის დროს სპარსნი აოხრებენ ქართლსა; ბერძენნი არიან გართულნი და ვერ აძლევენ ფარსმანს შემწეობასა. სპარსნი ფარსმანის ხვეწნით ხელ-უხლებლად სტოვებენ ეკლესიებსა და „მი-

1 *Addit. à l' Hist. de la G.*, 76 n. 3; ჩემი *Кавказъ въ древн. памятникахъ христіанства*, стр. 146.

რადგან, მატიანის თქმით, „შვილნი დაჩისანი მსახურებენ სპარსთა, შვილნი მირდატისანი დადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა". კვდე-ბა კათალიკოზი სამოელ და კვდება თავფეჩაგ და ამის შემდეგია ჩირ-მაგ.

ამ ფარსმანის დროს მეფობდნენ: სპარსეთში ხოსრო ნუ-შირვან დიდი (531—579 წ.), რომელსაც გადმოუთარგმნინებია სანსკრიტულის ენიდამ სპარსულად ქოლეილაჰ-ვე-დამნე ანუ ქილილა და მანა[1], და ბიზანტიაში იმპერატორი იუსტინიანე I[2], (527—565). ამ დროს გავლენა სპარსეთისა საქართველოზე ჩვენ გვიამბეს რამდენთამე მაშინდელთ ბიზანტიის მწერალთა, რომელთა შორის განსაკუთრებით ჩვენის მხრით ყურადღების ღირსია პროკოპი, მო-ბილი 529 წ., სეკრეტარი იუსტინიანის განთქმულის მხედართ-მთავრის ბელიზარისა, რომელსაც თან-დაჰყვებოდა იგი. პროკოპიმ დასტოვა შესანიშნავი ცნობები იმ დროის დასავლეთ საქართველო-ზე ანუ, როგორც მაშინ უწოდნენ, ლაზიკაზე. ამ ლაზიკას შე-ადგენდნენ: აწინდელი იმერეთი, სამეგრელო და გურია ჭანეთით ანუ ლაზისტანით. ამ მხარის უმთავრეს მდინარეზე ანუ რიონზე ბიზანტიელების ნამდვილი წარმოდგენა არა ჰქონდათ. (მის დასაწყისს იგინი უჩვენებენ ხან კავკაზის მთებში, ხან სომხითის საზღვარში. თვით იმ ადგილს, სადაც ის იწყობოდა, უწოდებენ ბოას-ად ანუ გოას-ად, შუაგულს-ფაზად ანუ რეონად და შესართავს-აკამპსი-სად. ხან და ხან ფაზად სახელ-სდებენ ჭოროხს, ყვირილას, მი-რულას და ჩხერიმელას. იმათგან ისხენიება აგრეთვე სხვა მდინარეე-ბი: დოკონი ანუ, ბროსსეს ფიქრით, ტეხური, ხობუსი ანუ ხოპი, კათარუსი ანუ სორგა, ნეოკნუსი ანუ ბეჩორა (?), ჭიპპისი ანუ ცხენის-წყალი; ციხე-ქალაქები: პეტრა, რომელსაც დიუბუა ეძებს ახლანდელს გამნარში, მახლობლად ოზურგეთისა; არხეოპოლისი ანუ ციხე-გოჯი (ნაქალაქევი), ქოთათისიუმი—ქოთაისიუმი, (ქუთა-ისი), უხიმერიუმი ანუ ქუთაისის ციხე, როდოპოლისი ანუ ვარდ-ციხე, ფაზისი ანუ ფოთი, ბათუ ანუ ბათუმი, სკანდა და

1. *Voyage de Chardin—Notice chronol.*, X, 179—180.—2. Sabatier, *Descr. génér. des monn. byzant.*, I, 170.

სარაპანა (შორაპანი), სებასტოპოლი—შემდეგ ცხომი, სუხუმი, პითიუსი ანუ ბიჭვინტა, კეტიპეუმი ანუ ქაჯეთა-ტუხი (არტანი) ანუ ქაჯეთის-ციხე. მაშინდელ თემებთა რიცხვში უნდა აღვნიშნოთ: არქეპი, ადრანუძიუმი ანუ არტანუჯი, აძარა ანუ აჭარა, კასტეთიუმი, გულიუმი, გორგურიუმი ანუ გურია, მეგისტა ანუ მცხეთა, შინკელიახი ანუ სამეგრელო, ტიფლისიუმი ანუ ტფილისი. და სხ.)

„ლაზები ბიზანტიის სასარგებლოდ არც ხარჯის დებულებით იყვნენ დატვირთულნი, არც საკუთარის სამხედროს გამოყვანით; ვალდებულნი იყვნენ მხოლოდ დაეცვათ თავის მხარის მთის გასავლები ჩრდილო ტომთ შესაკავებლად და ეკვებებინათ ბიზანტიელი ჯარი; მაგრამ რადგანაც ლაზიკის მცხოვრებნი ღარიბნი იყვნენ პურით და თვით იკვებებოდნენ ღომით, ამისგამო მათ უკუ-აბრუნებდნენ ხოლმე; მარილი იქ სრულებით არ იყო: მარილს შოულობდნენ მხოლოდ აღებ-მიცემობით ბერძნებისაგან, რომელთაც მის ნაცვლად აძლევდნენ გამოუქნელს და გამოქნილ ტყავებს, ქსოვილებს და უფრო ტყვეებს ორსავე სქესისას". მაშინდელნი ლაზიკის მეფენი: გუბაზი, წათესი, დამნაზესი, გუბაზი II და ქართლის მეფე გურგენი, რომელმაც კობადის დროსვე იმპერატორის იუსტინის მფარველობას მიჰმართა, როდესაც კობადმა ქართლი დაიჭირა 523 წ., სრულებით არ არიან ქ.-ცხ.-ში ცნობილნი.

ლაზიკა დიდის-ხნითვე ბიზანტიას ექვემდებარებოდა; მაგრამ სპარსეთი ისაკუთრებდა ლაზიკას, როგორც საქართველოს ნაწილს. ამ საგანზე რამდენჯერმე მოხდა განხეთქილება სპარსეთსა და ბიზანტიას შორის; ბოლოს ასტყდა მკაცრი ბრძოლა: ლაზიკაში შევიდა დიდი სპარსეთის ჯარი და ფარსმან მე-VI დროს შემდეგ კაი-ხანის ბრძოლისა, რომელმაც გასწია 549 წლიდამ 551 წლამდე, სპარსთა დამარცხებულთა დასტოვეს ლაზიკა[1].

1. ლაზიკაზე ისტორიულ ცნობებს, ვრცლად გამოკრებულს ბიზანტიელთ ისტორიკოსთაგან, იმათ შორის თვით პროკოპისაგან, ჩვენ გვაძლევს ლათინურს ენაზე Stritter-ის *Memoriae populorum*, მე-IV ტომი. ამ წყაროდამვე გამოუკრებიათ ლაზიკის შესახები ფაქტები ლებოს (*H. du B—E.*, VIII, 25—42, 282—283; IX, 44—50, 196—220, 313—332, 428—430, 436—441); დიუბუას (*Voyage*,. II, 67—133) და თვით ბრო-

ფარსმან VI (542—557). ამის დროს ბრძოლა სპარსთა და ბიზანტიელთა შორის ლაზიკაში (ნახე ზემოდ გვ. 179). კვდება კათალიკოზი ჩერმაგ და ჯდება საბა. ფარსმან შეწევნას აძლევს იუსტინიანეს დასაპყრობად ტასკუნთა ნათესავისა, „კერძოთა ოვსეთისათა, საზღვარსა ავაზგიასასა"[1]. იუსტინიანე, როგორც ზემოდ ითქვა, აფხაზთ აქრისტიანებს და აფხაზეთში აშენებს ღვთის მშობლის ეკკლესიას ბიჭვინტისასა.

აფხაზთ მოქცევაზე იუსტინიანესაგან პროკოპი გვიამბობს შემდეგსა. „აბაზგნი (აფხაზნი), რომელნიც ვრცელდებიან კავკაზამდე, მველადვე ექვემდებარებოდნენ ლაზებსა და იყვნენ ბძანებლობას ქვეშ ორთა უკანასკნელთა მთავართაგანთა, რომელთაგან ერთი განაგებდა დასავლეთის ნაწილს, მეორეც აღმოსავლეთის ნაწილს მხარისას. ეს ბარბაროზნი თაყვანსა-სცემენ თვით ჩვენ დროსაც ჭალა-ტყეებსა და თავიანთ უმეცრებაში ამ ხე-ტყეებს ღმერთთა რიცხვში ჰრაცხვენ. იმათ მეტის-მეტად მტარვალობდნენ იმათნი მთავარნი. როდესაც ესენი ჰპოებდნენ ამ ტომის ყმაწვილებს მშვენიერის სახისას და მოყვანილებისას, დაუბრკოლებლივ სტაცებდნენ იმათ მშობლებსა, უსპობდნენ იმათ მამა-კაცობასა და ჰყიდნენ დიდ ფასად რომის იმპერიაში და ამასთანავე ჰხოცავდნენ მშობლებსა, რომ ვისმე იმათგანს საჩივარით არ მიემართა იმპერატორთან და არ ყოფილიყო იგი მკაცრად დასჯილი.. ახლა, რაკი იუსტინიანე მეფობს, აბაზგების სვე უკეთ წარემართა. იმათ აღიარეს ქრისტიანობა და იუსტინიანე ავგუსტმა წარუგზავნა სასახლის საჭურისი, ნათესავით აბაზგი ევფრატი, რომ იმათ მთავრებისათვის აღეკრძალა

სეს (*Addit. àl' Hist. de la G.*, 1851, 81—107). თვითეული ამ უკანასკნელთა სამთაგანი გვიხატავს სტრიტტერის შემწეობით სრულს სურათს ლაზიკის გეოგრაფიისას და ისტორიულის გარემოებაებისას.

1. ეს ადგილი გამოკრებულია შიოს ცხოვრებიდამ, რომელიც შეუდგენია ერთს იოანეს ზედაზნელის მოწაფეთაგანს მარტირის კონსტანტინეპოლიდამ და რომელშიაც ავაზგია არის ბერძნული ფორმა Αὐαζγία და ტასკუნი, ბროსსეს ფიქრით, უდრის Καζαχία კონსტანტინე პორფიროგენიტისას და თვით ეს გამწედრება უნდა უდრიდეს ერთს რომელსამე გამხედრებას იუსტინიანესას აფხაზეთში, განსაკუთრებით 550 წლისას (*H. de la G.*, I, 202. n. 6, 212 n. 4).

შემდეგში განხვებულობა მამა-კაცობისა. აბაზგთ დიდის სიხარუ-ლით მიიღეს წარგზავნილი იმპერატორის ბძანებითურთ და თავის მხრით ყოვლის ღონისძიებით შეუდგნენ იგინი ამ ბძანების აღსრულებასა... ამასთანავე იუსტინიანე ავგუსტმა აღმართა იმათში ტაძარი ღვთის მშობლისა და დაუდგინა მღვდელნი, რომელთაც კვლად დასდო ესწავებინათ იმათთვის საქრისტიანო სჯულის კანონები“ [1].

ამ ფარსმან VI-ს დროს, ქ-ცხოვრებით, „არღარა მოიყვანებ-დეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ დასხდებოდეს ნათესავნი ქართველთანი“. ფარსმანის დროსვე, შემდეგ საბას სიკვდილისა, ევლავიოზის კათოლიკოზობაში შემოდიან შუა-მდინარით ქართლში ათ-ცამეტნი სირიელნი მამანი: იონე, შემდეგ ზედაძნელი, თავის მო-წაფეებითურთ.

ზემოდ იყო ნაჩვენები, რომ ვახტანგ გურგასლანის დრო-დამ ქართლში სხდებოდნენ კათალიკოზებად ანტიოქიით წარმოგ-ზავნილნი მამანი, არა ქართველთაგანნი. ქართველთა ნათესავის კა-თოლიკოზის გამოთხოვას ამ გვარად გვიამბობს ერთი ვარიანტი ქ-ცხბისა: „ითხოვეს იუსტიანიანესაგან ქართველთა, რათა დასხდე-ბოდენ კათალიკოზებად ნათესავნი ქართველთანი, რამეთუ მოვი-დოდიან კათოლიკოზნი საბერძნეთით; ხოლო იუსტინიანემ დაწერა წიგნი და დაბეჭდა თვისითა ბეჭდითა ესრედ, რათა დასხდე-ბოდენ კათალიკოზებად ნათესავნი ქართველთანი და აქვნდეს უფ-რესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა“.

1. Dubois, *Voyage*... I, 229—231. აქ მოყვანილი პროკოპის თქმულება სიტყვა-სიტყვით არის ჩართული ფარსმან VI დროს ქართლის ცხოვრებაში. შესამოწმებლად განიხილე ქ-ცხ. გვ. 159. მარიამ დედოფლის ქ-ცხბის ძველს ვარიანტში ეს ადგილი არ იპოვება.

როგორც ვიცით, იუსტინიანესაგან აღმართულ ტაძრად ჰხადიან აწინ-დელს ბიჭვინტის დიდებულს საკათალიკოზო კათედრასა. იმის სურათს გვი-ხატავს „*Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства*“, стр. 121—122, რომელშიაც ყველა წყაროები ბიჭვინტაზე ნაჩვენებიკეა. ახლა საეკლესიო ხუროთ-მოძღვრობის სპეციალისტები ამტკიცებენ და, ჩვენის ფიქ-რით, საფუძვლიანათ, რომ ეს ტაძარი თავის სტილით სრულებით ქართულ სტილს წარმოადგენს და უნდა მიეწერებოდეს მე-X-XI საუკუნოებსა. ამ საგანზე ნახე Профессора Кондакова, *Древняя грузинская архитектура*, стр. 11—12, 59; „ქ-ცხ.“, I, 151, შენ. 4.

ამ ფაქტს ჰმოწმება, ბროსსეს თქმით, შენიშვნა ბალზამონისა, რომელიც ამბობს, რომ იუსტინიანემ დაამყარაო ზოგი ეკლესიები ავტოკეფალებად, „დამოუკიდებლად", და იმათ შორის თვით იბერიის ეკლესიაცაო" (*H. de la G.*, I, 202 n. 6).

ფარსმან VI-ს დროს შემოსულთა სირიელთა მამათა იმ ადგილების სახელ-წოდება მიუთვისათ, სადაც თვითოეულს მათგანს უღვაწნია: 1, იოანე ზედაზნელი, 2, დავით გარესჯელი, 3, სტეფანე ხირსელი, 4, იოსებ ხირსელი, 5, ზენონ იყალთოელი, 6, ანტონი მარტომყოფელი, 7, ისე წილკნელი, 8, თათე მამებელი, 9, შიო მღვიმელი, 10, ისიდორე სამთავნელი, 11, აბიბოს ნეკრესელი, 12, მიხეილ ულუმბელი, 13, პიროს ბრეთელი და 14, ილია დიაკონი. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმათ ცხოვრებაზე. მომეტებულს ნაწილს მათგანს ეტყობა უძველი კვალი იმ დროისა, რომელსაც ეკუთვნიან. ეს იმისგამო, რომ ძველად ჩვენში, როგორც მთელს საქრისტიანოში, ჩვეულებად იყო, რომ წმ. მოღვაწეთა ცხოვრებანი იმათ უახლოეს დროსვე იწერებოდნენ ეკლესიაში საკითხავად და ამისგამო თითქმის უცვლელად შთებოდნენ. ჩვენ მამათ-ცხოვრებაების ფაქტებივე ჰმოწმობენ იმათ სინამდვილესა. მართლადაც სხვა წყაროებიდამაც იმათ დროს არიან ცნობილნი: ფარსმან VI, კათალიკოზი ევლავიოზი და შემდეგ ამისა მაკარი, სვიმონ მცირე მესვეტე. ამასვე გვიმტკიცებს შემდეგი ცნობები საქართველოს მდგომარეობისა იმ დროს: ახლად დანერგილი ჩვენში ქრისტეს სჯული ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ დამყარებული: თვით მცხეთის მახლობლად ზედა-ზენზე ვპოულობთ კიდევ საკერპოსა; ჩრდილო-მთიულნი არიან წარმართებაში, რომელსაც ასუსტებს მხოლოდ ისე წილკნელი; ცეცხლის-მსახურებასაც ისეთი ძალა აქვს, რომ აბიბოს ნეკრესელი იმის მსახურთაგან იწამება ზენასოფლის (ქართლის) სოფელში რეხაში, როდესაც ამ მხარეს განაგებდა სპარსეთის მეფისაგან დადგენილი მარზაპანი.—ახლა ჩვენს მწერლობაში ვრცელდება ის აზრი, ვითომც ათ-ცამეტნი მამანი ყოფილიყვნენ ქართველნი ნათესაობით. ეს აზრი ჩვენის წარმოდგენითაც უსაფუძვლო არ არის. ჩვენ ვიცით, რომ სულ ძველად ქარ-

თველნი მოღვაწენი და მთარგმნელნი ანტიოქიაში და იმის გარეშემო შრომობდნენ თავიანთ მამულის სასარგებლოდ. გარდა ამისა შემოდიან თუ არა საქართველოში, ქართულად საუბრობენ; ქართულადვე ასრულებენ წირვა-ლოცვასა და ჰმოძღვრობენ თვით ქართველ ერსა. ქართულმა ეკლესიამ ძველადვე შერიცხა იგინი წმინდათა შორის, როგორც „განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათასნი". ამ საგანზე ჩვენ არა კსადით საჭიროდ სიტყვა გავავრცელოთ. შემოვიტანთ აქ იმათ ცხოვრებიდამ მხოლოდ ორიოდე ღირს-შესამცნევს ფაქტსა. ჩვენში მიღებული წელთა-თვლა ანუ პასხალიონი ხუთასიანი (532 წელი) სირიულ ციკლად ითვლება. თუმცა იმას ჯვარ-ჯვაროზით პირველად ხმარებულსა ჰპოულობთ ქ-ცხაში მერვე საუკუნეში, მაგრამ ჩვენის ფიქრით ეს პასხალიონი ჩვენში შემოტანილი უნდა იყოს სირიიდამ ათ-ცამეტთა მამათაგან. აქ დავძენთ, რომ იმ დროსვე ანთავისუფლებდნენ ხარჯისაგან ეკლესიებსა; უძრავ მამულებს უძღვნიდნენ მონასტრებსა და ჰზრუნავდნენ დიდ-გვართა შვილების აღზრდას საღმრთო წერილებზე, რომელიც, სჩანს, კიდეც ყოფილა თარგმნილი... „საჩინო მთავარი ციხე-დიდისა ევაგრე, შვილი ღვთის-მსახურთა და მორწმუნეთა მშობელთა და სიყრმიდგან ღვთის-მსახურებასა და საღმრთოთა წერილთა წვრთასა შინა იყო აღზრდილი"... „მიანიჭა უკვე ფარსმან მეფემან მონასტერსა (შიო-მღვიმისასა) ოთხნი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგანნი და დაწერა ხელითა თვისითა თავისუფლება მათი და მისცა ოცდა ათი ლიტრა ოქრო ეკლესიათა მათთვის სახმარად, ბარძიმი ოქროსი და ფეშხუმი და სხვა ყოველი სამსახურებელი ვეცხლისა, ჯვარი დიდი ოქროსი და სასარება ფრიად მშვენიერად შემკობილი სანატრელისა მეფისა გასტანგის მიერ". „დასწერა მთავარმა სტეფანოზმა ხელითა თვისითა ქარტა იგი და დადვა საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა; დასწერა როარტაგი და დაამტკიცა ხელითა თვისითა და წარსცა ყოველსა შინა ქვეყანასა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარჯისა მიცემისა"[1].

1. „მამ-კხ. შიო-მღვ.". გვ. 68,73,79,497,498; საბინინის „საქარ-

ბაკურს III (557—570). იმის დროს კვდება კათალ. ევლავიოზ და ჯდება მაკარი და მაკარის შემდეგ სვიმონ. იმის დროსვე, ჩვენის წელთ-აღწერის თქმით, პატიასში [1] სომხეთისა, გასქენი ცეცხლის თაყვანის-მცემელი გახდება და აწამებს თავის ცოლს შუშანიკს. ამ შუშანიკზე იხილე ზემოდ (გვ. 175—176).

ბაკურ ქ-ცხობით სტოვებს მცირე წლოვან შვილებს, რომელნიც სპარსთა შიშის გამო შეიხიზნებიან კახეთის მთებში, მირდატის შთამომავალნი კი კლარჯეთის კლდეში. ქართლი, სომხითი და გასპურაკნი უპყრიავთ სპარსთა, რომელნიც ბერძნებს ებრძვიან. სპარსეთის მეფე თავის შვილს ქასრე ამბარვეზს ადგენს ბარდავში და უმკვიდრებს რანსა და მოვაკანსა. ქასრე ქართლის ერისთავთ მემკვიდრეობას აღუთქვავს. თურქნი ამ დროს აოხრებენ სპარსეთსა და ქართლის ერისთავნი კეისარს გამოსთხოვენ მეფესა.

---

თველოს სამოთხე", გვ. 257—258. ეს უკანასკნელი ციტატი უჩვენებს შემდეგს საბინინის ნაშრომში ჩართულს წერილსა: „თხრობა სასწაულთათვის წმინდისა შიოსათა, რომელი ესე სხვათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოზმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვარჩესამან" (გვ. 253—264). ეს წერილი ჩვენ არსად შეგვხვედრია და თვით „შიო-მღვ. მამ-ცხში." არ იპოვება, თუმცა კი შეიცავს დიდად ღირს-საცნობს ფაქტებსა. საუბედუროდ, საბინინი, როგორც გამოუცდელი მწერალი, თავის შრომაში არაოდეს არ ადგა კრიტიკულ მეთოდსა და იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, არ გვაძლევს ისტორიულ განმარტებასა. აქაც ბასილი კათალიკოზის „თხრობაზე" ვიტყვით, რომ არ ვიცით რა დროისაა ის მანუსკრიპტი, თუმცა, როგორცა სჩანს, შიო-მღვიმისაა, რომლიდამაც იგია გადმოღებული და რომელსაც თვით ანტონი კათალიკოზი უჩვენებს წყაროდ თავის „ეფთვიმე ურბნელის ცხოვრების" აღწერაში (იქვე გვ. 312). აი მიზეზი, რომ ღირსება „თხრობისა" ვერ აგვიწონია და ვერ დაგვიფასებია. ბასილიზე და თვით ნეოფიტეზე ნახე *Addit*... 1851, p. 137—138.

1. სომხური პატიახში, ბერძნული petiax ჰნიშნავს „საზღვრის მცველსა". ასე იწოდებოდნენ გუგარკისა ანუ ქართლის სომხეთის მთავარნი. ეს სახელ-წოდება იშვიათი არ არის თვით ჩვენს ისტორიაში (S-Martin, *Mém.*, I, 79; Langlois, *Collect.*, I, 34 n. 4, 170 n. 3; ქ-ცხბა, I, გვ. 57, 122, 137, 146, 148, 175, 179).

# კარი მეთორმეტე

## ბაგრატიონთ სამეფო სახლი და არაბნი მაჰმადიანნი.

I. ბაგრატიონნი სომხითში და საქართველოში.
II. მთავარნი: გვარამ (575—600) და იმის დროს დარღვევა სომეხთ-ქართველთ სარწმუნოებრივის კავშირისა.
III. სტეფანოზ I (600—619); ადარნასე I (619—639); სტეფანოზ II (639—663).—ჯვარ-პატიოსანი და იმისი სურათები შესანიშნავის წარწერაებით.—იმპერატორი ირაკლი ჩვენში ებრძვის ცეცხლის აღსარებასა.
IV. მაჰმადის გამოჩენა და გავრცელება არაბთ მფლობელობისა.
V. მეფენი: მირ (663—668); არჩილ II (668—718); იოანე ~~(718—780)~~ და ჯვანშერ.—კონსტანტინეპოლის მეექვსე მსოფლიო კრება და დამოუკიდებელი კათალიკოზი საქართველოში.

ქ-ცხბით, „ძენი ბაკურისნი კვლა იპყრობდნენ მეფობასა; ისხდნენ ჭერ-კასეთს და ძენი მირდატისნი კლარჯეთს და სპარსთა ერისთავი (მარზპანი) ჰძანებლობდა ქართლს და სომხითს. ამ დროს იწამა სპარსთაგან აბიბოს ნეკრესელი... შემდეგ იქმნა შფოთი სპარსეთში და ქართლის ერისთავთა მოსთხოვეს ბერძენთ კეისარსა ნათესავი თვისთა მეფეთა და მან მოსცა კურაპალატად გვარამ ასულის-წულისაგანი ვახტანგ გურგასლანისა..."

აბიბოს ნეკრესელი იყო, როგორც მოვიხსენეთ წინად, ერთი ათ-ცამეტთა მამათაგანი და იწამა ცეცხლის მსახურთაგან. იმ დროს ქართლს განაგებდა სპარსთაგან დადგენილი მარზპანი, „რამეთუ დაეპყრა, ამბობს ავტორი აბიბოს ცხოვრებისა, ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნენ ჩვენსა ამას სოფელსა და

ბილწისა მის კერპთ-მსახურებისა ცეცხლისა მის თაყვანისცემასა და მსახურებასა აღასრულებდეს მარადის... ამის გამო ადგილნი მრავალნი განმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათვის ქვეყანასა და მრავალთა შეაცთუნებდეს... ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესის ქალაქისა ეპისკოპოზი აღიძრა შურითა საღმრთოჲთა და დაშრიტა იგი... მისწერეს მსწრაფლ ფანა-ხოფლისა მარზპანსა საქმე ესე... და ვითარცა მიიყვანეს იგი მარზპანისა მის ზენა-ხოფლად ხოფელსა, რომელსა ჰქვიან რესა... შემდგომად მრავლისა გვემისა ქვითა განტვინეს" )[1].

მარზბანი, მარზპანი, მარზაპანი წარმომდგარია სპარსულის სიტყვებიდამ: მარზ—საზღვარი ბან—მცველი; (თვით მარზბანი ჰნიშნავს „საზღვრის მცველსა" და ძველადვე იხმარებული სპარსეთში[2] და მიღებული სომხითშიაც და საქართველოშიაც. როდესაც სომხითი დაიჭირეს ბიზანტიამ და სპარსეთმა, იმის შემდეგ უმთავრესი გამგე სომხითისა სპარსეთის მხრით იწოდებოდა მარზბანად[3]. საქართველოში ეს სახელ-წოდება შეგვხვდება ვახტანგ გურგასლანის დროდამ: „ვრქვა მოხუცებულთა და მარზპანთა ჩემთა"[4]. შემდეგში იხილე ერთ საეკლესიო წიგნზე წარწერა 1053 წლისა, რომელშიაც მარზპანად იხსენიება ბოცო ჯაყელი[5] და ქ-ცხ-შივე დედოფალის რუსუდანის მეფობაში (1223—1247): „იცით და გახსოვთ ყოველთა მარზპანთა და ერისთავთა"[6].)

როგორც ვიცით, ჩვენი მატიანე გვარამს ჰხადის ბაგრატიონად. ბაგრატიონთ შთამომავლობაზე გვიამბობენ სხვა და სხვა წყაროები: ქართული, სომხური და ბერძნული. ამ საგანსვე შეეხებიან სენ-მარტენი[7] და მეტადრე ბროსსე თავის ვრცელ წერილში ბაგრატიონთ მომდინარეობაზე[8].

1. „მამ-ცხ. შიო-მღვ.", 93—96 და *H. de la G.*. I, 233, n. 2.
2. Saint—Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 320, n. 1.—3. Lebeau, *H. du B—E.*, VI, 258.—4. „ქ-ცხ"., I, 136.—5. Brosset, *Voyage archéol*; XI Rapp., 30.—6. „ქ-ცხ.", I, 342.—7. *Mém. sur l' Arm.*, I, 418—420; Lebeau, *H. du B—E.*, VII, 274 n 3, 275 n. 1:
8. ეს წერილია *Histoire des Bagratides géorgiens juqu' au commencement du XI siécle*, რომელშიაც შემოკრებულია ამ გვარზე

ქ-ცხბის თქმით, შვილნი ძმანი ურიანი ტყვეობიდამ გამოსულნი ქვეყნით ფილისტიმით, შემოდიან ეკლეცს სომხითში, სადაც რაქაელ დედოფალი ნათელ-სცემს იმათ და ერთს იმათგანს იყავს ზედ-სიძედ; ორს ამზახლებს სომხითის მეფეთა; ოთხნი შემოდიან ქართლში. „მაშინ ვინადგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასალისათა, მით ჟამიდგან ეპყრათ უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე." „ქ-ცხბის თქმულება ბაგრატიონთ შთამომავლობაზე, ამბობს ბროსსე, აღნიშნულია ძველისა და ღირს-შესანიშნავის ბეჭდითა. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენი (912—959) გვიამბობს თავის თხზულებაში იმპერიის გამგეობაზე (დაწერილია 952 წელს) შემდეგს: „უნდა ვიცოდეთ, ამბობს იგი, რომ იბერიის კუროპალატნი იქადიან თავიანთ შთამომავლობას ური დედაკაცისაგან, რომელიც წინასწარ-მეტყველმა მეფე დავითმა აცდუნა და იგინი თავის გვარ-ტომობას უკავშირებენ დავითს ამ დედაკაცის მიერ შობილის შვილთაგანით და ამის გამო ჰხადიან თავიანთ გვარსა ნათესავად წინასწარ-მეტყველის მეფის დავითისა და მაშასადამე თვით იმისგან შთამომავლის ღვთის მშობლისა. ეს არის მიზეზი, რომ იბერიის მთავრებს სამძიმოდ არ მიაჩნიათ, ძველის ურიების ჩვეულებისამებრ, ნათესავის შერთვა. იმათ თქმით, იგინი გამოსულან იერუსალიმით და ზენარის ძალით დამყარებულან სპარსეთის მხარეში, რომელსაც ახლაც ჰფლობენ. იგინი ყოფილან ორნი ძმანი დავით და სპანდიატესი. ამ უკანასკნელს, როგორც იგინი გვიამბობენ, ის ძალა თურმე ჰქონდა მინიჭებული ღვთისაგან, რომ ბრძოლაში საჭურველს არ შეეძლო იმისი დაკოდვა არა რომელ სხეულის ასოში, თუ არ გულში. ამ გვარად აღჭურვილი სპანდიატესი შეუხებელი გადარჩენილა ომებსა და საშიში თურმე ყოფილა სპარსთათვის. სპანდიატესს უძლევია სპარსთათვის, დაუმყარებია თავისი გვარი შეუვალს ადგილებში, სადაც ეს უკანასკნელი ახლაც იმყოფება, გავრცელებულა და დიდ-ტომად შექნილა... იმ დროიდამ,

ყველა ცნობა ქართული, სომხური და ბიზანტიური: ნახე *Additions à l'H. de la G.*, 1851, p. 138—188.

როდესაც იგინი შემოსულან იერუსალიმით აწინდელს ქვეყანაში, გავლია ოთხასს ანუ ხუთასს წელსა აქამდე, როდესაც ჩვენ გულ-მხურვალე ქრისტიანე იმპერატორები კონსტანტინე და რომანი ვცხოვრობთ მე-10 ინდიკტ. 6460 წ. (ესე იგი 952 ქრ. შემდეგ).)

„კონსტანტინეს ჩვენებით, ამბობს ბროსსე, ბაგრატიონები უნდა გამოსულიყვნენ იერუსალიმიდამ 452 ანუ 552 წელს ქრისტეს შემდეგ. თუ ჩვენ მივიღებთ უკანასკნელს წელს, როგორც უახლოესს გვარამის დროჲსას, მაშინ აღმოჩნდება რომ ქ-ცხბის გარდამოცემა ნამდვილ მე-VI საუკუნეს შეეხება. ეს-კია, რომ ბაგრატიონების წინაპართა კონსტანტინეს დავითსა და სპანდიატესსა ქ-ცხბა არ იცნობს და არც იმათ უკანონო შვილობას აღიარებს.

„შევნიშნოთ ისიცა, განაგრძობს ბროსსე, რომ ორივეს მხრით აქ იბერიის კუროპალატებად იგულისხმებიან მთავარნი დასავლეთის საქართველოსანი და თვით მეორე ნაწილი თქმულებისა, რომლის ჩვენებით ბაგრატიონნი შემოსულან მე-VI საუკ. სომხითში, წინააღმდეგს არას შეიცავს და სომხითის წყაროებსაც სრულებით ეთანხმება. ეს საგანი ვრცლად გამოუკვლევია დუკა ინჯიჯიანსა, რომელიც გვიამბობს შემდეგსა:

„როდესაც ნაბუქოდონოსორმა ტყვენი მიჰრეკა თავის სამფლობელოში, სომხითის მეფემ ჰრაჩემ (760—678 ქრ. წინად) გამოსთხოვა იმას ერთი დატყვევებულთა უფროსთაგანი შამბათი, შემდეგ სემბათი. იოანე კათალიკოზი გვარწმუნებს, ვითომც შამბათი იყო იუდას ტომის მეფის შთამომავალთაგნი, მაგრამ ეს თქმულება იოანეს შემდეგ უნდა იყოს გამოგონილი, რადგანაც მველი გარდამოცემა ამას არ უჩვენებს. ერთი შამბათის შთამომავალთაგანი იყო ბაგარატი ანუ ბაგრატი, რომელმაც დაიმსახურა კეთილ-მიდრეკილება სომხითის მეფის ვაჰარშაკისა (149—127 წ. ქრ. წინ). რადგანაც იგი პირველად მიემხრო ამ მეფეს, იმან ჯილდოდ მიიღო მემკვიდრეობითი ღირსება როგორც „თაგადირისა," რომლის ძალით მხოლოდ იმას ჰქონდა უფლება გვირგვინის დადგმისა მეფის თავზე (მოსე ხორენ. I, II, გვ 3), აგრეთვე ასპიეტისა ანუ მხედართ-მთავრისა, და ამასთანავე უპირატესობა ყველა კეთილ-შობილთ გვართა შორის

სომხითში. ბაგრატის სახელიდამ წარმოსდგა გვარი ბაგრატუნი, ქართველების ბაგრატუნიანი ანუ ბაგრატოვანი. არტაშეს II-ს დროდამ (30—20 წ. ქრ. წინ) იმათ მიენიჭათ ტან-სამოსი, კუთვნილი მეფის შემდეგ უპირველესის პირისა და ამასთანავე სამხედრო და სამოქალაქო გამგეობა თითქმის ნახევარის სამეფოესა... ბაგრატიონნი განაგებდნენ სპერის მხარეს, ტაიკის ანუ ქართველების ტაოს-კარის შუა-გულში. აქ იგინი ისხდნენ სემბატავანის ციხე-სიმაგრეში. ეს ციხე-სიმაგრე იყო აშენებული ბიურატის შვილის სემბატისაგან, რომელსაც სემბატ ბივრიტიანად ისხენიებს თვით ქ-ცხოა აზორკისი და არმაზელის მეფობაში (87—103 წ. ქრ. შემდ.) შესაძლებელია, რომ ეს მხარე იმათ მიანიჭა სამკვიდრებლად ვაღარშაგმა და ამითივე განიმარტება ისიცა, რომ ბაგრატიონთ აქ ჰქონდათ თავისი რეზიდენცია და აქედამვე ნათესავურის კავშირით აფხაზეთის მეფეებთან მე-X საუკუნეში გაავრცელეს თავისი უფლება და საქართველოს მეფეებად დასხდნენ».)

აქ ჩვენის მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ნათესავურ კავშირს სომხითის ბაგრატიონებისას საქართველოს ბაგრატიონებთან ჩვენ არ უარ-ვყოფთ; მაგრამ როდის და რა გვარად იწყობა ეს კავშირი, ამის შეურყეველს საფუძველს არ გვაძლევენ ის ცნობანი, რომელნიც ბროსსეს მოჰყავს და რომელნიც ჩვენს წარმოდგენაში ზღაპრულის თვისებისანი არიან. მფლობელობა სომხითის ბაგრატიონებისა მე-X საუკუნემდე ტაოს-კარში ანუ აწინდელს ჭოროხის ხეობაში არა თუ საეჭვოა, არამედ არხეოლოგიურის ფაქტების წინააღმდეგიც არის, რადგანაც ამ ფაქტების მოწმობით არა-ვითარი კვალი სომხითის ბაგრატიონთა არსად ჭოროხის ხეობაში არა ჩანს, როგორც შემდეგ ვნახავთ, არც მე-X საუკუნეში, არც იმის წინად.

გვარამ კუროპალატი (575—600). ამის დროს იმპერატორი იუსტინე II ებრძვის სპარსეთის მეფესა და ქართველნი იმას მიჰკერმვენ[1] და შედიან ადერბადაგანში; მაგრამ სპარსეთში გამ-

1. გვარამის დროს მეფობენ: სპარსეთში კობადი (491—579), ჰორმუზდი IV (579—590) და ხოსრო ფერვიზი (590—624); ბიზანტიაში—იუსტინე II (565—574), ტიბერი II (574—582) და მავრიკი (582—602).

ლიერდება ბარამ ჩუბინი და შეშინებულნი სპანი უკუ-იქცევიან [1]. ქ-ცხბით, იმ დროს „მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა“. გვარამ იწყობს შენებას ჯვარ-პატიოსნის ეკლესიისას მცხეთის პირის-პირ და სიონისას ტფილისში. „ასტყდება, ვახუშტის თქმით, ცილება ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოების გამო: კათალიკოზი ქართლისა სვიმონ ანუ კვირიონ განდევნის ხალკიდონის მსოფლიო კრების მოწინააღმდეგე ცურტავის ეპისკოპოზს შუშანიკის სასაფლაოდამ და სომეხთა დვინის კრება 596 წელს არღვევს ქართველთ-სომეხთ სარწმუნოებრივს კავშირსა [2] ჭურეთი მიჰკვეთავს სომხითის აღსარებასა. კვდება კათალიკოზი სვიმეონ და ჯდება სამოელ და ამის შემდეგ სამოელვე“.

აქ ხსენებული კვირიონი დიდად ცნობილია სომხითის ისტორიაში. იმის დროს შეირყა ჩვენი და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობა. დვინის კრებამ შეაჩვენა კვირიონი და თვით ქართველობაზე დასდო შემდეგი განაჩენი. „ქართველებზე, ამბობს მაშინდელი სომხის კათალიკოზი აბრაამ, ჩვენა გიბძანეთ, რომ სომხებმა აღარ იქონიონ იმათთან არა-ვითარი კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მსვლელობა სალოცავად როგორც მართლ-მადიდებელის მცხეთის ჯვარისადმი, აგრეთვე მანგლისის ჯვარისადმი; არ მისცენ იმათ უფლება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიდნენ იმათთან დამოკიდებულობას ცოლ-ქმრობისას; უფლება ეძლევათ მხოლოდ აღებ-მიცემობისა მათთან, როგორც ურიებთანა. უკეთუ ვინმე ეს ბძანება უარ-ჰყოს, წყეულმცა არს იგი სულით და ხორცით და ყოვლის ცხოვრებით“[3].

1. ბარამ ჩუბინზე ნახე Malcolm, *H. de la Perse*, I, 222—229; *H. de la G.*, I, 221 n. 1 და ვრცლად Lebeau, *H. du B—E.*, X, 91—93, 100—101, 280—314.

2. სრული ისტორია ამ მოვლენისა, როგორც ქართლის კათალიკოზის კვირიონის მიწერ-მოწერა ამ საგანზე სომხითის კათალიკოზთან და უკანასკნელ დვინის კრების წეს-დება ნაამბობია მე-X საუკუნის სომხურის მწერლის უხთანასესისაგან. ამაზე ვრცლად ნახე *Addit..*, 1851, p. 107—125. ამ საგანზე თვით ქ-ცხბა არას ამბობს.

3. Патканова, *Исторія агванъ Каганкатваци*. Спб., 1861, стр. 216—217.

სტეფანოზ I (600—619), რომელიც სპარსთა და ბერძენთა შიშის გამო ვერ ჰბედავს მეფედ წოდებასა და იწოდება ერისთავთ მთავრად. იმის დროს საბერძნეთში ასტყდება შფოთი[1] და სპარსეთის მეფე სტყვენავს საბერძნეთსა. სტეფანოზი, შეშინებული სპარსთაგან, გაუდგება ბერძნებსა და მიჰკერძავს სპარსთა. კეისრად ჯდება ერეკლე, რომელიც თურქების ანუ ხაზარების შემწეობით გაილაშქრებს სპარსეთისაკენ „მებრად მელისა ცხოველისა“ და პირველად შემოდის ზემო-ქართლში, სამცხეში, სადაც სდებს საფუძველს აწყურის დიდის ტაძრისას, რომელიც საეპისკოპოზო შეიქნება. ერეკლე მოადგება კალის ციხეს, ჰკლავს სტეფანოზს და იპყრობს ტფილისსა და ამასთანავე ქართლის მთავრად მოიწვევს ბაკურის ძეს ადარნასეს, რომელიც ერისთაობდა კახეთში და სტოვებს იმასთანა ერისთავს ჯიბღას კალის საზრდოლველად. სტეფანოზის დროს კვდება კათალიკოზი სამოელ და ჯდება ბართლომე. ძმა სტეფანოზისა დიმიტრი აშენებს ეკლესიას ჯვარ-პატიოსნისას, რომელსაც შემდეგ იმისა ასრულებს ადარნასე.

ესტატე მცხეთელის მარტირიკის ცნობით, ხოსრო ფერვიზის დროს (590—628) ტფილისში იჯდა სპარსეთის მარზპანი და წმ. ესტატე შემოვიდა სპარსეთიდამ მცხეთას ხოსრო მეფის მეათე წელსა, მაშასადამე 600 წ. „წელსა მეათესა, ამბობს მარტირიკი ხოსრო მეფისასა და არვანდ გუშნასპის მარზპანობასა ქართლისასა მოვიდა სპარსეთით კაცი ერთი მე მოგვისა.. და ნათლის ცემასა მისსა უწოდეს მას სახელი ევსტათი“. შემდეგ ესტატეს სხვებითურთ საპყრობილედ მიცემისა, „რაჟამს აღმხედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პატიახში და სხვანი სეფე-წულნი და მარზპანსა რქუეს: „გევედრებით შენსა მაგას უფლებასა... განუტევებად კაცთა მათ..“ „შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა გეჟან-ბუზმირ ქართლისა მარზპანად; წარვიდეს სპარსნი მცხეთით შემასმენელნი ნეტარის ევსტა-

1. Malcolm, *H. de la Perse*, I, 230.

თისანი ტფილისს და რქვეს მარზპანსა: „კაცნი არიან მცხეთას ჩვენისა სჯულისანი და განდგომილ არიან იგინი ჩვენგან და ქრის-ტიანობენ და უბრძანა ორთა მხედართა მოწოდებად წმინდისა".., „ხოლო გუამი მისი ღამე განიღეს გარეშე... და უთხრეს სტეფანეს და სტეფანემ აუწყა სამოელს კათალიკოზსა; ხოლო მან დამარხა იგი დიდითა დიდებითა და პატივითა წმინდასა საკათალიკო ეკლე-სიასა მცხეთისასა და ვიდრე აქამომდე იქმნებიან კურნებანი...[1]"

ადარნასე I (619—639). ამ ადარნასეს მთავრობაში მესამე წელს გამოჩნდა მაჭმედ „მოძღვარი სარკინოზთა". იმის დროსვე ერეკ-ლე გარდაბანში ნათელ-სცემს ყარაზ გაგელს ერითურთ და იწყობს შენებას „უბრწყინვალის" ეკლესიისას და ბერდუჯში სდებს საძუ-ძველს ღვთის მშობლის საყდრისას (ქ-ცხბა, 167); შედის სპარ-სეთში, სძლევს ხოსროს და ანთავისუფლებს მაცხოვრის ჯვარსა. კვდება კათალ. ბართლომე და ჯდება იოანე, უკანასკნელი ხელ-დასხმული ანტიოქიის პატრიარხის თეოფილაქტესაგან. იმისნი მემკვიდრენი გზის შიშის გამო იკურთხებიან საქართველოში: თვით გოთელი ეპისკოპოზი იოანე იკურთხება მცხეთას.[2] კვდება კათალ. იოანე და ჯდება ბაბილა. კვდება ბაბილა და ჯდება თაბორ. ადარნასე აშენებს ტფილისის სიონსა და ჯვარ-პატიოსანსა[3].

თუ ჩვენ ზემოდ ხსენებულს ცნობებს ქ-ცხბისას შევუთანას-წორებთ იმ დროის უეჭველს ისტორიულ ფაქტებს, მაშინ ეს ფაქტები გვიჩვენებენ შემდეგს.

1. ჩვენ ვიცით, რომ ჯვარის მონასტერი მცხეთის პირის-პირ არის ერთი უძველესთა ეკლესიათაგანი მე-VII საუკუნიდამ აქამომდე შეურყეველად დარჩენილი თავის ქანდაკებით და წარწერებით. ამის კედლებზე არიან გამოქანდაკებულნი თვით იმისნი მაშენებელნი იმათის ტან-სამოსებით სტეფანოზ I ძმით დიმიტრითურთ და ადარნასე I და ამ ქანდაკების წარწერანი იხსენიებენ იმათ, როგორც თვით ქ-ცხბა, არა მეფეებად, არამედ მთავრებად, ესე იგი: სტეფანოზს ქართლის

1. „მამ-ცხ. შიო-მღვ.", 110—120; *H. de la G.*, I, 226 n. 5.
2. „ქ-ცხ., I, 162.—3. „მამ-ცხ." I, 169.

პატრიკად და ადარნასეს იპატოსად[1]. პატრიკი და იპატი ჰნიშნავენ ღირსებას ბიზანტიელებისას.

რადგანაც ამის შემდეგაც ჩვენს ისტორიაში შეგვხვდება ბიზანტიიდამ შემოტანილნი სახელ-წოდებანი უმაღლესთა ღირსებათანი, რომელნიც გვიჩვენებენ ანუ ქვე-ვრდომობას, ანუ კავშირს საქართველოსას ბიზანტიის იმპერიასთანა, აქ საჭიროა განვმარტოთ იგინი. იმათში პატრიკი უდრის ქვეყნის მმართველს, მთავარს; კუროპალატი, მაგისტროსი, ნობილისსიმი, იპატოსი და სხ. თვით ბიზანტიაში ფუძნდებიან კონსტანტინე დიდის დროიდამ[2]. ალფრედ რამბოს თქმით, „კუროპალატი იყო საპატიო მარშალი სასახლისა, როგორაც ფრანციაში გრაფი-შამპანისა ანუ გერმანიაში გრაფი პალატინი რეინისა. კუროპალატის ღირსება ბიზანტიის იერარხიაში განსხვავებული ღირსება იყო; ნამდვილ კი მაგისტრს ეკავა უპირატესი ადგილი: ეს ღირსება ეძლეოდა მეფეს ანუ მთავარ-მმართველსა. ამ ღირსებით იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგალ., აფხაზეთის მეფე გიორგი; დავით, ბაგრატ და გურგენი, ძმის-წული ადარნასე იბერიელისა; ბაგრატ ძმა იბერიის მეფის აშოტ დავითისა. მეორე ღირსება იყო პატრიკობა... იბერიის მთავრებში პატრიკად ცნობილია აშოტ კისკასესი, ძმა ადარნასე მეფისა.—ბიზანტიის ხელისუფლებათა ღირსებებში უფრო გავრცელებული იყო პროტოსპათარიატობა... მაღიან ნაკლულთა ვართ ცნობებით შემდეგს დაბალ ღირსებებზე: სპათარისა, ჰიპატისა, სტრატორესისა და სხ. როდესაც ზოგიერთ იმპერატორთა სიუხვით ახალნი ღირსებანი ფუძნდებოდნენ, მაშინ ამ ღირსებებს მისთვისებდნენ ხოლმე თვით ხომხითის (და იბერიის) მთავრებსაც; ამ გვარად მაგალ., მე-VII საუკ. მათე ედესელი მოიხსენებს ვასილის სევასტოსად; კილიკიის ბარონს თაროს II-ს პროტოსებასტოსად. *Domestique des scholae*

1. Brosset, *V. archéol.*, I Rapp., 48—50 და ჩემი *Кавказъ въ древн. памятн. христ.*, 61—62.—2. Lebeau, *H. du B—E*., I, 320—322.

მხედრობაში იყო უმთავრესი ხელის-უფლება [1]; რეკტორატი იყო აგრეთვე ერთი უმაღლესთა სამხედრო ხელის-უფლებათაგანი. მაგისტერიატი, პატრიკიატი, პროკონსულატი (ანთიპატობა) არ იყვნენ მოხელეობანი, არამედ ღირსებანი ანუ ადმინისტრატიულნი საკეთილშობილო ხარისხნი; იგინი იყვნენ მე-X საუკუნეში უმაღლესნი ღირსებანი მთელს იმპერიაში შემდეგ კუროპალატისა, ნობილისსიმისა და კესარისა, რომელნიც ეკუთვნოდნენ იმპერატორის გვარის წევრთა. ყოველს მაღლად დადგენილს პირს ერთსა და იმავე დროს ეპყრა ღირსებაცა და მოხელეობაცა“ [2].

1. ჩვენსა და თვით სომხურ მწერლობაში ეს ხელის-უფლება ცნობილია დომესტიკოსადაც და დემესტლიკოსადაც. დიდად სახელ-განთქმულს მე-XI საუკუნის ბიზანტიის მხედრობაში დომესტიკოზზე ქართველთაგან გრიგოლ ბაკურიანისძეზე ნახე ჩემი „ვახუშტის ისტორია“, გვ. 170 შენ. 2. დომესტიკოზზე და ზოგიერთ ხსენებულს ხელის-უფლებაებზე იხილე აგრეთვე Prud'homme, *Histoire d' Arménie par Arisdaguès de Lasdiverd*. Paris, 1864, p. 10 n. 2, 3, 48, და Барона Розена, *Императоръ Василій Болгаробойца—извлеченія изъ лѣтописи Яхъи Антіохійскаго*, изданіе нашей Академіи Наукъ. Спб. 1883, стр. 92. ეს წიგნი დიალ შესანიშნავია როგორც იახიას ცნობებით მე-X—XI საუკუნოებზე, მეტადრე თვით როზენის მეცნიერულის განმარტებაებით. ამ წიგნის ფაქტებზე შემდეგ მივაქცევთ ჩვენის მკითხველის ყურადღებასა.

2. Alphred Rambaud, *L' Empire grec au dixième siècle—Constantin Porphyrogénète*. Paris, 1870, p. 11 n. 4, 513—514. ეს ავტორი, გამოჩენილი ფრანციის აწინდელს მწერლობაში, არის პროფესორად ნანსში და თვით რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრად—კორრესპონდენტად. იმის ნაშრომთა შორის, გარდა ზემოდ ხსენებულის წიგნისა, შესანიშნავნი არიან: *Histoire de la Russie depuis les origines jusqu' à l' année 1877*. Paris, 1878 და მეტადრე *Histoire de la civilisation française*, ორ ტომად, Paris. 1887, რომელიც შედგენილია დიდის ხელოვნებით იმ წესზე, რომელსაც ახლანდელი ისტორიული მეცნიერება მოითხოვს; ესე იგი, ეს წიგნი გვიხატავს არა ისტორიას მეფეებისას, ომებისას და გარეგანთა მოვლინებაებისას, არამედ ისტორიას შინაგან წყობილებაებისას ყველა საუკუნოებში და საზოგადოდ განათლების მსვლელობისას და ცვლილებაებისას ფრანციელ ერში და თვით ევროპაში. ეს წიგნი იმ გვარი წიგნია, რომ ყველა განათლების მოყვარეს კაბინეთის წიგნად უნდა ჰქონდეს. ამ თვისებისავეა თვით რამბოს *L' Empire grec*. ვისაც ჰსურს ბიზანტიის წყობილებისა და მიმართულების ხასიათი შეიგნოს, იმან უეჭველად ამ თხზულებას უნდა მიჰმართოს. საჭიროა იგი განსაკუთრებით ქართულის ისტორიკოსისათვის შესაგნებად იმ გავლენისა, რომელიც ბიზანტიით საქართველოზე მოქმედებდა. ამ წიგნის ღირსებაზე

2. ერაკლე იმპერატორი მეფობდა 610—641 წ. თვით იმას გალაშქრების შემთხვევანი, მსოფლიო ისტორიის ცნობით, უჩვენებენ, თუმცა განსხვავებით, კავშირს ქართულს ისტორიასთანა. ამ ცნობით ერაკლე 622 წელს, ზამთრის დამდეგს შედის სომხითის პონტოში; 623 წ. ომის შემდეგ გადადის ადერბიჯანს და იზამთრებს ალბანიაში; 624 წ. ერაკლეს სტოვებენ ლაზნი, აბაზნი და ივერიელნი, რომელნიც ბლომად თურმე იყვნენ იმის ჯარში; 626 წ. იგი შედის ლაზიკაში, სადაც სდევნის სპარსეთის ჯარის უფროსს საისს. იმავე წელს ერაკლე და ხაზართ სახანი ზიბელი[1] ერთი-ერთმანეთს ნახულობენ ტფილისის ციხე-სიმაგრესთან, პირის-პირ სპარსთა, რომელთაც ეჭირათ ეს ქალაქი. ამ დროს უნდა შეჰბმიყო ერაკლე ქართლის მთავარსა[2] 628 წელს ხოსროს ჩამოაგდებს ტახტიდამ იმისი შვილი კობადი სიროე, რომელიც ბერძნებთან დაზავებას მოასდენს და უბრუნებს მათ ძელსა ცხოველსა. მეექვსე გალაშქრების შემდეგ ერაკლე შედის სომხითში, რომელიც იმას სურვილს გამოუცხადებს ხალკიდონის კრების კანონთ-დების მიღებისას. შემდეგ გამოსვლისა კონსტანტინეპოლით მეშვიდე წელს, ესე იგი 629 წ. ერაკლე ბრუნდება კონსტანტინეპოლს[3].

და ნაკლულევანებაზე შესახებ ჩვენის ისტორიისა ნახე ჩემი წერილი: *Объ отношеніяхъ Арменіи и Грузіи къ Византіи вообще и въ X в. въ особенности*—Извѣстія Кавказ. Общества исторіи и археологіи. Тифлисъ, 1882, выпускъ первый, стр. 55—90.

1. ეს ზიბელი არის ქ-ცხბის ხაზართ მთავარი ჯიბღუ (*H. de la G.*, I, 226 n. 5).

2. რომელიც არის სტეფანოზ I, თუმცა იმის სიკვდილს ქ-ცხბა უჩვენებს უფრო ადრე, ესე იგი 619 წელსა. ბიზანტიელთ ცნობით იგია „ბარზამუზესი არხონი იბერიელთა“, რომელიც, იმათ თქმით, მიემხრო სპარსთა და რომელიც ჩაუვარდა ხელში ერაკლეს; როდესაც ამ უკანასკნელმა სძლია მტერსა მდინარის ზაბის მახლობლად (*H. de la G.*, I, 226 n. 1; Lebeau, *H. du B—E.*, XI, 134).

3. Lebeau, *H. du B—E.*, XI, 91, 102, 105, 114, 118, 116.; *H. de la G.*, I, 225 n. 4.
ამ დროს ხაზარებზე და აგრეთვე ხაყანის მნიშვნელობაზე ნახე Lebeau, *H. du B—E.*, XI, 114—117.

3. ქართლის კათალიკოზის უკანასკნელად ხელ-დასხმა ანტიოქიაში პატრიარხის თეოფილაქტესაგან და იოანე გოთელის ეპისკოპოზად კურთხევა მცხეთაში მართალია იხსენიება ადარნასე I-ს დროს დაბეჭდილს ქ-ცხში და იმის ფრანციულ თარგმანში [1], მაგრამ ცხადია, რომ ბროსსე, თუმცა იგი ორივე ამ შემთხვევას სამართლიანად ანახრონიზმად ჰხადის [2], შეცდომაში შეუყვანია იმ დედანს ქ-ცხბისას, რომელიც იმას ხელმძღვანელად ჰქონია. არც მარიამ დედოფლის ქ-ცხის ვარიანტში, არც სამეგრელოს მთავრის წიგნთა-საცავის ვარიანტში არც ერთი, არც მეორე შემთხვევა ადარნასეს დროს არ აღმოიკითხვის. ანახრონიზმიც იმაში მდგომარეობს, რომ თეოფილაქტე პატრიარხად იჯდა 744—751 წ. [3] და თვით იოანე გოთელი სცხოვრობდა იმპერატორების კონსტანტინე მე-VI და ლევ ისავრის მეფობაში, ესე იგი 751—775 წ. იმის ეპისკოპოზად ხელ-დასხმაზე მცხეთაში ჩვენს საბუთს მკითხველს თავის ადგილს წარმოუდგენთ.

სტეფანოზ II (639—663). არაბნი უფრო და უფრო ავრცელებენ თავიანთ ძალას; სპარსებს აიძულებენ ცეცხლის-მსახურების დატევებას და ისლამის მიღებას. კვდება კათალიკოზი თაბორ და ჯდება სამოელ. ერთ ძველ ვარიანტშია: „მის დროს კათალიკოზნი სამოელ და ენონ". ქ-ცხბით მსოფლიო კრება 651 წ. ამყარებს საპატრიარხოთა თანასწორობას მცხეთის საკათალიკოზოსას [4].

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას მაშინდელს ქართულს ვერცხლის ფულებზე ანუ მანათებზე. აქ საზოგადოდ ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ საკუთრივ ქართულ ფულებს გარმარტვენ, თვით იმათის ნამდვილის მხატვრობის წარმოდგენით, შემდეგნი თხზულებანი: 1, თავადის ბარათაევის *Нумизматическiе факты Грузинскаго царства*. Спб., 1844, რომელიც ახლა იშვიათიღაა; 2, ბროსსესი *Rapport sur l' ouvrage intitulé: Нумизм. факты Груз. царства et revue de numismatique géorgienne*. Spb., 1847; 3, ბართოლომეისა *Lettres numismatiques*. Spb., 1859; 4, ლანგლუასი *Essai de classification*

1. ქ-ცხ., I, 168; *H. de la G.*, I, p 229—235.—2. Ibid., p. 230 n. 1.—3. Ibid.—4. ქ-ცხ., I, 171.

*des suites monetaires de la Géorgie*. Paris, 1860; 5, ბროსსესიკ *A propos de livre intitulé: Essai de classification*...—Mél. Asiat., t. IV, livre 1, 153—203. ამათ შორის ყველა საუკუნოების საქართველოს ფულების განსილვაში შედიან მხოლოდ ორნი: ბარათაევი და ლანგლუა და ეს უკანასკნელი, ჩვენის აზრით, უკეთეს წყაროდ უნდა ითვლებოდეს ჩვენის ნუმიზმატიკისათვის. რაჲცა შეეხება ჩვენს მანათებს სასანიანთ დროსას, ერთს იმათგანზეა წარწერა ანუ მონოგრამმა ႨႰႩ, მეორეზე ႩႰ, მესამეზე ႱႰႱ, მეოთხეზე ႱႤႴႵႰႭႱ, მეხუთეზე ႱႤႷႴႵႰႭႱ, მეექვსეზე ႼႴႭ; მეშვიდეა უწარწერო და ყველაზე წარმოდგენილია ცეცხლის მსახურთ ემბლემა—ჯვარითურთ სტეფანოზისაზე და უსახელოზე; გარდა ამისა მანათები მონოგრამმებით: ႨႰႩ, ႩႰ, ႱႰႱ, ႱႤႷႴႵႰႭႱ და ႼႴႭ უჩვენებენ სპარსეთის მეფეს სასანიანთ დინასტიისას ჰორმუზდს VI მეშვიდე მეფობის წელში (579—590); ႱႤႷႴႵႰႭႱ—ხოსრო II-ს მეორე წელში (590—628); უსახელო-ბარამ ჩუბინს ანუ გარაჰრან VI-ს პირველ წელში. ამ გარაჰრანმა ძალით დაიჭირა სპარსეთი და მძლავრობდა 599 წლიდამ 603 წლამდე[1]. რომ ხსენებულნი წარწერანი უჩვენებენ გახტანგსა, გურგენსა, სტეფანოზსა ამაზე ეჭვი არა აქვთ; მაგრამ ეს უკანასკნელნი ქ-ცხოვრების პირნი არიან, თუ სხვანი, რომლებზედაც ჯერ ცნობა არა გვაქვს, ამ საგანზე ყველა ნუმიზმატნი ერთ-გვარ არ აზრობეხ. უსახელო ფულს ლანგლუა მისთვისებს გვარამ ბაგრატიონსა. ფულის ႼႴႭ-სგამო დიდი ბაასი ასტუდა. ბართოლომეი ამ სიტყვაში ჰპოვებდა ჯერ ჯავახოსს, მასუკან ჯვაროსს; ბარათაევი, ლანგლუა და ბროსსე კი ჯვანშერს, მაგრამ რომელი ჯვანშერ უნდა იყოს იგი—ერისთავი V საუკუნისა, თუ მეფე VIII საუკ., ესეც გამოსაკვლევია.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სასანიანთ ფულები ქართულის მონოგრამმებით მხოლოდ ბარათაევის კოლლექციაშია. სად და როგორ შეუძენია იგინი ბარათაევს, არ ვიცით; ეს კი ვიცით, რომ შემდეგ ბარათაევისა აქამომდე ჯერ არსად აღმოჩენილან, თუმცა კი სასანიანთ დროს ფულები მრავალია ჩვენის დედა-მიწის გულში. საჭიროა ამ საგანზე ყურადღება მივაქციოთ.

1. Malcolm, *H. de la P.*, I, 223—229.

ვახუშტის თქმით, „ბარონია სწერს მაჰმედის გამოჩენასა ქორონიკონსა (?) წელსა და მეფობასა 9 წელსა და სიკვდილსა 630 წელსა; ხოლო აბუბექირის მეფობას 2 წელსა“.

მაჰმედი იშვა, ლებოს აზრით, 570 წელს; სილვესტრ-დე-სასის ანგარიშით 569—571 [1] აუსტინე II იმპერატორის მეფობაში და მოკვდა 8 ივნისს 632 წ. ერეკლე იმპერატორის დროს. აბუბეკრი, მაჰმედის სიმამრი და მემკვიდრე მოკვდა 23 აგვისტოს 634 წელს [2].

სარაცინნი ანუ მართლ-წერით სარკინ ბერძნულად *saras kyon*—„სარას მონანი“. ამ ლექსსა აქვს თავისი საფუძველი აგარისა და იმის შვილის ისტორიაში [3]. ამის გამო არაბნი და მუსულმანნი აგარიანებათაც იწოდებიან ქ-ცხბაში, როგორც სხვათა ქრისტიანეთა მატიანეებში. წელთა თვლა აგარიანთა იწყობა—622 წ. ივლისის 6 [4].

მ ი რ ი (663—668). სომხეთს და კავკასიის ქვეყნებს აოხრებს მურვან-ყრუ ანუ აბულ-კასიმი თაბორის კათალიკოზობაში, შედის ეგრისში, სტანჯავს ქრისტეს სჯულისათვის არგვეთის მთავართა, ორთა ძმათა დავითს და კოსტანტინეს [5]; მირ და არჩილ იმყოფებიან ანაკოფიის ციხეში. ამ დროს პირველი ერისთავი აფხაზეთისა არის ლეონი, კეისრისაგან დადგენილი. (მირი სტოებს შვიდ ქალსა, რომელთა შორის ერთი ირთავს გვარამ კუროპალატის ბიძის ძმის შვილს, მფლობელს კლარჯეთ-ჯავახეთისას; მეორე—ფეროზის შთამომავალს, პატიახშს თრიალეთისას, ტაშირისას და აბოცისას; მესამე გურგასლანის წარჩინებულს ნერსეს ნერსესიანსა; მეოთხე: ადარნასეს ადარნასიანს და ორნი ესენი—ნერსესი და ადარნასე ჰფლობენ ზენა-სოფელს, „რომელ არს ქართლი“; მეხუთე—

1. Lebeau, *H. du B—E.*, XI, 59.—2. Ibid., 185 n. 1, 187, 216 n. 1.—3. *H. de la G.*. I, 321.—4. Lebeau, *H. du B—E.*, XI, 69—70.

5. დავით და კოსტანტინე, იმათის მარტირიკის ცნობით, „იწამნეს დასაბამითგანთა წელთა 6249, ხოლო ქრისტეს ჯვარცმიდგან 730-სა, მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისავროსა ხატთა მბრძოლისასა, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასალის შვილთასა“. მართლადაც ლეონ ისავრი მეფობდა 717—741 წ. (Sabatier, I, 6); მაგრამ 6249 წ. ბერძნულის

ბარდავის ერისთავის შთამომავალს გარზმანს, რომელიც იმკვიდრებს კომანიდგან ქურდის-ხევამდე; მექვსე—რევის შთამომავალს ჯვანშერ ჯვანშერიანს, რომელიც ჰფლობს ჯვარსა და ხერკსა, მთიულეთსა, მანგლისსა, ხევსა და ტფილისსა და სწერს არჩილის ცხოვრებასა; მეშვიდე გურანდუხტ—აფსაზეთის ერისთავს ლეონ I-სა.)

არჩილ II (668—718). „ამის დროს არა მოგებულ იყო, ამბობს გახუშტი, კვალსავე თვისსა გიორგია, რამეთუ განერყვნა ყრუსა, თუმცა განვლო წელიწადმან მრავალმან. მაშინ მოვიდა ნათესავი მაჰმედისა ჭუმჭუმ-ასიმ და ჰკრვინ წინა-აღუდგა, შემუსრა ქართლი და იწყო შესვლად კახეთად. ხოლო არჩილ განიზრახა მისვლად მისთანა და დადვა სული დაცვისათვის ქვეყანისა.“ ტანჯული ჭუმჭუმ-ასიმისაგან არჩილ იმარხება ნოტკორას, მისგანვე ნაშენს ეკლესიაში.

ჩვენ შესამცნევად მიგვაჩნია ქ-ცხ.ის ცნობა საქართველოში არჩილის დროს, ამისთვის შემოგვაქვს ის აქ. „არჩილ დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპანამდე და წარსდა წელიწადი 12 და იწყო შენებად ქართლმან, ხოლო გარყვნილ იყო საყოფელად მცხეთა. გარდამოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაცისარსა ხიდრისასა. მაშინ მოვიდა მთავარი ვინმე ნათესავისაგან დავით წინასწარ-მეტყველისა სახელით ადარნასე ძმის-წული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მზახებულ იყო ბაგრატონიანთადვე და ბერძენთა მიერ დადგენილ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა და ტყვეობასა ყრუსასა შთასრულიყო იგი შვილთათანა გვარამ კურაპალატისათა კლარჯეთს. მას მიუბოძა არჩილმა შოლავერი და არტანი.

„მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი და აღაშენა ეკლესია სამთორსა და შეირთო ცოლი ასული გვარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან გახტანგ მეფისათა, ბერძნისა ცოლისა ნაშობთა, და დაჯდა ჭუქეთს დაიპყრნა ჭუქეთს მთავარნი, რომელთა მო-

ქორონიკონის გამოანგარიშებით (აქ ნაჩვენია ბერძნული წელთა-თვლა) უდრის 741 წელს და არა 730-სა (Brosset, *Eléments de la langue géorg.*, 268—283). იგივე ანგარიშია ამ მოწამეთა ცხოვრების წარმოდგენაში შიო-მღვ. ვარიანტის მიერ (გვ. 155—162).

ებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი და იყო მაშინ რომელი ერისთავობ-და თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისა-თა აბუხვასრო და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ნუკპატას ..

„ხოლო განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქვეყანასა რანი-სასა და დაეპყრათ გაზირი და სომხითი და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა; ხოლო ძმის-წულნი ადარნასე ბრმისანი წარმოვიდეს ტარონით შაკისად სამნი ძმანი და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა რანით კერძო უმკვიდრო ქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდე.

„მასვე ჟამსა პატიასში ვინმე არა შეეშვნეს კლარჯეთს სხვად და წარვიდეს ნაწევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს კარმახი, და აღაშენა ციხე; ხოლო რომელნი იგი მოვიდეს კახეთს არჩილისათანა, მისცა ერთსა მათგანსა ცოლად ნათესავისა აბუხ-ვასროსაგან, რამეთუ დაქვრივებულ იყო იგი და არა ესვა ქმარი და მიუ-ბოძა წუქეთი... აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს სარკინოზნი ქართ-ლად, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“ (ქ-ცხ., 180 —181).

ბატონი-შვილი თეიმურაზ გვარწმუნებს, ვითომც ამ არჩილის დროს სცხოვრობდნენ როგორც „სჯულის მდებელი და ავტორი „მცირისა ისტორიისა“ კათალიკოზი მიქაელ, აგრეთვე ავტორად ცნობილი კათალიკოზივე დიდი არსენი (ნახე თეიმურაზის ისტორია, გვ. 26, 296), თუმცა იგი არ უჩვენებს ამ ცნობის წყაროსა და ჩვენ თვითონ ამ საგანზე ჯერ-ჯერობით ნამდვილი ცნობა არა გვაქვს.

თვით ვახუშტის მოაზრებით, „კონსტანტინეპოლის მეექვსე მსოფლიო კრება იყო წელსა 681 და არჩილის მეფობის წელსა 13-სა“ აქ მცირე შეცდომაა. ხსენებული კრება გაიხსნა იმპერატორის კონსტანტინე IV პოგონატის მეფობაში (668—685) 680 წ. და დაიხურა 17 თებერვალს 681 წ. (Sabatier.., I, 5; II, 11) ამ კრებამ უწინდელთა „ხუთთა კრებათა მიერ ქადაგებული შეიწყნარა და დაამტკიცა და რომელნი მათ განეკვეთნეს და შეაჩვენეს შეაჩვენა და რო-

მელნი მათ შეეწყნარეს და ედიდნეს ადიდნა და შეიწყნარა და მერმე ახლად შემოსული იგი წვალება ერთისა ნებისა და ერთისა საქმისა მეტყუელთა სრულიად განაგდო“... „და დაამტკიცა მართალი სარწმუნოებაჲ და დაწერა ძეგლი ღვთის-მეტყუელებისაჲ და კანონნი ეკლესიისანი სამოძღვრებელად მორწმუნისა ერისა“. ქ-ცხბით, ამ კრებამ მიანიჭა მცხეთის საკათალიკოზოს მსოფლიო საპატრიარხოთა უფლებანი, გარ- და ყოვლისა საქართველოჲსა, კავკასიის ქვეყნებზედაც „პონტოს ზღვი-დამ დარუბანდის ზღვამდე“ („ქ-ც ს.“, I, 171—172; *H. de la G.*, I, 235—236); მაგრამ ეს განწესება არ მოიპოება არც ქ-ცხბის ვარიანტებში—მარიამ დედოფლისაში და სამგრელოს მთავრისაში და არც თვით კოსტანტინეპოლის სჯულის-კანონნეთა კრებულში (Ibid., 236 n. 5) და, სჩანს, ის შემდეგ არის შეტანილი პეტერ-ბურგის ვარიანტში, თუმცა ამ სჯულის-კანონნეში კათალიკოზნი და მათნი მოვალეობანიც არიან ადგილ-ადგილ განმარტულნი. აქ უნდა დავურთოთ, რომ ჩვენში მოიპოება რამდენიმე ძველადვე გა-დალებული და ეფთიმე წმინდისაგან მე-X საუკუნეში ბერძნულიდამ თარგმნილი მე-VI მსოფლიო კრების სჯულ-კანონი. იმათგანი ჩვენ გვაქვს ხელათ ორი, რომლებზედაც შემდეგაც შევხებით.

**იოანე და ჯუანშერ მთავარნი** (718—787). „დროთა ამათ შინა განირყვნა ქვეყანა, რამეთუ რომელი გამოჩნდის ღირსი მეფედ ხოსროვანი, აგარიანთაგან შემცირდიან, ვინადგან განდიდდა ძალა სარკინოზთა და დაიპყრეს ქართლი და ტფილისი და განმრავლდ-ნენ მთავარნი. იქმნა განდგომილება, ურთი-ერთთა ხდომა და კლვანი. ამათ დროთა შინა მოვიდა ამირ აგარიანი სახელით ხვას-რო და მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს. ამან აღაშენა ტფილისი მოოხრებული ხაზართაგან... მაშინ ძმის-წულმან ლეონ აფხაზთა ერისთავისამან მეორემან ლეონ დაიპყრა ეგრისი სრუ-ლიად და იწოდა მეფედ აფხაზთა, ვინადგან მოკვდა იოანე ერის-თავი წელსა 786 და ჯუანშერცა 787, ქართულსა 7“ [1]. „აქ, ვახუშტის

1. თუ მართლადაც იოანე და ჯუანშერ მთავრობდნენ 718—787 წ., თუმცა კი ეს დიდი დრო ჩვენ ძალიან საეჭვოდ მიგვაჩნია, ამათ დროს უნდა მომხდარიყო იოანე გოთელის ხელ-დასხმა ეპისკოპოზად მცხეთაში (ნახე ზე-

თქმით, სუთასიანი ქრონიკონი 12-ჯერ მოიქცა და ცამეტისა ქკჳსი წელი გასულიყო".

ქრონოლოგიურის რიგით უმთავრესი ფაქტები არაბებზე, რომელთაც გასაოცარის სისწრაფით დაიმონავეს მრავალი ქვეყანა და შეარყიეს ძალა ორის უმთავრესის იმპერიისა—ბიზანტიისა და სპარსეთისა, არიან შემდეგნი: მაჰმედ იშვა, როგორც მოვიხსენეთ, 570—571 წ. და მოკვდა 632 წ. იმის მემკვიდრედ ანუ ხალიფად (მოადგილედ) დაჯდა აბუბეკრი, რომელმაც შემოკრიბა და თავებად დაჰყო ალყორანი ანუ ყორანი და დაიპყრა კუნძული კიპრისა. აბუბეკრის მემკვიდრემ ომარმა (634—644) აიღო დამასკო, ფინიკია, ანტიოქია და იერუსალიმი და ეგვიპტედამ მოყოლებით ევფრატამდე ემირად დააყენა მოავია. ომარის მოადგილემ ოთმანმა (644—654) განდევნა აფრიკიდამ ბიზანტიელნი და 651 წ. დაარღვია სპარსეთის სახელმწიფო და უკანასკნელი სპარსეთის მეფე იეზდეჯერი განდევნილი მოკლულ იქნა 652 წ. იმისი შვილი ფერუზი ჩინეთში სამსახურით იკვებავდა თავის თავსა. ოთმანის მემკვიდრეობა დაიჭირა დამასკში, ანტიოქიაში და ეგვიპტეში მოავიამ (656—680). იმის დროს არაბებმა აიოხრეს იმპერია და თვით კონსტანტინეპოლზე იერიში მიიტანეს. მოავიას შვილის იეზიდის (680—683) შვილი მოავია II მოკვდა 683 წ.

მოდ გვ. 196). ამ საგანზე აქ შემოგვაქვს შესანიშნავი ფაქტი ბოლლანდინის მიერ ვენეციაში გამოცემულს 1744 წ. *Acta Sanctorum*-ში, Vol. V, pag. 151 შეტანილი და რუსულად ნათარგმნი (*Записки Одесскаго Общества исторіи и древностей*, томъ XIII, 1883 г.; ნახე აგრეთვე Селезнева, *Руководство къ познанію Кавказа*, I, стр. 5. „ლირსი მამა, ამბობს ხსენებული ცნობა, სცხოვრობდა კონსტანტინე მე-VI (?V) და ლევ ისავრის (751—775 წ.) დროს და სიყრმითვე შეიმოსა სახე მონაზონობისა. კონსტანტინემ და თვით იმის მიერ მოწოდებულმა კრებამ აღძრეს დევნულობა წინაალმდეგ წმინდათა ხატთა და მართლ-მადიდებელთა მცხოვრებთა გოთის ქვეყანისათა, რომელთაც უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე უსჯულო კრებაში და რომელნიც ამასთანავე დარჩენილნი იყვნენ უმწყემსოდ, ამოირჩიეს თავის მწყემსმთავრად ღირსი იოანე და გაგზავნეს იგი ივერიის საკათალიკოზოში, სადაც ხელ-დასხმულ იქნა ეპისკოპოზად და შემდეგ უკუ-ქცევისა მან დაიცვა უვნებლად კათოლიკე ეკლესიის დოღმატნი და ჭეშმარიტი სარწმუნოება". *Acta Sanctorum* იოანეს ხელ-დასხმის დროს უჩვენებს 758 წელს.

და იმისმა შვილმა აბდულ-მელიქმა (683—705) დაიმორჩილა მთელი აფრიკა გიბრალტარამდე. იმის შვილებთაგანი სილიფად დაჯდა ვალიდი (705—715), რომლის დროს არაბებმა დაიპყრეს სოჭდიანი, ბუხარა და სამარყანდი სიგუნამდე ანუ იაქსარტამდე. ხარიზმი ანუ ასლანდელი ხივა იმისი მოხარკე გახდა. გარდა ამისა არაბნი შევიდნენ ინდოეთში და მთელმა ინდუსის ბასსეინმა იმათი უფლება აღიარა. ვალიდის მხედართ-მთავარი მოსლემა შევიდა კაპპადოკიაში, დაიპყრა ამასია, ააოხრა გალატია, გაემართა ბოსფორით კონსტანტინეპოლზე და ზღვით გაგზავნა ჯარი ხერსონესის დასაჭერად; მაგრამ ბულგარებმა იგი უკუ-აქციეს [1].)

რაჲცა შეეხება ჩვენის მხარის დაპყრობას არაბთაგან, ამ საგანზე გვაქვს შემდეგი ცნობები. პირველად სომხითში შემოდის, შემდეგ 638 წლისა, მოავიას ბძანებით, მოსლემის შვილი ჰაბიბი, რომელიც იპყრობს დვინს, ნახჩევანს, გაია-მორს და შემდეგ ტფილისს, სადაც აყენებს მუსულმანთ გარნიზონსა; ტფილისი არაბების მოხარკე შეიქნება. ხუნანი, გარდაბანი, სამცხე და შავშეთი იმათვე ჩაუვარდებათ ხელში... ამ დროდამ არაბნი ებრძვიან კავკაზიის მხარეში ხაზარებს, რომელნიც იყვნენ ძლიერნი და რომელთაც რამდენჯერმე უკუ-აქციეს იგინი. 717 წელს საქართველოს იმონავებს ეზიდი, მოადგილე ხორასანის მმართველის სულეიმანისა. 731 წელს სალიფი ჰიშამი, ნაცვლად თავის ძმისა მოსლემისა, ჰნიშნავს მერვან-ბენ-მოჰამედს მხედართ-მთავრად არაბის ჯარისა კავკაზიაში. მერვანი შედის კასეთში, ამარცხებს ალანებს 735 წელს, ხაზარებს—737 წ. და ლეკებს—739 წ.; ჯდება ხალიფად 744 წ. და კვდება 9 აგვისტოს 750 წ. [2],) მერვან-ყრუ, რომელსაც ქართული აკტორი სახელ-სდებს აგრეთვე აბულ-კასიმად, არ იყო მაჰმედის დის-წული, არამედ შვილი მაჰმუდ-ბენ-მერვანისა,

1. Sabatier, *Descr. génér. des monn. byzant.*, I, 223, 261, 262, 292—293; II, 10, 11, 21, 33, 36, 44—45; Langlès, *Voyage de Chardin—Notice chronol.*, X, 183—185. ამ საგანს ვრცლად იკვლევს ლებო XI—XII წიგნებში.—2. Lebeau, *H. du B—E.*, XI, 319, 335, 358; XII, 129, 165—172, 193, 205.

ძმა ხალიფას აბდულ-მელიქისა და ბიძა ხალიფას ჰიშამისა, რომლის ბძანებითაც იგი იბრძოდა კავკაზიაში [1].

აქ ხალიფების მოადგილენი მე-VII საუკუნიდამ ისხდნენ ხან ნახჩევანში, ხან დვინში, ხან ერთი-ერთს ადერბიჯანის ქალაქში და ამ უკანასკნელთ თავის ხელ-ქვეით ჰყვანდათ ემირები უმთავრეს ქალაქებში, იმათ შორის თვით ტფილისში [2].

ამტკიცებენ, ვითომც არაბებს ჰქონდათ ასტრონომიული ობსერვატორია ტფილისში [3] და ვითომც თვით იმათ დროდამ შემოდის არაბული სახელ-წოდება საქართველოსი ჯურზ, ჯორზან, რომელიც წარმომდგარია სპარსულის გურჯიდამ. [4] არაბების მწერლობაშივე ვპოულობთ პირველად უცხო-ქვეყნელებთაგან სახელ-წოდებას კახეთისას [5].

---

1. *H. de la G.*, I, 245—247.—2. სრული ცნობები ქართულისა და სომხურის წყაროებიდამ შემოკრებული ბროსსესაგან ხალიფების მოადგილეებზე და ემირებზე ნახე *Addit. à l' Hist. de la G.*, 1851, p. 248—253.
3. Шлоссера, *Всеобщая истарія*, V, стр. 205.—4. Lebeau, *H. du B—E.*, XI, 7 п. 5.—5. *H. de la G.*,—*Introd.*, p. V—VI.

# კარი მეცამეტე

## არაბთ მფლობელობა საქართველოში.

I. მეფე აშოტი (787—826).—არაბთაგან წამებული წმ. აბო და იმისი „ცხოვრება“.—ამ „ცხოვრების“ ცნობა ჩვენ მხარეზე და ხაზარებზე.—განხილვა ძველად-ძველის მანუსკრიპტისა, რომელშიაც შეტანილია ეს „ცხოვრება“.—მეორე ძველად-ძველივე ნათლის-მცემლის უდაბნოს მანუსკრიპტი, რომელშიაც იპოება აბოსივე ცხოვრება.—ოპიზის მონასტერი აშოტის სურათით და წარწერით.—ხუთასიანი ქორონიკონი და იმისი გამოკვლევა.

II. მეფე ბაგრატ I (826—876). არაბთ მხედართ-მთავარი ბუღა და იმისგან წამებული ქართლის მთავარი კოსტანტინე.—ატენის სიონის მე-XI საუკუნის მხატვრობის ქვეშ აღმოჩენილი წარწერა 853 წლისა. მანუსკრიპტი 864 წ. სინაის მთაზე ნაშრომი.—იმის დროსვე მანუსკრიპტი, რომელშიაც შეტანილია „მოქცევა ქართლისა“.

III. მეფე დავით I (876—881).—აწყურის მახლობლად დიდი ტაძარი ბიეთად წოდებული 880 წლის წარწერით.—ადარნასე II (881—923).—წმ. ილარიონ კაჴელი.—ტაძრები: ბანისა, ოშქისა და ვანქისა (?).—აბულ-კასიმი და იმისგან წამებული წმ. გობრონი.—გობრონის „ცხოვრების“ აზრი არაბებზე და სომხობაზე. კათალ. არსენის ნაამბი „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“.—ტბეთის ტაძარი აშოტ კუხისაგან († 916) აშენებული.—ოთხ-თავი 913 წლისა.—სომხითის მეისტორიეთა თქმულება აშოტ დიდის შტოს სომხურს შთამამავლობაზე.

აშოტ დიდი (786—826) კეისრის მიერ კურაპალატი; სახლობს ბარდავში და ტფილისში; ტფილისშივე ზის არაბთ ამირი. კახეთს ჰფლობს მთავარი გრიგოლ, რომელსაც აშოტი სძლევს თავის სიძის აფხაზთა მეფის თევდოსის შემწეობით და თავის მფლობელობასავრცელებს კლარჯეთით ქსანამდე: ხსენებულს ბრძოლაში გრიგოლის თანამოზიარეებად ქ-ცხბა იხსენიებს მთიულებს და წა-

ნარებს[1]. აშოტი ახლებს გურგასლანისაგან აშენებულს არტანუჯის ციხეს. მოიკლის აგარიანთაგან, რომელთა ბძანებლობდა მსედარ-მთავარი ხალიდა იეზიდის ძე და იმარხება მისგანვე აღმართულს არტანუჯის პეტრე-პავლეს ეკლესიაში. იმის დროს იწამება ხალიდასაგან წმ. აბო. იმის დროსვე ქ-ცხში პირველად იხმარება სუთასიანი ქორონიკონი.

ვახუშტის თქმით, „ნიკეას ყოვლის სოფლის კრება იყო წელსა 787, ხოლო აშოტის მეფობასა პირველსა“ [2].

ხალიდა იეზიდის ძეს ისტორია არ იცნობს. ღირს-საცნობი ქართული წყარო ამ შემთხვევისათვის არის თვით აბოს ცხოვრება, დაწერილი თითქმის იმ დროსვე, როდესაც იწამა წმ. აბო და ჩართული წმ. მამათა სწავლა-ქადაგებათა და ცხოვრებათა კრებულში, რომელიც ისიდორეს ექზარხოსობაში სვანეთიდამ არის მოტანილი; ამის გამო სადაც ჩვენ ამ მანუსკრიპტს ვიხსენიებთ „სვანურ მანუსკრიპტად“ ვჴადით. ახლა ის ჩვენს საარხეოლოგიო მუზეუმს ეკუთვნის. „იქმნა იგი, ამბობს აბოზე იმისი ბიოგრაფი იოანე საბანისძე „სვანურ მანუსკრიპტში“, საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა... მაშინ იწყო ზედა მიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა სჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენდა წმინდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინასწარმეტყველოთა და მოციქულთა“... „იყო ჟამი, განაგრძობს იოანე საბინისძე, ოდეს ერის-მთავარი ქართლისაჲ სახელით ნერსე; ძე ადარნასე კუროპალატისა და ერის-მთავრისა მიწოდებულ იქმნა ქვეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან ჟამთა სარკინოზთასა ამირა მუმნისა აბდილაჲსაგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადსა, რომელიცა იგი მან აღაშენა“... „მოკუდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის

1. წანარებზე, რომელთაც კახეთის საზღვრად უჩვენებენ, ნახე კახეთის სურათში მე-XV კარი.—2. ამაზე ნახე, Sabatier, *Descr. génér. des mon. byzant.*, II, 66.

წილ მე მისი მაჭდი...“ „და იყო დღეთა მათ შინა კუალად იყო განრისხებაჲ ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა იგი... და განვლო კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქმის და შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა, სადა იგი არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან... ხოლო რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისათვის... მაშინ ვითარცა იხილა ნეტარმა ჭაბოჲ, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან მძლავრებისა სარკინოზთაჲსა, ისწრაფა მან მისლვად ქრისტესა.:. რამეთუ მადლითა უფლისა წმიდისათა მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქუეყანასა ჩრდილოჲსასა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტესითა ცხონდებიან“... ნერსე ხაზარეთიდამ გადადის აფხაზეთში, სადაც ისხდნენ მთავარი და ეპისკოპოზნი და ქუეყანა მათი იყო „სავსე სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრ იპოებოდა საზღვართა მათთა. ხოლო საზღვარ მათ არს ზღვაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ საზღვრამდე ქალდიაჲსა ტრაპეზუნთაჲ. მუნ არს საყოფელი იგი აფსარეჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთ-სადგური“... „ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსესისა ქართლით წარმოავლინა მაჭდი ამირა მუსმან სტეფანოზ ძე გურგენისა დის-წული ნერსესი ნაცვლად დედის-ძმისა თვისისა ნერსესა ერისთავად ქუეყანასა ქართლად...“ აბოს წამების დროს ასე გვიხატავს იმისი ბიოგრაფი: „სუფევასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, წელიწადსა ვნებიდგან და მკვდრეთით აღდგომით, მეფობასა კონსტანტინეპოლის ქალაქსა მას დიდსა ქრისტიანეთა ზედა კონსტანტინესსა, ძისა ლეონისსა, სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმნისასა ძისა მაჭდისა, ქართლსა შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერის-მთავრობასა სტეფანოზისსა ძისა გურგენისსა, დასაბამით გარდასრულთა 6424, თთვესა იანვრისასა ექვსსა, დღესა პარასკევსა განცხადებასა შევის-

წავეთ მარტჳლობაჲ წმინდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კე-თილად მოღვაწისა ჰაბოჲსი ქალაქსა ტფილისსა“.

არც ადარნასე და ნერსე, არც სტეფანოზ და გურგენ, არც თვით კათალიკოზი სამოელ, რომელთაც აბოს ბიოგრაფი მოიხსე-ნებს, არ არიან ქ-ცხბით ცნობილნი, თუმცა იმ დროებში ნერსეც და ადარნასეც იხსენებიან ტაოს ბაგრატიონებთა შორის. იოანე საბანისძის თქმით, იგი შეუდგა, „ბრძანებითა მამფლისა და უფლი-სა“ სამოელ კათალიკოზისათა აღწერასა მოღვაწეობისასა „სანატ-რელისა ახლისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი, ამბობს იოანე, დღე-თა ამათ ჩუენთა იმარტჳლა.“ აქ დარიალი დარიალანად ხსენებული არის ძველი ნამდვილი სპარსული ფორმა დარ-ი-ალან, რომელიც უდრის არაბულს ბაბ-ალანს. ქალდიად ძველის დროდამვე იგულის-ხმება აწინდელი ჭანეთი. ბაღდადი, თუმცა ქ-ცხბაში მე-VIII საუკუ-ნეზე ადრევე იხსენიება, მაგრამ, როგორც იოანე საბანისძე სი-მართლით შენიშნავს და როგორც ნამდვილად ვიცით, დაფუძნებუ-ლია 762 წელს აბდალასაგან, რომელიც მოკვდა 14 სექტემბერს 775 წელს და იმის მემკვიდრედ დაჯდა იმისი შვილი მოჰამედ მაჰდი. თვით ხალიფა მაჰდი მოკვდა 3 აგვისტოს 785 წ.; მაჰ-დის შვილი და მემკვიდრე მუსა ხალიფობდა მხოლოდ 786 წლის 15 სექტემბრამდე და იმის მაგიერ დაჯდა იმისი ძმა ჰარუნ-ალ-რაშიდი. იმპერატორი კოსტანტინე ლეონ IV-ს ხაზარის შვილი მეფობდა 780—787 წ. ეს სინხრონიზმი უჩვენებს, ბროსსეს შენიშ-ნით, რა დროს უნდა მომხდარიყო წამება წმ. აბოსი. უეჭველია თვით საბანისძის სურათი ხაზართა. სად სცხოვრობდნენ ხაზარნი, ვინ და როდის შეიტანა ხაზარეთში ქრისტეს სჯული, რა ძალა ჰქონდათ მათ მე-VII—VIII საუკ. ამაზე სრულს ფაქტებს გვაძლევს ლებო. თვით დღესასწაული განცხადებისა ნამდვილ იყო პარასკევს 786 წლის 6 იანვარს. ხრონოლოგიის ჩვენებაში აქ შეცდომაა: 6424 წ. დასაბამიდგან სოფლისა უჩვენებს: ბერძნულის სისტემით 916 წელსა ქრისტეს შობის შემდეგ, ქართულის სისტემით კი—820. აქ ნაცვლად „წელსა ვნებიდგან და მკვდრეთით აღდგომით“ უნდა მივიღოთ დღე

ქრისტეს შობისა და 820-დამ რომ 30 წელი გამოირიცხოს, იქ-ნება 790 წელი, უახლოესი 786-ს წლის[1].)

ჩვენის აზრით, „სვანურ მანუსკრიპტს“ აქვს ქართულს ძველს მწერლობაში ისეთი მნიშვნელობა, ამისთვის მივაქცევთ ამას მკითხველის ყურადღებასა. იგი შეადგენს დიდს ფოლიანტსა, არის ნაწერი მსხვილს ტყავზე ანუ ეტრატზე და შეიცავს 489 გვერდსა; ნაწერია თავიდამ ბოლომდე ნუსხურის უძველესის ხასია-თის ასო-მთავრულით, გარდა 187—210 გვერდისა, რომელიც ნუსხა-ხუცურია, მაგრამ ძვირად ემსგავსება ასო-მთავრულს დაწო-ლილსა აქ შემოტანილნი არიან 63-მდე წმ. მსოფლიო მამათა სწავლა-მოძღვრებანი და ცხოვრებანი და იგი თავის შინაარსით გვაძ-ლევს უეჭველს საბუთესს, რომ იმის დროს და ძვირით იმის წინა-თაც ჩვენა გვქონია მრავალი საეკლესიო თხზულებანი თარგმნილნი და თვით ბიბლიაცა; საუბედუროდ, აღარც თავი აქვს იმასა და აღარც ბოლო, და არა ჩანს, რა დროს ნაშრომია იგი. ერთს ად-გილს (გვ. 242) იმასა აქვს შემდეგი მინაწერი: „ქრისტე შეიწყა-

1. *H. du B—E.*, XI. 115—119; XII, 57—80, 165—16 , 73—174; XIII, 130—133, 174—177. თვით ამოზე ნახე *Addit. à l' H. de la G.*, 1851, p. 132—136 და Brosset, *Voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, exécuté en* 1847—1848. Spb., 1849, I-re Rapp., p. 5—8. ეს წიგნი, დაფუძნებული ბროსსეს მიერ არქეო-ლოგიურს შესწავლაზე ჩვენის მხარისა, რომელიც მან მიმოვლო აკადემიის მინდობილებით, ბევრს ღირსებათა გარდა ბევრს ნაკლულევანებასაც შეიცავს. ეს უნდა ახსოვდეს საქართველოს არქეოლოგიის აწინდელს გამომძიებელს, რომელიც კი მის ხელმძღვანელობას მიჰმართავს. ჩვენ მრავალ ადგილს ად-გილობრივ შევამოწმეთ ამ წიგნში შეტანილი წარწერავნი ეკლესია-მონასტ-რებისა თუ მანუსკრიპტებისა და მრავალი მათგანი, როგორც აღმოჩნდა, სავ-სეა შეცდომებითა. მაგალითად, ვუჩვენებთ თვით იმ მანუსკრიპტსა, რომელსაც აქ ვიკვლევთ და რომელიც განუხილავს ბროსსეს. აქ ბროსსე ერთ ადგილს იერუსალიმის მაგიერ კითხულობს თმოგვსა და პეტრე იერუსალიმის არქიე-პისკოპოზს ჰხადის პეტრედ თმოგველს არქიეპისკოპოზად (ნახე თვით მანუ-სკრიპტში გვ. 71); იოანე მტბევარის მინაწერში „მომგებელის“ მაგიერ „გამგებელი“ (*Voyage..*, p. 7). ამასთანავე მინაწერებთა შორის იხსენიებს უცნაურს ქართულს ანბანს ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, ყვავ-ფრჩხილოვანი-სა, რომელიც სრულებით არა ჩანს. საჭიროება მოითხოვს ხსენებულის *Voy-age archéologique*-ის შეცდომანი ადგილობრივ საფუძვლიანად შესწორდნენ.

ლენ ამის წიგნისა მომგებელნი მამფალი მტბევარი ივანე და მამაჲ თეოდორე". იოანე მტბევარი, დიდ ბრწყინვალე სამღვდელო პირი მე-X საუკუნისა, მოღვაწეობდა დავით დიდის კურაპალატის დროსა. „მოიგო", ესე იგი მოიჭრა; მაშა-სადამე მანუსკრიპტი იოანეზე ადრინდელია. ჩვენის ფიქრით, იგია თვით იმ დროისა, რომელსაც ეკუთვნის აბოს ცხოვრების შედგენა, ესე იგი მე-VIII საუკუნის გასულისა, ანუ მე-IX საუკუნის დამდეგისა. ერთის სიტყვით, იგია იშვიათთა უძველესთაგანი ჩვენ მიერ ცნობილი მანუსკრიპტი. თვით ორთოგრაფია იმისი ანუ მართლ-წერა იმგვარივეა, რომელიც ჩვენ ზემოდ გვ. 84—85 ვუჩვენეთ. აქ სახელ-წოდება თვეთა იხმარება ბერძნული ქართულის განმარტებით: „გორპიოს", რომელ არს სეკტემბერი; „იპერპერესტოს", რომელ არს ოკტომბერი; „დიოს",—ნოემბერი; „აპილიოს"—დეკემბერი; „ავდონიოს"—იანვარი; „პერეტიოს"—თებერვალი; „დესტროს"—მარტი; „ქსანდიკოს"—აპრილი; „არტემესიოს" მაისი; „დესიოს"—ივნისი; „პანემოს"—ივლისი; „ლოოს"—აგვისტო (გვ. 30—32. ნახე აგრეთვე გვ. 55, 134).—რა გვარის სასიათისაა ცნობა მანუსკრიპტისა, ამის ნიმუშად შემოგვაქვს იქიდამ თვით იმის ორთოგრაფიით ერთი ადგილი დიონისიოს ეპისკოპოზის ცხოვრებიდამ (გვ. 178). ქარაგმა სტამბაში არ არის, ამისთვის აქ არ იხმარება.

„...და უბრძანა მღდელთა და სიბრძნის მსწავლელთა: რა მოსწრაფე იქმნენ სწავლასა ჩემსა დასრულებასა ყოვლითა სიბრძნითა რიცა ყო გაცემან მან: რ დღჱ და ღამჱ. უწირსედ მასწავლიდა. ვლის მასწავლა მე ყი სიბრძნჱ. შესავალი და გამოსავალი ულისმეცნიერებისაჲ და სრბაჲ მზისაჲ და მთოვარისაჲ და ვარსკულავთაჲ და ბუნჱ ნათლისაჲ. და განწვალებაჲ ჟამთაჲ და საუკუნენი ქართანი და მოქცევაჲ ფილიქსაჲ. და ცნობაჲ ჴაერთაჲ და განგებაჲ კომთაჲ. და წინააღდგომაჲ ქართაჲ:

„და ჟამნი იგი რლსა შნა მზესა და მთოვარჱსა. შეემთხოჳევის სიბნელე იგი ვნებისაჲ. და განწვალებაჲ იგი წყალთა მათ ზესკნელთა და ქუესკნელთაჲ. და ჟამნი იგი რლთა შინა ქუნაჲ შეიძრვის და რლსა ჟამსა განისუჳმიან ბჳენი იგი ფონთა-

ნი. და რაჲ საქმჱ აქუს კარისკულავთა მათ რნი რბიან. ცათა შინა:

„და ვითარ ესე ყოველი დავისწავე შემიყვანა. რიცხუსა კარსკულავთ მოქცევისასა. და მცირედისა ჟამისა შემდგომად დავისწავლე იგიცა და გულისხმა ვყავ წულილადთა მათ ყოლთა გამოძიებაჲ და ფილოსოფოსთა მათ ბრძენთა. მეცნიერებაჲ და მიერითგან დავჳჯედ მე ბჭეთა თანა ბჭობასა და განგებასა".)

საყურადღებოა თვით დასაწყისი „აბოს ცხოვრებისა". მე— კსმარობთ იმისსავე ორთოგრაფიასა-სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი იოვანეს საბინისძესა სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და საყუარელსა ჩნსა ლოცვით ოლისა მიერ ვიკითხავ: მშჳდობაჲ იყავნ შენ ზა და ყოლთა სახლისა შენისა კრებულთა ქჱს მიერ: ჩჱნ თვით უწყით წადიერებაჲ შენი ღუთის მსახურებისათჳს და ღთვ მიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ და გულს მოდგინებაჲ შა კეთილთა საქმეთა მოღუაწებაჲ ში; შნ თუთ უწყი სანატრელისა ამის ასულისა მოწამისა ჰაბოისაჲ რლი დღეთა ამათ ჩნთა იმარტჳლა მეოხად ქჱს მიმართ ყლისა ამის სოფლისა ჩნისა ქართლისათჳს. მნებავს რა დაიწეროს სანატრელისა ამისა მარტჳლობაჲ ვა პირველთა მათ ქჱს მოწამეთაჲ: და დაიდვას იგიცა წსა კათოლიკე ეკლესიასა შა მოსაკსენებელად ყლთა ვინ იყვნეს შემდგომად ჩნსა: ამისთჳსცა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი კელითა ასართან მღდელისა ჩემისაჲთა. აწ მიიღე წიგნი ესე და ლოცვაჲ ჩნი და ჯრის დაწერაჲ კელითა ჩემითა და შეწევნითა ღთისა მამისა მისა და სლისა წდისაჲთა მეოხებითა წმიდისა ღჲს მშობლისაჲთა და წთა მოციქულთაჲთა და მოწამეთაჲთა: კელყავ გამოთქუმად სდ ჭეშმარიტად ვრ იგი იყო და ვა შენ თუთ უწყი და აღწერე მარტჳლობაჲ წმინდისა მოწამისა ჰაბოჲსი და აღწერილი ჩნ მოგჳძლოუნე რა უმეტესად ლოცვა ვყოთ: მადლი ოჲ იყავნ შენ ზა ან."

„პასუხი წიგნისაჲ იოვანეს მიერ რდის საწადელი და თა-

ყოვნის სავცემელი ბრძანებაჲ ღთჲსა ჰატიოსნისა მამთავლისაჲ და ოლეის ჩემისაჲ კელითა სიწმიდისა მოყოვრისა სანთან მღდელისაჲთა რლისა თჳსცა აპყრობითა კელთა ჩემთაჲთა მადლი შეწირა ოჳლირსებამან ჩემმნ ყლდ ძლიერისა და ქველის მოქმედისა ქ჻ს ღთისა ჩნისა რნ არა დავიწყებოჳლყო სიმდაბლ჻ ესე ჩემი ღთის შეწყნარებოჳლთა წთა ლოცვათა შნთა რსა ესე ღირს ვიქმენ მიმთხოჳლად: და ოჳფროჲსლა ვაქებ და ვაკოჳრთხევ მოწყალებასა ღთისასა რნ დასერგა გოჳლსა მამთლისასა ესე ვითარისა ამისთჳს ბრძანებად რლ სარგებელ და ნაყოფ სოჳლისა და სიჳადოჳლ და სიხაროჳლ კორცთა მექმნების საოჳკოჳნოდ მიმართ და სოფელსა ამას [1].“

1. ეს წერილი სამოელისა საბინისძისადმი და პასუხი ამ უკანასკნელისა არ იპოება არც ერთს, გარდა „სვანურის მანუსკრიპტისა“, ვარიანტში, რომელნიც კი ახლა ხელში გვაქვს. აქ-თვალია: 1) „მეტაფრასად“ წოდებული თავის ზანდუკით „ნათლის-მცემლის უდაბნოდამ ამ მოკლე ხანს გადმოცემული საეკლესიო მუზეუმში; 2) „მამ-ცხ. შიო-მღვ“. და 3) იმავე ნათლის-მცემლის „ქართველთ მამათ-ცხოვრება“, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ღედნად ჰქონია „შიო-მღვ. მამ-ცხ“. გადამწერსა. ამ საგანს და თვით ღირს-შესანიშნავს ისტორიულ მინაწერს ნათლის-მც. „მამ-ცხბისას“ ქვემოდ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებასა. აქ კი ორიოდე სიტყვას ვუძღვნით ნათლის-მცემლის „მეტაფრასს“. ეს მეტაფრასი ეტრადიანი დაწერილია მთლად ჩასხვილის ნუსხა-ხუცურითა, რომელიც „სვანურის მანუსკრიპტის“ ნუსხა-ხუცურს ძალიან მიემსგავსება და, ჩვენის მოაზრებით, თუ ამ უკანასკნელის დროისა არა, ბევრით შემდეგი არ არის. იქ სხვათა მრავალთა მსოფლიო მამათ ცხოვრება-მოძღვრებათა შორის (შეიცავს 112 თავსა 1320 გვერდზე, თუმცა ბოლო აკლია) ჩართულნი არიან ჩვენთვის უაღლოესად შესანიშნავნი: „თქმულებანი წმინდისა დედისა ჩვენისა ნინოსნი“ (გვ. 75 - 82, 281—288); 2. „მოძღვრებანი“ იოვანე ბოლნელ ეპისკოპოზისანი (გვ. 224—227, 491—511, 520—549); 3, „ცხოვრება და წამება წმინდისა აბოსი“ (გვ. 288—366), სრულიად იგივე, რომელსაც „შიო-მღ. მამ-ცხბში“ ვპოულობთ; 4, „წამება წმინდისა დედოფლისა შუშანიკისა“ (735—748—ბოლო აკლია), სრულიად იგივე. 5, „წამება წმინდისა სომეხთ მეფის ასულისა სინდუხტისა“ (არა ჩანს). მინაწერები უჩვენებენ, რომ „მეტაფრასი ყოფილა კუთვნილი პარხალის ნათლის-მცემლის მონასტრისა (გვ. 763, 968), რომელიც მდებარებს ჭოროხის ხეობაში და რომელზედაც ნახე ჩემი *Ареолог. путешествie по Гурiи и Адчарѣ*. Спб. 1878, стр. 82, 140 და *Кавказъ въ древн. помят. христiанства*, стр. 119—120“... „ესე მამათა მოწამეთაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხანით (იშხანი იქვე ჭოროხის ხეობაში (*Кавказъ въ древн. помятн.*, стр. 74—75) მოვიღე და მით გავასრულე.. „ჭირნი კულავ დიდ·

აშოტ კურაპალატის დრო ჩვენ გვაძლევს რამდენსამე შეურყეველ ფაქტსა ქ.-ცხბის სინამდვილისას. ეს ფაქტები არიან შემდეგნი:

1. აშოტის ძე გვარამ იწოდება მამფალად და შემდეგ მისა ეს სახელ-წოდება ანუ ადმინისტრატიული ხარისხი ვრცელდება ჭოროხის ხეობის ბაგრატიონებში. ლექსი „მამფალი“ წარმომდგარია სიტყვიდამ „მეფე“ და რადგანაც ტაოს ბაგრატიონები არაბების შიშით ვერ ჰბედავდნენ მეფედ წოდებასა, ამის გამო იმათ მიუთვისებიათ მამფლობა, რომელიც უდრის მთავარს, პატრიკს, ერისთავს, უფალს. ამ ლექსსვე ხმარობს კონსტანტინე პორფიროგენი მე-X საუკ., როდესაც იგი თავის ისტორიულ გამოკვლევაში შეეხება ტაოს მპყრობელთა. ამ ლექსსვე ვპოულობთ იმ დროის ზოგიერთს მანუსკრიპტებში და გუჯრებში; მაგალ. ზემოდ გარკვეულს „სვანურ მანუსკრიპტში“, სადაც იოანე საბინისძე სამოელ კათალიკოზს მამფლად მოიხსენებს და აგრეთვე ბაგრატ IV-ის (1027—1072) ოპიზის სიგელში: „და მოიღეს ოპიზართა გვარამ მამფლისა სიგელი, რომელი ოპიზართათვის დაეწერია“. აქ შესანიშნავი ეს არის, რომ ხარისხი მამფალი ჭოროხისა და ზემო-ქართლის საზღვრებიდამ თითქმის არ გასულა და ამასთანავე მე-XI საუკუნიდამ, როდესაც მამფლები ერთ-მპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში სრულებით გაჰქრნენ, აღარც ქ.-ცხბაში და აღარც სხვა ძველ მწერლობაში სრულებით აღარ იხმარება[1].

ნი მინახჯან: გაბრიელ ლსკაველი და გაბრიელ ხარგაი დიად დამიდვეს თანა: ოდეს მიმჭირდის, მათ მავჭმართი: პურად მათ მციან“... „იოვანე გაცვეთილმან კუტალითა ღვინოდ მომართვა“ (გვ. 1222—1223, 1298). კიდევ მინაწერი 102 გვერდზე: „ჩვენ ხელმწიფემა პატრონმა დადიანისა ასულმა დედოფალთ დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურჯულოს ქვეყნიდამ გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამხდარი.“ აქ ხსენებული მარიამ უნდა იყოს დადიანის მანუჩარ I-ს ქალი და ქართლის მეფის როსტომის ცოლი † 1678 (*H. de la G.* II, 1 livr., p. 647). წიგნი შეკაზმულია ძველის ტყავითა და არის სიგძით 10½ და სიგანით 7 ვერშოკი, წონით კი, რა საკვირველია, ფუთზე მეტი.

1. *Addit. à l' H. de la G.*, 148; ჩემი *Статьи по исторiи и древностямъ Грузiи*—Приложенiе къ LV т. Записокъ Имп. Академiи Наукъ, стр. 27.

2. წარწერა ოპიზის მონასტრისა, რომელიც მე ვნახე 1879 წ. და რომელიც მდებარებს ჭოროხის ხეობაში, არტვინის მაზრაში, ერთს მიყრუებულსა და თითქმის შეუვალს ღელეში. ამ მონასტრის დიდებას და სიმდიდრეს აღტაცებით იხსენიებს ჩვენი მემატიანე მე-XIII საუკუნეში. მართლადაც, მრავალი ნაშთი ოპიზისა ცხადად უჩვენებს იმის წარსულს დიდებასა და აშოტის მოღვაწეობასა. დიდს თლილის-ქვით ნაშენს პალატზე იკითხვის: „ესე მე აშოტმან ოთხს წელს ავაგე“. მშვენიერის ხელოვნების ტაძარი, რომელსაც ეტყობა გაახლება და აქამომდე დაუცავს ძველი მხატვრობა, წარმოადგენს მარჯვენა კედელზე აშოტ კუროპალატს და იმის დროს სხვა და სხვა უმაღლეს პირთა. ეს მხატვრობა ჩემ დროს თითქმის ირყეოდა. აშოტს მიწერილი აქვს: „აშოტ კუროპალატი მეორედ მაშენებელი ოპიზისა და წმინდისა ამის საყდრისა“. სიტყვას „მეორედ მაშენებელი“ იმეორებს ქ.-ცხბა, თუმცა ეს უკანასკნელი ოპიზის მეორედ მაშენებლად შეცდომით ჰრაცხს აშოტის შვილს გვარამ მამფალსა: „და მოკვდა გვარამ ძე აშოტისა და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აშენებულსა“ [1].

3. ხუთასიანი ქორონიკონი, პირველად ხმარებული აშოტის დროს. (აქ უნდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ შემდეგზე. ხრონოლოგიური სისტემა ჩვენთა ავტორთაგან მეცნიერულად გამოკვლეულია: პირველად 964—965 წ. ქრ. აქეთ და ჩართული ძველს 941—965 წლის სინაის ქართველთ მონასტრიდამ გამოტანილს მანუსკრიპტში, რომელიც ახლა ეკუთვნის საიმპერატორო ბიბლიოთეკას პეტერბურგში [2]; შემდეგ 1233 წელს შავშეთში იოანე შავთელისაგან შედგენილს ტრაქტატში [3];) მაგრამ ხრონოლოგია ქ.-ცხბში, სადაც საჭიროა, ან სრულებით არ არის ნაჩვენები, ან ძალიან არეულია. ეს ნაკლულევანება შეასწორა ვასუშტიმ, რომელმაც ამ საგნის შესახებ არა-თუ დაგვიტევა შესანიშნავი ტრაქტატი [4], თვით საქართველოს ისტორიის მომდინარეობისა და მეფეების

1. *Статьи по ист. и древн.*, стр. 29—30.—2. *Mél. Asiat.* III, 261—280. „*Mém. de l' Acad. imper. des sciences.* VI série, t. XI, № 13, p. I—20.—3. ნახე იმავე *Mém. de l' Acad.*, 21—56.—4 Ibid., 57—88.

ცხოვრების ხრონოლოგიაც აღმოაჩინა და თავ-თავის ადგილს ჩაურთო. ეს ხრონოლოგია არის ორ-გვარი: ბერძნული და ქართული; ორივე იწყობა ქვეყნის დასაბამიდამ და მომდინარეობს ქრისტეს შემდეგაც. როგორც ახლა მიღებულია, სოფლის დასაწყისიდამ ქრისტეს შობამდე გასულა ბერძნულის გამოანგარიშებით 5508 წ., ქართულის გამოანგარიშებით კი—5604 წ., ასე რომ განსხვავება მხოლოდ 96 წელშია. (გარდა ამისა ეს წელთ მომდინარეობა დაყოფილია მზისა და მთვარის მოქცევაზე, რომელიც შეიცავს 532 წ. „რადგან მზის მოქცევა, ვახუშტის თქმით, 28 წელი არს და მთოვარისა 19 და ესენი გასწორდებიან 532 წელს; ესრეთ 28-ჯერ 19 იქნება 532 და 19-ჯერ 28 იქნება ისევ 532, ამისთვის ორნივ ამ 532 წელს მოიქცევიან და ისევ პირველსავე მიჰყვებიან“... თვითოეულს 532 წლის მოქცევას ეწოდება კიკლოსი, კინკლოსი ანუ ციკლი და ჩვენ რომ დასაბამიდამ სოფლისა წელთა მომდინარეობა ციკლებად დავჰყოთ ქართულის სისტემით, ვნახავთ, რომ ახლა ჩვენ მე-15 ციკლში ანუ მოქცევაში ვიმყოფებით. ამ გვარად, თუ ჩვენ დასაწყისიდამ სოფლისა 96 წელს პირველ მოქცევაში შევიტანთ და ამით დავასრულებთ ამ მოქცევას, მეორე მოქცევა დაიწყობა 436 წელსა; მესამე—968 წ.; მეოთხე—1500 წ.; მეხუთე—2032 წ.; მეექვსე—2564 წ.; მეშვიდე—3096 წ.; მერვე—3628 წ.; მეცხრე—4160 წ.; მეათე—4692 წ.; მეთერთმეტე—5224 წ.; მეთორმეტე—5756 წ. ანუ 248 ქრისტ. შემდეგ; მეცამეტე—6288 წ. ანუ 780 წ. ქრ. შემდ.; მეთოთხმეტე—6820 წ. ანუ 1312 და დასრულდება 1844 წელს) ეს დაყოფა ქრ. წინადროებისა ციკლებად ეკუთვნის ვახუშტის. აქ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ძველი ჩვენი საეკლესიო მწერლობა ხან ბერძნულს ხრონოლოგიურ სისტემას მისდევს, ხან ქართულს, ხან კი ერთსა და იმავე დროს ერთსაც ხმარობს და მეორესაც[1]. რა საკვირველია ჩვენის მანუსკრიპტების ქორონიკონებს სიფთხილით უნდა ეკიდე-

1. აქ შევნიშნავთ, რომ რუსების ძველი მწერლობაც ხმარობს ხუთასიან ქორონიკონს, მაგრამ ბერძნულის სისტემისას. სომხებს კი აქვთ განსაკუთრებული ქორონიკონი: იმათი წელთ აღრიცხვა იწყობა 552 წელს ქრისტეს შემდეგ და მომდინარეობს მოუქცევლად.

ბოდეს გამომეძიებელი. ჩვენ არა ერთხელ შეგვინიშნავს, რომ გამოანგარიშება სოფლის დასაბამიდამ ხუთასიან ქორონიკონს ყოველთვის არ ეთანხმება. თვით ეს უკანასკნელი შეცდომით იწყობა ხან „ჯვარცმიდამ ქრისტესა“, მაშინ როდესაც ქრისტეს შობის დრო უნდა იგულისხმებოდეს.

ჩვენში, როგორც აქამომდე ვიცით, ხუთასიანი ქორონიკონი იწყობა 780 წელს, ესე იგი მეცამეტე მოქცევით და იმის წინად იგი არც მწერლობაში, არც ეკლესიების წარწერებში ჯერ არ აღმოჩენილა. ქ.-ცხბაში უძველესად არის იგი ხმარებული 826 წელს აშოტ კურაპალატის სიკვდილის წელსა. თვით ქართულ ტაძართა და მანუსკრიპტთაგანნი, აქამომდე ცნობილნი, რომელნიც პირველად უჩვენებენ ქორონიკონსა, არიან ატენის სიონი და სინაის მონასტრის მანუსკრიპტი. იმათში სიონი უჩვენებს 853 წელსა, მანუსკრიპტი — 864 წ.[1]. რა მნიშვნელობა აქვს აქ 780 წ., ან ვისგანა გვაქვს მიღებული ხუთასიანი ქორონიკონი? ამ საგანს იკვლევს ბროსსე, რომელიც ამტკიცებს, რომ ხუთასიანი ქორონიკონი ანუ ციკლი შემოტანილია სირიიდამ და თვით იოანე შავთელი თავის განმარტებაში უწოდს მას სირიულად: „ასურულისა კვიკლოსისა სამიებელი და მასწავლებელი“. რადგანაც, ბროსსეს საბუთით, ქართველები და ქართული ეკლესია ანტიოქიის ხელ-მძღვანელობას ექვემდებარებოდნენ, არ არის გასაკვირველი, რომ სირიელთ სამღვდელო პირთ შემოეტანათ საქართველოში ხუთასიანი ციკლი ანუ პასხალიონი.

1. ამ წელს უჩვენებს ბატონი ა. ცაგარელი იმისგან ნახულს სინაის მონასტრის ქართულის წიგნთა-საცავის მანუსკრიპტში, რომელიც არის „მრავალ-თავი“ ანუ სიტყვანი და მოძღვრებანი გრიგოლი ნეოკესარიელისა, ვასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და კირილე იერუსალიმელისა. „ეს მრავალ-თავი“ გადაწერილია მაკარი ლეთეთელის მიერ ძისა გიორგი გრძელისაჲ, თანა—შეწევნითა პიმენ კახისაჲთა და ხელ.თ-წერითა ამონა ვახტანგ ტობარლეულის ძისაჲთა იერუსალიმს, ლავრასა დიდსა წმ. საბაჲსა, თეოდოსის პატრიარქობასა (862—870) და მამასახლისობასა სოლომონისსა, დასაბამიდგან ხუჲწ (6468—864 წ.), ქორონიკონსა პდ (84—864 წ.). მაკარის შეუწირავს იგი სინას მთისათვის, სადაც დასაბამიდგან წელსა ხფპე და ქორონიკონსა სა (981 წ.) იოვანეს და ზოსიმეს „მესამედ შეუმოსნიათ იგი ტყავითა ზროხისაჲთა“. ამის მეტს ისტორიულს ცნობას ამ მანუსკრიპტზე ბატონი ცაგარელი არას გვაძლევს (*Памятники грузинской старины въ Св. землѣ и на Синаѣ*. Спб., 1888., стр. 234—235.)

მიზეზი ქორონიკონის დასაწყისისა იმის მოაზრებით არის შემდეგი: „ჩვენ ვიცით, რომ ათას-წლოვანი პერიოდი რომისა დასრულდა ქრისტეს შემდეგ 248 წელს, რომლიდამაც იწყობა მე-XII მოქცევა; მაგრამ რომი აღარ არსებობდა იმ დროს, როგორც მსოფლიო მეტროპოლია და აღარ იყო საჭირო მეორე ათასეულის თვლა. 780 წელს თავდება 248 წლიდამ ხუთასიანი (532) ციკლი. ექვსის წლის შემდეგ აშოტ ბაგრატიონის დროს საქართველო იკრიბებს თავის ნაწილებსა და ერთ შემთხვევას, რომელიც ჩვენ ჯერ არ ვიცით, შემოაქვს ამ ქვეყანაში ხუთასიანი ციკლი და ქართველები იმის თვლას იწყობენ 780 წლიდამა“[1].

აშოტ დიდმა დასტოვა ერთი ქალი, რომლის სახელი არა ჩანს და რომელიც ცოლად ჰყვანდა აფხაზთ მეფეს თევდოს I-სა, და ორი ვაჟი: ბაგრატი, შემდეგ იმისა კუროპალატი და ადარნასე, რომლის შთამომავალნი ჰფლობდნენ ტაოს ქვეყანასა.

ბაგრატ I კუროპალატი (826—876) ირთავს სომხითის მეფის სუმბატ აღმსარებლის ქალსა; ამარცხებს თევდოსს აფხაზეთის მეფეს; აწესებს აფხაზეთის საკათალიკოზოს[2]. იმის დროს ლიპარიტ (ორბელიანი) იპყრობს თრიალეთის მხარეს და აშენებს კლდე-კარის ციხე-სიმაგრეს; არაბთ მხედართ-მთავარი ბუღა აოხრებს სომხითს და ქართლს;

1. ქორონიკონზე ნახე: „ქ.-ცხბა“, I, 189; *H. de la G.*, I, 23 n. 3; Stéph Orbélian, *Histoire de la Siounie*. Spb., 1864, I, 58 n. 3; *Bullet. de l' Acad. des sciences*, XXII, 455—487; *Mém. de l' Acad.*, t. XI, № 13, p. 24.—ბატონი ჩუბინაშვილი თავის წერილში: „განწილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ანუ ქვეყნის მეფეთა მთავართა“ ამტკიცებს, ვითომც ხუთასიანი ჩვენი ქორონიკონი იყოს პონტოს ერა და [illegible] რომ შეადარე, ამბობს იგი, ჩვენი ქორონიკონი და აღრიცხვა, მაშინ აღმოჩნდა, რომ დასაბამი ჩვენისა და პონტოს ერასი არის 284 წელი ქრისტეს წინად... თუმცა ჩვენში 781 წელს შემოუღიათ ქორონიკონი, გარნა რიცხვი წელთა დასაბამისა დაუდვიათ პონტოს ერა ანუ დასაბამი წელთა აღრიცხვისა, რომელსაც ჰქონია დასაბამი 284 წელს ქრისტეს წინად“ (გვ. 16—18). აქ მიაქციე ყურადღება პლ. იოსელიანის საბუთებზე ამის წერილში: *Таблица хроникона или грузинскаго лѣтосчисленія въ Описаніи древностей г. Тифлиса*. Тифлисъ, 1866, стр. 293—314.

2. აფხაზეთის საკუთარ კათალიკოზზე უფრო ადრე, ესე იგი 720 წლიდამ ნახე ცნობა *H. de la G.* I, 239 n. 6.

დარიალის კარით გამოჰყავს ოვსნი ანუ ოსნი და დარუბანდის კარით ხაზარნი; ასახლებს-ხაზარებს შანქორში და ოსებს დმანისში. შემდეგ არაბთ მხედართ-მთავარი მამელ ხალილას ძე იწყებს სომხითს, რანს და ქართლს. აწვალებს ქრისტესთვის მთავარი ზემო-ქართლისა კოსტანტინე.

ვახუშტის თქმით, „ამ ბუღამ შეიპყრა კოსტანტინე ქართველი და წარავლინა ბაღდადს წინაშე ჯაფარ ამირ მუმლისა და მან აწამა იგი ქრისტესათვის წელსა 850, ვითარცა გვაუწყებს მეტაფრასი მისი“.

კოსტანტინეს ბიოგრაფია, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია და რომლის ავტორი არა ჩანს, ამბობს: „მე არა ღირსმან აღვწერე ცხოვრება და წამება წმინდისა და ნეტარისა კოსტანტინესი, რომელი იყო წარჩინებული ფრიად სანახებსა ზენა-სოფლისასა, ქვეყანასა ქართლისასა, დღეთა ჩვენთა, მეფობასა ღვთის მსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელი იგი მეფობდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრე ყრმაღა იყო ძე მისი მიხაილ. ამან ნეტარმან განწმინდნა საბერძნეთი ყოველი საცდურისა მისგან, რომელი იყო დღეთა ქმრისა მისისათა ხატისა ურწმუნოებისასა“... „და წარადგინეს ტფილისს შინა წინაშე მძლავრისა მის, რომელსა სახელი ერქვა ბუღა... მიჰგვარეს მეფესა მას ისმაიტელთასა ჯაფარს ძესა აბრაჰამისსა“... „ხოლო აღესრულა იგი თვესა ნოემბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისასა, დღე იყო პარასკევი, დასაბამიდგან წელიწადნი იყვნეს 6457, ხოლო ზედა-წერილსა ისმაიტელთასა 232“[1]

აქ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას შემდეგს ორს საგანზე.

1. გორის მაზრაში, ატენის ხეობაში მდებარებს დიდი და შესანიშნავი ეკლესია, თითქმის შეურყეველი და მხატვრობიანი. ამ ეკლესიას ბროსსე მიაწერს ბაგრატ IV-ს (XI საუკ.)[2]; მაგრამ იმ-

1. „მამ-ცხ. შიო მღვ“., 49—51. ბროსსეს შენიშვნით 6457-ს მაგიერ უნდა იყოს 6363 (*H. de la G.*, I, 268 n. 2. თეოდორაზე და მიხეილზე (842—867 წ.) და აგრეთვე ხატის ურწმუნოებაზე ნახე Sabatier, *Descr. génér...*, II, 98—97.—2. *Voyage archéol.*, VI Rapp., 20—52 *Resumé*, 9.

ის სასურათ-მოძღვრო და საქანდაკო სტილი, გუმბათის მოყვანილება და თვით პლანი მოგვაგონებენ ჯვარის-მონასტრისა მცხეთის პირის-პირ და იმ დროსა, რომელსაც ეს უკანასკნელი ეკუთვნის, ესე იგი მე-VII საუკ.[1] ეს აზრი ახლა თითქმის მართლდება. შიგნით კედელზე, ერთ ადგილს, სადაც მეთერთმეტე საუკუნის მხატვრობა დაცვივნულა, აღმოჩენილა ძველი კარგად შენახული ასომთავრულიანი წარწერა. (ეს წარწერა, გადმოხატული პირველად განსვენებულის დავითი-შვილისაგან და შემდეგ ორჯელ სხვა და სხვა დროს თვით ჩვენგან, არის შემდეგი: „აგუსტოსსა ე-სა დღესა შბთისა ქ..კოხსა ოგ-სა, ზა წელსა სარკინოზთასა ა....ტფილისი დატყუა (დაატყვევა) ბუღა (მ) და შეიპყრა და მოკლა ამირაჲ საჰაკა და მასვე თუესა აგუსტოსსა კგ-სა დღესა შბთისა ვეჰირა შეიპყრა კასამ და მე მისი თარხუჯ..ი...") აქ ნაჩვენები ქორონიკონი ოგ უჩვენებს 853 წელსა. თითქმის ასე აგვიწერს ქ-ბაცა ბუღასაგან ტფილისის აღებასა[2], იმ განსხვავებით კი, რომ სიონის წარწერა მოიხსენებს წელს, თვეს, რიცხვს და თვით დღეს კვირისას, როდესაც ის შემთხვევა მომხდარა. ცხადია, რომ წარწერა ეკუთვნის თანა-მედროვეს ბუღასას. თუ ეს წარწერა მიეწერება ბაგრატ I-ს დროს, ესე იგი 853 წელსა[3], არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აშენება ეკლესიისა ბევრით ადრინდელის დროისა უნდა იყოს, ვიდრე წარწერა, რომელიც იქნება გასნლებასაც უჩვენებს? მარწმუნებდნენ ის პირნი, რომელნიც ჩემთან იყვნენ წარწერის გადმოღების დროს, ვითომც სჩანდეს ადგილ-ადგილ მე-IX საუკუნის მხატვრობის ქვეშ უძველესი მხატვრობა. ამისი შემოწმება სპეციალისტებისათვის მიმინდვია.

2. რამდენთამე ძველ ქართულთა წიგნთა შორის, რომელნიც ამას წინად ალექსიძეს მესხიშვილს შემოუწირავს „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის", ერთი ეტრადზე ნაწერი თო-

1. ნახე ზემოდ გვ. 192—193.—2. ქ.-ცხ., I, 190.—3. ამ შემთხვევაზე იხილე *H. de la G.*, I: 266 n. 1; Асогика, *Всеобщая исторія*, стр. 76—79 და Saint-Martin, *Mém. sur l' Arm.*, II, 234, რომელნიც ტფილისის აღებას ბუღასაგან უჩვენებენ იმავე 853 წელს.

ანუ ბერაის მიერ ბაგრატ I-ს დროსვე[1], წარმოგვიდგენს შემდეგს შინაარსსა: I, კაცის შექმნაზე გრიგოლ ნოსელის ეპისკოპოზისა (გვ. 2 – 121), II, ათორმეტთა თუალთათვის ეპიფანე კვიპრელისა (გვ. 122 – 214); III, მხეცთათვის სახისა სიტყუაჲ ბასილი კესარიელ ეპისკოპოზისა (გვ. 215—239); IV, (სათაურ-წაბღალული) ხრონოლოგიურნი ცნობანი ანუ მეფენი ურიათა, სპარსთა, პტოლომესნი ეგვიპტელთანი, რომაელთანი — აქვე განმარტება ანბანთა: ებრაულისა, ფინიკიურისა და ბერძნულისა (გვ. 240—255); V, სხვა და სხვანი განმარტებანი, იმათ შორის „ქება ქებათა“ იპოლიტესი (გვ. 256—432); VI, „მოქცევა ქართლისა“ (გვ 433—497)-არა სჩანს, როდის და ვისგან შედგენილი—ბოლოს წარწერა გადასულა, მხოლოდ იკითხვის: „წიგნი „ქართლისა მოქცევისა“... ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“; VII, თარგმანება დავითის ფსალმუნებისა ეპიფანე კვიპრელისა (გვ 515—581) იწყობა ამ მინაწერით: „პირველი სიტყუაჲ მიწერილი დაჩისი სტეფანესა ნეტარისა მტბევარისა ეპისკოპოზისა“. 578 გვერდზე აქვს წარწერა: „დაჩის ეთარგმნა ესე სომეხთა ენისაგან“; ადგილ-ადგილ იპოება თვით სომხურ ენაზე იმ დროისავე მინაწერი, რომელშიაც შესამცნევი არა არის რა

ამ მანუსკრიპტის „ქართლის მოქცევაზე“ და თვით იმაში შემოტანილს საქართველოს საერო მატიანეზე ჩვენი აზრი იხილე ზემოდ მეორე კარში (გვ. 56—57). აქ მოვაქცევთ ყურადღებას დაჩისაგან მიწერილს სტეფანე მტბევარისადმი წიგნსა: „ღირსო მამაო—ასე იწყობა ეს წიგნი—ეპისკოპოზო სტეფანე, ქრისტეს გამორჩეულო მამფალო... მრავალ ჟამიდგან გულ-მოდგინედ ვეძიებდ თარგმანებასა ფსალმუნთასა, რომელი დაწერა წმ. ეპიფანე კვიპრელ ეპისკოპოზმან და არა ვპოვე ქართულად; ბერძენთა ენითა ვპოვე და ვერ შევუძლე ცნობაჲ... მერმე ვპოვე სომხურითა ენითა წერილი სრულიად მითვე ბერძნულითა განგებითა და მითვე რიგითა — შემშურდა სომეხთათვის და შემეშინდა თარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალობაჲ შეემთხვევის თარგმანთა, რომელნი არა განეკრძალნენ, და შეე-

1. იმის დროსვე 864 წლის ნაშრომი მანუსკრიპტი იხილე ზემოდ გვ. 216 შე. 1

თუ ვისმე პირველად ეთარგმნოს, წინამდგომად გამოჩნდებას; ხოლო მე არა ვჰოვე და ამისთვის ას-ერგასისთა ფსალმუნთაგან შვიდნი მხოლოდ გამომისცან და წინაშე ღვთის-მოყვარებისა შენისა განსახილველად მიგიძღვანე; ხოლო შენ მსგავს მოცემულისა მაგას სიბრძნისა შენისა განიკითხე და, უკუ-თუ იყოს შენ მიერ, დაესერგონ შორის ეკლესიასა და უკეთუ არა ღირს რაჲმე იყოს წიგნი ესე, დაწვი და სიცუდე ჩემი დაფარე და მე მამხილე და შეგვინანო..."

თვით მანუსკრიპტის გადამწერი იოანე ბერაი მანუსკრიპტის 578—579 გვ. უძღვნის მიროველ ეპისკოპოზს ანტონის თავის მანუსკრიპტსა, რომელი „შეჰკვედრეო, აბოლოებს იგი, შატბერდს, საყოფელსა წმინდისა ღვთის მშობლისასა, რომელსა შინა აღ (ვწერე), სალოცველად „მეფეთა ჩვენთა... ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათთათვის"...

ვინ არის დაჩი, ან ანტონი მიროველ ეპისკოპოზი, ან იოანე ბერაი ჩვენ არ ვიცით. რაჲცა შეეხება სტეფანეს მტბევარსა, ის უნდა იყოს გამოჩენილი ჩვენს ძველს მწერლობაში აღმწერელი გობრონის „ცხოვრებისა", და თუმცა იგი ქ.-ცხბაში მოხსენებულია შემდეგის კუროპალატის ადარნასე II დროს, მაგრამ შესაძლებელია, რომ სტეფანე თვით ბაგრატის დროსვე († 876 წ.) ბრწყინავდა.- ამ დროსვე მივაწერთ ჩვენ ერთს ეტრატზე ასო-მთავრულით ნაწერს საყურადღებო მანუსკრიპტს მცხეთისას, რომლის სათაურია: „ჟამის-წირვაჲ წმიდისა იაკობ მოციქულისა ძმისა უფლისა, პირველ მთავარ-ეპისკოპოზისა იერუსალიმელისა". ჟამის-წირვა შეიცავს გვ. 1—95; შემდეგია: კურთხევა—ეპისკოპოზისა (96—101); წიგნისმკითხველისა (101—104); დედათ დიაკონისა (104—110); მღვდელთა გინათუ ეპისკოპოზთა (110—121); ხუცესისა (121—130); ქორეპისკოპოზისა (130—135); ეპისკოპოზისა და კათალიკოზისა (135—154); ზადიკისა, „რომელ არს საგზაური მიმოსაღებელი საკურთხეველი" (154—164). ამ მანუსკრიპტში ხშირად იხსენიება კათალიკოზი სვიმეონ: „მოიხსენე უფალო და ადიდე მომგებელი ამა ჟამის-წირვათაჲ სვიმონ ქართლისა კათალიკოზი და შეიწყალენ და ადიდენ იოანე აწყურელი ეპისკოპოზი და ეფ-

რემ წილკნელი; უფალო შეიწყალენ მსახურნი და მოძღვარნი ამის უდაბნოჲსანი; უფალო შეიწყალენ დაჩი და სვიმეონ (გვ. 57). 150 გვ. იკითხება: „კურთხევა მესამჱ ეპისკოპოზისაჲ, და ესე ლოცვაჲ, უკეთუ ეპისკოპოზსა იკურთხებოდეს, მთავარ-ეპისკოპოზმან წართქვას და უკეთუ კათალიკოზი იკურთხებოდეს მანგლელმან წართქვას". ბოლოს (გვ. 164—165) მინაწერი აქვს ნუსხა-ხუცურით; „წმინდაო მღვდელთ-მთავარო, პირველად მაწყევრელო და რომელთაცა ღმერთმან ინება შემოსად შესამოსელსა ამას და ყამის-წირვად ამითვე ყამის-წირვითა ღვთისათა სიყვარულისა (თვის)... მოიხსენეთ საწყალობელი ..ლი ჩემი წმინდათა შინა საჲდუმლოთა თქვენთა სახელით. სვნ კათალიკოზი"... „მე ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან სვიმონ დავწერენ წმინდანი ესე ყამის-წირვანი სამღვდელთ-მოძღვრად და სხ."... საუბედროდ, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს ქორონიკონი და იქნება მეფეცა, იქ ბოლო გვერდი მოხეული არის. ამ მანუსკრიპტში ასო-მთავრულიც, ნუსხა-ხუცურიც წააგავს იოანე ბერაის ნაშრომს მანუსკრიპტსა. ვფიქრობთ, ორსავე მანუსკრიპტში მოხსენებული დაჩი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. კათალიკოზი იმ დროისა არ არის ნაჩვენები ჩვენს ქრონიკაში.)

დავით I მეფე-კურაპალატი (876—881). ამის დროს კვდება კახეთის მფლობელი ანუ ქორიკოზი გაბრიელ დონაური და იმის ადგილს იჭერს ქორიკოზი ფადლა არევმანელი, „კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი". ნასრე ძე გვარამ მამფალისა და ბიძა-შვილი თვით დავითისა ერთი მეორეს ებრძვიან ქართლისათვის. ნასრეს შემწეობენ აფხაზნი, დავითს—თრიალეთის მფლობელი ლიპარიტ და სომეხნი.

დავით, ქ-ცხბით, აშენებს დიდებულს ხახულის მონასტერს ჭოროხის ხეობაში; იმავე ქ-ცხბის შემდეგის ცნობით იგია აშენებული დავით დიდის კურაპალატისაგან. ჩვენის აზრითაც მაშენებელი ხახულისა ეს უკანასკნელია, როგორც ამას ვუჩვენებთ დავით დიდის მეფობაში[1]. თუ ახლად აღმოჩენილი აწყურის მახლობლად სამცხეში დიდი ტაძარი, ბიჯთად წოდებული და ერმაკოვისაგან ფოტოგრაფიით გადმოღებული ნამდვილ უჩვენებს, რო-

1. აქ შეამოწმე *H. de la G.*. I, 271 n. 1 და 294 n. 1.

გორც მამა გვარამაძემ გადმოგვცა, 880 წლის იმის აშენებისას, ისიც უნდა ეკუთვნოდეს დავით I დროს.

ადარნასე II მეფე-კურაპ. (881—923). აშენებს კვირიკე ბანელის ხელით დიდებულს ეკლესიას ბანისას ჭოროხის ხეობა-ში და პირველ ბანელ ეპისკოპოსად კვირიკესვე ადგენს; აშენებს იქვე აგრეთვე ოშქის ეკლესიასა; ადარნასეს დროსვე საბერძნეთში ისახელებს თავს წმ. ილარიონ ვასელი.

ადარნასეს დროს ქართლს იპყრობს აფხაზთ მეფე კონსტანტინე; ამირა აბულ-კასიმი აოხრებს სომხითს და ქართლსა და სამცხეში ყუე-ლის-ციხის აღების შემდეგ აწამებს სჯულისათვის ახოვანს მხედარს გობრონსა.

კავკასიის ხელოვნების დიდ-მშვენიერი ეკლესია ბანისა მდე-ბარეობს ახლანდელს ფენაკში ჭოროხის ხეობაში, ოლთის მაზრაში, რომელიც მე ვნახე 1883 წელს. ადარნასეს დროსვე აშენებული ჭო-როხისავე ხეობაში, თორთომის ტბის მახლობლად, არს ნაკლებ მშვენიერი ეოშქის მონასტერი, აქამომდე კარგად დაცული, ფოტო-გრაფის ერმაკოვისაგან გადმოღებული და შემკული დიდის წარწერი-თა. ეს წარწერა გადმოწერილია მხიტარისტის ნერსესიანისაგან [1]. ხსენებული წარწერა ამბობს: „მადლითა ღვთისა კურთხეულისა ადარ-ნასე კურაპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დავით მა-გისტროსმან... იწყეს, შენებად ამის წმიდისა საყდრისა". ქა-ცუბის ცნობით, ბაგრატ და დავით არიან ძენი ადარნასესნი.. ამ ეოშქის მონასტერს ძველს ჩვენს მწერლობაში მოიხსენებს ერთად-ერთი გუჯარი მე-XVI საუკუნისა, რომელიც მას უწოდს ოშქის მონასტრად. ეს სახელ-წოდება უნდა იყოს გადმოტანილი ათონის მთიდამ, სადაც მას იხსენიებენ ივერიის მონასტრის ქართულის მა-ნუსკრიპტების წარწერანი (მე-X საუკუნეში რამდენიმე). ხსენებულთა მანუსკრიპტთაგანნი არიან გადაწერილნი „დიდებულსა ლავრასა ოშქს, საყოფელსა წმინდისა ნათლის მცემელისასა [2]. ბაგრატს და დავითს უშენებს, ჩემის ფიქრით, წარწერა ჭოროხისავე ხეობაში, თორთო-

1. ამაზე ნახე *Mém. de l' Académie...*, VIII, № 10, p. 5—9. —2. А. Цагарели, *Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности*, стр. XIV, 17, 72, 83, 89 და 91.

მას ტბასთან იმავე ხელოვნებით ნაშენი ტაძარი, რომელსაც ასლა უწოდებენ განქად.(?) ეს წარწერა მე გადმომცა რამდენისამე წლის წინად პოლკოვნიკმა ლევაშოვმა.

2. ვახუშტის თქმით, „ილარიონ კასელი გარდაიცვალა წ. 882, ქართულსა 102“. ილარიონ კასელი პირველად მოღვაწეობდა დავით-გარეჯის მონასტერში და შემდეგ გავიდა ოლიმპში, მას-უკან თესალონიკეში და აქედამ რომში; გარდაიცვალა თესალონიკეს იმპერატორის ვასილი მაკედონელის დროს (867—886). ილარიონს გაუშენებია კონსტანტინეპოლის მახლობლად, ჭრომანის ხეობაში, სოსტენის ადგილს, მონასტერი წმ. მოციქულთა, სადაც თვით იმისი გვამი მოუსვენებიათ იმპერატორის შვილებს ლეონს და ალექსანდრეს. ბიოგრაფია წმ. ილარიონისა შეუდგენია ბერძნულს ენაზე, იმპერატორის ვასილის ბძანებით, მონაზონს ვასილის და უთარგმნია ქართულ ენაზე თეოფილეს [1])

1. *H. de la G.*, I, 273 n. 1; „მამ-ცხ. შიო-მღვ“., გვ. 271—293; „მამ-ცხ. ნათლ-მცემლ“., გვ. 403—439. ეს უკანასკნელი მანუსკრიპტი ახლად შეძენილი ჩვენის საეკლესიო მუზეუმისაგან, ზემოდაც მოვიხსენეთ გაკვრით (გვ. 212 შენ.). გადაწერილია იგი ნუსხა-ხუცურით ოცის წლით ადრე „შიო-მღვ. მამ-ცხბისა“ და რომ იგი დედნად ჰქონია ამ უკანასკნელსა, ამისი საბუთები ის არის, რომ 1, ორივე ერთმანეთში არაფრით არ განსხვავდებიან; 2, შეცდომანი ორივეში ერთნი და იგივენი არიან; მაგალ., შეადარე „შიო-მღვ. მამ.-ცხ“. გვ. 104 „ნათლ-მც. მამ-ცხ.“ გვ. 142, სადაც ფრაზა სწყდება შუაზე ამ სიტყვებით: „ვითარცა იტყვის ისაია წინასწარ-მეტყველი, არათუ უფალმან ყოვლისა“ და შემდეგ ორივე ვარიანტში ადგილია დატოებული; 3, შეადარე აგრეთვე ევთიმეს ცხოვრების ბოლოს „შიო-მღვ“. გვ. 208 „ნათლ-მც“. გვ. 305 ერთგვარი ფრაზა: „ტკბილო მამაო სულითა და გონებითა, საუკუნომცა არს სახსენებელი მამისა გიორგისი, ამინ“; უნდა კი იყოს, როგორც ივერიის მონასტრის ორიგინალშია: „ტკბილო მამაო სულთაო გრიგოლ“:... და სხ. საუბედოდ „ნათლ-მც“. ეგზემპლიარში თავს აკლია რამდენიმე ფურცელი და ბოლოს წმ. ნინოზე თქმულება არა სრულდება და შემდეგნი ზემოდ გვ. 153 შენ. 1 აღრიცხულნი არ არიან.

ნათლ-მცემ. ეგზემპლიარში ყველა მინაწერებთა შორის, რომელნიც ერთ-გვარნი არიან, მეტად შესანიშნავია შემდეგი გიორგი მთა-წმინდელის ცხოვრების ბოლოს (გვ. 396): „წმინდაო გიორგი, მეოხ მეყავ წინაშე ღვთისა ცოდვილსა გაბრიელს საგინაშვილსა. აღვსწერე ქართველთ წმინდათ ცხოვრებაჲ უდაბნოს ნათლის-მცემლის მონასტერს მრავალ-მთისას; ვიკადრე და შევსწირე ნათლის-მცემელს... აგათ წერისათვის ნუ დამწყევლით. ვეშურებოდი, ლეკისაგან მეშინოდა. ამ წიგნს რომ გწერდი მოუხდა ლეკის ჯარი და-

ბროსსეს შენიშვნით, აბულ-კასიმი ქ.-ცხბისა არის იუსუფი სომხებისა და არაბეთისა. სუმბატის შელტოლვას აფხაზეთში და შემდეგ იმის სიკვდილსა დვინში იუსუფის მიერ მოიხსენებს თვით სომხითის მეისტორიე X-ს საუკუნისა ასოღიკი[1].

ადარნასეს დროსვე აგვიწერს წამებას გობრონისას და სომხითის მეფის სუმბატისას თვით ბიოგრაფი გობრონისა, შედგენილი აშოტ ერისთავთ-ერისთავის ბრძანებით სტეფანე მტბევარის ეპისკოპოზისაგან[2]. გამოვკრებთ ამ ბიოგრაფიიდამ ზოგიერთს ღირსსაცნობელს ფაქტებს. დვინში შემოდის „მეფე სარკინოზი აბულკასიმ ძე ამირის აბულ-აჯისა და უფალი სპარსეთისა... ესე არს ჩვეულება სარკინოზთა: პირველად ხარკნი თანანადებნი მიჰხდეს, მერმე წინა-ყამისა ბეგარანი სთხოვნეს და მანქანებითა დააცალიერნეს საფასეთა მათთაგან, რათა ადვილად მძლე ექმნეს, და ვითარ მოსძლევდა სარკინოზი იგი და არა იპოვა ღონე წინააღმდგომისა სომეხთა მეფისა, არცა განრინებისა, რამეთუ ღმერთსა განეკუეთა მეფობაჲ იგი მისი (სუმბატისა) და მიილტოდა იგი მთათა შიდა აფხაზეთისათა"... რა გვარი უთანხმოება დაბადა ხალკიდონის კრებამ სარწმუნოების გამო და ამ მიზეზით რა გვარი განხეთქილება იყო იმ დროს ქართველთა და სომეხთა შორის, ამას გვიჩვენებს შემდეგი სტრიქონები გობრონის ბიოგრაფიისა: „ესრედ ჰცოდეს დიდმან სახლმან სომხითისამან... და მისცნა იგინი მახვილსა ბოროტსა და ტყუეობასა და სალმობასა და სრვასა, რამეთუ მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლ-მადიდებლობისა სარწმუნოება წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა განაგდეს და მოძღვართა მიერ წმიდათა კრებულთა განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხ-ჰყვეს; ამისთვის ძირი იგი სიმწარისა დაენერგა მათ შორის და ღვარძლი იგი სიბორო-

ვით-გარეჯას ყოვლად წმიდის სარტყლის დადების მკათათვის ორსა. ღმერთმან და წმინდამან ღვთის მშობელმან და წმინდამან დავით დაიცვა მონასტერი უჭირველად: უკუ... წარვიდეს ქორონიკონსა უა-სა (1713).

1. *H. de la G.*, I, 275 n. 2; Асогика, *Всеобщая исторія*. стр. 112—113.—2. „მამ-ცხ. შიო-მღვ.", გვ. 52—55.

ტისა აღმოსავლისა..., რამეთუ მიწა იგი სომხითისა ამპარტავან და მკჳდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაარ, ლაღ და ცოდვის მოყუარე, ამპარტავან უწყალო, უკუარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე... და ესე არს საზღვარი მისი და სახელები ხევთა მისთა: ვანდა, აშორნია, ბაგრევანდი, აპახუნისი, კლკოიტნი, ჭაკატი, გოგოვიტი, ორი ხევი შარული, ასთუარაგანი, ათორმეტი ხევი ვაიძორი, ოთხი ხევი დასნადაშტი, სამი ხევი გელაქუნი, ოთხი ხევი სივნელი, ათი ხევი ტაშირი და კაქვაქარი. ესე 87 ხევი მოისრდა პირისაგან უფლისა მეფისათვის ცოდვათა მათთასა, რამეთუ არა იპოვა ამათ ხევთა შინა სახლარი მართლ-მადიდებელთა, მორწმუნეთა მონაზონთა“... „და მოვიდეს სარკინოზნი ციხესა მას ყუელისასა გუერგენ ერისთავთა ერისთვისა, რომელსა შინა იყვნეს აზნაურნი წარჩინებულნი და სანატრელი მოწამე ქრისტესი გობრონ მათთანა. მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყუელისასა, გარე შეადგეს ბანაკები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელნი ხუთისა სოფლისა საზღვართა ოდენ ეტივნეს იწროებით“)..

საჭიროდ ვსადით მცირე განმარტება დავურთოთ აქ საქართველოსა და სომხითის განხეთქილებაზე სარწმუნოების გამო. რა განსხვავება არსებობს სომეხთა და ქართველთ მწერალთა შორის ამ საგანზე, მკითხველი კარგად შეიგნებს, თუ რომ იგი შეუთანასწორებს ერთი მეორეს თქმულებას სომხურის მწერლის (მე-X საუკ.) უხტანესისას[1] და კათალიკოზის არსენის ხრონიკოსას „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, რომელიც იპოვება „ფუტკრად“ წოდებულს შემოქმედის მონასტრის კუთვნილს მანუსკრიპტში[2]. ვინ არის და რა დროს სცხოვრობდა არსენი არ ვიცით: „ფუტკარში“ იგი იხსენიება მხოლოდ „მცხეთელ კათალიკოზად სანახებთაგან სამცხისთა“[3]. არსენის თქმულებით, —აქ ამ

1. ნახე ზემოდ გვ. 190 შენ. 2.

2. ნახე ჩემი *Археологич. путешествіе по Гуріи и Адчарѣ*, Спб., 1878, стр. 157—158 და ჩემი „დღიური“ № 2, გვ. 28—31.

3. შესაძლებელია, რომ იგია ზემოდ ჩვენებული არსენი (ნახე გვ. 200). თუ უეჭველი ფაქტი არ აღმოჩნდა არსენის დროისა, იქნება ეს დრო თვით იმისმა „წერილმავე“ გვიჩვენოს. საუბედოდ, ეს წერილი ხელთ არა გვაქვს.

თქმულებას გუშაგნებთ მოკლედ, — „გრიგოლ განმანათლებლის დროდამ ქართველთა და სომეხთა შორის არსებობდა სრული სარწმუნოებრივი ერთობა; იმ დროდამ კი, როდესაც საბერძნეთის იმპერატორმა თეოდოსის შვილმა არკადიმ უარი განუცხადა სომხებს წინააღმდეგ სპარსთა და სომხითი დაიპყრა სპარსეთის მეფემ ფეროზმა (ხოსრო ფარვიზი), სომეხნი, მოშიშნი, რომ ფეროზს აღსრულებაში არ მოეყვანა თავისი მუქარა „აგურიათ სომხითიდამ, თუ ბერძნულს სარწმუნოებას არ უარ-ჰყოფთო", იძულებულ იქნენ, თავის მეფისა და კათალიკოზის ნერსესის რჩევითა, თანხმობა აღეარებინათ. მაშინ, ამბობს არსენი, სპარსეთის მეფემ შემოჰგზავნა სირიიდამ სომხითში ცრუანი მოძღვარნი იაკობიტნი, რომელთა შორის უპირველესი ადგილი ეჭირა აბდიშოს და იმათ გულმსურვალედ იწყეს გავრცელება ერში თავის აღსარებისა. ამ შემთხვევამ დაბადა განხეთქილება ქართველთა და სომეხთა შორის, რომლის გასაუქმებლად იყო რამდენიმე კრება: პირველი დვინისა კათალიკოზთა დროს: სომხითის აბრამისა და მცხეთის კვირიონისა[1], შემდეგ განდევნისა ამ უკანასკნელის მიერ წურთავის საკათედროდამ ეპისკოპოზის მოსესა; მეორე — დვინისავე ნერსესის დროს იუსტინიანეს მე-14 მეფობაში და ხოსროს მეორე წელს და წმ. იზადბუზიტის მარტვილობის წელს; კონსტანტინეპოლისა იუსტინიანეს დროსვე და უკანასკნელ იმპერატორის ირაკლის დროს კარნუქალაქისა. თუმცა ამ უკანასკნელს ორ კრებაზე სომხითის ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ ხალკიდონის კრების განწესება აღიარებულ იქნა და იმედი იყო, რომ ერთობა ისევ დამყარდებოდა, მაგრამ ამბოხობამ უფრო და უფრო ძალა აღმოიჩინა და ქართულისა და სომხურის ეკლესიის განყოფილება საბოლოოდ დასრულდა... ასე, რომ, არსენის თქმით, მწვალებლობამ მრავალნი დაიმოწაფნა ამიერ მტკვრისა კამბეჩოვანში, გარდაბანში და ქართლის სომხითში".

1. როგორც ვიცით, ჩვენს მწერლობაში კათალიკოზი კვირიონი ცნობილია სვიმეონად. ჩვენის მოსაზრებით, იგი უნდა იყოს ის სვიმეონი, რომელიც კათალიკოზობდა ბაკურ III-ს დროს (557—570 წ.) და მოკვდა გვარამ კურაპალატის დროს (575—600) (ნახე ზემოდ გვ. 184, 190).

ზემოდ ხსენებული ყველის-ციხე, ახლანდელი ყველი მდებარეობს ფოცხოვის მაზრაში, ვახუშტის ქარტით ჯაყის-წყალზე, რუსულის ქარტით ფოსხოვ-ჩაიზე. შემადგენელი გობრონის ბიოგრაფიისა სტეფანე მტბევარი, როგორც ქ.-ცხოვრება გვარწმუნებს, იყო პირველი ეპისკოპოზი ტბეთისა და თვით ტბეთი აუშენებია იმ აშოტს, რომლის ბრძანებითაც სტეფანოზს აუწერია ცხოვრება გობრონისა [1]. ტბეთი, დიდ-მშვენიერი ტაძარი, აქამომდე კარგად დაცული, მდებარეობს შავშეთში, სოფელს ტბეთში. სამწუხაროა, რომ იმისი ფოტოგრაფიული სურათი აქამომდე გადმოღებული ჯერ არ არის. თუმცა ტბეთსა აქვს რამდენიმე წარწერა, მაგრამ ისტორიული წარწერა იმისი, შიგნით მარცხენა სვეტზე გამოქანდაკებული მაშენებელის სახითურთ, ისეთ მდგომარეობაში ვნახე მე 1879 წელს, რომ აღარ იკითხება, თუმცა თვით პალეოგრაფიული თვისება წარწერისა უჩვენებს იმის სიძველესა. რა-გვარ ყოფილა ტბეთის ეკლესია სახელ-განთქმული ჩვენს ისტორიაში, ამაზე ჩვენა გვაქვს რამოდენიმე ფაქტი [2]. ბროსსეს შენიშვნით, „წმ. გობრონი წამებულა ადარნასე II-ს დროს და, როგორცა სჩანს, მეფის სუმბატ ნაჭარტაკის წინად“ [4]. ეს სუმბატი მოიკლა სარწმუნოებისათვის 914 წელს; მაშასადამე გობრონის სიკვდილიც ამ წლის ახლო-დროს უნდა მომხდარიყო. თვით აშოტ კუხი ტბეთის მაშენებელი მოკვდა 916 წ. რაჲცა შეეხება გურგენს ყველის-ციხის პატრონს, ის უნდა იყოს ქ.-ცხოვრ. „გურგენ ერისთავთ-ერისთავი“, ძმის-წული აშოტ „კუხისა“ [3].

აქ უნდა მოვიხსენოთ ერთი ტყავზე ნაწერი ოთხ-თავი ადარნასეს დროჲსა, ჩემ მიერ ნახული 1888 წელს ათონის მთაზე ივერიის მონასტერში. წარწერა ამ ოთხ-თავისა ამბობს: „დაიწერა წმინდა ესე სახარება ლავრასა შინა წმინდისა ნათლის-მცემლისასა ოპიზას და ქორონიკონი იყო რლგ=913“. ბოლოშია ნათქვამი: „ესე

1. *H. de la G.*, I, p. 272, 276, 278.—2. ნახე ტბეთზე ჩემი *Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства* და ჩემივე *Археологич. путешествіе по Гуріи и Адчарѣ*, стр. 364.

3. *H. de la G.*, I,276, n. 3.

ქორონიკონი დაიწერა სახითა იერუსალიმისათა, ქორონიკონი იყო რ ლ ზ= 917, ცამეტური იყო თ (9), ზედ-ნადები დ (4).

(გაბოლოებთ ამ კარსა შემდეგის საყურადღებო შენიშვნითა. სომხითის მეისტორიენი აშოტ დიდის პაპის დროდამ ჩვენის მეფეების მომდინარეობის დასაწყისს ჰხადიან სომხურ წყაროდ. იმათ თქმით, „როდესაც სალიფების მოადგილენი განაგებდნენ სომხითსა, მაშინ იმისნი თავადნი ბაგრატიონნი მიემხრნენ იმათ და ეს იყო მიზეზი იმათის შემძლეობის დაარსებისა. იგინი იყოფოდნენ მრავალ შტოებად: უმთავრეს შტოს ეჭირა ძველი სამფლობელო თავის სახლისა ზენა-სომხითში ბასიანითურთ და შირაკ-არშანურითურთ; მეორე შტოს—საქართველო, სადაც იგინი შემდეგ სამეფო ღირსების ხარისხზე ავიდნენ. სომხითის მეფის ვასაკის შვილს აშოტს (743—758 წ.) ჰყვანდა ორი ძე: სუმბატი (758—781 წ.) და ვასაკი. იგინი არიან წინაპარნი—სუმბატი სომხითისა და ვასაკი იბერიის მეფეებისა. ამ ვასაკის შვილია ატრ-ნერსეხი (ქ.-ცხბის ადარნასე). ამისი შვილია აშოტ (აშოტ დიდი 786—826 წ.); აშოტის შვილნი არიან: ბაგრატ (ბაგრატ I, 826—876 წ.) და გორამ (გვარამ მამფალი); ბაგრატის შვილია დავით (დავით I 876—881 წ.), მოკლული თავის ბიძისაგან მამის მხრით, გორამისაგან; დავითის შვილია ატრ—ნერსეხი (ადარნასე II 881—923 წ.) ამისი შვილია დავით, ძმის-წული უკანასკნელის გურგენისა და ამ უკანასკნელის შვილია ბაგრატი (ბაგრატ III 980—1014 წ.), რომელსაც ცოლად ჰყვანდა ვასპურაგანის მეფის სენექერიმის ქალი“ [1].)

(ეს ცნობები, როგორც სჩანს, სომხითის მეისტორიებს ქართულის წყაროდამ გამოუკრებიათ, თუმცა კი შეშლით. ვასაკს ქარ-

1. Saint-Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 341—342, 421; Вардана Великаго, *Всеобщая исторія*, стр. 104; Асогика, *Всеобщая исторія*, стр. 76, თარგმნილი და მოსკოვში 1864 წელს გამოცემული ემინისაგან სომხის ისტორიკოსი მე-X-XI საუკუნისა, თანა-მედროვე დავით დიდის კუროპალატისა და რომელზედაც და დავითის დროის გამოჩენილ ქართველებზე, როგორც შემდეგში ვნახავთ, დიდად ღირს-შესამცნევს ცნობებს გვაძლევს.

თული წყარო არ იცნობს. იმის შემდეგ ჩვენის მეფეების მომდინარეობა ეთანხმება ქ.-ცხბასა მხოლოდ ადარნასემდე. მართალია, ადარნასე II-ს ჰყვანდა შვილი დავით, მაგრამ ეს დავით არც ისტორიული პირია, არც ძმის-წული უკანასკნელის გურგენისა, რომელიც ცნობილია ბაგრატ III-ს მამად. იქნება სომხითის მეისტორიეთ აზრში დავითად იგულისხმებოდეს შემდეგის ადარნასეს († 983 წ.) შვილი დავით დიდი კურაპალატი († 1001 წ.)? გარდა ამისა სენექერიმის ქალი (მარიამ) ბაგრატ III-ს ცოლი კი არ აყო, არამედ ცოლი იმის შვილის გიორგი I-ისა [1]. თვით სომხური შთამომავლობა აშოტ დიდის შტოისა იმ გვარი, რომელსაც სომხური წყაროები უჩვენებენ, ჩვენის ფიქრით, შესაწყნარებელი არ არის. ამ შემთხვევაში ქართულის ისტორიისათვის სათაკილო არა იყო რა და, როგორც ყველამ ვიცით, არც ჰმალავს იგი ამ გვარს ისტორიულს მოვლენასა; მაშა სადამე, ხსენებულს შემთხვევასაც, თუ რომ ჭეშმარიტი იყოს იგი, ქართული წყარო არ დაჰმალავდა. ეს მოსაზრება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თვით აშოტის პაპა ვასაკი ზღაპრული პირია, განგებ გამოგონილი.

---

[1] *H. de la G.*, II, 1 livr., p. 623.

## კარი მეთოთხმეტე

## საქართველოს კავშირი ბიზანტიასთან

I. მეფე სუმბატი (923—958).—არაბთ მწერალი მასუდი სუმბატზე.—იმის დროს ტაძრები ველისა და ლოდისკანისა-ჩვენის აზრით შატბერი.—„სწავლანი და მოძღვრებანი წმ. მამათანი" 925 წლისა.—ჯრუჭის მონასტრის სახარება ანუ ოთხ-თავი 936 წლისა.—საბას ლავრაში იერუსალიმის მახლობლად 941 წელს ნაშრომი „წელთა და ჟამთა გამოძიება".—მეტაფრასი 951 წლისა.

II. დავით ანუ ბაგრატ II რეგვენი (958—994).—მეცადინეობა ქართველთ სომეხთ შეერთებისა სარწმუნოებით.—დავითნი 974 წლისა.

III. დავით დიდი კურაპალატი (983?—1001). იმისი ორი ვერცხლის ფული ევროპაში აღმოჩენილი.—იმისგან აშენებული დიდებული ხახულის ტაძარი.—სხვა და სხვა გვარი ცნობა დავითზე.—იმისი მოღვაწეობა ბიზანტიის სასარგებლოდ.— დავითს და იმის დროს გამოჩენილ ქართველებს იხსენიებენ: „სამოთხე" 977 წლისა; ქართული ბიბლიის პირი 978 წლისა; „გამოცხადების წიგნი" იმავე 978 წ.; „კლიმაქსი" 983 წ.; „ტბეთის ოთხ-თავი" 995 წ.; „საგალობლები" სამეგრელოს მთავრის წიგნთა-საცავისა; „წმ. მოწამეთა ცხოვრება" 1002 წლისა.

IV. დაფუძნება ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე.—წმ. იოანე და იმისი შვილი ექვთიმე.—ექვთიმის მწერლობა.—ივერიის მონასტრის „წმ. მამათა-ცხოვრებანი" 980—1013 წ., რომელშიაც იხსენებიან ექვთიმე და იმისნი თანა-მოღვაწენი.—მცხეთის წიგნთა საცავის „წიგნი ღვთის-მეტყველის გრიგორისა"; „სჯულის-კანონნი მეექვსე მსოფლიო კრებისა".—ქართველების მონასტერი „სოხასტერი" კონსტანტინეპოლის მახლობლად.

სუმბატ მეფე-კურაპალატი (923—958), რომლის დროს აფხაზთ მეფე გიორგი II თავის შვილს კონსტანტინეს უმკვიდრებს ქართლსა და შემდეგ მისა აქ ერისთავობს გიორგისავე შვილი ლეონი; დავით ანუ ბაგრატ II რეგვენი, მეფე ქართველთა (958—994); დავით დიდი კურაპალატი (983?—1001), ქ.-

ცხბით, „აღსავსე დიდებითა", რომელი „განდიდნა უმეტეს ყოველთა მეფეთა ტაოსათა" და რომელსაც, გასტუშტის თქმით, „ეპყრა ბასიანი, ტაო და მიმდგომნი მისნი". დავით 12-ათასის ქართველთ წყობით უშველებს ბიზანტიის იმპერატორსა ბარდა სკლეროსის აშლით აღელვებულს იმპერიასა, და იმის მხედართ-მთავრის თორნიკეს მიერ შემქნილის დავლით ქართველნი მამანი ავრცელებენ და ამკობენ ივერიის ლავრას ათონის მთაზე. დავითი მფარველობს ქართულ მწერლობას ათონის მთისას და ავრცელებს თავის სამფლობელოში ათონელთ მამათაგან ნათარგმნს წიგნებსა. დავით უშვილო იყვანს შვილად გურგენ მეფის შვილს ბაგრატსა, რომელსაც ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძის მიწვევით ამყარებს ქართლის მეფედ და რომელსაც აფხაზეთი ეკუთვნოდა როგორც მემკვიდრეს დედით აფხაზეთის მეფის გიორგი მეორისას. დავითი აშენებს ჭოროხის ხეობაში დიდებულს ხახულის მონასტერსა, რომელსაც ქ.-ცხოვრებაკე მიაწერს, გგონებთ შეცდომით, დავით I-სა.

ზემოდ ნაჩვენებთ მეფეთა შორის ს უ მ ბ ა ტ ი იხსენიება მე-XII საუკუნის არაბთ მწერლის მასსუდისაგან, როდესაც ეს უკანასკნელი შეეხება აფხაზთ-ალანთ მოსაზღვრე დიდს საქრისტიანო ტომს ჯურჯებს (ქართველებს)[1]. სუმბატისგანვე აშენებული ანუ შეასლებული ჭოროხის ხეობაში, არტვინის მაზრაში, სოფელს ლოდის-ყანაში დიდი და აქამომდე კარგად დაცული ეკლესია. (იმისი წარწერა ორ ადგილს იხსენიებს სუმბატსა: „ქრისტე, ადიდე მეფე ჩვენი სუმბატ მზეგრძელობით (ამ სიტყვას ქარაგმით ნახმარს ბროსსე შეცთომით კითხულობს „ძალ-გამრავლებით").) იმის წინა-კედელზე გამოქანდაკებულია მზის საათი, რომელზედაც ციფრებად არის ნახმარი ხუცური ასო-მთავრული ასოები. ლოდის-ყანის ეკლესიას საათითურთ გადმოღებული აქვს ფოტოგრაფს ერმაკოვსა. გარდა ამ ეკლესიისა სუმბატის დროს ეკუთვნის ერთი ძველი ასო-მთავრულის ალფაბეტით ტყავზე ნაწერი სახარება, რომელიც ახლა ჯრუჭის მონასტერში ინახება და რომელიც გადაწერილია შატბერის მონასტერში სა-

1. *H. de la G.*, I, 286, n. 2.

ხარებას აქვს შემდეგი წარწერა: „ღირს-ვიქმენ მე გრიგოლ დაწერად წმიდა ესე სახარება შატბერის ხელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისათა მეფისა ჩემისა სუმბატის სალოცველად; დასაბამიდგან წელნი იყვნეს ხფმ (6540); ქორონიკონი იყო რნვ (156)". 6540 წელი ქართულის გამოანგარიშებით და თვით ქორ. 156 უდრის 936 წელს. სუმბატ მეფობდა, როგორც ნაჩვენებია ზემოდ, 923—958 წლებში) შესანიშნავია, რომ აქ მახარებლების მხატვრობას სათაური აქვს ქართულად, ბერძნულად და სომხურად [1].

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას შატბერის ანუ შატბერდის მონასტერზე. შატბერი მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, მაგრამ ნამდვილ სადა არ ვიცით; არ იცის ესა თვით ვახუშტიმ. ჩვენის მოსაზრებით, შატბერად უნდა იგულისხმებოდეს ლოდის-ყაჩა, თუმცა ახლა, როგორც ადგილობრივ დავრწმუნდი 1879 წელსა, ეს სახელი დაკარგულია, როგორათაც დაკარგულია გამოჩენილი კალმასი. შატბერი განთქმულია ჩვენს ძველს მწერლობაში: „დიდებული ლავრა შატბერი საყოფელი წმინდისა ღვთის მშობლისა" [2]. მრავალია აქამომდე დარჩენილი შატბერის ლავრაში ნაშრომი მანუსკრიპტი. იმათ შორის აღვნიშნავთ ერთს ეტრადიანს მეტაფრასს, რომელსაც უჩვენებს „ივერიაში" დაბეჭდილი (№ № 70, 72 და 73 ამ 1889 წლისა) ბერის ლორთქიფანიძის „ბიბლიოთეკა და წარწერანი წიგნებზე იერუსალიმის ჯვარის მონასტერში". ეს მეტაფრასი, გვარწმუნებს „წერილი", შეიცავს ცხოვრებას შატბერდისა და ხანძოეთის აღმაშენებლის არხიმანდრიტის გრიგორისას. მეტაფრასის ბოლოს იკითხვის ეს წარწერა: „გარდაიცვალა ნეტარი მამა ჩვენი გრიგორი 102 წლისა ცხოვრებისა მისისასა ქორონიკონსა 81 (861 წ.); ხოლო ცხოვრება ესე მისი დაიწერა შემდგომად გარდაცვალებისა მისისი 90 წელსა (951), დასაბამიდგან 6551 (947 წ.), იერუსალიმის პატრიარხობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქაელისსა; ქართველთა ზედა მთავრობასა ქართ-

1. Brosset, *V. arch.*, II Rapp, 182; XII Rapp., 83—86; ჩემი „ვახუშტ. ისტ"., 129, შენ. 1.—2. ჩემი „ვახუშტ. ისტ.", 125, შენ. 1; „მამ-ცხ. შიო-მღვ.", 121; *H. de la G.*, I, 340.

ველთ მეფის ადარნასეს ძისა აშოტ კურაპალატისასა (786—826 (?) ავსაზით ზედა მეფობასა გიორგისასა ძისა კონსტანტინე მეფისასა († 955); ერისთავობასა ადარნასე მეფის ძის სუმბატისა (923—958); მაგისტროსობასა ადარნასეს ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა († 945); ერისთავობასა სუმბატის ძისა დავით მამფალისასა“ (958—994)... „ხოლო ჟამსავე მას, განაგრძობს წარწერა, იყო ანჩას ეპისკოპოზი მაკარი და ნეტარისა მამისა გრიგოლის შენებულთა მათ მონასტერთა იყვნეს მამასახლისნი ხანძთის მამა თეოდორე დის-წული ცხუ-დასი და შატბერდს მამა გრიგოლი ძე ლიპარიტისა, მოსახლე დიდისა მის ღირსისა; ხოლო ხანძთის წინამძღვარმა და იოანე ძისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელმა გიორგი მერჩულიამ, სამთავე იგულსმოდგინეს და აღწერეს ცხოვრება ესე ნეტარისა მის“... როგორც სჩანს, წარწერა გრიგოლის ცხოვრების შედგე-ნას მიაწერს 951 წელსა, ესე იგი სუმბატ მეფის დროს. მეტად შესა-ნიშნავია ეს წარწერა, მაგრამ იმის განმარტებაზე აქ ვერ შევდგებით, რადგანაც იგი, ჩვენის ფიქრით, შეცდომებით არის გადმოღებული და შემოწმებას მოითხოვს. საუბედუროდ, ბატონი ცაგარელი თავის ჯვა-რის მონასტრის მიმოხილვაში ხსენებულ მეტაფრაზზე არავითარ ცნობას არ გვაძლევს[1].)

(სუმბატის დროს ეკლესია მე ვნახე 1881 წელს ჩილდირის სა-ფრისტავოში, სოფელს ველში, სადაც პირველად მომესმა ყარსის მხარეში ქართული ენა. აქ მაღალის ეკლესიის ფრონტონ ქვეშ წარ-წერას ჩემი თვალი ვერ მისწვდა და სასურველია გადმოხატოს ვინ-მე იგი: მაგრამ ეზოში სვეტის მსგავს რვა-კუთხიან თლილ ქვაზე ამოვიკითხე ეს სიტყვები: „მე გრძ აღმართე წა იოანე ქორონიკონ-სა როდ (954), თვესა მაისსა 14. კურაპალატის ასული ქე ადი-დე და გრძ შეიწყალე“. თუ ეს პირია გურგენ და არა გვარამ (გვარამი იმ დროს არ ვიცით), მაშ უნდა იყოს გურგენ ერისთავთ

1. ნახე იმისი *Памятники груз. стар.* стр., 142—192. შევნიშ-ნავთ აქ, რომ ხანძთაზე ჩვენ აქამომდე არა ვითარი ცნობა არა გვქონდა; ახ-ლა კი, გარდა ზემოდ ხსენებულის წიგნისა, ხანძთის შატბერდითურთ იხ-სენიებს დავით-გარეჯის „დავითნის თარგმანი“ 1035 წლისა.

ერისთავი ტაოს ბაგრატიონთაგანი, მიცვლილი 968 წელს[1]. ამ ეკლესიის მხატვრობაზე, რომელიც ცხოველად ეტყობა, ჩემი ყურადღება მიიზიდა ზოგიერთმა სხვა და სხვა დროის მოგზაურთ მინაწერებმა, მაგალ. „1784. პატრი ფოლიქართო მანთოელი“. „1808. პატრი ბასილიოს მანთელი“. „1878. ვიყავ აქა გულმტირალი ერთი მამულის შვილი ს. ბაკლი[2].

სუმბატის დროსვე მიეწერებიან:

ა) ალ. ცაგარელის მიერ ნახული სინაის მთაზე, წმინდა საბას ლავრაში იერუსალიმის მახლობლად ნაშრომი „სწავლანი და მოძღვრებანი წმინდათა მამათა: ვასილი დიდისა, მარკოზ მონაზონისა, ეფრემისა, მაკარისა და მარკოზისა, გადაწერილი პატრიარხობასა ლეონისსა (911—928 წ.), მამასახლისობასა იოანე რაკისასა, დასაბამიდგან წლით ხ ფ კ ტ—6528—924), ქორონიკონსა რმე (925)“.[3] ბ,) ტიშენდორფის ნაქონი წიგნი, რომელიც ახლა ს—პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას ეკუთვნის. ეს მანუსკრიპტი, გადაწერილი იქვე წმ. საბას ლავრაში „ცოდვილისა იოანესაგან“ 941 წელსა, შეიცავს სხვა და სხვა საგნებსა. პირველი საგნის სათაურია: „ცნობისათვის და უწყებისა ჭეშმარიტად რომელი მოგვეთხრა ჩვენ მოძღვართა მიერ განსაზღვრებელად გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა, თთვეთა და დღეთა, მცხრალისათვის დღისა სამიებელისა, შვიდეულისათვის და ნავთა და მთვარისა ზედნადებისა და სუთეულისათვის და ექვსეულისა“. ერთის სიტყვით, აქ ავტორი შედის ქართულის ქორონიკონის ისტორიაში და იმის მნიშვნელობის ახსნაში. ეს საგანი ჩვენ მოვიხსენეთ ზემოდ (გვ. 214). მეორე საგანი უჩვენებს სახარება-სამოციქულოთა და საწინასწარმეტყველოთა საკითხავის რიგსა ჟამის-წირვის დროს ეკლესიაში; მესამე საგანი შეეხება კალანდობას ანუ ცრუ-რწმუნებას, რომელსაც შემდეგ საუკუნოებშიაც ვპოულობთ ჩვენს მწერლობაში.

1. *H. de la G.*, II, 1 livr., p. 623.
2. ჩემი „ვახ. ისტ.“, 131 შენ. გ.

3. *Памятники грузинс. старины въ Св. Землѣ и на Синаѣ.* Спб., 1888, стр., 233—234.

რადგან ამ გვარი რწმუნება გავრცელებული იყო ჩვენ ტომში ძვე-ლადგანვე და მაშა სადამე უჩვენებს იმის მოაზრების თვისებასა, აქ შემოგვაქვს კალანდა ისე, როგორც არის მანუსკრიპტში.

„ქალანდაჲ, თქუმული ეზრა წინასწარმეტყველისა. უკეთუ დად-გების იანვარი დღესა კვირიაკისასა, ზამთარი იყოს ნოტია, ზაფ-ხული სმელი, ნაყოფი ფრიად, სთველი მცირედ, თაფლი ფრიად, სთველი ქარიან, საცხოვარი კეთილ.

„ორშაბათსღა დადგეს, ზამთარი იყოს ტფილ, ზაფხული და არი კეთილ, წვიმანი დიდ-დიდნი და ჴაერთა საშინელებანი, სთველი სმელ, ნაყოფი ფრიად, თაფლი მცირედ, სნეულებანი ზედაჲს-ზედა და მეყსეულად სიკვდილი გლახაკთა და ცხროჲ ფრიად.

„სამშაბათსღა დადგეს, ზამთარი იყოს მყარ, სთველი ნოტია, ნაყოფთა ნაღველი (?) კნებაჲ, დედათა სიკვდილი, სნეულებანი და ნავ-თა დაქცევანი ზღვათა.

„ოთხშაბათსღა დადგეს, ზამთარი იყოს ფიცხელ, ზაფხული ნოტია, არი კეთილ, იფქლი მცირედ, სთველი და ხილი ფრიად და ყოვლისა საქმისა აღსრულებაჲ, მამათა სიკვდილი.

„ხუთშაბათსღა დადგეს, ზამათარი იყოს კეთილ, ზაფხული ქარიან, სთველი და არი შეზავებულ, თაფლი მცირედ, მთავართა და დიდ-დიდთა წყმედაჲ.

„პარასკევსღა დადგეს, ზამთარი იყოს მყოარ და ფიცხელ, ზაფხული და არი ნოტია, სთველი სმელ, პური და ღვინოჲ ფრი-ად და ყოველი ნაყოფი იეფად, თვალთა სალმობაჲ და ჩჩვილთა სიკვდილი.

„შაბათსღა დადგეს, ზამთარი იყოს მძიმე, არი წმიდა, იწ-როებაჲ ნაყოფთაჲ, საცხოვართა სიკვდილი, ხურვებაჲ, ცხროჲ, სნეულებანი ზედაჲს ზედა, სახლთა წვაჲ და ბერთა სიკვდილი“.

მანუსკრიპტის მინაწერიდამ სჩანს, რომ იმის დამწერს ძვე-ლი დედანიკე ჰქონია ხელში: „დედად გამოვიღე სხვის დაწერი-ლი“. მთელი მანუსკრიპტი დაწერილია ხუცურის ასომთავრულით. არითმეტიკულ გამოანგარიშებაში ხმარებულია თვით ამ ალფაბე-

ტის ასოები. არითმეტიკული ტერმინები ამ წიგნისა შესწავლის ღირსია [1].

დავით ანუ ბაგრატ რეგვენი (958—994), ბროსსეს გამოკვლევით, მეფობდა აფხაზეთის მეფეების დიმიტრისა, თეოდოსისა და ბაგრატ II-ს (?) თანა-ზიარით და იმათ შემდეგ აფხაზეთის დინასტია სამუდამოდ იპყრა საქართველოს ტახტსა. ამ ბაგრატის დროს, როგორც სჩანს, აღმოჩნდა სურვილი ქართველთ-სომეხთ შეერთებისა სარწმუნოებით. სომხის ისტორიკოზის კირაკოზ განძაკელის თქმით, სომხითის კათალიკოზმა ვაჰანმა ანუ ვაჰანიკმა, რომელიც დაჯდა კათალიკოზად 965 წელსა, დასდო განაჩენი ხალკიდონის კრების მიღებისა და ქართველებთან შეერთებისა; მაგრამ ამისთვის ანის კრებამ 970 წლისამ იმას კათედრა ჩამოართო თვით იმისი მემკვიდრე სტეფანოზ III თანა-უგრძნობდა ვაჰანის განზრახვასა; მაგრამ ისიც შეჩვენებულ იქნა. კირაკოზის გარდა სამოელ ანელი შეერთების განზრახვას მიაწერს ვაჰანს 698—1249 წელს" [2].

ბაგრატ II დროს უნდა მიეწერებოდეს ერთი დიალ შესანიშნავი ქტრადიანი ხუცურის ასო-მთავრულით ნაწერი, მცხეთის კათედრიდამ გადმოცემული ჩვენს საარხეოლოგიო მუზეუმში მანუსკრიპტი. ეს მანუსკრიპტია დავითნი სრული და კარგად დაცული აქამომდე; წინა-უძღვის მას განმარტება ფსალმუნთა ალექსანდრიის მთავარ-ეპისკოპოზის ათანასისა (ფურც. 2—21); თვით დავითნი შეიცავს „ყოვლად შეკრებით ფსალმუნთა რნ-თა, მუხლთა ცშ-თა" (ფურც. 22—208) და ფსალმუნთა დამატებასა (209—238). აქ მიაქციე ყურადღება ფურც. 239—248: „ცნობისათვის და უწყებისათვის ჭეშმარიტად, რომელი მოგვეთხრა ჩვენ მოძღვართა მიერ მართლ-მორწმუნეთა განსაზღვრებული გამოძიებისათვის ჟამთა და წელიწადთა, მცხრალისათვის და ნაკისათვის მთვარისა, ზედ-ნადებისათვის, ხუთეულისათვის და ექვსეულისა, შვიდეულისათვის და დღის სარბიელისათვის". „დასაბამიდგან რომელ წელნი გარდასრულ არიან ესრეთ იცნობების: ჯვარცმამდე უფლისა

1. ქართული ტექსტი ამ საგნისა ნახე *Mém. de l' Acad.*, t. XI, № 13, p. 2—9.—2. *H. de la G.*, I, 281 n. 4.

ჩვენისა იესო ქრისტესა წელნი ჵფლდ? (5534 წ.); შემდგომად ჯვარცმისა ვიდრე ქოჲქამომდე შოდ (974 წ.) აქ 5534 წელი დიდ შეცთომად უნდა ითვლებოდეს და თვით ჯვარცმის მაგიერ უნდა იგულისხმებოდეს, როგორც ზემოდაც ვთქვით, შობა ქრისტესი. სულ ბოლოს ამ წერილს ჩართული აქვს ძველი არაბული ციფრები, რომლის გარკვევა სპეციალისტისათვის მიგვინდვია.

დავით კუროპალატზე გვაქვს ჩვენ ცნობები: ბიზანტიური, სომხური და ქართული და გარდა ამისა არაბული, რომელიც ზემოდაც მოვიხსენიეთ (გვ. 149 შენ. 1) და რომელიც არის წელთ-აღწერა იახია ანტიოქელისა. იახიას წიგნში ხსენებულნი არიან ქართველთაგანნი: გამრეკელი, დავით კუროპალატი, გათალიკოზი (სახელი არა ჩანს), გიორგი მეფე აფხაზეთისა (1014—1027), ლიპარიტი (როზენის განმარტებით), ბაგრატ IV (1027—1072) და დედა მისი, ასული სანასარიბისა“ [1]. შემდეგი შენიშვნა ჩვენ შემოგვაქვს ჩვენისავე წერილიდამ: *Отношенія Грузіи и Арменіи къ Византіи*,

„ბიზანტიის მეისტორიენი კედრინი და ზონარი უწოდებენ დავითს იბერიის მეფედ; ქართული წყაროები საქართველოს ტაოს კუროპალატად. სომხითის მწერალთა შორის: დავითის თანა-მედროვე ასოღიკი და შემდეგ იმისა ლასტივერდი ჰხადიან კუროპალატად ტაიქისა; ჩამჩიანი-დიდ მეფედ სომხითისა და კუროპალატად ტაიქისა; მხოლოდ მათე ედესელი, რომელიც ცხოვრობდა მე-XII საუკ., უწოდს მას განცხადებით კუროპალატად და მეფედ საქართველოსა. ფრანციელი მეისტორიე ლებო, რომელსაც ხელში ჰქონია ბერძნული და სომხური წყაროები, უპირატესობას აძლევს პირველს და ყოველთვის ჰხადის დავითს იბერიის მეფედ; მაგრამ ლებოს გამომცემი ბროსსე ლებოს აზრს შეცდომათა სთვლის და ამბობს იმის ისტორიის შენიშვნაში, რომ დავით უნდა ირიცხებო-

1. Барона Розена, *Императоръ Василій Болгаробойца*,—*Извлеченія изъ лѣтописи Яхъи антіохійскаго*, стр. 1—73 და იმისნი განმარტებანი თვით როზენისა.—2. *Извѣстія Кавказ. Общ. исторіи и археологіи*, выпускъ первый, стр. 76—85. ამ წერილის წყაროები წერილშივე ნახე.

დესო მეფედ სომხებისა და არა ქართველებისა. ეს აზრი ბროსსემ უკუ-აგდო შემდეგ, როდესაც ქართული წყაროები შეისწავლა.

დავითზე ჩვენი ცნობებია: გარდა ისტორიულისა, არქეოლოგიური და ვერცხლის ფული, რომელზედაც სრულად წარწერილია: ႵႠ ႸႠ ႣႧ ႩႭႤႪ „ქრისტე შეიწყალე დავით კურაპალატი“ ეს ფული აქამომდე გვაქვს მხოლოდ ორი, ერთიც და მეორეც აღმოჩენილი ევროპაში[1]. დავითსვე მიაწერენ აშენებას ხახულის ტაძრისას ჭოროხის ხეობაში ანუ ძველს კლარჯეთში. ეს ტაძარი არის ერთი უდიდესთა და უმშვენიერესთაგანი საქართველოში და აქამომდე კარგად დაცული[2]. იგია პირველად აღწერილი სომხის მეხიტარისტის ნერსეს სარგისიანისაგან[3] და ფოტოგრაფიული სურათი იმისი ფოტოგრაფის ერმაკოვისაგან გადმოღებული მოიპოვება ტფილისში. ხახულის ღვთის მშობლის ხატი, მდიდრულად შემკული იამბიკო ლექსების წარწერით და ხახულიდამ გადმოტანილი ახლა ასვენია გელათის მონასტერში და არქეოლოგიის მცოდნენი გაკვირვებაში მოჰყავს მას თავის მაღალის ხელოვნებითა[4].

ქ.-ცნობით დავით მეფობდა 983—1001 წ. სომხის წყაროები არ გვიჩვენებენ, რომელ წელს დაჯდა დავით ტახტზე; იმის სიკვდილის დროს კი იხსენიებენ პასექის დღეს 1000 წ.[5], ჩვენ არა გვაქვს ამ ცნობის შესამოწმებელი ფაქტი; მაგრამ 983 წელი კი, როგორც დასაწყისი დავითის მეფობისა, ცხადი შეცდომაა, რადგანაც, როგორც ახლავე დავრწმუნდებით, დავით 983 წელზე ადრე განაგებდა თავის სამეფოსა. თვით პიროვნობას და ხასიათს დავითისას ამ-გვარად გვიხატავს იმისი თანა-მედროვე ასოღიკი: „სიტკბოებით და მშვიდობის-მოყვარეობით, ამბობს ასოღიკი, დავით

1. Langlois, *Essai de classif*..,p 36 და planche III; *Труды V-го Археологическаго Съѣзда въ Тифлисѣ*, стр. 251.—2. Brosset, *V. arch.*, XI Rapp., 19—22.—3. *Mém. de l' Acad*... II série, t. VIII, № 10, p. 11—12. —4. ნახე ჩემი „ვახუშტის ისტორია“, გვ. 151, 161, 208 და 209.—5. სომხითის მწერალნი გვარწმუნებენ, ვითომც დავით მოწამლულ იქმნა და ვითომც იმის სიკვდილში ერია ქართველი მღვდელთ-მთავარი ილარიონი (Prud' homme, *H. d' Arménie*..., p. 4).

აღემატებოდა ყველა ხელმწიფეებს, რომელნიც კი ჩვენს დროს ცხოვ-რობენო; დავით იყო მიზეზი მყუდროებისა და კეთილ-წესიერებისა მთელს აღმოსავლეთზე და განსაკუთრებით სომხეთში და ივერიაში; დავითმა ამოჰკვეთა ომიანობა, რომელიც ყოველის მხრით ატეხილი იყო და სძლია ყველა გარეშე ტომთა, ასე რომ ყველა ხელმწიფენი ნება-ყოფლობით ექვემდებარებოდნენ მას“. განსაკუთრებითი ღვაწლი მიაგო დავითმა, არა მხოლოდ საქართველოს, თვით ბიზანტიასაცა. დავით-მა თავის შვილობილის ბაგრატ მესამისათვის-თვითონ იყო უშვილო-შეაერთა ერთ სამეფოდ ტაო, აფხაზეთი და ქართლი და თვით იმის სიცოცხლეშივე ბაგრატი (ეს ბაგრატ იყო დავითის ბიძა-შვილის შვილი ძე გურგენისა) დაჯდა მეფედ ჯერ აფხაზეთში და შემდეგ ქართლში. ამ ბაგრატიდამ იწყობა ბრწყინვალე დრო საქართველოს სამეფოისა. რა სამსახური აღმოუჩინა დავითმა თვით ბიზანტიას, ამაზე იგივე ასოღიკი სწერს შემდეგსა: „როდესაც ბიზანტიაში გამეფდა ბასილი (II ბულგაროქტონი 976 წელსა), ვარდა სკლერო-სი გადგა და იწყო მეფობა ჯახანისა და მელიტენის ქვეყნებში. ვარდა იყო მეომარი და მეცნიერი სამხედრო საქმეში. ვარდამ მი-იმხრო სომხის ცხენოსანი ჯარი, რომელიც საბერძნეთში იმყოფე-ბოდა, და დაგლიჯა საბერძნეთის სამეფო ორ ნაწილად, შევიდა ბითინიამდე და სრული ოთხი წელი ებრძოდა ბასილის და მთელი მხარე სისხლით შესვარა. ბასილი მეფემ შემოიკრიბა მხედრობანი: ბიზანტიისა, ფრაკიისა და მაკედონიისა და გაგზავნა ვარდას წინა-აღმდეგ. ვარდა შეება ბასილის ჯარსა; სომხის ჯარი იბრძოდა მხნედ. ტარონელის თავადის შვილთა გრიგოლმა და ბაგრატმა და აგრეთვე მოკის თავადმა აპრანიკმა ზარი დასცეს საბერძნეთის მხედ-რობასა, ასე რომ არა ორს ანუ სამს წყობაში, არამედ მრავალს კვეთებაში იმათ სძლიეს დასავლეთის ჯარსა. ომიანობა გავრცელდა მთელს საბერძნეთში: სოფელი ებრძოდა სოფელს, ქალაქი ქალაქს და ყოველს ადგილს სისხლი იღვროდა... ყველა ამ შემთხვევათა შემდეგ, მეფემ ბასილიმ იხმო მხედართ-მთავარი ნათესავით ივერიელი თორნიკე და წარგზავნა ტაიკის კურაპალატთან დავითთან, რომ დავითმობო ხახთი-არიჩს კელე-სირიით, ჩორ-მაირს, კარინს (არ-

ზირუმს), ბასიანს და სპერის ციხეს მარდასით, სარკს და აპა-ჰუნიკს — და დაუთმო კიდეც —, თუ ჯარს მომაშველებო. დავით კურა-პალატმა შემოჰკრიბა იბერიის ჯარი და მთავარი-მთავრის ჯოჯი-კის ხელ ქვეით გაუგზავნა თორნიკეთურთ ვარდას წინააღმდეგ. ცა-რონის ქვეყნიდამ დაწყობით იბერიელმა ჯარმა მოაოხრა ბერძნების მხარე, რომელიც მეამბოხეს ემორჩილებოდა... ეს ჯარი დასავლეთის ჯარითურთ შეება ვარდას; ვარდა დამარცხდა და გაიქცა ბაღდა-დისკენ იბნ-ხოსროვ ემირთანა" [1].

ეს შემთხვევა თვით ლებოს შემოაქვს დაწვრილებით ბიზან-ტიელების წყაროებიდამ. ამავე საუკუნის ქრონიკას 1, ქ.-ცხოვრებას;

1. ეს თქმულება ასოღიკისა და საზოგადოდ დავითზე იხილე: *Всеобщая исторія Степаноса Таронскаго, Асогика по прозванію.— писателя* XI *ст.*—переводъ съ армянскаго съ объясненіями Н. Эмина. Москва. 1864, стр. 131, 133—135. 180. 191, 198. აქ, გარდა დავით კურაპალატისა, იხსენიებიან იმის დროს გამოჩენილი ქართვე-ლები: ბაგრატ ძე გურგენისა და მეფე აფხაზთა (180—181. 200); თორ-ნიკე; ჯოჯიკი (135); მაგისტროსი ჩორთვანელი, რომელსაც ასოღიკი უ-წოდს თორნიკის ძის-წულად (179—180. 188); მეორე იმისივე ძის-წული ბაგრატ; თავადთ თავადი ბაკურიანი (193); ჯოჯიკის შვილი ფერისი; ოქროპენ-ტრეს შვილი გაბრიელ (194—195); ბრწყინვალე პირები ტაოხეთისა ძმები გამრეკელები (196); თავადთ თავადი პატრიკი და ორი შვილი ოქროპენტრე-სი გაბრიელ და იოანე; აბუჰარბის შვილის-შვილი ჩორთვანელი და სხვანი, რომელთაც სახელები არ არიან მოხსენებულნი (200—201). ეს ასოღიკის ცნო-ბები ძვირფას ცნობებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგინი სრულებით ავსე-ბიან იმ დროის ქართულ წყაროებსა. ესევე უნდა ითქვას არისტაკეს ლასტ-ივერტელზე (ნახე ზემოდ გვ. 194 შენ. 1), რომელიც შემდეგ ასოღიკისა (XI საუკ.) სცხოვრობდა და რომელიც თავის ცნობით ... იხსენიებს დავით კურაპა-ლატს (p. 1—9) და სხვათა თვით იმის დროის ქართველთა: ბაგრატ III-ს და იმის შვილს გიორგი I-ს (p. 12—13); ქართველ ეპისკოპოზს ზაქარიას, რომელიც კალამაგერდში თურმე იჯდა (p. 21, 35); „ბრწყინვალე პატრიკს" ლიპარიტის შვილს (p. 23), ჯოჯიკის შვილს ფერისს (p. 33); ბაგრატ IV-ს (p. 36), და იმის შვილს გიორგი II-ს (p. 39). შესანიშნავია შემ-დეგი თქმულება ლასტივერდელისა. „1027 წელს, ამბობს იგი, იმპერატორმა გაგზავნა მთავრად ანტიოქიისა ნიკეტა, რომელმაც, შევიდა რა იგი საქართველოში, მრავალი ქართველთ კეთილ-შობილთაგანი დაითხოვა ბიზან-ტიის სამსახურში შესასვლელად. წარუდგინა რა იგინი იმის წინაშე, იმპერა-ტორმა, სიხარულით აღსავსემ, უძღვნა იმათ ძვირფასი საჩუქრები, მაღალი ხარისხები და საკუთრებად ოქრო-ჭედილნი, სრულებით სოფლები და დაბები, ნაცვლად დატოვებულის მამულებისა სამშობლოში" (p. 40).

2, ერთი ბერძნული მანუსკრიპტი მოსკოვის საპატრიარხო ბიბლიოთეკისა: 3, თვით იმ დროის წარწერა დიდებულის ზარზმის ეკლესიაზე, რომლის კედელზედაც აქამომდე ჩანს ბაგრატ III სურათი¹ ზარზმა მდებარეობს ახალციხის მაზრაში. წარწერა იმისი ამოჭრილია სულას შვილის იოანესაგან, რომელსაც მონაწილეობა მიუღია თვით აღწერილს ლაშქრობაში; 4, შენიშვნა „იოანე ღვთის-მეტყველის გამოცხადების წიგნში," რომელიც თარგმნილია წმინდა ექვთიმესაგან და ახლა ეკუთვნის შიო-მღვიმის მონასტერსა. ეს შენიშვნა ამბობს: „დაიწერა (წიგნი ესე) საბერძნეთს, მთასა წმინდასა ოლიმპოს, საყოფელსა წმინდისა ღვთის მშობლისასა, ლავრასა შინა კრანიას, მეფობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიარქობასა ანტონისსა და ოვიცლად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისსა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოხრებასა ქალაქთასა და აწყუედასა ქრისტიანეთასა უწყალოდ ურთიერთარს მახვილითა ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა ესე ყოველი იქმნებოდა ამას რაჲ წიგნსა ვწერდი; ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა არავინ უწყოდა, თვინიერ ღვთისა; ყოველნივე ურთიერთას ეკვეთებოდეს სიტყვით და საქმით; მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოდეს; დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხფპბ (6582); ქორონიკონი იყო რჟტ" (198) —978 და, დაჰმატებს 995 წლის ოთხ-თავის წარწერა, თორნიკე ერისთავმან ბრძანებითა დავით კურაპალატისათა დაამხვა განზრახვაჲ მისი (სკლეროსისა) და განამტკიცნა წმინდანი მეფენი"; 5, ცხოვრება წმ. მამათა იოანესი და ექვთიმისა ივერიის მონასტრის მანუსკრიპტში. ეს მანუსკრიპტი შეიცავს „მთა-წმინდელთ" ცხოვრებას, შედგენილს თანა-მედროჲსაგან და იწყობა მოთხრობით, რომელიც უმთავრესს შემთხვევაში სრულებით ეთანხმება ასოღიკს, მაგრამ დავით კუროპალატისაგან თვით 12,000 ჯარის გაგზავნას ბიზანტიაში უფრო დაწვრილებით გვიამბობს; გარდა ამისა ივერიის მანუსკრიპტში ჩართულია მრავალი მოსახსენებელი აღაპები მე-X—XII საუკუნის მეფეთა და სხვათა პირთა, რომელთაც რაჲმე შესაწირავი უძღვნიათ ივერიის მონასტრისათვის. ამ მანუსკრიპტის

1. ჩემი „ვახუშტის ისტორია", გვ. 139 შენ.

ნაამბი თითქმის სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი ქ.-ცხოვრებაში და ამტკიცებს ასოღიკის თქმულებასა, რომ იმპერატორმა დავითს, შემწეობის ნაცვლად, დაუთმო „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი", ანუ საბერძნეთის სომხითისანი და ამასთანავე ჩვენი მანუსკრიპტი დასძენს, რომ „ეს ქვეყნები იმპერატორმა იმას უძღვნა იმის სიკვდილამდე. ეს იყო მიზეზი, როგორც ვნახავთ, რომ ამ საგანმა შემდეგ განხეთქილება და ბრძოლა ასტეხა საბერძნეთსა და საქართველოს მეფეთა შორის. ის ადგილი, სადაც სკლეროსი იძლია, ზარზმის წარწერაში იხსენიება „სარვენად ხორასანის ქვეყანაში". ეს ხორასანი არის ბიზანტიელების არზანენი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთად ტიგრისისა და ნიმფიუსისა და რომელიც უოველთვის სადავო იყო სპარსეთისა და ბიზანტიის მეფეთა შორის. ლებოს აზრი თუ სად იძლია სკლეროსი სხვა არის; იმის მოწმობით, სკლეროსის მხედრობა დამარცხდა ჭალისის პირზე და მოძლებული ნაწილი იმისი ჩანთქა ამ მდინარის ზვირთებმა. როგორიც ივერიის მანუსკრიპტი, აგრეთვე მოსკოვის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ბერძნული მანუსკრიპტი თანასწორად გვიამბობენ, რომ „ქართველებმა დაიპყრეს ყოველივე საუნჯე სკლეროსის ბანაკისა, რომელიც თეოფანოს იმპერატრიცის უხვის ნიჭითურთ მოიხმარეს გასამშვენიერებლად ათონის მონასტერთა შორის უდიდებულესის ივერიის ლავრისა".

რომ ჩვენმა მკითხველმა სრული აზრი მიიღოს დავით კუროპალატზე და იმის დროს ბრწყინვალე ქართველ პირებზე, საჭიროდ ვპოვეთ აქ ზოგიერთის ახლად აღმოჩენილის მანუსკრიპტების წარწერაზეზე შევჩერდეთ. იგინი არიან:

1. „სამოთხე" ანუ იოანე ოქროპირისა და ეფრემ სირინის „ქადაგებანი" ივერიის მონასტრის წიგნთა-საცავში, ნაშრომი იქვე ნათლის-მცემლის ოშქის ლავრაში, რომელსაც ახლაც ქართველი ბერები ჰფლობენ; ის არის გადაწერილი ქორონიკონსა რჟზ—977 წ. მამობასა საბასასა, ხელითა იოანესითა და სტეფანე დეკანოზისათა და ამ უკანასკნელისაგანვე შემოსილი. ადგილ-ადგილ იმას მიწერი-

ლი აქვს: „იესო ქრისტე, ყოველთა სუფევათა მფლობელო, ადიდე შენ მიერ დიდებული მეფე ჩვენი დავით მაგისტროსი და იოვანე და შვილნი მისნი“... „მეოხ ექმენით სვინგელოზსა და შვილთა მისთა“...„წმინდაო იოანე ოქროპირო და წმინდაო ეფრემ, მეოხ ეყვენით იოანე ვარაზ-ვაჩეს და შვილთა მისთა; წმინდაო ნათლის მცემელო, იოანე შენ მიერ ნათელ-ცისკრისათვის მიქაელ აბუ-ჯაფრ“, „მე იოვანე თორნიკ ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზ-ვაჩე, ძეთა სულ-კურთხეულისა ჩორდვანელისა მოვიგეთ წმინდა ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმინდათა მამათა მიერ „სამოთხე“... სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა დავითისათვის..., რამეთუ მართლ-მადიდებლობისა თვალი არს და მსგავსად შემოქმედისა თვისისა სიმდაბლისა წესსა მისსა დაუკლებელად იქცევის...და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩვენთა: პირველად იოვანე თორნიკ ყოფილისათვის და აწ წმინდათა მეფეთა მიერ იოანე სვინგელოზისათვის, რომელმანცა სიყვარულისათვის ღვთისა დაუტევა დიდებაჲ ქვეყანისაჲ და ჰპოვა ზეცისაჲ...რამეთუ... მსწრაფლ შეიცვალა სახე ერისკაცობისაჲ და შემოსა სახე მეუდაბნოეთაჲ... და ერთგულებით ჰმსახურა მეფის ცხოვრებისასა და წმინდათა მეფეთა, რაჟამს იგი გამოჩნდა ქვეყანასა საბერძნეთისასა კაცი განდგომილი (სკლეროსი) და მიდრკომად აღუდგა წმინდათა მეფეთა; ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოვლად ბრძოლით უძლეველისა დავით კურაპალატისა და ბრძანებითა ამათითა დაამხუა განზრახვაჲ მისი და განამტკიცნა წმინდანი მეფენი... და მერმე იოვანე ვარაზ-ვაჩისათვის და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა მიქაელისა და ჩორდვანელ - ზორავარისა ჩორთოლაჯდისათვის და თორნიკისათვის და ძმის-წულთა ჩემთა — ჩორდვანელ პატრიკისათვის და ბაგრატ პატრიკისათვის და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორდვანელისათვის და მარიამისათვის და ძმათა ჩემთა ბაგრატისათვის და არშუშაჲსათვის და აბუჯაფრისათვის და მამის ძმისა აბულჯაფრისათვის და არშუშაჲსათვის და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათ-

ვის“... „ესე ანდერძი მე ულირსმან...დავით დის წულმან ღმერთ-შემოსილისა მიქაელ მოდრეკილისამან დავწერე“ [1].

აქვე ოშკის ლავრაში გადაწერილი სამთა მწერალთაგან: გიორგი ჩქლასის ძისაგან, მიქაელისაგან და სტეფანესაგან ორ დიდ წიგნად პირი „ქართულის ბიბლიისა“ და ამჟამად კარგად დაცული ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში. ხშირად იხსენიებს იმავე იოანე თორნიკესა, რომელიც სახელ-წოდებულია პატრიკად და სვინგელოზად. აქ წარწერაებში ვკითხულობთ: „ქრისტე, ადიდე იოვანე ვარაზ-ვაჩე და შვილნი მისნი“... „შეიწყალე მიქაელ ძე ვარაზ-ვაჩისა — დიდი სიტკბოება მიჩვენეს ამა წიგნისა შრომაში“.:. „...მე იოვანე თორნიკ ყოფილმან ძემან სულ-კურთხეულისა ჩორდვანელისამან მოვიგე წმინდა ესე წიგნი... სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთათვის და მოსახსენებლად სულისა ყოვლთა მიცვალებულთა ჩემთასა... ოდეს ესე წიგნი დაიწერა ქორონიკონი იყო რჟჱ — 978 [2]. იქვე სხვა მანუსკრიპტში „წმინდათა მამათა ცხოვრება-მოძღვრებაებში“, რომელიც ნაშრომია დასაბამიდგან წელთა ხფპე — 981 წ., იგივე თორნიკე იხსენიება „სულიერად და ხორციელად ძმად ექვთიმესი მამის იოანესა“ [3]. იხსენიება აგრეთვე იგი პატრიკად და სვინგელოზად იოანე ვარაზ-ვაჩითურთ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში“, რომელიც გადაუწერია ოშკს საბასავე მამობაში იოვანე ჩირაქსსა [4], და თვით ექვთიმესაგან ნათარგმნს და გადაწერილს ქორონიკონს სგ — 983 წ. „კლიმაქსში“ [5].

2. თავადის იოანე გრუზინსკის წიგნთა-საცავში, რომელიც ახლა ეკუთვნის პეტერბურგის საპუბლიკო ბიბლიოთეკასა, პროფესორი ცაგარელი უჩვენებს დავით კუროპალატის დროისავე სახარე-

1. Ал. Цагарели, *Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности*. Спб., 1886, და ჩემი „ჟურნალი“, ამ წიგნის ჩემს ეგზემპლიარში ჩართული. стр. 89 -91. ამ „ჟურნალში“ შეტანილი მაქვს ის წარწერაებიცა ივერიის მონასტრის წიგნთა-საცავის ქართულის მანუსკრიპტებისა, რომელთაც ცაგარელი არ იხსენიებს. როდესაც მე რომელისამე ცნობის წყაროდ მხოლოდ ჟურნალს ვუჩვენებ, ეს ჰნიშნავს, რომ ცაგარელი იმ ცნობას თავის წიგნში სრულებით არ ეხება.—2. Тамъ же, стр. 69—75.—3. Тамъ же, стр. 82.—4. ჩემი „ჟურნალი“ стр. 83.—5. Тамъ же, стр. 88—89.

ბასა. იმის წარწერაებში ვკითხულობთ: „ქრისტე, ადიდე იოვანე მამათ-მთავარი პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყვერელ ეპისკოპოზი და კვალად მუნვე თჳისსა საყდრად შესრული." „ქრისტე, ადიდე შენსა ზეცისა სასუფეველსა შენ მიერ გვირგვინოსანი მეფე ჩვენი დავით კუროპალატი..." „დაიწერა წმინდა ესე სახარება საყდარსა შინა ტბეთისასა, საყოფელსა წმიდათა მოციქულთასა, დასაბამიდგან გარდასრულთა წელთა (?), ქორონიკონსა სიე (995 წ.) ხელითა ორთა მწერალთათა: დავით გლახაკისათა და გლახაკისა არქიპოსისათა და შეიმოსა ხელითა სანატრელისა მღვდილსა სტეფანესითა.[1].

აქ ბატონის ცაგარელის საყურადღებოდ შევნიშნავთ. ხსენებულის 977 წლის მანუსკრიპტში და 995 წლის სახარებაში ცაგარელი აბუღარის სწერს არა ერთხელ აბულარბად და თვით ტბეთის მამათ-მთავარს-კათალიკოზად. ერთიც და მეორეც შეცდომაა. ხუცური მწერლობაში ჰ და ლ ძნელად განირჩევიან და ამის გამო ჩვენი ავტორი შეცდომაში. აბულარბ ანუ აბუჰარბ დიდად გამოჩენილი პირია ქართულ-სომხურ-ბერძნულ ისტორიაში და ამისთვის გადასხვაფებით იმის სახელის წერა შეუნდობელია. „მამათ-მთავარი", მართალია, ჩვენს მწერლობაში მიეთვისება კათალიკოზსაცა, თვით ეპისკოპოზსაცა; მაგრამ აქ ამ ლექსის ხმარება იმ აზრით, რა აზრითაც ბ. ცაგარელი ხმარობს, უადგილოა. იოანე მტბევარი ბრწყინვალე პირია, როგორც ახლავე ვნახავთ, მაგრამ კათალიკოზობის ხარისხი იმას არა სჭერია და ტბეთის მღვდელთ-მთავრადვე დაასრულა მან თავისი სიცოცხლე.

3. ერთი უშესანიშნავთა ქართველთ მანუსკრიპთაგანი, რომელთაც ძველის დროიდამ ჩვენამდე მოუღწევია, არის „საგალობლები" სამეგრელოს მთავრის წიგნთა-საცავისა, ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის შემოწირული. ეს წიგნი შეადგენს დიდს ფოლიანტსა, შეიცავს 544 გვერდსა, ნაწერია ეტრადზე მშვენიერის წვრილის ნუსხა-ხუცურითა და, როგორც

1. Тамъ же, стр. 17—21.

წარწერები უჩვენებენ, წერებულა დავით კურაპალატისა, გურგენ მეფისა და ბაგრატ III-ს დროს. წარწერებში ვკითხულობთ; „... მფლობელთა ორთავე სუფევათა, მეოხებითა ყოვლთა წმიდათა შენთაჲთა უმეტეს ადიდე შენ მიერ ღირსად გჳრგჳნოსანნი უძლეველი მეფეთა მეფე დავით კურაპალატი და დასცენ ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მეფობისა მათისანი ქუეშე ფერჴთა მათთა უძლეველითა მკლავითა შენითა [1]. „ქრისტე, ადიდენ უძლეველნი მეფენი ბაგრატ და გურგენ“ [2]. ხშირად იხსენიება იოანე მტბევარ ეპისკოპოზი [3]. 119 გვერდზე თვით იმისი და ბასილი კესარიელის სურათებია წმინდა სხივით თავ-მოსილნი. სულ ბოლოს საკუთარის წმინდა ეფთიმეს ხელით უნდა იყოს მიწერილი: უფალო, (შემიწყალე) ეფთჳმე ცოდვილი მწარედ“. არიან მოხსენებულნი სხვანიცა მრავალნი პირნი. თავიდამ ბოლომდე აქ ხშირად ვხედავთ მიქაელ მოდრეკილსა; უეჭველად ეს ის პირია, რომელსაც შევხვდით ზემოდ 977 წლის მანუსკრიპტში და რომელიც თავის დროს დიდ გამოჩენილი პირი ყოფილა. ამას დაუწყვია მთელი „საგალობლები“ ნოტებზე — ეს ნოტები სხვა და სხვა გვარის ხაზებით, მძიმეებით და წერტილებით არის აღნიშნული. „საგალობლები“ შეიცვენ დიდ საუფლო გალობათა. „მე, ამბობს ავტორი, ღელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისაჲთა დაღონებულმან ძმის-წულმან ღმრთ-შემოსილისა მამისა დავითისამან, მიქაელ მოდრეკილმან კიდევწე და უჩუმთავს ძალისა შრომაჲ გაჩვენედა შევკრიბენ საგალობელნი წმინდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოვენ ენათა ქართველთაჲთა მესურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა წესისაებრ საეკლესიოჲსა [4]. „საყუარელნო, უკეთუ ერთსა ძლის-პირსა ზედა რომელიმე კილოჲ ერთი ორ-გვარად იყოს აღნიშნული, ნუ უცხო-გიჩნ, ნუცა ურთიერთას წინა-აღმდგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლის-პირისა ერთი კილოჲ ორ-გვარად არს მესურად; ხოლო შენ რომელიმე გინდეს

1. ნახე თვით „საგალობლები“, გვ. 43, 111.—2. გვ. 226, 254, 257.—3. გვ. 44. 56, 72, 73; 78, 113, 137.
4. გვ. 8, 44.

ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს"[1]. „იამბიკონი იოვანე მტბევარ ეპისკოპოზისა თქმულნი. ქრისტე, დიდებულ ჰყავ სულნი მათნი"[2]. „იოვანე მტბევარ ეპისკოპოზისა მოკაზმულნი"[3]. „დასდებულნი ქრისტეს შობისანი, თქმულნი ღმერთ-შემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოზისანი. უფალო ღაღად-ყავსა ხმაჲ დგი გერნი"[4]. „ნათლის-ღებას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. დასდებულნი, თქმულნი ღმერთ-შემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოზისანი. უფალო ღაღად-ყავსა ზედა ხმაჲ, რომელი ეჩენა გერნი"[5]. არიან საგალობელნი აგრეთვე გაბრიელისა, იოანე ქონქოზის ძისა, იოანე მინჩხისა და სხვათა. „მომისხენისა დასდებულნი უქანა ჰპოვნე ჭირ-ველისა ხმასა რვათავე ხმათა, იგინი იმსახურენ, მღვდელო ღმერთ-შემოსილო, და უღირსისა მონისა მიქაელისათვის ლოცვა ჰყავ"[6]. „დაეწერნეს ყოველი წესი განცხადებისაჲ. საყვარელნო, სხვანიცა გალობანი ნათლის-ღებისანი მრავალნი მქონდეს, სიტყვად არა კეთილ იყვნეს და ამისათვის არა დავსწერენ"[7]...

ივერიის მონასტრის წიგნთა-საცავში არის რამოდენიმე ქართული მანუსკრიპტი იმ-გვარისავე ნოტებით, როგორიც ჩვენი „საგალობლები"; ზოგიერთს იქაურს ბერძნულს წიგნებსაც იგეთივე ნოტები აქვს. აქ ჩვენთვის შესანიშნავია „ძლის-პირნი და ღვთის მშობლის საგალობელნი, სრულებით „საგალობლების" ხელით გადაწერილნი. იმის მინაწერებში იკითხვის: „ქრისტე", ადიდე იოანე" (იმეორებს რამდენჯერმე). „ქრისტე, ადიდე ჯოჯიკი ერისთავთ ერისთავი აწ და უკუნისამდე". „ქრისტე, ადიდე ბევრის ბევრეულთა წელთა ჯოჯიკი ერისთავთა ერისთავი უფროჲს ყოველთა ნამობთა ქვეყანისათა"[8]

აქ დავძენთ შემდეგ ცნობასაც „წმინდათა მოწამეთა ცხოვრების წიგნი", რომელიც გადაწერილია ავკილა მტბევარისაგან 1002 წ. შაორას სამცხეში და აქედამ გატანილი, როგორც სჩანს, ივერიის მონასტერში და რომელშიაც თვით იოვანე მტბევარიც ის-

1. გვ. 49.—2. გვ. 56.—3. გვ. 73.—4. გვ. 78, 113.—5. გვ. 137, 241 447 - 6. გვ. 523.—7. გვ. 207.—8. ჩემი „ჟურნალი", стр. 45.

სენიბა: „და მეცა ცოდვილი ივანე მტბევარმა ამის წიგნისა უჴბად მესწორებელი შემიწყალე“. აქ წარწერებში იკითხვის: „წმიდანო მოწამენო, მეოხ ექმენით ღვთივ-გვირგვინოსანსა ძლიერსა და უძლეველსა აფხაზთა მეფესა (ეს არის ბაგრატ III 980—1014), ძესა —ადიდნეს ღმერთმან—ძლიერისა და ღვთივ-გვირგვინოსანისა გურგენ მეფეთა მეფესა...“ კიდევ: „ადიდენ ღმერთმან ბაგრატ აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი მსგავსად დავით ცხებულისა და მოსცა მას გონება მდაბალი და დათესულ არს გულსა მისსა სიყვარული ღვთისაჲ, სიმდაბლე და სიმშვიდე მიუწდომელი, მოწყალეობა გლახაკთა უშურველი და აღშენება ეკლესიათა და შეკრებაჲ ნაწილთა წმინდათაჲ და აღწერაჲ სიმხნით მოთმინებათა და ღვაწლთა მათთა..“ „მან აღწერა წიგნი ესე წმიდათა მოწამეთაჲ.“[1]. ჯოჯიკი, გარდა ზემოდ ხსენებულის წიგნისა, არც-ერთს ივერიის მონასტრის მანუსკრიპტში არ შეგვხვედრია, თუმცა იგი გამოჩენილი პირია ჩვენის ისტორიისა. ჯორჯოხის ხეობის მშვენიერს ოშკის ეკლესიის წარწერაში ჯოჯიკი სახელ-წოდებულია, როგორც ბროსსე კითხულობს, პატრიკად და როგორც მე ვკითხულობ, ნობილისიმად[2].

ვახუშტის შენიშვნით, დავით კურაპალატის „დროს იყო იოანე მამა ექვთიმისა მთარგმნელი (მთარგმნელისა) წიგნთა ჩვენთა, რომელი იყო ქვეყანისაგან ტაოსა.“

ჩვენ აქ უნდა შევუდგეთ ზემოდ ჩვენებულს იოანესა და ექვთიმის ცხოვრებაზე. ეს ცხოვრება აუწერია ხუცეს-მონაზონს გიორგის, რომელიც თვით გიორგი მთაწმინდელია, როგორც ამ უკანასკნელის ბიოგრაფი გვარწმუნებს. „ამას ჯერ-კიდევ, ამბობს გიორგი, მოუხსენებლად დატევებს ცხოვრებისა მათისა (იოანესი და ექვთიმისა) და მამათაცა მიბაძნეს ამისი ხელ-ყოფა... ხოლო დაღაცათუ ჩვენ შემდგომად მრავლისა ჟამისა ღვთისა მიმართ მისლვისა მათისა ხელ-ვყავით მცირედთა ამათ სიტყვათა აღწერად, გარნა უწმუნო ნურცა ვინ არს, რამეთუ ჩვენ თავით თვისით არა რაჲ აღ-

1. *Свѣдѣнія о памятникахъ...*, და ჩემი „ჟურნალი“, стр. 83.
2. *Mém. de l' Acad.*, t. VIII, № 10, p. 5—11.

გვიწერიეს, არამედ რა იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ესილვნეს და ემსახურა მათდა, რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუილისაგან.“ ამ მსილველთა სიაში უნდა შევრიცხოთ თვით გიორგი მთაწმინდელი, რადგანაც იმან რამდენიმე ჟამი თავის ყმაწვილობისა ექვთიმის ხელმძღვანელობაში დაჰყო.

გიორგის ცნობით, წმინდა იოანე იყო „ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათაგან დიდებული და წარჩინებული მთავართა შორის დავით კუროპალატისათა და საყვარელი და საკუთარი დავითისა, მხნე, ახოვანი და განთქმული წყობასა შინა.“ ამან „აღიღო ჯვარი მხართა თვისთა ზედა და ფარულად ყოველთაგან იქმნა და მოვიდა ლავრასა დიდებულისა ოთხთა ეკლესიათასა,“ სადაც მონაზონობა მიიღო მამა მოსესა და მამა გელასისაგან“. იოანეს დროს საბერძნეთის მხარეში ბევრ ადგილს მოღვაწეობდნენ საქართველოს შვილნი: ულუმბოში, შავ-მთაზე ანტიოქიის მახლობლად, იერუსალიმში, სინაის მონასტერში, ათონის მთაზე და კონსტანტინეპოლის მახლობლად სოსასტერის მონასტერში. ათონის მთაზე განსაკუთრებით ბრწყინავდნენ ქართველთაგანნი: დიდი ათანასე, რომელსაც ბერძნულის მანუსკრიპტის თქმით ლავრაც აეშენებინა; შავი გრიგოლ; ზაქარია მირდატისძე[1]; არსენი სომეხ ყოფილი კვირპელის ჯოჯიკის მეგანძურეთ-უხუცესი; იოანე ხასულელი; გიორგი, ნათესავი ექვთიმისა; სვიმონ და გაბრიელ, რომელნიც ექვთიმეს შემდეგ ივერიის მონასტერს განაგებდნენ; თეოფანე ხუცესი, გიორგის სიტყვით, „ფრიად სწავლული და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთა, რომლისათვის სწამებდა მამა ექვთიმე, ვითარმედ უფროს ათას-ხუთასი-

1. ამ ზაქარია მირდატის ხელით გადაწერილი, „გრიგორი ღვთის მეტყველის მოძღვრებანი“ იპოვება ჩვენს საეკლესიო მუზეუმში. ზაქარიას გარდა იმის გადაწერაში მონაწილეობა მიუღიათ არსენის და ბასილის. მომგებელი იმისი მიქაელ ხუცესი ბევრ ადგილს საკუთარის ხელით ხელს აწერს. ეს წიგნი დაწერილია „მთა-წმინდას სამყოფელსა მონასტერთა ქართველთასა ბრძანებითა ზაქარია მამად-მთავრისათა“ (ნახე მუზეუმის კატალოგში № 92).

სა დრაჭკნისა უწყრია წიგნნი მონასტრისანნი"; წმინდა ბერი იოანე გრძელისძე დაყუდებული ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა, და აგრეთვე არსენი ნინო-წმინდელი, კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათა, რომელმან ღვთისათვის დაუტევა ეპისკოპოზობა და კუროპალატისა წინაშე მივიდა და კუროპალატმან ოთხთა ეკლესიათა წარმოგზავნა და იგიცა დაყუდებით ცხონდებოდა (ცხოვრობდა)".

„მათ ჟამთა შინა, განაგრძობს ბიოგრაფი, ბერძენთა მეფემან ზემოხნო ქვეყანანი დავით კუროპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან". იმათ შორის იოანეს სიმამრმა (თუ-მამამ?) აბუღარბმა იოანეს მოჰგვარა იმისი შვილი უმაწვილი ეფთიმე. „თვით თვისი მისი წარჩინებული და აზნაური თორნიკე, რომელი თვისსა ქვეყანასა მონაზონ იქმნა, იოანესთან მოვიდა და აქ იმან კურთხევა მონაზონობისა იოანეს ხელით მიიღო..." „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა განითქვა ამბავი მათი და იწყეს მიერიდგან ქართველთა მოსვლად და განმრავლებად," ასე რომ თვით იოანეს დროს ბიოგრაფი ათონელ ქართველებს აღრიცხავს 300 სულსა, რომელთაც თავის მოღვაწეობით დაიმსახურეს მზრუნველობა და მფარველობა როგორც ბიზანტიის იმპერატორებისა, აგრეთვე დავით კუროპალატისა და სხვათა საქართველოს დიდებულთა, რომელთა შორის ბიოგრაფი განსაკუთრებით იხსენიებს „ქრისტეს მოყვარეთა ძმათა ჩორძანელს და ფარსმანს, რომელთა იგი, ამბობს გიორგი, დიდად აღგვიპყრეს ხელი წყალობისა,—ათას წილად მიაგოს ღმერთმან!"

უმთავრესი შემთხვევა, რომლის გამო ათონის ქართველ მამათა დაიმსახურეს განსაკუთრებითი პატივი და მფარველობა საბერძნეთის მეფეთა, იყო ის შემწეობა, რომელიც, როგორც ზემოდაც ვთქვით, თორნიკე მონაზონმა მიაგო ბიზანტიასა. „ამა მამათა ჩვენთა თავს-იდვეს, განაგრძობს ბიოგრაფი, თავისუფლად საკუთარისა მონასტრისა აღშენება და ჰპოვეს ადგილი მშვენიერი შუა მთა-წმინდისა და აღაშენეს დიდებული ლავრა, რომლისა მსგავსი არა იპოების, სამკვიდრებელად ქართველთათვის და მერმე ღვთის-

მსახურებათა ბრძენთა მეფეთა მსახურებითა და მომადლებითა ჟამთა განდგომილისა სკლეროსისათა განავრცეს და განადიდეს და მოუგნეს დაბანი და მონასტერნი და ოქრო-ბეჭედნი და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღვთის-სულიერითა და განაბრწყინვეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და საყუდებელნი..."

ჩვენის ფიქრით, არც ერთი მთა-წმინდის მოღვაწეთაგანი არ შეედრება იოანეს შვილს ექვთიმეს, გარდა გიორგი მთაწმინდელისა, მწიგნობრობის ასპარეზზე. მამის ბძანებით, ამბობს ბიოგრაფი, „ექვთიმემ იწყო თარგმნად და ყოველსა განაკვირვნა, რამეთუ ეგე ვითარი თარგმანი გარეშე მათ პირველთასა არღარა გამოჩენილ არს ენასა ჩუენსა და ვგონებ თუ არცა გამოჩინებად არს და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი იხილნა რა, სიხარულითა აღივსო და იტყოდა: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი აღმოაჩინა" და ზედაზედა მოუწერდა, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს და იგი სანატრელი შეუსვენებლად თარგმნიდა, რომლითა მიერ დაატკბო ენა ჩუენი და ეკლესია, რამეთუ თარგმნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელ არს... არა თუ ოლუმპოსა და მთა-წმიდასა ოდენ თარგმნა, არამედ სამეფოსაცა და გზასა და სხვათა ესე ვითართა ადგილთა". ბიოგრაფი ჩამოგვითვლის ექვთიმისაგან თარგმნილს სხვა და სხვა საღმრთო და საეკლესიო წიგნებს რიცხვით 52-ს.

წმ. ექვთიმე ეკუთვნის არა მხოლოდ დავით კურაპალატის დროსა, არამედ ბაგრატ მესამისასაც, ამის გამო ჩვენ ამ უკანასკნელის დროსათვის გადაგვიდვია ზოგიერთი ექვთიმის შრომათა განხილვა, —იმათ შორის იმისგან ქართულიდამ ბერძნულად ნათარგმნის „ბალავარისა", რომელზედაც ახლა ყურადღებაა მიქცეული ევროპიულის და რუსულს სამეცნიერო ლიტერატურაში [1]. ამასვე დავძენთ, რა

[1] *Записки восточнаго отдѣленія Императорскаго Археолог. Общ.*, томъ II., выпускъ 1 и 2., стр., 166—174; тамъ же, томъ III, стр. 223—260.

მდგომარეობაში ვნახეთ ჩვენ თვითონ შარშან „ათონის მთაზე ივერიის მონასტერი და რა აზრისანი ვართ პროფესორის ცაგარელის ცნობებზე ამ მონასტრის წიგნთ-საცავის ქართულ მანუსკრიპტების გამო. აქ შემოვიტანთ მხოლოდ: 1, იქაურის ერთის მანუსკრიპტთაგანის სრული მინაწერი, რომელიც შესამჩნევ ცნობებს გვაძლევს ეფთვიმეზე და იმის თანა-მოღვაწეებზე; 2, გრიგორი ღვთის-მეტყველის წიგნზე და 3, მეექვსის მსოფლიო კრების სჯულ-კანონებზე.

1. ზანდუკი პირველის წიგნისა: 1, ცხოვრება გრიგოლი რომთა პაპისა; 2, პირველი სიტყვა წიგნისა, რომელსა ჰქვიან ან-დალაღონი; 3, მეორე მისივე; 4, მესამე მისივე. 5, ცხოვრებისათვის წმინდისა მამისა ჩვენისა ბასილისსი; 6, ცხოვრებისათვის გრიგოლი ღვთის-მეტყველისა; 7, საკვირველებათათვის წმინდათა მთავარ-ანგელოზთა; 8, ცხოვრებისა წმ. ნიკოლოზისა; 9, ანდრია მოციქულის მიმოსვლათათვის; 10, წამება წმ. თეოდორე სტრატილატისა; 11, წამება წმ. პროკოპისი; 12, წამება წმ. თეოდორესი."

თავს მინაწერი: „ვინ აღდგომილ არს ქსოდეს მარგი და სჯულ-გეშინის-მცემელი და სიქადული ქართველობისაჲ და ყოველთა განმანათლებელი ამით წიგნებითა და სხვათა ყოველთა საქმითა სულიერითა და სიწრცელითა, და საწილი ამათი პირველთა წმინდათა თანა არს მოღვაწებისა მათისათვის, ეგრეთვე სასწაულებელი ჯერ არს. ხოლო საკვირველი შრომა თავსიდვა წმ. მამამან ეფთვიმე და ოც და ათი წიგნი დათარგმნა ბერძულისაგან ქართულად, და მერმეღა მათეს თავი სახარება დათარგმნა; სამად წიგნად პირითა შევმოსეთ. უკ-როჲსი შრომაჲ ესე სულ-კურთხეულისა მამისა იოვანეს ცხოვრებასავე და წვრილად სხვანიცა თარგმანნეს. ხოლო შემდგომად ღმერ-შემოსილისა მამისა იოანეს მიცვალებისა ესე წმინდის გრიგოლ პაპისაჲ და სხვანი ესე გვითარგმანეს სანატრელმან მამამან ეფთვიმე, რომლისათვის მიაგეს ღმერთმან დიდებისამან ორსავე ცხოვრებასა ქართველთა განათლებისათვის. ქრისტე შეიწყალე და აცხოვნე მამა მიქაელ და მამა გიორგი". „...ლოცვა ჰყავთ ეფთვიმესათვის. ესე

მამის ეფთიმეს დაწერილია. ლოცვა ჰყავთ და აკურთხეთ რომელნი ესე სულითა განმანათლებელი გვითარგმნა, დიდისა და წმ. მამისა ეფთიმესათვის".

გრიგოლის ცხოვრების ბოლოს: „ლოცვა ჰყავთ გლახაკისა ეფთიმესათვის მთარგმნელისა და შემინდევით, მრავალთა ზრუნვათაგან დიდითა შრომითა და ჭირითა დამიწერია. წმ. გრიგოლ, მეოხ მეყავ წინაშე ღვთისა. ესე თვით მამასა ეფთიმეს დაუწერია. ხოლო მე გლახაკი იოვანე გრძელისძე ამას დავსწერ, ვითარმედ არა გლახაკი, არამედ მდიდარი და სულითა დიდებული წინაშე ღვთისა და ფრიად მრავალნი წიგნნი გვითარგმანნეს ქართველთა ენასა დიდად სულითა მაცხოვარნი და დიდი სახსენებელი დაუც ქართველთა თანა წმ. მამასა იოვანეს და წმ. მამასა ეფთიმეს. აწ ვინცა იკითხვიდეთ განმანათლებელსა ამას წიგნსა, ლოცვა ჰყავთ სულ-კურთხეულისა მამისა იოვანესთვის, ყოვლისა მიზეზი იგია; და მერმე განმანათლებელი დიდი ეფთიმე აკურთხეთ, რომელმან გვითარგმნა ესე წიგნი და მრავალი სხვა, რომლისათანა გადაიხადენ ღმერთმან დიდებისამან შრომისათვის, რამეთუ პირველთაცა მთარგმნელთა გარდაემატეს; და კვალად ლოცვა ჰყავთ წმ. მამად-მთავრისა არსენისათვის, ფრიად უშრომია და უკეთესი მათი დაწერილია. და კვალად ლოცვა ჰყავთ წმ. მამათა: მამისა მიქაელისთვის და მამისა გიორგისათვის მწყემსთა და მოღვაწეთა ჩვენთა და ჩვენ ცოდვილთა და არა ღირსთა უფროის ყოველთა ქრისტიანეთა; შვილისა ჩემისა ოქროპირისა; საბასი და ჩემ საწყალობელისა იოვანე გრძელისძისათვის: ზოგი ჩვენ დაგვიწერია და შეგვინდევით ღვთისათვის რომელ დაგვაკლოს და ღმერთმან თქვენცა გაკურთხენ. ხოლო ოდეს ესე ითარგმნა ქართული ქორონიკონი იყო სლა (1011), ბერძულად დასაბამიდგანნი წელნი ხფით (6519=1011) და ქრისტეს ჯვარცმიდგან შპვ (986?), ინდიკტიონი თ". შემდეგ ამოჭრილია და მასუკან „...ჩემი ოქროპირი და ზაქარია მმოსელი, არსენი, იოვანე, ნიკოლა, ჟუი (?), იაკობ, საბა და შეუნდვენ ყოველნი ბრალნი მათნი".

კიდევაც: „ლოცვა ჰყავთ ღმერთ-შემოსილისა სულით და ხო-

რცით წმ. მამისა ევთიმესთვის, რომლისა ზეობასა[1] აწერთ და წმ. ბერთათვის არსენი ეპისკოპოზისა და თანავე კეთილად მწერლისა ამის წიგნისა და მოსაყვარულისა იოვანე გრძელისძისათვის, რომელმან დიდითა წადიერებითა ისარჯა ამის წიგნისა შემზადებაჲ და უფროს სოსაო წმ. მამისა ევთიმის თარგმანებულთათვის... თუ რაჲ დამეკლოს, გინა დავაკლო წაღმართ სიყრმიდგან არა მესწავა წერაჲ, შემინდევით შრომისათვის; კვალა ლოცვა ჰყავთ ცოდვილისა ოქროპირისათვის."

წმ. ნიკოლოზის ცხოვრების ბოლოს: „ლოცვა ჰყავთ წმინდანო ღვთისანო გლახაკისა ევთიმესთვის, რომელმან ესე ბერძულისაგან გამოვთარგმნე. ესე სიტყვანი თვით წმ. მამისა ჩვენისა ევთიმესნია: ვითა ნუსსა ეწერა, მეცა ეგრეთ აღვწერე. აწ ვინ აღმოიკითხვიდეთ წმ. ამას წიგნსა, გულს-მოდგინედ ლოცვა ჰყავთ უსხეულოთა მიმსგავსებულისა ნეტარისა მამისა ჩვენისა ევთიმესათვის და ღმერთ-შემოსილთა მშობელთა მათთათვის, რომელთა ესე ვითარითა კეთილითა განანათლეს ქართველთა გონებანი... ქრისტე, შეიწყალე ბერი იოვანე გრძელისძე და სულიერი შვილი მათი იოვანე ოქროპირი, რომელთა მიერ აღიწერა წმინდა ესე წიგნი. მოიხსენეთ სულიერი ძმაჲ ჩემი იოვანე გარეჩელი წმ. ლოცვასა თქვენსა".

იგივე მინაწერი წმ. ანდრიას ცხოვრების ბოლოს.

წმ. თეოდორეს ცხოვრების ბოლოს: „სახელითა ქრისტესითა აღესრულა წამებაჲ წმ. და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი... ხელითა გლახაკისა და ცოდვილისა ევთიმესითა... ითარგმნა წამებაჲ წმ. თეოდორესი დასაბამითგანთა წელთა ჩფკა (6521=1013), მთასა ათონას... ესე ზემოწერილნი სიტყვანი სიმდაბლითა სავსენი თვით ნეტარისა მამისა ევთიმეს თავისა ნუსხასა ეწერა... ეგრეთვე აღვწერე სიმდაბლე მათი... მოიხსენეთ წმ. ლოცვასა თქვენსა ბერი იოვანე გრძელისძე და იოვანე ოქროპირი და საბა და ივანე გარეჩელი''... ,,ქრისტე, სრულ ჰყავ წყალობაჲ შენი იაკობს და ივანე გარეჩელსაზედა''.

1. ეს სიტყვა იხმარება ძველს ჩვენს მწერლობაში და ჰნიშნავს „სადიდებლად'' ,,ასამაღლებლად''.

სულ ბოლოში: ,,. .და ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვა.. და ჩვენ გლახაკისათვის არსენი მამად-მთავარისა უმეტეს დამკრა და ჩემ გლახაკისა ბერისა და ოქროპირისათვის და კეთილისა მისა Ⴆაქარიასითანა... დაიწერა მთა-წმინდას ათონას, მონასტერსა წმ. მამათა აშენებულისა იოანე და ეფთიმესი, საყოფელსა წმინდისა ღვ-დოფლისა ჩვენისა ღვთის მშობელისასა, ბერძულად დასაბამიდგანსა წელსა იყვნეს ხფ (6500=992), ინდიკტიონ? ჯვარცმიდგან შპ (9~0?): ქართულად დასაბამიდგანსა წელნი ხქ (996): ქორონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ს (980), ჯვარცმიდგან.... მეფობასა ბერძენთა Ⴆედა ვასილისსა და ძმისა მათისა კოსტანტინესსა ძეთა, კოსტანტინეპოლელს პატრიარხობასა .. (არ არის).. ქე ადიდე დი-დი კის მოღვაწე მამა ევთიმე და ახალი მამად-მთავარი საბა კურთ-ხეული[1].

2. ,,წიგნი ღვთის-მეტყველისა გრიგორისა,'' რომელშიაც ად-გილ-ადგილ სხვათა მამათა მოძღვრებანიც არიან შეტანილნი, დიდა ფოლიანტი მშვენიერის ნუსხა-ხუცურით ნაწერი მშვენიერისავე მხატ-ვრობიანის ასო-მთავრულის ასოებიანი, ეკუთვნის მცხეთის სა-კათალიკოზო ეკლესიასა და ხშირად აქვს მიწერილი: ,,ლოცვა ჰყავთ ნეტარისა მამისა ჩვენისა ეფთიმე მთა-წმინდელისათვის, რო-მელმან ესე საკითხავი ბერძულისაგან ქართულსა ენასა თარგმნა; ,,ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა Ⴆაქარია მამად-მთავარი ბანაელ სვინგელოზი''; ლოცვა ჰყავთ უცბად მჩხრეკელისა (გადამწერისა) ბასილისათვის''. წმ. კვიპრიანეს თარგმანს აქვს მი-წერილი: ,,ესე საკითხავი წმინდისა კვიპრიანე მღვდელ-მოწამისა დავით ტბელის მისა თარგმნილი არს'' (გვ. 456). ამ მანუ-სკრიპტს თავი და ბოლო აკლია და არა ჩანს სად და როდის არის გადაწერილი[2].

1. შეადარე ეს გამონაწერები ცაგარელის მოკლე გამონაწერს *Свѣдѣнія о памятникахъ..*, 85, № 58.

2. რა დროს ეკუთვნის ეს მანუსკრიპტი ამას გვიჩვენებს თვით იმის პირი მცხეთის კათედრის წიგნთა-საცავისა (ახლა ჩვენს საეკლესიო მუზეუმშია), რომელსაც დაუცავს თვით შემდეგი ისტორიული წარწერა: „დაიწერა წმინ-

3. სჯულ-კანონნი წმ. იოანე მმარხველისა და მეექვსისა მსოფლიო კრებისა. უძველესი ამ წიგნის დედანი გარკვეული აქვს ვრცლად ბროსსეს, რომელიც ამბობს, ვითომც ის იყოს გადაწერილი წმ. იოანესაგან[1]. უცნაური ამ წიგნის ბედი: ის უპოვნია 1829 წელს რუსის არხეოლოგს სტროევს რუსეთში ვოლოგოდის გუბერნიაში და ახლა სამეცნიერო აკადემიის მუზეუმის საკუთრებას შეადგენს.

ბროსსეს ცნობით, ამ მანუსკრიპტში არიან ჩართულნი სხვათა შორის „კანონნი და დებულებანი 168-თა წმინდათა მამათა, რომელნი შეკრბნენ კონსტანტინეპოლს, ახალსა რომსა, დროსა კეთილ-მორწმუნისა კონსტანტინესსა, ძისა ძის-ძისა ერაკლესასა“[2]. სჯულ-კანონნი იწყობიან ისტორიულის ფაქტებით: სად და როდის რომელი მსოფლიო კრება ყოფილა და თვითოეულს მათგანს რა განაჩენი დაუდვია; რაში მდგომარეობდნენ მწვალებელთა შეცდომანი, რომელთ სამხილებლად მიმართულნი არიან ხსენებულნი წეს-დებანი. სჯულ-კანონების ბოლოს მინაწერში „ნეტარ-ხსენებულის

და ესე წიგნი ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლეს დასაბამიდგან წელთა ბრძენთა საჰვალავითა ხფლჟ, ინდიკტიონსა იგ, ქართველთა ქორონიკონსა სნა (1031 წ.) საბერძნეთს მეფობასა რომანოზისსა, ქართლს მთავრობასა ბაგრატ ყრმისასა, რომსა პაპობასა იოვანესსა, კონსტანტინეპოლეს ნიკიფორესსა და ალექსანდრიას გიორგისსა, ანტიოქიას ნიკოლოზისსა, იერუსალიმს ალექსისსა, ქართლს კათალიკოზობასა მელქისედეკისსა... ეს სიტყვანი დედანს ეწერა. იმისი დედანი სვეტის ცხოვლისა იყო კონსტანტინეპოლეს დაწერილი, ეტრატსა ზედა ეწერა, დაძველებულიყო ვიდრელა ძლივსღა ვცნობდით“.

რომანოზზე ნახე ქვემოდ. ბაგრატ ყრმა არის ბაგრატ IV, რომელიც მეფედ დაჯდა 1027 წ., და რომელიც მართლადაც იმ დროს იგი ყმაწვილი იყო (ნახე ჩემი „ვახუშტ. ისტორია,“ გვ. 327). კათალიკოზად მელქისედეკ დაჯდა ბაგრატ III დროს (980—1014) შემდეგ სვიმონისა და მიიცვალა ბაგრატ IV დროს (იქვე, 326, 328); ხსენებულთ პატრიარხებთა შორის ნიკიფორე პატრიარხად იკურთხა 1020 წ., გიორგი 1021 წ. (Розена, *Василій Волгаробойца*, стр. 60,368, 068, 080).

1. *H. de. la G.*, I, 303 n. *a*; *Mél. Asiat.*, VII, 113—166.
2. კონსტანტინე პოგონატი მეფობდა 668—685 წ.; მე-VI მსოფლიო კრება იყო 680—689 წ.

იოანეს შვილი ევთიმე მთარგმნელი მათი ითხოვს მკითხველთაგან შენდობასა.“

ჩვენ ახლა ხელთა გვაქვს ერთი პატარა ფორმატის წიგნი, რომელსაც ბოლო აკლია და გადაწერილია ვიღაც თეოდორესაგან, როგორც პალეოგრაფიული თვისება უჩვენებს, მე-XI-XII საუკუნეში იმ გვარ ეტრადზე, რომელზედაც ძველი ნაწერი ცხადად ეტყობა. ამ გვარი ეტრადი ნაწერი ძველს განგებ წაბლაბულს ფურცლებზე (პალიმსტეტი) ხშირად იხმარებოდა ჩვენებისაგანაც და უცხოელებისაგანაც ეტრადის სიძვირის გამო. ჩვენ შეგვხვედრია თვით მე-IX-X საუკუნის მანუსკრიპტები პალიმსტეტიანს ეტრატზე ნაწერი. ამ გვარ პალიმსტეტებთა შორის ზოგიერთი წაბლალული სიტყვები ადვილად გაირჩევა და იმათი ალფაბეტური ასოები ძველად-ძველს ფორმებს წარმოგვიდგენენ. ესეც ცხადი საბუთი, რომ ბევრით ადრე მე-IX საუკუნისა ჩვენა გვქონია გავრცელებული მწერლობა. ზემოდ ნაჩვენები წიგნი შეიცავს 338 გვერდსა და უნდა იყოს, როგორც ბროსსეს მიერ გარკვეულის მანუსკრიპტის შედარება გვიჩვენებს, ამ უკანასკნელის პირი. იმისი შინაარსია: გარდა მე-VI მსოფლიო კრების სჯულ-კანონებისა, რომელთაც ბოლოს მიწერილი აქვს: „ვინცა ამას სჯულის-კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოიხსენეთ გლახაკი ევთიმე, რომელმან ვთარგმნე ესე ბერძულისაგან ქართულად“, 1, მცნება წმიდისა მამისა ჩვენისა კესარიელ მთავარ-ეპისკოპოზისა მღვდელთა... (წაშლილია). მამამან გიორგი თარგმნა,“ (გვ. 127—130); 2, „წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა მეთოდე კონსტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოზისა და მოწამისა განწესებაჲ“ (გვ 130—160); 3, „კანონნი შეცოდებულთანი განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე მმარხველისა მიერ კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა“ (160—268). ამის თავებთა შორის „შეჩვენებანი იაკობითთა და ყოველთა ერთ-ბუნებათ მეტყველთანი და მათთანა. ზიართა სომეხთანი“ (216—221); „შეჩვენებანი სარკინოზთა სჯულისა“ (221—230); „შეჩვენებანი ურიათა წვალებისაჲ და წესისაჲ“ (230—237) და სხ.; 4, „მცნებაჲ და განგებაჲ მსოფლიოთა ხუცესთა ბერძული, რომელი გარდამოსცა ქართულად დიდმან ევთი-

მე" (269—292) და 5, „წიგნი, რომელი მისწერა დიდმან ეკ-თიმე.. დიდსა ბერსა გიორგის შიუკ (?) ქართველსა" (293—338).

ეს წიგნი შესწავლის ღირსად მიგვაჩნია, რადგანაც როგორც მე-VI მსოფლიო კრების სჯულ-დებანი, აგრეთვე სხვანი იმაში ჩართულნი წერილნი შეადგენენ საფუძველსა, რომელზედაც დამყარებულა საბერძნეთშიაც და საქართველოშიაც სასულიერო ცხოვრების წყობილება; იგინივე შეადგენენ სამირკველს ქართველთ-სომხეთ დამოკიდებულობისას[1], რომელსაც სამუდამოდ თუ არა, დიდის-ხნობით მაინც შეურყევია იმათი ურთიერთი კავშირი. მე-VI მსოფლიო კრების სჯულ-კანონთა შემდეგი §§-ბი: 16, 17, 32, 33, 34, 53, 54, 68, 80 და 82 შეიცავენ სარწმუნოებრივს და საეკლესიო ცდომილებათა, რომელთაც ხალკიდონის კრების შემდეგ ბერძენნი და ქართველნი მიაწერდნენ სომხითის ეკლესიას და რომელთაც მე-XII საუკუნეში სომხის კათალიკოზნი წმ. ნერსესი და გრიგორიოსი თავის მიწერ-მოწერაში ბიზანტიის იმპერატორთან მანუელ კომნენთან

1. ერთიც სრული ეტრატზე ნაწერი სჯულის-კანონი მეექვსიის მსოფლიო კრებისა ამ მცირე ხანში აღმოჩნდა ნათლის-მცემლის უდაბნოში (ახლა ჩვენს საეკლესიო მუზეუმშია) და, როგორც იმისი წარწერა გვამცნევს, „დაიწერა სჯულის-კანონი ესე ქალაქსა ღვთივ-დაცულსა კოსტანტინეპოლის ახალსა ჰრომსა, ნებითა და ბრძანებითა ღმრთ შემოსილისა წინდისა მამისა ჩვენისა გრიგოლ მთა-წმინდელისათა, ხელითა გლახაკისა მწარედ ცოდვილისა ბასილი ეტრატი მალუშისძისათა... დაიწერა წიგნი ესე მონასტერსა ხორას მეფობასა რომანოზისსა და ქორონიკონი იყო სნა" (1031 წ.). აქ ხსენებული რომანოზი ანუ რომან II არგირი მეფობდა 1028—1034 წ. (Sabatier, II. p. 151). იმის დროსვე ბრწყინავდა, როგორც შემდეგ ვნახავთ, „ნეტარი ბერი გრიგოლ ახალი აბრაამ, სტუმართ-მოყვარე, ნავთ-საყუდელი ქართველთა ნათესავისა",—ასე ამკობს იმას იმისი თანა-მედროვე იბერიის მონასტრის ეპისტიანე. ეს სჯულის-კანონი და ზემოდ ხსენებული წიგნი ღვთის-მეტყველის გრიგორისა ერთისავე და იმავე ხელით არის დაწერილი, ერთსა და იმავე 1031 წელსა. მონასტერი ხორა კოსტანტინეპოლში ჩვენ ჯერეთ არ შეგვხვედრია. ხშირად შევხვდებით ჩვენს მანუსკრიპტებში ილარიონ კახელისაგან გაშენებულს კოსტანტინეპოლის მახლობლად ჰრომანის ხეობაში სოსტენის (სოხასტერის) წმ. მოციქულთა მონასტერს (ნახე ზემოდ გვ. 224). აქ ვუჩვენებთ დავით-გარესჯის ეტრატიანს კლიმქსსა" № 43 (ახლა საეკლესიო მუზეუმშია), რომელშიაც ჩართულია ვრცელი ცხოვრება პონტის მხარეში ნაშობის (იქვე გვ. 425) „წმ. ბაგრატ მღვდელთ-მოძღვრისა ტავრომენელთა ქალაქისა ჭალაკისა სიკელიისა". ამ მანუსკრიპტის მინაწერია შემდეგი: „მე უღირსი გლახაკი ჰრომანაელი მამად გელასი ჩემსა წინამძღვრობასა ღირს ვიქმენ აღწერინებად

(1143 – 1180) ცილის-წამებად ჰქონდიან და იმათგან შედგენილს, სომხეთის ეპისკოპოზთ კრებისაგან მიღებულს, აღსარებაში იმპერატორის მანუელმა და კონსტანტინეპოლის პატრიარხმა არა-ვითარი მძიმე წინააღმდეგობა არა ჰპოვეს; მაგრამ ამ ორთა დიდის ხნით დაშორებულთ ეკლესიათა შეერთება შეაბრკოლა მანუელის უდროო სიკვდილმა და იმის მემკვიდრის დროს საბერძნეთის პოლიტიკურმა მდგომარეობამ. ამ საგანს ჯეროვნად შევეხებით თავის ადგილს; შევეხებით აგრეთვე ჩვენის ცხოვრებისათვის საინტერესო ცნობებს აქ ჩვენებულის მანუსკრიპტისას. აქ დავურთავთ მხოლოდ წინა-სიტყვას ეფთიმის წერილისას გიორგი ბერთან.

„ღმრთ-შემოსილო სულიერო მამაო გიორგი, მომიბოძიენ ღმრთმან წმინდა ლოცვაჲ თქუენი ამათ პირთათვის, რომელ გკითხნეს ჩემისა ულირსებისაგან. განმარტებაჲ მისი ღმრთმან გამოგიცხადოს და თქუენისა კითხვისათვის მეცა მაუწყოს ჯეროვანი პასუხი. წიგნნი, რომელთა ეკლესიაჲ არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ დაიწერნეს. ოროგინეს მწვალებელსა მრავალი წიგნი დაეწერა და არა შეიწყნარებს ეკლესია; და ევსები პამფილისა წიგნი არის და მრავალთა საქმეთა წარმოიტყუის და თხრობათა თვითო-სახეთა ფილოსოფოსობისათა დაწერილნი განწვალებანი ჩაურთვან, ამისთვის არა შეიწყნარებს ეკლესია. იგი ქართულად უთარგმნიათ და უწინარეს მრავლისა ჟამისა სიცოცხლესავე მამისა ჩემისა და მოეწერა მუნით სტეფანე ეპისკოპოზსა და ეკითხა თუ შესაწყნარებელ არს. კარგიცა მრავალი სწერია, გარნა

ამას კლიმაქსა და ცხოვრებასა წმიდისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისა ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისთვის და ძისა მათისა გიორგი კურაპალატისათვის... დაიწერა ხელითა სვიმეონ დვალისათა სოხასტერსა შინა ჰრომანაისასა მეფობასა დუკისასა მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასული მართა სამეფოს იყო ქორონიკონსა სპკ—1066 წ. (ამ მართაზე ჩემი გამოკვლევა ნახე ჩემს „ვახუშტის ისტორიაში“, გვ. 161 შენიშ. 1.) და დავდევ ეკლესიასა ჰრომანაისასა საყდარსა წმინდათა მოციქულთათა... და ვინცა-ვინ ესე წიგნი რაჲთამე მიზეზითა... ჰრომანაისა ეკლესიასა გამოახვას, იყავნ იგი წყევასა და შეჩვენებასა ქვეშე“. ცხადია, რომ ჰრომანაის მონასტერი ქართველების მონასტერი ყოფილა და თქმულება იმის დაფუძნებაზე ილარიონ კახელისაგან უეჭველი ფაქტი უნდა იყოს.

ღვარძლიცა მრავალი ნაურთავს და მით უხმარ არს. ასტროლოგიის მოქცევაჲ არა შესაწყნარებელ არს წიგნი, რომელსა ასტროლოგიად ჰქჳან. წჳალებაჲ ცისაჲ... გარნა უცხოთა რაჲთმე საქმეთა მეტყუელ არს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწყნარებს. და სხუაჲ რაჲმე არს ადამის ცხორებაჲ და არცა მას შეიწყნარებს. და სხუაჲ არს წიგნი სიყრმე უფლისაჲ და არცა მას შეიწყნარებს და მოციქულთა ცხორებანი ზოგნი განრყუნილნი არიან მწვალებელთაგან. წმიდისა მათე მახარებელისაჲ სხუაჲ რაჲმე არს და წმიდისა ანდრიაჲსი იგმაგი (?) წმიდისა გიორგისი არს წამებაჲ ჭეშმარიტი, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების. და კუალად სხუაჲ რაჲმე არს უცხოჲ და უცხონი რაჲმე საქმენი სწერიან და არა შესაწყნარებელ არს. და წმიდისა კჳს წამებაჲ სწერია ვითარმედ სხუაჲ ვინმე დაწერეს წამებაჲ უცხოჲ ქრისტიანეთა წესისაგან. და სხუანი კჳე ვითარნი რაჲმე ნატყუევარნი ზოგისა სახელები არა ვიცი. აწ კჳე ვითარიმე, რომელი სხუათა მწვალებელთა დაუწერია, იგი თჳთ საცნაურ არიან. ესე კულა მოქცეულთა და მოწამეთა მას წყეულსა ივლიანეს განზრახვით განურყუნიან, რათამცა ყოველი ნაცილად შექრაცხეს და აღარამცა სარწმუნო უჩნდეს წამებანი მოწამეთანი, გინა მოციქულთანი; გარნა უფალმან მისი სახსენებელი ახოცა და წმიდათა სახელნი ბრწყინავენ ვითარცა მზე" [1].

. 1. გვ. 293—295.

## კარი მეთხუთმეტე

## გაცალცალკევებული საქართველოს ნაწილები ვიდრე იმათ შემოერთებამდე

I. მესხეთი; ტაო; კლარჯეთი.—ამ მხარის მცხოვრებლნი: ერისთავნი და მამასახლისნი.—კონსტანტინე პორფიროგენის ცნობა იმათზე.—იმათი მცხოვრებლობა სომხითში.

II. აფხაზეთი.—იმისი მნიშვნელობა.—რამდენად ყოფილა ძველად აფხაზეთში გავრცელებული მეგრული ნათესავი თუ მეგრული ენა; ამისი საბუთი.—აფხაზის ნათესაობა და ენა.—„ისტორია აფხაზეთისა“ დოსითეოზ პატრიარხის მოწმობით 992 წელს შედგენილი.—აფხაზეთის ერისთავნი, შემდეგ მეფენი.—იმათზე ისტორიული ცნობები.

III. კახეთი ანუ ნაწილი სტრაბონის ალბანიისა.—რა სარწმუნოებას აღიარებდა იგი ძველად.—კახეთის მცხოვრებლნი ქორიკოზნი.—ისტორიული ცნობა იმათზე.—წანარნი.

ჩვენ ამ ისტორიულ სურათებში ადგილ-ადგილ ვიხსენიებთ საქართველოს ნაწილებს, რომელნიც სახელდობრ არიან: I, მესხეთი, სამცხე ანუ ზემო-ქართლი, ტაო, კლარჯეთი; II, აფხაზეთი და III, კახეთი. რადგანც აქამომდე თვითოეულს იმათგანს მომეტებულად საკუთარი ისტორიული მსვლელობა ჰქონდა და მხოლოდ დავით დიდის კუროპალატის შემდეგ იწყობა იმათი პოლიტიკური ერთობა, აქ საჭიროდ ვხადით მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმათ შესახებ ზოგიერთს ისტორიულ ცნობებზე, რომელთაც ჩვენ აქამომდე ან არ შევხებივართ, ან გაკვრით შევეხენით.

I. მესხეთი, სამცხე ანუ ზემო-ქართლი, ტაო, კლარჯეთი. მესხეთი, როგორც კიდეც ვიცით, ცნობილია ძველის-ძველადგან არა მარტო უცხო-ქვეყნელთ მწერლობაში, არამედ თვით ქართულ მწერლობაშიაც. მესხეთი დროს განმავალობაში, როგორც ვფიქრობთ, გადაქცეულა სამცხედ. სამცხე წარსულ საუკუნოებში ყოფილა იგივე

ზემო-ქართლი ანუ აწინდელი ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრები, ანუ მთელი მტკვრის ბასსეინი ბორჯომის ხეობის შესავლამდე.

ტაო, სომხური ტაიკი ანუ დაიკი, სომხითის მწერალთ თქმით, შეიცავდა ბორჩხის-ხევს, ლიგანის-ხევს, აჭარას, შავშეთს, ერუშეთს, ტაოს-კარს და ძველადგანვე შეადგენდა ვითომც საკუთრებას სომხითისას. მართალია, ტაიკი შეადგენდა დიდის სომხითის ნაწილსა და თუ, როგორც სომხითის მწერალნი და თვით სენ-მარტენი ამტკიცებენ, სომხითის ტაიკად იგულისხმება ჭოროხის ხეობა, მაშინ ის უნდა შეადგენდეს ნაწილს სომხითისას. მაგრამ სხვა და სხვა საბუთების განხილვა გვარწმუნებს, რომ იყო ორი ტაიკი—სომხური და ქართული, როგორც იყო ორი სომხეთი—სომხური და ქართული. ტაიკის ადგილ-მდებარეობას უჩვენებენ ზოგნი სომხითის მწერალნი ბარხარის მთის ძირს, ზოგნი ბარხარის მთებში, ხალდიკის მიჯნად, რომელიც ჰსაზღვრავდა ტრაპიზონის სამფლობელოს და არზრუმის არე-მარეს. ტაიკი IV-V საუკუნ. ეკუთვნოდა მამიკონიანთ გვარსა და საეკლესიო მხრივ ექვემდებარებოდა სომხითის მღვდელ-მთავრებს. ტაიკის ისტორიულ ადგილებთა შორის ცნობილი იყო მხოლოდ ყულფი, მდიდარი მარილის მადნებით და რომელიც—ეს ცხადია—ჭოროხის ხეობას არ ეკუთვნის. რაჲცა შეეხება სხვა ადგილებს, მხოლოდ ორჩენყალის სახელ-წოდებაში ეძებენ არტანუჯს; დანარჩენს სახელებს ტაიკისას ჭოროხის ხეობაში ვერა პოულობენ ვერც სენ-მარტენი, ვერც ბროსე და აღიარებენ, რომ ამაზე ცხადი ფაქტები არა არისრა. ნაკლებს ეჭვს წარმოგვიდგენს სპერი, სტრაბონის ის-პირატისი, ქ-ცხოვრების ას-პირი, რომელიც ტაიკის მოსაზღვრე მაზრას შეადგენდა და რომელსაც ეჭირა უმაღლესი ღელე-მინდვრები ჭოროხისა და იკვებებოდა ბარხარის ქედის წყლებით და ძველადვე შეადგენდა სომხითის ბაგრატიონების სამფლობელოს. ჩვენ არ ვეჭვნეულობთ, რომ სომხურსა და ქართულს თქმულებაში ბაგრატიონების გავრცელებაზე სომხითით სომხური თქმულება უფრო ახლოა ისტორიულ სიმართლეზე. ამასთანავე ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით სახელ-წოდება ტაიკი შემოუტანიათ ჭოროხის ბასსეინში

სპერით ანუ ის-პირით სომხითის ბაგრატიონებს, რომელსაც ისინი ამ ბასსეინში დამყარებულან, მსგავსად იმისა, როგორც ბიზანტიე-ლებმა გადასცეს ლაზიკის სახელი მთელს იმერეთს, როგორც აფ-ხაზეთის დინასტიამ გადაიტანა იმერეთში სახელ-წოდება აფხაზე-თისა. ჩვენის აზრით, სომხითიდამვე შემოტანილი ჭოროხის ბასსე-ინში სხვა გეოგრაფიული სახელ-წოდებაებიცა, ე. ი. სომხურის პარხა-რიდამ უნდა იყოს წარმომდგარი პარხალი ისპირსა და თორთომს შორის; თვით თორთომი — ეფრატის აღმოსავლეთის მხარის თორ-თონიდამ; გოლა ანუ კოლა მტკვრის სათაურში — არწახის გოლი-დამ ანუ აღვანის გოლთიდამ; არტანუჯს ზემოდ მდებარე ერის-თავთ რეზიდენცია კალმახი ევფრატის დასავლეთად მდებარის ციხე-სიმაგრის კამახიდამ; ქალაქი ოლთი ანუ ოლთისი — არარატის მაზ-რის ულთიდამ ანუ ულდიდამ. აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ ჭოროხის ბასსეინი სულ ძველად ქართულ მწერლობაში ცნობილია არა ტაოდ, არამედ კლარჯეთად: კლარჯეთი ჰსაზღვრავდა მთელს სივრცეს არსიანის ქედიდამ თვით შავ-ზღვამდე და მდებარებდა, ქ.-ცხოვრების ჩვენებით, საზღვრად „სომხითის პარხალისა ანუ ტაიკისა".

ქართველების ტაო მთელს თავის სივრცეზე, გარდა ისპირის ხეობისა, ახლა თითქმის მთლად არის არხეოლოგიურად შესწავლუ-ლი. ამ შესწავლამ ტაოსამ მოგვცა შეურყეველი ფაქტები, რომელ-ნიც გვიმტკიცებენ, რომ იქ არსად არ არის არც ერთის საუკუნის კვალი სომხების მფლობელობისა. რას აღმოაჩენს ამ მხრივ ისპი-რის ხეობა, ჯერ არ ვიცით [1].

ვახუშტით, დავით კურაპალატს ეპყრა ბასიანი. ბასიანი მდებარებდა არაქსის ბასსეინში და ეკუთვნოდა დიდ სომხითსა. აქვს თუ არა ვახუშტის თქმულებას საფუძველი?

აქ ჩვენ უნდა მივჰმართოთ კონსტანტინე პორფიროგენს, რომ-ლის გარდამოცემა საქართველოს ბაგრატიონებზე ამ შრომაში ჩვენ

1. S—Martin, *Mém.*, I, 74—86; ჩემი *Отношенія Грузіи и Арменіи къ Византіи*, стр. 75—85.

წინად ვუჩვენეთ [1]. პორფიროგენი იცნობდა დასხლოვებით ტაოელ ბაგრატიონებს და იმისი ცნობა იმათზე ეთანხმება ქ.-ცხოვრების ფაქტებს. კონსტანტინე წარმოგვიდგენს ამ ბაგრატიონების სახლს მე-VIII საუკუნიდამ მოყოლებით და, შეეხება რა თავის თანა-მედროვე ბაგრატიონებს ტაოელებისას ან არტანუჯელებისას, გვიამბობს შემდეგს: „არტანუჯის ციხე-სიმაგრე კაი-დიდია და მდებარეობს იმ მაზრაში, რომელსაც ეკუთვნიან მურღული და აჭარა: არტანუჯი ნაყოფიერი ადგილია და დიდად ალებ-მიცემობს ტრაპიზონთან, ივერიასთან, აფხაზეთთან, მთელს სომხითთან და სირიასთან". ჩვენ ზემოდ ვუჩვენეთ აგრეთვე, რომ კონსტანტინე თავის დროს ჭოროხის ხეობის მფლობელებს სახელ-სდებს ისე, როგორც ქ.-ცხოვრება, მამფლებად [2].

„ერთმა ამ ფლობელთაგანმა, განაგრძობს კონსტანტინე, არტანუჯის კუროპალატმა აშოტმა დაუთმო იმპერატორს რომანს ლაკაპენს (920—944) ეს მხარე და პატრიკმა კონსტანმა ციხის კედელზე საიმპერატორო დროშა აღმართა; მაგრამ ივერიელებმა გურგენ მაგისტროსმა და აშოტის ძმამ დავით მაგისტროსმა აცნობა იმპერატორსა, რომ თუ მისი დიდებულება თავის ჯარს არტანუჯში შემოჰგზავნისო, ჩვენ იმის სამსახურზე უარს-ვიტყვითო და სარაცინებს მივემხრებითო. შეშინებულმა იმპერატორმა მსწრაფლ მოიხმო უკან კონსტანი.

„უნდა აქ დავურთოთ, განაგრძობს პორფიროგენი, რომ კეთილ-მორწმუნემ და დიდებულმა იმპერატორმა ლეონ პორფიროგენმა (886—912), სცნო რა, რომ ბასიანი სარაცინებს დაეჭირათ, გაგზავნა იქ თავისი ჯარი, რომელმაც აიოხრა არე-მარე თეოდოსიოპოლისა (არზრუმისა). ივერიელნი თეოდოსიოპოლელებთან, აბნიკელებთან და მანციკერტელებთან, როგორც სპარსებთან, ყოველთვის მეგობრულის კავშირით იყვნენ დამოკიდებულნი. იმპერატორები ლეონი და რომანი და თვით ჩვენცა ვცდილობდით კეცე-ციხის აღებასა

1. გვ. 108, შენ. 1.
2. გვ ზემოდ 48.

რომ ამ მხრით შეეკრა გზა საზდოს ზიდვისა თეოდოსიოპოლში და ამასთანავე იბერიის კუროპალატს ადარნასეს და იმის ძმებს აღუთქვით ეს ქალაქი, თუ ისინი იმას დაიჭერდნენ. იბერიელებმა მეგობრობის გამო თეოდოსიოპოლელებთან არ მოინდომეს მოქმედება იმის წინააღმდეგ და როდესაც ჩვენ ის დავიჭირეთ, კუროპალატმა თავისი უფლება გამოაცხადა თეოდოსიოპოლზე და საბუთად თავის პროტოსპატერის ზურვანელის (ჩორთვანელის?) ხელით წარმოგვიდგინა პირები ოქრო-ბეჭდილის ოქმებისა ნეტარ-ხსენებულის რომანისა და თვით ჩვენის დიდებულებისა. ჩვენ განვიხილეთ იგინი და აღმოჩნდა, რომ ჩვენის სიმამრის ოქმით[1], რომელზედაც თვით კუროპალატს მოეწერა ხელი, ეს უკანასკნელი ვალად იდებდა ერთგულობას ჩვენის იმპერიისას და აგრეთვე კისრულობდა დაემონავებინა ჩვენის სკიპტრისათვის აღმოსავლეთი და თავის სამფლობელოს საზღვრებს არ გადასცილებიყო. რაც შეეხება საკუთრივ ჩვენის დიდებულების ოქმსა, იმაში იყო ნათქვამი, რომ ყველა ადგილები, რომლებსაც კი ის და იმისი ძმის-წული ადარნასე მაგისტროსი თავის ძალით აგარიანთ ჩამოართმევდნენ, იმათ საკუთრებად უნდა დარჩენილიყო. იმათგან არ არის დაჭერილი არც თეოდოსიოპოლი, არც აბნიკი და არც მასტატა; მაგრამ კი როდესაც ჩვენმა ჯარმა დაასრულა ამ ადგილების დაპყრობა, იბერიელნი მოვიდნენ და დაიჭირეს მთელი ეს მხარე, როგორც თვით თეოდოსიოპოლი, რომლებზედაც კანონის ძალით არავითარი უფლება მათ არა აქვთ, რადგანაცა საბერძნეთისა და იბერიის საზღვარია არაქსი, ასე რომ მარცხენა მხარე არაქსისა, რომელიც იბერიას დაჰყურებს, ეკუთვნის იბერიელებსა, მარჯვენა მხარე კი თეოდოსიოპოლის გარეშემო ადგილებითურთ შეადგენს ჩვენს საკუთრებასა. მაგრამ რადგანაც კუროპალატი ერთგულად მსახურებს ჩვენს დიდებულებასა, ამისთვის მეგობრობის გამო ჩვენ დავთმეთ[2].

აი სხვა ფაქტებიცა ქართველების მფლობელობაზე სომხითში.

1. კონსტანტინეს ჰყავნდა ცოლად რომანის ქალი ელენე. ნახე Sabatier., I, 9.

2. *Add. à l' H· de la G.*, 138—152.

ბიზანტიელების ცნობით ნაწილი ბიზანტიის სომხეთისა ხან და ხან იწოდებოდა იბერიად. თვით ერთი ძველი, თუმცა უქრონიკონო ქართული გუჯარი უჩვენებს იმ მხარეში სამს ქართულს საეპისკოპოზო კათედრასა: ვალაშკერტში, კარში და ანში. ამათი საგამგეო ადგილები იყო: ვალაშკერტისა—ზემო მხარე კალზევანისა, საზღვრები ვალაშკერტისა და ხინუსისა და დევა-ბოინის მახლობელი ადგილები; კარისა—მთელი კარი კოლისა და ოლთის საზღვრებიდამ, კეჩევანი და კალზევანი; ანისა—მთელი ზარუშანი, შიროვანი და მაღას-ბერთი. სომხის ისტორიკოსი ლასდივერტი მოიხსენებს ქართველ ეპისკოპოზს ზაქარიას, რომელიც ვალაშკერტში თურმე იჯდა და რომელსაც 1022 წ. მონაწილეობა მიეღო საქართველოს მეფის გიორგისა და ბიზანტიის იმპერატორის ვასილის მიწერ-მოწერაში. ვისთვის იყო საჭირო ამ ადგილებში ქართული საეპისკოპოზო კათედრები? უნდა ვიფიქროთ, რომ ერთის მხრით ბიზანტიის მფლობელობამ სომხითის ნაწილში, მეორის მხრით საქართველოს პოლიტიკურმა წარმატებამ და იმის გავლენის გავრცელებამ არაქსის ბასსეინში დაამყარეს იქ ბერძენთ-ქართველთ გვარტომობა. ამ აზრს აცხოველებს შემდეგი ცნობა ასოღიკისა. ასოღიკი გვარწმუნებს, რომ დავით კურაპალატმა 996 წ., ჩამოართო რა არაბებს მანასკერტი, გაავსო ეს ადგილი თავის მომხრე სომეხთაგან და ივერიელთაგან. შესაძლებელია, რომ ქართველთ მოსახლეობა სომხითისა შემდეგ, მონღოლების დროს, ანუ ამოიწყვიტა, ანუ განიდევნა საქართველოში. ეჭვი არ არის, რომ ვალაშკერტით უნდა იგულისხმებოდეს აწინდელი ალაშკერტი, ევფრატის ბასსეინში, მაგრამ არ შეიძლება დაწვრილებით ითქვას, კარელის კათედრა ყარსში იყო თუ არზრუმში, რადგანაც ქართველების წარმოდგენით კარი ჰნიშნავდა ახლანდელ ყარსსა, კარნი კი ანუ სომხური კარინი—იგივე ბიზანტიელების თეოდოსიოპოლისი- არზრუმსა. ქართველების საკათედრო ტაძრებზე არზრუმში და ალაშკერტში ჩვენ არა გვაქვს ცნობა, თუმცა ვიცით, რომ ალაშკერტის მაზრაში, კალიზმანის მახლობლად, სოფელს ჩანგლში, აქამომდე არსებობს ქართული ეკლესია 1030 წლის წარწერით, რომელშიაც

იგი წოდებულია მონასტრად; თვით ყარსშიაც კი ყოფილა ქართუ-ლი საყდარი, როგორც ამას უჩვენებს დიად ძველი ქართული წარ-წერა, რომელშიაც იხსენიება „მეფე აფხაზთაა“—სახელი წაშლა-ლულია—და რომელიც მე თვით ვნახე 1881 წ. შემთხვევით ალა-ყაფის კარში ჩატანილს საეკლესიო ჩუქურთმიან თლილ ქვაზე. რაჟდა შეეხება განთქმულს თავის მდიდრულის ნაშთებით ანის ქა-ლაქს, არფა-ჩაის მდინარეზე, იქ აქამომდე უკეთესად დაცული ტაძა-რი არის ქართული და რადგანაც ის თავის პლანით და მოყვანი-ლებით ბერძნულ ხასიათს წარმოადგენს, ამის გამო ცნობილია ბერძ-ნულ ეკლესიად. ეს ეკლესია პირველად ქართულ ეკლესიად იცნო რუსეთის მოგზაურმა მურავიევმა. ერთი წარწერა გარე კედელზე, დასავლეთის მხრივ, მიმალული ფრონტონის სართულით და ამის-გამო აქამომდე არავისგან შენიშნული, მე გადმოვხატე იმავე 1881 წელსა. წარწერა, როგორც ამოვიკითხე, უჩვენებს 996 წელს და მეფეს ბაგრატ III-ს (980—1014). იმისი შერყეული ეკვდერი და კარე-ბჭე, იმათი მხატვრობა და შინაგანი მხატვრობა, რომელიც წარმოადგენს ბერძნულ-ქართველ მამათა, იმათ შორის წმ. ნინოს და სომეხთ წმინდათა მამას გრიგოლ განმანათლებელს და კათალი-კოზს ზარდანესს, ქართულისა და ადგილ-ადგილ ბერძნულის წარ-წერებით, ეკუთვნიან, როგორც ამას ქართული სუცური პალეოგრა-ფიული თვისება უჩვენებს, მე-XII—XIII საუკუნოებსა. ეს ეკლესია უნდა იყოს თვით ის კათედრა ანელისა, რომელსაც მოიხსენებს ძველი გუჯარი. თავის არხიტექტურით და ქანდაკებით ის მოგვაგო-ნებს ზარზმის ეკლესიას, აღმართულს ბაგრატ III-საგან და არა მე-IV-საგან, როგორც ამას ამტკიცებენ შეცდომით. ეს ეკლესია ყოფილა აშენებული ღვთის მშობლის სახელზე და მხოლოდ მე-XIII საუკ. სურბ-გრიგორის მონასტრად შეუცვლიათ, როგორც ჰმოწმობს შემდეგი სომხური წარწერა სამხრეთ კედელზე[1].

ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ (გვ. 217) აშოტ დიდის შვილთა-განი ადარნასე, როგორც წინაპარი ტაოს მხარის მფლობელთა.

1. ჩემი *Объ отнош. Арм. и Грузіи къ Византіи*, стр. 87—90.

საუბედოდ, ქ.-ცხოვრება არ იძლევა იმათზე საჭირო ცნობებს; მხოლოდ სიით აღრიცხავს იმათ სახელებსა. იგინი არიან: ადარნასეს შვილი გურგენ მამფალი[1].—კუროპალატი არტანუჯისა მფლობელი კალმახისა ტაოში; გურგენის ძმანი: აშოტ კეკელა († 867) და სუმბატ მამფალი—ანტიპატი, რომელსაც იხსენიებს კონსტანტინე პორფიროგენი († 889); გურგენის შვილნი: აშოტ კუხა, რომელიც აშენებს ტბეთის ეკლესიას და ტბეთის პირველ ეპისკოპოსად ადგენს სტეფანეს († 916) და ადარნასე ერისთავთ ერისთავი († 898). ამ ადარნასეს შვილნი: დავით ერისთავთ ერისთავი გურგენ ერისთავთ ერისთავი († 941) და დინარი ცოლი ჰერეთის პატრიკისა ადარნასესი. სუმბატ მამფალ-ანტიპატის შვილნი: 1, დავით მამფალი არტანუჯისა, რომელიც, კონსტანტინეს თქმით, ირთავს თავის ბიძაშვილს და კვდება მონაზონად 943 წ. და რომლის შვილთაგანნი, იმავე კონსტანტინეს ცნობით, ქალი ირთავს ბიძაშვილს ადარნასეს და ვაჟი სუმბატ ერისთავთ ერისთავი ბიძაშვილსავე ბაგრატის ქალსა († 988); 2, ბაგრატ მამფალი არტანუჯისა ირთავს (კონსტ.) ბიძაშვილს († 909წ.), სუმბატის შვილნი: დავით († 988) და ბაგრატ არტანუჯელი († 988). ამ ბაგრატის შვილნი: გურგენ კუროპალატი († 1012), რომელიც სტოვებს შვილს დიმიტრის და სუმბატ († 1011). ამისი შვილია ბაგრატ. ეს სუმბატ უნდა იგულისხმებოდეს პატრიკი ეგრეკის ეკლესიის 1007 წლის წარწერისა[2]. სუმბატის შვილის ბაგრატის შვილნი: 1, აშოტ კისკასი, ქმარი აფხაზეთის მეფის გიორგი I-ს ქალისა († 939 კონსტ პორფ.). ამისი ქალი ირთავს თავის ბიძას გურგენს (კონსტ.); 2, დავით ერისთავთ ერისთავი († 908); 3, ადარნასე თავის ბიძაშვილის ქმარი (კონსტ.) კვდება ბასილი-მონაზონად 945 წ.); 4, გურგენ ერისთავთ ერისთავი, ქმარი აშოტ კისკასის ქალისა (? კონსტ. † 923); 5, ქალი N, ცოლი ბიძაშვილის დავითის შვილის სუმბატისა (კონსტ.); გურგენის შვილი გურგენ ერისთავთ ერისთავი († 968). ადარნასეს შვილნი: დავით მაგის-

1. ისტორიული და ფილოლოგიური გარკვევა მამფალისა ნახე ზემოდ გვ. 213—2. *Mém. de l' Acad. des sc.*, VIII, N 10, p. 12—13.

ტროსი და აშოტ კუროპალატი, რომელზედაც და აგრეთვე იმის ძმებზე ვრცლად მოგვითხრობს კონსტანტ. პორფიროგენი († 952; თვით კონსტანტინე პორფიროგენი მოკვდა 954 წელს). აქა სწყდება ადარნასეს შთამომავალთ სია. ერთს იმათგანს უნდა მიეწერებოდეს ჩემგან ნახული 1881 წელს ყარსის მაზრაში სოფლის ეკლის ციხეში ქვა 954 წლის წარწერით[1].

აფხაზეთი. უნდა ვაუწყოთ ჩვენ მკითხველს, თუ რა ადგილი იგულისხმება ძველად აფხაზეთით ჩვენს ისტორიაში. საზოგადოდ ისტორიულ გეოგრაფიაში ხშირია იმ გვარი მოვლენა, რომ სახელ- წოდება ერთის მხარისა ქმლევა და ეთვისება მეორე მხარეს შემთხვევით. აფხაზეთის ერისთავნი თუმცა ისხდნენ აფხაზეთში, მაგრამ როდესაც იმათ მიითვისეს მეფის ხარისხი, მაშინ იმათ თავიანთი რეზიდენცია გადაიტანეს ქუთაისს; თვით სახელ-წოდება აფხაზეთისა მისთვისეს მთელს იმერეთსა; ამისთვისაც როდესაც ძველ მწერლობაში იკითხვის: „აფხაზეთის სამეფო სახლი, აფხაზეთის კათალიკოზი, აფხაზეთის ერი, აფხაზეთის სამეფო“, ამ სიტყვებით იგულისხმება „იმერეთის სამეფო სახლი, იმერეთის კათალიკოზი, იმერეთის ერი, იმერეთის სამეფო“. სახელ-წოდება „იმერეთი“ ხმარებაში შემოდის პირველად დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125 წ.). ამ სახელ-წოდების ფორმაა ჯერ იმერითი, მასუკან იმერ-ეთი. იგი წარმოსდგა თანდებულიდამ იმიერ, საიდამაც იშვა „იმ-ერი“, „ლისთ-იმერი, ესე იგი ლიხის მთას იქით მოსახლე ანუ მცხოვრები, წინაალმდეგ ამიერისა, ამ-ერისა, ლიხთ-ამერისა, რომლითაც იგულისხმებიან ლიხის მთას აქეთ მოსახლენი ანუ მცხოვრებნი[2].

როგორც ქ.-ცხოვრება გვიჩვენებს, ნამდვილი აფხაზეთი ძველადგანვე კაი-ხანი იყო ბერძნების სამფლობელო, რომლის კვალი აქამომდე დარჩენილი და რომელიც კიდეც მოვიხსენეთ. აფხაზეთში,

1. ნახე ჩემი „ვახუშტის ისტორია“, გვ. 131.

2. ნახე ჩემი წერილი *Объ отношеніяхъ Грузіи и Арменіи къ Византіи*—Изв. Кав. Общ. исторіи и археол., 1-ый выпускъ, стр. 62.

პროკოპის სიტყვით, ქრისტეს სახარება შეუტანია იმპერატორს იუსტინიანეს მე-VI საუკუნეში (ნახე ზემოდ გვ. 180). აქ დედა-ქალაქად ითვლებოდა ბერძნების დიოსკურია ანუ სებასტოპოლი[1], ქართველების ცხუმი, ანუ ახლანდელი სოხუმი: „და მივიდეს, ამბობს ქ.-ცხოვრება, სებასტე ქალაქსა, რომელსა აწ ეწოდების ცხუმი" (ქ.-ცხოვრება, I, 46). გამოჩენილი ადგილები იყო აგრეთვე აფხაზეთში: ანაკოფია და ბიწვინტა. ძველადვე აფხაზეთის განაგებდნენ, ქ.-ცხოვრებით, ერისთავნი.

როგორც ჩვენ გვარწმუნებენ ძველი ბერძნული და ქართული ნაშთები, ძველის-ძველად ზღვის პირი ნაპირები აფხაზეთისა ბერძნების კულტურის გავლენას ქვეშ ყოფილა; მოშორებით კი ნაპირისა კავკასიის გადმოსაპირიც, ესე იგი შემდეგ წებელდი ქართველების კულტურის გავლენას ქვეშ. ეს ორ-გვარი გავლენა, ჩვენის ფიქრით, უფრო ცხოველად უნდა აღმოჩნდეს მაშინ, როდესაც ამ მხარის ნაშთებს საფუძვლიანად შევისწავლით.

აქ საჭიროდ ვსადით შემდეგ კითხვაზე შევდგეთ: იმ დროს, როდესაც ბერძნები ჰფლობდნენ შავი-ზღვის ნაპირებსა და თვით მე-X-XI საუკუნოებამდე, რომელთაც ეკუთვნიან უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი წებელდში ქართული ნაშთები ქართულისავე წარწერა-ბითა, ვინ მოსახლეობდა აწინდელს აფხაზეთში—აფხაზის ნათესავი თუ ქართველი ნათესავი მეგრელნი?

აფხაზის ნათესავი, გულდენშტეტისა და დიუბუა დე-მონპერეს აზრით, ენით მონათესავეა ადიღე-ჯიქებისა ანუ ჩერქეზებისა; პალლასისა და კლაპროტის აზრით კი ამ უკანასკნელებთან არა ვითარი ნათესაობა მას არა აქვს[2]; ახლანდელის გამოკვლევით იგინი უბიხებითურთ შეადგენენ დასავლეთის კავკასიის ერთს მონათესავე გრუპპასა[3]. ბერძენთ მწერალნი პირველად უჩვენებენ აბსაზებსა II საუკუნეში ქრისტეს წინად. კითხვა: ბერძნულის სახელ-წოდებიდამ წარმოსდგა ქართული აფხაზი, თუ ქართულის სახელ-წოდებიდამ იშვა ბერძ-

1. Гана, *Извѣстія древнихъ писателей*, 63—64.
2. Klaproth, *Voyage au Mont Caucase*, I, 411—417; Dubois, *Voyage*..., I, 102.
3. *Изв. Кав. Отд. Геогр. Общ.*, т. VIII, 347—361.

ნუღლი აბაზგი: იმ დროს, ბერიხულის ცნობითვე, ის ადგილები, რომლებიც შემდეგ დაჭერილია აფხაზის ტომისაგან, ეპყრათ ჭენიოხების, კოლხების და სანების ანუ ცანების [1]. ვინ იყვნენ ჭენიოხნი არ ვიცით: სანები კი ანუ ცანები არიან აწინდელნი ჭანნი ანუ ლაზნი და მეგრელნი და რომ იმათ აქვთ ერთი და იგივე ენა, თუმცა რამდენადმე განსხვავებული თავის ფონეტიკაში, ეს უეჭველი უნდა იყოს, როგორც მე ამაში დავრწმუნდი ადგილობრივ ბათუმში ჭანურის და მეგრულის ენის შეთანასწორებით. დიდის ყურადღების ღირსია ისტორიული სვე მეგრულის-ჭანურის ენისა. ძველის-ძველად ამ ენის კვალს უჩვენებენ იმ სივრცეზე, რომელიც მდებარებს ჭალოსის მდინარის მოყოლებით მცირე აზიაში ვიდრე კავკაზის ქედამდე: ამ საზღვრებში იმას ეპყრა შეუწყვეტელად მთელი შავი-ზღვის პირი. მაგრამ იქ, სადაც კი იმაზე დიდ მეტად განვითარებული იმისივე მონათესავე ქართული ენა, — იმდენად ახლო-მონათესავე, რომ კათოლიკების მისსიონერები, რომელთაც მეგრული შეესწავლათ შარდენის წინათ და თვით შარდენიცა მცირე განსხვავებას უჩვენებენ ამ ორ ენაში, ამის გამო, როგორც გვარწმუნებს ერთი იმათგანი ჟოზეფ მარი ზამპი (ამან დაჰყო სამეგრელოში 23 წ.), იმის დროს თითქმის ყველა მეგრელები ქართულად თურმე საუბრობდნენ [2], — სადაც კი, ვიმეორებთ, ქართული ენა მეგრულის ენის მოსაზღვრედ ხდება, პირველი სრულებით იერთებს უკანასკნელსა. თუ არ ამ გზით, სხვა გზით არ შეგვიძლიან ავხსნათ გავრცელება ქართულის ენისა მთელს შავი-ზღვის პირზე რიონის პირიდამ ჭოროხის პირამდე; ამ გვარადვე ახლაც ვრცელდება ისა როგორც ჭოროხის მარცხენა მხარეზე, აგრეთვე მარჯვენა მხარეზე ცხენის-წყლისა, რომელიც, როგორც ვიცით, იმერეთის მხრივ შეადგენდა მეგრულის ენის საზღვარსა. მეგრულის ენის შევიწროებას ვხედავთ ჩვენ თვით აფხაზეთის მხრივ, მაგრამ სხვა მიზეზისგამო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზნი, შემდეგ იმათის გადმოხვეწნისა მთას-იქიდამ, როგორც უფრო ძლიერნი, მოაწვნენ მეგრელებს და ამ უკანასკნელებმა თავის სისუტის

1. Dubois, *Voyage..*, I, 63—66.
2. Chardin, *Voyage..*, I, 182, 292.

გამოდაუთმეს მათ თავისი მიწა-წყალი. ამ აზრის საბუთს გვაძლევს ერთი ფაქტი შარდენისა მე-XVII საუკუნის გასულს. დიდ ხანს ნამყოფმა სამეგრელოში ლამბერტიმ გადასცა შარდენსა, რომ მეგრელებს და აფხაზებს ჰყოფსო ერთმანეთში მდინარე კოდორი და რომ ჩრდილოდ კოდორისა არსებობსო აფხაზური და სამხრეთად ქართული[1]. საფუძველი არა გვაქვს არ დავერწმუნოთ ლამბერტის და თუ შემდეგ მე-XVII საუკუნისა მეგრული ენა ისე შორს განდევნა აფხაზურმა ენამ კოდორის მარცხენა პირიდამ, რომ ახლა ის შეჭყლეტილია ინგურსა და ცხენის-წყალს შუა, მაშ ცხადი უნდა იყოს, რომ აფხაზური ენა ძველადგანვე ცოტ-ცოტად იჭერდა მეგრულის ენის დედა-მიწასა და, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, იმ დროს, რომელსაც ზემოდ ხსენებული ნაშთები ეკუთვნის, მთელი წებელდი და აფხაზეთი, მთლად თუ არა, მომეტებული ნაწილი მაინც, ჯერ ისევ მეგრულს ტომს ეჭირა. როგორც წინათაც გვითქვამს, ძველნი გეოგრაფიულნი სახელ-წოდებანი შთებიან ადგილობრივ, თუმცა შეცვლით, შემდეგშიაც, როდესაც ამ სახელ-წოდებათა ენის ადგილი უცხო-ტომს ენას დაუჭერია. აი მიზეზი, რომ მთელს აფხაზეთში აქამომდე მრავალი მეგრული სახელ-წოდება ისმის; იმათ შორის თვით ისტორიული ცხუმი ანუ ცხომი (სოხუმი), რომელიც დიდი-ხანია ხმარებიდამ გამოვიდა და რომელსაც აქამომდე აფხაზნი უწოდებენ ერთს ციხის ნანგრევს სუხუმის მახლობლად. ცხუმი მეგრულად ჰნიშნავს ცხელსა და წარმომდგარია ქართულიდამ: ცხუნი, ცხუნება.

ჩვენ მოვიხსენეთ აფხაზეთის ერისთავნი. ეს ერისთავნი იყვნენ ბერძენთაგან დადგენილნი, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი არ ვიცით. ამ ერისთავებზე, რომელთაც დროს განმავლობაში მეფის ხარისხი მიითვისეს, ჩვენა გვაქვს ორ-გვარი ცნობა: ქ-ცხოვრებისა და იერუსალიმის პატრიარხის დოსითეოზისა, რომელიც ორჯელ იყო მე-XVII—XVIII ს. საქართველოში და თავის თქმულებას აფხაზეთის მეფეებზე აფუძნებს, როგორც თვითონ გვიამბობს, ბაგრატ მეფისაგან

1. Chardin, *Voyage*..., I, 150; Klaproth, *Voyage*.., II, 415.

992 წ. შედგენილს „აფხაზეთის ისტორიაზე“. ამ „ისტორიაში“ მოხსენებულნი არიან აფხაზეთის ერისთავთ წინაპარნი, რომელთაც ქ-ცხოვრება არ უჩვენებს და რომელთაც ბერძნული სახელები აქვთ, ესე იგი: ანოს, გოზარ, იუსტინიან, ფილიკტოს და კაპარუკ; შემდეგნი კი ქ-ცხოვრებისაგან ხსენებულს სახელებს ეთანხმებიან[1]. აფხაზეთის ერისთავებში და მეფეებში ცნობილნი არიან:

1. ლეონ I, რომელსაც კლისურიდამ დიდის ხაზარეთის მდინარემდე კეისრისაგან დამკვიდრებული ჰქონდა საერისთავო. ლეონ ირთავს არჩილ მეფის ძმის მირის ქალსა

2. ლეონ II († 806) უკუ-უდგება მოუძლურებულთ ბერძენთა. ხაზართ შემწეობით ისაკუთრებს აფხაზეთს, იპყრობს ეგრისს ლიხამდე და 786 წელს სახელ-იწოდება მეფედ. სატახტო ქალაქად აარსებს ქუთაისს და აფხაზეთის კათალიკოზს მოუშორებს დამოუკიდებლობას[2].

3. თეოდოსე I († 845) ირთავს აშოტ კურაპალატის ქალსა; შემწეობს აშოტს კახეთის ერისთავის გრიგოლის დამშვიდებაში.

4. გიორგი I ახსთეფელი († 875) იპყრობს ქართლსა, სადაც ერისთავად სტოვებს თავის ძმის-წულს დემეტრეს შვილს თინენს.

5. იოანე († 879).

6. ადარნასე († 887) ირთავს აშოტ კურაპალატის შვილის გვარამის ქალსა; მოიკვლის დემეტრეს შვილის ბაგრატისაგან, რომელსაც შემწეთ ჰყავს კონსტანტინეპოლიდამ გამოყვანილი ბერძნის ჯარი.

7. ბაგრატ I († 906) ირთავს ადარნასეს ქვრივსა; მოიწვევს კონსტანტინეპოლიდამ თავის ცოლის-ძმას ნასრეს, რომელიც იმის ჯარით იპყრობს სამცხეში ციხეებს: ოძრხეს, ჯვარის-ციხეს და ლომსიანთას; გაილაშქრებს ქართლის მეფეზე ადარნასეზე, რომელ-

1. *Add. à l' H. de la G.*, 173—17; *Руководство къ познанію Кавказа*, кн. I, стр. 1—30.
2. *H. de la G.*, II, 1 liv., 241.

სადაც ჰკვეთენ გურგენ კუროპალატი და სომეხნი; იძლევიან ნასრი აფხაზებით და ოვსთა მთავრით ბაყათარით.

8. კონსტანტინე († 921) იპყრობს ქართლსა; მაგრამ სომხეთი მეფე სუმბატ ტიეზერაკალი (მოწამე) მოადგება უფლის-ციხეს; კონსტანტინე ქსიძება სუმბატს, რომელიც სტოვებს იმის ხელში უფლის-ციხეს და ქართლსა. კონსტანტინე ჰშველის კახეთის ქორიკოზს კვირიკეს ჰერეთის ალებაში.

9. გიორგი II († 955) ისაკუთრებს ქართლსა ადარნასე II-ს შემდეგ და კახეთს კვირიკე I-ის შემდეგ. გიორგი და უმცროსი ძმა იმისი ერთმანეთს ებრძვიან. გიორგი აშენებს ჭყონ-დიდის საყდარს და აწესებს საეპისკოპოსოდ; უფროს შვილს კონსტანტინეს უმკვიდრებს ქართლსა, რომელსაც იგი ჰფლობს 923—926 წ. კონსტანტინე აშლება მამას და ეძიებს აფხაზეთისა, მაგრამ იძლევა უფლის-ციხეში. გიორგი მას აბრმავებს და ჰკვეთავს. კონსტანტინე კვდება უშვილოდ. კონსტანტინეს გარდა გიორგის ჰყვანდა ორი ქალი: ერთი, რომლის სახელი არ იხსენიება და რომელიც ცოლად ჰყვანდა სომხითის მეფეს სუმბატ მოწამის შვილსა და მეორე გურანდუხტ მეუღლე გურგენისა და დედა ბაგრატ III-სა.

10. ლეონ III († 957) მამის დროს ერისთავობს ქართლში და მამის სიკვდილის შემდეგ ჯდება მეფედ აფხაზეთში, სადაც აშენებს მოქვის ეკლესიას და აწესებს საეპისკოპოზოდ. იმას მოიხსენებს წარწერა ჯავახეთის ეკლესიის ქუმურდოსი, რომელიც აშენებულია ლეონისა და ერისთავის ზვიადის დროს იოანე ეპისკოპოზისაგან. ლეონ კვდება უშვილოდ.

11. დემეტრე ლეონის შემდეგ † 979.

12. თევდოსე II ბრმა თვით ასოღიკის მოწმობით (*Исторія Арменіи*, стр, 180—181) მეფობს დემეტრეს შემდეგ და მტარვალობს თავის ქვეშე-ვრდომთა. დავით დიდი კუროპალატი ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძის და სხვათა აფხაზეთ-ქართლის ერისთავთ თანხმობით თეოდოსეს მაგიერ ადგენს აფხაზეთის მეფედ გურგენის შვილს ბაგრატს. თევდოსეს ჰყვანდა თუ არა შვილები არა ჩანს. ბაგრატ გამეფდა აფხაზეთში 980 და ქართლში 985 წელს.

III. კახეთი. კახეთზე ჩვენი მატიანე ძველს გეოგრაფიულსა და ისტორიულს ცნობებს ცოტას გვაძლევს. კახეთის გეოგრაფიაზე ჩვენ სრულ ცნობებს თავის ადგილს შემოვკრებთ; აქ კიტყვით მხოლოდ, რომ უცხო-ტომთ მწერალთაგანი სტრაბონი კახეთს იხსენიებს ნაწილად ალბანიისა, სომხურის გამოთქმით ალვანისა, ჩვენებურად ალვანისა, რომელიც შეიცავდა მთელს დაღისტანს და შირვანს. თვით სახელ-წოდება კახეთი სტრაბონმა არ იცის. ალბანიაში ირიცხებოდა აგრეთვე სტრაბონის მიერ ალაზანზე ნაჩვენები კამბიზენა ანუ ქართველების კამბეჩოვანი[1]. ჩვენის წყაროების ჩვენებით, საქართველოს ალბანიას შეადგენდა სამი ნაწილი: კახეთი, კუხეთი და ჰერეთი: „კახეთი არს თურდოს ხევს ზეით თიანეთი ვიდრე ხევსურეთამდე. კუხეთი არს ნინო-წმინდას ზეით სამგორი და იმის ზეით ერწოს მთამდე და არაგვამდე. ჰერეთი არს მცირის ალაზნით (იორით) ამოღმართ ვიდრე გულგულამდე ცივს აქეთ და ვიდრე აზამბურამდე და მტკვრამდე[2]". „ჰერეთი, რომელ არს კახეთი და კუხეთი"[3]. მარიამ დედოფლის ქ-ცხოვრების ვარიანტით, „ჰერეთი, რომელ არს კახეთი." ბროსსეს თქმით, შესაძლებელია, რომ კახეთი წარმოსდგა ინგილოს სოფლის კახიდამ[4]. კახეთი ძველადვე ცნობილი: არაბები იხსენიებენ კახეთს მე-X საუკ. და სომხის მწერალნი მე-XI საუკ.[5]. ვიდრე ჩვენში ერთ-მთავრობა და-

1. *Géographie de Strabon*, livre XI, 403—411; S—Martin, *Mém.*, I, 214—226.—2. „ქ-ცხ.". I, 17 შენ. 3, 20 შენ. 2.—3. იქვე 13.

4. *H. de la G.—Introd*, p. VII.—აქ მივაქცევთ განსაკუთრებით ყურადღებას ერთს უცნაურ ტომზე, რომელსაც ძველადვე როგორც ქ-ცხბა, აგრეთვე სომხურნი, ბერძნულნი და არაბულნი მწერალნი ერთ-გვარ სახელსდებენ წანარებად და ერთსა და იმავე ადგილს ასახლებენ—კახეთის საზღვრად, ჩრდილოდ შაკისა ვიდრე დერბენტამდე; იყვნენ მეომარნი და ემორჩილებოდნენ მე-X საუკუნიდამ ქრისტეს სჯულსა. ვარდანის თქმით, „რადგანაც წანარნი საუბრობდნენ ივერიულს ენასა, გარდმანის მთავარმა დაუნიშნა მათ „გამგედ ქორიკოზი". საზოგადოდ კი ფიქრობენ, ვითომც წანარნი იყვნენ აწინდელის უდების წინაპარნი. (ქ-ცხბა, I, 182, 187, 215; S—Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 233—235; Brosset, *Collection d' historiens arméniens*, I, 143—144, 609—613.

5. Ibid., V—VII. ნახე აგრეთვე ჩემი „ვახუშტის ისტორია", გვ. 114 შენ. 1.

მყარდებოდა კახეთი შეკავშირებული იყო პოლიტიკურის კავშირით ჩვენ სომხეთთან, რომელიც არის სომხითის მწერალთ გუგარი და სტრაბონის გოგარენი[1]. ამ მხარეს ჩვენში სხვა სახელ-წოდებაც ჰქონდა: ხუნანი, ტაშირი და სხ. „ფარნავაზმა დასვა ერისთავები... მესამე ხუნანს და მისცა ბერდუჯის მდინარიდგან კიდრე ტფილისამდე და გაჩიანამდე, რომელ არს გარდაბანი; მეოთხე—სამშვილდეს და მისცა სკვირეთის მდინარიდგან კიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“[2]. როგორც ქ-ცხრბა გვარწმუნებს, ტაშირის მეფენი სომეხთაგანნი იყვნენ და ხან-და-ხან თვით კახეთსაც ჰფლობდნენ და იმ-გვარი კავშირი არსებობდა სომხეთსა და კახეთს შორის, რომ სომხითარნი ხან კახელებად იწოდებოდნენ: „მოვიდეს კასნი გარდაბანელნი“[3]. ამასთანავე გობრონის ბიოგრაფი ადარნასე კუროპალატის დროს (881—923) გვამცნევს, რომ ტაშირში, რომელიც შესდგებოდა ათის ხევით, გავრცელებული იყო სომხის სარწმუნოება (ნახე ზემოდ გვ. 225—226); არათუ ტაშირში, თვით კახეთის ნამდვილს ნაწილშიაც, რომელსაც ეწოდებოდა კამბეჩოვანი ანუ ახლანდელი ქიზიყი. „კამბეჩოვანი ორსა ზედა;“ „ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი“[4]. ამ მხარის დაშორებაზე სარწმუნოებით ქართველებისაგან დაწვრილებით გვიამბობს არსენი კათალიკოზი, რომლის ცნობა ამ საგანზე ჩავურთეთ ზემოდ (ნახე გვ. 226—227).

„ნერსეს იშხნელის დროს, ამბობს არსენი, ერისთავი სომხეთისა წარვიდა კავკასიისა მთასა და მუნით უკუ-მოიქცა მსწრაფლ, რამეთუ არა შეიწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნენ იგინი კერპთ-მსახურ და გარდამოვიდა კამბეჩოვანსა და დაემკვიდრა ხევსა შინა მცირესა, რომელსა ჰქვიან ხევი სომხეთისა და მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკვარსა

1. უკეთესი აღწერა გეოგრაფიული და ისტორიული ჩვენის სომხეთისა ნახე Dubois, *Voyage*..., IV, 127—199; S—Martin, *Mém*..., I, 72—86.

2. „ქ-ცხ“. I, 31.—3. „ქ-ცხ“. I, 109.—4. „ქ-ცხ“. I, 49, 146; Іосселіани, *Путев. записки по Кахетіи*, стр. 17—18.

არმაცტს, გარდაბანს, ძორთორს და სომხეთს და აღავსო ქვეყანა წვალებისა ღვარძლითა"...

კახეთის მთავრობელნი, ქ-ცხოვრებით, ქორეპისკოპოზნი (გვ. 189, 191), ვახუშტის წერით ქორიკოზნი. ამ სიტყვას ხმარობს ყოველთვის ვახუშტი, როდესაც ქ-ცხოვრებაში იხმარება ქორეპისკოპოზი: „და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად". ეს სახელ-წოდება იხმარება კახეთში მე-VIII საუკუნიდამ ვიდრე მე-XI საუკუნემდე, როდესაც ბაგრატ IV-მ კახეთის მთავრობა გააუქმა (ქ-ცხ. II, 96—98). ცხადია, რომ ქორეპისკოპოზი ქ-ცხოვრებაში შეცდომით არის ნახმარი და ამ შეცდომას ვახუშტი სამართლიანად ასწორებს. ამავე შეცდომას უჩვენებს თვით საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში. იმის სიტყვით, „ქორეპისკოპოზი უმეცართა მწერალთა ქ-ცხოვრებაში გაურევიათ; ქორიკოზი ქართულად ქორეპისკოპოზი ჰგონებიათ. ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპოზი ბერძნულად ეწოდების და ქორიკოზი მეფის მოხსენელს ჰქვიან". „ქორიკოზი მოხსენელი მეფისა. რომელ ვერ იკადრის მეფედ სახელის-დება, არამედ გამოთავრებულების მწყემსად". ჩვენის ფიქრით, ამ უბრალო შეცდომის გამო გავრცელებულა ის აზრი, ვითომც კახეთის მთავარნი ეპისკოპოზნიც ყოფილიყვნენ. ამ შეცდომაში იყო თვით ბროსსე [1], თუმცა შემდეგში მან ეჭვი გამოაცხადა ქორიკოზთ სამღვდელოებაზე [2].

კახეთის მთავრობელთა შორის ცნობილნი არიან:

1. გრიგოლ (787—827) აშოტ კურაპალატის დროს (786—826) ჯუანშერ ერისთავ-ერისთავის სიკვდილის შემდეგ იპყრობს კახეთს, კუხეთს და გარდაბანს. ჰერეთი უპყრიათ ადარნასეს ძმის-წულთა; გრიგოლ იწოდება ქორიკოზად; ებრძვის აშოტს და იძლევა.

2. ვაჩე (827—839) იოანე ქავაბულისძე, რომელსაც გრიგოლის შემდეგ გარდაბანელნი ჰსვენ ქორიკოზად.

3 სამოელ დონაური (839—861).

4. გაბრიელ დონაური (861—881) ძმის-წული სამოელი-

1. *H. de la G.*, I, 267. n. 5.
2. Brosset, *Collection d' historiens arméniens*, 1874, I, 616—619.

სა, რომელსაც ართმევენ გარდაბანსა. იმის დროს ცხოვრობდა წმ. ილარიონ კახელი.

5. ფადლა I არევმანელი (881—893) იმორჩილებს გარდაბანელთა.

6. კვირიკე I ქორიკოზი (893—918). იმის დროს ამირი აგარიანთა იპყრობს უჯარმას და ბოჭორმას. კვირიკე მტრობს ჰერეთის მთავარს ანუ პატრიკს ადარნასეს. ეს ადარნასე აძლევს თავის ძეს იშხანიკს ტაოელის ადარნასეს ქალს და ერისთავთ ერისთავის გურგენის დას დინარს, რომელსაც ჰერეთელნი მოჰყავს სომეხთ სარწმუნოებიდამ ქართველთ სარწმუნოებაზე.

7 . ფადლა II (918—929) აშენებს ლოწობანთა ციხეს. იმის დროს სარკინოზნი აოხრებენ კახეთს; იშხანიკი იბრუნებს ჰერეთს და იწოდება მეფედ. ფადლა ჰშველის აფხაზეთის მეფეს გიორგი II-ს უფლის-ციხის დაპყრობაში.

8. კვირიკე II (929—976). ამას უკუ-უდგებიან გარდაბანელნი და მიიწვევენ აფხაზეთის მეფეს გიორგი II-ს, რომელიც იპყრობს კახეთს. გიორგისა და იმის შვილის ლეონის სიკვდილის შემდეგ კვირიკე იბრუნებს კახეთს.

9. დავით (976—1010) ირთავს აფხაზეთის მეფის ლეონ II-ს (?!) ქალს. ებრძვის ბაგრატ III-ს, მაგრამ იძლევა.

# ალფაბეტური საძიებელი

ამ წიგნის წყაროებისა ევროპიულ ენებზე და ქართულ ენაზე. აქ ვუჩვენებთ ამ წიგნის გვერდებსა, რომლებშიაც ისინი მოყვანილნი არიან და სადაც თვით უმთავრესის წყაროების ღირსება-ნაკლულევანებანიც აღნიშნულნი არიან ანუ ტექსტში, ანუ შენიშვნებში.

## I წყაროები ევროპიულ ენებზე.

**Abich,** *Prodromus einer geologie der kaukasischen Länder* — Изв. Кавк. Отд. Геогр. общ., IV, № 5, 257—258. გვ. 24—25.

**Асогика или Степаноса Таронскаго** (XI в.), *Всеобщая исторія*, переводъ Эмина. Москва, 1864, გვ. 52, 225, 229 შენ. 1, 239, 240—241, შენ. 1

**Agathange** (IV s.), *Histoire du regne de Tiridate et de la predication de saint Gregoire l' Illuminateur*—Collection des historiens... de l' Arménie, გვერდი 54, 147 შენ. 2.

**Бакрадзе Димитрія:**

1. *Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства*—Записки Общества любителей кавказс. археологіи. Тифлисъ, 1875, გვ. 171 შენ. 1, 181 შენ. 1.

2. *О до-исторической археологіи и кавказской въ особенности.* Тифлисъ, 1877, გვ. 71.

3. *Объ отношеніяхъ Арменіи и Грузіи къ Византіи вообще и въ X в. въ особенности*—Извѣстія Кавк. Общ. исторіи и археологіи. Тифлисъ, 1882, გვ. 194 შენ. 2, 238.

4. *Древнѣйшіе классическіе писатели о Кавказѣ* —Газета „Кавказъ". 1884, №№ 272, 281, 282 и 283, გვ. 92—93 შენ. 1.

5. *Источники исторіи Вахушта*—тѣже Извѣстія. 1884, გვ. 56 შენ. 1.

6. *Статьи по исторіи и древностямъ Грузіи*—Приложеніе къ LV т. Записокъ Императ. Академіи Наукъ, გვ. 126 შენ. 1.

7. *Грузинская палеографія*—Труды V Археологическаго Съѣзда въ Тифлисѣ. Москва, 1887, გვ. 85, შენ. 1.

8. *Древніе варіанты грузинскаго четверо-евангелія.* Тамъ же, გვ. 171—174.

**Баратаева** князя, *Нумизматическіе факты Грузинскаго царства.* Спб., 1884, გვ. 196—197.

**Bartholomaei**, *Lettres numismatiques*. 1859, გვ. 51 შენ. 1, 82 შენ. 5, 196—197.

**Brosset Marie-Félicité**:

1. *Eléments de la langue géorgienne.* Paris, 1837, გვ. 198 შენ. 5.

2. *Rapport sur l' ouvrage intitulé*: Нумизматичес. факты Груз. царства *et revue numismatique géorgienne*, Spb. 1847, გვ. 196—197.

3. *Histoire des Bagratides géorgiens jusqu' au commencement du XI* s.—Additions.. 1851, გვ. 186—189.

4. *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, exécuté en* 1847—1848, avec un atlas de 18 planches lithographiées. Spb. 1849, გვ. 209 შენ. 1.

5. *Histoire de la Géorgie depuis l' antiquité jusqu' au* XIX *s.*, *traduite du géorgien*, 1-re partie. Spb. 1849., გვ. 39—59 და სხვა ადგილებს.

6. *Additions à l' Histoire de la Géorgie depuis l' antiquité jusqu' en* 1469. Spb. 1851, გვ. 136 შენ. 1, 274 შენ. 1.

7. *Introduction et tables des matiers.*—Histoire de la G. Spb. 1858, გვ. 136 შენ. 1, 276 შენ. 4.

8. *A propos de livre intitulé*: Essai de classification des suites monétaires de la *G.*, 1860, გვ. 197.

9. *Inscriptons géorgiennes et autres, recueillies par le Père Nersès Sargisian et expliquées par M. Brosset*—Mém. de l' Acad. 1864, VII série, t. VIII, № 10, გვ. 239.

10. *Collection d' historiens arméniens*. Spb. 1874, გვ. 278 შენ. 2. ვისაც ჰსურს სრული წარმოდგენა მიიღოს ბროსსეს მოღვაწეობაზე 1824 წლიდამ 1879 წლამდე ქართულის ისტორიისა და მწერლობის სასარგებლოდ, იმან უნდა მიჰმართოს თვით იმის შვილის ლავრენტი ბროსსეს წიგნსა: *Bibliographie analitique des ouvrages de M. Marie-Félicité Brosset*. Spb, 1887. ეს წიგნი არის საფუძვლიანად შედგენილი და შეიცავს როგორც ყველა ნაშრომს ბროსსესას იმათის განმარტებით, აგრეთვე სამაგალითო ალფაბეტურს საძიებელს გასხვენებულის წერილებისას. წიგნია მოზდილი, წვრილის ასოებით დაბეჭდილი 704 გვერდზე და ჩართული აქვს მას თვით სურათი ბროსსესი.

**Гана**, *Извѣстія древнихъ классическихъ писателей о Кавказѣ*—Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа. Тифлисъ, 1884, გვ. 92. შენ. 1.

**Dabistan** par Mahomed-Fanni, გვ. 67—70.

**Dosithée,** (XVII—XVIII s.), *Histoire d' Aphkhasie, composée par Pancrace ou Bagrat, regnant en 992 de J.-C.*, გვ. 55, 104 შენ. 3.
**Dubois de Montpéreux,** *Voyage autour du Caucase, chez les tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée.* Paris, 6 volumes, 1839—1846, გვ. 44—45, 110 შენ. 2, 277 შენ. 1.
**Загурскаго Л. П.,** *Замѣтка объ изслѣдованіи кавказскихъ языковъ*—Протоколы Предварительнаго Комитета V Археологическаго Съѣзда, გვ. 36 შენ. 1.
**Faustus de Byzance** (IV s.), *Bibliothèque historique, traduite par J. B. Émine*—Collection des historiens.. de l' Arménie, II, 209—310, გვ. 146 შენ. 1.
**Gatteyrias:**
1. *Études linguistiques sur les langues de la famille géorgienne*—Revue de linguistique, 15 juillet. 1881, p. 275—311, გვ. 36—37.
2. *L' Arménie et les Améniens.* Paris, 1882, p. 75, 141, გვ. 36—37.
**Giguet,** *Histoire d' Hérodote.* Paris, 1870, გვ. 13, 26—27.
**Gobineau,** *Histoire des Perses.* Paris, 1869, გვ. 45.
**Gorioun** (V s.), *Biographie de saint Mesrob, traduite par J. B. Émine*—Collection des historiens... de l' Arm , II, 9—16, გვ. 158—160.
**Hovelacque Abel,** *La linguistique*—Bibliothèque des sciences contemporains. Paris, 1876, გვ. 4—5.
**Іосселіани Платона:**
1. *Исторія Грузинской церкви.* Спб., 1843., გვ. 107 შენ. 3.
2. *Таблица хроникона или грузинскаго лѣтосчисленія*, გვ. 217 შენ. 1.
3. *Путевыя записки по Кахетіи*, გვ. 277 შენ. 4.
**Klaproth Jules,** *Voyage au Mont Caucase et en Géorgie,* avec une carte de la Géorgie. 2 tomes. Paris. 1823, გვ. 34—35, 271, შენ. 2, 273 შენ. 1.
**Кондакова Н.,** *Древняя грузинская архитектура*, გვ. 181 შენ. 1.
**Langlès,** *Voyage de Chevalier Chardin en Perse et autres lieux de l' Orient.* Paris, 1811, 10 tomes, გვ. 67 შენ. 2, 272 შენ. 2, 273 შენ.
**Langlois Victor:**
1. *Collection des historiens anciennes et modernes de l' Arménie,* 2 tomes. Paris, 1867—1869, ხშირად ხსენებული.
2. *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l' antiquité jusqu à nos jours.* Paris, 1860, გვ. 45—46.
3. *Étude sur les sources de l' Hist. d' Arménie de Moïse de Khoren*—Mélanges Asiatiques, t. IV, livr. 3, გვ. 64 შენ. 2.
4. *Chronique de Michel le Grand patriarche des Syriens Jacobites* (XII s.). Venise, 1868, გვ. 50, შენ. 2, 152.

**Lazar de Pharb** (V s.), *Histoire d' Arménie*—Collection des historiens.. de l' Arm., II, 259—368, გვ. 167.

**Lebeau**, *Histoire du Bas—Empire, revue, corrigée et augmantée d' après les historiens orientaux par M. Saint-Martin et continuée par M. Brosset Jeune*. 21 tomes. Paris, 1824—1836, გვ. 126 შენ. 7 და ხშირად ნაჩვენები.

**Lenormant François:**

1. *Histoire ancienne de l' Orient jusqu' aux querres médiques*. Neuvième édition. 6 tomes. Paris, 1881—1888, გვ. 9—12, 15—20.

2. *Lettres assyriologiques*, 1-re série, t. I, გვ. 17 შენ. 3.

3. *Alphabetum*—Dictionnaire des antiquités Grecques et Romains par Daremberg et Saglio, გვ. 9 შენ. 1.

**Ляйэля Чарльза**, *Геологическія доказательства древности человѣка*. Спб. 1874, გვ. 1—4.

**Макарія архимандрита**, *Исторія христіанства въ Россіи до Равноапостольнаго кн. Владиміра*. Спб. 1846, გვ. 107 შენ. 3და4.

**Malcolm Sir John**, *Histoire de la Perse depuis les temps les plus anciens jusqu' à l' époque actuelle*. 2 tomes. Paris, 1821, გვ. 67 შენ. 2.

**Мара Н.**, *Мудрость Балавара, грузинская версія душеполезной исторіи о Варлаамѣ и Іоасафѣ*—Записки Восточн. Отдѣленія Импер. Русск. Археол. Общ., т. Ш., стр. 223—260, გვ. 134 შენ. 1.

**Maspero G**, *Histoire ancienne des peuples de l' Orient*. Paris, 1876, გვ. 13 შენ. 1, 17 შენ. 2.

**Michel le Grand** *patriarche des Syriens Jacobites*. ნახე **Langlois**.

**Миллера Всеволода**, *Осетинскіе этюды*. Москва, 1887, часть третья, გვ. 45 შენ. 1.

**Моисея Хоренскаго** (V в.), 1. *Армянская географія*, приписываемая ему и 2. *Исторія Арменіи*, переводъ Эмина. Москва, 1858 г. и Langlois—Collection des historiens... II, 47—175, გვ. 50, 91 შენ. 2.

**Mkhithar d' Aïrivank** (XIII s.), *Histoire chronologique, traduite de l' arménien par M. Brosset*—Mém. de l' Acad. des sciences.., VII sèrie, t. XIII, № 5; ნახე კიდევაც Brosset, *Les ruines d' Ani*. Spb. 1860. p. 152—174. გვ. 53 შენ. 2.

**Orbélian Stéphanos** (XIII s.), *Histoire de la Siounie, traduite de l' arménien* par M. Brosset, 2 livraisons. Spb., 1864—1866, გვ. 42, 52;—53. ნახე სენ-მარტენის ნათარგმნიც იმის Mémoires sur l' Arménie, II, 1—296.

**Патканова:**

1. *О мѣстѣ, занимаемомъ армянскимъ языкомъ въ кругу индоевропейскихъ*—Извѣстія Кавказск. Отд. Русск. Геогр. Общ., VI, № 1, 27—50, გვ. 36, შენ. 1.

2. *О древней грузинской хроникѣ*—Журналъ Министерства народн. просвѣщ., декабрь 1883 г., გვ. 40 შენ. 1.
3. *Исторія Агванъ Каганкатваци* (X в.). Спб., 1861, გვ. 45 შენ. 2, 160 შენ. 3.
4. *Армянская географія VII в. по Р. X.* Спб. 1877, გვ. 91, შენ. 2. სენ-მარტენი მიაწერს IX საუკუნეს; ნახე იმისი Mémoires sur l'Arménie, II, 301—378.

**Plutarque,** *Vie des hommes illustrés,* traduite par Alexis Pierron. Paris. 1858, გვ. 94—98.

**Помяловскаго,** *Сборникъ греческихъ и латинскихъ надписей Кавказа.*, Спб., 1881, გვ. 49, შენ. 1, 129 შენ. 2.

**Porphyrogénète Constantin,** *De administrando imperio* (écrit en 952), —Additions... 1851, p. 140. 144—154, გვ. 48, 51, 180 შენ. 1, 187—188, 264—266.

**Procope** (VI s.). ნახე **Stritter.**

**Prud'homme**, *Histoire d' Arménie par Arisdaguès de Lasdiverd.* Paris, 1864, გვ. 194 შენ. 1, 241 შენ. 1.

**Rambaud Alphred,** *L' Empire grec au dixième siècle—Constantin Porphyrogénète.* Paris, 1870, გვ. 194 შენ. 2.

**Риттера Карла,** *Исторія землевѣдѣнія.* Спб. 1864, გვ. 74—75.

**Розена барона,** *Императоръ Василій Болгаробойца—Извлеченія изъ лѣтописи Яхъи Антіохійскаго*, изданіе Академіи Наукъ. Спб., 1883, გვ. 194 შენ. 1, 238.

**Селезнева Михаила**, *Руководство къ познанію Кавказа*, три книги. Спб. 1847, გვ 104 შენ. 3, 201 შენ. 1, 274 შენ 1.

**Saint-Martin Vivien:**
1. *Recherches sur les populations primitives et les plus anciens traditions du Caucase.* Paris, 1847, გვ. 32—34, 43—44, 64—65.
2. *Histoire des découvertes géographiques.* Paris, 1845, t. II, გვ. 14—15.

**Saint-Martin Antoine Jean,** *Mémoires historiques et géographiques sur l' Arménie.* 2 tomes. Paris, 1811—1819, გვ. 126 შენ. 7, 277 შენ. 1.

**Stritter,** *Memoriae populorum,* მეოთხე ტომი, სადაც ჩართულია პროკოპის ცნობები კავკასიაზე და საიდამაც უსარგებლნიათ ლებოს, დიუბუას და ბროსსეს ლაზიკის ისტორიის გამოკვლევაში, გვ. 178, 179 შენ. 1, 180, 181 შენ. 1.

**Soury Jules,** *L' Asie-Mineure d' après les nouvelles découvertes archéologiques*— Revue des Deux Mondes, 15 octobre, 1873, გვ. 28—29.

**Tardieu Amedée,** *Géographie de Strabon,* deux tomes. Paris, 1867—1873, გვ. 34, 110—122, 276 შენ. 1.

**Уварова графа:**
1. *Археологія Россіи—Каменный періодъ.* Москва, 1881, გვ. 6. შენ. 2.

2. *Взглядъ на Мцхетскій могильникъ*—Труды Московс. Археологич. Общества, т. X, стр. 18—24, გვ. 71—74.
3. *Каталогъ собранія древностей гр. Уварова* Москва, 1887, გვ. 74 შენ. 2.

**Услара**, *Древнѣйшія сказанія о Кавказѣ*. 1881, Тифлисъ, გვ. 98—101 და შენ. 1.

**Oukhtanès** (X s.), *Histoire de la scission religieuse entre les Géorgiens et les Arméniens, depuis la fin du VI siècle*—Additions... 1851, p. 107—125, გვ. 190 შენ. 2.

**Хвольсона**, *Сборникъ еврейскихъ надписей*. Спб. 1884, გვ. 106. შენ. 1.

**Цагарели Александра:**
1. *Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности*, выпускъ первый. Спб. 1886, გვ. 134 შენ. 1, 147 შენ. 2, 223 შენ. 2, 245—246, 249.
2. *Памятники грузинской старины въ Святой Землѣ и на Синаѣ*. Спб 1888, გვ. 216 შენ. 1, 234 შენ. 1. 235 შენ. 3;

**Schnitzler**, *L' Empire des Tsars au point actuel de la science*. Paris, 1862. გვ. 24.

**Щуровскаго**, *Геологическіе очерки Кавказа*, გვ. 125 შენ. 1.

**Эйхвальда**, *Страбоновы извѣстія о Кавказѣ*—Библіотека для чтенія, XXX, გვ. 110 შენ. 2.

**Эмина**, *Всеобщая исторія Вардана Великаго*. Москва, 1861, გვ. 53 შენ. 1. ნახე კიდევაც **Faustus de Byzance** და **Моисея Хоренскаго**.

## II ქართული დაბეჭდილი წყაროები.

**ბაქრაძისა დიმ.**
1. „საქართველო", პირველი რვეული. ტფილისი, 1871 წ.
2. „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები". ტფილისი, 1884, გვ. 40, 170.
3. „ვახუშტი—საქართველოს ისტორია", ნაწილი პირველი. ტფილისი, 1885.

**ბროსსესი**, „ქართლის ცხოვრება", ნაწილი პირველი, ძველი მოთხრობა 1469 წლამდე ქრისტეს აქეთ. ს-პეტერბ., 1849, მესამე კარში.

**ვახუშტისა:**
1, „გეოგრაფიული აღწერა საქართველოჲსა" ფრანციულის თარგმანით. ს-პეტერბ., 1844, წ. გვ. 81, 86, 125, 126.
2 „საქართველოს ისტორია"—ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულს ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილში. ს-პეტრბ., 1854 წ., 1—258, გვ. 40—41, 147 შენ. 1, 151.

თეიმურაზ ბატონიშვილისა, „ისტორია იბერიისა". 1848, ს-პეტერბ., გვ. 49, 56, 61—63, 124, 133, 134 და შენ. 1.
საბინინისა მიხეილისა „საქართველოს სამოთხე სრული აღწერა ღვაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა", მშვენიერის სურათებით. ს-პეტერბ., ჩყპბ, გვ. 183 შენ. 1.
ჩუბინაშვილისა დავითისა, „განხილვა კაპპადოკიის მოსახლეთა", გვ. 217 შენ. 1.

## III ქართული გამოუცემელი წყაროები.

„აბუკურა" გვ. 134 და შენ. 1.
„ადამის ცხოვრება" ანუ „ენოქის წიგნი", გვ. 169 და შენ. 3.
არსენი კათალიკოზისა, „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა", გვ. 226—228. 177.
„ბალავარი", გვ. 134, შენ. 1, 252 შენ. 1. (ამ მცირე ხანში დაიბეჭდა).
„ბიბლიის პირი" ქართული 978 წელს გადაღებული იბერიის მონასტერში, გვ. 170, 245.
გუჯრები:
1. ქართველების საეპისკოპოზო კათედრებზე დიდ სომხითში, გვ. 267.
2. ოპიზის მონასტრისა (XI საუკ.), გვ. 51.
დავითნი 974 წლისა, გვ. 236—237.
ისტორია საქართველოსი:
1 „ქართლის მატიანე" და „მოქცევაჲ ქართლისაჲ" მე-IX საუკუნის მანუსკრიპტში ჩართული, გვ. 57—58, 145 შენ. 1, 147 შენ. 1, 219—221.
2. სუმბატ დავითის ძის „ხრონიკა" ქართველ ბაგრატიონების გვარზე, გვ. 55.
3. „ქართლის-ცხოვრების" ნაშრომი 1636—1646 წლისა და სხვა ვარიანტები, გვ. 42—43 შენიშვნებით.
იოანე ღვთის-მეტყველის „გამოცხადების წიგნი" 995 წლისა, გვ. 242.
კლიმაქსი 983 წლისა, გვ. 245. იგივე 1066 წლისა, გვ. 259 შენ. 1.
მეტაფრასები:
1 ჯვარის—მონასტრისა იერუსალიმში 951 წლისა, გვ. 233—234.

2. ნათლის-მცემლის უდაბნოსი მე-IX—X საუკ., გვ. 212 შენ 1.
მრავალ-თავი სინაის მონასტრისა 864 წლისა, გვ. 216 შენ. 1.
ნებროთის წიგნი გვ. 169.
ოთხ-თავი (სახარება):
1. ორი ვარიანტი—ერთი მე VII (?) საუკ., მეორეც უფრო მველი, გვ. 84 · 85, 170—174.
2 ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე 913, 917 წლისა, გვ. 228—229.
3 ჯრუჭის მონასტრისა იმერეთში 936 წლისა, გვ. 232—233.
4. იოანე გრუზინსკის წიგნთა-საცავისა 995 წლისა, გვ. 245—246.
„ჟამის-წირვა“ იაკობ მოციქულისა ბაგრატის დროისა (828—876 წ.), გვ. 221—222.
როსტომიანი ანუ შაჰ-ნამე ფერდუსისა, გვ. 67
საბას ლავრაში იერუსალიმის მახლობლად ნაშრომი მანუსკრიპტი 925 წლისა, გვ. 233—236.
საგალობლები დავით კუროპალატის, გურგენის და ბაგრატ III დროისა, გვ. 246—248.
სვანური მანუსკრიპტი VIII—IX საუკ., გვ. 206—208.
სამოთხე 977 წლისა, გვ. 243—244.
სჯულ-კანონნი მექვსე მსოფლიო კრებისა—ერთი 1031 წ., მეორე შემდეგის საუკუნოებისა, გვ. 257, 258, 259 შენ. 1
ქილილა და მანა, მე-XII საუკუნეში მოხსენებული, გვ. 137, 178.
ცხოვრების წიგნი წმ. მოწამეთა 1002 წლისა, გვ. 248—249.
ცხოვრება-მოძღვრებანი წმ. მამათა 981 წლისა, გვ. 245.
ცხოვრება იოანე ოქროპირისა 983 წლისა, გვ. 245.
ცხოვრება-მოძღვრებანი გრიგორი ღვთის-მეტყველისა X—XI საუკ., გვ. 250 შენ. 1. იგივე მისივე მცხეთის წიგნთა საცავისა XI საუკ., გვ. 256
ცხოვრებანი წმ. მსოფლიო მამათა ივერიის მონასტრისა 980—1013 წ., გვ. 253—256.
ცხოვრებანი ქართველთა მამათა:
1. წმ. რაჟდენისა გვ. 174—175.
2. წმ. შუშანიკისა გვ. 175—176.
6. წმ. პეტრესი პალესტინის მღვდელთ-მოძღვრისა ანუ ვარაზ-ბაქარის (IV საუკ.) შვილის მურვანოზისა, გვ. 152—154.

4. წმ. შიოსი იოანე ზედაძნელის მოწაფის მარტირისაგან შედგენილი, გვ. 180 შენ. 1.

5. სრულივე შიო-მღვიმის მონასტრის კუთვნილი 1733 წლისა, გვ. 143, 146 შენ. 3, 153 შენ. 1, 180 შენ. 1. 182—183.

6. წმ. აბოსი. ნახე სვანური მანუსკრიპტი.

7. წმ. გობრონისა სტეფანე მტბევარ ეპისკოპოზისაგან შედგენილი, გვ. 225—226.

8. წმ. ილარიონ კახელისა, გვ. 224.

9. წმ. მთა-წმინდელ მამათა იოანესი და ეფთიმისა X—XI სა-შკ., გვ. 242—243., 249—252.

10. სრული მამათ-ცხოვრება იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოს კუთვნილი 1713 წლისა, გვ. 224. შენ. 1.

**წარწერანი:**

1. ბერძნული 75 წლისა, მცხეთის მახლობლად ნაპოვნი ქვაზე, გვ. 49, 129.

2. ქართულ ფილებზე მე-V—X საუკ., გვ. 165, 196—197, 239.

3. ჯვარის მონასტრისა მცხეთის პირის-პირ მე-VII საუკ., გვ. 192—193.

4. ატენის სიონისა გორის მაზრაში 853 წლისა, გვ. 216, 219.

5. ზარზმის მონასტრისა სამცხეში მე-X საუკ., გვ. 52, 242, 268.

6. ოშკის მონასტრისა ჭოროხის ხეობაში ადერნასეს დროისა (881 923 წ.), გვ. 223.

7. ლოდის-ყანის ტაძრისა ჭოროხის ხეობაში მე-X საუკ., გვ. 232.

8. ველის ეკლესიისა ჩილდირში, ყარსის მხარეში, 954 წ. გვ. 236, 270.

9. ყარსში ალაყაფის კარებში ჩატანილ ქვაზე, გვ. 268.

10. ქართულის ეკლესიისა (996 წლისა?) ანის ქალაქში, გვ. 268.

11. 1007 წლის ქართულს ეკლესიაში ეგრეკში, ყარსის მხარეში, გვ. 269.
12. 1030 წლის ქართულს მონასტერში მახლობლად ალაშკერტისა, ყარსის მხარეში, გვ. 267.

## შინაარსი ამ წიგნისა.


### I. საზოგადო ცნობა ისტორიის წინა-დროე-ბაზე.

I. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა-დროებისა: გეო-ლოგიური, ლინგვისტიკური და არხეოლოგიური. გვ. 1— 5

II. კაცობრიობის მოდგმანი და იმათნი განყოფილება-ნი.—იმათნი წინაპარნი სად აღმოჩენილან და სად სახლებულან, საით და საით გამგზავრებულან და სად და სად დამყარებულან. . . . . . . 6— 8

III. განათლების წარმატება ეგვიპტეში და ქალდეო-ასსი-რიაში.—ამ წარმატების ხასიათი აწინდელის აზ-რით.—მცირე აზია და იმისნი უძველესნი ტომ-ნი. . . . . . . . . . . . . 8—15

IV. არხეოლოგიური ქარტები ანუ რუკები.—ამ ქარტებ-ზე ქართველ ტომ-ნათესავის წინაპარნი სხვა და სხვა გვარ სახელ-წოდებულნი და მცირე აზიიდამ კავკაზამ-დე გაფანტულნი. . . 15—20

### II. კავკაზი და იმისი უძველესი ისტორია.

I. კავკაზზე გეოლოგიური ცნობა. — იმისი მოკლე სურათი. . . . . . . . . . . 21—25

II. სულ ძველად გამოჩენილ ტომთა რიცხვში კავკაზიე-ლებთან ჰქონიათ მსვლელობა ფინიკიელებს, ეგვიპ-ტელებს და ქალდეო-ასსირიელებს. . . . . 25—29

III. მცირე აზიის ელლინნი ანუ ბერძენნი. — მილეტის კოლონიები შავი-ზღვის პირად.—იმათი აღებ-მიცე-

მობა კავკაზიელ ტომებთან.—იმათი ცნობები საზოგადოდ კავკაზიაზე. . . . . . . . . . . 29—30

IV. გარედამ შემოტანილნი ჩვენში სახელ-წოდებანი მთებისა, მდინარეებისა და სხ.— შორეულ ენათა და გადაშენებულ ენათა კვალი კავკაზიურ ენებში.—რა კავშირი აქვს ქართულ ენას სომხურ ენასთან. . 31—37

III. საქართველო და იმისნი უძველესნი ადგილობრივნი ცნობანი.

I. კავკაზიის დედა-მიწის გულში ჩამარხული არხეოლოგიური წყაროები. . . . . . . 38—39

II. „ქართლის ცხოვრება".—რა დროთ ეკუთვნის იმისი შედგენა და რა გვარ ისტორიულ საუნჯეს წარმოგვიდგენს იმისი შინაარსი.—განხილვა „ქ-ცხნის" ფაქტებისა ჩვენის ისტორიის მსვლელობაში. . 39—56

III. სულ ახლად აღმოჩენილი მე-IX საუკუნის მანუსკრიპტში შეტანილი ძველი ქართული მატიანე. 56—58

IV. იგივე საგანი—შემდეგი.

I. „ქართლის-ცხოვრების" წარმოდგენით ქართველთ, სომეხთ, კავკაზიელთ შთამომავლობა და ქართველების უძველეს დროთა ყოფა-ცხოვრება.—მამა-სახლისნი და იმათ დროს სურათი. . . . . . . . 59—67

II. „ქ-ცხნა" განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევს სპარსეთის გავლენას საქართველოზე.—ამ გავლენის კვალი ჩვენ კულტურაში. . . . . . 67—70

III. რა მასალას გვაძლევენ ჩვენ წინაპართა კულტურისას სამთავროს არხეოლოგიურნი ნაშთნი.—რა დროს მიაწერენ ამ ნაშთებსა.—აქ ნაჩვენები კულტურა შეადარე სტრაბონის თქმულებას იბერიაზე და რიტტერის აზრსა კოლხიდაზე. . . 70—75

V. სამეფოს დაარსება საქართველოში.

I. ალექსანდრე მაკედონელი (336—323 წ.) და იაზონ

მთავარი.—შესაძლებელია თუ არა, რომ ალექსანდრეს თავის შემოსვლით დაეჭიროს საქართველო.—ისტორიული ფაქტები ალექსანდრეზე. . . . 76—79

II. მეფე ფარნავაზი (302—237).—საქართველოს განთავისუფლება ბერძენთაგან და სამეფოს დამყარება ჩვენში.—საქართველოს სახელ-წოდებანი; საერისთავოები და სადროშოები; აზნაური და ხვასტაგი: ამ სიტყვების ფილოლოგიური მნიშვნელობა. —ქართული მწიგნობრობა.—მხედრული უნდა მივაჩნდეს უძველესად, თუ ხუცური. . . . . . 79—85

III. პოლიტიკური დამოკიდებულობა საქართველოსი ბერძნებთან და სირიის მეფეებთან. . . . . . 86—88

VI. არშაკუნიანთ სამეფო სახლი და რომაელნი საქართველოში.

I. ქართლის მეფენი: საურმაგ (237—162); მირვან I (162—112); ფარნაჯომ (112—93) და იმის დროს ცეცხლის მსახურება საქართველოში. . 89—90

II. არშაკუნიანთ სამეფო სახლი საზოგადოდ და იმისი დამყარება სომხითში.—სომხითის მეფენი: ვაღარშაგ (149—127); არშაგ I (127—114) და არდაშეზ I (114—89). . . . . . . . 90—92

III. არშაკუნიანნი საქართველოში.—მეფე არშაკი (93—81).—მეფე არტაგი (81—66).—პონტის მეფე მიტრიდატ დიდი (123—65) და ბრძოლა იმისი მცირე აზიაში და ქართველებისა საქართველოში რომის მხედართ-მთავართან პომპეისთან.—სახელწოდება „იბერია" პირველად ხმარებული იმათ მწერლობაში 65 წლის ქრისტეს წინად და საზოგადოდ რა ცნობები შეგვმინეს იმ დროს რომაელთ მწერლებმა კავკაზიაზე. . . 92—10

VII. ქართველების კერპთ-მსახურება.—ანდრია მოციქული.—სტრაბონი.

I. მეფენი: ბარტომ I (66—33); მირვან II (33—23); არშაკ II (22—2); ადერკი (2 ქრ. წინ—55 ქრ. შემდეგ.) . . . . . . . . . . 102—103

II. კერპთ-მსახურება საქართველოში და იმის მოსაზღვრე ქვეყნებში.—სახარების ქადაგება საქართველოს საზღვრებში ანდრია მოციქულისაგან. . . . 103—110

III. სტრაბონი (54 ქრ. წინ—24 ქრ. შემდ.) და იმის აღწერით კავკაზი, კოლხიდა, იბერია და ალბანია.—სტრაბონის ცნობების განმარტება. . . 110—122

VIII. ქართლის დაგლეჯა სომხებისაგან და დაცემული ჩვენი ზნეობა.

I. ორ-ორნი მეფენი ქართლისანი: ბარტომ II და ქართამ (55—72); ფარსმან და კაოს (72—87); აზორკ და არმაზელ (87—103); ამზასპ და დეროკ (103—113); ფარსმან II და მიტრიდატ I (113—129); ადამ (129—132) და შემდეგ იმისა 146 წლამდე დედა იმისი; ფარსმან III (146—182); ამზასპ III (182—186). . . . 123—125

II. ქართლის შესუსტება და იმის საზღვრის დაჭერა სომხთ მეფეთაგან.—ქართლის სომხეთი ანუ სომხების გუგარკი.—ბრძოლა ქართველებისა სომხებთან საზღვრის გამო.—ამ საგანზე ქართველთ-სომეხთ თქმულების შედარება რომაელთ ცნობებთან.—მცხეთის მახლობლად ნაპოვნი 75 წლის ქვა ბერძნულის წარწერით. . . . . . . . . 125—129

III. მეფე რევი (186—213).—ადამიანის მსხვერპლად შეწირვა კერპთათვის და კაცის მჭამლობა ჩვენში ჩვენის მატიანის თქმით.—რამდენად არის შესაწყნარებელი ეს თქმულება. . 129—133

### IX. სასანიანთ სამეფო სახლი და წმ. ნინოს ქადაგება ჩვენში.

I. მეფენი: ვაჩე (273—231); ბაკურ I (231—246); მირდატ II (246 — 262) და ასფაგურ (262—265).—ამ დროს სომხითის ისტორიის სურათი: ხოსრო დიდი (198—232) და ტირდატ დიდი (232—259). . . . . . . . . 134—137
II. სამეფო სახლი სასანიანთი და თვისება იმის ისტორიისა. . . . . . . . . . . 137—138
III. მეფე მირიანი (265—342) სასანიანი ანუ ხოსროიანი.—გარკვევა იმის ისტორიისა. . . . . 139—143
IV. ქართლ-კახეთის განათლება ქრისტეს აღსარებით წმ. ნინოსაგან. . . . . 143—147

### X. სპარსეთის სასანიანთ მალა და იმათგან სომხითის დანაწილება.

I. მეფენი: ბაქარ I (342 — 364) და მირდატ III (364—379); ბაკურიუსი რუფინისა და ფავსტესი მარციანისა იმის დროს საქართველოზე. . . . 148—151
II. ვარაზ-ბაქარ ანუ ბაქარ II (379—393).—იმისი შვილი მურვანოზი ანუ წმ. პეტრე პალესტინის მღვდელთ-მთავარი. — პეტრეს „ცხოვრება" თვით იმის მოწაფისაგან შედგენილი. . . . . 151—154
III. სპარსეთის სასანიანთ მალა და სომხითის დანაწილება სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. . 154—156
IV. თარდატ (393—405); ფარსმან IV (405—408); მირდატ IV (408—410); არჩილ I (410—434) და მირდატ V (434—446.) . . . 156—157
V. სომხითის შინაგანი მდგომარეობა და დამოკიდებულობა სომხობისა ქართველობასთან. . . 157—161

## XI. ბრძოლა ქრისტეს სჯულისა და ცეცხლის მსახურებისა.—სპარსეთი და ბიზანტია საქართველოში.

I. ვახტანგ გურგასლანი (446—499).—ცნობები ვახტანგზე.—ჩვენი აზრი ვახტანგზე.—ხალკიდონის მსოფლიო კრება 451 წელს.— . . . 162—168

II. საკათალიკოზოს დაარსება.—ვახტანგის ისტორიაში ნაჩვენები „ნებროთის წიგნი."—რა გვარი მწერლობა უნდა გვქონიყო ჩვენ იმ დროს.—უძველესი ვარიანტები ოთხ-თავისა.—„ცხოვრებანი" წმ. რაჟდენისა და წმ. შუშანიკისა. . . . . . . . . . 168—177

III. დაჩი (499—514); ბაკურ II (514—528); ფარსმან V (528—542) და ფარსმან VI (542—557) და იმათ დროს ცნობა ბიზანტიელებისა დასავლეთს საქართველოზე ანუ ბიზანტიელთ ლაზიკაზე.—პროკოპის ცნობით, აფხაზეთის მოქცევა და ბიჭვინტის ტაძრის აღშენება იმპერატორის იუსტინიანესაგან (527—565). . . . . . . . . . 177—181

IV. ათ-ცამეტნი სირიელნი მამანი საქართველოში.—ბაკურ III (557—570) . . . 181—184

## XII. ბაგრატიონთ სამეფო სახლი და არაბნი მაჰმადიანნი.

I. ბაგრატიონნი სომხითში და საქართველოში. . 184—189

II. მთავარნი: გვარამ (575—600) და იმის დროს დარღვევა სომხით-ქართ. სარწმუნოებრივის კავშირისა. 189—190

III. სტეფანოზ I (600—619); ადარნასე I (619—639); სტეფანოზ II (639—663).—ჯვარ-პატიოსანი და იმისი სურათები შესანიშნავის წარწერებით.—იმპერატორი ირაკლი I (610—641) ჩვენში ებრძვის ცეცხლის აღსარებასა. . . . . . 191—197

IV. მაჰმედის გამოჩენა და გავრცელება არაბთ მფლობელობისა. . . . . 198, 202—204

V. მეფენი: მირ (663—668); არჩილ II (668—718);— კონსტანტინეპოლის მეექვსე მსოფლიო კრება და დამოუკიდებელი კათალიკოზი საქართველოში.—იოანე და ჯუანშერ (718—787). 198—204

XIII. არაბთ მფლობელობა საქართველოში.

I. მეფე აშოტ (787—826).—არაბთაგან წამებული წმ. აბო და იმისი „ცხოვრება".—ამ „ცხოვრების" ცნობა ჩვენ მხარეზე და ხაზარებზე.—განხილვა ძველად-ძველის მანუსკრიპტისა, რომელშიაც შეტანილია ეს „ცხოვრება".—მეორე ძველად-ძველივე ნათლის-მცემლის უდაბნოს მანუსკრიპტი, რომელშიაც იპოება აბოსივე ცხოვრება.—ოპიზის მონასტერი აშოტის სურათით და წარწერით.—ხუთასიანი ქორონიკონი და იმისი გამოკვლევა. . 205—217

II. მეფე ბაგრატ I (826—876).—არაბთ მხედართ-მთავარი ბუღა და იმისგან წამებული ქართლის მთავარი კონსტანტინე.—ატენის სიონის მე-XI საუკუნის მხატვრობის ქვეშ აღმოჩენილი წარწერა 853 წლისა.—მანუსკრიპტი 864 წ. სინაის მთაზე ნაშრომი.—იმის დროსვე მანუსკრიპტი, რომელშიაც შეტანილია „მოქცევა ქართლისა" და წმ. იაკობის „ჟამის წირვა". . . . . . . . . . 217—222

III. მეფე დავით I (876—881).—აწყურის მახლობლად დიდი ტაძარი ბიეთად წოდებული 880 წლის წარწერით. — ადარნასე II (881—922).—წმ. ილარიონ კასელი.—ტაძრები: ბანისა, ოშქისა და განქისა (?).—აბულ-კასიმი და იმისგან წამებული წმ. გობრონი.—გობრონის „ცხოვრების" აზრი არაბებზე და სომხობაზე.—კათალ. არსენის ნაამბი „განყოფისათვის ქართლისა და ხომხითისა".—ტბეთის ტაძარი აშოტ კუხისაგან († 916) აშენებული.—ოთხ-თავი 913 წლისა.—სომხეთის მეის-

ტორიეთა თქმულება აშოტ დიდის შტოს სომ-
ხურს შთამომავლობაზე. . . . . . . . . 222—230

XIV. საქართველოს კავშირი ბიზანტიასთან.

I. მეფე სუმბატი (923—958). არაბთ მწერალი მას-
სუდი სუმბატზე.—იმის დროს ტაძრები: ველისა
და ლოდის-ყანისა, ჩვენის აზრით შატბერი.—
„სწავლანი და მოძღვრებანი წმ. მამათანი“ 925
წლისა.—ჯრუჭის მონასტრის სახარება ანუ ოთხ-
თავი 936 წლისა.—საბას ლავრაში იერუსალი-
მის მახლობლად 941 წელს ნაშრომი „წელთა და
ჟამთა გამოძიება“.—მეტაფრასი 951 წლისა. . 230—236

II. დავით ანუ ბაგრატ II რეგვენი (958—994).
მეციდინეობა ქართველთ სომეხთ შეერთებისა სარ-
წმუნოებით.—დავითნი 974 წლისა. . . 237—238

III. დავით დიდი კურაპალატი (983?—1001).—იმისი
ორი ვერცხლის ფული ევროპაში აღმოჩენილი.—
იმისაგან აშენებული დიდებული ხახულის ტაძარი.—
სხვა და სხვა გვარი ცნობა დავითზე.—იმისი მო-
ღვაწეობა ბიზანტიის სასარგებლოდ.—დავითს და
იმის დროს გამოჩენილ ქართველებს იხსენიებენ:
„სამოთხე“ 977 წლისა; ქართული ბიბლიის პირი
978 წლისა; „გამოცხადების წიგნი“ იმავე 978
წ.; კლიმაქსი“ 983 წ.; ტბეთის ოთხ-თავი“ 995
წლისა; „საგალობლები“ სამეგრელოს მთავრის
წიგნთა-საცავისა; „წმ მოწამეთა ცხოვრება“ 1002
წლისა. . . . . . . . . . . . 238—249

IV. დაფუძნება ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე.—
წმ. იოანე და იმისი შვილი ევთიმე.—ევთიმის
მწერლობა.—ივერიის მონასტრის „წმ. მამათ-ცხოვ-
რება“ 980—1013 წ., რომელშიაც იხსენიებიან
ევთიმე და იმისნი თანა-მოღვაწენი.—მცხეთის წიგნ-
თა-საცავის „წიგნი ღვთის მეტყველის გრიგორი-

სა"; სჯულის-კანონნი მეექვსე მსოფლიო კრები-
სა". — ქართველების მონასტერი „სოსასტერი"
კონსტანტინეპოლის მახლობლად. . . . . 249—261

XV. გაცალცალკევებული საქართველოს ნაწილე-
ბი ვიდრე იმათ შემოერთებამდე.

I. მესხეთი; ტაო; კლარჯეთი.—ამ მხარის მფლო-
ბელნი: ერისთავნი და მამფალნი.—კონსტანტინე პორ-
ფიროგენის ცნობა იმათზე.—იმათი მფლობელო-
ბა სომხითში . . . . . . . 262—270

.II აფხაზეთი.—იმისი მნიშვნელობა.—რამდენად ყო-
ფილა ძველად აფხაზეთში გავრცელებული მეგრული
ნათესავი თუ მეგრული ენა; ამისი საბუთი.—აფ-
ხაზის ნათესაობა და ენა.—„ისტორია აფხაზეთი-
სა" დოსითეოზ პატრიარხის მოწმობით 992 წელს
შედგენილი.—აფხაზეთის ერისთავნი, შემდეგ მე-
ფენი.—იმათზე ისტორიული ცნობები. . . 270—275

III. კახეთი ანუ ნაწილი სტრაბონის ალბანიისა.—რა
სარწმუნოებას აღიარებდა იგი ძველად.—კახეთის
მფლობელნი ქორიკოზნი.—ისტორიული ცნობა
იმათზე.—წანარნი. . . . . . . . 276—279

---

ალფაბეტური საძიებელი ამ წიგნის წყაროებისა. 282—290

---

# შეცდომანი ამ წიგნში.

| გვერდი. | სტრიქონი. ქვემოდამ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 1 | 7 | ნათესავნი. | მოდგმანი |
| 3 | 6 | გეოგრაფიულ. | გეოლოგიურ |
| 14 | 22 | ძვენლი. | ძველნი |
| 15 | 15 | *anciene* | *ancienne* |
| — | 27 | ზღვა́. | ნიადაგი |
| 16 | 33 | ნომეკლატურაც. | ნომენკლატურაც |
| 32 | 20 | სანკრიტული. | სანსკრიტული |
| 44 | 28 | გარცელებულს. | გავრცელებულს |
| 46 | 16 | სახელმძღვანელობის. | ხელმძღვანელობის |
| 54 | 22 | ჩვენამდე | ჩვენამდე |
| 57 | 4 | აღნიშნულა. | აღნიშნულია |
| — | 8 | მატიან. | მატიანე |
| — | 9 | დროე. | დრო |
| 67 | 28 | სათაყვანის-საცემო. | თაყვანის-საცემო |
| 70 | 30 | მონადრედ. | მონადირედ |
| 91 | 29 | 47. | 27 |
| — | 30, | p. | ,II, p. |
| 92 | 5 | დაჯა | დაჯდა |
| — | 17 | სახელ-მძღვანელობთ. | ხელ-ვმძღვანელობთ |
| 94 | 24 | ფარდნენ. | ფარწენ |
| 96 | 3 | ორქროს. | ოქროს |
| — | 31 | იცვავდა. | იცავდა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 110 | 29 | X—XI, . | . XI—XII, |
| 127 | 6 | და კორდუკისას. | კორდუკისას და გუგარკისას |
| — | 32 | IV т. . . | . LV т. |
| 138 | 6 | სიშირად. | . . ხშირად |
| 139 | 12 | ანო . . . | . ანუ |
| 144 | 12 | ვინმე სომეხთა. . | . ვინმე ნათესავი და ტომი მეფეთა |
| — | 21 | მსეთაში. | . მცხეთაში |
| 167 | 16 | რომელსაც. . | . რომელმაც |
| 159 | 27 | მე-IV-ს . | . მე-VI-ს |
| 179 | 12 | ლიაზიკის. . . | . ლაზიკის |
| 185 | 12 | (718—786) და ჯუანშერ . . . | . და ჯუანშერ (718—787) |
| 186 | 30 | *Voayge* . | . *Voyage* |
| 192 | 19 | სიონსა . | . სიონსა |
| — | 23 | ჩვენ . . | . 1. ჩვენ |
| 207 | 28 | ქრიტიანეთა . | . ქრისტიანეთა |
| 209 | 32 | თმოგვლის . | . თმოგველ |
| 222 | 4 | მესამქჲ . | . მესამეჲ |
| 224 | 34 | მუტად . . . | მეტად |
| 228 | 31 | памятникамъ . | . памятникахъ |
| 235 | 15 | ტიშენდოფრის . | . ტიშენდორფის |
| 239 | 22 | ციფრების . . . | . ციფრის |
| 251 | 12 | სიმამრმა (თუ ძმამ?). | . სიმამრმა |
| 252 | 28 | ბრძნულიდამ . | . ბრძნულად |
| 272 | 21 | მ გზით. . . | . ამ გზით. |
| 281 | 6 | წყაროები. | . . I წყაროები |
| 282 | 19 | 219. | . 209 |
| — | 29 | per . . . . | . par |
| 283 | 33 | Кондакова П. | . Кондакова Н., |
| 287 | 13 | 226—228. | 226—227, 277. |